

# სერგი ქილაია



უმბონეების  
ბავ



„საბოთა საქართველო“  
თბილისი — 1989





## მოგონებების გაცა

„ვერ მოახერხებს გული ვერაფრით  
უკანასკნელად გითხრას: მშვიდობით!“

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

ცყვები ისე, როგორც იყო. აქ არც არაფერია შელამაზებული და არც განგებ გაზვიადებული. ეს მოგონება მხოლოდ ფაქტების აღნუსხვაა, რომ დაინტერესებულმა მკითხველმა თავად განსაჯოს მისი ავ-კარგი. ეს არც ჩვეულებრივი დღიურია, ეს უფრო ისტორიის ფურცლებია, იმ წლების ისტორიის ფურცლები, მე რომ მწერალთა კავშირში ვმუშაობდი. მე იმაზე ვწერ, რისი უშუალო მონაწილე და მოწმე ვიყავი.

უნივერსიტეტში ჩემი მასწავლებლები იყვნენ: ივანე ჭავჭავაძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, დიმიტრი უზნაძე, ვანტანგ კოტეტიშვილი, ვარლამ თოფურია, მისეილ ზანდუკელი, კონსტანტინე კაპანელი... მე მათი შეგირდი, იქვე, უნივერსიტეტში, ოცდაათი წლისა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად ამირჩიეს. მერე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული პარტორგანიზაციის მდივნად ვმუშაობდი, ბიუროს წევრები იყვნენ: ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, რაფიელ აღლაძე... ჩემს სულს წარუშლელი კვალი დაამჩნია ივანე ჭავჭავაძის უნივერსიტეტმა და მის ფესვებზე აღმოცენებულმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ.

მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, ერთდროულად ორ დიდ ეროვნულ კერაში რომ ვიყავ თავშეფარებული: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მწერალთა კავშირში. თბილისის უნივერსიტეტში დიდი ივანე ჭავჭავაძის მიერ ანთებული ეროვნული მეცნიერების სანთლების შუქი გზას გვინათებდა მის შეგირდებს და ეს დიდი ბედნიერება იყო. ხოლო უნივერსიტეტის შემდეგ მწერალთა კორპორაციაში ერთ-ერთ ხელმძღვანელად ყოფნა — ორმაგი ბედნიერებაა; მწერალთა



საუკუნის საქართველოს მთელის სისრულით ასახავდა. რამდენი შრომა და გარჯა დაგვჭირდა ამისთვის. ამას შემდეგ ყოველდღიურად ვამდიდრებდი და ვავსებდი მუზეუმის ფონდს ახალი ექსპონატებით, მოგონებებით, ფოტოპირებით, ხელნაწერებით, საოჯახო ნივთებით, უნიკალური გამოცემებით, ერთი სიტყვით, მთელი XIX საუკუნე ახლა ამ მუზეუმშია დასახლებული. იცი ამას ახლა რატომ გიყვები? ხომ გესმოდა ბიუროსე რომ მითხრეს, ალბათ მუზეუმის დატოვება მოგიწევთო. დიას, მაიძულებენ წავიდე მუზეუმიდან. არა, ამას ვერ ვიზამ, მწერალთა კავშირის მუშაობაში ჩვენ ორ კაცს ისე არ გაგვიჭირდება, რომ მე მუზეუმის დირექტრობაზე ხელი ავიღო, არა! ეს არ მოხდება. მე ის მუზეუმი ხეცოცხლედ მიღირს, ის ცარიელ ადგილზე შევქმენი, მთაწმინდის ბუდიდან აქეთ, ჯორჯიაშვილზე გადმოვიტანე, მთელი ორსართულიანი შენობა დავიკავე, მოვრთე, გაემართე, ამოდენა ექსპონატები მოვზიდე და შევიძინე — და ახლა მთელი წლობით ნაჯაფი და ნაშრომი სხვას, ვინმე უღირსს ჩავეუგლო ხელში? არა, სანამ ცოცხალი ვარ, მე ამ მუზეუმს ვერ დავთმობ, ჩემო სერგი, და შენზე ახლა ბევრია დამოკიდებული. ვიცი, ამას ყველაფერს ის კაცი მიწყობს (გოგლა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეთა კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს გულისხმობდა). გახსოვს, შენც ესწრებოდი მაშინ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, ჩემი საკითხი რომ განიხილეს? ის კაცი მიჩიოდა და აქაც პირზე დამადგა, ხომ გახსოვს...“

გოგლამ გულისტკივილით გაიხსენა ის უსიამოვნო ისტორია: მუზეუმი, რომელიც მთელი 15 წელი დამოუკიდებლად არსებობდა, პირდაპირ მთავრობას ემორჩილებოდა, მას შემდეგ, რაც კულტსაგანმანათლებლო კომიტეტი შეიქმნა, გოგლას მუზეუმიც ამ კომიტეტს დაუმორჩილეს. გიორგი თავისებური კაცი იყო, ამაყი, ზვიადი, უზომოდ თავმოყვარე და დამოუკიდებლობას მიჩვეული, თავდადებული პატრიოტი, მაგრამ თვითნება, მოვარდნილი სტიქია, რომელიც ჩვეულებრივ ჯებირებსა და საზღვრებს ეურჩებოდა. ვერ მოესვენა, ბოზოქრობდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა და ასეთი ეროვნული საქმე თვითშეწირვას და მსხვერპლს მოითხოვდა; წვრილმანი ანგარიში აქ არ გამოდ-

გებოდა, საქმეს ვნებდა და გოგლაც ხელგაშლილად ხარჯავდა ფულებს. ყოველ ექსპონატს ეძებდა და ვიდრე ხელთ არ იგდებდა, არაფერს იშურებდა. კომიტეტი კი ცხადია ბუხპალტრულ ანგარიშით ზომავდა ყოველ საქმეს. ამგვარი ბუხპალტერია გიორგის არ აწყობდა და არც ემორჩილებოდა არავის. ამ ნიადაგზე კომიტეტსა და გიორგის შორის გაუთავებელი დავა იყო. ერთ მშვენიერ დღეს, კომიტეტმა შეამოწმა ლეონიძის მიერ შეძენილი ერთი გახმაურებული ექსპონატისათვის გაღებული თანხა და უკანონოდ ჩათვლა „ეს ოპერაცია“. საქმეს ის ართულებდა, რომ კომიტეტის თავმჯდომარეც საზოგადო მოღვაწე კაცი იყო და თანაც ზვიადი და ჯიუტი. ამიტომ სხვათა თვითნებობას ვერ იტანდა. აქ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გოგლა და ის კომიტეტის თავმჯდომარე. ახლა დავა კონკრეტულად შეეხებოდა ერთ უნიკალურ სუფრას, რომელიც გიორგი ლეონიძემ დიდ საფასურად შეიძინა. ეს სუფრა XIX საუკუნის საქართველოს ცოცხალი მოწმე იყო, ცოცხალი მატრიანე, ორბელიანებისა და მერე სარაჯიშვილების ნაქონი. ამ სუფრაზე, ამ დიდებულთა ოჯახებში, დიდ წვეულებებზე და სალონებზე მოწვეული XIX საუკუნის საქართველოს თავკაცების ხელწერა იყო ამოქარგული. ეს ისეთი უნიკალური ექსპონატი იყო, რომ გოგლამ ექსპონატების შესაძენად განსაზღვრულ ჩვეულებრივ ნორმატივებს ანგარიში არ გაუწია და დიდი ფული გაიღო, რათა საქართველოდან არ გაეტანათ ეს იშვიათი სუფრა. ამის საშიშროება კი იყო. ამიტომ გოგლამ კომიტეტისაგან დაუკითხავად, ჩვეულებრივი ნიხრით გათვალისწინებულ თანხაზე მეტი გაიღო ამ ექსპონატის შესაძენად.

კანონის სახელით გიორგი ლეონიძის სასტიკად დასჯა და სამსახურიდან მოხსნა მოითხოვეს. ბოლოს — სასტიკი საყვედური აკმარეს. ამით განაწყენებული პოეტი დიდხანს დადიოდა თბილისის ქუჩებში და ყველა ნაცნობს შესჩიოდა „ჩინოვნის“ საქციელზე. სასტიკი მტრობა ჩამოვარდა კომიტეტსა და მუზეუმის დირექტორს შორის. გოგლამ იცოდა, რომ ახლა მის დანიშვნას საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ გამოიყენებდნენ კომიტეტში, მით უმეტეს, დღეს ბიუროზე ითქვა მინიშნებით ამაზე. მართლაც შედგა თუ არა მწერალთა პლენუმი და შეკუდივით თუ არა მწერალთა

კავშირში მუშაობას, მეორე დღესვე კომიტეტმა საკითხი და-  
აყენა ლეონიძის საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის  
დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე.  
გოგლას ენანებოდა მუზეუმის დატოვება. მთელი სამი თვე  
იბრძოლა და ეცადა მუზეუმში შეთავსებით დაეტოვებინათ მის-  
თვის, მაგრამ კომიტეტმა მიაღწია მიზანს. აწყენინეს, გული ატ-  
კინეს პოეტს. ეს უთუოდ შეცდომა იყო, მუზეუმმა ამით ბევრი  
რამ წააგო. საქმე ის იყო, რომ გიორგი ლეონიძემ ხუთი თითი-  
ვით იცოდა საქართველოს წარსული... მის ტრაგიკულ ჭრილო-  
ბას გულთ ატარებდა და უზომოდ ხარობდა, როცა რაიმე ნივ-  
თიერ საბუთს იპოვნიდა საქართველოს გმირული წარსულის  
შესახებ მემკვიდრეობით მიერ აღბეჭდილს. ყოველ საბუთს, ყო-  
ველ ხელნაწერს ელოლიაებოდა, უფრთხილდებოდა და სა-  
გულდაგულოდ ინახავდა სეიფებსა და წიგნსაცავებში. დასა-  
ნანი იყო ასეთი პატრიოტი კაცის ჩამოცილება მისივე შექ-  
მნილი მუზეუმისაგან.

გიორგი ლეონიძე დიდი ოპტიმისტი, დიდი რწმენის კაცი  
იყო, უმუზეუმობა ერთხანს იღარდა, მაგრამ გულს იმით იჭე-  
რებდა, რომ საქართველოს ყველაზე დიდ ეროვნულ კერას —  
მწერალთა კავშირს მეთაურობდა. გოგლა ენერგიულად ჩაუდ-  
გა საქმეს, ახლა განახლებულ პრეზიდიუმს ამშვენებდნენ ახა-  
ლი სახელები, როგორც იყო: შალვა დადიანი, კონსტანტინე  
გამსახურდია, ილო მოსაშვილი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქო-  
ვანი, ბესო ჟღენტი, დემნა შენგელაია... შედგა სამუშაო გეგ-  
მა და დავიწყეთ მუშაობა.

იმ კვირას თამარ ოყროშიძემ დაგვპატიჟა. თამარი გიორ-  
გი ლეონიძის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი იყო (სპე-  
ციალობით ფოლკლორისტი). სულ ხუთნი ვიყავით — გოგლა,  
თამარ ციციშვილი, ქსენია სიხარულიძე და მე. გოგლამ დაი-  
ჩემა და თამადად დამაყენა. თან განმარტა, აბა, როგორ გინ-  
და, იქ მწერალთა კავშირში თუ ვეწევით ერთად უღელს, მის  
გარეთაც თანადგომა უნდა გამიწიო. კეთილი ინებე და მე  
მომბაძე თამადობაშიაც, თამადობა მარტო პატივი კი არა,  
არამედ გარჯას და ცოდნას მოითხოვს, ჩემებურად უნდა გა-  
მოგაწერთო, ჰო, აბა შეუდექი საქმეს და ვნახოთ რა კაციცა  
ხარ, როგორ თამადობას გაგვიწევ...

მეც ჩვეულებრივ შევუდექი საქმეს, მაგრამ ვინ გაცალა

თამაღობა. სულ თვითონ ლაპარაკობდა, ყვებოდა ცისა და ბარისას, მეტწილად თამაღობის ამბავს, ყვებოდა საინტერესოდ და ემოციურად, სუფრის მთელი ყურადღება, რასაკვირველია, გოგლასკენ იყო მიპყრობილი. კარგ გუნებაზე იყო და სანამ არ დაიღალა, არ მოგვეშვა, ბოლოს ლექსი წაგვიკითხა, მისი საყვარელი ლექსი, „ყივჩაღის პაემანი“...

ყურღანებიღან გნოღი გაფრინღა,  
ყაბარღოს ველი გაღაღარა,  
ისევ აღვსღექი მუხრანის ბოღოს  
ჩასაფრებული ესინჯავ იარღლს,  
ქსანზეღ, არაგვზეღ ისევ ყუვეღან  
ხოღაბუნები თაეთუხებღისა,  
შენი ტუჩებიღ ისე ტკბიღია,  
როგორღ ბაღაღი დაღულღებისა.

დაავიწყღა, შეჩერღა, ქსენიღ სიხარულიღემ გაახსენა: ხოხბობას გნახე, მიწურულ იყო, როცა ზაფხული რუსთავეღისა... ყოჩაღ ქაღოღო და გოგღამ ისევ გააგრძელღა, გააგრძელღა და დაასრულღა...

მოღი გეძახი ათას წღის მერე,  
ღამნაღროს ეღვამ შენი ტანღისა;  
ვარღის ფურტღების ნიშანი არღს  
და ღრო ახალი პაემანიღა!

ლექსის კითხვა რომ დაამთავრღა, მის ცისფერ თვალღებში ცრემღი შევნიშნე, ეს იყო ცრემღი სიხარულიღისა, პოეზიის მაღღისაგან გაბრწყინებული. ჩვენ წინ პოეტი კი არა ლექსკაცი იღგა, პოეზიით მთღად ყელამღდე სავსე...

ბავშვიღით გაიხარღა და ჩვენც უსაზღვრო სიამოვნება მოგვანიქღა იმ საღამოს გოგღამ და გოგღას ლექსებმღა. არ შევაცოვნე და გავაგრძელე გოგღას ლექსებღის კითხვა:

მეჩვენებიღან ძვეღი მგოსნები  
ვინც საქართვეღოს ხმით შეაბერღა  
ზოგი მღეროღა ბულბუღის ბაღში,  
სხვღა უნაგირღის ტახტაზე წერღა...  
შოთა,  
ბესიკი,  
გურამიშვიღი,  
ჩიხეტავიღანი, ვაქა-ფშავეღლა!

აქ შევჩერდი და ისევ გოგლას შევხედე, ისევ მოეონავდა მის იისფერ თვალთაგან ცრემლი, ცრემლი სიხარულისა. ჩემი შეყოვნებით ისარგებლა ქსენია სიხარულიძემ და ის იყო აიტაცა ესტაფეტა და მისთვის ჩვეული წკრიალა ხმით წამოიწყო:

არავის ნახვა არ მინდა,  
მე მხოლოდ შენთან მოველი...  
მზევ, გულზე მოშუქებულო,  
შენ სანახავად მოველი,  
გულით, ფიქრით და ოცნებით  
ძვირფასო, შენთან მოველი...  
იქნებ, არ არის საჭირო  
რომ დღესაც შენთან მოველი?  
იქნებ ზღვაში ხის დარგვას  
და აყვავებას მოველი?  
ერთ ბაღში მაისის წვიმა  
ძვირფასო, ჩუმად მოველი!

გოგლას სატრფიალო ლექსები უაღრესად მიწიერია და ამავე დროს რომანტიული, ამალღებული, სატრფოს გულიდან მარგალიტებად ამოკრეფილი

ვინ არისო ამ ლექსის ადრესატი, ჰა, ჩააცვივდა თამარ ოყროშიძე გოგლას. — გოგლამ მიიხედ-მოიხედა და თქვა, განა ამას თქმა უნდა... თამარი!.. შენი სეხნია თამარია! სუფრა გაისუსა. ამით ისარგებლა თამარ ოყროშიძემ და ისევ გოგლას ლექსით მიმართა სუფრას:

გადაეფარა ნარიყალს  
ნაცრიანი ბური...  
ხაში  
ხილი  
და თონიდან ამოყრილი პური,  
თაბახი და საზანდარი  
მზე შინა და გარეთ —  
ეგებება მზეს თბილისი,  
თავის ექვსი კარით...

გაიხარა ლეონიძემ, პოეტის ლექსების თქმაში ერთმანეთს ვეცილებოდით, ზეპირად ვამბობდით. განსაკუთრებით ის უხაროდა, რომ მის ლექსებს სუფრის ყოველი წევრი უშეცდომოდ წარმოთქვამდა, თვითონ კი არა ერთხელ დაავიწყდა და შეეშალა თავისივე ლექსი...

ამის შემდეგ არსად, თვით გოგლას იუბილეზეც არ მომისმენია ამდენი ლირიკული ლექსი გიორგი ლეონიძისა, ასე ერთად დახვავებული.

რაკი იუბილეზე ჩამოვარდა სიტყვა, ამაზეც უნდა მოგახსენოთ. მისი პირველი იუბილე — 50 წლისთავი, ოპერის თეატრში გაიმართა. ამ საღამოზე მომხსენებელი მე ვიყავი. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო — პირველი საჯარო გამოსვლა ოპერის თეატრის ტრიბუნიდან იუბილეზე. მაშინ აკადემიაში ვმუშაობდი. არ ვიცი, რატომ ამომიჩია მომხსენებლად. მოვინდომე რაც შემეძლო, მაინც ვნერვიულობდი, მაგრამ მოხსენება ემოციური გამოდგა და დარბაზიც მოწონებით შემხვდა. ტრიბუნიდან ჩამოვედი თუ არა, გოგლა ჩემკენ წამოვიდა, დევური მკლავები მომხვია და გადაამკოცნა...

გოგლას ლექსების პირველი წიგნი 1938 წელს გამოვიდა. ამ წიგნის შესახებაც პირველად ჩემი რეცენზია დაიბეჭდა. მაშინაც მოეწონა ეს წერილი გოგლას, დამიბარა, დიდხანს მესაუბრა და მაჩუქა ეს პირველი კრებული ლექსებისა წარწერით: „ჩემს პირველ კრიტიკოსს“.

ეს ჩემთვის დიდი ჯილდო იყო...

\* \*

მახსოვს, პირველი ღონისძიება ლესია უკრაინკას დაბადების 80 წლის იუბილე იყო. 1951 წლის 25 თებერვალს დაბადების ოთხმოცი წელი უსრულდებოდა უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსს, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები საქართველოში გაატარა და დაბა სურამში გარდაიცვალა. კომიტეტმა დაადგინა: დაბა სურამს, იმ სახლში, რომელშიაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა ლესია უკრაინკა, გაიხსნას ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი, სურამში აიგოს ლესია უკრაინკას ძეგლი, მიეკუთვნოს ლესია უკრაინკას სახელი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს დაევალა სურამში მოეწყოს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, მიძღვნილი ლესია უკრაინკას დაბადების ოთხმოცი წლისთავისადმი.

უკრაინელი პოეზიის მშვენიების, ლესია უკრაინკას იუბი-



ლე დაიწყო 27 თებერვალს თბილისში, საქართველოს მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში თავი მოიყარა თბილისის რჩეულმა საზოგადოებამ, ქართველმა მწერლებმა და უკრაინის მწერალთა კავშირის დელეგაციამ. მიკოლა ბაჟანი, დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას ცხოვრების ცნობილმა მკვლევარმა დიმიტრო კოსარიკმა, პოეტმა პლატონ ვორონკომ, ახალგაზრდა პოეტმა იაროსლავ შპორტამ და კრიტიკოსმა, ლიტერატურათმცოდნემ ოლეგ ბაბიშკინმა. საზეიმო საღამო გახსნა გიორგი ლეონიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ ქართველი და უკრაინელი მწერლები.

უკრაინიდან ჩამოსული მწერლები: მიკოლა ბაჟანი, პლატონ ვორონკო, დიმიტრო კოსარიკი, იაროსლავ შპორტა, ოლეგ ბაბუშკინი და თბილისელები სურამში ჩავედით. სურამში, კლუბში გაიხსნა საქართველოს მწერალთა კავშირის საიუბილეო პლენუმი, ხოლო მეორე დღეს, 1 მარტს მიტინგი სწორედ იმ სახლის წინ გაიმართა, სადაც ცხოვრობდა ლესია. ეს მეტად სიმბოლური იყო. ხომ ლამაზია ის ჩვენი სურამი, მარტის იმ დღეს ორმაგად ლამაზი იყო თოვლით დაბურული დაბა. ზამთრის სიჩუმით მოცული, ლურჯად აღმართული თოვლით დახუნძლული ნაძვის ხეების ხეივანში მივდიოდით; წინ მიგვიძღვებოდა იოსებ იმედაშვილი. იგი ნაბადმოხვეული, თეთრწვერა, თავშიშველი მოსე წინასწარმეტყველს ჰგავდა. მაშინ ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი იყო გრიგოლ ფოფხაძე, კაცი განათლებული და გონიერი, მეცნიერებათა კანდიდატი, ქართული მწერლობის მცოდნე და მოყვარული. რაიონში დიდი პატივით მიგვიღეს, მთელი რაიონი ზეიმობდა. პლენუმი გოგლამ გახსნა. სიტყვები, ლექსები, ლესიას თარგმანები, ისევ სიტყვები და ლექსები ქართულად, უკრაინულად. ჩვენს შორის იყო ერთი კაცი, რომელიც პირადად იცნობდა ლესიას და მეგობრობდა მასთან. ეს კაცი იყო ნესტორ ლამბარაშვილი, ჟურნალისტი, რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე. იგი მოგონებით გამოვიდა. მოიგონა კიევში ჩასვლა და ლესიას სახლში დაბინავება, — საქართველოს 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმული სოფლები და ქალაქები. ყოველივე ამით აღტაცებული ლესია, საქართველოში ჩამოსული მეოცნებე პოეტი ქალი.

ყვებოდა დინჯად, დარბაისლურად უკვე 70 წელს მიღწეული კაცი, იგონებდა, იქვე თხზავდა პოეტურ სურათებს, რომანტიკულს, საინტერესოსა და მიმზიდველს. „უკრაინელი რომ არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავიო“, უთქვამს ლესიას.

საინტერსო სიტყვით გამოვიდა დიმიტრო კოსარიკი. იგი ყვებოდა, თუ როგორ აღმოაჩინა დავით გურამიშვილის საფლავი, როგორ მოინახულა თელავი, ქუთაისი, ხონი, სურამი... სადაც ცხოვრობდა და ქმნიდა ლექსებს ლესია, როგორ დაადგინა გურამიშვილის მირგოროდში დამკვიდრებისა, მოღვაწეობისა და გარდაცვალების ფაქტები. ყვებოდა და თან ურთავდა უკრაინულად, ქართულად ძმობის, მეგობრობის ლოზუნგებს.

ეს პლენუმში უკრაინელი და ქართველი ხალხის უჩრდილო და უხინჯო მეგობრობისა და ძმობის ნამდვილი დემონსტრაცია იყო. გოგლამ ამ პლენუმს განსაკუთრებული საზეიმო ხასიათი მისცა. თავად გიორგი იყო ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დიდი ბაირახტარი. ტიციან ტაბიძესთან და პაოლო იაშვილთან ერთად ის წლების განმავლობაში სჭედდა ხალხთა ძმობის ურღვევ ხიდს. მათ უამრავი მეგობრები ჰყავდათ რუსეთსა და უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ტიციანსა და პაოლოს მიერ დამკვიდრებულ ამ ტრადიციას გოგლა პირწმინდად იცავდა და ანვითარებდა, აფართოებდა მეგობართა წრეს.

მახსოვს, მწერალთა კავშირში აგვირჩიეს თუ არა, იმ თვესვე მოვიწვიეთ საკავშირო მწერალთა კავშირის მდივანი ალექსი სურკოვი. მთელი დღე კახეთში გავატარეთ, მეორე დღეს აქტივის კრება მოვიწვიეთ, აქტივზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სურკოვი. შევიმუშავეთ ვრცელი გეგმა ქართული პოეზიის დღეების ჩატარებისა მოსკოვში, გავითვალისწინეთ ქართული პოეზიის ახალი თარგმანების გამოცემა თბილისსა და მოსკოვში. ამას მოჰყვა ნიკოლოზ ტიხონოვის ჩამოსვლა თბილისში და მასთან შეხვედრები. ტიხონოვიც ჩავაბით ახალი თარგმანების საქმეში. უფრო ადრე უკრაინიდან მოვიწვიეთ ბაენი. სწორედ ამას დაემთხვა ლესია უკრაინკას ეს საიუბილეო პლენუმში სურამში.

ასე მიეცა ამ საიუბილეო პლენუმს ასეთი სახალხო, საყო-

ველთაო ზემის ხასიათი და ფართო მასშტაბი. შემთხვევით როდი იყო, რომ უკრაინის მწერალთა დელეგაციამ სწორედ სოკიდან გამოგვიგზავნა ასეთი დეპეშა: „ვეტოვებთ რა მზიური საქართველოს ფარგლებს, გულითად სალამსა და უღრმეს მადლობას ვუთვლით ქართველ მწერლებს, ყველა ჩვენს მეგობარს გულთბილი სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ჩვენ საქართველოში ყოფნის დროს განვიცადეთ. ჩვენ ღრმად ბედნიერი ვართ იმით, რომ საქართველოს ლიტერატურულმა საზოგადოებამ, ინტელიგენციამ და მთელმა ქართველმა ხალხმა ასე დიდად დააფასა ჩვენი ლიტერატურის მშვენიება ლესია უკრაინკა“...

იმ დღეს, ჩემი შვილის დაბადების დღეზე, შინ მოვიპატრე: გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, ირაკლი აბაშიძე, ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ბესო ჟღენტი, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე... თამადად ბატონი შალვა დადიანი აირჩიეს. ბატონი შალვა ჩინებული თამადა იყო, თქვა, ეს ცოტაა, ის ბუნებით და საქმით თეატრალი იყო და მისი ყოველი თამადობა ორიგინალურად დადგმულ სპექტაკლსა გავდა. იმ დღეს კი განსაკუთრებულად მოილხინა. ჩონგურივით ააწყო სუფრა და ქეიფი საზოგადოებრივ ტრიბუნად აქცია. აქ მარტო ღვინოს კი არ სვამდნენ, არამედ ილხენდნენ, პაექრობდნენ, საზოგადო საქმეებზე ბაასობდნენ, მახვილსიტყვაობაში და ორატორობაში ეჭიბრებოდნენ. ახლა სიმღერას არ იკითხავ? ირაკლი აბაშიძემ, აკაკი ხორავამ, ილო მოსაშვილმა, აკაკი ვასაძემ ისე შეუწყვეს ხმები ერთმანეთს, რომ ვერც ერთს ვერ გამოარჩევდი. შუა ქეიფზე ლეო ქიაჩელმა თამადას თხოვა და მეორე ოთახში გამოვიდა და წამოწვა, ცოტას შევისვენებო, ლეოს გერონტი აყვა და ისიც ლეოს გვერდით აღმოჩნდა, ბატონი შალვა კი, საღამოს ექვს საათზე რომ დასხდნენ, ღამის სამ საათამდე მაგიდიდან არ ამდგარა ისე თამადობდა და ილხენდა. არა, შალვა დადიანი ბუნებით და ხასიათით, აღზრდილი და საზოგადო მოღვაწეობით, სიტყვა-პასუხითა და ხავერდოვანი ხმით, უნიკალური მოვლენა იყო, რჩეულთა შორის რჩეული გარეგნობითაც და შინაგანი დიდი კულტურით. იმ საღამოს ხომ დაგვამშვენა, დაგვამშვენა და ყელამდე აღგვავესო სიყვარულთ და ლხენით.



რომ ვთქვათ საქართველოს მწერალთა კავშირი უპირველესი შემოქმედებითი ორგანიზაციააო, ამით სრულად ვერ გამოვხატავთ საქმის ვითარებას, თუ აქვე არ დავუმატებთ: მწერალთა კოორპორაცია, მისი დაარსებიდან დღემდე ყველაზე მნიშვნელოვან წამოწყებათა და კულტურულ საქმიანობათა მეთაური იყო და არის.

ის საზოგადოებრივი პარლამენტია, სადაც ერის ყველაზე მწვავე და სასიცოცხლო საკითხები ისმება, რომლის წამოყენებას ეპოქა და დრო უკარნახებს ქართული სიტყვის ოსტატებს.

მწვავე პოლემიკისა და აზრთა შეხლა-შემოხლის გარეშე შემოქმედებითი ორგანიზაცია — მწერალთა კავშირი დაჰკარგავდა მნიშვნელობას, რამეთუ აზრთა შეჯიბრებაში იბადება ჭეშმარიტება.

სადღეისო საკითხების უპირველესი შტაბია მწერალთა კავშირი. ის მაღალი ეროვნული კათედრაა, საიდანაც გაისმის პირველი ახალი სიტყვა.

ეროვნული და სოციალური ცხოვრების უტყუარი ბარომეტრია მწერლობა. ოქტომბრის რევოლუციის წინა წლებში, როგორც ეროვნული საგანგაშო ზარის რეკვა, ისე გაისმა ნიკოლორთქიფანიძის სიტყვები: „იყიდება საქართველო. მინდორველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერი ენით... ყიდის ყველა: მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული... იყიდება ერთიანად. შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილი: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი. რაჭა და ჭავჭავთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებით, ვისაც რამდენი სურს და როგორ უნდა. ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ. ბანკის საშუალებით და ჩვენი დახმარებით“...

ხოლო, როცა სულიერი კულტურის გაუფასურებაც დაიწყო — „როცა ბაზარზე გირვანქობით იყიდებოდა შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე“... იოსებ გრიშაშვილი აღმფოთებით წერდა: ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა. აი, ქართლის ხმა სად იყიდება. ჭავახიშვილი და ინგოროყვა...

ყოველი მწვავე საზოგადოებრივი და ეროვნული ხასიათის პრობლემა სწორედ მწერლობაში პოულობდა გამონატულე-ბას. ასე იყო წინათ, ასე იყო ჩვენს დროშიაც. შემთხვევითი რო-დია, რომ იოსებ გრიშაშვილი თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის დამაარსებელსა და მეთაურს ივანე ჯავახიშვილს და ქართული მწერლობის ერთ-ერთ დამფუძნებელს პავლე ინ-გოროყვას მიმართავდა. დიახ, ილიასა და აკაკის მიერ ქარ-თველთა სულში ანთებული სანთლები ჩაუქრობლად ღვივოდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ყოველი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ მწერალთა კავ-შირში აღიმალლებდნენ ხოლმე ხმას: გუშინ მწერალთა კავ-შირში კონსტანტინე გამსახურდიას განუცხადებიაო... დღეს გერონტი ქიქოძე გამოვაო სიტყვით... და შემდეგ ხალხით გა-ჰყვილილ დარბაზში აგორებული აზრი მთელ თბილისსა და მთლად საქართველოს მოედებოდა. იყო გაცხარებული კამა-თი და სჯა-ბაასი... დიახ, მოწინავე საზოგადოებრივი აზრის შტაბი იყო და არის სრულიად საქართველოს მწერალთა კავ-შირი. ასე იყო მაშინაც, როცა მწერალთა კავშირს სათავეში გიორგი ლეონიძე ედგა. ქართული ეროვნული კულტურის აღ-მავლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იყო გიორგი ლე-ონიძე. ჩვენ უკვე გავეცანით მისი ინიციატივით და დაუცხრო-მელი ღვაწლით შექმნილი ეროვნული კერის ლიტერატურის მუზეუმის შექმნის ისტორიას. და, აი, ახლა, როცა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს ჩაუდგა სათავეში, უფრო მძლავრად გაშალა ფრთები...

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გიორგი ლეონიძის მთავარი საზრუნავი ამჟამად იყო საგურამოში მისი ინიცია-ტივით დაწყებული ილია ჭავჭავაძის სახლის სახლ-მუზეუმად მომზადება და გახსნა. და აი, დაინიშნა მუზეუმის საზეიმოდ გახსნის დღე — 27 მაისი (1951 წ.). თქვენ მაშინ უნდა გენა-ხათ გიორგი ლეონიძე: რა აფორიაქებული, აღგზნებული, მო-უსვენარი დღეებით ცხოვრობდა იგი. ილიას სახლი 1939 წლი-დან მწერალთა შემოქმედებითი სახლი იყო. აქ ისვენებდნენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები და თავს შესანიშნავად გრძობ-დნენ. აი რას წერდა ამ შემოქმედებით სახლის თაობაზე გა-ლაკტიონ ტაბიძე გიორგი ქუჩიშვილს: „ძვირფასო გიორგი!

აგერ ნახევარი თვე გადის, რაც საგურამოში ვარ... თითქმის მთელ დღეს ვატარებთ ბაღში. აქ ჩვენს განკარგულებაშია გამაკები, საბალო სკამები, წყნარი განმარტოებული ადგილები უზარმაზარი კაკლის ხეების ჩრდილქვეშ. ჩემი ოთახი ვრცელია... გვემსახურებიან ძალიან კარგად. გვაქმევენ დღეში ოთხჯერ. ხალხი აქ საერთოდ ცოტაა. გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, ლეო ქიაჩელი, სოლომონ თავაძე, ვიქტორ გაბესკირია, კოწია ჭიჭინაძე, ქუთათელი, სამი მანდილოსანი, აი, სულ. ყველა გიგონებთ ხშირად. თქვენ როგორ ცხოვრობთ? მოგიკითხე ვასასი. მოგიკითხა ყველამ და მათ შორის ოღვა იურიენამ.

აქ ახლა მთვარიანი ღამეებია.

და აი ჩემი უკანასკნელი ლექსიც... (ხელი შემიშალეს, მეძახიან...) მომწერე გიორგი წერილი. არ დამივიწყო შენი ერთგული მეგობარი გალაკტიონ ტაბიძე“. (1940 წ. 29 ივლისი, საგურამო).

გიორგი ქუჩიშვილისადმი გამოგზავნილი ეს ბარათი მრავალმხრივ საყურადღებოა. იგი დიდი უშუალობითაა დაწერილი. ჩვენ ამ გარემოებას ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ მისი წერილების უმრავლესობა ნიღბებითაა დასასრულებული. ეს ნიღბები ხშირად ისე ღრმად და ორაზროვანი, რომ მისი ქვეტექსტების ამოცნობა ჭირს. პირად საუბარშიაც ბევრჯერ ოსტატურად იმარჯვებდა ამ პოეტურ ნიღბებს. ერთგან აღიარებს: „მაიძულა სახეზე ნიღაბი ამეფარებინაო“. გიორგი ქუჩიშვილისადმი მისი დამოკიდებულება კი საოცრად გულწრფელი და ძმური იყო. ეს უშუალობა მეორე წერილშიც ნათლად გამოსკვივის: „ძვირფასო გიორგი! რომ ადამიანების ბედი ისე გვანებოდეს ერთმანეთს, როგორც შენი და ჩემი, იშვიათია რომ იცოდე. როგორ მინდა შენი ნახვა, შენთან საუბარი, გახსენება ბევრი ისეთი რამის, რაზედაც სხვასთან ვერ ილაპარაკებ: სულერთია ვერ გაიგებს. მე და შენ კი, ჰაი, ჰაი გიორგი, გვესმოდა და გვესმის ერთმანეთის. შენი გალაკტიონი“ (1946 წ. 29 აგვისტო).

ბუნებრივია, გიორგი ლეონიძის განზრახვას საგურამოში შემოქმედებითი სახლის ნაცვლად ილიას სახლ-მუზეუმი გახსნილიყო, ბევრი ეურჩებოდა. მით უმეტეს, რომ ილიას შემოქმედებითი სახლ-მუზეუმი უკვე არსებობდა ყვარელში, სადაც

დაიბადა და აღიზარდა დიდი ილია. ამ ბრძოლაში გიორგი ლეონიძემ ჯიუტად გაიტანა ლელო.

გიორგი ლეონიძემ ილიას სახლ-მუზეუმის გახსნა დიდ ეროვნულ დღესასწაულად გადააქცია. აქ თავი მოეყარა რჩეულ საქართველომ. გიორგის თხოვნით საგანგებოდ მოვიწვიეთ გალაკტიონ ტაბიძე...

გოგლა დიდიდანვე ტრიალებდა დიდი ილიას ეზოში, როგორც დაუცხრომელი მოამაგე და მასპინძელი სახლ-მუზეუმისა.

გალაკტიონი ადრე მოვიდა სახეიმო გახსნაზე. გოგლა შუა ეზოში აღმართულ ტრიბუნის გვერდით იდგა და რაღაც განკარგულებას იძლეოდა, გალაკტიონი დაინახა თუ არა, მისკენ გაემართა, გულლიად შეეგება. ეს ორი მთაკაცი მიესალმნენ ერთმანეთს და მხურვალედ გადაეხვივნენ. მე მგონია, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ასე საჯაროდ გამოუცხადეს ერთმანეთს პატივისცემა. საქმე ის იყო, რომ გიორგი ლეონიძე დიდად აფასებდა და თვლიდა, თანამედროვეთა შორის ყველაზე დიდი პოეტი გალაკტიონი იყო, ეს არა ერთხელ უთქვამს ჩვენთან საუბარში, მაგრამ ყანწელების დროიდან მოკიდებული გალაკტიონ ტაბიძესთან ცისფერყანწელების დამოკიდებულება პოეტური პრესტიჟის საკითხად იქცა. გიორგი ლეონიძე ხომ ამ კორპორაციის ერთ-ერთი თავკაცი იყო. მიუხედავად ამისა, გოგლამ დიდად გაიხარა გალაკტიონის მობრძანებით ილიას სახლ-მუზეუმის საიუბილეო გახსნაზე. გალაკტიონი ზეიმის ნამდვილი მშვენიება იყო. გოგლამ ფოტოგრაფი მოიხმო და პატივისცემისა და ძმობის დასტურად იქვე გადაიღეს ფოტოსურათი. ეს სურათი ლიტერატურული მუზეუმის საგამოფენო დარბაზებს ამშვენებს. ისინი პირისპირ სხედან და კმაყოფილებით სახეგალიმებულნი შეჩერებიან ერთმანეთს, დიდი ილიასა და დიდი აკაკის უპირველესი მემკვიდრენი... ზეიმი დაიწყო, გოგლამ წინ გალაკტიონი წაიმძღვარა და ისე ავიდნენ ტრიბუნაზე. სიტყვები, მოგონებები, ლექსები; მწერლები, მეცნიერები, საგურამოელი გლეხები... ახლა ტრიბუნიდან ძირს ჩამოვიდნენ და სახლ-მუზეუმისაკენ გაემართნენ, შესასვლელ კართან გაბმული ლენტი გაჭრეს და დაიწყო მოზეიმე ხალხის შეუწყვეტელი დენა მუზეუმის დარბაზებში, საქართველოს მამის დიდი ილიას ლანდო წინ მოგვი-

ძლოდა, კედლებიდან შემოგვცქეროდა, გვაფხიზლებდა, გვაქე-  
ზებდა, მოგვიწოდებდა: „მკედრად ის თქმულა, ვისაც აქ სა-  
ხელი არ დარჩენია“-ო. დაფიქრებული ილიას პოეზიის მად-  
ლითა და დიდი მამულიშვილის ღვაწლით ნათელცხებული  
ხალხი ტოვებდა გამოფენის მდიდარ ექსპოზიციას და ისევ  
ეზოში ბრუნდებოდა, სადაც ილიას მიერ დარგული ვარდე-  
ბისა და იასამნების სურნელება იფრქვეოდა ირგვლივ... ზე-  
იმს ბოლო არ უჩანდა... ეზოში, სახლის წინ დიდი ბანკეტი გა-  
იმართა, თამადამ, გიორგი ლეონიძემ ილიას შემდეგ პირვე-  
ლი სადღეგრძელო გალაკტიონ ტაბიძისა შესვა. საოცარი ბა-  
რაქიანი და ხატოვანი სიტყვებით ამკობდა გოგლა პოეტს.  
გალაკტიონი იდგა მკერდზე დაფენილ წვერებზე ხელდადე-  
ბული, სახეგაბადრული და კმაყოფილი, სადღაც შორს, ყაზ-  
ბეგის მთებს გასცქეროდა...

გალაკტიონ ტაბიძე იუბილეებისა და საღამოების (პერ-  
სონალური) დიდი ტრფიალი იყო. საქართველოში, ალბათ,  
არც ერთი მწერლის საღამოები და იუბილეები არ გამართუ-  
ლა იმდენჯერ, რამდენჯერაც გალაკტიონისა. ამ მხრივ შალვა  
დადიანი თუ გაუტოლდებოდა გალაკტიონს.

1921 წელს ოპერის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბი-  
ძის შემოქმედებითი საღამო. 1923 წელს რუსთაველის თეატ-  
რში ეწყობა გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის  
15 წლის იუბილე. 1927 წელს კი ქართულ კლუბში გაიმართა  
გალაკტიონის საღამო. 1933 წლის 26 ივნისს გაზ. „კომუნის-  
ტში“ გამოქვეყნდა საქართველოს ცაკის დადგენილება გა-  
ლაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25-ე წლისთავის  
აღსანიშნავად, მისთვის სახალხო პოეტის წოდების მინიჭების  
შესახებ, 29 ივნისს მწერალთა სასახლეში, ხოლო 5 ივლისს კი  
ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პოეტის გრანდიო-  
ზული საიუბილეო საღამოები, ქართველ მწერლებს შორის  
პირველად იგი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. 1935 წელს  
ივნისში გალაკტიონი პარიზში გამართულ კულტურის დაცვის  
მწერალთა პირველი მსოფლიო ანტიფაშისტური კონგრესის  
მონაწილეა, სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მწე-  
რალთა კავშირში ანგარიშით გამოდის ამ კონგრესის მუშაო-  
ბის შესახებ. იმავე 1935 წელს გალაკტიონ ტაბიძე არჩეულ



იქნა საქართველოს ცაკის წევრად, 1944 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1958 წელს გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მემორიალის 50 წლისთავის აღსანიშნავი დიდი ლიტერატურული საღამო, ხოლო უფრო ადრე გალაკტიონ ტაბიძის დაბადების გრანდიოზული საიუბილეო საღამოთი აღინიშნა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში... ლიტერატურულ საღამოებს ხომ სათვალავი არ ჰქონდა. პერსონალურ ლიტერატურულ საღამოებს მეტწილად თვითონ აწყობდა გალაკტიონი. სწორედ ამგვარ საღამოებს მოჰყვა ერთი გახმაურებული უსიამოვნება: გალაკტიონმა დააბეჭდვინა და მთელს ქალაქში გააკრეს აფიშები, რომელიც იუწყებოდა, რომ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართებოდა გალაკტიონის 10 ლიტერატურული საღამო-დეკადა. ეს გაიგეს თუ არა საქართველოს მწერალთა კავშირში, განგაში ატეხეს. ცენტრალურმა კომიტეტმა საკითხის გადაწყვეტა თვით მწერალთა პრეზიდიუმს მიანდო. შეიკრიბა პრეზიდიუმი, აქვე იყო თვით გალაკტიონ ტაბიძე. საყვედურობდნენ მწერლები, პრეზიდიუმის დაუკითხავად ეს აფიშები არ უნდა გაკრულიყო ქალაქში, განსაკუთრებით პოეტები ცხარობდნენ. მე, როგორც მახსოვს, სიტყვა ასე დავიწყე: — ბატონო გალაკტიონ! თქვენ ხომ სახელი და დიდება არ გაკლიათ, თქვენ საქართველოს პირველი პოეტი ხართ, მაგრამ....

გალაკტიონი უცებ ადგა, მოვიდა, ხელი ჩამომართვა;  
— ხომ ვარ ძამიკო კარგი პოეტი.

ჰო-მეთქი დავუდასტურე.

— აბა ამას არავითარი „მაგრამ“ არ ჭირდება.

ადგა და ოთახიდან გავიდა. ყველანი სახტად დავრჩით. სხდომა ჩაიშალა. საღამოები მოიხსნა. გალაკტიონი დიდად გულნატკენი დარჩა. ამგვარი გულისტკივილი ბევრჯერ მიუყენებიათ პოეტისათვის...

გიორგი ლეონიძე ერთი წლით შემოქმედებით მივლინებაში წავიდა და თავმჯდომარის მოვალეობას დროებით მე ვასრულებდი. ეს იყო 1952 წლის ივნისში. მწერალთა კავშირში მაშინდელმა „მნათობის“ რედაქტორმა ირაკლი აბაშიძემ თათბირი მოგვაწვევია, მზადდებოდა გოგოლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ნომერი. თათბირს ქართული მწერლობის აქტივი

ესწრებოდა. თათბირის დაწყებისას დარბაზში გალაკტიონი შემოვიდა. რედაქტორმა საიუბილეო ნომრის შინაარსი წაიკითხა. თითქმის მთელი ნომერი გოგოლს ეძღვნებოდა. გალაკტიონი ერთბაშად გაჯავრდა და იყვირა: რას გავს ეს, აბა რას გავს ეს? დაგიჩემებიათ გოგოლი, გოგოლი,... ის კი, ის არსად ნახსენები არ არის.

ვინ ისო, კითხვით მიმართა რედაქტორმა.

— აბა უყურე შენ ამას, არც კი იცის ვინ! — საქმე ის იყო, რომ იმ დღეებში გალაკტიონ ტაბიძის 60 წელი სრულდებოდა. ამ ნომრის გეგმაში კი არსად იყო ნახსენები ეს იუბილე და, წერილი გალაკტიონზე, ამიტომ იყო ახლა ასე რომ გაცეცხლდა. მას კალაძემ აუბა მხარი და აირია დარბაზი. ისეთი უსიამოვნება შეიქმნა, რომ იძულებულნი ვიყავით თათბირი დაგვეხურა. თათბირიდან ორი საათიც არ იყო გასული, მე და ირაკლი აბაშიძე ცენტრალურ კომიტეტში რომ გამოგვიძახეს. შევედით თუ არა ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანთან, აღშფოთებით მოგვმართა: ეს რა ლაყბობა გავიმართავთ მწერალთა კავშირში, ნაციონალისტური ლაყბობაო. თქვენ კი ზიხართ მანდ და ხმას ვერ იღებთ. — აღელვებისაგან თავს ვერ იკავებდა და თავად დაწვრილებით ყვებოდა, რაც კი ითქვა იმ თათბირზე, თან გვეკითხებოდა: ასე იყო, არა?? არავითარ ნაციონალისტურ გამოსვლებს იქ ადგილი არ ჰქონია—მეთქი რომ განვაცხადეთ, ამაზე მთლად გადაირია, ახლაც კი ვერ ხვდებით, რაც იქ მოხდაო და ბრძანა: ხვალ დღის თორმეტ საათზე აქ მოხვალთ თქვენ, და მოიყვანთ გალაკტიონ ტაბიძესა და კარლო კალაძეს... მეორე დღეს ოთხივენი გამოვცხადდით, თან ჩვენს გარეშე თათბირის მონაწილე სხვა მწერლებიც გამოვიძახებიათ შერჩევით. ერთად დაგვიძახეს ირაკლი, მე, კარლო და გალაკტიონი. იმავე გუშინდელი ტონით დაგვიწყო, თან პირდაპირ მიმართა გალაკტიონს: თქვენ ხომ იცით, ამისთანა ლაყბობისათვის როგორ გავუშმასპინძლდით თქვენზე არანაკლებ მწერლებს?.. გალაკტიონმა თავი ვერ შეიკავა და შეესიტყვა, არაფერი ამის მსგავსი ჩვენ იქ არ გვითქვამსო, ახლა სხვები გამოიძახა — იგივე გაუმეორეს. საოცარი ერთსულოვნება გამოიჩინეს მწერლებმა ამ ნაციონალისტური ბრალდების წინააღმდეგ. ეს იყო გაბედული მოგერიება შემოტევისა. იმავე საღამოს ისე უგონოდ დამთვრალი-

ყო გალაკტიონი, რომ შინ მიმავალი სტალინის ხიდთან მტკვარში გადავარდნილი ძლივს გადაერჩინათ დახრჩობისაგან. შეგვატყობინეს თუ არა, მაშინვე ზომები მივიღეთ, საავადმყოფოში წავიყვანეთ. ერთი კვირის შემდეგ მწერალთა კავშირში მოვიდა. მოვეფერე: ვუთხარი, რომ ის პოეტების მეფეა და უპირველესი პოეტი საქართველოსი...

ასეა ხომ ძამიკო, კარგია, რომ ხალხმა იცის ნაღდი პოეზიის ფასი, მაგრამ ზოგს რომ არ ესმის ეს??... სახე მოელრუბლა, ცუდ გუნებაზე დადგა, ანერვიულდა.

— რატომ გალაკტიონ ბატონო? მწერლები ხომ ერთპირად ამოგვიდგნენ გვერდში — იმ უსიამოვნო დღეს.

გახალისდა, პო, მართლაც ასე იყო. წარმოიდგინეთ, რომ მწერლები გვერდში ამომიდგნენ. ასე რომ იყოს ყოველთვის... და ისევ მოიწყინა. „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“ — წერდა იგი და, ამის საჯარო აღიარებას მოითხოვდა უპირველესად ყოვლისა პოეტებისაგან. სავსებით დამსახურებულ პირველობას მოითხოვდა. მის გვერდით მოქმედი ცოცხალი პოეტები ამ პირველობას არ ცნობდნენ. 1920 წელს გალაკტიონი მწერლების ერთმა ჯგუფმა (ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი და სხვ.) „პოეტების მეფედ“ გამოაცხადა. მაშინაც დიდი განგაში ატეხეს პოეტებმა და სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი იძულებული იყო განცხადებით გამოსულიყო ამის საწინააღმდეგოდ პრესაში. ეს პოეტური ცილობა და კონფლიქტები პოეტის მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდა.

მთელი საქართველო ცნობდა გალაკტიონს უპირველეს პოეტად. საბჭოთა მთავრობამაც საქართველოს სახალხო პოეტის სახელი მხოლოდ მას მიანიჭა 1933 წელს. ქართველი პოეტების ერთი ჯგუფი ამ საჯარო აღიარებას არ ურიგდებოდა. გალაკტიონი ამ ნიდაგზე ნერვიულობდა, წუხდა, ბრაზობდა. მერე გაბრაზებული ხშირად რესტორანს მიადგებოდა და გამოთვრებოდა. ღვინისაგან ძალამიცემული იდგა ხალხში და დასცინოდა, ირონიულად იხსენიებდა მავანთ და მავანთ. შინ მისული მეტწილად დღიურებს ანდობდა პირში სათქმელს, ამას ადასტურებენ მისი არქივის უამრავი ჩანაწერები.

გალაკტიონი უზომოდ ამაყი იყო, ამაყი და გულდახურუ-

ლი. საიდუმლოს იშვიათად თუ ვინმეს უმხელდა, სათქმელის საჯაროდ გამოტანას ერიდებოდა. გარეგნულად მოკრძალებული და თავდაპირილი გვეჩვენებოდა, შინაგანად კი ბორგავდა და სულს უწეწავდა ეს გაუმხელელი სიამაყე. ამ მხრივ სრული ანტიპოდი იყო გიორგი ლეონიძე. გოგლა ბობოქრობდა, შფოთავდა, იგი საჯაროდ, მზისით, დღისით მოითხოვდა ყურადღებას, კუთვნილ პატივსა და დიდებას. ოდნავი უპატივცემლობას არავის აპატიებდა. გულდახურული და შინ ჩაკეტილი არასოდეს ყოფილა. ფარული დარდი გულს არ უღრღნიდა მის ვეება არსებას. ხელგაშლილი და გულგახსნილი, საპასუხოდ ასეთივე გულითადობას მოითხოვდა. კარგად იცოდა თავის ფასი და თავს არავის დააჩაგვრინებდა. მუდამ ხალხში ტრიალებდა, მარტოობა ჭირისდღესავით ძულდა. ის დღე დღედ არ მიაჩნდა, თუ სადმე პურს არ გატეხდა. ამ მხრივ განურჩევლად მეგობრობდა დიდთან თუ პატარასთან. მას მუდამ გარს ეხვია უამრავი ნაცნობი და უცნობი, რას არ სთხოვდნენ, რაზე არ შეაწუხებდნენ, ის გულდინჯად ყველას უსმენდა. მერე წერილებს უწერდა, რეკომენდაციას აძლევდა, ტელეფონით მიმართავდა ადრესატებს. მუდამ მზად იყო დახმარება აღმოეჩინა და ხელი გაეწვდინა დიდისა თუ პატარისათვის...

ფიზიკურად, ორივენი — გოგლაც და გალაკტიონიც — გამორჩეული გარეგნობისანი იყვნენ. ასევე გამორჩეული პოეტები, — გატაცებულნი პოეტური ძიებითა და აღმოჩენებით, მაგრამ განსხვავებული ხმებისა და ინტონაციის. თუმცა თემებით, მოტივებით, განწყობილებით, ლექსის ამალგებით, ორივე ქართული ბუნებისა, ოღონდ გალაკტიონისა უფრო მოდერნიზებული, მაგრამ ასევე უაღრესად ქართული სულით. მართალი იყო, როცა ამბობდა: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული, ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის“.

გალაკტიონ ტაბიძემ სხვა მდინარება მისცა ქართულ ლექსს, და უცნაური ბილიკებით ერთბაშად აამალა ახალი აღმოჩენებით ქართული პოეტური ხელოვნება. გაათავისუფლა ქართული ლექსი ტრადიციული მაღალფარდოვანებისაგან და ენობრივი ნატურალიზმისაგან. ახალი ფერებით, ახალი სინატიფით, ახალი ტონებით, უჩვეულო პოეზიით ადავსო ჩვენი სული, შემოიყვანა უცხოელი ავტორები და მათი გმირები,

სტრიქონთა შორის ჩააქსოვა თავისი სათქმელი, ქართველი კაცის ხასიათს და ბუნებას შეუფარდა და ასე გააფართოვა ქართული ლექსის არე და ასპარეზი. გალაკტიონმა სიმბოლისტების უზომო ფეტიშიზმი ფორმისადმი გაიზიარა, მაგრამ ეროვნული სარჩული მოუძებნა და თავისებურად გამოიყენა მოდერნისტების თეორია და პრაქტიკა. გალაკტიონის სიმბოლიზმი ქართული სიმბოლიზმია, ეროვნული სულით ნათფერი.

გალაკტიონ ტაბიძე და სიმბოლიზმი!

გალაკტიონთან რამდენჯერმე მქონია პირადად საუბარი ამ თემაზე. როდესაც მე ვეუბნებოდი, რომ ის რევოლუციის პროეტია, რევოლუციის ტრიბუნი, ის გაღიმებული სახით მიდასტურებდა: „ჰო, მე 1905 წლისა და 1917 წლის რევოლუციებს პოეტი ვარ, მე გულით ვუმდერ ამ რევოლუციებს, იმიტომ, რომ თვით ჩემს სულში იყო რევოლუცია, იგი სხვებივით „გარედან არ მიმიღია დებეშით“. იგი სიამაყით ამბობდა: „მე მიწდა ვუთხრა მიეთმოეთებს: მე ქარში ვიყავ, როცა პოეტებს თქვენთვის საყვარელ ბულბულ-მდელოში ტკბილად გეძინათ საქართველოში“. პეტერბურგისა და მოსკოვის ბარიკადებზე დავუძმობილდი მე რევოლუციის ქარიშხალს. 1916 წლიდან, ჩემს მეუღლესთან, ოლია ოკუჯავასთან ერთად აქ ვტრიალებდით რევოლუციონერთა წრეში. მე თვით ვეზიარე იმ რომანტიკას, რომელმაც ახალი ალით გაანათა პეტერბურგის ცა. „ამ უცხო ნისლის ბარიკადები მე მიყვარს, როგორც ჩემი წარსული“. რევოლუციის გამარჯვების რწმენა ამ ცაზე იყო ჩამოკიდებული. ჩემთვის, ჩემი მეგობრების, ქართველი რევოლუციონერების: ოლღასა და მიშა ოკუჯავების, თენგიზ ჟღენტის, აბელ ვნუჭიძისა და სხვათა რევოლუციის პეტერბურგი... აქ მივიღე მე რევოლუციური ნათლობა და მთელი არსებით მივესალმე და ვუმდერე რევოლუციას... საერთოდ, ოკუჯავების რევოლუციონერთა ოჯახს 1912 წლიდან დავუახლოვდი. მიშა ოკუჯავა საქართველოს გენცეკა იყო, როცა მას პირველი ცოლი ხალვაში გარდაეცვალა, ისიც რევოლუციონერი ქალი იყო, სიკვდილის წინ თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე. ამ ქალის გარდაცვალებას მე ლექსი ვუძღვენი და ის ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“. მერე ეს ლექსი, როცა ოკუჯავების ოჯახს ტაბუ დაედო, მე არ მოვიერიდე და ჩემს თხზულებათა კრებულებში ყოველთვის შემ-

ქონდა სახელწოდებით — რევოლუციონერ ქალს, ხანაც უბრალოდ, რევოლუციონერის ხსოვნას...

ეს საუბარი 1955 წელს შედგა, როცა უკვე დაიწყო რეაბილიტაცია უსამართლოდ დაღუპული ძველი რევოლუციონერებისა. გალაკტიონი აღზნებით, აღღვებით იგონებდა მათ სახელებს: დიახ, მე რევოლუციის ცეცხლში და ქარტეხილებში გამოწრთობილი პოეტი და მოქალაქე ვარ, სხვანაირად არ დაიწერებოდა „პირველი მაისი“, „გურიის მთებს“, „დროშები ჩქარა“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „გემი დალანდი“, სადაც მე პირველად ვახსენე ლენინი მთელს საბჭოთა პოეზიაში. ლენინი, როგორც კაცობრიობის იმედი და ხალხის რწმენა. არც „ჯონ რიდი“ და „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, არც „ასი ლექსი“ და „ეპოქა“ დაიწერებოდა ჩემი სულის საფენელი ჭერ არნახული და არ გაგონილი რევოლუციები არ ყოფილიყო... რომ არ გამომეგლო ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა.

ეს თქვა და გაბადრული სახით შემომხედა. მისი მონათხრობით აღფრთოვანებულმა მისავე ლექსით მივმართე:

რა საოცარი დასრულდა წლები?  
მეფეთა წყება გაქრა, ვით ლანდი,  
მოშორდნენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს,  
ნიკოლოზი და ფერდინანდი.  
მაგრამ მწუხარედ მათზე კი არა,  
სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:  
იმ შრისხანე წელს პოეტი-მეფე —  
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი,  
პანგების მეფე-დიდი სენ-სანსი  
და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...  
ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,  
მხოლოდ მე ერთი გადაერჩი მგზავრი  
რომ გამომეგლო ჭერ არსმენილი  
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა  
და მოშეტანა საქართველოში  
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

გალაკტიონი ადგა, რაღაცნაირად შეაქანა ტანი, ხელი ჩამომართვა და ისევ დაჯდა. ღელავდა, ბორგავდა... მე ამით ვისარგებლე და სიტყვა ჩავუერთე: — დიახ, ბატონო გალაკტიონ, — თქვენ რომ რევოლუციის პოეტი ხართ, ამის უარყოფა

ვის შეუძლია, ვინც თქვენს ბრწყინვალე პოეტურ გზას იცნობს, მაგრამ, აბა ყურადღება მივაქციოთ ამ დიდებულ ლექსს, ახლა რომ მე წავიკითხე, აქ ხომ ასეთი სტრიქონებია: „პოეტების მეფე ალექსანდრ ბლოკი — ჰოდა ბლოკი ხომ რუსული სიმბოლიზმის მთავარი მებაჭრეა? მაგრამ სიმბოლისტობამ ხელი არ შეუშალა, ის რომ რევოლუციის პოეტი ყოფილიყო. ჩემის აზრით, თქვენ ქართულ პოეზიაში ისეთივე როლი შეასრულეთ, რაც ალექსანდრ ბლოკმა რუსულ პოეზიაში.

გალაკტიონი ერთბაშად გახალისდა. მკერდზე დაფენილ წვერს დაუწყაო წვალება, მერე ერთბაშადვე მოჭრა, დიან, ბლოკი დიდებული პოეტია, ჰანგების მეფე.

მე გავაგრძელე, — თქვენც ბატონო გალაკტიონ, პოეტების მეფე ბრძანდებით, მაგრამ ისე, როგორც ბლოკი, ქართული სიმბოლიზმის მთესველი.

ადგა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, არც სიმბოლიზმია საგინებელი სიტყვა; თუმცა ჩემი ბლოკთან შედარება მარჩიელობაა.

ეს თქვა და გავიდა.

გალაკტიონი რევოლუციური საქართველოს პოეტად თვლიდა თავს. ამით დიდად მოჰქონდა თავი. ეს ნათლად ჩანს არა მარტო მის ლექსებში, არამედ წერილებსა და ჩანაწერებში, რომლებიც მისმა პირადმა არქივმა შემოგვინახეს. ამავე ჩანაწერებში აშკარად ჩანს მისი პოზიტიური დამოკიდებულება სიმბოლიზმის ფორმალურ, მხატვრულ მონაპოვართან, მაგრამ ყველაფერი ეს დროთა კავშირშია წარმოდგენილი.

აქ თემას ცოტა გადაუხვებით და საკითხი ასე დავაყენოთ: იყო თუ არა საზოგადოდ ქართულ მწერლობაში სიმბოლიზმი? ჩვენი გადაჭრილი პასუხი იყო და არის — ქართული სიმბოლიზმი ისეთივე რეალობაა, როგორც ქართული რომანტიზმი, ქართული რეალიზმი. უფრო მეტი, ქართული მწერლობა ყველა მიმართულებას ეზიარა და საკუთარ ეროვნულ ნიადაგზე გადახარშა რაც კი მსოფლიო მწერლობაშია ცნობილი: ეს იქნება კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურისმი თუ სხვანი და სხვანაირი.

იყო თუ არა ნიადაგი სიმბოლიზმისათვის ქართულ მწერლობაში? დიან, იყო. პირველი გახლდათ პოეტური კულტუ-

რის დაქვეითება: ილიას, აკაკისა და ვაჟას შემდეგ მოძალებულ-  
ლი ენობრივი ნატურალიზმი და პრიმიტივიზმი (ცნობილია,  
რომ ყველა ქვეყანაში სიმბოლიზმი იყო რეაქცია ნატურა-  
ლიზმის წინააღმდეგ), მეორე — მსოფლიო კულტურის ორბი-  
ტაში მოქცეულ ქართულ მწერლობაზე ევროპული მოდერ-  
ნისტული სკოლების და კულტურის გავლენა. ამის თაობაზე  
სამართლიანად წერდა ტიციან ტაბიძე: „სიმბოლიზმი ჩვენში  
რომ უცხოეთიდან მოდის, ამაში არაფერი საფრთხე არ არის.  
ჩვენ ვიცით, რომ ისტორიულ დროში საქართველო იმყოფე-  
ბოდა ბევრ სხვადასხვა კულტურის გავლენის ქვეშ. ბევრი  
გადმოუღია იმას ბერძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურის,  
ბევრი იმათთვისაც გაუტანებია. ამას არაფერი დაუშლია რუს-  
თაველისათვის შეექმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიაც უაღ-  
რესად არის გამოჩენილი ქართული სული, უკანასკნელ დროს  
ჩვენში დამკვიდრდა ერთგვარი ცვლა ლიტერატურულ სკო-  
ლათა, იმ გეგმით, როგორც ევროპაში.

აქ იღებები სამუდამო ცვლაშია. როცა ხალხი იღებს სხვია-  
გან რამეს, იმას თავის ბრძმედში ატარებს. ნაციონალური  
აპერცეპციის ძალით ერთი ითვისებს მას, რაც მის ეროვნულ  
თავისებურებებს ეგუება, რაც იმასთან ახლობელი კავშირი  
აქვს. სიმბოლიზმს ამ შემთხვევაში ბევრი შეუძლია მოუტანოს  
ქართველ ერს“ („ცისფერი ყანწები“, 6.I, 1916).

მთელი ოციანი წლების განმავლობაში (1908 წლიდან,  
ჟურნალ „ფასკუნჯიდან“ დაწყებული და დამთავრებული  
1928 წლით, სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრი-  
ლობით დამთავრებული) სიმბოლიზმი ვრცელდება, ვითარ-  
დება და ყალიბდება, როგორც ქართული სიმბოლიზმი, ამის  
უტყუარი დასტურია: ცისფერყანწელების ჟურნალ-გაზეთე-  
ბი: „ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნიამორები“, „მშვილდო-  
სანი“, „ბახტიონი“, „ბარიკადი“, „რუბიკონი“, „ლაშარი“,  
წიგნები: გ. ტაბიძის „არტისტული ყვავილები“, ვ. გაფრინდა-  
შვილის „დაისები“, კ. ნადირაძის „ბალდახინი“, ს. ცირეკი-  
ძის „მთვარეული“, „ახალი პოეზიის ანთოლოგია“, „სტეფანე  
მალარმე“, ცისფერყანწელების მიერ ერთ წიგნად თარგმნილი  
და გამოცემული და სხვ.

ქართველ სიმბოლისტებზე უთუოდ ჰქონდა დიდი გავლენა  
ევროპელ და რუს სიმბოლისტებს, მაგრამ მათ ეს გავლენა



ქართულ ეროვნული მწერლობის ძველთაძველ ტრადიციებს შეაფარდეს და შეუხამეს: აკი აცხადებდა ტ. ტაბიძე „ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავილებს“, გ. ლეონიძე: „არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებულს თეიმურაზი და ჭავჭავაძე მადგამენ გვირგვინს“, ხოლო ქართველი სიმბოლისტები პ. იაშვილის პირით აცხადებდა ყანწულების მანიფესტში: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზიო, ადიდეთ ხალხო ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც ჯამბაზობდნენ ჩვენი ლოთი ძმები ბოდღერი, ვერლენი და მალარმე — სიტყვების მესაიდუმლე, და არტურ რემბო, დაწყევლილი ჭაბუკი“; მაშასადამე საქართველოს შემდეგ არის უწმინდესი ქვეყანა, სიმბოლისტების ქალაქი პარიზი. აქედან ცხადია, რამდენად ეროვნული და ქართული იყო ქართველი სიმბოლისტების ლექსებიც, წერილები და მთელი მათი მოღვაწეობა. ისინი ნაღდი ქართველი პატრიოტები იყვნენ. თვით გალაკტიონიც დიდ სიმბოლისტების პოეზიას უმაღლეს შეფასებას აძლევდა. „საერთოდ ეს წიგნი — ლაპარაკია გ. ტაბიძის მიერ დაწერილი, კონსტანტინე ჭიჭინაძის „რჩეული ლექსების“ რეცენზიაში — არის სიახლე, მაგრამ არ არის მოულოდნელობა, ნიუანსები, რასაც ასე მოითხოვდა ვერლენი („მუსიკა უპირველესად ყოვლისა“);

აქ ვერლენი პოეზიის მეტრადაა გამოცხადებული. ბევრ შემთხვევაში გალაკტიონი: ვერლენს, ბოდღერს, არტურ რემბოს, ედგარ პოს, ბალმონტს, ბლოკს,... იგონებს, როგორც სულიერ მამებს; „ხშირად ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას, დაღვრის შეშლილი ცრემლებს მოგონებათა გამას“, „დაე, მფრინავი ლანდი მიაქანებდეს ფოთლებს, იყოს საღამო ზანტი, მე კი გადავშლი ბოდღერს“... „ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი, როცა საუბარი ედგარ პოეზია“!..

გალაკტიონ ტაბიძე 1908 წლით ათარიღებდა (ამ წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი) ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის დაწყებას საქართველოში — „რა თქმა უნდა, ჩვენს წინანდელს მგოსნებს ბევრი გზა დარჩათ გასავლელი — წერდა იგი, — მაგრამ ეს კიდევ მომავლის საქმე იყო. თანამედროვე პოეზიას აუცილებლად დიდი კავშირი აქვს ძველ საქართველოსთან. ახალმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ, რომელიც 1908 წლიდან დაიწყო, შეეცადა წარსულში შეუსრუ-

ლებელი იდეების გატარებას, შემოიტანა რა თანამედროვე პოეზიაში ახალი სტილი: სტილი უფრო ღრმა, რთული, ხელოვნური ნიუანსებით და ძიებით სავსე, განშორებული წინანდელ ჩვეულებრივ ენას. ყველა პალიტრების ფერებით, ყველა ტექნიკური ლექსიკონების სიტყვებით, ყველა კლავიატურების ნოტებით. იდეები ამ უკანასკნელთა მიერ გადმოცემულნი არიან გამოუცნობელი და ძლივს შესამჩნევი, ძლივს დასაჭერი ანარეკლით. ფორმა კი გადმოცემულია ნისლიდან და დაბურული სახეებით. სტილი სავსეა ნევროზით, მოუშორებელი იდეების ჰალუცინაციებით, რომელნიც პირდაპირ შეშლამდე, შერყევამდე მიდის. ეს სტილი დეკადანსისა — უკანასკნელი სიტყვაა ჩვენში ენის, რომელმაც უნდა გამოთქვას ყველაფერი და, რა თქმა უნდა, ადვილი არაა ყველაფერი ეს, რადგანაც იგი აძლევს გამოთქმას ახალ იდეებს, ახალ ფორმებს, ახალს, კიდევ ჯერ, არმოსმენილ სიტყვებს. ეს პირდაპირი წინააღმდეგობაა კლასიკური სტილის. ახალ სტილში არის ბუნდოვნება და ამ ნისლში ძლივს გასარჩევად ირვეიან ცრუმორწმუნეობის სანთლები, უძილო ღამეების საშიშარი აჩრდილები, საშინელი ღამეები, სულიერი ქეჭნა, რომელიც იღვიძებს სულ მცირეოდენ ხმაურობაზე, საოცარი ოცნებები, რომელიც გაუკვირდებოდა დღის სიცხადეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც კი მოწყენილს, გამოუსახველს და გაუგებრად საშინელს ინახავს სული თავის უძირო და შეუცნობელ ხვეულებში.

რითმების სიმდიდრეს, ცეზურების მოძრაობას, საკუთარი სახელების და ტექნიკური ტერმინების შემოღებას, ძლიერ და ხმოვან რიტმს აქვს თავისი საკუთარი არქიტექტურა, ყავს თავისი მასწავლებლები, თავისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელების სიმარჯვე და საკუთარი ბეჭედი. შემდეგი სიტყვები: თანამედროვე მგოსნისათვის სიტყვას მისი აზრის მიუხედავად აქვს თავისი საკუთარი სილამაზე და ფასი, როგორც ძვირფას ქვებს, ყელსახვევ მარგალიტებს, ან ბეჭდებს... ვინც იცის ფასი, იგი აღტაცებულია მშვენიერი სიტყვებით. არის სიტყვები — აღმასები, იაგუნდები, ლალები, არიან სიტყვები, რომლებიც ზრწყინავენ ფოსფორით, აი ამათგან — დღევანდელი სტილი, რომლის შედარებაც კი არ შეიძლება წარსულის დიდებულ და პატივსაცემ სტილთან“ (ტ. 12, გვ. 70—71).

ამას წერდა გალაკტიონი 1919 წელს, როდესაც მისი მეორე წიგნი გამოვიდა, ვინც გონების თვალთ დააკვირდება ამ სიტყვებს, იგი ადვილად მიხვდება, რომ ეს თვით გალაკტიონის დახასიათებაა, მის „არტიტული ყვავილების“ დახასიათება. ახალი მიმართულების — მოდერნიზმის დახასიათება, რომლის მეთაურად თავი მოქონდა ამ წლებში.

გალაკტიონის შეხედულება უთუოდ ევოლუციას განიცდიდა დროის მიხედვით. 1921 წელს აცხადებდა: „ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში“. ამ შეხედულების განვითარება — „ჩვენ გვინდა მდიდარი, ბრწყინვალე, გრანდიოზული, დიდებული ლიტერატურა, რომელიც დაეხმარება სოციალისტურ მშენებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ყოფის განმტკიცებას“ — წერდა 1930 წელს (ტ. 12, გვ. 56). 1947 წელს კი უფრო კატეგორიულად წერდა: „მე აღრევე მსურვალე მიმდევარი ვიყავი რევოლუციური იდეების (გაიხსენეთ 1905-1907 წწ.) ლექსები: „პირველი მაისი“, შემდეგ, თბილისის სემინარიის პერიოდი, ჟურნალი „ახალი კვალი“ და სხვა). ჩემს შეგნებაში კი 1917 წელი იყო, ერთი საფეხურიდან, მეორე, უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა. მე ვიგრძენი, რომ ლექსი „დროშები ჩქარა“ სარგებლობდა მასის მსურვალე გამოხმაურებით, იმის გამო, რომ იგი გამოსახავდა ხალხის მისწრაფებას, ხალხის მოთხოვნილებას, ეს იყო მიხვედრა მასის მაშინდელი სულიერი განწყობილების და ერთხელ კიდევ ნათელი გაგება, რომ პოეზია, რა საგანსაც არ უნდა ეხებოდეს იგი, არასდროს არ არის პოეზია, თუ მას თან არ ახლავს გულწრფელი უმაღლესი პათოსი, თუ იგი არ ემსახურება სახალხო ინტერესებს: ხელოვნება, რა თქმა უნდა, უპირველესად უნდა იყოს ხელოვნება, მაგრამ არა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ სფეროში: იგი უნდა იყოს ეროვნული იდეა — და ამ დროს, როგორც რევოლუცია, იგი უნდა იყოს მოწოდება“. (ტ. 12, გვ. 191). რასაკვირველია ადრინდელი შეხედულებისაგან განსხვავებით ეს უფრო ჩვენი ეპოქის სულის გამოხატულებაა, ისევე, როგორც მისი ადრინდელი ლექსები ანარეკლია წინა ეპოქისა.

სიმბოლისტები რევოლუციონერებად თვლიდნენ თავს პოეზიაში, და პოლიტიკური რევოლუციებისადმი პოზიტიური

დამოკიდებულება ჰქონდათ. რევოლუციური ლექსები არ ჰქონდა განა ბლოკს 1917 წლამდე? პარიზის კომუნას არ მისალმნენ ფრანგი სიმბოლისტები?..

გალაკტიონ ტაბიძემ არა მარტო განავითარა და წინ წაწია ქართული ეროვნული მწერლობის ტრადიციები: მოტივებით, თემებით, ეროვნული ტკივილებით, არამედ ახალი დიდება მოუპოვა ამ თემებს, ამ განწყობილებებს და რაც მთავარია, სრულიად ახლებურად ააქლერა ეს ნაცნობი და უცნობი მოტივები. ახალი სიმაღლე მიაწია ქართულ ლექსს, მისი ღრვის ევროპულ მოდელებსა და საერთაშორისო სტანდარტების რიგში ჩააყენა ქართული ლექსი.

გ. ტაბიძის ლექსებში სევდაც სიხარულივით სულს გვკვლავს. აქ ღროთა და განწყობილებათა კავშირის ერთობაა. ადამიანების სევდაც და სიხარულიც მან ტყუბი ძმებივით დააწყვილა და ჩვენს სულში ერთგვარი ჰარმონიით შემოდის. რითმულ და რიტმულ ნიუანსებზე და ასონანსებზე აგებული ეს ლექსები გვაოცებდნენ პოეტური ჯადოსნობით: „ჩვენ ვეძებდით, რაიმე ღრმას, გვსურდა რაიმე ქართული, რითმა-ნიუანსები, რიტმული ლანდები“. უნდა დაეთანხმოთ პოეტის ამ განცხადებას. ამის შემდეგ თვით გალაკტიონს დავუვადოთ ყური: „რომ მეფე ვარ და პოეტი“ — მქონდა ასეთი ფრასა „მთაწმინდის მთვარეში“ — წერდა გალაკტიონი — ეს ლექსი („მთაწმინდის მთვარე“), მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პოპულარულია, საკმარისად შესწავლილი არ არის, როგორც ერთ-ერთი გასაღებთაგანი ჩემის შემოქმედებისა. ამ ლექსში უსათუოდ ჩანს პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებას უკავშირებს მე-19 საუკუნის პოეზიის კორიფეების შემოქმედებას, აცხადებს რა თავის თავს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეზიის მემკვიდრედ. აქ მთვარის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით მოჩანს მტკვარი და მეტეხი... აქ ახალგაზრდა პოეტის ახლოს სძინავს მოხუცი პოეტის ლანდს, აკაკი წერეთლის ლანდს; ბარათაშვილისაც ხომ აქ უყვარდა ობლად სიარული, ილია ჭავჭავაძესაც, დიმიტრი ყიფიანსაც და, აქ პოეტი ამბობს: „დე, მეც მოგვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად, (ლირიკის კონცეფცია) ოღონდ ვსთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა (კავშირი ადამიანის სულსა და ბუნებას შორის), თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე

ფრთები (ძალა აღმაფრენის, პოეზიის, რომანტიზმის), და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები (რომანტიზმი ლურჯის, ცისფერი ოცნების იალქნების ზღვაზე, სულიც აღზრდილია ამ ზღვაზე, ცხოვრების ზღვაზე, სიცოცხლის ზღვაზე, რომელზედაც ლურჯი იალქნების გზა მიდის, თვით სიკვდილის გზაც კი არაფერია მასთან შედარებით, ამ სიცოცხლესთან შედარებით და თვით სიკვდილის გზაც კი ვარდისფერია და არა საშინელი, საშიშარი (სწორედ იგივე ჰანრი რენიეს თქმით „მოულოდნელი განცვიფრება ვარდის ფერისა და შავი ფერის შეხვედრისაგან“), რომ ამ გზაზე (სწორედ ვარდისფერ გზაზე) მგოსანთა სითამამე, გაბედული ხმა არის სინამდვილეზე მეტი სინამდვილე — ჰიპერბოლური, ზღაპრული, „რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები“.

საინტერესო ახსნაა, მაგრამ აქ ხომ წინააღმდეგობაა. სინამდვილეზე მეტი სინამდვილე სიკვდილია, ამიტომაც იგი ვარდისფერი გზა, ზღაპრული. აქ სიკვდილი ერთგვარი ტკობაა, მარადიულში, უკვდავებაში გადასვლაა. გალაკტიონი მეორეგანაც უბრუნდება ამ ლექსს („მთაწმინდის მთვარეს“); „ახალგაზრდობის მე-20 საერთაშორისო დღეს ტფილისში, რომელიც პირველ სექტემბერს ჩატარდა, „კომუნისტი“ თითქმის მთელ გვერდს უთმობს... იწყება ჩემი ცნობილი ლექსის პირველი სტრიქონებით:

„ასე მშვიდი, ასე წყნარი  
ჯერ ცა მე არ მახსოვს“.

ეს სტრიქონები გაზეთისა საგულისხმეირო სტრიქონებია მათთვის, ვისაც ჩემი „მთაწმინდის მთვარე“ პესიმისტური ლექსი ჰგონიათ, აქ კი იგი უკავშირდება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, დიად დღეს, ბრწყინვალეებისა და სიხარულის დღეს“.

პირველ ამონაწერს თარიღად უზის 1950 წ. მეორეს — 1934 წ. ეს ის წლებია, როდესაც გალაკტიონი სოციალისტური რეალიზმის მედროშედ არის გამოცხადებული. ისე კი უნდა დავეთანხმოთ პოეტს, რომ „მთაწმინდის მთვარე“ უფრო რომანტიკული ლექსია, ვიდრე სიმბოლისტური „ლურჯა ცხენები“, მაგრამ, ზოგან, გალაკტიონი საზოგადოდ უარყოფს, რომ ის სიმბოლისტური და პესიმისტური ლექსების ავტორია.

„თავის ქალა არტისტული ყვავილებით, — წერს გალაკტიონი, — იგულისხმება თავის ქალა (სიკვდილი), არტისტული ყვავილებით (ხელოვნება), სიკვდილი და ხელოვნება. რომელმა უნდა გაიმარჯვოს? — რა თქმა უნდა ხელოვნებამ: რა არის ხელოვნება? ხალხისადმი, სამშობლოსადმი სამსახური... ასეთი საკითხები საერთოდ ფილოსოფიის საგანს შეადგენს „სიბრძნისაა ერთი დარგი“. იგი გარდუალია, მაგრამ არსებობს ხელოვნება (არტისტული ყვავილები). აქ საჭიროა აზროვნების გამახვილება. მკითხველი, რომელსაც აქვს გამახვილებული აზროვნება, არასოდეს არ აურევს მცნებებს: სიკვდილისას, ხელოვნებისას და რევოლუციისას თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით. ამ საკითხზე წერდნენ ჩვენი კლასიკოსები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ასე მკვეთრად დაპირისპირებული სიკვდილი სიცოცხლესთან, სიკვდილი ხელოვნებასთან, სიკვდილი რევოლუციასთან“.

სწორედ ამ დაპირისპირებაშია საქმე. გალაკტიონის სიკვდილი ყველაფერს ასამარებს („მესაფლავე“), მასთან პოეტის სითამამეც (ხელოვნების) ზღაპარია („მოაწმინდის მთვარე“), სიკვდილის მხარეში ქიმერებია, უსიციოცხლო ჩონჩხებია („ლურჯა ცხენები“) და, მაინც ამ სიმბოლისტურ ლექსში სიკვდილი იდეალური სამყაროსაკენ მიმავალი გზაა.

წიგნისა „არტისტული ყვავილების“ მთელს პათოსს განსაზღვრავს ლექსის — „ვინ არის ეს ქალი“? — ეპიგრაფად წამძღვარებული შ. ბოდლერის, თ. გოტიეს, პ. ვერლენის, ა. რენიეს ფრანგულად მოტანილი სტრიქონები. აი, მათი ქართული თარგმანი:

მოულოდნელი მომხიბვლელობა  
სამკაულისა — ვარდისფერისა და შავის

ცისფერი ქალწული ნაკადულის გრილ ნაპირებზე.

შ. ბოდლერი.

ჩამავალ მზეთა მელანქოლია

თ. გოტიე.

...და ვარდები მეტად ტანმალაღი

პ. ვერლენი.

ა. რენიე.

## ამას მოსდევს ლექსი:

მიმაფრენდა ნაპირებზე ლურჯა ცხენი,  
გადვიჩეხე,  
უკურნებლად დაკრილი ვარ...  
დამეხსენი!  
შევიღებთან მთვარეს — როგორც მძიმე მტევნები,  
თეთრ-ვარდისფერი ალუჩები და შადრევნები.  
ქანდაკებებმა ჩაიარეს მოხდენილ წყებად.  
სადღაც შორს მუსიკა ქარივით კითხულობდა:  
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი  
ასეთი ცისფერი?  
ჩანმახის წუთი. ბნელ სივრცეში აშლილი ბოლი.  
შავი ყვავილის სამუდამოდ მკვდარი ფოთოლი.  
ლღუციფერი: —  
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი  
ასეთი ცისფერი?

ეს ლექსი სტრუქტურით, პოეტური სახეებით — სამკაულე-  
ბით, განწყობილებით, მთელი მოდელით სიმბოლისტური ლე-  
ქსია. გ. ტაბიძემ გააქართულა სიმბოლიზმის მოდელი; ზოგადი  
და ეროვნული ქართული ტკივილები დააწყვილა. ამიტომაც,  
თუ „არტიტული ყვავილების“ ლექსების სიმბოლიზმი არის  
დამუხტული, მის გვერდით მშვენივრად გრძნობენ თავს რე-  
ვოლუციანზე და სამშობლოზე დაწერილი ლექსები: „აკაკის  
ლანდი“, „გემი დალანდი“, „მამული“, „რამდენიმე დღე პეტ-  
როგრადში“...

გალაკტიონ ტაბიძე დიდი პოეტია და დიდი პოეტი არ ეტე-  
ვა ერთი რომელიმე მიმართულების ჩარჩოში. ცალკე აღებუ-  
ლი ლექსებისა და ციტატების მიხედვით, გალაკტიონის პოე-  
ზიაში შეიძლება დავინახოთ საყოველთაოდ ცნობილი მიმარ-  
თულების — რომანტიზმის, რეალიზმის, იმპრესიონიზმის კვა-  
ლი და ამის მიხედვით მივაკუთვნოთ პოეტების ამა თუ იმ  
ბანაკს. თვით გალაკტიონი, როცა უარყოფდა მის კავშირს სიმ-  
ბოლიზმთან, მისტიციზმთან იმ წლებში, „როცა ზოშჩენკოსა  
და ახმატოვას თავს დაესხნენ (1946 წ. გალაკტიონი)“, სწორედ  
რომანტიკულ და სიმბოლისტურ ლექსებიდან ამოღებული ცი-  
ტატების მიხედვით ამტკიცებდა, რომ ის რევოლუციის პო-  
ეტია. თვით ლექსები იძლევა ამის საშუალებას, რამეთუ გა-  
ლაკტიონის პოეზიის უპირველესი ნიშან-თვისება მრავალწახ-

ნაგოვანობაა. სქემა, ტრაფარეტი, ერთფეროვნება, შეზღუდულობა უცხოა მისთვის.

მისი ლექსები მრავალპლანიანია და ბუნებრივი, იგი ყველა დიდი ლიტერატურული მიმდინარეობების მონაპოვარს იტევს და გალაკტიონის საკუთარ სტილში, ორიგინალურ პოეტურ ხმებში აირეკლება, როგორც სიახლე; — „პირველ ტალღაში“ (1908), — ვკითხულობთ გალაკტიონის ჩანაწერებში, — იფეთქა არაჩვეულებრივმა სიახლემ — მედროშე, მეკვლე მე ვიყავ ამ ჟურნალისა...

ლოდინით შენით გულს ნუ გვიტალხავ,  
დაპკარ, დაპქუხე, ახლო ტალღავ!

სწორედ ამ თაობას მოუხდა ჯერ სიმბოლისტებისა და დეკადენტების, შემდეგ უნიჭო ფუტურისტების თავდასხმის მოგერიება, მათ რომ გაემარჯვათ, ეს სამარცხვინო დალი იქნებოდა მე-20 საუკუნის ლიტერატურისათვის, მაგრამ ყველაფრის კარგად მცოდნე ქართველმა საზოგადოებამ არ მიიღო მათი მსოფლმხედველობა“.

აქ საერთოდ სიმბოლისტებს კი არა, ყანწელებს და ფუტურისტებს ებრძვის. გალაკტიონი უარყოფდა მსოფლმხედველობრივ კავშირს „ცისფერყანწელებთან“ და ფუტურისტებთან.

ცნობილია, რომ გალაკტიონი თანამშრომლად მიიწვიეს ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ და ამ ჟურნალის პირველ ნომერში დაბეჭდა: „მთაწმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“, მაგრამ სწორედ იმავე წელს აქვე გაემიჯნა იგი ყანწელებს და შეწყვიტა მათთან თანამშრომლობა. უფრო მეტი. ერთგვარი ლიტერატურული მტრობა ჩამოვარდა გალაკტიონსა და ყანწელებს შორის. გალაკტიონისათვის არ იყო ტიპიური „სიმახინჯის, სიგიჟის, ჭლექის, თვითმკვლელობის“ მოტივები და მაინც ფაქტია, რომ მას ბევრი რამ ანათესავებდა ევროპულ და რუსულ სიმბოლიზმთან; გალაკტიონმა თავისებურად მოარიგა რეალისტურ-რევოლუციონურ-რომანტიკული და სიმბოლისტურ-რომანტიკული შენაკადები და შექმნა სრულიად ორიგინალური პოეტური სამყარო — გალაკტიონის პოეტური სამყარო, რომელიც „არავის გავს და არავის ემონება“, მაგრამ, როგორც ცნობილია, ვინც შეგირდი არ ყოფილა, ის ოსტატიც



ვერ გამხდარა. გალაკტიონს უთუოდ ჰქონდა შეგირდის ხანა (1908—1912 წწ.), „ძიების მტანჯველი გზა“ (1912—1921), ამ რთული, წინააღმდეგობრივი გზით მოიპოვა მან ქართული ლექსის დიდოსტატის სახელი.

გალაკტიონ ტაბიძემ მოახდინა ქართული ლექსის მოდერნიზაცია. ამ გენიალურ პოეტურ რეფორმას საფუძვლად დაუდო ქართული კლასიკური პოეზიისა და ევროპული მოდერნისტული სიმბოლიზმის, იმპრესიონიზმის პოეტური კულტურა. ევროპული მოდერნიზმის მთელ პოეტურ მონაპოვარს ქართული ნიადაგი მოუძებნა და ასე გახდა ქართული მოდერნიზმის მეთაური. გალაკტიონისათვის „პოეზია (მუსიკა) უპირველეს ყოვლისა“ და „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“ — სინონიმებია“. მისი მრავალი პოეტური შედეგრი: „ლურჯა ცხენები“, „ვინ არის ეს ქალი?“, „რომელი საათია“, „დომინო“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „ანგელოზს ეპირა გრძელი პერგამენტი“, „საუბარი ედგარ პოეზე“, „ჭიანურები“, „უმანკო ჩასახება მამადავითის სავანეში“, „შერიგება“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“... პოეტური ფაქტურითა და ფილოსოფიით სიმბოლისტური ლექსებია ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული. ასევე ბრწყინვალე ლექსები: „მერი“, „მე და ლამე“, „თოვლი“, „მესაფლავე“, „უდაბნო“, „გაგონდება თუ არა“, „მოვა... მაგრამ როდის“, „ნიკორწმინდა“, „მთაწმინდის მთვარე“, „გურიის მთებს“ — ცხოვრების ფილოსოფიით რეალისტური, ფორმით რომანტიკული, სიმბოლიზმის მონაქროლით ნაფერი.

თვითონ გალაკტიონი 1922 წელს მაღალი პოეზიის თვისებად თვლიდა რომანტიზმს. იგი წერდა: „საქართველოს ახალი პოეტი და ახალი გმირი შექმნის ახალ სიმღერებს, ახალ პოეზიას... შეიქმნება ახალი პოეზია, ძველი რომანტიზმის განახლებული სულით (რომანტიზმი ყოველთვის იყო, არის და იქნება ხელოვნების ერთი უმთავრესი თვისება“.

ბრწყინვალე ლექსები: „მიმღერე რამე“, „დროშები ჩქარა“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „გემი დალანდი“, „ასი ლექსის პროლოგი“, „რევოლუციური საქართველო“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, პოეტური ფორმითაც და ცხოვრებისეული ფილოსოფიით რეალისტურია, რევოლუციურ-რომანტიკული.

მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ხალხური პოეზიის ინტო-

ნაციებზე დამყარებული პოეზიის ნიმუშებია: „ხვალემ იზრუ-  
ნოს ხვალისა“, „კახეთის მთვარე“, „წინანდალელი ნათელა“...,  
„ეს მშობლიური ქარია“, „გახედვე: კახეთი“, „იქით ნუში, აქეთ  
ნუში“... და მაინც მოდერნიზებულია. ამიტომ ვამბობთ, რომ  
გალაკტიონმა საერთოდ მოახდინა ქართული ლექსის მოდერ-  
ნიზაცია. ის მოდერნისტია, მოდერნისტი, რეფორმატორი ქარ-  
თული ლექსისა, ისე, როგორც ბლოკი რუსული ლექსისა. ამი-  
ტომ, შემთხვევით როდია, რომ იგი რუს სიმბოლისტს, ბლოკს  
პოეტების მეფედ აცხადებდა. ასევე ყურადსაღებია სულიერ  
მამებად რომ იხსენიებს ბოდლერს, მალარმეს, არტურ რემ-  
ბოს... არც ის არის შემთხვევითი, რომ იგი თავის სიცოცხლე-  
ში გამოუქვეყნებელ წერილში — „ლირიკა“ წერს: „თუ გო-  
ტიეს პოეზია თავისი წმინდა სილამაზის კულტით განირჩეოდა  
ჩამოკვეთილი, გარკვეული კონცეპციით, მხედველობის სინათ-  
ლით, — სიმბოლისტებისა და დეკადენტობის პოეზია მიმარ-  
თული იყო ეფექტებისა და გამოუცნობლობის ბურუსისაყენ,  
გრძნობიერებათა ფორმებში ისინი ხედავდნენ უმაღლეს იდე-  
მალების გამოსახულებას, მარადისობის სიმბოლოებს. მათ გა-  
მაერთიანებულ წიშანდობლივობად ითვლება უმწიკვლო ერთ-  
გულება ფორმისადმი. არ შეიძლება უარყო მომაჯადოებელი  
სილამაზე თეოფილე გოტიეს პლასტიკური ლექსების, არ შე-  
იძლება უარყო ვერლენის ნაზი და მძლავრი აკორდები, რომ-  
ლებიც გადმოგვცემენ პოეტის ნისლიან, გაურკვეველ ემოცი-  
ებს. ბალმონტის პოეტური სიტყვის გადამღერების, მრისხა-  
ნების სინაზის ყლერა...

რაც უნდა საქმე არ გვეკონდეს პოეზიის ამ სახის იდეურ  
უნაყოფობასთან, ტექნიკური კულტურისათვის მათ ძლიერ  
ზევრი გააკეთეს. მათი მისწრაფებათჲ საფუძველი იყო პოე-  
ტური, ეფექტი, განსაზღვრული ზომიერების მკაცრი, მკაფიო  
გრძნობით, შეკრული, შეკონილი ენის მელოდიურობით“ (გ.  
ტაბიძე, ტ. 12, გვ. 272—273). ამ წერილში გამოკვეთილად  
ჩანს გალაკტიონის პოზიტიური დამოკიდებულება სიმბოლიზმის  
მონაპოვართან და აქედან სრულიად ლოგიკურია, იგი უხვად  
იყენებდა ამ მონაპოვარს, რადგან მისივე სიტყვებით: „არ შე-  
იძლება უარყო „ვერლენის ნაზი და მძლავრი აკორდები“.

„არტისტული ყვავილების“ ავტორი ქართველ სიმბოლის-  
ტად და ქართული ლექსის რეფორმატორად გამოაცხადეს

1919 წ., მაშინ პოეტს ამის საწინააღმდეგო არა ჰქონდა რა. მაგრამ, ოცდაათიან წლებში, როცა „ჩვენი თანამედროვეობა აღზრდილი სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე“ (გ. ტაბიძის სიტყვებია) გალაკტიონს აცხადებდა სიმბოლისტად, იგი ამ მოსაზრებებს ეურჩებოდა, ედავებოდა, ამის მოწმე და მონაწილე მე ვარ თავად:

1950 წელს მე დავბეჭდე და ცალკე წიგნად გამოვეცი მონოგრაფია „გალაკტიონ ტაბიძე“. მაშინ მე აკადემიაში ვმუშაობდი და ეს წიგნიც აკადემიის გამომცემლობამ — „მეცნიერებამ“ — გამოსცა. აკადემიაში ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. სწორედ მე ვიყავი იმ სახეიმო კრების თავმჯდომარე აკადემიაში, სადაც (მე იქ საქ. მეცნ. აკადემიის პრეზიდენტისა და ინსტიტუტების გაერთიანებული პარტიული ორგანიზაციების ბიუროს მდივანი ვიყავი), გალაკტიონმა პირველად წაიკითხა საპირველმაისო ლექსი როგორც მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა. ჩემი წიგნი რომ გამოვიდა, იმ დღეებში მოვიდა ჩემთან აკადემიაში, ხელი ჩამომართვა, მითხრა: „ეს პირველი მონოგრაფიაა ჩემზე ცალკე წიგნად გამოსული“, მადლობა გადამიხადა და წავიდა. წიგნზე დაწერილებითი საუბარი არ ისურვა. შემდეგ, გვიან, გარდაცვალების შემდეგ, მის წიგნებში აღმოჩნდა შვიდი ცალი ამ ჩემი მონოგრაფიისა. ერთ წიგნზე გაკეთებული იყო გალაკტიონის შენიშვნები. მე ის ცალი გადმომცა პოეტის ძმისწულმა პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ. წიგნში ის ადგილები, სადაც გალაკტიონი გამოცხადებულია „ქართული სიტყვის ჯადოქრად“, „რევოლუციის პოეტად“, უახლესი ქართული ლექსისა და საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლად“ და ა. შ., ყველგან ხაზგასმულია მოწონების ნიშნად. ხოლო იმ გვერდებზე, სადაც გალაკტიონის სიმბოლისტური ლექსებისა და პირველი სიმბოლისტური წიგნის („არტისტული ყვავილები“) ავტორად არის აღიარებული, ის გვერდები შენიშვნებითაა, აჭრელებული. იქაც, სადაც რუსულ და ევროპულ სიმბოლიზმთან, ქართულ კლასიკურ პოეზიასთან ანალოგიებია მოძებნილი — იმ გვერდებზედაც კითხვის ნიშნებია დასმული. განსაკუთრებით ბევრი კითხვები უზის წიგნის იმ ფურცლებს, სადაც სიმბოლიზმის დასახასიათებლად 1946 წელს ჟურნალების — „ზვებდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“ ცენტრალური კომიტეტის

დადგენილებიდანაა მოტანილი ამონაწერები. დადგენილებაში „ზოშჩენკო და ახმატოვა გამოუსწორებელ სიმბოლისტ-რეაქციონერად არის“ გამოცხადებული. ჩვენის მხრით მექანიკურად გადმოტანილი იყო და გაზიარებული ეს შეხედულებანი. ყოველივე ამის გამო 1968 წელს ვწერდით: „სიმბოლიზმს წლების განმავლობაში მარტოდენ პოლიტიკურ ახსნას ვაძლევდით, ყველაფერს რეაქციულს, კონტრრევოლუციურს ამ სკოლას ვუკავშირებდით. ამის გამო, ამ მიმართულების ლიტერატურის არსი და ახსნა მხედველობიდან გვრჩებოდა. სიმბოლიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას, მართლაც რეაქციული ფილოსოფია უძევს. მაგრამ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ სიმბოლისტური სკოლის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორც იყვნენ ბოდლერი, ვერლენი, ბლოკი, გალაკტიონი... ლიტერატურაში ბევრი რამ მოიტანეს ახალი. სიმბოლიზმში, ისე, როგორც რომანტიზმში, ორი მხარე უნდა განვასხვავოთ. რეაქციული უნდა გამოვყოთ მის პროგრესულ შენაკადისაგან, რომელიც ჰქონდათ სიმბოლისტური სკოლის წარმომადგენლებს. მათ მწერლობა სიტყვისათვის ბრძოლის ხატად გამოაცხადეს. იგივე უნდა ვთქვათ ქართველ სიმბოლისტების შესახებ“ (იხ. ს. ჭილაია, „უახლესი ქართული მწერლობა“, გვ. 42). რასაკვირველია გ. ტაბიძის მიერ ჩემს პირველ მონოგრაფიაზე გაკეთებული შენიშვნების ნაწილი გავიზიარეთ, საზოგადოდ ჩემი მონოგრაფია მასზედ დაწერილი რომ მოსწონებია, ეს ჩანს მისი დღიურიდან. „ჭილაიას წიგნს თარგმნის „ზარია ვოსტოკაში“ ჩემი პატრიოტი კაცი“ (ტ. 12, გვ. 374).

სპეციალურ თემებს მიემატა: „გალაკტიონ ტაბიძე, როგორც ახალი ეპოქის შემქმნელს ქართულ მწერლობაში“ ს. ჭილაიას ახალი წიგნის მიხედვით (ტ. 12, გვ. 412).

„ჭილაიას მონოგრაფია გამოსულა ჩემს შესახებ: არსად კი არ ჩანს, როგორ მალავენ ყველაფერს“ (ტ. 12, გვ. 69 და სხვ.).

პირველი წიგნის დებულება — „გალაკტიონი რომ სიმბოლისტური მოდელებით დაწერილი ლექსების ავტორია და, რომ მან ქართული ლექსის მთელი ინსტრუმენტის მოდერნიზაცია მოახდინა“, ძალაში დავტოვეთ. და მართლაც, როგორ

შეიძლება ამ სტრიქონების ავტორი გულგრილი იყოს მო-  
დერნიზმის მიმართ:

ათოვდა ზამთრის ბაღებს,  
და მიქონდათ შავი კუბო  
და შლიდა ბაირაღებს  
თმაგაწეწილი ქარი.  
გზა იყო უდაბური,  
უსახო, უპირქუშო.  
მიქონდათ კიდევ კუბო...  
ყორნებს დაუბარე!  
ათოვდა ზამთრის ბაღებს.

სამყაროს ამგვარი მისტიკური შეცნობა სიმბოლიზმით არის  
ნაფერი. ან ამასთან სტრიქონები:

და როცა ბედით დაწყვედილ გზაზე  
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,  
განსასვენებელ ზიარებაზე  
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!  
ამოვიკრეფ ხელებს და გრივალვით  
გამაქანებენ სწრაფი ცხენები.  
ლამენათევი და ნამთვრალევი  
ჩემს სამარეში ჩამასვენებენ.

ან

„ღედა ღვთისა, მზეო მარიამ  
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი  
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია  
და შორეული ცის სილაჟეარდე.

განა შეიძლება ეს ლექსები „ბოროტების ყვაელების“ ავ-  
ტორის სულის მონათესავედ არ მივიჩნიოთ? გალაკტიონ ტა-  
ბიძის ამ სიმბოლისტური ლექსების პრობლემა — სიკვდილ-  
სიცოცხლის ფილოსოფიური პრობლემაა. ყველა დროისა და  
ეპოქის დიდ მოაზროვნეთ რომ აფიქრებდათ. სხვადასხვა დრო-  
ის მოაზროვნეთა პასუხი სხვადასხვა იყო ამ კითხვაზე. დიდი  
სიმბოლისტების შემოქმედებაში ამ კითხვაზე პასუხს მისტი-  
ციზმი ედო საფუძვლად.

ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე  
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი?  
მე გზა არ ვიცი უახლოესს:  
ერთად ერთი გზა არის სიკვდილი.

თვითონ გალაკტიონს ნაირნაირად ესმოდა ეს მხარე პრობლემისა. იგი წერდა: „რაც უნდა საქმე არ გვქონდეს სიმბოლისტიკებისა და დეკადენტობის იდეურ უნაყოფობასთან, არ შეიძლება უარყოფით მათი უმწიკვლო ერთგულება ფორმისადმი“. (ტ. 12, გვ. 573); მეორეგან ამტკიცებდა — „ყოველი დიადი სახე აღებულ იქნას ცხოვრებიდან. ხელოვნების დასაყრდენი ცხოვრებაა“ (ტ. 12, გვ. 152). გალაკტიონმა ერთგვარად გახლიჩა სიმბოლისტიკების და დეკადენტობის „იდეურ უნაყოფობისაგან“ მათი „უმწიკვლო ერთგულება ფორმისადმი“. ეს უკანასკნელი საფუძვლად დაედო მის სიმბოლისტიურ მოდელებით დაწერილ ლექსებს...

ამბის მოყოლაში ძუნწი იყო გალაკტიონი და მაინც საუბარში თუ აკყვებოდა, ისევ და ისევ რევოლუციურ პეტროგრადს, ლენინს და კრემლს იგონებდა. იმ დღეებს იგონებდა, რომელმაც სულის სიღრმემდის შესძრა პოეტი — „ოდეს შემთხვევით ახსენებს ვინმე ჩემთან იმ დღეებს უბედნიერესს“ (ლექსი, „ცხრაას თვრამეტი“). დიახ, ამ „უბედნიერეს დღეების“ განსენება უყვარდა პოეტს. მერე რა მღელვარებით და სიამაყის გრძნობით იგონებდა რევოლუციის ამ ქარიშხლიან დღეებს?

ასევე განსაკუთრებული მღელვარებით ჰყვებოდა კულტურის დაცვის მსოფლიო კონგრესის ამბებს: ჰყვებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, შიგ ჩაურთავდა: მე ერთად-ერთ ქართველს, მსოფლიო მწერალთა პირველი კონგრესის მონაწილეს, ყველგან დიდი მოწონებით მხვდებოდნენო. პირველი ავტორი, ქართველ პოეტებიდან, ევროპაზე ლექსების ციკლისა მე ვაროიქვე დაუმატებდა: „იყო ერთი ამნაირი დღეთაგანი, როგორც ლექსშიაო:

ამ დღეს რომ იყო კოხი და თქეში;  
პარიზზე ქარის რომ ქუხდა სვეტი,  
მძლავრმა გრიგალმა ბულონის ტყეში  
ხე ამოგლიჯა ექვსაზე მეთი  
ძირფესვიანად გულადმა დაწვა  
გადაღწეილი ალვა და წაბლი,  
თანაბრად გრძნობდა სიტყვას: თავდაცვა  
უბრალო ჩიტი და ღირთეაბლი  
ვარსკვლავისაკენ განადგურების  
აზვირთებული ტბა მიედინა,

შემდეგ ეკვეთა რადიო სადგურს  
და კაბინებს ხმა გააკმეღინა.  
როგორც ქალს შიშველს სულით და ხორცით,  
ბულვარს ის სიტყვა სცემს კმაყოფილი  
აღურდა ქუჩა, ნაგები ტორცით,  
ნიაღვარს მიაქვს ავტომობილი.  
რა საოცარი ისმოდა მარში,  
რომ ქარი ჩადგა და გზები მოშრა.  
ამევარ პარიზში, ამნაირ ქარში,  
ავაფრიალეთ კონგრესის დროშა“.

ლექსის კითხვა დაამთავრა და მე ვეკითხები: მართალა ასე მოხდა? ჰო, სწორედ ასე და იმოწმებს ნიკოლოზ ტიხონოვს, ალექსი ტოლსტოის, ილია ერენბურგს და ისევე აგრძელებს კონგრესის ამბებს. ჩამოთვლის იქ გამოსულ ორატორებს და ჰყვება მათ შინაარსს. მერე ერთბაშად მოჭრის — „ჩემი სიტყვა, ჰო, ჩემი გამოსვლა დაიბეჭდა პარიზის გაზეთებში, საქართველოს სახალხო პოეტის ხელმოწერით. მერე, მერე საქართველოში რომ დავბრუნდი მწერალთა კავშირში გამოვედი საანგარიშო მოხსენებით. კონგრესის მუშაობის ეს ვრცელი ანგარიში ქართულად და რუსულად დაიბეჭდა მაშინ“.

ასევე მღელვარებით იგონებს 1929 წელს კომინტერნის მე-6 კონგრესის — ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ესტონეთისა და სხვა ქვეყნების დელეგატებთან ერთად მოგზაურობას საბჭოთა კავშირის სამრეწველო რაიონებში — ყველაფერს ამას ჰყვება სვენებსვენებით, დიდი ინტერვალებით; ყოველი ასეთი შეხვედრა მწერალთან თავდება იმით, რომ ბოლოს იტყოდა: ახლოა ჩემი იუბილე, ხომ მიიღებ მონაწილეობასო, იმ დღესაც ასე მომმართა, ნოემბერს ჩემი სამოცი წელია დაბადებისა, იცით ალბათ? კარგად უნდა ჩატარდეს, ისე, როგორც ეს შეშვენიის საქართველოს სახალხო პოეტს, არა? ახლა, აბა თქვენ იცით.

ადგა და წავიდა. ეს უკვე დავალება იყო. მე ისე შევეჩვიე მასთან საუბარს ნახევარ ტონებით, რომ ჩემთვის მისი ქვეტექსტები გასაგები იყო.

იმ დღეებში მივიღეთ დადგენილება, საქართველოს საბჭოთა მწერლების პრეზიდიუმი ადგენს 1952 წლის 17 ნოემბერს ჩატარდეს საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების სამოცი წლისთავის იუბილე თბილისის

ზაქარია ფალიაშვილის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში. იუბილით გალაკტიონი კმაყოფილი იყო. მეორე დღეს მოვიდა მწერალთა კავშირში, გაღიმებული სახით შემოვიდა, დაჯდა, დუმდა, მივხვდი, რომ ჩემგან მოელოდა საღამოზე აზრის გამოთქმას და მეც დავიწყე, — არა, გალაკტიონ ბატონო, რაც მართალია, მართალი, თქვენს იუბილეებს ხომ ბევრს დავსწრებივარ, მაგრამ გუშინდელი მაინც სხვა იყო. განსაკუთრებული, ნამდვილი სახალხო ზეიმი. მაინც რამდენი ხალხი მოზღვავდა, რა კარგი სიტყვები ითქვა, ჰაუ, რამდენი ლექსები წაიკითხეს. ყველაზე ჩინებული მაინც თქვენ იყავით. რა კარგად წაიკითხეთ „მთაწმინდის მთვარე“? ხალხით გაჭედული ოპერის დარბაზი ზანზარებდა ხანგრძლივი ტაშისაგან. საოცრად გაეხარდა გალაკტიონს. მე ავყევი ემოციებს და მისი წაბაძვით ზეპირად წარმოვთქვი „მთაწმინდის მთვარე“. აღელვებული გალაკტიონი ადგა, მაგრამ ჩამომართვა ხელი და ერთბაშად გავიდა...

1954 წელს ჩატარდა საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობა. ამ ყრილობაზე მოხდა 1937 წელს უკანონოდ რეპრესირებული მწერლების, მიხეილ ჭავჭავაძის, ტიცვიან ტაბიძის, პაოლო იაშვილის რეაბილიტაცია. ეს ისტორიული დღეები იყო. კარგად მახსოვს ირაკლი აბაშიძე და მე კაბინეტში ჩაკეტილნი ორი დღე ვმუშაობდით წერილის იმ ტექსტზე, რომელიც ყრილობის წინ, თითქმის ერთი თვით ადრე, საქ. კპცკ რომ გავუგზავნეთ ამ მწერლების რეაბილიტაციის თაობაზე. პირველად საქართველოში მოხდა მწერლების რეაბილიტაცია...

ამავე ყრილობაზე ავირჩიეთ საკავშირო მწერალთა მეორე ყრილობის დელეგატები, მათ შორის გალაკტიონი. გაუგებარია, მაგრამ ფაქტია, გალაკტიონ ტაბიძე პირველი ყრილობის დელეგატი არ ყოფილა.

გალაკტიონ ტაბიძეს მეორე ყრილობაზე შესანიშნავად ეჭირა თავი, ყოველ სხდომას ესწრებოდა, ფოტორეპორტიორები პირდაპირ ნადირობდნენ მასზე, ყრილობის დელეგატებთან რამდენიმე ფოტოსურათი აქვს გადაღებული. ყრილობის პერიოდში რუსულ ენაზე „რჩეულის“ გამოცემაზე დაუდეს ხელშეკრულება.

ყრილობიდან კმაყოფილი დაბრუნდა გალაკტიონი.



1955 წელს მწერალთა კავშირში პოეტების სექციის თავმჯდომარედ ავირჩიეთ. გალაკტიონი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას. საკუთარი ბინიდან მოიტანა კარადა, მაგიდა და სექციების ოთახში დაალაგა. სამუშაო გეგმა შეადგინა და პრეზიდიუმზე წარმოადგინა. გეგმას სასტიკად შეუტეეს პრეზიდიუმის წევრმა პოეტებმა. საქმე ის იყო, რომ გეგმით არც ერთი პრეზიდიუმის წევრი პოეტის ლექსების კითხვა და გარჩევა არ იყო გათვალისწინებული. სამაგიეროდ იყო აკაკის საიუბილეო საღამო და სამი ახალგაზრდა პოეტის წიგნის განხილვა გათვალისწინებული. ერთი მოხსენებაც თემაზე: „ქართული ბალადა“. პრეზიდიუმის სხდომაზე გეგმა არ დამტკიცდა. გალაკტიონი შეპირდა პრეზიდიუმს, რომ ის გათვალისწინებდა შენიშვნებს და წარმოადგენდა ახალ გეგმას. მაგრამ არა. გალაკტიონი საკუთარი გეგმით შეუდგა მუშაობას.

პირველი საღამო აკაკის ხსოვნას მიეძღვნა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა გალაკტიონმა: „ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოქტომბრის გადატრიალების სულ რაღაც ორი წლით ადრე, (1915 წელს), ე. ი. ორმოცი წლის წინად, ჩვენ, ქართველმა პოეტებმა მუხლი მოვიყარეთ უდიდესი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის ცხედარის წინაშე და ფიცი დავდეთ თავდადებულად განგვეგრძო მისი გზა სამშობლოსათვის უანგარო სამსახურისათვის“. მერე ამ მოკლე სიტყვაში ხაზგასმული იყო: „აკაკი და ხალხი განუყოფელი იყო და ჩვენც მე-20 საუკუნის მწერლებმა ეს ტრადიცია განვაგრძეთ, ჩვენ ვიყავით ხალხთან, ვიყავით მონაწილენი 1917 წლის ოქტომბრის დიდი გადატრიალებისა, ჩვენ ვიყავით ხალხთან ახალი ცხოვრების მშენებლობის წლებში, ჩვენ ვიყავით ხალხთან, როცა თავს დაგვესხა მტერი და გავანადგურეთ ფაშიზმი, ჩვენ ხალხთან ვართ დღესაც“... ეს იყო დიდი საბჭოთა პოეტის ყოველ მხრივ გამართული სიტყვა. მწერალთა კავშირის გაქედილი დარბაზი ოვაციით შეხვდა პოეტს. საღამომ კარგად ჩაიარა.

რაც იგი პოეტების სექციის თავმჯდომარედ მუშაობდა მწერალთა კავშირში, როგორც წესი 9 საათზე ცხადდებოდა. თითქმის ყოველ დღით შემოდის ჩემს კაბინეტში, სახე გაღიმებული, ხალისიანი. ილლიაში ამოჩრილი გაზეთების მთელ დასტას მაგიდაზე დააწყობდა და იწყებდა საუბარს. მას უკვე წაკითხული ჰქონდა იმ დღესა და წინა დღეს გამოცემული გა-

ზეთები და ჟურნალები, ახლა ამის გარშემო იმართებოდა ჩვენი დიალოგი. მე მანცვიფრებდა მისი საოცარი გონებრივი სიფხიზლე. იგი ჩვენი, და არ მართო ჩვენი, საერთაშორისო ცნოვრების სრულ კურსში იყო და შეუცდომელი პოლიტიკური აღლოთი ერკვევოდა ყველაფერ იმაში, რაც ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდებოდა. მე ვცდილობდი ამ საუბარში მის საკუთარ შემოქმედებით ლაბორატორიაში ჩამეხედა, მაგრამ ამის საშუალებას იგი იშვიათად თუ იძლეოდა...

იმ დილასაც შემოვიდა. ხომ კარგი საღამო იყო ძამიკო? — კარგი, დავუღაპტურე. ამ დროს შალვა აფხაიძეც შემოვიდა. ბატონი შალვა მაშინ კონსულტანტად მუშაობდა მწერალთა კავშირში. მე ამით ვისარგებლე და გალაკტიონს მივმართე. გალაკტიონ ბატონო! თქვენ რომ ბრძანებდით პოეტების მეფე, გუშინდელმა საღამომ და ხალხის საყოველთაო აღტაცებაზე ერთხელ კიდევ დაადასტურა. დიახ, თქვენ პირველი პოეტი ხართ, მაგრამ თქვენის აზრით, ვინ არის მეორე პოეტი? — გალაკტიონი გახალისდა, მისეზურად ჩაიჭირქილა — მეორე პოეტი ძამიკო? — ჰო, თქვენ შემდეგ ვინ არის მეორე პოეტი? მან უცბად მომიჭრა. იცი ძამიკო, აქ რომ მოვდიოდი ამ დილას გზაზე, ის ჩვენი სიო ხიდისთაველი შემხვდა, შენთან მომაგზავნა, განცხადება მივეცი და მწერალთა კავშირში არ მიმიღებენო? დაგეხმაროთ ძამიკო, მაინც სულ ერთი არ არის... ამდენ ხალხში ისიც იყოს, ვინ იცის ვინ ვისზე უკეთესია, — ჰო გამახსენდა, გამიგონია ასეთი ფუნაგორია — ჯერ სერგო იტყვის, ვინ ვისზე უკეთესია, მერე სიტყვას მისცემენ ბესიას და ასე იწყება სესია... ისევ ჩაიჭირქილა... რას არ გამოიგონებენ ეს ჩვენი პოეტები, ავრცელებენ ვითომ მე გამომეთქვას ეს ფუნაგორია, თქვენი და ბესოს გასაჭავრებლად, არა, არ დაიჯერო ძამიკო, ჩვენ ხომ ძმები ვართ, ჰოდა უნდა გადაგვამტერონ თქვენი თავი, არ დაიჯერო ძამიკო და ხელები გაასაყვავა, წასვლა დააპირა მერე უცბად მობრუნდა. — მაშ მეორე პოეტი ვინაა, არა. თითი შუბლზე მიიღო. ხომ არ შეიძლებოდა მეოთხედან დავიწყოთ? ჰო, მეოთხედან. ეს თქვა და შალვა აფხაიძეს მიმართა. არა, შენ რას იტყვი? ასე არ აჯობებს ძამიკო..., ისევ ჩაიჭირქილა და კაბინეტიდან გავიდა...

სხვა პოეტთა შესახებ იშვიათად თუ წამოცდებოდა ქება.

არავინ ხედავდა მის გაიქცენო; უაღრესად ამაყი იყო და სამართლიანად დაჯერებული, რომ ის ერთადერთია, ყველასაგან გამორჩეული, პოეტთა ზეფე...

იგი თითქოს გამომწვევად წერდა: „და საქართველო შენ მოვალე ხარ, რომ ნატრობდე ჩემს მეგობრობას უფრო მხურვალედ, ვიდრე მე შენსას!“...

როგორც ვთქვით გალაკტიონი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას, როგორც მწერალთა კავშირის პოეტების სექციის თავმჯდომარე. პირველი სხდომაც აკაკისადმი მიძღვნილი, დიდებულად ჩატარდა და მწერლებიც ბევრი ესწრებოდა. მაგრამ მერე და მერე პოეტებსა და გალაკტიონს შორის კონფლიქტმა მწვავედ იჩინა თავი. მან სულ სამი სხდომა ჩაატარა. — „დღევანდელი საღამო რიცხვით მესამე, მიზნად ისახავს განაგრძოს ჩვენს მიერ დასახული გზა. პირველი საღამო მიძღვნილი აკაკი წერეთლის ხსოვნისადმი, გულისხმობდა შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას მიერ გაკაფულ გზას. ეს იყო კლასიკოსებისადმი მიძღვნილი საღამო. მეორე საღამო — ერთი ლექსის საღამოს სახელწოდებით ჩვენ ჩავატარეთ თანამედროვე ქართული პოეზიის ნიმუშების მოცემით. ხოლო მესამე, ე. ი. დღევანდელი საღამოს მიზანია, დაწყებულ იქნას გაშუქება ჩვენი ხელოვნების სრულიად მივიწყებული ორი მხარის — შემოქმედებითის და ტექნიკურის... მეოცე საუკუნის ქართული პოეზია მოვიდა და დამკვიდრდა სრულიად ახალი რითმებითა და ასონანსებით, ახალი ლექსთა წყობით, ახალი ხმოვანებით, შემოტანილი იქნა ახალი ფორმები (შემოვიდა ბალადა, გაზელი, სონეტი, ოქტავა, ტერცინები, ტრიოლეტები, სექტინა, რონდო, კანცონები და სხვ.), და ჩვენ მოვალენი ვართ ვიცოდეთ კანონები ყველა ფორმებისა, კანონები, რომლებიც უბრალოდ არ დამკვიდრებულან“. შემდეგ ილაპარაკა სპეციალურად ბალადის როგორც ჟანრის შესახებ და მოკლედ მოჰკრა: „დღემდე არ მოგვეპოვება არავითარი სპეციალური გამოკვლევა ბალადის შესახებ... ჩვენ მიზნად დავისახეთ ერთგვარი სინათლე შევიტანოთ ქართული ბალადის პრობლემის გასკვლევად. ამ მეტად რთული პრობლემის შესახებ აქ მოხსენებას გააკეთებს პოეტი გიორგი კალანდაძე“... როგორც ვთქვით, გალაკტიონმა სცადა თავის

გარშემო ახალი თაობის პოეტები შემოეკრიბა და მოხდა ერთ-გვარი იზოლაცია ცნობილი ქართველი პოეტებისა. ამ ნიადაგზე უთანხმოება, კრიტიკული შენიშვნები პოეტების სექციის მუშაობის შესახებ უფრო და უფრო მწვავე ხასიათსღებულბდა. პრეზიდუმის ერთ-ერთ მორიგ სხდომაზე ამან ისეთი მკაცრი ხასიათი მიიღო, რომ გალაკტიონი იძულებული გახდა დაეტოვებია სექციის თავმჯდომარის პოსტი.

იმ დილით მთლად აღგზნებული და გაღიზიანებული შემოვიდა. დაჭდა. ერთხანს ღუმდა. მე ვცადე გუშინდელი ინციდენტი როგორმე შემერბილებია და მოვყევი ცისა და ბარისას, მაგრამ ამოდ; უცბად მომიბრუნდა და მითხრა: „შენ ჩამციებხარ და მეკითხები მეორე პოეტი ვინააო, აი, ჩემი პასუხი:

როცა პოეტი ყალბი პოეტია,  
ამოდ ფიქრობენ, რომ ის გოეთეა...  
ვაიმარს გაგზავნონ ავიო კალათით,  
ვირზე ჩამობრუნდეს ხახვით და სალათით.

ეს თქვა და ერთბაშად კაბინეტიდან გავიდა. მე უკან გამოვეკიდე, რამდენი არ ვეხვეწე, მაინც არ დაბრუნდა და საერთოდ აღიკვეთა ერთხანს მწერალთა კავშირში სიარული. მისი სახლიდან მოტანილი საწერი მაგიდა და კარადა მწერალთა კავშირის სექციების ოთახში ამოდ ელოდნენ მის პატრონს. ამ მაგიდისა და კარადისათვის ჩვენ ხელი არ გვიხლია, მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ გავხსენით კარადა და მაგიდა — შიგ რამდენიმე საქალაღდე ელაგა, თითოეულ ამ საქალაღდეს გარედან ეწერა „გალაკტიონოლოგია“... ჩვენი მისი ნივთები მუზეუმს გადავეციტ...

1958 წელს მოსკოვში მოეწყო საქართველოს ლიტერატურის და ხელოვნების დეკადა. ამ დეკადაში მონაწილეობდა მთელი ჩვენი მწერლობის აქტივი. თვითონ გალაკტიონ ტაბიძე ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო. საკმარისია ითქვას, რომ კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ქართული მწერლობის დეკადის საზეიმო გახსნაზე აქ პირველი სიტყვა გალაკტიონს მიეცა, მან შესანიშნავად წაიკითხა დეკადისათვის დაწერილი ახალი ლექსი „დეკადის დროშები“. მოსკოველებმა ხანგრძლივი ოვაციით დააჯილდოვეს საქართველოს სახალხო პოეტი. გალაკტიონი კმაყოფილი დაბრუნდა დეკადი-

დან. ეს ჩანს დღიურების ჩანაწერებიდან (იგივე ტექსტი გამოქვეყნდა გაზ. „კომუნისტში“), „ფართოდ გაიშალა დედაქალაქში დეკადის საზეიმო დროშა. მარად დაუვიწყარია ქართველი მწერლობისათვის მოსკოვში გატარებული დღეები“... (1958 წ. № 12).

დეკადის მონაწილეთა შორის გალაკტიონ ტაბიძე დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. გალაკტიონ ტაბიძეს მოპოვებული ჰქონდა საერთაშორისო აღიარება, ყველგან, სადაც იგი გამოჩნდებოდა მოსკოვს თუ პარიზს, პეტერბურგს თუ კიევს... ყველგან პატივისცემით იყო გარემოსილი და საყოველთაო აღიარებით სარგებლობდა, როგორც საქართველოს უპირველესი პოეტი. სამწუხაროდ, მისი ბრწყინვალე ლექსების შესაფერისი თარგმანები არ არსებობდა სხვა ენაზე. მწერალთა კავშირმა უთუოდ შესაფერისი მზრუნველობა ვერ გამოიჩინა და ვერ იზრუნა მისი ლექსების გადართარგმნაზე რუსულ ენაზე. ბოლო წლებში თავად სცადა მოეგვარებია ეს საქმე. იგი ცნობილ მთარგმნელსა და მწერალს ელიზბარ ანანიაშვილს წერდა: „თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილი მივიღე, დიდად სასიამოვნოა, რომ „საბჭოთა მწერალი“ იწყებს მუშაობას ჩემი კრებულის გამოცემისათვის. უფრო გასახარებელი იქნება, თუ გამომცემლობა მხედველობაში მიიღებს იმ დიდ შვიდ ტომს, რომელიც ქართულ ენაზე გამოვიდა. ამით მკითხველებს შესაძლებლობა მიეცემათ გაეცნონ საქართველოს სახალხო მწერალს შედარებით სრულად“ — ამას თან ერთვის გეგმა წიგნის გამოცემისა. გალაკტიონ ტაბიძის ეს სურვილი განუხორციელებელი დარჩა. სამწუხაროდ დღემდის არ არსებობს გალაკტიონ ტაბიძის, ამ ქართული სიტყვის ჯადოქრის შესაფერისი თარგმანი...

გალაკტიონ ტაბიძის სიცოცხლის დასასრული საოცრად მოულოდნელი იყო. მოულოდნელი იმიტომ, რომ ეს ის წლებია, როცა იგი დიდი მონდომებით იბრძოდა ახალი წიგნის, — „მშვიდობის წიგნის“ გამოსაცემად: „1956 წ. დავამთავრე დიდი პოემის — „მშვიდობის წიგნის“ გადაწერა. გადაწერაზე ვმუშაობდი მთელი თვის განმავლობაში... ვაშა მანქანაზე გადაბეჭდილი წიგნი, რომელიც მსოფლიო სახელს მოიპოვებს!... ამგვარად, საჭირო არის 3.000 ახალი რითმა, ვინაიდან იქნება 60 ლექსი.

სიტყვებისათვის სიტყვარები, კალენდრები, „ქართლის ცხოვრება“, სახარება, მუსიკალური ტერმინოლოგიები, ენციკლოპედიები, ჟურნალები, გაზეთები, ე. ი. ყველაფერი... მთლიანი გართობისაგან არასგზით არ უნდა გადავუხვიო, ეს ძნელია, მაგრამ დიდი სიახლეა. საქიროა კალენდარული გეგმა; ეს იქნება 5 თვის ჩემი მთავარი სამუშაო (კალენდარული გეგმა). გეგმით განხორციელების დასაწყისი პირველი იანვარი 1947 წ. მაშასადამე ერთ თვეში 30.000 რითმა, დღეში ათასი... გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა წინანდელი გამოცდილებანი. ეს იქნება მტკიცე საძირკველი“...

გალაკტიონი რითმის განუმეორებელი ოსტატი იყო. რითმა! „ჩვენ ვიცით — წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი 1923 წ. „რუბიკონში“ — მაძიებელი აზნაურები რითმის, და ვიცით მისი ნამდვილი თავადები. რითმა სტრიქონის ბრწყინვალე მსაჯულია. რითმა ლექსის სამკაულია, რითმა მეტი გამძაფრებით გამოხატავს პოეტურ იდეას და სახეს... ჩვენი საუკუნე იქნება რითმის ოქროს ხანა“. ამ ახალი რითმების ოქროს ხანის სათავეებში გალაკტიონი იდგა. მისი რითმები გვაოცებენ პოეტური შთაგონებითა და გამოგონებებით. რითმებისადმი ეს უსაზღვრო ერთგულება ჩანს „მშვიდობის წიგნის“ ამ გეგმაში. და აი, დაამთავრა თუ არა ეს ახალი წიგნი — „მშვიდობის წიგნი“, იგი რედაქციას — „მნათობს“ წარუდგინა. დიდი ხნის შემდეგ უთხრეს, რომ რედაქცია მთლიანად ვერ დაბეჭდავს ამ პოემას და ცალკე თავების დაბეჭდვა შესთავაზეს. რაკი ჟურნალმა არ დაბეჭდა „მშვიდობის წიგნი“, ახლა მისი ცალკე წიგნად გამოცემა გადაწყვიტა, მე მთხოვა რედაქტორობა. თანხმობა განვუცხადე, და წერილი მივწერეთ კულტურის მინისტრს (მაშინ გამომცემლობები კულტურის სამინისტროში შედიოდა). საქმე მაინც ვერ მოგვარდა. რასაკვირველია, გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ შედევრებთან შედარებით „მშვიდობის წიგნი“ მდარე იყო, მაგრამ ის ხომ გალაკტიონის კალმით იყო ნაკურთხი? და მე მგონია იგი უყოყმანოდ უნდა დაებეჭდა რედაქციასაც და გამომცემლობასაც, რადგან გალაკტიონის, — ამ ჯადოქარი პოეტის მადლით იყო ნაკურთხი. რასაკვირველია შეცდომა იყო ამ წიგნისადმი ასეთი გულცივი დამოკიდებულება; ამით უადრესად გული ატკინეს პოეტს. დაფასება არ აკლდა. უფრო მეტი ეკუთვნოდა,

უფრო მეტს იმსახურებდა პოეზიის ეს ღმერთკაცი. ერთგვარი უკმარისობის გრძნობაც აქედან მოდიოდა. დაბრკოლების წინააღმდეგ იგი ბავშვივით უსუსური იყო და ყოველივე ასეთ დამოკიდებულებას მწვავედ განიცდიდა. ჭერ კიდევ აღრე, იგი მეუღლეს — ოლია ოკუჩავას წერდა: „დიდი ხნიდან დავეძებ მე ამ სიკვდილს, მაგრამ არ მოდის იგი... რომ იცოდე რა მოსაწყენია ყველა ეს ინტრიგები, ეს დაუსრულებელი მითქმამოთქმა, ჭორები... თავისთავად იბადება სურვილი, რომ გაშორდე ყველა ამას, რადგან ამის მეტი ცხოვრებაში არა არის რა“...

გალაქტიონი მთასავით წაიქცა და ერთბაშად მუხლი მოიყარა ამ ღმერთკაცის წინაშე მთლად საქართველომ, მათ შორის მისმა მოქიშპეებმა, „პოეტურმა მტრებმა“. მტერიო? — დიახ, გალაქტიონი ადამიანი იყო და ჩვეულებრივად ძნელია წარმოიდგინო ადამიანი უმტროდ. კარგად უთქვამს ხალხს „არც კაცი ვარგა უმტროდო“... ვინც სიცოცხლეში პაექრობდა, იმათაც საჭაროდ დაიტირეს, აღსრულდა გალაქტიონის წინასწარმეტყველური სიტყვები: „სასაფლაო საყოველთაო შერიგებისა და მშვიდობის სიმბოლო“.

1959 წლის 17 მარტს გარდაიცვალა შალვა დადიანი, თბილისის მეოთხე მთავარ სამმართველოს საავადმყოფოში. მეორე დღით მივედით, რომ იქიდან პირდაპირ მწერალთა კავშირში გადმოგვესვენებია, რადგან შესაფერისი ბინა არ ჰქონდა ბატონ შალვას. იმ დღით საავადმყოფოში რომ მივედით. პოლიკლინიკის ფოიეში იდგა გალაქტიონი და გვერდით ედგა ძმისწული ნოდარ ტაბიძე. გალაქტიონს მივესალმე, მთლად აკანკალებულმა მითხრა — „საწყალი ჩვენი შალვა, სწორედ რომ ამშვენებდა იგი ჩვენს საქართველოს, არა, დიდებული კაცი იყო“... მერე გაჩერდა, ღელავდა, ძლივს იდგა დეკაკო ფეხზე. ვკითხე, აქ რას უცდით-მეთქი ბატონო გალაქტიონ? — ავად ვარ ძამიკო, უნდა დავწვე საავადმყოფოში... საავადმყოფოში, ორკაციან პალატაში ვილაც ავადმყოფი დახვდა, იმას თავის შეწუხება არ უნდოდა... თუ „მხოლოდ მისი სურვილით“ მოხდა ეს ტრაგედია იმავე დღეს... წინა დღით შალვა დადიანი გავასვენეთ და მეორე დღესვე გალაქტიონი პირდაპირ მწერალთა კავშირში გადმოვასვენეთ. შალვაზე ხომ უამრავი ხალხი იყო, ეს ცნობილი მწერალი და თეატრალური მოღვაწე წრფელის

გულით დაიტირა საქართველომ, მაგრამ გალაკტიონის გარდაცვალება და დაკრძალვა, რაღაც უჩვეულო და განსაკუთრებული იყო, როგორც თავად იყო უჩვეულო და რჩეულთა შორის რჩეული...

მთელი სამი დღე ესვენა გალაკტიონი მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში და მთელი ამ სამი დღე-ღამის განმავლობაში ხალხის დენა არ შეწყვეტილა. დიახ, დღე და ღამე. მთელი ეს სამი ღამე საესე იყო მწერალთა კავშირის დარბაზი და ეზო ხალხით და ღამეს უთევდნენ პოეტების მეფეს. განსაკუთრებით ახალგაზრდობამ გამოიღო თავი. ახალგაზრდობა საპატიო ყარაულში იდგა. ნამდვილი პატრონი და ბატონი იმ მწარედ მოსაგონარი დღეებისა ახალგაზრდობა იყო. დასაფლავება კი ამ გენიოსი პოეტის უმაღლესი პატივისცემის და თაყვანისცემის დემონსტრაციად გადაიქცა.

ყველაზე კარგად თვითონ იცოდა პოეტმა თავისი ფასი და კარგადაც თქვა, გულთამხილავად იწინასწარმეტყველა:

მიღიხარ... ისე მიგაქვს წვალება,  
თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე,  
ვინა თქვა შენი გარდაცვალება?  
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.  
მიღიხარ... აღარ დაგემღურება  
არც მიწიერი, არც ზეციერი;  
ვინა თქვა შენი უბედურება?  
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.  
მიღიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა,  
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი,  
ვინა თქვა შენი მიუსაფრობა?  
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.  
მიღიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს  
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,  
შენ სივრცეებში დაგაბინადრეს —  
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.

\* \*

გალაკტიონ ტაბიძის უბრწყინვალეს ლექსთან — „მერის-თან“ იმთავითვე დააწყვილეს იმ დროის ულამაზესი ასული მერი შარვაშიძე. ამავე დროს გრძელდება ლექსის დაბადებით გამოწვეული კამათი: მართლა მერი შარვაშიძეა ამ ლექსის



შთაგონების წყარო, „მერის“ პროტოტიპი თუ?... გალაკტიონის პოეტურ შედეგს „მერის“ საოცარი პოპულარობა ერგო წილად. გამოქვეყნებისთანავე აიტაცა იგი ქართველმა მკითხველმა და თავის სულის ზიარად გაიხადა; ზეპირად წარმოთქვამდნენ, ქებით იხსენიებდნენ, „ცოცხალ სურათებად“ დგამდნენ.

XIX საუკუნის გამოჩენილი უნგრელი მხატვრის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ავტორის, ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების, თბილისსა და ქუთაისში გახმაურებული დადგმის შემდეგ (1882 წ.), გალაკტიონის „მერის“ ცოცხალ სურათებად დადგამა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ლიტერატურულ და თეატრალურ ქუთაისზე. ამის თაობაზე გაზეთი „ჩვენი მეგობრის“ კორესპონდენტი აღფრთოვანებით წერს: „1916 წლის 23 დეკემბერს ქუთაისის თეატრში გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამოზე „მერი“ ცოცხალ სურათებად წარმოადგინეს: სცენაზე თალებს ქვეშ ჯვარსაწერად თეთრ მოსასხამში გამოწყობილი ნაზი ასული იდგა. სიღრმეში თეთრ სვეტს მიყრდნობილი, ნაბადში გახვეული ავტორი გალაკტიონ ტაბიძეა და შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ჩურჩულით წარმოთქვამდეს: „მერი იმ ღამეს გული მწყდებოდა, ვიდრე სვეტთან და ყველაფერი მწარე ოცნებად მეჩვენებოდა“. ლოჟიდან კი ხავერდოვანი, სევდიანი ხმით ლექსს — „მერის“ კითხულობდა პოეტი პაოლო იაშვილი: „...სულგანაბულ დარბაზში აქა-იქ ქვითინი გაისმოდა... დამთავრდა კითხვა, დაიხორა ფარდა და ატყდა ტაშის ქუხილი. ფეხზე ამდგარი მაყურებელი გულმხურვალედ მიესალმებოდა ლექსის ავტორს, პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს...

თბილისში განუმეორებიათ „მერის“ ცოცხალი სურათი. „ერთხელ, — იგონებს პოეტი, — ოპერის თეატრში „მერი“ ცოცხალ სურათად დადგეს: მერის ახორციელებდა მსახიობი ქალი ნინო დავითაშვილი. იგი იდგა პედესტალზე, ანათებდა ბენგალიის ცეცხლი. ქვევით ვიდრე მე და ვკითხულობდი „მერის“...

გალაკტიონმა სიყვარულის ყოვლისმომცველი ძალა და სიღამაზე, სულიერი სიღრმე და ზნეობრივი სიფაქიზე, მიჯნურობით გამოწვეული პოეტური სიმების ფარული თრთოლ-

ვა ტრაგიკული ინტონაციებით გამოხატა. რომანტიკულ-ტრაგიკული განცდა სიყვარულისა გალაკტიონ ტაბიძის სატრაფიალო ლირიკის დამახასიათებელ ხელწერად იქცა. ასეა აქაც. „მერი“ ღრმა ტრაგიკული აღსარებაა მიჯნური პოეტისა, რომლის სატრაფო სხვაზე იწერს ჟვარს. პოეტმა ეს ჟვარისწერა განიცადა ვით წამება და გლოვა; ტრაგიკული კილოთი გამოიტირა ბედი, რომელიც პოეტს არ ეღირსა და ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი... ერთბაშად აიტაცა ერთ ბედქვეშ მყოფი ყველა მიჯნურმა, ჰაბუკმა თუ ქალიშვილმა სიყვარულის ბედისწერის ეს მკაცრი განაჩენი, „მერი“ იქცა უღრესად ადამიანურ-რომანტიკულ სიმღერად სიყვარულისა. აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი. „მერის“ პირველი ვარიანტები უფრო რომანტიკულია, რომანტიკულ-რეალისტური, ბოლო ვარიანტი კი სიმბოლისტურ-რეალისტური. ეს ბოლო ვარიანტია შესული გალაკტიონის გენიალურ ლექსების წიგნში — „არტიტული ყვავილები“ (1919 წ.).

დიდ მხატვრულ ქმნილებათა შესახებ ამგვარი კამათი ხშირად ამტყდარა ხოლმე. აქაც ასე მოხდა. გახმაურდა თუ არა გალაკტიონის „მერი“, მაშინვე დაიწყეს ას სახელის ქვეშ ნაგულისხმევი რეალური მერის ძებნა. გალაკტიონ ტაბიძე „მერის“ მიმართ შემოტევას ორმხრივ იგერიებდა: ერთნი ისინი იყვნენ, ვინც გალაკტიონ ტაბიძესა და ალექსანდრე ბლოკს შორის ეძებდნენ კავშირს. ამათი მისამართით გალაკტიონი წერდა: „სახელი „მერი“ მე არ გამომიგონებია, თუმცა ლექსის ობიექტად პირველია ეს სახელი საქართველოში. მერი — ხშირი სახელია ბაირონის ლირიკაში, მერი — ასულდგმულებს შელის, მერის — ალტაცებაში მოჰყავს პუშკინი, მერი — ერთი უკეთესი ტიპია ლერმონტოვის და ათასი ინგლისური და ფრანგული რომანების გმირია ქალი მერი. ჩამოთვლილი პოეტების არც ერთი მერი ერთმანეთს არა ჰგავს. ასე, ალექსანდრე ბლოკის მერი — სიმბოლური სახებაა. ჩემი მერი — რომანტიკული, მაგრამ რეალური და ცხადიაკრიტიკოსებს სურთ ამ ლექსით გააბან არარსებული კავშირი ჩემსა და ბლოკს შორის. ეს ლექსი დამოუკიდებელი ლექსია“ (ხაზი ჩვენია — ს. ჭ.).

მეორენი სწორედ „რეალური და ცხადი“ მერის აღრესატს

ექებდნენ და პოეტს ჩაცვიებით ეკითხებოდნენ თუ, ვინ იყო შთაგონება ამ ლექსისა, ახლობლები და მეგობრები მერა შარვაშიძეს თვლიდნენ ამ ლექსის შთაგონების წყაროდ და უცერემონიოდ ეკითხებოდნენ პოეტს: ხომ მერი შარვაშიძეა ამ ლექსის ადრესატი? გალაკტიონი დუმდა. ზოგჯერ დამცინავი ღიმილით ორკოფულად პასუხობდა მამბეზარა მკითხველებს. თვით ამ სტრიქონების ავტორს ამავე კითხვით არა ერთხელ მიუმართავს პოეტისათვის. განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთად ვმუშაობდით საქართველოს მწერალთა კავშირში. გალაკტიონ ტაბიძე ხომ 1955 წელს იქნა არჩეული საქართველოს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის თავმჯდომარედ და აი, სწორედ მაშინ, თითქმის ყოველ დღეს ჩემთან შემოსულს ფრთხილად შევაპარებდი ამ კითხვას (და მსგავს კითხვებს) პოეტს. მაგრამ არასოდეს გადაჭრით პასუხი მისგან არ მიმიღია. კითხვებზე პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა, არავის უმხელდა მისი პოეტური ლაბორატორიის საიდუმლოს პოეტი ისე გარდაიცვალა, რომ პირდაპირი მითითება და დოკუმენტი, თუ ვინაა „მერის“ შთაგონების წყარო, არ დაუტოვებია. აქვს თუ არა რაიმე კავშირი ლეგენდად ქცეულ მერი შარვაშიძეს გალაკტიონის ლექსთან („მერი“), ამოუცნობ გამოცანად დარჩა.

პოეტის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო გალაკტიონ ტაბიძის თორმეტტომეულის გამოცემა. ამ გამოცემის პირველი ტომის შენიშვნებში ვკითხულობთ: ვინ იყო შთაგონება ამ ლექსის? არსებობდა თუ არა იგი რეალურად? გ. ტაბიძეს მოეპოვება ასეთი ჩანაწერი: „ულამაზესი ქალი მერი შარვაშიძე, როგორც ახლა, ისე წინადაც ატარებდა თავის პატიოსნებით სავსე ცხოვრებას საშუალოდ, არც ცუდად და არც კარგად. შორიდან იგი გაგიჟებით უყვარდა ერთ ახალგაზრდა ვაჟს, მაგრამ მერი ვერ გრძნობდა ამ სიყვარულს, ან გრძნობდა ძალიან ცუდად, ეჭვიანობდა და იმიტომ, მაგრამ ეჭვების გამფანტველი არავინ სჩანდა“...

მერი შარვაშიძე გ. ტაბიძეს ნახსენები ჰყავს თავის ჟურნალში: „ცაცხვებთან“ — მან (პოეტმა) ჯიბის დანა ამოიღო და ხეზე ამოჭრა: — მერი შარვაშიძე... ეს მისი სახელია („გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923 წ. № 5, გვ. 2). ასეთი პიროვნება რეალურად ცხოვრობდა ქუთაისში, რუსეთის დედოფ-

ლის ყოფილი ფრეილინა, სილამაზით განთქმული ახალგაზრდა ქალი მერი შარვაშიძე, რომელიც გ. ტაბიძის პოეზიის ლირიკული გმირი შეიქმნა (მერის მშვენივალ მთაწაღოვა ჭაბუკი პოეტი). 1915 წელს მერი შარვაშიძე ცოლად გაყვა გუშა ერისთავს (ჯვარის წერა მოხდა თამარობა დღეს, 1 მაისს ძვ. სტილით). ჯვარდაწერილნი პარიზს გაემგზავრნენ და ამის შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულან. გალაკტიონს პარიზში ყოფნისას (1935 წ.) თვალი მოუკრავს მერისთვის, რასაც საბაბი მიუცია დაეწერა „მერის თვალებით“, რომელიც პირველად 1937 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ პოეტმა, რატომღაც 1916 წლით დაათარიღა“. ამ ოფიციალური შენიშვნის შემდეგ ინტერესი მერი შარვაშიძისადმი უფრო გაიზარდა. ამას მოჰყვა ჟურნალ „მნათობში“ მერი შარვაშიძის მეგობრის — ბაბო დადიანის წერილი, რომელიც ადასტურებდა, რომ გალაკტიონის „მერის“ ადრესატი მერი შარვაშიძეაო და (ასევე ლალო გუდიაშვილი — ჟურნალ „ქორთხში“, 1980 წ. № 2, და სხვები). მკითხველებს მოკლედ მოუთხრობდნენ ამ ულამაზესა ასულის შესახებ. თითქოსდა საბოლოოდ გამოირკვა, რომ გალაკტიონის „მერის“ შთაგონება მერი შარვაშიძეა და, მაინც ერთი კრიტიკოსი ამტკიცებდა, რომ გალაკტიონის „მერი“ ალექსანდრე ბლოკის უშუალო გავლენით არის დაწერილი და აქ არაფერ შუაშიაო მერი შარვაშიძე. ამ კრიტიკოსისაგან გაღიზიანებული მეორე დღესვე ვეწვიე ბაბო დადიანს. და აი, მე ერთბაშად აღმოვჩნდი იმ სალამოს ქალბატონ ბაბო დადიანის ბინა-მუზეუმში. დიახ, მე სხვა სახელს ვერ დავარქმევ იმ ძველებურ ბინას, რომელშიაც ათას კირგადახდილი ბაბო დადიანი ცხოვრობს. ჩვენი ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენლებს თუ გნებავთ გაეცნოთ, ქართველი ლამაზმანების გამოფენა თუ გნებავთ ნახოთ და მათ გვერდით ქართველი რაინდ-ვაჟაკების გამოხედვას თვალი გაუსწოროთ, ადექით და ბაბო დადიანს ესტუმრეთ შინ. ეს ბინა XIX საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცოცხალი გამოფენაა.

— ხომ ლამაზები იყვნენ ნინო, ეკატერინე, მანანა, მაგრამ იცოდეთ, არც სილამაზით, არც აღზრდით და განათლებით მათ არ ჩამორჩებოდა მერი შარვაშიძე, — ეს თქვა და მერი შარვაშიძის სათუთად მოვლილი, ლამაზ ჩარჩოებში ჩასმული ფო-

ტოსურათები გადმოალაგა. დავხედე პირველ სურათს და ერთ-ბაშად მართლაცდა საოცარმა სილამაზემ შემომანათა. მერე მეორე, მესამე... და ხმამაღლა წამომცდა... „შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს არ უწერია გადაშენება“... ეს რომ ვთქვი, ბაბომ საყვედურის კილოთი სიტყვა მომიჭრა: თქვენ რომ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს ათქმევინეთ ეკატერინე ჭავჭავაძის მისამართით — „საშიში ლამაზი ბრძანდებითო“, სწორედ ამ სიტყვებით მიმართა რუსეთის უკანასკნელმა იმპერატორმა მერი შარვაშიძეს, თქვენ კი აიღეთ და ეს სიტყვები თქვენს ეკატერინეს მიაწერეთ. მე არ დავუთმე და გრიგოლ ორბელიანის წერილი შევახსენე და დავუმატე: კიდევ უკეთესი, გამოდის, რომ საქართველოს ბევრი ჰყოლია სილამაზითა და სიმამაცით განთქმული ქალები. ალბათ, მათი ეშხით მოხიბლული უცხოელები უწოდებენ საქართველოს ლამაზმანების ქვეყანას — არა, მერი შარვაშიძე მაინც სხვა იყო; — ისევ მეურჩება თავადის ქალი ბაბო — მას განგებამ ყველაფერი დაანათლა: სილამაზე, სიფაქიზე, სიკეკლუცე, სისპეტაქე, გონიერება და მოხდენილობა. აბა ნახეთ, დააკვირდით, — და ისევ ამ ლამაზი ქალის ფოტოსურათების ახალი წყება გადმოალაგა...

ახლა დადიანის ასული ბაბო, შარვაშიძეთა გვარის სხვა მოღვაწეთა ფოტოსურათებს მაჩვენებს და სათითაოდ მაცნობს მათ ვინაობას...

შარვაშიძეები ცნობილი ისტორიული გვარია. საკმარისია წაიკითხოთ ბატონი სიმონ ჯანაშიას წიგნი „გიორგი შარვაშიძე“ და თქვენ სრული წარმოდგენა შეგექმნებათ იმ დიდ როლზე, რომელიც ერთიანი საქართველოს ისტორიაში აფხაზთა ამ გვარს შეუსრულებია. XIX საუკუნის საქართველოს მოწინავე საზოგადოებასთან, გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეებთან განუყოფლად დააკავშირებული შარვაშიძეების გვარის ცნობილი მოღვაწეები. მერი შარვაშიძე ამ მოწინავე გვარის პირდაპირი შთამომავალია. ეს გარემოებაც ხელს უწყობდა ამ ლამაზმანის პოპულარობას, ამიტომ შემთხვევითი როდი იყო ამ უმშვენიერეს ქალთან რომ დააწყვილეს გალაკტიონის „მერი“. ჩვენმა საზოგადოებამ ირწმუნა ეს მოსაზრება და ჩვენ რად უნდა ვეურჩოთ?.. მართლაცდა ამ ლამაზმა ლეგენდამ ისე მოიკიდა ფეხი ჩვენს საზოგადოებაში, რომ თვით ბაბო

დადიანი, რომლის მეჯვარე მერი შარვაშიძეა, ახლა მაჩვენებს ამ ზღაპრული სილამაზის ასულის ფოტოსურათებს და თავგამოდებით მიმტკიცებს, რომ მერი შარვაშიძეზეაო დაწერილი გალაკტიონის ლექსი „მერი“... ვერ გადავარწმუნე, თუმცა ფაქტები სულ სხვას ლაღადებენ. ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში იქორწინეს მერი შარვაშიძემ და ერისთავმა 1918 წელს. გალაკტიონ ტაბიძის „მერი“ კი „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა 1915 წელს. მაშ რა ვუყოთ ამ ფაქტების შეუსაბამობას? ლეგენდად ქცეული მერი შარვაშიძის ქორწინება არ ემთხვევა გალაკტიონის „მერის“ გამოქვეყნების თარიღს. სამი წელი ყოფს მათ ერთმანეთისაგან. არადა, გალაკტიონის ლექსის „მერის“ ფაქტურა საოცრად ჰგავს მერი შარვაშიძის იერსახეს. დახედავთ თუ არა ამ ფოტოსურათებს, ერთბაშად შემოგანათებთ სევდით მოსილი სახე ქალისა და უნებლიეთ იმეორებთ პოეტის სიტყვებს:

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი  
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კედლომა,  
სანდომიან ცის ელვა და ფერი  
მწუხარე იყო ვით შემოდგომა!

ისევ დასცქერით მერი შარვაშიძის ფოტოსურათებს და კვლავ აგრძელებთ გალაკტიონის „მერის“ სტრიქონებს:

აფეთქებული და მოცახცახე  
იწოდა ნათელ ალთა კრებული,  
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე  
იყო იღუმალ გაფითრებული.

ამას მოსდევს მწუხარე განცდა ჯვარისწერისა, რომელსაც აგვირგვინებს პოეტის ტრაგიკული აღსარება:

ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,  
ან რა ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?  
ან „მესაფლავეს“ რისთვის ვმღეროდი,  
ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს“.  
ქარი და წვიმის წვეთები ხშირი  
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული  
და მე ავტირდი ვით მეფე ლირი,  
ლირი ყველასგან მიტოვებული...

როგორც ცნობილია, დიდი მხატვრული ქმნილებანი ეპოქის, გარემოების, რეალობის გამომხატველია, მაგრამ არის შემთხვევები მწერლობაში, როცა ოცნებით, ფანტაზიით შექმნილი ნაწარმოები თვითონ იქცევიან რეალობად, დიდი პოეტური ქმნილებანი კონკრეტული რეალობის წყარო ხდება. პოეტური ფანტაზიით შექმნილ პოეტურ ფაქტს რეალურ ფაქტად აღვიქვამთ; განზოგადებული ქმნილება სულ ადვილად მოერგება რეალურად არსებულ მშვენიერებას. ამაშია დიდ მხატვრულ ქმნილებათა უკუმოქმედების ძალა. ალბათ ასეა აქაც. ჯერ ლექსი შეიქმნა, მერე ლეგენდა. თვითონ ბაბო დადიანი ადასტურებს, ჩემი მეჯვარე მერი შარვაშიძე იყო. იმავე წელს, მგონი მარტის თვეს, ერთად გავემგზავრეთ ბათუმიდან კონსტანტინეპოლს. მე და ჩემი ქმარი, მერი შარვაშიძე, მისი ქმარი და სხვები; ამას ამბობს და თან მაჩვენებს ორ დიდ ფოტოსურათს, სტამბოლში გადაღებულს, 1921 წელს. ამ ფოტოსურათებზე ერთად არიან ალბექდილნი ორმოციოდე ქალი და კაცი. ბაბო დადიანი სათითაოდ ჩამოთვლის: ეს მერი შარვაშიძეა, ეს გუშა ერისთავი, ეს ჩემი ქმარია, ეს გენერალი ჯორჯაძე, ეს ქალი მხეიძეა (მერი შარვაშიძის დედა ხომ მხეიძე იყო), ეს ამირაჯიბია... დიახ, ერთად გავექვეცი ბოლშევიკებს და ძავი სტამბოლს შევაფარეთ, ჯვეგონა, რა ამ თვეს თუ არა, იმ თვეში მაინც ჩამოაგდებდნენ ბოლშევიკებს და შინ ზეიმით დავბრუნდებოდით, თუმცა ჩვენს შორის იყო ერთი მოხუცებული დადიანი, რომელიც ამტკიცებდა, არა, „ეტო ნა სტო ლეტ“ — ის მოხუცებული მართალი აღმოჩნდა, არ ფარავს დადიანის ასული. შემდეგ გაიყარნენ ჩვენი გზები: მე და ჩემი ქმარი სამშობლოში — თბილისში დავბრუნდით, მერი შარვაშიძე და მისი ახლობლები პარიზს გაემგზავრნენ და იქ დამკვიდრდნენ. როცა თავი ქუღში გვქონდა, აზრადაც არ მოგვსვლია გალაკტიონის „მერის“ და მერი შარვაშიძის ჯვარისწერის ტოლფარდოვნებაზე მეფიქრა. მერე კი ჩემი საქმენი ცუდად წარიმართნენ. ბოლოს, ისევ სიმონ ჯანაშიამ გამომიწოდა ხელი და ის იყო აკადემიაში დავიწყე მუშაობა. და აი, ამის შემდეგ დავინტერესდი „მერით“. იმჟამად მე მერი შარვაშიძესთან მიმოწერა შეწყვეტილი მქონდა, ჩემთან კი საქართველოს აკადემიის ნამდვილი წევრი გალაკტიონი ხშირად მოდიოდა და იმას ვკითხე: მერი შარვაშიძეა

ხომაა ადრესატი თქვენი „მერისა“? — ჩაიჭირქილა და ასე მითხრა: „აბა ვის დავეუწერდი ამისთანა მშვენიერ ლექსს თუ არა მერი შარვაშიძეს?“ მე ახლაც მჯერა, რომ გალაკტიონის „მერი“ სწორედ მერი შარვაშიძეზეა დაწერილი და ისევე მერი შარვაშიძის ფოტო-სურათის ახალ წყებას მაწვდის ქალბატონი ბაბო. კვლავ გულდასმით ვათვალისწინებთ ამ ფოტო-სურათებს და ვეკითხები დადიანის ასულს — მიმოწერა თუ გაქვთ მეთქი მერი შარვაშიძესთან — როგორ არაო, ორმოცდაათიან წლებიდან ისევე განვაახლეთო მიმოწერა და ქალბატონმა ბაბომ ბოლო წლების წერილების მთელი დასტა გადმომცა, ლამაზი, გაკრული ხელით რუსულად დაწერილი წერილები. აი, ერთ მათგანში (მოუწერია 1975 წელს) ვკითხულობთ: — „მე ბევრჯერ მსმენია პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს ჩემზე რომ დაუწერია ლექსი „მერი“ (ამ რუსულ წერილში სიტყვა მერი ქართულად არის ლამაზად ჩაწერილი), ბევრსაც მეკითხებიან ამის თაობაზე, მე კი პირადად არ ვიცნობდი გალაკტიონს და დანამდვილებით არც არაფრის თქმა შემიძლია“ (სხვა წერილებშიაც ამასვე პასუხობს მერი შარვაშიძე). — ამ რამდენიმე ხნის წინათ — მიამბობს ბაბო დადიანი, — პარიზს მცხოვრებ ჩემი ძმისაგან ვიხა მივიღე, გავემგზავრე კიდევ, რასაკვირველია შევხვდი მერი შარვაშიძეს. „მერის“ შესახებ ჩემს კითხვაზე ხელები გაასავსავა და კატეგორიული ტონით მიპასუხა: არა, არ ვიცნობდიო მე გალაკტიონ ტაბიძეს და არც არავითარი ურთიერთობა მქონია მასთან...

დადიანის ასულმა ბაბომ მერისთან ერთად პარიზში გადაღებული ფოტო-სურათი მაჩვენა... დაბერებული მერი... სად ის ახალგაზრდობის ფოტოსურათები და სად ეს გადამქრალი სილამაზე.

საკითხის ერთი მხარე ნათელია — მერი შარვაშიძე არ იცნობდა გალაკტიონ ტაბიძეს, მაგრამ გალაკტიონი? — გალაკტიონ ტაბიძე უთუოდ იცნობდა მერი შარვაშიძეს. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ გალაკტიონის წერილში პირდაპირ მითითებულია — კაბუკი პოეტი იცნობდაო მერი შარვაშიძეს და რომ მან ხეზე ამოჭრა მისი სახელი; იმასაც ამბობენ ქუთაისში — გალაკტიონი და მერი შარვაშიძე ერთ უბანში ცხოვრობდნენო (ქუთაისში მერი შარვაშიძის ოჯახი თუთბერიძეების სახლში ცხოვრობდაო, თვითონ მერი კი პეტერბურ-



გში 1917 წლამდე. მაგრამ ზაფხულობით ჩამოდიოდა ქუთაისში). გალაკტიონის პოეტურ მზერას, აბა როგორ გამოეპარებოდა ამ უბნის ცისკარი? გალაკტიონ ტაბიძისათვის ეს ულამაზესი ასული რეალობა იყო, უფრო მეტიც. შეიძლება გალაკტიონი ამ უმშვენიერეს არსებას შორიდან ეტრფოდა, ეთაყვანებოდა, იქნებ შეუყვარდა კიდევ, მაგრამ უზომოდ ამაყმა და თავმოყვარე გალაკტიონმა ისიც იცოდა, რომ მას, ღარიბ პოეტს, ხელი არ მიუწვდებოდა რუსეთის დედოფლის ფრეილინასთან, დიდებული შერვაშიძეების ასულთან. ამიტომ პოეტისათვის უფრო ადრე გათხოვდა მერი შერვაშიძე, ვიდრე ჯვარისწერა მოხდებოდა. საერთოდ, გალაკტიონი დიდი ხნით ადრე გრძნობდა ბედისწერის განაჩენს. აქაც ოცნებით მოქსოვილი რეალობა გახდა პირდაპირი ადრესატი ლექსისა: გალაკტიონის „მერიში“ აღწერილი ჯვარისწერა რეალური ფაქტის ფიქსაცია კი არ არის, არამედ სიყვარულისაგან გაწვილებული და გამწარებული პოეტის ლამაზი „ტყუილია“, ბედისწერის წინასწარმეტყველებაა, უმშვენიერეს შერვაშიძის ასულს რომ მიაწერეს. ჭეშმარიტ ხელოვნებას ასეთი „ტყუილი“, წინასწარხილვა ამშვენებს და მაინც ამ ლექსში, როგორც გალაკტიონი აცხადებს, რეალობაა სახელი მერი, როგორც მშვენიერების ცოცხალი განსახიერება, რომელიც პოეტმა ხეზე ამოჭრა — „მერი შარვაშიძეა მისი სახელი“. იგი გახდა ბიძგი, საბაბი, იმპულსი, თუ მიზეზი — „აი მიზეზი და კიდევ მიზეზი სულო ჩემო“ — ლექსის შექმნისა.

„მერი“ რეალურად არსებული სახელის — მერი შარვაშიძის პოეტური ნიღაბია და, მაინც „მერი“ არ არის ერთნიშნინი, ერთგანზომილებიანი, პირდაპირ ერთი ქალის კონკრეტული ჯვარისწერის თარიღზე დაწერილი ლექსი. ერთი პიროვნების კონტექსტში ვერ ჩაეტევა ეს ლექსი თავისი ღრმა, ზოგადადამიანური ფილოსოფიით, სიყვარულის უზენაესი მცნების უმაღლესი პოეტური გამოხატვით, მაგრამ რაკი ხალხმა აღიარა და არც გალაკტიონი ეურჩებოდა ამ ლამაზ ლეგენდას, დაე, ასე იყოს: ნუ დავაცილებთ გალაკტიონ ტაბიძის გენიალურ ლექსს — „მერის“ მერი შარვაშიძის მშვენიერ სახეს.

შალვა დადიანი, ჩემი თაობის ხსოვნაში პიროვნული საოცრებაა. თვალადი, ტანადი, სულით და გვარიშვილობით არისტოკრატი, ტკბალმოუბარი, ქართული მწერლობის მშვენება და ლაზათი, რომელსაც მხრებზე აწვა დიდი საქართველოს ისტორია, მისი მაღალი კულტურა, ასეთი იყო იგი ცხოვრების სცენაზე.

ბატონ შალვასთან ურთიერთობა და მახლობლობა საოცრად გვამაღლებდა და გვამდიდრებდა სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების ეროვნული ტრადიციებით: მასთან ყოფნა ეს იყო ფიზიკური შეგრძნობა და ზიარება დიდი ილიას ზნეობრივ სამყაროსთან. მასთან სიახლოვეთ უფრო იძაბებოდა ის ეროვნული ძარღვი, რომელიც ჩვენს შუბლზე უკვდავ ფენომენად აღბეჭდა ილიას უმწიკვლო სამსახურმა მამულისადმი. ამავე დროს შალვას მოუსვენარი სული და ბოჰემური ცხოვრება სათავეს ილიასაგან განუყოფელი მეორე ეროვნული სულიდან — აკაკიდან იღებდა.

ბატონი შალვა ძლიერი პიროვნება იყო. მხოლოდ ძლიერ პიროვნებას შეეძლო ასე მუხლჩაუხრელი ცხოვრებით ეცხოვრა ერთდროულად თეატრსა და მწერლობაში, ასე შთაგონებით და რუდუნებით. რევოლუციამდელ საქართველოში ეს ორი კერა იყო, რომელმაც შეკრა და შეაჯავშირა ორ გუბერნიად ცარიზმის მიერ გათიშული საქართველო: შალვა დადიანის ქართული „მოგზაური თეატრი“ ცოტნე დადიანის შეთქმული საქართველოს როლს ასრულებდა ქართული ენისა და ქართული ეროვნული სულის გადასარჩენად. დიახ, ეროვნული, მებრძოლი საქართველოს როლს ასრულებდა შალვას „მოგზაური თეატრი“. ეს თეატრი იქ გაჩნდებოდა, სადაც ქართულ ენასა და ეროვნულ მეობას საფრთხე ემუქრებოდა, ბაქოსა თუ ნოვოროსიის ქართველებში. ამ ქალაქებში ხანგრძლივად იღებდა ბინას ქალაქ ბათუმში დაფუძნებული შალვას „მოგზაური თეატრი“, რომ ქართველთა სულში აღენთო, გაელვინებია ეროვნული ნაპერწკალი; არაფერს უშინდებოდა იგი ამ გზაზე; არც ცარიზმის აგენტების დევნას, არც უფულობას და აქედან წარმომდგარ ბოჰემურ ცხოვრებას და მოგზაურობას. მაღალი ეროვნული რწმე-

ნით, ანთებული გულით, ფანატიკური ჟინით ემსახურებოდა  
ეგი ქართულ თეატრს.

ბატონი შალვა 1931 წელს გავიციანი გამოჩენილი თეატრა-  
ლური მოღვაწის, პროფესორ აკაკი ფალავას ოჯახში. აკაკი  
ფალავა ჩემი სოფლიდან იყო წამოსული. იგი იყო ნათლია ჩე-  
მი: მამიდაშვილის შალვა ქურდიანისა, რომელიც აკაკიმ სამუ-  
შაოდ მოზარდთა თეატრში მოაწყო, მე კი თსუ-ს სტუდენტი  
ვიყავი და, აი, იმ დღეს შინ ვეწვიეთ ბატონ აკაკის მისი თანა-  
სოფლელები. მას პატარა წვეულება ჰქონდა. სუფრას თამა-  
დობდა ბატონი შალვა, რომელიც ამ პატარა სუფრას საოცარი  
სილალით უძღვებოდა; აი, აქ გავიციანი ჩემთვის მწერლობით  
უკვე ცნობილი და საყვარელი ადამიანი, „უბედური რუსის“  
და „კაკალ გულის“ ავტორი. სწორედ იმ წელს მარჯანიშვილის  
თეატრში დიდი ტრიუმფით მიღიოდა შალვას პიესა „კაკალ  
გულში“ და „ნინოშვილის გურია“. ბატონმა აკაკიმ ჩვენი თა-  
ვი წარუდგინა თამადას, როგორც მის პიესაზე უზომოდ შეყ-  
ვარებულები. მე და ჩემი მამიდაშვილი სრული პროლეტარე-  
ბი ვიყავით — უბინაონი. ჩემს მამიდაშვილს, როგორც თეატ-  
რის მუშაკს უფლება მისცეს დროებით ეცხოვრა თეატრის  
სარდაფში, რომელშიაც მკრთალი სინათლე რუსთაველის  
გამზირის ტროტუარზე ჩატანებული სქელი მინიდან ატანდა,  
მეც მას შეგვეკედლე.

მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ახლანდელი კულტურის  
სამინისტროს ქვემოთ, სარდაფში დაიდო ბინა. თეატრის დი-  
რექტორი იყო მწერალი ელიზბარ ზედგენიძე, ხოლო სამხატ-  
ვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე თაყაიშვილი. ასე გავხდი  
მცხოვრები და „უშტატო“ თანამშრომელი თეატრისა სოფ-  
ლიდან ჩამოსული 16 წლის ყმაწვილი და, ის იყო თეატრა-  
ლური რეცენზიების წერა დავიწყე. მახსოვს, პირველი რე-  
ცენზია მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში დადგმული  
გიორგი ნახუცრიშვილის „ნაცარქექიაზე“ დავწერე. ეს წე-  
რილი „ახალგაზრდა კომუნისტში“ ერემია ქარელიშვილს მ-  
ეუტანე. ერემია მოზარდ მაყურებელთა თეატრის ცნობილმა  
მსახიობმა გიორგი დარისპანაშვილმა გამაცნო. ერემიას მე-  
ოხებით იმ კვირას დაიბეჭდა ეს ჩემი რეცენზია. მეორე რე-  
ცენზია სიმონ მთვარაძის „სურამის ციხეზე“ დავწერე, ისიც  
„ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდა. შალვა ქურდიანი სულ

მალე მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ადმინისტრატორი გახდა. მისგან გაცემული „უშტატო თანამშრომლის“ მოწმობით, რუსთაველის, ოპერის და ქუთაისიდან თბილისში გადმოსახლებული მარჯანიშვილის თეატრის მუდმივი მაყურებელი გავხდი. სწორედ იმ წელს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დოდო ანთაძის მიერ დადგმული შალვა დადიანის „ნინოშვილის გურიაზე“ ვრცელი რეცენზია გამოვაქვეყნე გაზ. „კოლექტივიზაციაში“, რომლის რედაქტორი აკაკი ჭყონია იყო. წერილი ინიციალებით (ს. ჭ.) დაიბეჭდა. რაკი ბატონმა აკაკიმ თეატრალურად წარგვადგინა ბატონი შალვას წინაშე, გავბედე და ვთქვი: „ბატონო შალვა, თქვენი „თეთნულდი“ — ახმეტელის თეატრში, „კაკალ გულში“ — მარჯანიშვილის თეატრში — ძალიან მოგვეწონა, მაგრამ „ნინოშვილის გურია“ ისე ოსტატურად არის აკინძული, რომ ცრემლების გარეშე ვერ მოგვისმენია, მართო ის რად ღირს, რომ პირველად ვიხილეთ ქართველი ქალის როლში, ხასიათების გარდასახვის დიდოსტატი ვერიკო ანჯაფარიძე. „ურიელ აკოსტას“ ივლითის შემდეგ ეს ქართველი მაყურებლებისათვის აღმოჩენა იყო. მე ეს კიდევ აღვნიშნე ჩემს რეცენზიაში, რომელიც სამი დღის წინათ გაზ. „კოლექტივიზაციაში“ რომ გამოვაქვეყნე.

— თქვენ გეკუთვნით ეს ინიციალებით გამოქვეყნებული რეცენზია? წავიკითხე, როგორ არა, — ადგა და ხელი ჩამომართვა.

შალვამ ბრძანა, ქართული სუფრის წესია შემოსწრებულთა სადღეგრძელო ურიგოდ უნდა დაილიოს და მისთვის დამახასიათებელი ხავერდოვანი სიტყვით მოგემართა: ახალგაზრდობა ჩვენი იმედია, თეატრის მთავარი მაყურებელი ახალგაზრდობაა. თქვენი მხარდაჭერა და თეატრის საოცარი სიყვარული დიდი ძალააო. ჩვენი სადღეგრძელო რომ შეისვა, უცბად საუბარი წამოიწყო — გახსოვს, — მიმართა ბატონმა შალვამ ბატონ აკაკის, — ქუთაისიდან ჯერ ბერთემში, შემდეგ ბერთემიდან ბანძის გავლით, რომ წავედით თქვენს სოფელში — ნახუნავოში. არაა ჩინებული მოგზაურობა იყო. მე კი მუდამ მოგზაურობის ტრფიალი ვიყავი. მაშინ კი სწორედ ჩემს მიერ დაარსებულ „მოგზაურთა დასს“ ვხელმძღვანელობდი, მე მთელი ჩემი ცხოვრებით, სულით და ხორციით დაკავ-

შირებული ვიყავი ქართულ თეატრთან და მწერლობასთან. უფრო კი გონებითაც. მამაჩემი ხომ მწერალი და განთქმული საზოგადო მოღვაწე იყო. მე თუ ამჟამად რასმე წარმოვადგენ, ეს იმდენად ჩემი „ბრალი“ არ არის, რამდენადაც ჩემი წინაპრებისა. მე თითქოს მემართა, ვალდებული ვიყავი, თუ რჩეულთაგანი არა, აუცილებლად სასარგებლო კაცი ვყოფილიყავ. მამაჩემი მთელ დასავლეთ საქართველოში ერთი პირველი კულტურტრეგელი იყო. ეს დიდად საამაყო იყო ჩემთვის და დიდი ტვირთიც. თუ როგორ ვზიდე ეს ტვირთი, თავად განსაჯეთ — თეატრმა, არტისტობამ კი ბევრი რამ შემიძინა. მე შემოვლილი მაქვს არტისტული მოგზაურობით საქართველოს ყველა კუთხე და ამის მოწმეა ბაქოს, ბალახანის მუშათა თეატრის კედლები, ნოვოროსიის გადაშლილველ და მტვირთავთა მაშინდელი არტილი, ბათუმელი მუშები, სოხუმის მაშინდელი მოწინავე ნოქრები, ჭიათურის მალაროელები და ჩვენი გლეხობა. ჩემი აუდიტორია მუდამყამ მართალი ხალხი იყო, მშრომელი ლიანგი. დიახ, მე სახალხო არტისტობითა და სახალხო მწერლობით მომაქვს თავი. თავადიშვილი დადიანი ასე აღმოვჩნდი თვით მშრომელი ხალხის გულში, მისი ჭირისა და მწუხარების მონაწილე, ჩემი გიმნაზია და უნივერსიტეტიც თეატრი და მწერლობა იყო. აქ ვეზიარე მე განათლებას, აქ განვიმსჯვალე მე ხალხის სამსახურის სულისკვეთებით. აქვე ვეზიარე მე რევოლუციური საქართველოს ბობოქარ სულს. მე ვამაყობ იმით, რომ ჩემს დასში ჩემს გვერდით მოღვაწეობდნენ: ნესტორ კალანდარიშვილი, შესანიშნავი არტიტი, შემდეგ ციმბირში, სამოქალაქო ომში, თეთრგვარდიელი კოლჩაკის წინააღმდეგ ბრძოლაში რომ თავი ისახელა. აქვე იყო სერგო ჭელიძე — საბუტაფორიო და სარეკვიზიტორო განყოფილებას რომ განაგებდა თეატრში, იგი ანტრაქტებს შორის პარტერს დააბნელებდა თუ არა პროკლამაციებს ყრიდა ზემოდან, ქანდარიდან. განათლებოდა სცენა და ლადო მესხიშვილი გრიმში გამოწყობილი გამოჩნდებოდა სცენაზე და მგზნებარე სიტყვით მიმართავდა მაყურებელს. დარბაზი მარსელიოზას სიმღერით იშლენოდა... ამას მიუმატეთ, რომ ჩემი ბავშვობა და ყმაწვილობა სოფლად გლეხკაცების ბავშვობაში გამიტარებია და, ნათელი გახდება საიდან დაიბადა ჩემს გულში ის დემოკრატიზმი, ხალხურობა და ჰუმანიზმი, რომლითაც

ცოცხლობენ და მოქმედებენ ჩემი გმირები სცენაზე, პიესებსა თუ რომანებში...

აი, პირველად აკაკი ფალავას სახლში მოვიხიბლე მისი უებარი საუბრითა და დიდი ადამიანობით. ამის შემდეგ მრავალჯერ შევხვედრივარ ბატონ შალვას, მაგრამ ეს პირველი შეხვედრა და გაშინაურება ამ უებრო კაცთან ღრმად დააჩნდა ჩემს სულს....

ბატონი შალვა იყო კეთილი გულისა და ნაზი სულის პატრონი, მუდამ თანაზიარი ადამიანებისადმი. ამპარტავნება უცხო იყო მისთვის, თუმცა კარგად იცოდა თავისი ფასი და ღირსება. შინაგანი სიამაყე მუდამ თან ახლდა მის მოქმედებას. აღნაგობა, ჩაცმულობა, გასაოცარ მომხიბვლელობასა და მიზიდველობას ანიჭებდა. ჩოხა-ახალუხი ეცვა, მოსირმული წულა-მესტით, თუ ტყავის ტანისამოსი, ქურთუკი, შარვალი, ქუდი, ფეხსაცმელი სულ ტყავისა, — თანაბარი სიკონტავეით ჰქონდა მორგებული მის სხეულს. სადაც არ უნდა მოხვედრილიყო, იგი უმალ ყურადღებას იპყრობდა. მეცხრამეტე საუკუნიდან მოსულს ჰქონდა გასული საუკუნის დიდი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა მადლი გამოყოლილი, ოჯახიდანვე დანათლული — სიღინჭე, სისპეტაკე, დარბაისლობა, კაცთმოყვარეობა, თავდადება და მამულიშვილობა...

1954 წელს ბატონ შალვას დაბადების 80 წელი უსრულდებოდა. საქართველოს მწერალთა კავშირმა დაადგინა, ეს თარიღი აღნიშნულიყო დიდი საიუბილეო საღამოთი. გადაწყვიდა, შალვა დადიანის დაბადების 80 წლისთავის იუბილე გამართულიყო 25 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. მომხსენებლად მე დამამტკიცეს. ამასთან დაკავშირებით იუბილარს შინ ვესტუმრე, რომ მასთან ერთად დამეზუსტებია ზოგი რამ, როგორც მომხსენებელსა და როგორც მწერალთა კავშირის მდივანს. 1954 წლის ივნისის ბოლოს გაიმართა საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობა. ამ ყრილობაზე ბატონი შალვა საკავშირო მწერალთა მეორე ყრილობის დელეგატად და საქართველოს მწერალთა პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს. საკავშირო ყრილობა დანიშნული იყო წლის ბოლოსათვის, საქართველოს ყრილობისა და საკავშირო ყრილობას შუა — 25 სექტემბერს ბატონი შალვას იუბილე. დიდად ესიამოვნა ქართული მწერლობის პატრიარქს

ეს დაფასება და დიდი ხალისითაც მიმიწვია შინ. ეს დიალოგიც მაშინ შედგა: — მე ბედნიერ მოხუცებულობას შევესწარი. 80 წელი ეს ცოტა როდია, ხალხი ჩემს მცირე ამავს არ მიკარგავს, აი, ეს 80 წლის იუბილევ ამის დასტურია. მე ვიცი, თქვენ, როგორც მომხსენებელი შემაქებთ, როგორც ეს მიღებულია საიუბილეო საღამოებზე, ჩემი თხოვნაა ხაზი გაუსვით მამაჩემის დამსახურებას, ეს იუბილე უპირველესად ყოვლისა მამაჩემის დამსახურებაა. უნივერსალური განათლება ჰქონდა მამას, ზედმიწევნით იცოდა საქართველოს წარსული, განსაკუთრებით ფლობდა ქართული ენის სიმდიდრესა და საიდუმლოებას; მწიგნობარი, პოეტი, ლინგვისტი, ისტორიკოსი, მთარგმნელი, ლექსიკოლოგი, წარმოიდგინეთ ექიმიც, შინგაზრდილი და თვითგანსწავლული ექიმი, იმდენად მცოდნე და შეუმცდარი დიაგნოსტიკაში, რომ მთელს დასავლეთ საქართველოსა და ქუთაისში განთქმული ექიმი სამსონ თოფურია მამასთან აგზავნიდა პაციენტებს, ხოლო როცა გადაწყდა გამოცემულიყო „ვეფხისტყაოსანი“ ახალი რედაქციით, მამა ამ ახალი რედაქციის დამდგენ კომისიაში შეიყვანეს დიდ ილიასთან, აკაკისთან, გრიგოლ ორბელიანთან ერთად. არა, მამა დიდი კაცი იყო და თუ არა მამაჩემი და მისი უკიდვგანო გავლენა, მე შეიძლება ძველებური დარდიმანდი თავადიშვილი გამოვსულიყავ. ამისათვის მიწყობდა ხელს ღონიერი მემკვიდრეობა დედულეთისა და მამულეთის მხრით: ზემო იმერეთში 4 სოფლისა და ბერთემში ორი სოფლის მებატონედ ვითვლებოდი. მამას დედისაგან (ბებიაჩემი აბაშიძის ქალი იყო) ზემო იმერეთში დიდძალი მამული ერგო წილად. დედა — წულუკიძის ქალი, ადრე გარდაგვეცვალა და მე და ჩემს უფროს დას მაშოს, ბებია — მარიამ აბაშიძე გვზრდიდა. ამგვარად, ზემო იმერეთში — სააგარაკო სოფ. რგანში შავი ქვა დაგვრჩა სამემკვიდრეოდ, ეთოხევეში — გიშერი, სავანესა და ცხამში მამულები. სამეგრელოში ბერთემი და უშაფაში, მაგრამ მე და ჩემს დასაც, მამის შთავონებით მებატონის ცხოვრება კი არა, მწერლობა და თეატრი გვიტაცებდა. მამულეთში და დედულეთშიაც სულ წიგნებზე და ძველ ისტორიაზე გვესმოდა საუბარი. ამ დროს ჩემზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, რომელთა კულტი იყო გამეფებული ჩვენს ოჯახში. ეს იყო ჩემი რომანი-

ტიკა. სამეგრელოს მთიანეთში — ბერთემში და ზემო იმერეთშიც, სადაც წმინდად იყო დაცული ძველი ქართული მაღალი ზნეობა და წესს-ჩვეულება, გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი და ვეცნობოდი მშრომელი კაცის მძიმე, მაგრამ მიწაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანების ცხოვრებას და ფსიქოლოგიას. შთამომავლობით არისტოკრატი, გლეხის ბავშვებთან ერთად შევეჩვიე და შევეზარდე დემოკრატიზმს. ბავშვობიდანვე ცხოვლად დააჩნდა ჩემს სულს ქვეყნის მარჩენალი მშრომელი კაცის ჯანსაღი სიყვარული. ამავე დროს პატრიოტულ ატმოსფეროში, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლი იდეალებით შთაგონებული ოჯახში ვიზრდებოდი. მამა თავად იყო ერთ-ერთი თავკაცი დასავლეთ საქართველოში იმ დროინდელი მოძრაობისა, რომლის მამები ილია და აკაკი იყვნენ. მე ბავშვობიდანვე მამის სახლში ვუსმენდი ილიას, აკაკის, ბესარიონ ლოლობერიძეს, კირილე ლორთქიფანიძის, მამია გურიელის, ვანო მაჩაბლის, დუტუ მეგრელის, შიო ჩიტაძის, არჩილ ჯორჯაძის, მიხა ცხაკაიას და სხვათა მომხიბლავ საუბრებსა და ცხარე კამათს ჩვენის ქვეყნის ბედის მომავლის თაობაზე, თვით მე ხელნაწერ ჟურნალს ვუშვებდი და თავად ვიყავ უკვე ყმაწვილკაცი ჩაბმული მწერლობის ფერხულში. ხოლო პროფესიონალ თეატრს, როგორც მსახიობი და რეჟისორი 1893 წლიდან მივეკედლე, 1896 წელს კი გაზეთ „ივერიაში“ ილიას რეკომენდაციით დაიბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა „წმინდა ცრემლები“... მე, როგორც ხედავთ 80 წელს მიღწეული კაცი ვარ, ამიტომაც ბევრ რამეს მოვესწარი, ვნახე და განვიცადე, ამავე დროს, არ დაგავიწყდეთ ეს დრო, 1890-იანი წლებიდან მოკიდებული, მეტად მწვავე გარდატეხის პერიოდი იყო ჩვენი ერის ცხოვრებაში — აღსავსე მღელვარებით, დაძაბული იმედით, რწმენით, შიშით და სევდით...

ბედი მაინცდამაინც არ მწყალობდა; ჯერ იყო და დედა სრულიად ადრე გარდამეცვალა, მერე იყო 1898 წელს მამა გამომეცალა. ეს უკვე დიდი ტრავმა იყო. მით უმეტეს პირველ წლებში, თეატრში რომ ფეხი შევდგი. ჩემი ნათესავი თავადიშვილები დამცინოდნენ კიდევ. მაგრამ მე ერთხელ არჩეული გზისათვის — ვყოფილიყავი მწერლობისა და თეატრის მსახური, — არც არასოდეს მიღალატია, რადგან ამაზე დიდი



ასპარეზი, რომ ემსახურო შენს ერს ნამუსიანად, მე არ მეგულებოდა... ყოველ დღეს ახალი და ახალი მოჰქონდა და ევლოდით იმ „აღთქმულ ქვეყანას“. ამ ახალ ქვეყანასაც შევესწარი და ჩემი თვალით ვნახე და არა მარტო ვნახე, არამედ აქტიურად ვიბრძოდი ამ ქვეყნისათვის, როგორც არტისტი და როგორც მწერალი. პირნათლად გამოვყევი რევოლუციური საქართველოს გზას. პირველი ნათლობა 1905 წლის რევოლუციის მივიღე, რევოლუცია ბობოქრობდა, როცა რუსეთს მივაშურე და უნივერსიტეტში შესვლა განვიზრახე, მაგრამ რეაქციამ მომისწრო და მეც გადავწყვიტე ევროპაში გამგზავრება — ოდესაში გემიდან ჩამომსვეს და იძულებული გავხდი ისევ სამშობლოში დავბრუნებულიყავ. 1907 წელს ოდესაში დავწერე პიესა „როს ნადიმობდნენ“, რომელშიაც რევოლუციის ქარიშხალს ვუძღერე და ვიწამე. განვიზრახე ხალხში განმემტკიცებინა რწმენა რევოლუციის გამარჯვებისა და ამავე მიზნით 1912 წელს „მოგზაურთა დასი“ დავაარსე და ამ დასით ხან ფეხით, ხან ეტლით, ხან მატარებლით მთლად საქართველო მოვიარეთ. ამ დასის საფუძველზე 1914 წელს ბათუმში დავაარსე „დრამატული საზოგადოება“, ხოლო 1917 წელს ერთ-ერთი ინიციატორი ვიყავი „მსახიობთა კავშირისა“ და „მწერალთა კავშირის“ დაარსებისა. 1921 წლიდან გვერდში ამოვუდექი როგორც თეატრალი და მწერალი საბჭოთა საქართველოს. 1921 წლიდანვე მიმიწვიეს მაშინდელი განათლების კომისარიატში და სარეპერტუარო კომიტეტის თავმჯდომარედ დამამტკიცეს, იქიდან მოყოლებული დღემდე (მაშინ ბატონი შალვა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე იყო) ერთ-ერთი ორგანიზატორი და მშენებელი ვარ ქართული თეატრალური ცხოვრებისა; ხოლო როგორც მწერალმა ჩვენი ხალხის ეს „ძველი“ და „ახალი“ ცხოვრება ჩემებურად ავსახე ჩემს პიესებსა და ბელეტრისტულ ნაწარმოებებში. თუ როგორ შევძელი ეს, ყოველივე ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია. თქვენ ხომ, როგორც მომხსენებელმა ჩემს 80 წლის იუბილეზე მსჯავრი უნდა გამოუტანო ჩემს მცირედ ნაღვაწსა და ნამოქმედარს...

— რატომ მცირედს, — სიტყვა ჩავუჭერ ბატონ შალვას, — თქვენი დიდი დამსახურება ქართული თეატრისა და ქართული მწერლობის წინაშე უკვე შეათასა ქართველმა ერ-

მა და თქვენ გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მაღალი ტიტული გიბოძათ — ბუნებით მომადლებული ნიჭის წყალობით თქვენ, ბატონო შალვა, ერის ორ სალოცავ ღმერთს — თეატრსა და მწერლობას ღირსეული სამსახური გაუწიეთ, ამიტომაც ერთ-ერთს პირველს მოგენიჭათ საქართველოს სახალხო არტისტის სახელი და, პირველი მწერლებს შორის აგირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. თქვენი მშობლიური ხალხის ეს დაფასება უანგარო და პატიოსანი შრომით დაიმსახურეთ ბატონო შალვა — და კაცი ბრმა უნდა იყოს, რომ ეს არ დაინახოს.

ბატონი შალვა ადგა, გადამეხვია და მაკოცა. მის თვალებში პირველად შევნიშნე ცრემლები, ეს იყო ცრემლი სიხარულისა...

მაღალი თეატრალური გემოვნებითა და საყოველთაო სახალხო სიყვარულით აღინიშნა ბატონი შალვას 80 წლის იუბილე. ქარმაგი მოხუცი სცენაზე იდგა ისევ მხნე, ისევ მღერალი. მეორე დღეს იგი მწერალთა კავშირში მეწვია და დიდი მადლობა გადამიხადა მოხსენების გამო.

— განსაკუთრებით მეამა ჩემი „გიორგი რუსი“ რომ აქეთ... შენ გახსოვს, აქ, სწორედ მწერალთა კავშირში ობსტურქცია მომიწყვეს ამ რომანის გამო. ჩემს ნაწერებში ყველა მიყვარს, მაგრამ გამორჩეულად „გიორგი რუსი“, „უბედური რუსი“ — თავდაპირველად ასე ერქვა ამ რომანს. და ამით ხაზგასმული იყო უ ბ ე დ უ რ ი. გიორგი უფლისწული, რომელიც თვალადიც იყო, უშიშარიც და ტანადიც. მაგრამ უბედური — გამოუსწორებელი ლოთი და ავი ზნით შეპყრობილი. აქედან წარმოდგებოდა უბედურება ამ ახალგაზრდა კაცისა.

აქ შეჩერდა ბატონი შალვა და მერე ისევ განაგრძო.

— ჩემს ერთგვარ აღშფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ ჩემის ფიქრით, ჩვენი ისტორიის წარსული არ იყო სათანადოდ გაშუქებული, განსაკუთრებით ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში. აი, თამარ მეფე და მისი ხანა. ამისთანა ხანა გვექონია ქართველებს და ამას ყურადღება არ მიექცეს? მერე კიდევ თამარის დროს მეტად საყურადღებო ეპიზოდს წავაწყდი, თამარის გათხოვების საკითხს, რასაც მოჰყვა ტრაგიკული ბედი იური ბოგოლუბსკისა. როგორც იტყვიან, შემოვიწყე საჭირო წიგნები, შევაწუხე ჩვენი ისტორიკოსი ივანე

ჯავახიშვილი ჩემი შეკითხვებით: რა ტანისამოსი ეცვათ მე-  
თორმეტე საუკუნეში ქართველებს — ფეოდალებს, ვაჭრებს,  
გლეხებს, მეომრებს, რას სვამდნენ, რას ჭამდნენ, როგორ ილ-  
ხენდნენ და სხვა. თითქმის ათი წელი ვწერდი ამ ნაწარმოებს.  
მღელვარებით ლაპარაკობდა, ბატონი შალვას მღელვარება გა-  
დამედო და მე ერთბაშად ჩამოვართვი სიტყვა:

— დიახ, თამარი ულამაზესი, უმამაცესი, უგონიერესი  
იყო ქალთა შორის. რა კარგად გაქვთ ეს მხარე გადმოცემული  
რომანში, ბატონო შალვა? თამარის არსებაში ორი თამარი იბრ-  
ძვის. თამარი ულამაზესი და პირმშვენიერი, და თამარი ბრძე-  
ნი, მეფე და გონიერი გამგებელი ქვეყნისა. თავად უპირატე-  
სობას, გონიერებას და ქვეყნის სამსახურს აძლევს და სძულს,  
როცა სილამაზეს უქებენ და მზეს ადარებენ, მართლაც და  
ულამაზეს ქალთა შორის, და აი ასეთი დეტალი თქვენს რომან-  
ში: თამარის გარეგნობით დარეტიანებული ახალგაზრდა ვაჟი  
გულწასული დაეცემა, თამარს კვნესა აღმოხდება: რად და-  
ვიბადე ასეთი ლამაზი, რომ ჩემს გარეგნობას აქცევენ ყუ-  
რადღებას... შოთა ალბათ თამარს გულისხმობს, როცა ნესტანს  
„უწყალო ჯიქს“ უწოდებს. მშფოთვარე ეპოქაში მოუხდა მე-  
ფობა თამარს. ეს რომანი ჩემის აზრით, როგორც მოხსენება-  
შიაც აღვნიშნე გუშინ — ერთიანი საქართველოს საგალობე-  
ლია. თქვენ, ერთიანი, განუყოფელი საქართველოს იდეოლო-  
გი ბრძანდებით. ამით აიხსნება, რომ თამარ მეფის, როგორც  
ერთიანი საქართველოს უებრო მეთაურის გამოძეგრწვას, თქვენ  
ჯერ იყო და პიესა მიუძღვენით — „ვარამი“, მერე — ბრწყინ-  
ვალე რომანი — „გიორგი რუსი“. ისე აღწერთ ისტორიულ  
ეპოქას, გმირთა ცხოვრებას, ისე განიცდით დროსა და ეპო-  
ქას, თითქოს თავად იყოთ მონაწილე ამ ამბებისა. ყვაავილი-  
ვით სურნელოვანი და ნაზი თამარი, მრისხანე და შეუნდობე-  
ლი, როგორც მეფე, დიახ, ნაზი და ლომობიერი როგორც ქალი.  
მაგრამ მაინც მეუფე, მტკიცე და შეუვალი გამგებელი სამე-  
ფოსი. გიორგი მეფე, თამარის მამა რომ გარდაიცვალა, ეგონათ  
ქალია და შევაშინებთო, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა მისი  
მეფური ღირსება. მისმა გონებამახვილობამ, მისმა სათნო-  
ებამ დათრგუნა შინაური და გარეშე მტერი. უზნეო გიორგი  
რუსი ქვეშეცნეულად გამოიცილა. მართალია იძულებული გახ-  
და სვეტიცხოველში შესრულდეს ინდიქტიონი დაწინდვისა

გიორგი რუსზე, მაგრამ როცა გიორგი რუსი ლოთი, უწესო, სოდომის სენით შეპყრობილი აღმოჩნდა, ისე გააძევა სამეფო კარიდან, რომ სარეცელი არ გაუზიარებია მასთან. თქვენ, ერთიანი საქართველოს ერთგულმა, არ დაინდეთ თქვენი წინაპარი ვარდან დადიანი, თავისთავად დიდი ისტორიული პიროვნება, მაგრამ ერთიანი საქართველოს მეთაურის თამარის ორგული. თამარიმ დადიანიც განდევნა, ტახტს ჩამოაცილა, ისე როგორც თვით გიორგი რუსი. გიორგი რუსი აჯანყების მეთაური, ორჯერ დაამარცხა თამარმა. იგი თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს. ხოლო მისი წამქეზებელი ვარდან დადიანი კი მაინც დაინდო მეფემ, დიდსულოვნება გამოიჩინა და ბერად განაწესა მარტვილში. ჩვენ არც ის გვაეიწყებდა, რომ თქვენ თამარს და მის ეპოქას ზეაწეული, თეატრალური სტილით ხატავთ. ეპოქისა და თამარის ერთგვარი გაზვიადებაც მხოლოდ და მხოლოდ ამ თეატრალური სტილით არის გამოწვეული. ალბათ, თამარ მეფეზე წერა სხვაგვარად არც შეიძლება. აკი თვით კოლას ამ უმწიკვლო რაინდს რევოლუციისას უწერია: „მე ვამაყობ იმით, რომ თამარ მეფე ქართველი იყო“ — თუ ეს შეეძლო ეთქვა კოლას, ბატონო შალვა, თქვენ ვითარცა დადიანსა და მწერალს გამშვენებთ კიდევ ერთგვარ გაზვიადებულად, ამალღებულად და რომანტიკულად გამოხატვა ცისიერი და უნეტარესი თამარისა.

— ჰო, ჰო უთუოდ ასეა, მე გეთანხმებით, თავიდან ბოლომდე გეთანხმებით და ამიტომაც გეახელით მადლობის სათქმელად. მეზე არა მართო „გიორგი რუსი“, არამედ ჩემი სხვა ნაწარმოებიც, ზოგ-ზოგი იმაზე მეტად შეაქეთ, ვიდრე ისინი იმსახურებენ. რას იზამ, ასე იცის იუბილეშ. გამოგიტყდებით და გეტყვით, ზოგიერთი ჩემი პიესა, მაგალითად, „ცოცხი და ლოკოკინა“, „არაფერიც არ იქნება“, „უწა-უწა“ სახელდახელოდ დაწერილია, არ არის ლარში გამოყვანილი. ამას თეატრი მოითხოვდა, პიესა გვეჭირდებოდა და პიესები კი არსად ჩანდა და მეც როგორც რეჟისორი და ხელმძღვანელი თეატრისა იძულებული ვიყავი სახელდახელოდ მეწერა, ან როგორც იტყვიან, გამომეცხო ხოლმე. საერთოდ, დიდად გოცებული შევიქენი, როდესაც გავიგე, რომ ლევ ტოლსტოიმ თვითონ თავის ხელით თექვსმეტჯერ გადაწერა მისი დიდებული რომანი — „ომი და მშვიდობა“ — მე კი, წერით ძა-

ლიან ჩქარა ვწერ და წლობით მოფიქრებულ თხზულებას ხშირად რამდენიმე თვეში ვამთავრებ. იმ დროს ჩემი ნაწერის შავს, საკვირველია, არასოდეს ჩავასწორებ ხოლმე, პირდაპირ ჩემს შავს გადავცემ რედაქციას ან გამომცემლობას. ეს აჩქარება ეტყობა განსაკუთრებით ჩემს ზოგიერთ პიესას, ხოლო როგორც ვთქვი, ჩემს რომანს „გიორგი რუსს“ ათი წელი მოვანდომე. ზოგ დრამატულ ნაწარმოებსაც დიდხანს ველოლიავებოდი ხოლმე. ასე დავწერე მე „გუშინდელნი“, „კაკალ გულში“, „თეთნულდი“, „ნაპერწყლიდან“. მე მგონია არც ისე ურიგონი არიან ეს პიესები.

— როგორ? — განა მე გუშინ მოხსენებაში მაღალი შეფასება არ მივეცი ამ პიესებს? — მე ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ რევოლუციამდელ დრამატურგიაში ერთ-ერთი საუკეთესოა „გუშინდელნი“, ქართლის ბედზე დაფიქრებაა „გუშინდელნი“. ეს პიესა საქართველოს დღევანდებლობაზე და ხვალინდებლობაზე დაწერილი პიესაა. ცარიზმის ტყვეობაში მყოფი საქართველოს ტრაგიკული განცდაა, ტრაგიკულ-ირონიული, ოდესღაც ერის წინამძღოლის — ქართველ თავადაზნაურობის ხელში დაკნინებული და მიწასთან გასწორებული საქართველოს ბედია აქ გამოხატული. დავითის, თამარის, რუსთაველის საქართველოს, ვილაც, ვიგინდარა ცარიზმის მოხელე დასცინის, დასცინის, ნამუსგარეცხილი, ერის ისტორიას, მის დღევანდებლობასა და ხვალინდებლობას, კაცი არაა გამკითხავი, პირიქით, ქედმოხრილი უსმენენ ცარიზმის აგენტის ერის ღირსების შეურაცხყოფელ სიტყვებს. პირადი ბედის მაძიებელნი, ეს უსაქმური ნასუფრალის სულის თავადობაც და წვრილფეხა სოფლის „თავკაცნი“, ეს გუშინდელი ადამიანები ეროვნულ არარაობად ქცეულან. მათ ამორთმეული აქვთ ქართული სული და ადამიანური სიამაყე, მაზრის უფროსის ტაკიმახარებად ქცეულან ეს გორგასლანი და მათი შთამომავალნი. ეკონომიური და სულიერი სილატაკე მეუფეობს ირგვლივ: ეკლესია გუმბათ-ჩამტვრეულია, სასწავლებლები კარ-გამოკეტილი, გზები გაფუჭებული, ბოგირები ჩაცვენილი...

ღიახ, ერის ბედზე დამაფიქრებელი, ღრმა ქვეტექსტების მომცველი პიესაა „გუშინდელნი“. თქვენ, ბატონო შალვა, „გიორგი რუსისა“ და „გუშინდელნის“ მეტი არა დაგეწერათ რა, ამითაც დარჩებოდით ჩვენს ლიტერატურის ისტორიაში.

„ნინოშვილის გურია“ და „ჩატეხილი ხიდი“ ხომ თეატრალური ინსცენირების თვალმარგალიტებია.

სწორედ ამ დროს მარიჯანი შემოვიდა, მოგვესალმა, ბატონი შალვა ადგა და ხელზე ეამბორა მარიჯანს, ლამაზი ღიმილით, კომპლიმენტებით შეამკო და შინაურულად მოიკითხა. მარიჯანი რომ გავიდა ისევ ფეხზე წამოუდგა. ქათინაურით გააცილა ბატონმა შალვამ.

ბატონი შალვა საოცარი მოუბარი იყო და თბილი, ტკბილზე უტკბესი მოქალაქე...

ახლა თამადა! მთელს საქართველოში განთქმული იყო მისი თამაღობა. ერთბაშად საოცარ ინტიმს ამყარებდა იგი და გამოუცნობი თილისმით იმორჩილებდა სუფრას, რანაირი ჭრელიც არ უნდა ყოფილიყო მონადიმეთა შემადგენლობა. ვინ გაბედავდა მასთან უწმაწურ სიტყვას, ჭინჭყლსა და შელაზლანდარებას. ჩვენი, მწერალთა და ხელოვანთა თავმოყრას შინ თუ გარეთ, თუ საიუბილეო ბანკეტების თამადა ბატონი შალვა იყო. საერთოდ, სად არ შეხვდებოდით მას თამადად. დიდკაცებში თუ მდაბიოთა წრეში; სწორედ შალვა დადიანის საიუბილეო დღეებში მივიღე ეს ბარათი: „შალვა დადიანმა ნადიმის დროს, 1936 წელს 18 მაისს ჩვენს ოჯახში წარმოთქვა ეს ლექსი, მე ის მაშინვე ჩავიწერე, ვინაიდან ლექსი დაუბეჭდავია გიგზავნით ლ. ბესელია“. აი ეს ლექსი:

სუფრის თამადად და სმა ჭამაში მუდამ  
ვარგივარ მადიანი,  
არავის ახსოვს ჩემი დანახვა მწუხარე სახით  
და დარდიანი,  
თავისუფლების მოტრფიალე ვარ და გული არა მაქვს  
მე სევდიანი.  
ასე განვაგრძობ მე ჩემს ცხოვრებას  
თუ არ დამაკლდა უდროოდ ხანი,  
ნიკოს შვილი ვარ მე ბეთლემელი  
თქვენი შალვა ვარ მე დადიანი“.

„ჩვენი შალვა“, ასე იცნობდნენ მას მთელ საქართველოში. ბატონი შალვა საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით იყო გარემოცული. და აი, ამის კიდევ ერთი დასტური: „საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოში 1923 წლის 2 თებერვალს განიხილეს შალვა დადიანის იუბილეზე მონაწილეობის

მცლებს შესახებ. დაადგინეს, მისასაღმებელი სიტყვის თქმა დაევალოს ლეო ქიაჩელს. იუბილარი შალვა დადიანი, როგორც ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი მწერალთა კავშირისა, არჩეულ იქნას საპატიო წევრად და მისი სურათი დაიკიდოს საბჭოს დარბაზში. თავმჯდომარე კ. მაყაშვილი“.

შალვა დადიანი ამშვენებდა საბჭოთა მწერლობის დიდ ოჯახს თავისი შემოქმედებითი და მაღალი ეროვნული, საზოგადოებრივი მეობით. მაგონდება საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა 1958 წელს მოსკოვში. კავშირების სექტებიან დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა დეკადა. სხდომას თავმჯდომარეობდა რუსეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ლეონიდ სობოლვევი. ეს ის სობოლვევა, რომელმაც სრულიად საკავშირო მწერალთა პირველ ყრილობაზე თქვა: საბჭოთა მწერალს ყველაფრის უფლება აქვს გარდა ცუდად წერისა... დეკადის საზეიმოდ სხდომაზე პირველი გამოვიდა საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ლექსით — „დეკადის დროშები“. იგი მხურვალე ოვაციით დააჯილდოვეს. ლექსი ხომ ლექსია, რა ენაზედაც არ უნდა იყოს იგი წარმოთქმული, თითქოს ძნელი იყო ამის შემდეგ გამოსვლა. მეორე სიტყვა შალვა დადიანს მისცეს. ჩონა-ახალუხში გამოწყობილმა, ქართული მწერლობის პატრიარქმა, თავისი საოცარი მომხიბვლელობითა და ღიმილით უმაღლესი მიიპყრო ყურადღება. მრავალ საუკუნოვან მწერლობაზე რამდენიმე მოსწრებული სიტყვა თქვა და პიროვნებაზე გადავიდა. — მეც მოვიპოვე პოეზიის ამ უმშვენიერეს ქვეყანაში — საქართველოში უფლება ჩემს თავს მწერალს ვუწოდებდე. ჩემი კალამი მუდამ ხალხს ემსახურებოდა. შთაგონება ჩემი ხალხის ბედი იყო, მუხა კი ქალი. ქალის სილამაზის უზომო ტრფიალი მჭირდა და, რაც რამე მე დამიწერია ამ ციბედულის მადლია. აი, იმ ლამაზი ქალის მადლი, ახლა აქ ამ დარბაზში რომ ზის, აი სწორედ ის... მაგრამ ხელი კი არ მიაშურა, არამედ მიმართა დარბაზს, დარბაზში კი მშვენიერ სქესთა ლამაზმანები ცოტანი როდი იყვნენ. და რომელი ერთის მისამართით იყო წარმოთქმული ეს ხოტბა გამოუცნობი დარჩა. ყველა წარამარა უკან იხედებოდა და ეძებდა იმ ქალს დარბაზში. ამ შესანიშნავმა, არტისტულად შესრულებულმა ექსტმა მთლად მოხიბლა საზოგადოება, საოცარი ოვაცია გაუმართეს ბატონ შალ-

ვას. იმ საღამოს ეს იყო ყველაზე მოხდენილი, მახვილგონიერი, არტიზმით სავსე მოკლე სიტყვა. ამ გახურებულ ოვაციაში მე მომაგონდა გერონტი ქიქოძის სიტყვები „შალვა და დიანის „გვირგვილიანების ოჯახის“ გამო ნათქვამი: „ვინ არის ეს ციბედული, რომელსაც რომანტიტი მრავალჯერ მიმართავს თავის ნაწარმოების შენაკადებში? შეიძლება ეს რომელიმე კონკრეტული პიროვნება იყოს, რომლის შეხვედრას წარუშლელი კვალი დაეტოვებინოს ავტორის მეხსიერებაში. შეიძლება ეს იყოს ქალურობის იდეის განსახიერება, მუდმივი ქალურობა, რომლის შთაგონების გარეშე შეუძლებელია მამაკაცის შემოქმედება“...

ბატონი შალვა 85 წლისა იყო უცბად რომ შეუძლოდ შეიქნა. ის სამკურნალოდ მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში დააწვინეს. ბატონ შალვას დაძაბუნება და სიბერე არ დასტყობია. არც სკლეროზი მიკარებია მის გონებას. ამიტომაც საავადმყოფო და შალვა ძნელად წარმოგვედგინა. იმავე საავადმყოფოში იმავე სართულზე ქალთა განყოფილებაში ჩემი მეუღლე იწვა. იმ დღეს ჩემმა მეუღლემ მწერალთა კავშირში დამირეკა, წუხელ ბატონი შალვა ცუდად გახდაო. მაშინვე წავედი და ვინახულე. იმ დღეს უფრო დიდხანს დავყავი ბატონ შალვასთან. მას თავზე ადგა მისი მეუღლე — ქალბატონი ნინო. მე რომ შევედი ქალბატონი ნინო ადგა, ჩემს მეუღლესთან გავიდა. რაკი მარტო დავრჩით, ბატონმა შალვამ მომმართა: ვატყობ, რომ სიკვდილი მეპარება. აი, სადღაც ამ ეზოშია დამალული და ამალამ თუ არა, ხვალ შემოალაჯებს...

— შალვა შენთან სიკვდილს რა ხელი აქვს, ჩვენ რომ ასი წლის იუბილეს გადავიხდით, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ მეთქი.

— არა, ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ თითქოს სიკვდილისა მეშინოდეს. სიკვდილისა კი არ მეშინია, ხომ 85 წელი მოვიყარე და ამ მშვენიერ სიცოცხლესთან გაყრა მენანება. თურმე ვაუმაძღარია კაცის გული. მე ხომ დიდი ეპიკურელი და უზომო მოტრფიალე ვარ ცხოვრებისა.

შეჩერდა. პირველად ვნახე ასე გულგატეხილი შალვა. სადღა იყო ის შალვა; წინა დღეს უკეთეს გუნებაზე იყო. მიამბო, დღეს ჩემთან იყო ალიო ადამია და საბოლოო ვარიანტი გადავეციო ახალი წიგნის „რაც გამახსენდა“. ექთან



რომ შემოვიდა იმას დიდი ქათინაურებით მიმართა. დღეს კი სულ სხვა შალვა ვიხილე. შემომჩივლა — გუშინ სანდრო შან-შიაშვილმა მნახა და გულისტკივილით მითხრა — შენი პიესა „ნაპერწყლიდან“ აუკრძალიათო. მართალი გითხრათ არ გამკვირვებია, სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკას ბუნებრივია ჩემი პიესაც რომ მოყვა და, მაინც ძალზე დამწყდა გული. ვერ ვიტყვი, რომ ის უნაკლო კაცი იყო, მე მას პირადად ვიცნობდი, სამკერ საქართველოში შევხვედრივარ კიდეც, დავეკვირვებოვარ, დავეკვირვება ხომ ჩვენი ხელობაა, მწერლის პირველი მოვალეობა, ჭიუტი იყო, საოცრად ჭიუტი და ეჭვიანი, მაგრამ უთუოდ დიდი პიროვნება. მე მას მეოთხედ ბაქოში შევხვდი გადასახლებიდან გამოქცეულს და ეს ავწერე კიდეც ჩემს ესკიზში „ის“. მისგან მოხიბლულმა დავწერე ეს პიესაც — „ნაპერწყლიდან“, და ამ პიესაში მარტო სტალინი კი არა, რევოლუციური ბათუმი გამოვსახე. ბათუმისა და ბაქოს მუშათა კლასის რევოლუციურ გამოცდილებას, რომლის მოწმე მე ვიყავი, კარგად ვიცნობდი. აკი ჩემი „მოგზაურთა დასის“ საფუძველზე 1914 წელს იქ, ბათუმში დავაარსე მუდმივი ქართული დრამატული თეატრი. სხვათაშორის ამ დასში მივიწვიე მიშა გელოვანი, რომელმაც შემდგომში ასე ჩინებულად რომ შეასრულა სტალინის როლი რამდენიმე პიესასა და კინოში. მთელი ჩემი დიდი გამოცდილება, სულით და გულით ჩავაქსოვე ამ პიესაში და, მე პიესა „ნაპერწყლიდან“ გამორჩეულად მიყვარდა. მოწონებაც ხვდა მას წილად. იგი თბილისსა, მოსკოვსა, ლენინგრადსა და სხვა 22 საბჭოთა თეატრში დაიდგა.

აქ შეჩერდა, ძალღონე მოიკრიფა და ისევ განაგრძო:

— მე ცოტა წყენა როდის არ შემხვედრია, ჯერ იყო და „უბედური რუსის“ გამო შავი დღე მაყარეს — ნაციონალისტად ბაგრატიონების მეხოტბედ გამომაცხადეს, ახლა მთლად უცნაური, რევოლუციური პიესა „ნაპერწყალი“ აუკრძალიათ. მე მაინც ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს. რა არის ბოლოს და ბოლოს ბედნიერება? მითქვამს და ვიმეორებ — უთუოდ ის, რომ დარწმუნდე, რომ ტყუილად არ გიცხოვრია ამ ქვეყანაზე, ბევრს არა, მაგრამ ცოტა რამეს მეც ვაკეთებდი ხალხის სასარგებლოდ და ეს დამიფასდა. ბედიც თითქოს მწყალობდა და გამიბანა, ტკბილ სიბერეს მიმალწვივინა, აგერ 85 წლისა მოვიყარე. ხალხის სიყვარულიც არ დამკლებია. მთელი ჩემი

სიკაბუჯე შეეწირე ქართულ თეატრს. იგი იყო ჩემი გიმნაზია და უნივერსიტეტიც. თეატრმა ბევრი რამ შემძინა და, მეც ვემსახურე ერთგულად, როგორც არტისტი, რეჟისორი და დრამატურგი. ასზე მეტი პიესა დამიდგამს, ორმოცამდე დამიწერია, ასოთხმოცამდე როლი შემისრულებია, მათ შორის მაქსიმ გორკის მსახიობი, შილერის კარლ მოორი, შექსპირის მეფე ლირი, სუმბათაშვილ-იუჯინის ოთარ-ბეგი... რევოლუციამდელი მწერლობა და თეატრი იყო ქართველი ერის მეგზური, მათ იხსნეს ცარიზმისაგან ჩვენი ენა ქართული და მეობა ჩვენი ეროვნული... აბა რევოლუციამდელი ქუთაისის ქართულ თეატრს რა სახსარი გააჩნდა, სადაც მე პირველად ფეხი ავიდგი. გვიჭირდა, ხშირად სეზონში ერთხელ ვარიგებდით ჯამაგირს. ჭიათურის რაიონში დედულეთის მხრივ სოფელი რგანი, მარგანეცის საბადოთი განთქმული, მემკვიდრეობით მე მეკუთვნოდა. იჯარით ვაძლევდი ამ საბადოს და საკმაო თანხასაც ვიღებდი. ამ ფულს თითქმის მთლიანად თეატრს ვახმარდი. როგორც არა ერთხელ მითქვამს თეატრისაგან მე დიდად ვარ დავალებული, მაგრამ არც მე დავრჩენილვარ ვალგადაუხდელი. ხშირად, როგორც იტყვიან ხოლმე, გაქირავების ტალკვესად მოვლინებულვარ თეატრს. ერთხელ, ნინო ჩხეიძის ბენეფისი უნდა გაგვემართა ქუთაისში. ლადო მესხიშვილმა ურჩია კარევეის პიესა „როკოვოი შაგ“, ჩვენი სასიქადულო არტისტის, ქალბატონ ნინოს თხოვნით სახელდახელოდ ვთარგმნე ეს პიესა. იმ პიესაში ერთი სასიმღერო ლექსიც იყო. ის ლექსი ასე გადმოვაქართულე:

— მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს;  
 რაც რომ ჩემთვის მოუცია მალლიდან ღმერთს  
 სიყვარული, სიხარული  
 მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს...  
 სიცოცხლეში საფლავშიაც შენთან ერთად  
 შენთან ერთად...

ტექსტს მსახიობ კოტე სარჯველაძესთან ერთად მელოდია მოვარგეთ. ისე გავრცელდა მელოდია და ტექსტიც, რომ ხალხი ახლაც მღერის, მხოლოდ, იშვიათად თუ ვინმემ იცის, რომ ამ ლექსის ავტორი მე ვარ. ის კი არა, ერთ დროს რუსეთში დაიბეჭდა კიდევაც ეს რომანსი და ზედ დააწერეს: „Грузинская народная песня“.

ეს ჩვენი თავადაზნაურობა რევოლუციის პირველ წლებში, ნახევრად გარუსებულნი ცარიზმის სამსახურში, ქართულ დაწესებულებებებში რუსულად უქცევდნენ. მე მათ საოცრად მორაგებულად დავსცინე ჩემს პიესაში — „კაკალ გულში“. ვახსოვს: „ვჩომ დილო, ტავარიში“ და „იასნო დაღში“... პირველ ფრაზას უშანგი ჩხეიძე და მეორეს — სანდრო ჟორჯოლიანი ისე ნიჟიერად წარმოთქვამდნენ, რომ მათი მიბაძვით მთელი ქუთაისი (მაშინ მარჯანიშვილი ქუთაისის თეატრს ხელმძღვანელობდა. იქ დაიდგა ეს ჩემი პიესა პირველად, მერე თბილისში) და შემდეგ მთლად საქართველო იმეორებდა ამ ფრაზებს შინ თუ გარეთ. ასე რომ, პოპულარობა არ მაკლია როგორც თეატრალს... სცენაზე ვთამაშობდი თუ სადმე ტრიბუნაზე შევედგებოდი, მე, ხალხით გაქედილი დარბაზი მხურვალე ტაშით მაჭილდობდა. არა, უთუოდ ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი...

აქ შეჩერდა, ამით ვისარგებლე და ვცადე მივალერსებოდი და სიტყვა დავიწყე, მომიჭრა, არა ჩემო სერგი. მე შენგან ქება და აღერსი არ მაკლია. ახლა ბოლო სათქმელი მათქმევი-ნეო...

— ვხედავ მე აქედან ცოცხალი ვერ გამოვალწევ. ვიცი პირველი კითხვა დაისმება, ეს იქნება — სად დავმარხოთო... სიტყვა გაუწყდა, ვერც მე მოვახერხე ხმის გაღება.

— მამაჩემის გვერდით — დიახ, ბერთემში...

ახლა კი შევეპასუხე, ბატონო შალვა, რა დროს ამაზე საუბარია, ჩვენ კიდევ დიდხანს უნდა ვიცოცხლოთ და ვიბრძოლოთ ერთად მეთქი.

ვაფთორებულ პირსახეზე ღიმილი გადაეფინა და ისევ მომიჭრა სიტყვა, არა, მე ვხედავ, აგერ მიქელ-გაბრიელი ზევიდან დამცქერის და ელიმება... მე იმასა გთხოვ, რომ ეს ჩემი ანდერძი დაიმახსოვრო და გადასცეო სადაც ჯერ არს...

მართლაც, სწორედ იმ საღამოს გარდაიცვალა შალვა დადიანი, მაგრამ სამდივნოსა და პრეზიდენტზე კი არ დასმულა საკითხი სად დაეკრძალათ შალვა დადიანი. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს გადაწყვეტილებით მთაწმინდის პანთეონში მიეჩინა საბოლოო განსასვენებელი...

ეს იყო 1944 წლის 8 ნოემბერს. ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ განხილვა იყო დანიშნული. ბატონმა კონსტანტინემ მთხოვა თან გავეყოლოდი და მონაწილეობა მიმელო დისპუტში. 8 ნოემბერს დილაადრიან გავუდექით ვზას. ჯერ კიდევ ღამის ნისლი ებურა თბილისის ზეცას, მცხეთამაც ნისლი შემოგვაგება: ჯერის მონასტრიდან გადმორეკილი ნისლი მტკვრის მარჯვენა ისლის ჭალას გადაფენოდა. და მე წამღერებით წამოვიწყე:

ისლის სახლი, ისლის სახლი

ქარი

ქარი

ქარი

შენ მაჩვენე მზის სიახლე

და ზღაპრების მხარე.

მე

ზღვის ნისლებს გადაეყევი და მთებს მივეფარე,

ველარ ენახე შენი სახე, ველარ მოგისწარი.

ისლის სახლი, ისლის სახლი

ქარი

ქარი

ქარი

ჩემი სისხლი შენსკენ იწეეს, ჩემი სისხლი ჩქარი,

ისლის სახლი, ისლის სახლი

ქარი

ქარი

ქარი

და ის იყო კონსტანტინე ბატონის მიერ დაგეშილმა მძლოლმა, აექსენტიმ სვლას უკლო და მერე წამით შეაჩერა. კონსტანტინე ოდნავ გადმოიხარა მარჯვნივ, მზერა მიაპყრო მტკვრის გაღმა აღმართულ ხვლიკისფერ სვეტისცხოველს და ვითა ლოცვა ისე წარმოთქვა: კურთხეულია ნაბიჯი ვალმოხდილისა, მხოლოდ ოსტატს არ დაეწევა სიკვდილი... ეს თქვა და დადუმდა. აექსენტიმ ერთბაშად მანქანა ადგილიდან დასძრა. ტირიფონის ველი ისე გავლიეთ, ხმა არ გაუღია ბატონ კონსტანტინეს.

სურამს გავცდით და რიკოთის აღმართს შევეუდექით. ზუგდიდელები ზესტაფონში დაგვხვდნენ, რაიკომის პირველი

მდივნის გრიგოლ ჩაჩიბაიას მეთაურობით. ბატონ კონსტანტინეს განსაკუთრებული მოწიწებით შემოეგებენ, რაიკომის მდივანმა თავის მანქანაში გადაგვსვა და საუბარი გაგვიბა. სოფელ ცაიშში კი პიონერები, მოსწავლეები და რაიონის თავკაცები დიდი ზეიმით შეგვხვდნენ. სახელდახელო მიტინგის შემდეგ სკოლის დირექტორის სახლში ზღაპრული სუფრა გაიშალა. ბატონმა კონსტანტინემ დიდად მოილხინა და სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ამბობდა. ყოველ სადღეგრძელოს დავით აღმაშენებლის ქებათა-ქებით ამთავრებდა.

სალამოს 7 საათზე ავიშალენით და ზუგდიდის სახელმწიფო თეატრს მივაშურეთ. თეატრის მოედანი სავსე იყო ორრიგად ჩამწკრივებული ხალხით, ზუგდიდის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებით, პიონერებითა და მოწაფეებით, მანქანიდან ჩამოვედით თუ არა, პიონერებმა ყვავილების თაიგული მოგვართვეს. რაიკომის მდივანი წინ გაგვიძღვა, მოწაფეები ყვავილებს უყრიდნენ ფეხქვეშ კონსტანტინე ბატონს, და ხალხის ტაში და ვაშა მიგვაცილებდა, თეატრის წინ გუნდი მრავალქამიერს მღეროდა. დარბაზში რომ შევედით, ფეხზე ამდგარმა ხალხმა ტაშის ქარიშხალი შემოგვაგება.

შეხვედრა რაიკომის პირველმა მდივანმა გახსნა. მერე სიტყვები, სიტყვები. საოცარი, გულითადი სიყვარული და თავანისცემა დაუდასტურეს ქართულ სიტყვის დიდოსტატს. ბოლოს სიტყვით ბატონი კონსტანტინე გამოვიდა.

მწერალმა ვრცლად ილაპარაკა ერის წინაშე მწერლის პასუხისმგებლობაზე და დიდი სამამულო ომის დასასრულის მოახლოება მოულოცა დარბაზს. იმაზედაც მოუთხრო, თუ როგორ მიმდინარეობდა რომანზე მუშაობა. მაშინ ეურნალ „მნათობში“ „დავით აღმაშენებლის“ მეორე ნაწილი იბეჭდებოდა და საოცრად დიდი იყო მკითხველთა ინტერესი. ბოლოს კითხვებზე გასცა პასუხი: ერთი ეკითხებოდა, ბოლოს და ბოლოს შეირთავს თუ არაო დავით აღმაშენებელი დედისიმედს ან რა ბედი ეწევაო დედოფალს? — მე ჟერაც არ ვიციო — უპასუხა ბატონმა კონსტანტინემ, რა ბედი ეწევა დედოფალს ან შეირთავს თუ არა დედისიმედს დავით მეფე.

სხვა შეკითხვებით თავად დავით აღმაშენებლის თაობაზე მიმართავენ მწერალს. — დავით მეფე მართლაც ლაზიანო წარმოშობით, ბაგრატიონანთა ლაზი? — საქართველოს ისტო-

რამი ჩემი გზის მკვლევი და უპირველესი კონსულტანტი დიდი ივანე ჯავახიშვილია, ივანე ჯავახიშვილზე უფრო დიდი ეროვნული მოღვაწე დიდი ილიას შემდეგ ჩვენ არ გვყოლიაო, მას, წარსულის გულთამხილავს, ერთგან მინიშნებული აქვს: საქართველოში ბაგრატიონანთა ორი შტო იყო: აღმოსავლეთისა და დასავლეთ საქართველოს შტო, ამის მიხედვით მე მეჩვენება, რომ ლაზების (იგულისხმება — ლაზების, ქანებისა და მეგრელების) ერთი დაწინაურებული გვარის წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოს მეფედ გამოცხადდა. მე ასე მგონია, რომ დასავლეთ ბაგრატიონანთა შტოთაგანია დავით აღმაშენებელი. მით უმეტეს რომ საქართველოს გაერთიანების იდეა სწორედ დასავლეთ საქართველოდან წამოვიდაო. უფრო ვრცელ განმარტებას მოერიდა და დაჯდა. ამ დროს ტაშის გრიალში თეთრ ნაბადმოხურული, თეთრწვერა მოხუცი შემოვიდა სცენაზე და ბატონ კონსტანტინეს მიადგა. თავად ნაბადი მოიძრო და სასოებით მოახურა სტუმარს, ბატონი კონსტანტინე კოლხური წესით მკერდზე ეამბორა მოხუცს, იმ მოხუცმა კი შუბლზე აკოცა მწერალს; ახლა ზურგზე ხურჩინ-მოკიდებულმა რუხფარაჯიანმა მწყემსმა შემოალაჯა სცენაზე, ხურჩინის ერთ კალთაში შვლის ნუკრი იყო — მეორეში ციკანი. მწყემსმა ფეხთან დაუდო ხურჩინი მწერალს, ისევ იგრიალა ტაშმა და სცენაზე მოწაფეთა ფორმაში გამოწყობილი ქალ-ვაჟი შემოვიდა — ჭაბუკს ჟღალი ფერის ჩოხა და ქამარ-ხანჯალი მოჰონდა, ქალიშვილს — ატლასის ახალუხი და აბრეშუმის ყაბალახი...

ფეხზე ამდგარი დარბაზი განუწყვეტლივ უკრავდა ტაშს, უზომოდ გაიხარა ბატონმა კონსტანტინემ (ის შვლის ნუკრი და ციკანი ჩამოუყვანეს თბილისში და დიდხანს ყავდა შინ, კოლხურ კოშკში).

მეორე დღესვე დავბრუნდით თბილისში, როცა ქუთაისს გამოვცდით, ბატონმა კონსტანტინემ ბრძანა: — ერთიანი და მთლიანი, განუყოფელი საქართველოს იდეალი ბავშვობიდან გულში ჩამესახა. 10 წლისა თუ ვიქნებოდი, გელათში დავით აღმაშენებლის ფრესკას, მის ღიღრონ და ცისფერ თვალებს თვალები რომ გავუსწორე. საქართველოს ერთობისათვის მებრძოლი ამ მეფის სახე და მისადმი მოწიწება და სიყვარული ბავშვურ გულში ჩავიბეჭდე. ასე მგონია, ამის შემდეგ

მისი ლანდი ყველგან თან მსდევდა ტრიბუნაზე მდგარს თუ პოლემიკური წერილების, ნოველებისა და რომანების წერი-სას, სულ ერთია, თანამედროვეობაზე ვწერდი თუ ისტორიულ თემებზე. ვინც გონების თვალთ დააკვირდება ჩემს შემოქმე-დებას და მოღვაწეობას, ის უთუოდ შეამჩნევს: ჩემი მზერა მუდამ მიპყრობილი იყო ერთიანი საქართველოს ხუროთ-მოძღვრის, დავით მეფისადმი. კუთხობრიობის დაუნდობელი მტერი ვიყავი, და საქართველოს მსოფლიო გადასახელით წარ-მოვაჩინდი ყველგან, და, იცი, სერგი, როგორ გავიხარე მე ამ შეხვედრებით ზუგდიდში? იმან კი არ მომგვარა უზომო კმა-ყოფილება, ასეთი გრანდიოზული შეხვედრა რომ მომიწყვეს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმან, რომ იქ გამოსული ყო-ველი ორატორი — ბრძენი მოხუცი თუ პირტიტველი სკო-ლის მოსწავლენი, ასე ერთგულად რომ ფიცულობდნენ ერთი-ანი საქართველოს მამის — დავით აღმაშენებლის სახელს. აი რისთვის ვიბრძოდი მე ასე გახელებით. დიახ, ერის ერთიანო-ბის უკვდავების სული მახელებდა ყოველ საქმეში, და ეს უკ-ვდავი სული ღალატებდა გუშინდელ ორატორთა სიტყვებში. აქ შეჩერდა, ერთობ აღზნებული, მერე ისევ განაგრძო: ერის უკვდავი სული ერთიანი საქართველოს იდეალში ვლინდება მხოლოდ. ეს ერთიანობის შუბლძარღვი თუ გაუწყდა ერს, მისი საქმე ხელიდან წასულია. დავით მეფე დიდი და სწორ-უპოვარი იმით არის, რომ გაამთელა ეს გაბზარული შუბლი ერთიანი საქართველოსა. ერთიანი საქართველოს დროშა წარუძღვარა მან თავის ჯარს, უმეთაურა, უწინამძღვრა ში-ნაურ და გარეშე მტერთან ბრძოლაში და ასე შექმნა დიდი სა-ქართველო. დიახ, დიდი იყო დავითის მიერ გაერთიანებული საქართველო — ნიკოფსიიდან დარუბანდამდის. დავითის მიერ შექმნილი ერთიანი საქართველოს მნიშვნელობა სცილდებო-და ნაციონალურ ისტორიის ფარგლებს. მას ენიჭებოდა მსოფ-ლიოს მნიშვნელობა, იმიტომ, რომ ეს იყო დრო, როდესაც ჩვენი ისტორიული მოკავშირე სომხეთი უკვე წაქცეული იყო, ბიზანტია კი წაქცევაზე მიმდგარი; ასე რომ, მთელს წინა აზი-აში დავითის საქართველო იყო ერთადერთი ბარიერი ქრის-ტიანული კულტურის, პროგრესული და ჰუმანური იდეალების მედროშე. ბიზანტიელების, ჯვაროსნების და ისლამურ სამ-ყაროს პირისპირ დადგა ერთიანი საქართველოსათვის მებრ-

ძოლი დავით მეფე. აქედან ბიზანტიელები და ჯვაროსნები მოკავშირეებად გამოიყენა ამ ყოვლად ქრისტიანმა მეფემ, რომელიც ასტრონომიითა და ფილოსოფიით იყო გატაცებული. იგი დედანში კითხულობდა არაბულ და ბერძნულ წიგნებს. მანვე დაგვიტოვა ნაღვლიანი რეკვიემი: „გალობანი სინანულისანი“, ამ ქრისტიან მეფეს ეკუთვნის ეს სიტყვები: „ვინ უწყის, რაი არს კონცხსა მას შინა, რასა თაყვანსა ვცემთ“ — ჰოდა ასეთი განათლებული და უშიშარი ვაჟაკის, ერთიანი საქართველოს ხუროთმოძღვრის სახე მანამ ვერ მოვიცილე თავიდან, ვინემ არ განვასახე ჩემს რომანში — „დავით აღმაშენებელში“. საკვირველებათა სამანებზე ებრძოდა იგი და ამარცხებდა შინაურ და გარეშე მტრებს და ასე შექმნა უძლიერესი საქართველოს სამეფო, რომელსაც გვირგვინად ერთიანი საქართველოს ნამუსის ქუდი დაახურა თავადაც, როგორც ყველაზე დიდი ქართველს — საქართველოს უკვდავი სულის — ერთიანი საქართველოს ნამუსის ქუდი დაახურა. დავით მეფეში გაცოცხლდა, ვით ღმერთკაცში, უკვდავი სული ერისა. ამ უკვდავ სულს ზედ აწერია — დიდ არსს ძალა სიყვარულისაი, რომელიც შეუძლებელსა შესაძლებლად ჰყოფს... საქართველო მანამ იყო ძლიერი, სანამ მას ამ ერთიანი საქართველოს უკვდავი სული ედგა და დავით მეფის ნამუსის ქუდი ეხურა. მერე მიაღწენ გარეშე და შინაური მტერნი ერთიან საქართველოს, დავითისა, დემეტრესა, გიორგი მესამე და თამარის საქართველოს და მანამ ჯიჯგნეს, ვიდრე ზოგ უხვირო მეფეს, დავითის ნამუსის ქუდის მაგიერ, ისლამური ჩალამი არ დაახურეს და სამ სამეფოდ და 7 სამთავროდ არ დააქუცმაცეს დავითის დიდი საქართველო. აღისრულეს მტრებმა ქადილი: „დაყავი და იბატონე“, მაგრამ დავითის მბორგავი სული — ერთიანი საქართველოს უკვდავი სული, ჩირადღნებად ანთებული, ცოცხლობდა ხალხში. და მას გამოღვიძება უნდოდა, სწორედ ამ სატკივარს ერისას მიაგნეს დიდმა ილიამ და დიდმა აკაკიმ და იქადაგეს, „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს, გაიღვიძებს ისევ ერი“. აკაკის „თორნიკე ერისთავი“ სწორედ ამ დავითის დროშის, თამარის დროშის — ერთიანი საქართველოს საგალობელი იყო.

აქ უცბად გაწყვიტა სიტყვა ბატონმა კონსტანტინემ და ერთბაშად გააგრძელა: — არა, აქ სიტყვა საგალობელი არ



ვარგა. ეს იყო ერის მამების — ილიასა და აკაკის მიერ ატეხილი განგაში, რომ ფეხზე დაეყენებიათ მთლად საქართველო და გამოელვძიებიათ მათში მთელმარე ერთიანი საქართველოს უკვდავი სული. დიახ, ერის უკვდავი სული: ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შეველაო. და დაიწყო გამთელება საქართველოს გაბზარული ეროვნული შუბლისა. დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველის, თამარ მეფის. ილიასა და აკაკის ბრძოლას ერთიანი საქართველოსათვის მხარი აუბა ჩვენი საუკუნის მწერლობამაც. ისეთ ეპოქებში, როცა საკუთარი სახელმწიფო არ გაგვაჩნდა, მწერლობა იყო ერის მეთაური, გასულ საუკუნეში ილია და აკაკი იყვნენ ერის ბელადნი; „ჩვენ, მათი სულიერი შვილები, ვინც ილიას ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ფეხზე ვდგევართ, მისგან ვისწავლეთ მამაცობა და მამულიშვილობა. ერთიანი საქართველოს კონცეპცია ავიტაცეთ და ახალ დროს შევეუფარდეთ. გველის სისინივით გაისმა დამწუხრებულ საქართველოში 1907 წელს ცინიკური განცხადება: როცა ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივიანო. უარესად სისინებდნენ დანარჩენი სულის ჩამდგმელები იმ საზიზღარ კომპანიისა, რომლის მსხვერპლი გახდა დიდი ილია და მე ფიცი დავდევი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მებრძოლა ილიას მტრების წინააღმდეგ, რადგან მწამდა და მჯეროდა, ვინც ილიასა და აკაკის წინააღმდეგ იბრძვის, ის საქართველოს მტერია. ის მტერია იმ ერთიანი საქართველოს უკვდავი სულისა, რომლის მაჰად მე მიმაჩნია დავით აღმაშენებელი.

ისე ლაპარაკობდა თითქოს ტრიბუნაზე დგასო. მიხვდა, რომ ამგვარი პათეტიკა უადგილო იყო ორ კაცს შორის დიალოგში, უცბად ხმას დაუწია და ისევ შემომიტია, ოღონდ ხმადაბლა: არ დაგიმალავ და გეტყვი, თქვენ, კომუნისტები ნილიისტები იყავით ჩვენი წინაპრების დაფასებაში. ილია ნახევარი საუკუნე ებრძოდა ეროვნულ ნიპილიზმს, მეც ამ გზას ვადექი, ამიტომაც თუ მეფეებზე დაეწერდი, აუცილებლად ბაგრატიონების მეხოტბედ დამსახავდით, თუ ილიას და აკაკის ვაჭებდი, ნაციონალისტად მაცხადებდით. მე კი საქმის ვითარება ცოტა სხვაგვარად წარმომედგინა: მე ერთიანი საქართველოს მეხოტბედ და მედაფედ მომქონდა თავი — საქართველოს ერთიანობის უკვდავ სულს განვადიდებდი. თქვენ ეს არ

მოგწონდათ, ვიდრე სტალინმა, ოცდაათიან წლებში, არ აღკვეთა რაპპელების თავდასხმა კლასიკოსებზე; ახლა, ვითარება უფრო შეიცვალა, სწორედ ამ ომში გამოიჩინა, რომ ყველა მეფე როდია დასაგმობი და მტერი ჩვენი. ესეც ვიდრე სტალინმა არ თქვა, ზოგ კომუნისტს არა და არ უნდათ ამის გაგონება.

ბატონი კონსტანტინე მცირე ხანს დუმდა, ბოლოს ეს მიიტრა:

— თქვენ გუშინ სწორად მიაგენით ჩემი შემოქმედებებს აქილევსის ქუსლს, როცა განაცხადეთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ მისი შემოქმედების საიდუმლოებათა გასაღებიაო. ეს საიდუმლოება ერთიანი საქართველოს, მთლიანი და განუყოფელი საქართველოსათვის ბრძოლაში მდგომარეობსო. თქვენ სავსებით მართალი ხართ როგორც გითხარით, დავითის ლანდი იყო ჩემი თანმდევი უკვდავი სული, იგი არ მასვენებდა, როგორც დიდი ქართველი და დიდი ისტორიული პიროვნება, ერთიანი საქართველოს უკვდავი მამა — ერის თანმდევი უკვდავი სული.

ბატონ კონსტანტინესთან ყოველი შეხვედრა უაღრესად საინტერესო იყო, საინტერესო და საშიშიც, პირდაპირი იყო და მოურიდებელი, მკვახეც და ტკბილიც. კეთილად განწყობილი მოსაუბრე და სასტიკი შემომტევი. მასთან შეხვედრისას მუდამ დაძაბული ვიყავი, სასიამოვნოც უნდა მომესმინა მისგან და უსიამოვნოც. ბევრჯერ ამრეზილი შემოსულა ჩემს კანცენტში, საუბრისას დამშვიდებულა, ხშირად კმაყოფილიც გასულა ოთახიდან ისე, რომ მე შერიგებული ვიყავი მის მკვახესა და კეთილ დიალოგებს. და მაინც ცეცხლივით რიდი მჭონდა მისი და მუდამ ერთგვარ დისტანციას ვიტოვებდი მასთან შეხვედრისას. შეხვედრები კი ბევრი მჭონდა. კვირა ისე არ გავიდოდა, მწერალთა კავშირში, რომ არ შემოევლო, ვილაცასთან უნდა დაერეკა. როგორც შინაური ისე, ჩემს დაუკითხავად იღებდა „მთავრობის ტელეფონის“ ყურმილს და საუბარს გააბამდა ვილაცეების თუ საზოგადოებრივ საკითხთა გამო, მადლობას მოახსენებდა, ხშირად პროტესტსაც გამოთქვამდა, უკვე მომხდარ ფაქტისა გამო. მე დაძაბული ვუსმენდი მის ცხარე პაექრობას „მაღალი პოსტის მჭონე პირებთან, პირადად ბევრი მომხვედრია მე ამ „უსიამოვნო პაექრობის გა-

მო, როცა გამოიძიებდნენ ხოლმე, ვისი ტელეფონით ელაპარაკებოდა იგი ამა თუ იმ პირს... ახლა, რომ ვიგონებ ყოველივე ამას, უფრო და უფრო მაღლდება იგი ჩემს წარმოდგენაში, როგორც მწერალი და გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე.

არა მარტო, საჯაროდ, მწერალთა კავშირში პრეზიდენტის სხდომებსა, პლენუმებსა და ყრილობებზე გვიკამათია მასთან, არამედ შინ, მის კოლხურ კოშკში თუ ჩემს ბინაზე. ერთადაც მოგვილხენია სუფრასთან: გიორგი ლეონიძესთან, პლატონ შუშანიასთან, ირაკლი აბაშიძესთან, ილია ვეკუასთან, ლადო გუდიაშვილთან, აკაკი გაწერელიასთან, პაატა გუგუშვილთან, ბესარიონ ჟღენტან, სიმონ ჩიქოვანთან, გიორგი ნატროშვილთან, რევაზ ჯაფარიძესთან თუ სხვებთან ერთად, სუფრაც გაუთავებელი პაექრობისა და მუშების გამოხმობის ასპარეზად გადაიქცეოდა ხოლმე. იმ დღეს ერთი ასეთი გაცხარებული კამათისას პაატა გუგუშვილმა კითხა: ბატონო კონსტანტინე, თქვენ რთული და ძნელი გზა განვლეთ, ძნელიც და ხანგრძლივიც, თუ მოასწარით ქაღალდზე გადაგეტანათ ყოველივე ის, რაც ჩაფიქრებული ჰქონდათ ამ გზაზე?

— მე ბავშვობიდანვე ბევრს ვკითხულობდი, ვმოგზაურობდი, ვისმენდი, ვაკვირდებოდი, ვიწერდი... ვისმენდი და ვიწერდი არა მარტო მსოფლიო მეცნიერთა ბრძნულ აზრებს ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ ვუსმენდი და ვიწერდი უბის წიგნაკში მხვნელ-მთესველისა, მონადირისა, მწყემსისა, მეზღერისა თუ ცხენოსანთა ბაგეთაგან გაგონილ სიტყვებსა და ანდაზებს, თქმულებს და ზღაპრებს, არავინ დაიტრაბახოს, რომ ის ერთბაშად მოევლინა ქვეყანას, როგორც ოსტატი, — არა, ვისაც განუზრახავს იყოს ოსტატი, მან შეგირდობის გზა უნდა გაიაროს. ვინც შეგირდი არ ყოფილა, ის ოსტატი არასოდეს გამხდარა. მაგრამ ვისაც სხვათა შეგირდობისთვის თავი არ დაუღწევია საკუთარი ხმის მონახვით, ვერც ის გამხდარა ოსტატი. მე ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მრავალი რამ შემიქმნია, რომლითაც მომაქვს კიდევაც თავი, როგორც ოსტატს. მაგრამ, ვიდრე ამას მივალწევდი, მე გავიარე განსწავლისა და სხვათა შეგირდად ყოფნის პერიოდიც. ჩემი საუკეთესო ქმნილებანი ღმერთისაგან ბოძებული წყალობა როდია, არამედ ათი და ასი ბრძენთა

დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად შექმნილი წიგნური თუ ცხოვრებისეული სიბრძნე ჩემს სულში გარდაქმნილი-გადადნობილი, საკუთარ სიბრძნედ ქცეული. იგი ჩემია და მხოლოდ ჩემი, ჩემი საკუთარი სულის მონაწერი და ამიტომაც არც არავისას გავს იგი. ტანჯვით, წვალებით, ღამეებს ვათენებდი და ვწერდი, ვწერდი ჩემს საკუთარ აღსარებას, ადამიანთა თუ ბუნების მოდელებად ქცეულს...

სუფრაზე ჩამოვარდნილი საოცარი მყუდროება რომ დაერღვია, ერთბაშად მისი საყვარელი სიმღერა წამოიწყა — „ერეხელი ვარ და მერეხელი...“



ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც პირველი შეხვედრა იყო. მე მას პირველად თბილისის უნივერსიტეტში შევხვდი, როგორც სტუდენტი პროფესორს, ეგრეთწოდებულ „ფილოსოფიის დოქტორის კონსტანტინე გამსახურდიას სემინარებზე“. ამ სემინარებს არა მარტო მისი სტუდენტები ესწრებოდნენ, არამედ ბევრი ცნობისმოყვარე და მოტრფიალე მწერლის ნიქისა. ეს ხალხით სავსე აუდიტორია ერთბაშად იქცეოდა საოცარი დისკუსიის არენად. ცხარე დებატები იმართებოდა თანამედროვეობის მწვავე პროლემებზე. ბატონი კონსტანტინე აღზნებით საუბრობდა, ედავებოდა ყველა იმათ, ვინც ქართული ენისა და მწერლობის უპატივცემულობას თუ უცოდინარობას იჩენდა. მას განსაკუთრებული პოზიცია ეკირა, განსაკუთრებული ეროვნული კურსი ჰქონდა. ის პირდაპირ და დაუფარავად ამტკიცებდა იმ წლებში: დიდი ერების და ენების შეჯიბრებაში ქართული მწერლობა და ენა უძლური აღმოჩნდება ჩვენს დროში თუ სახელმწიფომ არ აიღო ხელთ მისი მოვლა-პატრონობა.

იმ დღეს სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა მოიგონა: მაშინ საბჭოთა მთავრობასა და ჩვენს შორის არ იყო სრული კონტაქტი, რა იყო ამის მიზეზი? ფარი-სეველობა იქნებოდა არ მეთქვა. ჩვენ არ შეგვეძლო გულგრილად გვეცქირა, თუ როგორ იჩაგრებოდა ქართული ენა, ზოგან დღესაც იჩაგრება და, უნდა გითხრათ მართალი, რომ ჩვენ ვერც იმას შევხვდებოდით გულდამშვიდებით, რომ სამურზა-

ყანოში მეგრელ ბავშვებს ქართულად არ ასწავლიდნენ და ამბზე ვერც ვერავის მოვერიდებოდით. ჩვენ გვეკითხებოდნენ, იღებთ თუ არა საბჭოთა ხელისუფლებას, მოგწონთ თუ არა წითელყაბალახიანი საქართველო? მე მათ ვუპასუხე — საქართველო რა ფერისად უნდა იყოს, ჩვენ გვიყვარს, მას ვერ გავექცევით. მე მოგახსენებთ, რომ ჩვენი კულტურის არსებობის მთავარი საკითხი არის ქართული კულტურის ჰეგემონია საქართველოში. ეს არ არის არც შინაური ემიგრაცია, არც კონტრრევოლუცია. საქართველოში პრიმალური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართულ სიტყვას, ქართულ წიგნს. ამ შემთხვევაში ჩემთვის წითელყაბალახიანი საქართველო ისეთივე მისაღებია, როგორც სხვა საქართველო, იმიტომ, რომ ჩვენ მწერლები ვართ და არ ვცდილობთ ესა თუ ის ხელისუფლება შევეცვალოთ, არამედ ჩვენ პატივისცემით ყველა ქართულ ხელისუფლებას, რა ფერისა, რა მიმართულების მატარებელი არ უნდა იყოს იგი.

ამ „ყაბალახიანი საქართველოს ფერის გამო“ ჯვარს მაცვეს — საბჭოთა ხელისუფლების მტრად გამომაცხადეს — მე უკან არ დავიხიე, მე იმას ვაკეთებდი, რასაც ჩემი ეროვნული სინდისი მიკარნახებდა. ბოლოს ნაციონალიზმის იარაღით მწერალთა კავშირიდან გამრიცხეს რაპპელებმა. მე ჩემი პოსტი მწერლისა არც მაშინ მიმიტოვებია, ვწერდი და ვმუშაობდი თავაუღებლად იმ რწმენით, რომ მე ვემსახურები ქართველ ხალხს, ქართველ ერს, ქართულ მწერლობას და არა თავზეხელაღებულ რაპპელებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ შეიქმნა, მე ევროპიდან სამშობლოში ახლად დაბრუნებული ვიყავი, მერმე, ორიოდ წლის შემდეგ, ისევ გავემგზავრე ევროპაში და 1923 წელს საბოლოოდ დავმკვიდრდი ჩემს თბილისში, მე რომ საბჭოთა ხელისუფლების მტერი ვყოფილიყავი, მეორედ აღარ მოვბრუნდებოდი საბჭოთა საქართველოში. საკითხი ცოტა სხვაგვარად დგას. მე მთელი სიცოცხლე ვებრძოდი ცარიზმს და, რასაკვირველია, რევოლუციას და ცარიზმის დამხობას გულითადად მივესალმე. მაგრამ მე ზოგიერთი ურა პროპაგანდისტივით უკრიტიკოდ, უშენიშვნოდ არასოდეს გამიზიარებია „ოფიციალური ხაზი“. მე იმთავითვე უკომპრომისოდ ვებრძოდი ყველაფერ იმას, რაც ეროვნული, ქართული კულტურის

საზიანოდ მიმაჩნდა და მიმაჩნია, მე საბჭოთა ხელისუფლებას კი არ ვებრძოდი, არამედ იმ კარიერისტებს, რომელთაც დიდ-დიდი პოსტი ეკავათ პირადი გამორჩენისათვის, და აქ არც არავის ვერიდებოდი, დიდს თუ პატარას. მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან, პრესის ფურცლებიდან მე ვეკამათებოდი ყველას იმას, ვინც ნებისთ თუ უნებლიეთ უმართებულოდ წყვეტდა ქართული ეროვნული კულტურის სასიცოცხლო პრობლემებს. მე 1923 წელს ღია ბარათით მიემართე ვლადიმერ ლენინს, რომ დაეცვა ქართული ენა და კულტურა ურა ბოლშევიკებისაგან. ეს ბარათი დავებეჭდე გაზეთ „ტრიბუნაში“, გამკიცხეს ამის გამო, მაგრამ უკან არ დამიხვევია. მე ფიცხელი ბრძოლა გავუმართე ფილიპე მახარაძეს და რაპკელებს, როცა ისინი უმართებულოდ თავს ესხმოდნენ ილიასა და აკაკის და გამოვაცხადე (ეს სიტყვა დაიბეჭდა გაზეთ „ლომისში“), ვინც ილიასა და აკაკის ებრძვის, ის ქართველი ხალხის მტერია-მეთქი — ისევ მომცხეს, ნაციონალისტად მომნათლეს, მე მაინც არ გავბუტულვარ, განზე არ გავმდგარვარ, ჩემს ადგილსა და მოწოდებაზე ხელი არ ამიღია. ჩემი ცხოვრება გადაბმულ ბრძოლებში გავატარე. ზოგს ჩემი გვარი არ მოსწონდა. მე მათ ვუპასუხე: — გვარის სიმბოლიკა უსაქმური ჰკუთის ჩხირკედელობაა, რომ ბეიკონი ინგლისურად ღორის შაშხს ნიშნავს, შილერი გერმანულად — ბრუციანს, სერვანტესი — მსახურს, უალდი — ველურს, კელერმანი — სარდაფის კაცს, ვილდ განსი — გარეულ ბატს, მაგრამ მართლაც ბატისტვინა უნდა იყოს კაცი, რომ მწერლის კრიტიკა მისი გვარიდან დაიწყოს. მართალია, ქართველ მეფეებსა და მთავრებს ჩემი წინაპრებისათვის თავადობა არ უბოძებიათ, სამაგიეროდ ჩემი სიამაყეა და უდიდესი მიზანი — ქართული სიტყვისა და აზრის თავადობა მოვიპოვო — ასე ვწერდი 1922 წელს. თუ რამდენად მოვახერხე ეს, ამის განსჯა მე ჩემს უმაღლეს მოსამართლეს — ქართველ ხალხს მივანდე.

აქ ისევ მე მოვუქერი სიტყვა — დღეს, ბატონო კონსტანტინე, ყველა სკოლის მერხებზე მიმჯდარმა ბავშვმა იცის, რომ თქვენ არა მარტო თავადი ბრძანდებით ქართული სიტყვისა, არამედ მეუფე ქართული მწერლობისა. ქართული ენის სიძველეთა უსასრულო სურნელება და უბერებლობა მიანიჭეთ თქვენ ქართულ სიტყვას, ამიტომაც გიწოდებენ ქართული სი-

ტყვის დიდოსტატს. შევატყვე, რომ ესამოვნა ჩემი ნათ-  
ქვამი.

— გამოგიტყდები და გეტყვით: მე გაზრდილი ვარ ძალიან  
კონსერვატორული კულტურების ატმოსფეროში, გერმანულ  
ადეალიზმსა და იტალიურ-გერმანული მისტიკის ზეგავლენის  
ქვეშ. თავისთავად ცხადია, მე არ ვიყავი ჩემი შემოქმედე-  
ბის პირველ ათწლეულში მათი გავლენისაგან თავისუფალი,  
მაგრამ, მე, ერთიანი საქართველოს მებაირახტრე, არასოდეს  
ვყოფილვარ იმპერიალისტური დიდი ერების ფილოსოფიური,  
იდეოლოგიური და პოლიტიკური შოვინიზმისა და კაცთმოქუ-  
ლეობის ნაირნაირი თეორიების მიმდევარი. ოღონდ ზემოთ  
ნახსენები დიდი ქვეყნების მწერლებისა და ფილოსოფოსების  
გავლენას ოციან წლებში უთუოდ განვიციდიდი. მაგრამ ნუ  
დაივიწყებთ, რომ დრო იყო ტრაგიკული, განსაკუთრებით სა-  
ქართველოსათვის. ჩემი თაობის კაცს კარგად ახსოვს XX  
საუკუნის პირველი ათწლეული, რაც რეაქციისა და მსოფლიოს  
ომის ვაკახნალიას თან სდევდა. თბილისი, მისი ულამაზესი შე-  
ნობებიცა და საზოგადოებრივი უწყებანი არაქართველთა ხელ-  
ში იყო. თბილისს დაკარგული ჰქონდა ერთიანი საქართველოს  
მეთაურის როლი, საქართველოს უმდიდრესი მიწა-წყალი —  
ქართლ-კახეთის ზვრები, ჭიათურის მარგანეცი უცხო ვაჭრე-  
ბის ხელში იყო. ქართული ენა აკრძალული იყო და ძალღის  
ენას ეძახდნენ: მე ასეთ დღეში დავტოვე საქართველო 1911  
წელს, როცა უცხოეთში გავემგზავრე. უცხოეთში უფრო მწვა-  
ვედ განვიცადე წაქცეული საქართველოს ბედი. სწორედ ამ  
წლებში გამოგვეცალა ერის მეთაურებიც და იმედიც — დიდი  
ილია, აკაკი, ვაჟა. მწარე სევდით დაიდალა ჩვენი სული. და  
მე „სამშობლოშიაც უსამშობლო კაცი“ 1915 წელს ბერლინი-  
დან ვწერდი: „ვაი მას, ვისაც სამშობლო არა აქვს, ვაი იმ  
ერს, რომელსაც ეროვნული თავმოყვარეობა დაუკარგავს“.  
და მე მწერლის მოვალეობად გამოვაცხადე ილიას კვალს გავ-  
ყოლოდი. სიტყვით და საქმით გვებრძოლა სამშობლოსათვის.  
ეს იყო სასოწარკვეთილი და უსამშობლო ახალგაზრდობის  
უნუგეშო ნუგეში. ამ ვითარებაში იფეთქა 1917 წლის რევო-  
ლუციამ და მე უყოყმანოდ საქართველოს მოვაშურე და ვიქა-  
დაგე: ვაი იმ ერს, რომლის დღევანდელი და „ხვალინდელი“  
დღე მის „გუშინდელს“ ჩამორჩება. ჩვენმა თაობამ უნდა

იბრძოლოს იმისათვის, რომ დღევანდელი და ხვალინდელი დღე ისევ დიდი და თვალშეუწვდენი გავხადოთ, როგორც იყო დავითისა და თამარის საქართველო. მწერლობაში ახალი გაზე ავირჩიე, ევროპული მოდერნიზმის გზა. ამ გზაზე ვცადე შეჭვარედინება ქართული ძველი მწერლობის სულისა, ხალხური, ქართული მითოლოგიური ნაკადისა და ევროპაში შექმნილი და ფილოსოფიური განსწავლით მიღებული ცოდნისა. დიახ, მისტიციზმის, წარმართობის მოდერნიზმის დამლა აზის ჩემს ადრინდელ შემოქმედებას, „დიონისოს ღიმილსაც“, მაგრამ მე ვაფასებდი და მუდამ დავაფასებ ამ რომანს, როგორც ახალი მოდერნისტული ოსტატობის პირველ ნაყოფს. აქვე დავძენ: მისტიკა ბუნების იდუმალებით გაცეებაა და არა პოლიტიკური კლერიკალიზმი. მისტიკოსები ჯერ კიდევ ძველად ქრისტიანული ეკლესიებიდან განდევნილი ღვთით გმობილნი იყვნენ. მისტიციზმი და კლერიკალიზმი არასოდეს ერთი და იგივე არა ყოფილა არსად. ამიტომაც ვახერხებდი მე მისტიციზმი შემეთავსებია ექსპრესიონიზმთან — აქტიური მოქმედების ქადაგებასთან.

ჩვენ, სტუდენტები, მონუსხული მისი საოცარი ფანატიზმით, არა მარტო ყურს ვუგდებდით და გატაცებით ვუსმენდით მის საუბარს, არამედ მის მხარეზე ვიყავით იმ უსაშველო კამათში, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას წინააღმდეგ იყო მიმართული.

\* \*

1958 წელს გადაწყდა კონსტანტინე გამსახურდიას მ ტომეულის გამოცემა. რედაქტორებად: ირაკლი აბაშიძე, გიორგი ნატროშვილი და მე დაგვამტკიცეს, ბატონ კონსტანტინესთან სარედაქტორო მუშაობა მეტად ძნელი იყო. ძნელი და, ამავე დროს, ფრიად საინტერესო და ყოველსმომცველი. ძნელი იყო იმიტომ, რომ იგი ყოველგვარ რედაქციულ ჩარევას მძაფრად განიცდიდა. ვერც ერთ სიტყვას მის უნებართვოდ ვერ შევცვლიდი ტექსტში. ბატონი კონსტანტინეს რთულ შემოქმედებაში კი ბევრი რამ იყო, სხვათა თვალში, სადაო და საკამათო. ამ კამათში მწერალი შეუპოვარი იყო და პოზიციას არასოდეს თმობდა. როცა საქმე ცენზურამდე



მივიდოდა, მაშინ კი იძულებული ხდებოდა თავად შეეტანა კომპრომისული ცვლილებანი, და ამის მიხედვით მოქონდა მისავე ხელით შესწორებული, თუ ხელმეორედ დაწერილი ახალი ვარიანტი. ხშირად ეს დავა რედაქტორსა, ცენზორსა და ავტორს შორის ისე გართულებულა, რომ მწერალთა კავშირსა და ზემდგომ ორგანოებში წყდებოდა ეს დავა. ვიცნობდით რა ბატონ კონსტანტინეს ამ მტკიცე და შეუვალ საავტორო პოზიციას, ჩვენ, რვატომეულის რედაქტორები, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ნატროშვილი და მე, სრული გაგებით ვეპყრობოდით ავტორს და მაინც ბატონი კონსტანტინე დიპლომატურად მოეკიდა რვატომეულის გამოცემას. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით კი არ წარმოგვიდგინა ტომები, არამედ დროისა, გარემოებისა და ნაწარმოებთა იდეურობის კვალობაზე. პირველ ტომში „მთვარის მოტაცება“ შეიტანა. მისივე განცხადებით, ეს ყველაზე უფრო გახმაურებული და საყოველთაოდ აღიარებული და აპრობირებულია რედაქტორებისა, ცენზორებისა და კრიტიკოსების მიერო. „დიონისოს ღიმილი“ რვატომეულის ყველაზე ბოლო რომანად მოიტოვა, V ტომში შეიტანა „ვახის ყვავილობასთან“ ერთად.

იმ დღეს ბატონ კონსტანტინემ რვატომეულის V ტომი (ამ ტომის რედაქტორი მე ვიყავი) სახლში მომიტანა. ეს დიალოგი აქ შედგა:

— „დიონისოს ღიმილზე“ მუშაობა ევროპაში დავიწყე, იქვე გერმანიაში დაწერე ამ რომანის რამდენიმე თავი, ამ დროს მსოფლიო ომი ატყდა, მე დამაპატიმრეს, როგორც უცხოელი, თომას მანის ჩარევით თავი დავაღწიე ციხეს და იტალიას მივაშურე. ახლა იქ გავაგრძელე რომანზე მუშაობა, იქაც არ დამაყენეს, ამ წვალებაში დავკარგე ამ რომანის პირველი თავები; სამშობლოში მობრუნებული 1917 წელს ისევ ხელმეორედ შევეუდექი წერას, ამ ვითარებაში ისევ მომიწია ევროპაში გამგზავრება, ისევ ვაგრძელებდი მუშაობას რომანზე. 1924 წელს, სამშობლოში დაბრუნებულმა, მისი პირველი თავები გამოვაქვეყნე პავლე ინგოროყვას წინადადებით მის მიერ დაარსებულ ჟურნალ „კავკასიონში. 1925 წელს კი ცალკე წიგნად გამოვეცი. დაიბეჭდა თუ არა, მაშინვე შემომიტიეს, ბევრი უსიამოვნება გადამხდა ამ რომანის გამო; მაგრამ მე ის განსაკუთრებულად მიყვარს და ვაფასებ ჩემს შემოქმედე-

ბაში. ამიტომ, გთხოვთ უხეშად ნუ ჩაერევით აქ წარმოდგენილ ტექსტში, ისედაც ბევრი ნაჭიჯგნია ის რაპპელის რედაქტორების მიერ.

აქ შეჩერდა, ღრმად ამოიხვნეშა და მერე ისევ გააგრძელა.

— ამ რომანში ერთგვარი ნეგატიური დამოკიდებულება უთუოდ ჩანს ახალი ქართული სინამდვილისადმი ლიტერატურული ორიენტაციითაც და პოლიტიკური პოზიციითაც. მაგრამ მე აქაც ერთიანი საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე ყოველთვის, ამ ეროვნული პოზიციებიდან, მე, კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელიც იმ წლებში ქრისტიანულ მისტიციზმს ვჭადაგებდი და ამ მიზნით საქართველოს მწერალთა კავშირში „მისტიკოსების კავშირი“ დავარსე (ლექციების ციკლიც წავიკითხე მისტიციზმის თემებზე), ამ რომანში ქრისტეს შევუთიე. ალბათ გახსოვთ ეს ადგილი: იტალიაში ქრისტეს სურათი მიაქვს მორწმუნეთა რბოს, კონსტანტინე სავარსამიძე წინ გადაუდგება დემონსტრაციას, ქრისტეს სურათს დაფხრეწს, ზედ შედგება ფეხებით და იყვირებს — „შენ დააქციე ჩემი დიდი საქართველო“. დიახ, აქ ერთიანი საქართველოს იდეალს თვით იესო ქრისტეც შეეწირა. ვიმეორებ, ჩემი ხატი, ჩემი რელიგია, ჩემი რწმენა ერთიანი, მთლიანი საქართველო, დავითისა და თამარის საქართველო იყო. ამ პრინციპით შევუთიე მე რუს სლანსკისსაც...

— ბატონო კონსტანტინე, მე ეს ყოველივე ხომ ვიცი, რათ გჭირდებათ ეს განმარტებანი ჩემთან?

— არა, თუ კაცი ხარ, რაკი შენთან მოვსულვარ, ბოლომდე მათქმევეინე ჩემი სათქმელი. ჰოდა იმას მოგახსენებდი. „დიონისოს ღიმილის“ ბოლო სიტყვაში ვწერდი: „მე ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, მე ჩემი ცოდვებიც მეყოფა-მეთქი“ — ამისდა მიუხედავად, არა თუ ამკიდეს სავარსამიძის ცოდვები, არამედ პირწავარდნილ ნაციონალისტად გამომაცხადეს, მე გავჯიქდი და უკან არ დავიხიე, კაცმა რომ თქვას, არც მეგულეობდა უკან დასახვევი გზა. რადგან ამ რომანით მე მოვძებნე ჩემი თავი, როგორც შემოქმედმა. „დიონისოს ღიმილში“ ავირჩიე სინთეტიური გეზი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანს შორის. გენეტიკურად იგი დასავლურ რომანიდან გამოდის.

მე ჩავუერთე: — ასევე ცისფერყანწელები ხომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურის სინთეზს ქადაგებდნენ, გახსოვთ ტიციან ტაბიძის ფორმულა: „ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავილებს“.

— არა, მე მათგან განსხვავებული პოზიცია მქონდა მუდამ, ჯერ ერთი ისინი ეპიკას უარყოფდნენ საზოგადოდ და მეორეც, მათი უთავბოლო ბრძოლას ილიას, აკაკის, ბარათაშვილის წინააღმდეგ მე წინ გადავუდექი, თქვენ თუ გახსოვთ, მე ისინი საჯაროდ გავჯობე ილიას, აკაკის და ბარათაშვილის დაცინვის გამო, ჩემს ჟურნალში — „ილიონში“. მე შეგნებულად ვიზიარებდი ვისრამიანის ქართული ვარიანტის და საბას პროზის პრინციპებს და თავგამოდებით ვიცავდი ილიასა და აკაკის ეროვნულ კონცეპციას, თუმცა მოდერნიზმის გზას ვქადაგებდი. ამ ნიადაგზე XIX საუკუნის სოციალური პროზის გზას არ მივყვებოდი. ჩემი გლეხები — ტაია შელია და სხვანი ძირეულად განსხვავდებიან XIX საუკუნის გლეხთა ტიპებისაგან. ავიღოთ ტაია შელია. ვინ არის იგი? — წარმართი გლეხი. ტაია შელიას სახით მე წარუდგინე ქართველ მკითხველს ქრისტიანობისაგან დაუთურგვნილი ნახევრად წარმართი. ასე, რომ „დიონისოს ღიმილში“ ორი ახალი ტიპი დაეხატე, ევროპულად განათლებული, მაგრამ ევროპული ცივილიზაციის სნობისტური სენით შეპყრობილი, უნიადაგო აზნაურის ტიპი — სავარსამიძე და წარმართი გლეხის ტიპი — ტაია შელიას სახით. ესენი, ორივენი სულით და ხორციით ქართველები არიან, მაგრამ ზოგად ტიპებამდე ამალღებული. კერძოდ, ეს ითქმის სავარსამიძეზე. ამ რომანით მე გადავლახე ეთნოგრაფიული მიჯნები და საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიყვანე ქართველი კაცი თავისი მოქმედებით, საქციელით და კულტურით. ინტერნაციონალური იერი მივანიჭე ეროვნულ ხასიათით დახატულ პერსონაჟებს და ასპარეზად მთელი მსოფლიო დავუსახე. ამით ახალი გზები და სანიშნოები მოვხაზე ქართულ რომანისტიკაში.

ისევ ჩავუერთე რეპლიკა.

— რომანის სტილიც, კომპოზიციაც უჩვეულოა, ბატონო კონსტანტინე, თხრობა, გაგონილი და სხვის მიერ მოყოლილი ამბავის ქალაქლზე გადატანა ყველას შეუძლია...

— ათიან წლებში ქართული მწერლობის წინაშე კარდი-

ნალური პრობლემა იდგა. ილიას, აკაკის, ვაჟას შემდეგ ენობრივი ნატურალიზმით და შაბლონით დანაგვიანებული ეთნოგრაფიული პროვინციული მწერლობის დაძლევა იყო საჭირო, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ამის დაძლევა ახალ დროში მხოლოდ მოდერნიზმით შეიძლებოდა. მე თვითონ დასავლეთის კულტურის აპოლოგეტი ვიყავი (1918 წ.) ევროპის მოდერნისტული კულტურის, ამ უცხო ქარის მთესველი და ქრისტიანული მისტიციზმის იდეოლოგიასაც ვიცავდი წერილებში: გოეტეს, ილია ჭავჭავაძეს, დანტეს, ნიცშეს შესახებ დაწერილში. ამ იდეურ ფონზე გაიშალა ჩემი მხატვრული შემოქმედებაც. ილიასა და აკაკის ტრადიციების ნიადაგზე ეროვნული საფანელი მოვეუძებნე ფილოსოფიურ მისტიციზმს. ეს იყო ქართული მითოლოგიის ძირებისაკენ მიბრუნება. ასე დავადექი მე ექსპრესიონიზმის გზას პირველად ქართულ მწერლობაში. სავარსამიძე გამოვხატე არა მარტო ქართული ეროვნული მეობისთვის თავგამოდებული მებრძოლი, არამედ ზოგადი, საკაცობრიო პრობლემებითაც დაღდასმული ქართველი ინტელიგენტი. ზოგადია სავარსამიძის ფილოსოფიურ-ეთიკური მსჯელობანი თუ ადამიანის მოდგმის ყველაზე დიდი ბოროტების, ომის წინააღმდეგ შეურიგებელი პოზიცია. მოიგონეთ რომანის დასაწყისი „კაცი, რომელიც ვედარ იცინის“, ეს ზომ ზოგადი საკაცობრიო პრობლემაა. „ძმაო, ტანჯულო უცნობო გმირო...“ — ასე მიმართავს ომის ინვალიდს სავარსამიძე. ქართველი კაცი მსოფლიო ასპარეზზე გამოვიყვანე და ამ კაცის თვალთ, ქართველ მკითხველს დავანახე არა მარტო ევროპული ქალაქები და მუზეუმები, წიგნსაცავები და სასტუმროები, უნივერსიტეტები და მონასტრები, ციხე-კოშკები და ფაბრიკა-ქარხნები, არამედ ეს კაცი თავის ინტელექტით გავაჯიბრე ევროპელ სწავლულებს, პოლიტიკოსებს, გენერლებსა და დიპლომატებს... ის არა თუ ტოლს არ უდებს ამ ევროპელებს, არამედ სჯობნის კიდევ ზოგ რამეში. იგი ომის შედეგებით უკმაყოფილო, ქვეყანაზე გაბუტული და ამრეზილი სულით გამოვხატე, როგორც ახალგაზრდა კაცის ზოგადი ტიპი. — „მხრჩოლავი გაზების, საარტილერიო და საპაერო დუელების მსხვერპლი გახდა მსოფლიო“... ამ გზაზე გაჩნდა სავარსამიძე. ის მაინც ქართული სულით დაღდასმული ინტელიგენტია. სწორედ ამ ნიადაგზე მოვარგე მას, ევროპული ფილოსოფი-

ური. მისტიციზმით გაბრუნებულს და ცივილიზაციაზე გულ-  
აყრილ კაცს, ქართული ჩოხა-ახალუხი, ხოლო როგორც ახა-  
ლი საქართველოთი უკმაყოფილოს, ჩავაცვი ქართული მითო-  
ლოგიური — წარმართულ-ქრისტიანული სამოსელი. სავარსა-  
მიძე განწირული თაობის ცოდვებით დატვირთული ზოგადი  
ტრიპია, ორი სამყაროს, ორი საუკუნის მიჯნაზე მერყეობს იგი.

მსოფლიო მწერლობის ფუძე მუდამ იყო მითოლოგია. მე  
ამ წყაროს ბავშვობიდანვე ვეზიარე და შემდეგ უხვად გამო-  
ვიყენე ჩემს შემოქმედებაში. „დიონისოს“ გმირების მოქმედე-  
ბის არენად, საქართველოს გარდა, საფრანგეთი, გერმანია, იტ-  
ალია გამოვიყენე. დოქტორ ვიტენზონის, ჯენეტის, ალი მირ-  
ზა-ხანის, ხალილბეის, დოქტორ ფანტენაურის თუ აბსენ ტუნ-  
გის პროტოტიპებს, უცხოეთში ყოფნისას, თავად შევხვედრი-  
ვარ. ტაია შელიას მისნობისა და წარმართობის მისტიკრიების  
მოწმე ასევე თავად ვყოფილვარ ჩემს ბავშვობისას.

მე საერთოდ არ მიყვარს უქნარა, უასპარეზო ინტელიგენ-  
ტი, და არც არამწრომელი კაცს ვიტან. მე ჯერ კიდევ ნოვე-  
ლებში გავკიცხე სხვისი შრომით გაზულუქებული ახნაურთა  
ნაწიერნი — ეშმაკის ფეხი შამუგია („ქოსა გახუ“), სამაგი-  
ჯროდ რა დიდი სიმპატიით დავხატე დიდი იოსები — ეს რაჟ-  
ველი მეკურტნე („დიდი იოსები“) „შრომაა უდიდესი სიქვე-  
ლე ამ ქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ვაჟკაცს ისე, რო-  
გორც შრომაში მოპოვებული სახელი“ — ოდნავ პერეფრაზი-  
რებით ეს აზრი ვათქმევინე მე ისტორიულ თემაზე დაწერილ  
„დიდოსტატის“ მთავარ გმირს არსაკიძეს და თანამედროვეო-  
ბის თემაზე შექმნილი რომანის გმირსაც — ვახტანგ კორინ-  
თელს. სწორედ ამ ნიადაგზე მე მშრომელი საქართველოს,  
მტკნებლობაში ჩაბმული ახალი საქართველოს მხარეზე ვიყავ  
მუდამ და ამიტომაც უნიადაგო და უასპარეზო სავარსამიძე  
სამეგრელოს ჭენჭყოში ამოსული უნაყოფო თხმელას შევა-  
დარე, მაგრამ ეს არ მაძლევდა უფლებას ხელაღებით უარმეყო  
ისეთი მაღალი ინტელექტის კაცი, როგორცაა სავარსამიძე,  
ან მისი მოკბილე თარაშ ემხვარი. არ დავმალავ, ჩემი ცრემ-  
ლებიც ვაპყურე მათს ბედისწერას. მე, თავად კონსტანტინე  
სავარსამიძისა და თარაშ ემხვარის დარად პეტერბურგსა თუ  
კენისბერგში, მიუხეხნსა თუ ბერლინში, პარიზსა თუ რომში  
გავკვიბრებივარ გერმანელსა თუ ებრაელს, ფრანგსა თუ იტა-

ლიელს, ამერიკელს თუ ესპანელს... მათთან პაექრობაში ჩემთვის ყრუდ გულში ვიმეორებდი: „შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა“... ამ ხატოვან ფრაზაში მე ვგულისხმობდი ჩემს საქართველოს, დიდ საქართველოს, თავისი წარსულით და სულიერი კულტურით. ამ მიზნით გაეჯიბრე მე ჩემი გმირები დაუოკებელი დიდი ვნებებით მსოფლიო მეცნიერებსა და მწერლებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს. ერთსაც გეტყვი: ის დიონისებური ბუნება, რომლის ალში იწვოდა კონსტანტინე სავარსამიძე ჩემი სულის ნაწილია. მე მუდამ იმას ვეჭიდებოდი, რის შესრულებაც ათასგვარ დაბრკოლებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მე მჯეროდა და მწამდა, რომ ნამდვილი შემომქმედის გმირობა სწორედ შეუძლებელის, შეუცნობელის, გამოუთქმელის, აუხდენელის მისაღწევად ბრძოლაში ვლინდება ხოლმე. ნაწარმოებების გმირებს ხომ პროტოტიპი ყავს? და თუ ეს ასეა სავარსამიძის პროტოტიპი მე ვარ მეტწილად. ამასაც გეტყვი, ნაწარმოებთა მოქმედი გმირები, პერსონაჟები მაინც შემომქმედის ფანტაზიის ნაყოფია, უპირველესად ყოვლისა, ზმანებულისა და უხილავის ხილულად ქცევაა. ეს პროცესი ქვეცნობიერის, წინასწარ გამოუცნობისა და მისტიკური ჰერეტიკის სამოსელშია გახვეული, მირაჟების სახით წარმომდგარი. ასე რომ, მისტიციზმის ცნება ფართო ცნებაა და ის არ დაიყვანება კლერიკალიზმამდე, რელიგიურ საიქიომდე. აქ ერთგვარი ზღვარის გავლებაა უთუოდ საჭირო. ამის კვალს იპოვით „დიონისოს ღიმილი“ და ის ნუ შეგაშინებთ. მე, თავად კი ამიტომ მიყვარს გამორჩეულად „დიონისოს ღიმილი“, მეორედ გთხოვ, თუ კაცი ხარ, თქვენ, როგორც რედაქტორი, ნუ ჩაერევით უხეშად ამ ჩემს ოფლით და სისხლით დაწერილ რომანში, რომლისა გამობეჭერი ჯონი მოხვედრია მის ავტორს. მით უმეტეს, რომ წინა რედაქტორებისაგან „გაწმენდილ ვარიანტს გიდგენთ“.

ეს თქვა და ადგა. ვებერთელა პორტფელიდან ამოიღო საქაღალდეში ჩალაგებული V ტომი, მაგიდაზე დადო და წასვლა დააპირა. მე შევაჩერე:

—კონსტანტინე ბატონო! თქვენი „დიონისოს ღიმილი“ და „ვაზის ყვავილობაც“ ბევრჯერ მაქვს წაკითხული, ახლა ამას კიდევ ერთხელ წაკითხვა ჩემი მხრით, როგორც რედაქტორი-

სა, არ სჭირდება. მაგიდაზე დადებული საქალაქე გავხსენი, დედანს წავაწერე, „აიწყოს“, და მწერალს სასოებით დავებრუნე V ტომი...



ახლა ისევ უკან მივებრუნდეთ სათხრობს: უნივერსიტეტში ბატონ კონსტანტინეს მეორედ მაშინ შევხვდი, როცა მწერალმა „მთვარის მოტაცება“ დაამთავრა და მთელმა საქართველომ აღფრთოვანებით აიტაცა ეს წიგნი. მე სწორედ იმ წელს ვამთავრებდი უნივერსიტეტს, თან იქვე, უნივერსიტეტის მრავალტირაჟიან გაზეთში ვმუშაობდი, ახალგაზრდა მწერალთა წრის ხელმძღვანელი იყო პროფესორი ვახტანგ კოტეტიშვილი. ჩემს კურსზე სწავლობდნენ: გრიგოლ აბაშიძე, ვარლამ ქურული, ვახტანგ რაზიკაშვილი, ხობისპირელი (ვალოდია ქვარცხავა), რუსუდან გელოვანი, მერი ადამია, ვარა ხარნაული, დავით შამათავა, კ. ჭანტურიშვილი, კ. კაჭახიძე, ნ. მათიაშვილი, ი. ბურჭულაძე, სიმონ სხირტლაძე, ივანე გავაშელიშვილი, ნიკო ტატიშვილი, ს. კაშია, თ. ურუშაძე, ს. მელაძე, ა. ჭითანავა, ა. ჭანტურია და სხვანი. ზოგი ამთავანი უკვე ცნობილი მწერლები იყვნენ, ზოგი ახალბედა, დამწყები მწერალი. ჩვენზე განუზომელი გავლენა ჰქონდა სწორედ ვახტანგ კოტეტიშვილს, მისი წაქეზებით მთელი ჯგუფი ეტანებოდა მწერლობას, მწერალთა კავშირის არც ერთ სხდომას არ გამოვტოვებდით, ჩვენ თვითონ ვმართავდით დისკუსიებს და ვაწყობდით გამოსული წიგნების განხილვას. ასე, მაგალითად, პირველად ჩვენმა წრემ მოაწყო ვარლამ ქურულის იმ წელს (1935 წ.) გამოსული წიგნის „ვარდის ფურცლობის“ განხილვა. მომხსენებელი მე ვიყავი, სწორედ ამ სხდომაზე დაგვესხნენ თავს უნივერსიტეტელებს კრიტიკოსები — მელაძე და შავგულიძე, მერე ლიტერატურულ გაზეთში დაამუშავეს ჩვენი წრე. ჩვენ მაინც ვაგრძელებდით მუშაობას; მას შემდეგ, რაც „მთვარის მოტაცების“ გამო ჩატარდა დიდი დისპუტი მწერალთა კავშირში, პირველებმა ჩვენ მოვიწვიეთ ბატონი კონსტანტინე უნივერსიტეტში. კლუბის გაჭედილი დარბაზი ფეხზე ადგომით და ოვაციებით შეხვდა „მთვარის მოტაცების“ ავტორს. მერე მოხსენებები და სიტყვები — სტუდენტებს პროფესორე-

ბი ცვლიდნენ... ეს იყო ზეიმი ქართული სიტყვისა... საღამოს შემდეგ ჩვენმა ჯგუფმა ბატონი კონსტანტინეს ვახშამი გაუმართა. ახლა აქ გაიმართა შეჯიბრი. ერთმანეთს ვეცილებოდით „მთვარის მოტაცების“ პასაჟების კითხვაში. მერი ადამიამ ვახტანგ იამანიძისადმი მიწერილი თარაშ ემხვარის ეს ბარათი წაიკითხა: „მე სიკვდილს შევცქერი უკვე თვლებში და აღსარებისებრ სიწრფელით ვაღიარებ აქ ყოველივეს. შესაძლოა, შენ უფრო განგამკვიდროს ამ სტრიქონებმა საკუთარ რწმენაში, ან ეგებ ვისმეს სხვას აჩვენო და მას მოხვდეს გულზე, ხომ გახსოვს რომში, რაც გითხარი, ორი გზაა მეთქი ამჟამად მსოფლიოში, ორადორი გზა კომუნისტებისა და ფაშისტებისა. შენ პირველი ამოირჩიე და მგონია, შენი მდგომარეობის კაცს სხვა არჩევანი აღარ შეგეძლო მე დღემდის უგზოდ ვიხეტიალე და როგორც ხედავ ვერც ერთს დავადექი... ორივე დახშული აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან დავრწმუნდი: ის სამყარო, რომელიც მე განუზომლად მიყვარდა, ველარასოდეს აღსდგება აწი. ხუნდებიან ჩემი საყვარელი ფერები, კვდებიან ჩემი სანატრელი სიმღერები და ეს ლოფორთქინასავით სახეცვლილი ქვეყანა მე მეჩვენება როგორც უფერული ტრამალი... მეგონა სვენეთში გადახვეწით გავექცეოდი გარს მომდგარს გრიგალს ლალუმებისას, მაგრამ შევცდი, იქაც იგივეა, რაც პარიზში, რომში ან ტფილისში ხდება. იდეები ებიდემიას გვანებია, ისინი ისეთი ქვეყნებსაც მისწვდებიან თურმე, სადაც კაბელებსა და ელმავთულებს ჭერაც ვერ მიუღწევიათ. ჩემთვის აწ ყოველივე ამაოა, მე უკვე აღარ მესმის საუკუნის ძახილი. უკეთ გეტყით: მესმის, მაგრამ მაყრეოლებს მის გაგონებაზე. ხელი მომეცარა სიყვარულში, სამეცნიერო ასპარეზზე ხელი მომეცარა. ერთ რამეში არ მომეცრება მგონი ხელი“... აქ სიტყვა გაუწყდა მერის და ცრემლები მოერია, უცბად გონს მოეგო და ასე მიმართა მწერალს. ჩვენ გვიყვარს თარაში, ძალიან გვიყვარს, ის ნამდვილი ქართველია, მაღალი ინტელექტისა და მორალის კაცი, ისევე გაუწყდა სიტყვა მერის, ახლა მწერალი შეეშველა:

— არ დავფარავ და ვიტყვი, მეც მიყვარს თარაში, იცნ ჩემი ერთგვარი ორეულია, მაგრამ მან ვერ მოძებნა საერთო ენა ჩვენ ეპოქასთან და აი აქ გავემიჯნე მე მას. მე ვცდილობ დავამყარო ერთგვარი კონტაქტი ჩვენს დროსთან. მე მწამს



აქტიური მოქალაქე. რაც უნდა თავში გიჯახუნონ, შენ შენს მიერ არჩეულ გზას არ უნდა გადაუდგე, ჩემი დევიზია ნურავის დაუთმობ იმ ადგილს, რომელიც შენ განგებამ მოგაკუთვნა ერის სამსახურში, თორემ მას უმალ სხვა დაეპატრონება, შენზე უღირსი. რაც შეეხება განწირვას, მე კი არა, ცხოვრებამ განწირა იგი, მე კი ცხოვრების კარნახს ყური დავუგდებ და იძულებული გავხდები გამემეტებია ეს ჩემი სულის ნაწილი — თარაში.

აქ შეჩერდა, მერე ისევ გააგრძელა.

— ოციან წლებში მე ჩემს კულტურულ-ეროვნულ ორიენტაციას არ ვმალავდი და ამ ნიადაგზე მქონდა კონფლიქტი მთავრობის ოფიციალურ პირებთან, ამის გამო ათასი გზით უბურთავეებივართ კიდევ, მაგრამ მე ჯიუტად ვიცავდი მაშინ ჩემს მიერ არჩეულ გზას. ყველაფერი ეს ძვირად დამიჯდა. — ისევ შეჩერდა და განმარტა, — ეგებ არც ღირდეს ჩემი ცხოვრების ოდისეისა მოყოლა და ამიტომ მოკლედ მოვჭრი. მერე, როცა თავად დავრწმუნდი, რომ კომუნისტებში ბევრი აღმოჩნდა ეროვნული მოღვაწენი, რომელთაც გეზი აიღეს ქართული კულტურის აღორძინებისაკენ, გაიხსნა ამდენი უმალღესი სასწავლებელი და სკოლები, მუზეუმები და ბიბლიოთეკები, მერე იყო 1932 წელს თავად გამოუცხადეს ბრძოლა რაპპელებს, ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწეებს — ივანე ჯავახიშვილს და სხვებს პატივისცემა დაუდასტურეს, განა მე ჩემი ქვეყნის მტერი ვიყავი, რომ ყოველივე ეს არ მეგრძნო, არ დემენახა? დავინახე და ავსახე კიდევ ყოველივე ეს „მთვარის მოტაცებაში“. აქ ნათლად წარმოვაჩინე, რომ არც რევოლუცია ყოფილა ქართველი ერის მტერი და არც მე ვყოფილვარ რევოლუციის მტერი. მე საბჭოთა ხელისუფლების ურა აპოლოგეტი არ ვყოფილვარ, მაგრამ არც მტერი ვიყავ მისი. უნაგაროდ ვემსახურებოდი ქართულ ენას და ასევე უნაგაროდ ვიცავდი მას ყოველგვარი შევიწროვებისაგან.

ბოლოს ესეც გვითხრა: მწერლობა დიდი ძალაა. პირველად იყო სიტყვა... მაგრამ ჩვენს დროში სიტყვა საქმის გარეშე ამაოდ დროის ნაყვანა. ისიც სათქმელია, გადაჭარბებულ ლტოლვას ჰუმანიტარული განათლებისაკენ დიდი სიკეთის მოტანა არ შეუძლია ერისთვის, ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერს ათას გზის მეტი ზეინკალი, ფოლადის მწრთობი, მქედე-

ლი, ცეცხლის ფარეში, ხარატი, ხურო და მღესავი ჭირდება, ვიდრე პოეტი და ფილოლოგი. ეს კარგად იცოდა ამ უნივერსიტეტის დამაფუძნებელმა ჩვენმა დიდმა ივანემ და ამიტომ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს უმალ მოაყოლა სამედიცინო, პოლიტექნიკური და სასოფლო სამეურნეო ფაკულტეტები.

ესა თქვა და ბატონი ივანეს სადღეგრძელო შემოგვთავაზა.

ბატონი კონსტანტინე თავკერძა და მიუკარებელი პიროვნებად გვესახებოდა, მაგრამ იმ საღამოს, ისე მოგვეფერა, ისე მოგვეალებრა, ისე გაგვათბო სიყვარულით, რომ ერთბაშად წაიშალა ზღვარი დიდ მწერალსა და შევირდთა შორის...

\* \*

1967 წელს დასრულდა კონსტანტინე გამსახურდიას რვატომეულის გამოცემა. მერვე ტომი ბატონმა კონსტანტინემ მწერალთა კავშირში მომართვა ასეთი წარწერით: „თბილისი, 1968 ახალის წლის პირველ დღეს, ჩემს ძველ მეგობარს, შესანიშნავ მწერალს, სერგი ჭილაიას დიდი პატივისცემითა და ძმური სიყვარულით. კონსტანტინე გამსახურდია“.

ეს საუბარიც მაშინ შედგა:

— ჩემს სულს ზეიმი მაშინ ეწვეოდა, როცა რომელიმე ნოველასა თუ რომანს დავასრულებდი, მაშინ ვხარობდი ბავშვით, უკანასკნელ წერტილს რომ დავუსვამდი ახალ ნაწარმოებს. მაშინ განვთავისუფლებოდი ჩემს მიერ დახატული გმირების სულიერი ტყვეობისაგან და ბედნიერად ამოვისუნთქავდი. ასეთი ბედნიერი დღეები ბევრი მქონია. ყველაზე მეტად ეს განვიცადე, როცა ამ რვატომეულის დაბეჭდვა მოვამთავრე. აქ თითქმის ყველაფერს ერთად თავი მოვუყარე, რაც ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქართულ სიტყვასთან ჭილილში შემიქმნია. თუმცა სრულიად შეგნებულად, ყველაფერი არ შემიტანია ამ ტომებში, რაც კი დამიწერია. მე თანამედროვე ჩემი მკითხველის თვალთ, „მთვარის მოტაცების“ მეტრით ავზომე და ავწონე ყველაფერი, რაც დამიწერია და ტრიბუნებიდან წარმომითქვამს საქართველოს სადიდებლად და ამის მიხედვით შევადგინე ეს რვატომეული. ამ ტომებში ერთიანი და დიდი საქართველოს მე-

ხოტბედ და მებაჭრედ მომაქვს თავი, სულ ერთია წარსულის თემაზეა შექმნილი თუ თანამედროვე საქართველოს ეძღვნება იგი. მე შეგნებულად წავშალე მიჯნა, ძველებური გაგებით, ისტორიულ და თანამედროვე რომანთა შორის. წარსული არასოდეს გამიხდია თვითმიზნად. ის ვინც წარსულისაკენ იყურება და ამ წარსულით ცხოვრობს და ტკბება, ის არაფრის მაქნისია. ჩვენ ილიას სიტყვები უნდა წავაწეროთ ჩვენს დროშას: — „წარსულ დროებზე მოვიკლათ დარდი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“. — წარსულის რომანტიზმი უნდა დაეძლიოთ და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა შენ აქტიური მონაწილე ხარ აწმყოსი, მე წარსული ჩემი თანამედროვე საქართველოს თვალთ და გონით გავაცოცხლე. მე ხელი მივყავი წარსულის გმირების გამოხატვას, რომ ისინი თანამედროვე საქართველოს სამსახურში ჩამეყენებია. მე მგონია ამას მივალწიე კიდევ ჩემს რომანებში „დიდოსტატის მარჯვენასა და „დავით აღმაშენებელში“. ამის შემდეგ კვლავ თანამედროვეობას დაეუბრუნდი და გამოვაქვეყნე „ვაზის ყვავილობა“. დიახ, მე მწადდა წარსულის რომანტიზმის კვალი წამეშალა წარსულისა და აწმყოს გმირებს შორის და მათთვის ერთიანი, მთლიანი საქართველოს უკვდავების სული ჩამედგა. მარად და ყველგან მე თან მახლდა ჩვენი ერის ეს უკვდავი სული. იმ მწერალს, რომელიც აკლდამებიდან იღებს პატრიოტიზმს, აკლია რწმენა ერის უკვდავი სულისა, რომელსაც ილია და აკაკი გამოიხმობდნენ ხოლმე ჩვენი დიდებული წარსულიდან. აქტიურობა და აქტივობა, მოძრაობა და მოძრაობა, წინ და მხოლოდ წინ, როგორც ამას ჩავგაგონებდა დიდი ილია, მუდამ იყო ჩემი სახელმძღვანელო პრინციპი.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ერთი ამოსუნთქვით დაეწერე, ვითარცა პოემა. „დავით აღმაშენებელს“ კი 25 წელი მოვანდომე. ორივე შემთხვევაში მიზანი ერთი მქონდა, უკვე ლანდარქვეული გმირები წარსულისა გამეცოცხლებია და დღევანდელი სამსახურში ჩამეყენებია უკვდავი საქართველოს ეს უკვდავი სულები. ყოველივე ის, რაც ჩვენი ქვეყნის აწმყოს აღამიანებს გვერდში არ ამოუდგება შრომასა და ბრძოლაში, სავსებით ამოა ხარჯავა ენერჯისა და ქალაქისა. გიორგი პირველისა და დავით აღმაშენებლის საქართველო მე მსოფლიო ცივილიზაციის აკვანს, ბიზანტიას გავაჯიბრე იმ

იღუმალი ძალით, რომელსაც საქართველოს უკვდავი სული ქვია. დავით მეფეში აბორგენული უკვდავების ეს სული სიკვდილმა და წარმავლობამ ვერ დაფარა, ისე როგორც ღმერთთან შერკინებული ხუროთმოძღვრის — არსაკიძისა. მე ამით წავშალე საზღვარი ისტორიასა და თანამედროვეთა შორის — მისი სახელი ერთია — ქართული სულის უკვდავება.

— თქვენ ერთ დროს ამტკიცებდით — „წამყვანი რომანი თანამედროვე მასალაზე აგებული რომანია...“

ამას წერდით 1936 წელს, მერე ერთბაშად ისტორიულ თემებზე გადახვედით. აქ ხომ არ არის წინააღმდეგობა?

— არა, არავითარ წინააღმდეგობას მე აქ არ ვხედავ. ეპოქის ამსახველ და შემდეგ თავად ეპოქის შემქმნელ დიდ მხატვრულ ქმნილებებს თანაბრად ეკისრებათ თანამედროვეობის პათოსის და სულის გადმოცემა. ამიტომ ისტორიული თემა პირობითი ცნებაა. ყოველ დიდ ისტორიულ პიროვნებაზე დაწერილი რომანი თანამედროვეა, რადგან იგი თანამედროვეთა სამსახურისათვის არის მოწოდებული. უნივერსალიზმი და სრულყოფა ფორმისა ეს არის ჩემი სამწერლო კრედიო. ნამდვილი მწერალი ისაა, ვინც ორღობეების ნაციონალურ ჩარჩოებს გადალახავს ამ პრინციპით. ევროპის მწერლობასა და მხატვრობას თვალი რომ გადავაგლოთ, ნამდვილი ხელოვნება არასოდეს ყოფილა მხოლოდ აწმყოთი განსაზღვრული. დანტე, რაფაელი, შექსპირი, გოეტე ხან ბიბლიურ თემებს ამუშავებდნენ, ხანაც ანტიკურ თემებს. მათი შემოქმედების მიზანი იყო არა პოპულარიზირება წარსულისა, არამედ შეფარული ენით გამოჩინება მათივე თანადროულობისა, ძნელია ზღვარის დადგენა ისტორიულსა და არა ისტორიულ რომანს შორის. ისტორიული რომანები ახდენდნენ წარსულის გადმოსახლებას აწმყოში. ეპოქის სულის გამოჩინება თანაბრად შეუძლიათ ისტორიულ თემებზე და თანამედროვეობაზე დაწერილ რომანებს.

— თქვენს რვა ტომეულში, ორი მოზრდილი ტომი კრიტიკულ წერილებსა და ესეებს უჭირავს, ამავე დროს თავად თქვენ მუდამ გამუდმებული შეხლა-შემოხლა გქონდათ კრიტიკოსებთან, რა აზრისა ხართ საერთოდ კრიტიკაზე?

— ჩემის აზრით, ნამდვილი კრიტიკა ისეთივე ხელოვნებაა, როგორც რომანისტიკა, ლირიკა, დრამატურგია. კრიტიკის ყან-

რი მხოლოდ მაღალხარისხოვან ლიტერატურებს გააჩნიათ. კრიტიკის დიდი და სასარგებლო მნიშვნელობის ჯეროვნად არ დაფასება უაზრობაა. მე პირადად უნდა განვაცხადო: ზოგიერთმა ჩვენმა კრიტიკოსმა საგრძნობი როლი შეასრულა ჩემს შემოქმედების საქმეში. მე მადლობელი ვარ ისეთი კრიტიკოსებისა, რომელნიც პრინციპული პოზიციებიდან მებრძოდნენ, არც მათ ვემდური, რომელნიც, რაიმე მიზეზით ჩემს მიმართ გაავებულნი, თავს მესხმოდნენ ხოლმე. როგორც პირველნი, ისე მეორენი აღვივებდნენ ჩემში შემოქმედების ენერგიას. დავა აცხოველებს ლიტერატურას, საერთოდ და აღრმავებს შემოქმედებისადმი ინტერესს. რასაკვირველია, მე აქ არ ვგულისხმობ, დასმენითი, დაბეზლებითი კრიტიკას. კრიტიკოსს, გარდა დიდი განათლებისა და გემოვნებისა, ესაჭიროება დიდსულოვნება და კაიკაცობა, მწერლებისადმი სიყვარული და ობიექტურობა. ნიჭი — ნიჭიო, მარტო ნიჭით ვერ გახვალ ფონს. ნიჭი თავად ღმერთისაგან ბოძებული დიდი განძია, მაგრამ მარტო ნიჭი არაფერს იძლევა უკვდავს, თუ იგი შრომით გამოდენილი ოფლით არ შეადუღაბე. ოფლისღერას და უძილო ღამეებს მოითხოვს, როგორც საერთოდ მწერლობა, ასევე კრიტიკოსობა. მე თავად დღედაღამ ვებრძვი ქართულ სიტყვას, როგორც კოჭლი იაკობი ებრაელთა მრისხანე ღმერთს...

— თქვენ ამ რვა ტომეულში ბევრგან აცხადებთ, მე ჩემი გეზი მქონდა მწერლობაში, ჩემი პრინციპი პირველ დღიდანვე არჩეული. რას გულისხმობთ ამ „თქვენს გეზში“?

— დიახ, მე ჩემი ლიტერატურული და ენობრივი პოზიცია გამაჩნია და თავი ამით მომაქვს. თავიდან დავიწყეთ. მე ენა სოფლის მითოლოგიის სამყაროში ავიდგი დედაჩემისა და ჩემი გამზრდელი ძიძისაგან მოსმენილ ლეგენდებსა და ზღაპრებში. მე ასე მგონია, მსოფლიოს მწერლობის ფუძე მითოლოგია. ამ წყაროს დავეწაფე, ოღონდ ქართულს, უფრო ზუსტად კოლხურ მითოლოგიას. ეს საოცარი სამყარო ამოუწურავ საზრდოს აძლევს მწერლის ფანტაზიას და მე მას უხვად ვიყენებდი ყველგან, სადაც ამის საჭიროება მესახებოდა. განსაკუთრებით ოციან წლებში, როცა მე ევროპაში განათლება მიღებული ფილოსოფიური მისტიციზმით ვიყავი გატაცებული. ამ ნიადაგზე მოვარივე ქართული მითოლოგია, წარ-

მართობა, ქრისტიანული მისტიციზმი და ევროპული მოდერ-  
ნიზმი, მაგრამ მე უკიდურესი დეკადენტი არასოდეს ვყოფილ-  
ვარ...

— კი წერთ: „დეკადენტობა ეს იყო ავადობა არა მარტო  
ჩემი, მთელი ჩემი და ჩემი უფროსი თაობისაც, ვინც ამ სენს  
საბოლოოდ თავი ვერ დააღწია, იგი შერჩა მოკლე ლექსებსა  
და კურდღელის კუდის სიგრძე ნოველებს, რადგან სიმბო-  
ლიზმი საერთოდ უარყოფდა ეპიკას“.

— არა, ასე ცალკე ფრაზებს, რომ გამოვეყიდოთ, ჩემი გა-  
მონათქვამები, ათასი ზეგავლენით და გარემოებით გამოწვე-  
ული, შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია, ვინ იცის რა  
დროს რა არ მითქვამს, იძულებით და პოლემიკით გამოწვე-  
ული. ამ ცალკე ფრაზების მიხედვით შეგიძლიათ გამომაცხა-  
დოთ (სამწუხაროდ ახლაც ამ ხერხს მიმართავენ), ხან მისტი-  
კოსად და ხან ურა კომუნისტადაც. არა, ასე ნუ ვიზამთ.  
მთლიანობაში უნდა განვიხილოთ მწერლის შემოქმედება და  
რასაკვირველია ამის მიხედვით დაიძებნება კიდევ ჩემი შემოქ-  
მედების ცალკეული ეტაპები „თუ პერიოდები“. ოღონდ რო-  
გორც მითქვამს ვინც შეგირდი არ ყოფილა ის ოსტატად არ  
გამხდარა, ხოლო ვინც შეგირდად დარჩა, იმისათვის ნამდვილი  
შემოქმედება მიუღწეველია. ამისდა მიუხედავად მე არც ერ-  
თი უცხოელი მწერლის ლიტერატურული სატელიტი არ ვყო-  
ფილვარ. იმ დასავლურ კულტურას თავად ვეზიარე ჩემს გან-  
სწავლულობის ყამს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე რომელიმე  
დასავლეთის მწერლის პირდაპირი გავლენა განმეცადოს.  
მე იმ საერთო ლიტერატურულ ატმოსფეროში ვტრიალებდი,  
სადაც ამ მისტიკოსების აკვანი დაირწა. სიჭაბუკეში დიახაც  
ბევრი მისვამს შპრეეს, სენას, მოსკვარეკას, ტიბრისა და ტემ-  
ზის წყალი, მაგრამ ყველაზე მეტად მიმირთმევია მტკვრისა  
და რიონისა. ნაციონალური მწერლობა იქ იწყება სადაც  
უცხოთა ზეგავლენა დაძლეულია.

ეს უკანასკნელი ფრაზა ისე რიხიანად განაცხადა: თითქოს  
მწერალთა კავშირის ტრიბუნაზე იდგა. მერე ხმას დაუწია და  
ისევ განაგრძო:

— ერთ დროს იმასაც მწამებდნენ, რომ წარმართობის  
აპოლოგიას ეწევო და ქრისტიანობის დიდ როლს ჩქმალავსო.  
არა ერთხელ დამიწერია და გამიცხადებია, რომ ყველა სარ-

წმუნობათა შორის ქრისტიანობა უფრო პროგრესული იყო, კულტურული, ვიღაც წერდა, წარმართობის აპოლოგიააო ჩემი რომანი, „დიდოსტატი“, — პირიქით, ამ რომანში ბრძოლა ქრისტიანობასა და წარმართობას შორის თავდება ქრისტიანული კულტურის გამარჯვებით, სვეტიცხოვლის აგებით...

ახლა რაც შეეხება ჩემს ენობრივ პოზიციას, აქაც ჩემი გეზი მაქვს მინიშნებული. ჩემი ლიტერატურული და ენობრივი პოზიცია ლიტერატურული სინამდვილით იყო ნაკარნახევი — მეოცე საუკუნემ, თვით ჩვენმა ლიტერატურულმა ცხოვრებამ, მოითხოვა გადაგვესინჯა მწერლობაში ის მდგომარეობა, რომელიც ჩემს თაობას დახვდა, ილიას, აკაკის და ვაჟას სიკვდილის შემდეგ ჩამომდგარი ლიტერატურული კრიზისი აშკარა იყო, ეს ჯერ კიდევ კიბა აბაშიძემ და არჩილ ჯორჯაძემ შენიშნეს და ახალი ევროპეიზმის გზა იქადაგეს. ტეტიათა მოტრფიალეთა კუთხურმა პროვინციალიზმა ქართული მწერლობა ეთნოგრაფიულ ზღუდეებში მოამწყვდია, საჭირო იყო ამ პროვინციური სამანების გარღვევა. ევროპული სტანდარტების გვერდით უნდა დამდგარიყო ქართული მწერლობა. ერთ-ერთმა პირველმა აქეთკენ ავიღე გეზი. ასე მოვიქეცი ქართული ენის მიმართაც. მე მწამდა და მჯეროდა, რომ ერთიანი ქართული ენის დადგენაში საქართველოს ყველა კუთხეს თავის წვლილი უნდა შექონდეს, ისე როგორც ჩვენი მკვლავმავარი დიდი მეფეები იბრძოდნენ და იღწვოდნენ ფეოდალური პარტიკული-არიზმისაგან დაქსაქსული მიწების გაერთიანებისათვის, ქართულ ენაზე მეტყველი ოსტატიც უნდა ეცადოს გააერთიანოს ქართულ დიალექტებში გაბნეული მარგალიტები ხალხური მეტყველებისა, ახალი ქლერადობა და ახალი სიცოცხლე მიანიჭოს მათ. მე მიზნად დავისახე ქართული ენის ეტიმოლოგიური მარაგის გამდიდრება მისი ძირეული დიალექტების მეოხებით, რაჭულის, მეგრულის, ზემო და ქვემო იმერულის, ქართულისა და კახეთის, საქართველოს მთიანეთის, ხევისა და ფშავ-ხევსურეთის თვით სვანურის ხარჯზე. ამ მიზნით მთელს საქართველოში ვმოგზაურობდი და ვნადირობდი ქართულ სიტყვებზე. ერთი მხრით ქართული ენის გამდიდრება ჩვენი უძველესი და უბრწყინვალესი წინაპრების: რუსთაფელის, ვისრამიანის მთარგმნელის, მერჩულეს, მთაწმინდელების, საბა-ორბელიანის ძირებთან ზიარებით და მეორეს მხრით ქართული მითოლოგიის, ქართული ზღაპრების, მრავალსახი-

ერ ქართულ დიალექტებსა და კილოკაეების ულავი ეტიმოლოგიური მარაგის გამოყენება — ასეთი იყო და არის ჩემი ენობრივი პოზიცია. აქვე დაუმატებდი: ჩემი რომანების გმირებს, რომლებიც მოქმედებენ დიდ ევროპულ ქალაქებში, სკირდებოდათ მეტყველებაში ქალაქური ურბანისტული ინვენტარიც. მე განზრახ არ მოვრიდებივარ გერმანულ-რომანულ წარმოშობის ბარბარიზმებს. ამ გზით ქართულ ენას ერთგვარი ინტერნაციონალური იერი მივანიჭე. არაფერი ნაციონალური საყურადღებო არ არის, თუ მას საერთაშორისო უნივერსალური მნიშვნელობა არ აქვს. ამ პრინციპს ვადექი მე და ვიცავდი მწერლობაში. რვატომეული, ჩემი სულის ეს მონაწურია ამის დასტური. ყველაფერი ეს ჩემმა მეგობრებმა შემაძლებიეს, რადგან დაფნის გვირგვინი კი არა, ეკლის გვირგვინი მეხურა მარადქამს ჩემს რთულ ცხოვრების გზაზე. ქართულ მწერლობაში მე ბევრი მყვანდნენ მეგობარნი და მხარდამჭერნი. მათში ყველაზე უფრო ახლობელი მეგობრები იყვნენ ალექსანდრე აბაშელი და პავლე ინგოროყვა. ჩვენ ერთმანეთისთვის არა მარტო ის მცირე ულუფა გაგვიყვია, რომელსაც დიდი წვალებით და შრომით ვპოვებდით, არამედ მძიმე გზაც ცხოვრებისა და მწერლობისა ერთ უღლის ქვეშ გვიტარებია. ასევე ახლო მეგობრობა მქონდა კონსტანტინე ჭიჭინაძესთან, იოსებ გრიშაშვილთან, გალაკტიონ ტაბიძესთან, ლეო ქიაჩელთან... როცა ოციანი წლების ცხარე ბრძოლები ჩაცხრა, მე მეგობრების რიცხვიც გამეზარდა, მაგრამ ახლა ამათი გვარების ჩამოთვლას აქ არ შეეუდგები, თუნდაც იმიტომ, რომ შეიძლება ამ ჩამოთვლაში ზოგი მეგობარი გამომჩრჩეს. მე ბევრი არა ქართველი მეგობრებიც მყავდა: ნიკოლოზ ტიხონოვი და ალექსი სურკოვი. ალექსეი ტოლსტოი და კონსტანტინე ფედინი, მიკოლა ბაჟანი და პავლე ტიჩინა, დერენიკ დემირჩიანი და ავეტიკ ისააკიანი. სწორედ ამ მეგობრებმა შემაძლებინეს ჩემი ცხოვრების მძიმე გზაზე არ დავარდნილვიყავ და გული არ გამტეხოდა. არა, მეგობრობა დიდი ძალაა. ის დალოცვილი რუსთაველი ბრძენთა შორის უბრძნესი კაცი იყო, სწორედ ის გვასწავლიდა: „ვინც მეგობარსა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. დიახ, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია... თვითონ ბატონმა კონსტანტინემ საოცარი მხარდაჭერა იცოდა, მახსოვს,



1960 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს ვიცავდი, დისერტაციის თემა იყო „საბჭოთა მწერლობის განვითარების გზა“ (1958 წლის რუსული გამოცემა). უკვე ამ წიგნში, ლიტერატურაში შექმნილ მდგომარეობის ფონზე, ბევრი რამ შევასწორე, ბევრი თავი ხელმეორედ დავწერე, მაგრამ ამ გამოცემაშიც, დღევანდელი პოზიციით, ბევრი რამ ისევ უმართებულოდ და ძველის ინერციით იყო გაშუქებული, კერძოდ, „აკადემიური ასოციაცია“, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი კონსტანტინე გამსახურდია იყო. ასევე ბატონი კონსტანტინეს ჟურნალები — „ილიონი“, „საქართველოს სამრეკლო“ და მისი რომანი „დიონისოს ღიმილიც“. პაექრობაში ბატონმა კონსტანტინემ მიიღო მონაწილეობა და თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოს წინაშე განაცხადა (ეს ფიქსირებულია სტენოგრაფიულ ანგარიშში): „სერგი ჭილაია ერთგულად გვემსახურება მწერალთა კავშირში, როგორც მდივანი ამ კავშირისა. იშვიათი საზოგადო საქმიანობისა და თავისი მოვალეობის შემსრულებელი აღამიანია. მას, როდესაც არ უნდა დაურეკოთ, ის თავის პოსტზე არის. მე მაოცებს, როდის ასწრებს იგი ამდენ წერას“. მერე ხელთ აიღო ჩემი წიგნი და დაუმატა. აქ ისე ვრცლადაა წარმოჩენილი ჩვენი თანამედროვე მწერლობის როლი და ადგილი მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში, რომ პირდაპირ გაოცება გიპყრობთ, ასეთი რამ მხოლოდ მის თანამედროვე მწერლებზე უზომოდ შეყვარებულ კაცს შეეძლო. მაგრამ ეს კია (და მე გადმომხედა) ზოგ-ზოგის მიმართ გადაჭარბებულ ხოტბას აღავლენს ხოლმე, ზოგს კი მკაცრად გვეპყრობა, მაგრამ მისი გულის სითბო მაინც ჩანს. მე თავად არ წარმომედგინა, თუ ამოდენა შრომა გვექონდა გაწეული პირადად მე და ჩემს კოლეგებს, როგორც ეს ამ წიგნშია წარმოჩენილი...



სამოცდაათი წლის იუბილე რომ გადაუხადეს (1961 წელი), საოცრად მხნედ იყო. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მალალ ტრიბუნიდან განაცხადა: „უნ-

და ვალიარო, რომ არც სიბერეს ვგრძნობ და არც დაღლას. ვაუკაცურ სიტყვას ვაძლევ ჩვენს ხალხს, ჩვენს მთავრობას, კვლავინდებურად ვებრძოლო ქართულ სიტყვას, როგორც იაკობი თავის მრისხანე ლმერთს“...

ოთხმოცი წლის იუბილე კი ტელევიზიის მეშვეობით, უჩვეულოდ და განსაკუთრებულ გარემოში აღვნიშნეთ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის იმ დიდ დარბაზში, სადაც საქართველოს უძველესი კულტურის ექსპონატებია გამოფენილი, ბატონი კონსტანტინე იჭდა ძველ სამეფო სავარძელში მეგობარ-მწერლებით გარემოცული და უსმენდა მისი სადიდებლად წარმოთქმულ სიტყვებს. მათ შორის გამოირჩეოდა უკრაინელი პოეტის ვიტალი კოროტიჩის სიტყვა, მწერლისადმი უმაღლესი პატივისცემით და სიყარულით გამთბარი. თავად კონსტანტინე კი მთელი საათი ისე იჭდა, რომ ხმა არ გაუღია. უკანასკნელ წლებში თავზე დამტყდარმა ტრაგედიამ გატეხა ეს კლდესავით მაგარი კაცი. ჯერ იყო და მეუღლე — მიჩანდა ფალავანდიშვილი გამოეცალა ხელიდან, მერე სრულიად მოუღოდნელად ქალიშვილი — პირმშვენიერი თამარი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, უნიჭიერესი, ულამაზესი და უმამაცესი, ტიპიური ქართველი ქალიშვილი წაართვა სიკვდილმა. ამას მოჰყვა მძიმე ავადმყოფობა. ერთხანს მაინც არ ნებდებოდა ეს კერპი კაცი ავადმყოფობას და შეუპოვრად ებრძოდა კარზე მომდგარ სიკვდილს. მაინც ავადმყოფობისაგან და ბედისაგან მიყენებული ჭრილობა მელანქოლიით ავსებდა მის სულს.

ბატონი კონსტანტინე საავადმყოფოში იწვა, პირველი ოპერაცია უკვე გაეკეთებიათ, მეორე ვერ გადაეწყვიტათ, ყოყმანობდნენ, ბატონი კონსტანტინე აჩქარებდა ექიმებს. ვინახულე საავადმყოფოში. კარგ გუნებაზე დამხვდა. თავად გამიბა საუბარი. იხუმრა: „ჩემმა მტრებმა რაც დამაკლეს, ახლა ავადმყოფობამ უნდა მომითავოსო. მე ბრძოლებისთვის დავბადებულვარ და ასე მგონია, ვერც მტრები, ვერც მოშურნენი, ვერც სიბერე და ავადმყოფობა ასე ადვილად ვერ მომერევიანო. ჩემს გაძაღლებულ ცხოვრებაში (უკვე გაერია ნალველი მის სიტყვას) უშიშრად ვხვდებოდი ყოველგვარ შემოტევას, არც ახლა დამიყრია საბოლოოდ აბჯარი“... სიტყვა გაებზარა, მერე სული რომ მოითქვა, ისევ გააგრძელა: — „არც

გოეტეს, არც ბალზაკს, არც ლევ ტოლსტოის და არც ილია ჭავჭავაძეს სცოდნიათ თუ რას ნიშნავს მოქანცულობა, უგუნეზობა და სიბერე. ჰოდა, მეც მათ გზაზე მავალი ვარ, იცოდეთ — ეს თქვა და ტკივილებმა შემოუტეეს, გაყუჩდა კონსტანტინე ბატონი. მერე ძილი მოერია, მე ამით ვისარგებლე და ფეხაკრეფით გამოვედი ოთახიდან. პროფესორი ვინახულე, ასე მოთხრა — ეს რომ კონსტანტინე არ იყოს, მე გავუკეთებდი მეორე ოპერაციას, მაგრამ აქ ვერ წავედი ამ რისკზე, ორგანიზმი ძალზე დასუსტებულია, არა მარტო ეს აწუხებს, არამედ ბევრი რამ სხვაც, ვერა, ვერ გავბედავ მეორე ოპერაციას, ვიდრე არ გამომჯობინდება და არ მომაგრდება ორგანიზმი.

მერე ის იყო, მეორე ოპერაციის გარეშე გამოწერეს. ერთხანს მომჯობინდა, მწერალთა კავშირშიაც დაიწყო სიარული, მერე ისევ მოერია ავადმყოფობა, მაგრამ — საავადმყოფოში დაწოლა არ ისურვა და შინ იყო ლოგინად ჩაეარდნელი. თითქმის ყოველდღე ვნახულობდი, თუ არა და მაინც ვიცოდი მისი მდგომარეობა, რადგან მკურნალად თავზე ადგა IV სამმართველოდან მიმაგრებული ექიმი, ჩემი რძალი მარიამ-ლოლიძე-ჭილაია. სიკვდილის წინა დღეს ვინახულე — ჩია, გამხდარი, უფერო, თვალდარდიანი, სუფთად და კობტად ჩაცმული და მოვლილი უფროსი ქალიშვილისაგან, უდიდესი მოთმინებით იტანდა ტკივილებს. ავადმყოფობას განსაკუთრებით გაემძაფრებია სიცოცხლისადმი წყურვილი, გაუხარდა ჩემი მისვლა.

— მამა გაბრიელი მომადგა წუხელ, კარი გადავრახეთ და არ შემოვუშვიტ, სახლს უკანიდან მოურა და ღიად დარჩენილი ფანჯრიდან შემოალაჯა, ვიძრე ჩემი სევანური ყამა და გაქრა ვით მოლანდება.

ასე მომეჩვენა ავადმყოფობას ვერ ჩაექრო ცეცხლი მისი გულისა.

გრძელი პირსახე, მაღალი შუბლი, კეხიანი ცხვირი, გიშრისფერი მომნუსხველი თვალები ფრიად მრისხანე და მიუკარებელს წარმოაჩენდა მას, სიტყვის შემობრუნებას და შეკამათებას არავის შეარჩენდა. ყველას გვაოცებდა თავისი დაუცხრომელი ენერჯითა და დაუოკებელი ტემპერამენტით. სიკვდილის წინა დღესაც შერჩენილი ჰქონდა ეს შეუვალი სიამაყე. მაშინ თქვა:

— მე ის დროა ვემზადებოდე ლანდების ქვეყანაში გადასასვლელად, ამიტომ რასაც ახლა გეტყვი, ეს აღსარებაა ჩემი სულისა. ცხოვრებამ მე ეკლის გვირგვინი მარგუნა, განგებამ არც სიბერის უამს დამინდო და ასე უღვთოდ გული დამიბერა და მერე ლოგინად მიმაჯაჭვა, მაგრამ შემოქმედებამ, ჩემმა ნაწერებმა ბევრჯერ მომანიჭეს აუწონავი სიხარული, ჰეშმარიტი მწერალი ისაა, ვინც ადამიანის დახლართული სულის საიდუმლოებას ჩაწვდება, — აქ შეისვენა, საწოლთან თავმოდრეკით მდგომ ვაჟიშვილს შეხედა და მერე ისევ გააგრძელა ნება-ნება, — ცხოვრებაში მართო მშვენიერი არსებანი როდი იბადებიან, არამედ ბოროტნიც, ლამაზი სხეულისა და ლამაზი სულის არსთა გვერდით არიან მახინჯნი, მახინჯნი სხეულითაც და სულითაც. ხელოვანი ვალდებულია ორივეს თანაბრად მიუხელოს ფერები და საღებავები ბუნებისგან ბოძებული ბედისამებრ. მე პირმშვენიერი, ულამაზესი და უმამაცესი შორენას გვერდით მახინჯი მარიამი დაეხატე, ხოლო ღმერთკაცის არსაკიძის გვერდით ბოროტი და შურიანი ფარსმან სპარსი, განათლებული, ამაყი და ულამაზესი ჭაბუკის — თარაშის გვერდით ბედდამწვარი ლუკაია გამოვქერწე. ნიჭი სიყვარულისა და წადილი სიცოცხლისა ორივესათვის თანაბრად მიუნიჭებია განგებას. ნაირნაირი იდეებისა, ფერისა და მოდგმის ადამიანთა ამოცნობა მუდამ იყო მწერლობის ამოცანა. საერთოდ ისეთ ეპოქაში მომიხდა ცხოვრება, რომ წინააღმდეგობრივია ჩემი შემოქმედება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე, „მთვარის მოტაცების“ ავტორი, „დიონისოს ღიმილის“ ავტორიცა ვარ, სადაც რომანის პათოსია, „ამაოება, ამაოთა და ყოველივე ამაო“... ამის შემდეგ მე მთელი ნახტომი გავაკეთე „მთვარის მოტაცებასა“ და „ვაზის ყვავილობაში“. ახლა, ამ სიკვდილის წინ, თუ მკითხავ, როდის ვიყავ მე მართალი, „დიონისოს ღიმილს“ რომ ვწერდი, თუ „ვაზის ყვავილობას“? — აქედან რომ გადავხედავ ჩემს გზას, აწ უკვე განვლილს, მიჭირს რამე გითხრათ გადაჭრით. ერთი კია, ორივე შემთხვევაში გულწრფელი ვიყავი მე ჩემი სინდისისა და ჩემი სამშობლოს წინაშე. დაე, დრომ გამოიტანოს განაჩენი. მე არ მეშინია იმ მომავალი თაობისა, რომელიც 100-200 წლის შემდეგ წაიკითხავს ჩემი გატანჯული სულით ნაწერ რომანებსა და ნოველებს.

შევატყვე, რომ დაიღალა ამ საუბარში და ერთბაშად მო-  
ვუქერი: — დიდოსტატს სიკვდილი ვერ დაეწევა...

ხმა არ გაუღია, იგი იწვა პირალმა, მეფურად ამაყი.

მეორე დღეს შემატყობინეს, ბატონი კონსტანტინე გარ-  
დაიცვალაო. უმალ მივაშურე კოლხურ კოშკს, ეზო უკვე  
სავსე იყო ხალხით. საშინელი ღუმილი დაუფლებოდა იქ ყო-  
ველივეს, დიდოსტატის სიკვდილით გამოწვეული ღუმილი.  
ექიმი ჩურჩულით მეუბნება: დავით აღმაშენებლის დარად  
უკანასკნელი ომი გადაიხადა ბატონმა კონსტანტინემ. იგი  
ფეხზე ამდგარი შეხვდაო სიკვდილს და ასე გაეყარა სიცო-  
ცხლეს. ჩემს გულში ისევ ბატონი კონსტანტინეს სიტყვებმა  
გაიხმაურეს: „სიკვდილი ვერ დაეწევა დიდოსტატს...“



მეორე დღეს გაზეთები, რადიო და ტელევიზია ქვეყანას  
ღრმა მწუხარებით აუწყებდნენ:

„1975 წლის 17 ივლისს, ხუთშაბათს, თბილისში, კოლ-  
ხურ კოშკში, 84 წლის ასაკისა, მიიცვალა ქართული სიტყ-  
ვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია“.

მთელი ოთხი დღე ესვენა იგი თავის საყვარელ სასახლეში,  
მთელი ოთხი დღედაღამე არ შეწყვეტილა ხალხის მოსვლა  
კოლხურ კოშკში.

21 ივლისს დილის 11 საათზე კონსტანტინე გამსახურდი-  
ას ცხედარი სახლიდან მწერალთა სასახლეში გადმოასვენეს,  
მოდიოდნენ თბილისელები, აფხაზები, ოსები, საქართველოს  
ყოველი კუთხიდან ჩამოსული დელეგაციები. პატივისმცემელ-  
თა და თაყვანისმცემელთა ნაკადი შეუწყვეტლად მოედინე-  
ბოდა. დაიწყო სამგლოვიარო მიტინგი, დარბაზი გადაკეტეს  
და მომსვლელთა ნაკადი შეაჩერეს, მაგრამ არა, იძალა ხალ-  
ხმა და დარბაზს მოაწყდა. და ასე, ხალხის შეუჩერებელ დი-  
ნებასა და მსვლელობაში ჩატარდა სამგლოვიარო მიტინგი.  
მერე, ხალხის ამ ზღვა დინებაში დარბაზიდან ძლივს გამოას-  
ვენეს კონსტანტინე გამსახურდიას ცხედარი მისმა მეგობარ-  
მა-მწერლებმა და ხალხით სავსე ქუჩით მიიკვლევდნენ გზას  
და ასე მიასვენეს კიროვის ქუჩამდე, კიროვის ქუჩა მთლად  
გადაკეტილი იყო ხალხით და გადაწყვიტეს მანქანაზე დაეს-

ვენებიან მიცვალებული, უცხად ვიღაცამ დაიძახა, არა; ხე-  
ლით, ხელით ვატაროთ, და ახალგაზრდებმა აიტაცეს კუბო  
და ასე ხელით ატოტებული მიიკვლევდნენ გზას ხალხით გა-  
ქედნილ კიროვის ქუჩაზე, ლენინის მოედანზე გავიდა თუ არა  
ბროცესია, უცებ გაისმა სიონის ზარების მწუხრის ზუზუნნი,  
წამით გაინახა ხალხი, დაიძრა პროცესია და სიონის ზარების  
ექვს ქაშუეთის ზარების მოთქმა შეუერთდა, ასე ხელზე ატა-  
ტებული ზარების მოთქმაში მიქონდათ მუხის კუბო. რუს-  
თაველის პროსპექტით, პროცესია მელიქიშვილისა და პეტ-  
რიაშვილის ქუჩით მიადგა მწერლის კოლხურ კოშკს და  
ეზოში დაასვენეს, ამ ეზოსა და ამ კოშკის პატრონი, ის ვინც  
მთელი 70 წელი იწვოდა და იფერფლებოდა ერის ფიქ-  
რებით.

ეს ენით აუწერელი დემონსტრაცია იყო ხალხის უსაზ-  
ღვრო სიყვარულისა. მთელი საქართველო დიდი მწუხარებით  
გამოეთხოვა ვალმოხდილ მამულიშვილსა და ქართული სი-  
ტყვის დიდოსტატს, იგი იყო არა მარტო დიდოსტატი ქარ-  
თული სიტყვისა, არამედ სიბძნისა და სიმამაცის განსახი-  
რება. კაცთა ვნების გულთამხილავი, უებარი მესაიდუმლე  
ადამიანის სულისა, დიდი რაინდი, უშიშარი ვითა უხორცო,  
მთავარსარდალი ქართული სიტყვისა — ასე იცნობდნენ მას  
მთელს საქართველოში და ასეთად მინდა დარჩეს ამ ჩემს  
დღიურებში.

\* \* \*

მან ჰერამდე აღავსო ჩვენი მწერლობა მაღალი პოეზიით.  
დიან, მან წაშალა მიჯნა პოეზიასა და პროზას შორის. მისი  
პროზა პოეტური პროზაა არა მარტო რიტმულობის გამო,  
არამედ მთელი მისი მხატვრული ინვენტარით: „ენა ქარ-  
თული მყინვარივით გულზეიადი. ენა ქართული — ზღვასავით  
ულევი, ენა ქართული — თასმასავით მოქნილი, ენა ქართუ-  
ლი ღმერთების ენა. ხანდახან მაინც მომადგებიან პირზე მარ-  
ჩბივი სიტყვები. დასაკლავ მოზვერივით ვხიხინებ და გწყევ-  
ლი იმ დღეს, როცა სიზმარს გადაყოლილმა ჰაბუკმა ოცნე-  
ბამ მე უცხოეთში გადამიტყუა.

ენა ქართული — ღმერთების ენა! როცა მისი გენია

შუბლზე მკოცნის, მაშინ ორლესული მახვილი იელვებს ჩემს პირში, და ასე მგონია: მე თვითონ ვარ გამოუთქმელის წარმომთქმელი ღმერთი, და მეზადება ახალი ტემა: „უნდა დავწერო მეორეჯერ ქება დიდებულისა ქართულისა ენისა“... ...ყოველთვის, როცა უცხოეთიდან საქართველოში ებრუნდები, ასე მგონია ხელმეორედ დავიბადე. მახარებს საქართველოს მაღალი ზეცა. მე არსად მინახავს ასე თეთრი, აქატის ღრუბლები, ასე ტკბილი გამჭვირვალე ჰაერი, არც ბალახს, არც ნეშოს ასეთი სურნელება არ აუღის სხვაგან. ქვეყანას არ მოლანდებია ასეთი გათენება. ეს მშვენიერი ამეთისტოს მთები, ეს გულჩათხრობილი ნაძვნარები, დაბლა ჭალაკი ვარვარებს...

მზეო, მზეო, მზეო მე სამჯერ ხმამაღლა ვახსენებ შენს უკვდავ სახელს.

მზეო,

მზეო,

მზეო,

მნათობთა დედუფალო, დედავ მოხუცებულო და ალერსიანო...

მზე — მზიანობით,

სვე — სვიანობით,

დილას აღმოხდა ფარშავანგულად...

ჭია — მაია,

მზე,

ბალახი... თვალსა ეხუქავ. უშველებელი სასწაული იხსნება მაშინ ჩემს გულში...“

რა არის ეს პასაჟი? ჩვეულებრივი პროზა? არა, ეს შეგონებებით, აფორიზმებით, მეტაფორებით გაპოეტურებულ პროზაა. აქ რიტმი რითმასთან ისეა შერწყმული, რომ წაშლილია საზღვარი პოეზიასა და პროზას შორის. ამავ დროს, პოეტისა კი არა, რომანისტის დაწერილია ეს პასაჟი. ამიტომ მიგვაჩნია კონსტანტინე გამსახურდია დიდ ნოვატორად. ამ მხრივ ვხედავთ ჩვენ ანალოგიას კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებასა და გალაკტიონს შორის. ეს ორი სახელი ორი დიდი მწვერვალია ქართული მწერლობისა, აი რატომ არის კონსტანტინე გამსახურდია ქართული მწერლობისა და ქართველი ხალხის დიდი ეროვნული გმირი.

იოსებ გრიშაშვილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან ვემეგობრობდი. მწერალთა კავშირში კი ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ხშირად მომინახულებდა. შემოვიდოდა თუ არა გაღიმებული სახით, მომამახებდა — სერგის და ილიაში ამოჩრილ რომელსამე ახალ წიგნს მომაწოდებდა, მერე ხალისით ყვებოდა, სად შეიძინა და რით არის ეს წიგნი საყურადღებო, რა მინაწერია წიგნის არშიებზე, ვინ იყო მისი პირველი მფლობელი...

ვერ ვიტყვი, მარტო ჩემი მეგობრობით ყოფილიყოს გამოწვეული მისი ხშირი ვიზიტი მწერალთა კავშირში. არა, მას აქვე ეგულებოდა ადამიანი, ვისაც აღმერთებდა და სულს ერჩია. სოსო პირველად უთუოდ მასთან, მარიჯანთან შევიდოდა, თავის ახალ ლექსს ჰაშნიკად, დაბეჭდვამდე, იმას უკითხავდა ნოლმე. მასვე აკეთებინებდა რუსული თარგმანების ბჭკარდსაც. მასთან ბაასით გულს რომ იჭერებდა, მერე ჩემთან შემოდოდა, გახალისებული, გაცისკროვნებული თვალებით, საოცარი ბავშვური ღიმილით.

იმ დღეს გვიან შემოიარა მწერალთა კავშირში, სამუშაო დღე დამთავრებული იყო, სასახლეში არავინ ჩანდა. მეც შინ წასასვლელად ვემზადებოდი. ალექსანდრე აბაშელის ნახვა მინდოდა, მაგრამ უკვე წასულაო.

მწერალთა კავშირიდან ერთად გამოვედით. სოსო ჩემს მანქანაში ჩავსვი და სახლამდის მივაცილე. მანქანიდან რომ ჩამოვედით, არ მომეშვა, სახლში ამომყევით. მე გრიშაშვილთან მრავალჯერ ვიყავ ნამყოფი, სათითაოდ თვალი შემვივლია მისი უმდიდრესი და უნიკალურ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნებისთვის, სათუთად მოვლილი იშვიათი გამოცემებისა და სელნაწერთა კოლექციისათვის. მეჩქარებოდა ამიტომ უარი ვუთხარი, მაგრამ არ მომეშვა.

მეორე სართულზე ავედით თუ არა, მაშინვე აივანზე გამიყვანა. აქედან, ძველი თბილისის გულის სიღრმეში, გამოჩნდა მტკვარი, მეტეხი, ორთაჭალა, ისანი, კრწანისი, „მზიური ნისლით დაბურული ნარიყალას ისტორიული ნაშთი“.

— აი თბილისი, ჩემი ლექსის მასწავლებელი, თბილისი საფენელი ჩვენი სულისა, ჩემი პოეტური ფანტაზიის და ოც-



ნების წმინდა სიხარული, მე თბილისის პოეტი ვარ და მისად-  
მი ჩემი უანგარო სიყვარული, ლექსის ლერწმებში დავაპა-  
ტიმრე! — სოსომ მარჯვენა ხელი აღმართა და დაიწყო:

თბილისო, ჩემო თბილისო, მითხარი, როგორ არ გაქო,  
სამშობლოს ნატურისთვალი ხარ, პოეტის დედაქალაქო!

წამო მითხარ, სადაური კაცი ხარ,  
რას დაფრინავ ცაში კამარ-კამარა!  
შეხე ადგილს ნაომარს და ნაციხარს,  
რა ატლასი შემოუკრავს ქამარად...

„საქართველო ბეჭედია ბაჯალლო, და თბილისი — შიგ ჩას-  
მული ბადახში...“ — შეჩერდა, მერე მომმართა — არ დაგი-  
მალავ და გეტყვი, ყველაზე უფრო მე თბილისზე დაწერილი  
ლექსები მიყვარს, — ესა თქვა და ისევ ლექსი წამოიწყო:

ჩემი თბილის ლექსის სკა არი,  
ჩვენ პოეტები — შრომის ფუტკრები  
მიყვარს სამშობლოს თექვსმეტი კარი,  
მაგრამ თბილისი — განსაკუთრებით...

დაცხრა, დამშვიდდა ლექსკაცი, ერთბაშად მარცხენა ხელი  
მომხვია, მარჯვენა წინ გაიშვირა:

— აბა გახედე, სხვაგან სადღაა ეს ეშხი და სილამაზე?..

თბილისი, განსაკუთრებული რელიეფით, ვაზივით დაგრე-  
ხილი ვიწრო ქუჩებით, გაშლილი პროსპექტებით, მთაწმინდით,  
პარკებითა და ხეივანებით, არა მარტო ქართული საოცრებაა,  
არამედ იგია მეთაური, ტვინი, გონება და ჭკუა, შემომტკიცე-  
ბელი და გამაერთიანებელი ერთიანი, განუყოფელი საქარ-  
თველოისა. ამიტომაც ყველა ურჯულონი და რჯულიანიც, ვი-  
საც საქართველოს ერთიანობის მოშლა განეზრახა, თბილისს  
ემტერებოდა. ალბათ, არც ერთი ქრისტიანული სამყაროს დე-  
დაქალაქი იმდენჯერ არ გადაუბუგავთ და აღუხოცავთ, რამ-  
დენჯერაც თბილისი, მაგრამ ფერფლად ქცეული ქალაქი ფე-  
ნიქსებრ ფეხზე დგებოდა, არც ერთ ერს იმდენი ომი არ გა-  
დაუხდია თავისი დედაქალაქის გადასარჩენად, რამდენიც სა-  
ქართველოს. დღეს ეს უსაშველო ისტორიული სატკივარი  
სამშობლოს „მოუშუშდა, გაუმთელდა“, „უშფოთველად, არ-  
ხენინად ილიმება ნარიყალა“, ჩემი თბილისი, „სიხარულის  
მთოვარი“, ახალ დროში ზღაპრულად ვიზრდებით და ცეცხ-

ლოვით ვლვით, „აღარ გვყოფნის სიგრძე, განი; რუსთაველის ბეჭებით დგას თბილისის გალავანი“. ყველა ჩემი პოეტური ამოძახილი თბილისმა დაბადა. ახალმა თბილისმა დაბადა ჩემი ოპტიმისტური სიმღერაც და საღღერძელოც მთლიანი, განახლებული და აღორძინებული საქართველოსი — თბილისშივე დაიბადა ჩემი „სამშობლო და გამარჯვება“, „ძმობის ჩუქურთმა“. „ჩემი ქვეყანა“, „ჩვენ მშვიდობა გვინდა“ — „ახალ თბილისს, ახალ კოკორს ნადვიძარს — უგალობე ნამუსიან ლექსებით“...

— სოსო ბატონო! ყოველივე ეს მართალია, მაგრამ ეს სიტყვებიც ხომ თქვენ გეკუთვნით: „მე სიყვარულმა შემქმნა პოეტად, მე სიყვარული გამანადგურებს“?

— მართალია, ჩემი გულიდან ერთი წუთითაც არ ამოჭრილა სატრფიალო ლირიკოსისადმი უზომო ერთგულება. სიყვარულის მადლით, ქალის ეშხით და ტრფიალით ყელამდე სავსეა ჩემი ლექსთა კრებულები. — „ის დავბადე მე ჩემს ლექსში, ლექსიც მისგან დამეზადა“. ოღონდ ამ ლექსების ადგილის დედაც თბილისია: — „ტრიოლეტები შეერთან ბაზარში“, „ათრის ქალი სუბსარქისში“, „აშპაშხანისკენ“, „ხელთათმნის დილი“, „ქორწილი ჩემს უბანში“, „ჩემი აღმართი“. დიახ, მე აქ, ხარფუხში ავიდგი ფეხი, როგორც მეღექსემ. ქართული წერა-კითხვა დედამ მასწავლა, მერე გიმნაზიაშიც მიმაბარეს, მამის გარდაცვალების გამო (მამა 1904 წელს გარდამეცვალა) იძულებული გავხდი გიმნაზიის მესამე კლასიდან გამოვსულიყავი, მალე, ამ წელს (1904 წ.) დედაც გამითხოვდა, დავრჩი სულ მარტო. ისღა მანუგეშებდა, რომ ჩემს ძმაბიჭებში, ხარფუხსა და ორთაქალაში „წიგნის კაცად“ მთვლიდნენ და მეც ხალისით უკითხავდი მათ — უბნის ხელოსნებს, ამქრებს, მეღუქნეებს, ნოქრებს... „ქალვაჟიანს“, „ყარამანიანს“, „დავრიშიანს“, „შვიდვეზირიანს“ და სხვ. საზღაპრო-სადევგმირო წიგნებს. მევე ვთხზავდი ქალაქურ ჰანგებზე აშუღურ ლექსებს ქალიშვილებზე უღბლოდ შეყვარებული ჩემი ძმაბიჭებისთვის, ყარაჩოღელებისთვის.

ესა თქვა, ორივე ხელი მომხვია და ოთახში შემიყვანა, მე მეჩქარებოდა, ის არ მომეშვა, სკამზე ძალით დამსვა. კარადიდან მოზრდილი საქალაღდე გადმოიღო, რომელსაც გარედან

ეწერა — „გრიშაშვილზე და გრიშაშვილის პასუხები“, საქალაქურად გახსნა და ქრონოლოგიურად დალაგებული, კონტად შეკრული გაზეთებისა და ჟურნალების ამონაჰრები ამოალაგა.

— ბატონო სოსო! ყოველივე ეს ხომ წაკითხული მაქვს, აჰ, თქვენთან ერთად, თქვენზე მონაგრადიას, რომ ეწერდი?

— ჰო, ვიცი, ამიტომაც მოკლედ მოვჰკრი — ჩემი ლიტერატურული გზა საკმაოდ წინააღმდეგობრივი და რთული იყო. ლექსების პირველი კრებულები („ვარდის კონა“, — „ფანტაზია“, „ზურნა“, „არ შეგცივდეს მარაშკაჰან“...) 1906-9 წლებში რომ გამოვეცი, სწრაფად გავრცელდა. ამათში ვნებიან სიყვარულზე დაწერილი ლექსების გარდა, რევოლუციური სიმღერებიც შევიტანე, მაინც ბევრი მოშურნე და მტერი გამოუჩნდა ამ სიმღერებს, მე მისი ავტორი საიათნოვას, ბესიკის უბრალო ეპიგონად გამომაცხადეს. მე მათ სულ მალე ახალი ლექსებით ვუპასუხე. 1910 წელს გამოვიდა ჩემი ახალი წიგნი — „ოცნების კონა“, სადაც ჩემს ხმასა და ჩემს ორიგინალურ ინტონაციას მივაგენი. მაინც ამ წიგნის ავტორიც ეროტიკულ პოეტად, ქართველ არციბაშევედ მონათლეს: სრული გაუგებრობა იყო, მაშინ არციბაშევი არც წამეკითხა. ამ კრებულებში მე მხოლოდ და მხოლოდ ქალაქურ ჰანგზე ავაწყვე ჩემი სათქმელი, ყარაჩოდელთა გულის მოსაფხანად და საამებლად. ამიტომაც მე ჩემს გზას არ გადავუხვიე. მერე და მერე საიათნოვას, ბესიკის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის კილო ახალ ჰანგზე ავაქლერე, ორიგინალური პოეტური მადლი და ეშხი შევმატე სატრფიალო ლირიკას და ასე წარვუდექი 1914 წელს ლექსების პირველი ტომით ქართველ მკითხველებს. იმავე წელს, ტრადიციულ ლიტერატურულ საღამოზე დიდი აკაკი გამოვიდა და განაცხადა, მე ოთხ სატრფიალო ლირიკის ნიმუშს გაგაცნობთო, და წაიკითხა ალექსანდრე ჭავჭავაძის „სიყვარულო ძალსა შენსა“ — ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურე“, თავისი „თვალად, ტანად“ და ჩემი „შენ ხარ ღვთაება“. დიდი პოეტი დიდი გზნებით კითხულობდა ყოველ ამ ლექსს და ოვაციები არ ცხრებოდა დარბაზში. მე შევებით ამოვისუნთქე — აკაკიმ პოეტების ოთხეულში შემეყვანა! თან დაუმატა, გრიშაშვილი ახალგაზრდა პოეტებს შორის ქუხსო. უფრო ასისინდა ღვარძლი და

შური, ახლა იმის მტკიცება დაიწყეს, რომ ი. გრიშაშვილი. მეტის მეტად მსუბუქი პოეტიად, უდარდელი, ვით პეპელა დაფარფატებს, ხან ერთ ყვავილს შეაფრინდება, ხან მეორეს, ფილოსოფიური სიღრმე, ტრაგიკული ინტონაციები, დიდი პატრიოტული ტკივილები მისთვის უცხოაო. აბა, რომელ მათგანს ჰქონდა ამაზე მეტი ტრაგიკული განცდა, ერის ბედისა? ყური დამიგდე და გაიხსენე: „სიზმრად ვნახე — საქართველო სისხლის ზღვაში ბანაობდა და დროშა კი დაფლეთილი ქარის ფრთებზე ქანაობდა და მეც ვითომ ღრუბლებიდან დავყურებდი იმ ნაპირებს, სადაც ნაშთი ჩაჰხვეოდა მკერდ-გაპობილ მებრძოლ გმირებს, დავყურებდი ძველ მონასტრებს, ძველ აკლდამებს წინაპართა, სადაც ერმა ივერიის სისხლის დროშა ზეაღმართა, და ვფიქრობდი: ნუთუ ხალხი ისე დაჰკნა და დაკნინდა, რომ სხვას მიაქვს ჩვენი სულის სიამაყე, წმინდათა წმინდა“...

ილიას და აკაკის სდევნიდნენ და „გირვანქობით ყიდიდნენ, მე აღშფოთებით ვწერდი. ალბათ, ეს ლექსიც გახსოვს: წონით ვიყიდე ექვსი გირვანქა: შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე...

— აი სად ჰყრია ჩვენი დიდება!  
ლაშის სირცხვილით ამეწვას ლოყა!  
აი ქართლის ხმა სად იყიდება, —  
ჯავახიშვილი და ინგოროყვა!

...აღ შეეხება სიმსუბუქეს, დიახ, ჩემი ლექსი ჰაეროვანია, გაძქვირვალე, ამღერებულნი, თამაშ-თამაშ ნათქვამი, მე მეწერება და ვწერდი, თავისუფლად, ძალდატანების გარეშე,

— გუშინ იყო თუ გუშინ წინ — არ მახსოვს,  
ეს კია, როგორც მაშინ: ეხლაც თოვს...  
თეთრი თოვლი ისე თეთრი რამ არის  
ვით კბილები დედოფალის თამარის...

მხატვრულ ფორმათა ორიგინალობისათვის თვით კიტა აბა-შიძემ ქებათა-ქება მომიძღვნა.

ქართული ლექსის მოდერნიზაციის მიზნით, 1916 წელს გამოვეცი ჩემის რედაქტორობით ქურნალი „ლეილა“, სადაც მინდოდა აღმოსავლური მგრძნობელობა და ევროპული ლექსის ფორმა ერთმანეთისათვის დამეძმობილა. (სულ სამი ნომერი გამოვიდა). ახლა ამის გამო ისინი გახელდნენ, ვისაც

მოდერნიზმის მედროშედ მოქმედობდა თავი და სხვა მხრივ მომადგენს: ჩემი გვარის გენეოლოგიას დაუწყეს ჩიჩქნა, ჩემი ქართველობა ექვის ქვეშ დააყენეს. მაშინ კი გავხელდი და უდიერად შევეუტიე მათ, იძულებული გავხდი ნათლობის მეტრიკული ამონაწერის ფოტოპირი დამებეჭდა გაზეთში...

შევაჩერე — ამ მასალას ხომ ვიცნობ ბატონო სოსო, რა საჭიროა ახლა ამ უსიამოვნო დეტალების გახსენება?

— არა, ცოტა კიდევ მომითმინე და მომისმინე — მერე იყო და ის ვაჟბატონები ლექსის ახალი ფორმების: სონეტის, ტრიოლეტების, ტერცინების შემოტანის პირველობაში შემეცილნენ — ამაზედაც გამანადგურებელი პასუხი გავეცი... მერე ჩვენს დროში რაპპელები მომადგნენ. 1930 წელს ერთი რაპპელი აი რას წერდა: „იოსებ გრიშაშვილის ლირიკა დღევანდელი მწერლობაში მოკვდა, მოისპო, მისი პოეზია საბჭოთა მწერლობისათვის ანაქრონიზმია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი შეეცადა თავისი შემოქმედების კაპიტალი გაეზარდა ნაციონალისტური მოტივების ექსპლოატაციით. გრიშაშვილი საბჭოთა მწერლობისათვის არ არსებობს და არც არაფერს აპირებს მის გამოწვევას დავიწყების სამყაროდან. შემცდარია ყველა ის, ვინც მისგან რამეს მოელის“. ასე გადამიწურა წყალი თავისი მოკლე ჰკუთ ამ ურა რაპპელმა. მაგრამ, როგორც ვნახეთ გრიშაშვილი არ მომკვდარა და ახალის ძალით ამღერდა ჩვენს დროში. და მართლაც, გრიშაშვილის ნიჭი რისი მაქნისი იქნებოდა, რომ „არ ეგრძნო ყაბახიდან აბანომდის გამარჯვებულ დროშის რხევა“, ნამუსიანად ვემსახურე ხუთწლედის გმირებს, ახალი საქართველოს მშენებელთა არმიას, ხოლო როცა ჩემს სამშობლოს ვერაგი მტერი. ფაშისტები მოადგა, მე გვერდში ამოვუდექი ომის გმირებს, სამშობლოს დასაცავად აშხედრებულ საბჭოთა ხალხს: 1941 წლის 3 ივლისს ვწერდი, „დავიხსომოთ ორი სიტყვა: „სამშობლო“ და „გამარჯვება“! კრემლს დავუდგეთ დარაჯებად!... სადაც კი ვარ, მზეში ქარში, ხმალს არ ვაგებ მე ქარქაშში, ორი სიტყვა წინ მიძღვება: „სამშობლო“ და „გამარჯვება“!..

— და დაუფასდა იოსებ გრიშაშვილს შრომა და გარჯა — იგი 1947 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 1950 წელს მიენიჭა სტალინური პრემია...

შემაჩერა, არ მომეშვა, სანამ არ დამათრო მამულის ეშხით და სიყვარულით, მაღალი პოეზიის მაღლით. ძლივს დავლწიე თავი, კარებთან ლექსი დამადევნა:

ძველად რომ მეგრძნო შეათასედი,  
ის თანაგრძნობა, რაც ეხლა არი,  
ლექსში სხვა მარცვალს მოვათავსებდი  
სხვა ექნებოდა ცეცხლს ნაღვერდალი...

• •

იმ დღეს დიდხანს დაჰყო ჩემთან. ვგრძნობდი, რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ რატომღაც აყოვნებდა. ასე იჭდა გარინდებულები და დალონებულები ერთხანს.

— სოსო, რამე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვა? რათა ხარ ასე დალონებულები? — შინაურულად მივმართე.

— ჰო, შემამჩნიე ხომ, რალაც რომ მაწუხებს, არა?..

და დაიწყო:

— ვიცი, რომ თქვენი დიდი პატივისცემელია ის...

აქ შეჩერდა, თითქოს სათქმელს თავი ვერ მოაბაო.

— ჰო, დიდი პატივისცემა აქვს შენი, როგორც ოფიციალური პირისა. მაგრამ მე ახლა ოფიციალური საქმე კი არა, ჩემი პირადი ხვაშიადი უნდა გაგანდოთ. თქვენ გაგონილი გექნებათ ჩემი რომანის ისტორია.

აქ ისევ შეჩერდა.

— ჰო, გაგონილი გექნებათ ისიც, ამას რომ ტრაგიკული შემთხვევა მოჰყვა, დიახ, მე ის მიყვარდა, გულწრფელი სიყვარულით. ის ოჯახის დედა იყო. მე მარტოხელა, მასზე უზომოდ შეყვარებულმა გავბედე და ერთს მშვენიერ დღეს ხელი ვთხოვე, უცბად შეკრთა, ერთბაშად ისე გამცილდა, რომ ხმა არ გაუღია. ერთხანს ასე ვიყავით. განა ხე ვიყავ, რომ არ მეგრძნო, რთული ვითარება რომ შეიქმნა. მე იძულებული ვიყავი, ბედს შევერიგებოდი. სიყვარულით ისევ მიყვარდა.

აქ შეჩერდა, შეისვენა და მერე უცბად მოჭრა.

— შენ იცი, რომ მას დიდი ხანია რაც ქმარი გარდაეცვალა, ჩვენ კი ერთმანეთს იმ პირველი პატივისცემით ვეპყრობით და ვმეგობრობთ. ამის მოწმე შენცა ხარ ჩემო სერგო! ჰოდა, მობეზრდა ამდენი მარტოობა და ასე ოხრად გდება.

მის ხელში, ვიცი, ბედნიერად გავატარებ ამ დარჩენილ დღეებს. რომ არ გავაგრძელო, შენ შეგიძლია, შენი ავტორიტეტით ამ საქმეს თავი მოაბა. ვიცი, რომ ის შენს სიტყვას არ გატეხს.

— ესე იგი მაშვლობას მაკისრებ არა, ბატონო სოსო.

— რაც გინდა ის დაარქვი, ოღონდ ეს ოცნება შემისრულე ამ სიბერეში, ნუ, ნუ იუკადრისებ ამ ჩემს გულწრფელ თხოვნას, ეს თქვა და მის თვალეში ცრემლები შევნიშნე.

მე შევპირდი, ჩემის მხრით ამ საქმეს ცდასა და მონდომებას არ დავაკლებ მეთქი.

სოსო კმაყოფილი გავიდა კაბინეტიდან. მერე რომ დაფიქრდი, გამიკვირდა — ამ საქმეში მე რომ მთხოვა ჩარევა. გამიკვირდა, იმიტომ რომ სოსოს უახლოესი მეგობარი ალექსანდრე აბაშელი და ის ერთ ოთახში ისხდნენ, როგორც მწერალთა კავშირის კონსულტანტები. ბატონი საშა — ეს ქრისტესავით კაცი, სავსე პატიოსნებით და სათნოებით, სოსოს განუყრელი მეგობარი იყო. სოსოს მასთან არაფერი ჰქონდა დაფარული და დამალული, სოსოს დიდმა მეგობარმა ბატონმა საშამ ხომ იცოდა და იცოდა მათი რომანის ისტორია და მაინც მე ამირჩია მაშვლად სოსომ. ეს ალბათ იმიტომ, რომ მე იგი ოფიციალურ პირად მთვლიდა, მწერალთა კავშირის მდივანია და თხოვნაზე უარს არ მეტყვისო, იფიქრა, მეც მოვიხდომე რაც შემეძლო...

მარიჯანს მეორე დღესვე შეეხვდი. სათქმელს შორიდან მოვუარე, მივკიბ-მოვკიბე, ჯერ საბავშვო სექციის სამუშაო გეგმაზე საუბარი. მერე ერთბაშად მოვუქერი და ასე ვუთხარი: „გუშინ სოსო იყო ჩემთან, რა კარგი ადამიანი, სოსო არა?“

— კარგი იმას მიეცეს მეტი.

რატომ მეთქი.

ხმა არ გამცა, არ მიპასუხა. ამით ვისარგებლე და წვრილად ვუამბე სოსოს დანაბარები. იგი ერთხანს დუმდა. მერე თითქოს გონს მოეგო და მეტისმეტად გაფიცხებულმა კატეგორიულად მითხრა: „თქვენ ხომ იცით, მე რომ შვილების დედა ვარ. ჩემი უფროსი შვილი შენი ტოლია სწორედ. არ დაგიმალავ და გეტყვი, მე და სოსოს ერთმანეთი გვიყვარდა... სოსო მე მისი ლექსებით შევიყვარე. მის ლექსებს ვეფერებოდი, ზეპირად ვსწავლობდი, გაგიყებით ტაშს ვუკრავდი,

ხმამალლა ვყვიროდი მოწონების სიტყვებს. ერთ ღღეს შემამჩნია და სცენიდან ამბორი გამომიგზავნა, ამის შემდეგ არც ერთი მისი საღამო არ გამომიტოვებია. ეს ყოფილ არტოს პარკში იყო, განთქმულ არტოს პარკში, პლენხანოვზე, სოსოს პოეზიის საღამოზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. რასაკვირველია, პირველ რიგში მე ვიჭეჭი, გვერდით ქმარი მეჯდა, მაგრამ ახლა მე სოსოსა და მისი ლექსების მეტს არაფერს ვხედავდი, არაფერს ვგრძნობდი. ისე ავყევ ემოციებს, რომ სხვებმა შემამჩნიეს, ჩემი ქმარი ხედავდა ჩემს ეგზომ დაუფარავ ალტაცებას და ხელს კი არ მიშლიდა, ჩემს აღფრთოვანებას გრიშაშვილის პოეზიით გატაცებად თვლიდა. გრიშაშვილს მაშინ აბა, რომელი ქალი არ აღმერთებდა? იმ საღამოს მე თვით მივედი და ჩემი თავი და ჩემი ქმარი წარუღდგინე სოსოს. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ნაცნობობა და უსაშველო რომანიც“.

აქ შეჩერდა.

„არა ჩემი ქმარი ჭკვიანი იყო, ჭკვიანი და ზრდილი. ატყობდა, რასაკვირველია გრძნობდა ჩემს ეგრე უზომოდ გატაცებას გრიშაშვილით, მაგრამ ხელს არ მიშლიდა, ამან უფრო ჩამაგდო სინდის-ნამუსში. ყველაზე უფრო ის მაკავებდა, რომ ოჯახის დანგრევა არ მსურდა, არადა სიყვარულსაც ვერ ვთმობდი. ასე ვებრძოდი ჩემს თავს მთელი ერთი წელი, სოსო ჩემ ქმართანაც მეგობრობდა და სადაც ჩემი ოჯახი ისვენებდა, წალვერი იყო ეს თუ ბორჯომი, სოსოც უმალვე იქ გაჩნდებოდა. ბოლოს მძლია სიყვარულმა და ერთ საღამოს გავიპარე კიდეც შინიდან და მეგობარ ქალთან გავათიე ის ღამე — წვალეზასა და ტანჯვაში. ოჯახი მეძახდა. და მე მეყო ნებისყოფა და ოჯახისთვის ჩრდილის მიყენებას წინაღუდეჭი, და ის იყო საშინელი განაჩენი გამოვუტანე ჩემს თავს. წელის ნერვები გადავიჭერი... მომარჩინეს... მომაკვდავს ქმარიც თავზე მადგა და სოსოც. მერე ის იყო, აგორდა ჭორი, ჭორი კი არა ნამდვილი იყო, მაგრამ ამ ნამდვილს ათასგვარი კუდი გამოაბეს. ჩვენ სამივენი ისევ ხშირად ერთად ვიყავით. მითქმა-მოთქმაც შეწყდა. არასოდეს სოსოს პირიდან არ დატუნენია, მე რომ ოჯახი მიმეტოვებია და მას გავკიდებოდი, არც ჩემს ქმარს უყვარდა ამ მისთვის უსიამოვნო ისტორიის ქექვა და ჩხრეკა და ასე მოვალწიეთ გარეგნული სიამ-ტყბილობით, ვიღრე ჩემი ქმარი გარდაიცვლებოდა. ეს დიდი ტანჯვაც იყო



და გმირობაც: მეც მიკვირს, როგორ შევძელი მეზიდა ეს მძიმე ტვირთი — ორმაგი მოვალეობისა, მოვალეობა სიყვარულისა და მოვალეობა ოჯახისა. ეხ, ჩემო სერგი, ჩვენი დრამატიული, ტრაგიკული ისტორია რომანის თემაა! ჩემი ქმარი ისეთი კეთილშობილი და დიდსულოვანი აღმოჩნდა, რომ არა თუ მაპატია ეს საჩაროდ გახმაურებული რომანის ისტორია, არამედ დიდი პატივისცემა დამიდასტურა და ერთხელაც ჩვენს შორის ამ ნიადაგზე უსიამოვნება არ მომხდარა. ახლა მე მართო ვარ, ქვრივი ქალი“.

ეს საოცარი სევდიანი ხმით წარმოთქვა.

„სოსო იმდენად სულელია, რომ ჰგონია ეს მე შელავათს მაძლევს. არა, მე ოჯახის, შვილების დედა ვარ და ეს ნაბიჯი რომ გადავდგა, ოჯახის მამის აჩრდილს ვერსად დავემალეები ან საზოგადოება რას იტყვის. ახლა ამ სიბერეში, ისევ უნდა ავალაპარაკო ხალხი? არა, აღსარებასავით მითქვამს ვით დედას შეილისთვის — ეგ არასოდეს აღარ მოხდება, ბატონო სერგი“.

ეს თქვა, ადგა წელში გაიმართა და მტკიცე ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან. მე ფეხზე წამოდგომა მოვასწარი, მაგრამ მისი ნაამბობით გაოგნებულს, ენა ვერ მომიბრუნდა რაიმე რომ მეთქვა, სიტყვა რომ დამეყოლებოდა კაბინეტიდან გამავალ ქალისთვის. დიდხანს ვიდექი ასე გაოგნებული და ვფიქრობდი, რამდენი შინაგანი ენერგია და ძლიერება ჰქონია ამ კაფანდარა ქალს?

მესამე დღეს ჩემთან პასუხისთვის მოსულ სოსოს არ დავუფარე და ყველაფერი უამბე, როგორც იყო. სოსო გაშრა, ხმა არ გაუღია ისე გავიდა კაბინეტიდან. მთელი თვე არ გამოჩენილა. მერე ბედს შეურვიგდა და ისევ დაიწყო ჩვენთან სიარული. ისე იქცეოდა თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო.

სოსო კეთილი იყო, კეთილი არტისტი, სულით, პოეზიით, საუბრით, უესტით, მოქმედებით. განგებ კი არ არტისტობდა. ბუნებით იყო არტისტი, ლამაზად მორთ-მოკაზმულს, თავზე მარჯვნივ თმებგადავარცხნილს, სახეზე და „კურდღლის ტუჩებზე“ მუდამ ღიმილი დათამაშობდა. უდარდელი ყარაჩოდელის როლს თამაშობდა. ეს გარეგნულად უდარდელი კაცი ლექსის კითხვაში ისე იცვლებოდა, ვით თვით ლექსის ყოველი ფრაზა. ლექსის გრიშაშვილისეული დეკლამაცია უნიკა-

ღურის იყო. ლექსს გაბმულად, ერთგვარი მიმღერებით კითხულობდა. ზოგ სიტყვას დამარცვლით და ხმის ამაღლებით გამოყოფდა, მუსიკალურ გამად წარმოთქვამდა.

ს-ო ს-ო! რა კარგი დღე არის!

ს-ო-სო! რამდენი ქალია.

ხან სიტყვებს სეტყვასავით მიაყრიდა და არტისტულად გამართავდა მთელს სტროფს, მთელს ლექსს. სოსოს ლიტერატურული საღამოები ნამდვილი ზეიმი იყო, პოეზიის დღესასწაული. საზოგადოება აღტაცებით ტაშს უკრავდა და სცენიდან აღარ უშვებდა. მისი სატრფიალო ლექსებით და ორიგინალური კითხვით მოხიბლული აუდიტორია კმაყოფილი ტოვებდა დარბაზს. გარეგნულად ეს უდარდელი კაცი დიდ სევდას ატარებდა გულში. ეს სევდა უიღბლო სიყვარული იყო.

იმ დღეს მითხრა, მე ქალების პოეტს მეძახიან. მართალია ჩემი ლირიკის უმთავრესი საგანი ქალია და ქალის სიყვარული და ამის მიხედვით ზოგს ისეთი წარმოდგენა აქვს, რომ მე პეპელასავით ხან ერთსა და ხან მეორე ქალს დაუსრულებლივ ვიცვლიდე ვით ხელთათმანს. ლექსებით ეს მართლაც ასე ჩანს, თორემ ცხოვრებაში სულ ორად, ორ ქალზე ვიყავ გამიჯნურებული. იმათგან ის ერთი სულ მალე დავტოვე, მეორე კი ისევ მიყვარს, იმას ეკუთვნის ჩემი საუკეთესო ლექსები. სხვა სულ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. მე ის „სხვა ქალები“ ოცნებაში მიყვარდნენ, ცხოვრებაში არ შემხვედრიან, და არა თუ რომანი არ მქონია მათთან, არამედ დალაპარაკებითაც კი არ დავლაპარაკებდვარ, რადგან ისინი კონკრეტულად, როგორც ლექსის ადრესატი არ არსებულან. ჩემთვის რეალობა თავად სიყვარული იყო. დიახ, მე სიყვარულის პოეტი ვარ, ყარაჩოდელი და უდარდელი, ხანაც სევდიანი და დარდიანი. ეს დარდი მისმა სიყვარულმა დამანათლა. ეს თქვა და უცბად საუბარს შეგნებულად კილო შეუცვალა. ერთი წიგნი მომაწოდა. ხომ გაქვს? თუ არა მე მეორეც მაქვს და ამ ერთს გისახსოვრებო.

სოსო საოცარი მოყვარული იყო წიგნებისა, როგორც ზემოთ ვთქვი, წიგნები იყო მისი ტრფიალი და სიცოცხლე. მთელი თავისი ცხოვრება წიგნებს აგროვებდა, ყიდულობდა, დაეძებდა ბუკინისტებში ძველ გამოცემებს, ხელნაწერებზე ნადირობდა და იძენდა. წიგნისთვის ფულს არ დაზოგავდა. ყო-

ველ შეძენილ წიგნს შეილივით დაკანკალებდა, ნახმარსა და მწყობრიდან გამოსულ წიგნებს სათუთად აკინძავდა და ინახავდა თავის მდიდარ წიგნთსაცავში. წიგნის შეძენა უყვარდა, მაგრამ გაცემა და განათხოვრება ქირის დღესავით ძულდა. სწორედ ამ გზით დაგვიტოვა მან საკუთარი უნიკალური ბიბლიოთეკა, აკადემიას სიცოცხლეშივე უსასყიდლოდ რომ უანდერძა. ახლა, სწორედ ამიტომ გამიკვირდა, როცა მითხრა ამ წიგნს გაჩუქებო, და მოთხრობის ეს ძველი გამოცემა გამომიწოდა. ეს იყო გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობა „ქვრივის ლიმონები“, თან დაუმატა შენ ხომ რჩეულიშვილზე დაწერილი მონოგრაფიის ავტორი ხარო?

სოსო არა მარტო ჩინებული პოეტი იყო, არამედ ასევე ცნობილი მკვლევარი და მჩხრეკელი ძველი ამბებისა, მივიწყებული მწერლების ქომაგი. რჩეულიშვილიც პირველად მან გამოსცა. დიას, სოსო გამოჩენილი მკვლევარი იყო, თუმცა ეს სიტყვებიც მას ეკუთვნის. „ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევებსა“. დასასრულ უნდა ვთქვა იოსებ გრიშაშვილი ითვლება ჩინებულ საბავშვო მწერლად...

ადგა, წასვლის წინ „იმისადმი“ მიძღვნილი სონეტის ბოლო სტრიქონები ამოიკენესა: „მაგრამ, ვინ იცის! შენ ჩემზე წინ, შენ ჩემზე ადრე თახთახა, სუდართ, თუ მობერე, თუ მოიჩადრე ეგ სათნო სახე, ლმობიერი ეგ შენი სახე: გეშუდარები — რომ არ ვგრძნობდე იქ თავსა ობლად — შენსა საფლავთან, მეგობარო, შენსა მახლობლად ერთი ადგილი, ვიდრე მოვალ, მეც შემინახე!“

და თან დაუმატა: „ჩემს გულში არც არასდროს განელდება მისადმი ჩემი ტრფობა. ღმერთმაც იცის და მაგანაც იცის, თუ რაოდენი ტანჯვა გადავიტანეთ, ჩვენ ორივემ ერთად, ამ სიყვარულში. ისე კი, ჩემო სერგეი, მე ქალების მადევარი არც არასოდეს ვყოფილვარ. ქალთა საზოგადოებაში ყოფნა და ფლირტი კი მიყვარდა და ახლაც მიყვარს. ქალებს იმიტომ ვეტრფი, რომ უწინარეს ყოვლისა მათ შეიყვარეს ჩემი ლექსები და გამაღმერთეს. საქმის თავი და ბოლო ესაა და ეს. არც ღვინოსა და მაგარ სასმელებს ვეტანებოდი. ჩემს სიცოცხლეში მთლად ალბათ ერთი ბოლთი ღვინოც არ მექნება დალეული. სუფრაზე ხელში მუდამ მეჭირა ღვინით სავსე კიქა, სადღეგრძელოებსაც დიდებულს ვიტყოდი, მაგრამ და-

ლევით ერთ ყლუპს თუ მოვსვამდი და ისევ სავეს მაგიდაზე ვსდებდით“.

დიდხანს ვუსმენდი მის სევდანარევ ამ საუბარს და ბოლოს ეს ვუთხარი? — ბატონო სოსო, ღვინოსა და მაგარ სასმელებს რომ არ ეტანებით, ამას მე თქვენთან ერთად სიონის ხატზე დავიფიცებ-მეთქი, ხოლო ქალების შესახებ რა მოგახსენოთ, აქ გულზე ხელდადებით ნდობა გამიჭირდებოდა: ეს სიტყვები ხომ თქვენ გეკუთვნით... „თუმცა ქალის სიყვარული, მთის წყალივით ჩანჩქარა, ისე სწრაფად გაიბენს, ისე სწრაფად და ჩქარა... მაშ რას ელი? სულო ჩემო, შეხტი, შეინავარდი! შეგიძლია ყველა კარებს დაჰკრა, დაუჟაკუნო!“...

— ჩანს ჩემს ლექსებს გიპნოზის ძალა ჰქონია, რაკი მის ავტორს ასე ახასიათებთ. რაც შეეხება „მას“ მიუხედავად იმისა, რომ ასე გამეტებით და უღმერთოდ ხელი მკრა, „ის“ მაინც მიყვარს და ჩემს მეგობრად ვთვლი.

მართლაც და ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ ისინი. იმ დღეს ერთად დაგვაბატია მე და სოსო. თბილისში დიმიტრი შოსტაკოვიჩი ჩამოვიდა როგორც სტალინური პრემიების კომიტეტის წევრი. მის ოჯახში მიიწვიეს ეს გენიალური კომპოზიტორი. აქ თბილისის საუკეთესო ინტელიგენციას მოეყარა თავი. სუფრას აკაკი ხორავა თამადაობდა. ეს ქეიფი კი არა, ზეიმი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას ზეიმი ტალანტებისა. სიტყვაძვირი შოსტაკოვიჩი იჯდა და ღელავდა. სიტყვებით რომ მიმართავდნენ და აქებდნენ, პირდაპირ ტოკავდა, საოცრად ნერვიულობდა. ყოველი ორატორის სიტყვაზე თითებით მაგიდას ისე რიტმულად ეხებოდა და ათამაშებდა, თითქოს როიალზე უკრავსო. ვხედავდით, რომ კაცი შინაგანად თრთოდა, მთელი ტანით, მთელი ქესტით ის საკუთარ სამყაროში, მუსიკის სამყაროში იყო ჩაძირული, იმ ბრწყინვალე სიტყვებით, რომლითაც მიმართავდნენ ამ გენიოს მუსიკოსს, ცალკე იყო, თვითონ თავისთვის, თითქოს ფარულად, ისევ თითებს მაგიდაზე მოუსვენრად ათამაშებდა, მაგრამ იქ მყოფთ არ შეიძლებოდა ეს არ შეემჩნია. მთელ იმ საღამოზე შოსტაკოვიჩის გვერდით იჯდა ანდრია ბალანჩივაძე, რომელიც ცოტა რომ შეთვრა, სიმღერები წამოიწყო, ქართული ხალხური სიმღერები, შოსტაკოვიჩი ახლა ამ ხალხური მელოდებით დაინტერესდა და მის ჰანგებს ააყოლა თითები. ანდრია ბალან-

ჩივადემ და აკაკი ვასაძემ ხასანბეგურა, გურიის მთების ბილიკებივით დახვეული ეს სიმღერა საოცარი ოსტატობით შეასრულეს. მუდამ წყნარმა, მშვიდმა ანდრია ბალანჩივადემ ახლა იმერული მგზავრული წამოიწყო, იგი აღზნებით მღეროდა და მთელი სუფრა აპყვა ქართული ხალხური მელოდიების ჯადოქრულ ჰანგებს, სიმღერებს ლექსები მოჰყვა. სოსომ დიდი გზნებით წაიკითხა „ჩემი აღმართი“, აკაკი ხორავამ ვაჟას ლექსი — „არწივი“, აკაკი ვასაძემ — „ამბავი ვაფხისა და მოყმისა“. შოსტაკოვიჩს ისევ ანდრია ბალანჩივადე უხსნიდა, უმარტავდა, უთარგმნიდა... ბოლოს თვით შოსტაკოვიჩი აპყვა პონეზიით და მუსიკით აღზნებულ სუფრას... გვიან ღამით დავიშალეთ.



მწერალთა კავშირში მუშაობას მიადვილებდა შემოქმედებითი სექციები და კონსულტატები. ამ დიდ და არსებით მუშაობას სათავეში ედგნენ: ლეო ქიაჩელი (პროზის სექციას თავმჯდომარეობდა), შალვა დადიანი (დრამატურგიის სექციას), პოეზიას — კარლო კალაძე, კრიტიკისას — ბესო ჟღენტი. შტატის თანამშრომლებად ითვლებოდნენ და დარგების მიხედვით კონსულტაციას ეწეოდნენ: ალექსანდრე აბაშელი, დემნა შენგელაია, შალვა აფხაიძე, გიორგი შატბერაშვილი, ლავროსი კალანდაძე, მარიჯანი და სექციების მდივანი, ქართული მწერლობისთვის თავდადებული თამარ ანდლულაძე. ამათ მხრებზე გადადიოდა მთელი შემოქმედებითი მუშაობა, და დღე არ იყო ისეთი, რამე ღონისძიება რომ არ ყოფილიყო მწერალთა კავშირში. ინხილებოდა ხელნაწერები, ახალი წიგნები, სპექტაკლები, ჭეშმარიტ შემოქმედებითი ატმოსფეროს ქმნიდნენ მწერლობის ეს თავკაცები. ყოველი ღონისძიება, რაც კი მწერალთა კავშირში ტარდებოდა, მძაფრი ლიტერატურული ბრძოლებით მთავრდებოდა, შემდეგ მთელ ქალაქში აქ გამართულ დისკუსიებს გაზღაპრებულად ჰყვებოდნენ.

მწერალთა კავშირში დილით ადრე მივდიოდი, მიმდინარე საქმეებს მოვრჩებოდი თუ არა, დღის 12 საათიდან იწყებოდა მწერლებს მოსვლა. პირველ პავლე ინგოროყვა გამოჩნდებოდა ხელნაწერებით, წიგნებით გატენილი დიდი ტყავის პორტფელით. მაოცებდა ეს ავადმყოფი კაცი როგორ ერეოდა ამ მძი-

მე ტვირთს. შემოვიდოდა და მაგიდაზე დადებდა ამ ბურთივით გაბერილ პორტფელს. შუბლზე ოფლს მოიწმენდდა, ამოისუნთქავდა და საქმეს შეუდგებოდა. საქმე კი ყოველთვის მაშტაბური, საერისკაცო იყო. იმჟამად ხეთების დამწერლობათა ისტორიით იყო დაინტერესებული: „ხეთები და ქართველები“, ისტორიკოსები არ იზიარებდნენ პავლეს ჰიპოთეზას. დავამ მწვავე ხასიათი მიიღო. პავლემ საკითხი ზემდომ ინსტანციებში გადაიტანა. იმ დღესაც იმიტომ იყო მოსული, რომ იქ, ზემდგომ ორგანოში დაერეკა და მიღების საათები დაენიშნათ მისთვის. ვერ დაგუჯავშირდით. შეყოვნდა, უცბათ მომიბრუნდა და მთხოვა კაბინეტი დამეკეტა, არავინ შემომეშვა... ახლავრთ საოცარ დოკუმენტს გაგაცნობ, ყურადღებით მომისმინე. კითხულობდა გატაცებით და გზადაგზა კომენტარებს ურთავდა, მაგრამ ყოველთვის საინტერესოს და პოეტურს, შენც გააჩერებდა, ისეთი გზნებით და დაჯერებით ჰყვებოდა. თავად საათობით ვუსმენდი მის საოცარ აღზნებულ საუბარს. ეს საინტერესო საუბრები ხშირად დღის ბოლომდე გრძელდებოდა. პავლე ინგოროყვა უანგარო ეროვნული მოღვაწე იყო და უებრო მოუბარი...

პავლე გასული არ იყო და პოლიკარპე კაკაბაძე და ალექსანდრე ქუთათელი გამოჩნდებოდნენ. ამასობაში ბესოც შემოვიდოდა თავის კაბინეტიდან ჩემთან და იწყებოდა ცხარე კამათი ამა თუ იმ ახალ წიგნზე, ამ წიგნის ავტორზე. მეტწილად ეს იყო იმ დისკუსიების გაგრძელება, რომელიც გუშინ, თუ გუშინწინ მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა. იქ, ოფიციალურ ტრიბუნაზე, როგორც წესი, პოლიკარპე და ალექსანდრე არ გამოდიოდნენ და ახლა ჩემს კაბინეტში იოხებდნენ კამათით გულს. არ ეთანხმებოდნენ იქ გამოთქმულ აზრებს და დებულებებს, მათი თავისებური დამოკიდებულება ჰქონდათ განხილულ საკითხებზე, დაუფარავად, პირდაპირ ოპოზიციურ დამოკიდებულებას გამოთქვამდნენ. მეტწილად კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დისპუტებზე წარმოთქმულ სიტყვის გარშემო იყო კამათი, ან თვით კონსტანტინე გამსახურდიას რომელიმე წიგნზე. იმ დღეს „მთვარის მოტაცებაში“ არზაყანის მიერ მამის მოკვლის ეპიზოდის გამო დაობდნენ. ახალ გამოცემაში ეს ეპიზოდი გადაკეთებული იყო. მამას — კაც ზვამბაიას — შვილი არზაყან ზვამ-

ბაია კი არა, როგორც ეს პირველ ვარიანტში იყო, მათი ოჯახის მოსისხლე მტერი ტარბა კლავს, ამაზე ატყდა კამათი, ამ კამათში დემნა შენგელაია ამტკიცებდა, ახალი ვარიანტით ნაწარმოების იდეური კონცეპცია დაირღვაო. მე მწერლის იდეური ჩანაფიქრი ასე მესმის: ისეთი მწვავე იყო კლასობრივი ბრძოლა სოფლად, საკოლმეურნეო სოფლის ფონზე, რომ შვილი მამას არ ინდობდა ამ ახალ გზაზე. ძველისა და ახლის გზაჯვარედინზე გაჩნდა ეს საოცარი კლასობრივი სიმწვავე, მანამდე რომ ისტორიას არ ახსოვს, ეს უნდოდა ეთქვა მწერალს და თქვა კიდევ. ახლა კი რა გამოდის. ეს კლასობრივი ბარიერი მამასა და შვილს შორის მოიხსნა. იგი შეცვალა სისხლის აღების სიტუაციამ. ტარბები სისხლს იღებენ, შურს იძიებენ ზვამბაიებზე. ეს სულ სხვა პრობლემაა და ძირითადად არღვევს ნაწარმოების იდეურ კომპოზიციას — საკოლმეურნეო მშენებლობის მწვავე კლასობრივ ხასიათს.

ამ კამათში პოლიკარპე უფრო სკეპტიკურად იყო განწყობილი. ერთიც ხელოვნურიაო, და მეორეც, ალექსანდრე ქუთათელმა პოლიკარპე კაკაბაძეს დაუჭირა მხარი. ბესო რომანის ახალ ვარიანტს იცავდა და ამტკიცებდა, რომ ახალ ვარიანტში რომანის იდეური ჩანაფიქრი და კლასობრივი ხასიათი არ ირღვევაო. თვითონ ის ტარბები. ხომ ისეთივე მოწინააღმდეგენი არიან კოლმეურნეობისა, როგორც კაც ზვამბაია. პირიქით, უფრო ბუნებრივია ეს ახალი ვარიანტი. მართალია, მამა და შვილი საკოლმეურნეო პოლიტიკამ გადაკიდა ერთმანეთს, მაგრამ არა ისე, რომ ამისთვის აუცილებელი ყოფილიყოს შვილს მამა მოეკლა. მით უმეტეს, რომ იმ მამას განუზომლად უყვარს შვილი. კაც ზვამბაია სვანეთშიაც იმიტომ მიჰყვება თარაშ ემხვარს და არზაყან ზვამბაიას რომ ტარბებისგან დაიცვას. შვილი არზაყანი...

სწორედ ამგვარი ლიტერატურული, მწვავე კამათი თითქმის ყოველ დღე იმართებოდა ჩემს კაბინეტში. მე არა მართო მოწმე ვიყავ ამ კამათისა, არამედ აქტიური მონაწილე.

\* \*

ბატონი ლეო ქიაჩელი დიდბუნებოვანი ადამიანი გახლდათ. მას შეეძლო მეგობრობა ასაკით ტოლთან თუ უმცროსთან, ვინც კი ქართულ ეროვნულ კულტურას ემსახურებოდა. მას-

თან ყოველ შეხვედრას სიხარული მოჰქონდა, რწმენით მავსებდა.

არ უყვარდა ვინმეს შეწუხება. თვით მძიმე მდგომარეობაშიც წუწუნი ჰქირის დღესავით სძულდა ამ მაღალი მორალისა და ზნეობის კაცს. ლეოს ვაჟი ოთარ შენგელაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, ჯარში გაიწვიეს სამამულო ომის დაწყებისთანავე. ლეოს ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა, ის იყო მისი იმედი, სულიერი მეგობარი, განუყრელად რომ ედგა გვერდით. თავის ხელნაწერებს პირველად მას უკითხავდა, მის რჩევასა და შენიშვნებს გულისყურით ეკუთხებოდა, მის გემოვნებას ენდობოდა და აი, ოთარი ომის პირველსავე დღეს ჯარში გაიწვიეს. მამას შეეძლო ეზრუნა შვილის შინ დარჩენაზე. მართალია, იმხანად ჯერ არ მოქმედებდა ეგრეთ წოდებული „ჯავშანი“, მაგრამ მეცნიერ მუშაკები, ასპირანტები ერთგვარი შეღავათით სარგებლობდნენ, თხოვნით, რექტორატის მიმართვით გაწვევის გადავადება ხდებოდა. ლეოს არავისთვის არ მიუმართავს, არავინ შეუწუხებია თხოვნით. და ასე, მისმა შვილმა ოთარ შენგელაიამ ჯარისკაცის ფარაჯაში დაიცვა საკვალიფიკაციოდ წარმოდგენილი შრომა, მოიპოვა ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და გაწვევის პუნქტს მიაშურა...

გვიან, ეს იყო 1952 წელს, როცა ძალიან გავუშინაურდი ბატონ ლეოს, ვკითხე: „ხომ შეგეძლოთ გეთხოვათ, თქვენ ვინ არ გაგიწევდა ანგარიშს?“

— აბა როგორ უნდა შემეწუხებინა ვინმე იმ გაგანია ომის პირველ დღეებში, როცა ყველა მისი ტოლი და მეგობარი ფრონტზე გაიკრიფა? მე როგორ შემეძლო ამ ვითარებაში შვილის შინ დატოვება მეთხოვა? თუ არა მის ტოლებს, აბა ვის უნდა დაეცვა მამული ჩენი, — პირში დაგუდული ეს სიტყვები დამარცვლით თქვა და დადუმდა, სათვალეები მოიხსნა, თვალებზე ცრემლები შევნიშნე, შევწუხდი, ვინანე, რატომ ვკითხე-მეთქი და უმალ სხვა მხრივ მოვუარე სათქმელს, ბათუ ქარდუას სიტყვები მომაგონდა (ბათუ ქარდუა ისე, როგორც ტარიელ გოლუა, მწერლის ბედის მონათესავე და სულიერად ტყუპი ძმებია): „შეგნებით მთისკაცს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ახალმა დრომ ახალი თაობა გამოიყვანა საზოგადო ასპარეზზე გარდასულის, ძველის მაგიერ,



ეს იყო ჯოტოს და მისი ტოლების თაობა, ვის უნდა დაეცვა ქვეყანა მტრებისაგან, თუ არა მათ თავად? როგორ უნდა განდგომოდა მისი სახელმწიფოეპილი შვილი თავის დროს და ბრძოლაზე ხელი აეღო? რა თქმა უნდა, ჯოტო თავის მოვალეობას ვერ უღალატებდა, სამშობლოს დაცვაზე უარს ვერ იტყოდა, მაგრამ... მამის გული კიდევ სხვას ეუბნებოდა მთისკაცს და თვითონაც გრძნობდა, რომ წინააღმდეგობაში ვარდებოდა“...

საყვარელი შვილის დაღუპვის ცნობა რომ მოუვიდა, ერთხანს გაოგნებული სახლში ჩაიკეტა, იდარდა, იგლოვა... მერე ჩუმად რძალთან ერთად წავიდა თბილისიდან, თვითონ ეძია საყვარელი შვილის ნომარი ადგილები, მისი კვალი და სავალი, და საქმო საფლავეზე თბილისის მიწა მიმოაბნია... არც მაშინ შეუწყუხებია ვინმე, უდიდესი მწუხარება და სულიერი ტკივილები არავის მოახვია თავზე; ისე კი გატყდა, ერთბაშად დაბერდა, დადიოდა დაფიქრებული და დაღონებული, ხშირად საუბარში გამოითიშებოდა, წუწუნი კი მისგან არავის გაუგონია. მართლაცდა რა თავშეკაფება და ნებისყოფა იყო საჭირო, რომ საკუთარ სულში ჩაეკლა ეს უდიდესი ადამიანური მწუხარება. არა, ლეო სულ სხვა კაცი იყო და ასეთი დარჩა იგი ბოლომდის, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

1951 წლის აპრილს, დავით კლდიაშვილის გარდაცვალების ოცი წლის თავზე, მწერლის ხსოვნის საღამოები გაიმართა თბილისსა და სიმონეთში.

25 აპრილს გავემგზავრეთ სიმონეთში მწერალთა დიდი ჯგუფი. ჩემს მანქანაში ლეო, მე და რაიკომის მდივანი ვეტიხ გოგიაშვილი ვისხედით. ლიხის ზეგანი გადავლახეთ და სოფელ ხევის მარცხნივ გზის პირად მანქანა იქ შევაჩერეთ, სადაც ფერდობიდან წყაროს წყალი ხის ღარით ჩალის ღეროს ოდენა რაკრაკით მოედინებოდა. ძირს ჩამოვედით, მძლოლმა გაორთქლილი სავსე ჭიქით წყაროს წყალი მოართვა ბატონ ლეოს. მწერალმა სათვალეები მოიხსნა, წყაროს წყალი შესვა, „რა ცივია ეს მადლიანი?“ მერე თვალეები მოქუტა და ხელმარჯვნივ გორაკებს შეხედა. გაღმა მთის კორტოხზე იმერული ოდასახლი იდგა, თითქოს ზეცისკენ გაუწვდენიაო ხელი, როგორც მთის გავრძელებას — „არა, აქ მთაც სხვანაირია და ცაც, მი-

წა მანც მწირია და არ ჰყოფნის გლენს. დღენიდაგ ებრძვის მიწის ყოველ ნაკერს აქაური მოუსვენარი გლენი (ოდასახლის ქვემოთ ხრიოკ ციცაბო ფერდობზე ბაწრით ხეზე მოკიდებული გლენი მიწას თოხნიდა) — შეხედეთ, შეხედეთ, რა საოცრებაა! არა, იმერეთი საქართველოს საოცრებაა, თავისი მთით და ბარით, გორაკებითა და ხრიოკი მიწით, ადამიანებით. დიხს, გამრჯე ადამიანებით. ამ საოცრების უპირველესი მშვენიერებაა ამ მადლიან მიწაზე დაბადებული აკაკი და ორი ნიკო: ნიკო ნიკოლაძე და ნიკო ლორთქიფანიძე, დავით კლდიაშვილი და გიორგი წერეთელი და გალაკტიონი...

— არა, ბატონო ლეო, სხვას რას ვერჩით, — თქვა რაიკომის მდივანმა და სხაპასხუპით ჩამოთვალა ჩვენი დროის გამოჩენილი მწერლები, რომელთაგან ბევრი ახლა თან გვახლდა.

— არა, ბატონო ევტიხ! — უცბად მოუქრა ლეომ, — აქ შევჩერდეთ და სხვათა ბედი ისტორიას მივანდოთ! — ისევ ოდნავ მოქუტა თვალეები და კვლავ მთის კორტონზე წამოკიმულ ოდას მიაპყრო მზერა, — იმ სახლს ღმერთმანი ცა ქუდად დაუხურავს...

ჩავსხედით მანქანაში და გზა გავაგრძელეთ, ზესტაფონში ფეროს ქარხანას გავცდით, ხელმარჯვნივ გადავუხვიეთ თუ არა, თეთრ ტილოგადაკრულ ფირფიცარზე დასატული დავითის დიდმა პორტრეტმა შემოგვანათა. ახლა რაიკომის მდივანმა მძღოლს თხოვა, როგორც მასპინძელმა და იქვე მანქანა შევაჩერეთ, ისევ ძირს ჩამოვედით. დავითის პორტრეტის გვერდით ორ ბოძზე გაკრული პლაკატი გვეპატიუებოდა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. მეორე პლაკატზე კი დავითის სიტყვები იყო ლამაზად გამოკვეთილი: „სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურები ჩემი მწერლობის განმავლობაში იყო ჩემი სამწერლო პრინციპი“... ლეომ ისევ მოიხსნა სათვალეები და დავითის პორტრეტის წინ შეჩერდა: „ნამდვილი დავითია, ისეთი, როგორც მე ცხოვრებაში მახსოვს“. იკითხა ვინ დახატაო — „ჩვენს რაიონულ კლუბში თვითნასწავლი მხატვარი გვყავს, იმის ნახელავი გახლავთ“, მასპინძლის რიხით უპასუხა რაიკომის მდივანმა. თითქოს დავითის სურათმა გაახსენაო და ახლა მე მომმართა ბატონმა ლეომ — „არა, ჩვენი სერგო სადაა, სერგო კლდიაშვილი, რატომ

ჩვენთან არ წამოვიდა“, — „სერგო მასპინძელია ბატონო ლეო, ის ერთ კვირაზე მეტია რაც ჩამოვიდა, მამულეთის ეზო-კარს თავს დასტრიალებს, გამოფენის მომზადებაში გვეხმარება“, ჩემს მაგიერ უპასუხა ისევ რაიკომის მდივანმა. ჩავსხედით მანქანაში და სიმონეთისაკენ გავწიეთ. ლეო გახალისდა, საუბარი წამოიწყო: „ძალიან მიყვარს დავითი, ის ნამდვილი რეალისტი, სულთ ხორცამდე რეალისტი. რეალისტებს ადამიანები უყვართ. ასეთები იყვნენ ილია და აკაკი, დავითიც ამ გზით წავიდა, დავითს უყვარს და გულიც შესტკევა თავისი გმიერების ბედზე. ამავე დრო მკაცრი განაჩენიც გამოაქვს მათ საქციელზე, არა, სამანიშვილის დედინაცვალის ავტორი გენიალური მწერალია, მერე და რაც დრო გადის, უფრო იზრდება ეს დალოცვილიშვილი; დავითს სიცოცხლეშიც არ აკლდა დაფასება და მაინც ფოთოლივით დაეცა ეს ჩია კაცი და მთასავით წამოდგა. დღეს უფრო დიდი მხატვრული დიაპაზონის მწერლად გვევლინება, ვინემ ის იყო თუნდაც მაშინ, როცა მისი პირველი იუბილე გადავიხადეთ 1930 წელს და სახალხო მწერლის წოდება მიენიჭა... დავით კლდიაშვილის მეტყველებას, როგორც წესი, გარეგნული ბრწყინვალება არ ახასიათებს, იგი უფრო ხასიათების ოსტატია, ხასიათების გამოხატვაში იგი სწორუპოვარი მხატვარია... ვიმეორებ, „სამანიშვილის დედინაცვალი“ წარმოადგენს ქართული ლიტერატურის შედეგრს. არსებობენ მოთხრობები, რომელთა კითხვა მკითხველს არასოდეს მოწყინდება. ასეთია კლდიაშვილის სამანიშვილი და საერთოდ მისი მოთხრობები. პლატონ სამანიშვილის მოგზაურობა იმერეთის სოფლებში მამის მაშვლის როლში, მოხუცებული ბეკინასათვის „ორი ქმრის ხელში ნამყოფი“ და მაინც უშვილო ქვრივის საძებრად, სამაგალითო და საკვირველი ამბავია, შემოქმედებითი ფანტაზიის უბრწყინვალესი ნაყოფი. დავით კლდიაშვილის მხატვრული ალლო აქ თავის უმაღლეს მწვერვალს აღწევს. ამ მწვერვალიდან ორი დიდი სამყარო მოჩანს: ერთია თვითონ დავით კლდიაშვილის შინაგანი სამყარო, მისი ნიჭის ხასიათი და ბუნება, ხოლო მეორე იმერეთი, მთლიანად აღებული, როგორც დავით კლდიაშვილის შემოქმედების სამყარო და ამავე დროს უზუსტესად მოხაზული სინამდვილე“.

— დიახ, ჩავერიე მე საუბარში, — სიმართლით გამოხა-

ტულ ამ სინამდვილეს ორი ასპექტი აქვს, სასაცილო, კომიკური და სამწუხარო, ტრაგიკული. სამანიშვილის მთელი მოგზაურობა სასაცილო ეპიზოდებითაა დამუხტული, რათა მკითხველი ტრაგიკული, სამწუხარო ფინალისათვის განამზადოს. აქ კომიკურისა და ტრაგიკულის ერთგვარი შენაცვლეზბაა და მაინც კომიკურ სიტუაციებს — ტრაგიკული, სამწუხარო სურათები ჭარბობს, რომლებიც „გულს უმღვრედა“ ადამიანების მოყვარულ მის ავტორს.

— ჰო, დამიდასტურა ბატონმა ლეომ, — სამანიშვილის კითხვისას თქვენს სახეზე არა ერთხელ ნეტარი ღიმილი გადიშლებდა, მაგრამ იქვე, მე ამ მოგზაურობის ფინალი მაქვს მხედველობაში, ნეტარ ღიმილს უაღრესი სევდა ცვლის, ეს ხომ ესთეტიკური კატეგორიის ეფექტია ღიმილის თანაბარი ძალისა...

ისევ ჩავერიე საუბარში:

— ალბათ, ამიტომაც, ეს იმერეთში მოგზაური პლატონი ზოგადსაკაცობრიო ხასიათების სტანდარტებს უთანაბრდება, ის, რაც დაემართა პლატონს, მისთვის „ორი ნაქმარევი ქალის“ მაძებარს, ახლოა და მახლობელი იმავე რუსსა. ინგლისელსა თუ გერმანელისათვის. გაკვირვებისაგან თავდალწვევის ამ ქიას ყველა შეუძლია სამოგზაუროდ აათოხარიკოს. არა?

— კი, უთუოდ ეს ასეა, პლატონი და ბეკინა გლობალური ხასიათებია იმერეთის მიწაზე დაბადებულნი.

დავითის ეზო-კარის აღმართს მივადექით, მანქანიდან ჩამოვედით და მოწიწებით შევედით ხალხით სავსე ეზოში. დავითის სახლ-მუწეუმში მოწყობილი გამოფენა დავათვალიერეთ, გავედით აივანზე, სადაც სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა, მეცნიერებმა, დავითის მეგობარმა მოხუცებმა, მასწავლებლებმა და მოწაფეებმა...

\* \*

იმ წელს ზედიზედ წაეწყო იუბილეები და ყრილობები — ეს იყო 1954 წელი: თებერვალში ივანე მაჩაბლის დაბადების 100 და გრიბოედოვის 125 წლისთავი აღვნიშნეთ, მარტში — დიმიტრი გულას დაბადების 80 წელი, ხოლო აპრილში ლეო

ქიაჩელის 70 წლის იუბილე. მან სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გადაიხადა იუბილე — დაბადების 70 წელი.

ამაშიაც თავმდაბალი და მოკრძალებული იყო ბატონი ლეო. რა თბილი, სახალხო და გულწრფელი იყო ეს იუბილე. ჯერ წალენჯიხაში, მერე თბილისში — ოპერისა და ბალეტის თეატრში.

რომ ვთქვათ, ლეოს დიდი შემოსავალი ჰქონდაო, არ ექნებოდა მართალი: მისი წიგნები მსოფლიოსა და საბჭოთა ხალხების თითქმის ყველა ენაზე გამოდიოდა, მაგრამ ჰონორარს მარტო ქართულ და რუსულ გამოცემებში აძლევდნენ და ეს არც ისე დიდი თანხა იყო, მაგრამ მას გულსიფიცარზე ეწერა სიტყვები, რომელიც ტარიელ გოლუას წარმოათქმევინა:

— პიროვნული არასოდეს საზოგადოებრივზე მალა არ უნდა დააყენო. ამ ცნებას მისდევდა თავადაც. სოფელ ობუჯს ბიბლიოთეკა — კლუბი თავისი სახსრებით აუშენა, „გვადი ბიკვაში“ მიღებული პრემიით აუშენა. სწორედ ამ კლუბის ეზოში, დიდი ცაცხვის ქვეშ გაიმართა ლეო ქიაჩელისადმი მიძღვნილი საიუბილეო მიტინგი; ლეო იდგა მწვანე მოლით მოსილ ბიბლიოთეკის ეზოში და გარს ეხვივნენ ობუჯელი მეზობლები და თბილისიდან ჩამოსული მეგობარი მწერლები. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ მისი კარის მეზობელი მოხუცები და ახალგაზრდები, მწერლები: გერონტი ქიქოძე, კარლო კალაძე, ალექსანდრე ქუთათელი, გიორგი შატბერაშვილი, ხუტა ბერულავა, მიხეილ მრეველიშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი, ელიზბარ უბილავა...

სამადლობელ სიტყვაში ლეო ქიაჩელმა თქვა:

— აბა შეხედეთ იმ სამ ცაცხვს, აი იმ ფერდობზე რომ დგანან, — და მარჯვენა ხელი ფერდობს მიაშვირა, — სწორედ იქ მივიღე მე პირველი ნათლობა, როგორც სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროპაგანდისტმა და აჯანყების ერთ-ერთმა მეთაურმა ზუგდიდის მაზრაში. აქ, ჩემი კარის მეზობლებს შორის, რევოლუციის ცეცხლით აბრიალებულ სოფელში შევხვდი მე ტარიელ გოლუასა და ლევანს, ბაჩუასა და ბეჟანას... მათი სულით მონათესავე და მსგავსი ბევრნი იყვნენ ერთობის იმ პირველ კრებაზე, სადაც სიამაყით გაისმა სიტყვა — „ამხანაგებო!“ ბევრ მათგანს მე პირადად ვიცნობდი და ვმეგობრობდი და მაინც არც ერთი იმათგანი და-

ჩემებულად არ ამიღია მე ჩემი რომელიმე გმირის პროტოტიპად.

ეს სიტყვები, რალაცნაირი ხაზგასმით წარმოთქვა, შეჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა და მერე განაგრძო:

— არა, მე იმ მრავალთაგან თითო რალაცა ავიღე და ერთად თავი მოვუყარე ჩემს გმირებში, ისინი სულით ხორცამდე ამათი მონათესავენი არიან, ახლა აქ ჩვენს თავყრილობას რომ ამშვენებენ, აბა შეხედეთ... — მართლაც ბატონ ლეოს გვერდით იდგა ზორბა, მალალი, მხარბეჭიანი მოხუცი, რომელიც თავის ჩაცმულობითა და გარეგნობით ზედმიწევნით მიაგავდა აკაკი ხორავას მიერ რუსთაველის თეატრში ნათამაშვე ტარიელ გოლუას, — და მაინც, არც ერთი იმ ცხრაასხუთელი მებრძოლი გლეხის ასლი არ არის ჩემი ტარიელი. — ჩემი ტარიელი, — ეს სიტყვა საოცარი სიყვარულით წარმოთქვა ბატონმა ლეომ, — მე ტარიელ გოლუას ხასიათში გამოვხატე ბრძენი, დინჯი, დაუოკებელი რევოლუციის ჟინით ანთებული, ზნეობრივად, მორალურად უმწიკვლო, გაუზხარავი და მთლიანი, სულით მალალი და გაუტეხელი ვაჟაკი, მიწაზე შეყვარებული, მიწის სიყვარულით ამღვრებული, ვაჟას მინდიასავით პანთეისტი — აბა მოიგონეთ მისი საუბარი სიმინდით აბიზინებულ ყანასთან ან საკუთარი შვილისა თუ ბაჩუას სიკვდილით აფორიაქებული, მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლესთან შეუდრეკლად შექიდებული ის ჩემი ტარიელი, სიკვდილმაც რომ ვერ გასტეხა ის უბედური... აქ ქიაჩელს სიტყვა გაუწყდა, სათვალეები მოიხსნა და ცრემლით დანამული თვალები ცხვირსახოცით მოიწმინდა. სულგანაბული ხალხი საოცარი მორიდებით მისჩერებოდა მწერალს. ამისაგან გამხნეებულმა ქიაჩელმა სიტყვა ასე დაამთავრა:

— მე, აი ამ სოფლიდან, ამ მადლიანი ქართული მიწიდან უცხოეთში ლანდივით გამყვა, როგორც ჩემი სულის ორეული, ეს დიდებული სახეები გლახკაცებისა და მანამ არ მომასვენეს, ვიდრე იქ, შორეულ შვეიცარიაში არ დაევამთავრე ეს ჩემი რომანი — „ტარიელ გოლუა“...

ლეო ქიაჩელი, ახლა რომ ტრიბუნაზე იდგა, დიდი პოლიტიკური და რევოლუციური სკოლაგამოვლილი მწერალი იყო. იგი 1905 წლის ქარიშხლიან წლებში დასავლეთ საქართველოს აჯანყებული სოფლების ერთ-ერთი მეთაური მაუზერით ხელ-

ში ებრძოდა ალიხანოვის დამსჯელ რაზმებს... მოწიწებით მიეჩერებოდით, მაგრამ ვერ ირწმუნებდით, რომ ამ კაცს შეეძლო თოფი ესროლა, თუნდაც მტრისათვის. ყოველივე ეს ხუთი თითივით ვიცოდი და მაინც განცვიფრებული შეეყურებდით ქართული სიტყვის ამ დიდოსტატს. ასლა დინჯად, კეთილად მოსაუბრეს, საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილს... არა, მაინც რა უბრალო და მშვიდი იყო ყოველი მისი ქესტი. ამ წუთში ის ტყუპი ძმასავით ჰგავდა მის მიერ დახატულ ტარიელ გოლუას...

დინჯი, დაკვირვებული, გონიერი, ჰკვიანი, ერთადერთი, რაშიაც მისი დაუოკებელი სული იფეთქებდა, ეს ჰადრაკის თამაშში იყო. მისი უზომო მოტრფიალე გახლდათ. მწერალთა კავშირში კოლეგებთან უყვარდა შებმა. წაგება არ უყვარდა. უნდა მოეგო აუცილებლად, ყოველ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს მანამ არ მოეშვებოდა, სანამ მოგებით არ დაამთავრებდა. ხშირად, იქვე, ბალში სკამზე იჯდა მისი განუყრელი მეგობარი გერონტი ქიქოძე და ელოდებოდა, მანამ ბატონი ლეო თამაშს მორჩებოდა, მერე მაჩაბლის ქუჩით რუსთაველის გამზირს გადაჭრიდნენ და მარჯვნივ რესტორან „თბილისში“ შედიოდნენ სასადილოდ. მათთან ხშირად ნახავდით სურამიდან ჩამოსულ დავით სულიაშვილს. ისინი ხომ ემიგრაციაში ერთად ნამყოფი „სამი ძმანი ქართველები“ იყვნენ და ძველი ამბების მოგონებით ერთობოდნენ.

დავით სულიაშვილი ჰყვებოდა: გერონტისა და ლეოს ხასიათითაც ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, უსაშველოდ ამაყნი იყვნენ, თავი რაინდებად მოჰქონდათ და ევროპიელ ქერა ქალიშვილებს ხშირად ხიბლავდნენ ქართველი „თავადიშვილობის ჩინით“, სინამდვილეში კი დავით კლდიაშვილის აზნაურებივით ჯიბე ცარიელნი და არაფრის მქონენი, მეტისმეტად გადაპრანჭულნი იყვნენო, იღიმებოდა დავითი — ამ მდგომარეობაში არსებობის სახსარი მოვძებნეო. მაწონს ვამზადებდი, გერონტისა და ლეოს უნდა გაეყიდა ეს მაწონი. ერთბაშად სახელი გაუფარდა ჩვენს დამზადებულ მაწონს. შემოსავალიც კარგი გვქონდა. ბოლოს პირველი მაინც გერონტი გადამიდგა, უარი განაცხადა მაწონის გაყიდვაზე, ლეო კი იმ დილით როგორც იყო დავიყოლიე და მაწვნისანი ქილებით თურმე იმ ქალიშვილის სახლს მიადგა, რომელსაც მთელი თვე დასდევდა რო-

გორც „წმინდა სისხლის ქართველი თავადიშვილი“. და, აი, დილაკს დააჭირა თითი, სადარბაზო კარი გაიღო, ზღურბლზე, სწორედ მისი უიღბლო სიყვარული, ქერათმიანი ქალიშვილი იდგა. სახტად დარჩა, უცბად გონს მოეგო და ასე უთხრა: ჰა, ეს შენა ხარ, ქართველო კნიაზო. ლეო ასეთ რამეს არ მოელოდა და ელდანაცემს ხელიდან გაუვარდა მაწვნით სავსე ქილა.

არა, მაინც რაგვარი დაცინვა იყო ბედისა? ლეო უკრძალავდა ამ ამბის მოყოლას მეგობრებს, მაგრამ დავითი თავისას არ იშლიდა...

ლეო ქიაჩელი დაბადების 70 წლისთავზე ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო ობუჯის შემდეგ, 1954 წლის 29 აპრილს, თბილისის ოპერისა და ბალეტის ქართულ თეატრში ამ თარიღისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო საღამო გაიმართა. საღამოზე ლეო ქიაჩელს ასე მიმართა ალ. აბაშელმა:

ჩემო სიყრმის მეგობარო,  
ჩემო მკვიდრო ძმობილო,  
უთბილესო,  
უტკბილესო,  
ჯულო კეთილშობილო....

იმავე წლის ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის მეოთხე ყრილობა ჩატარდა, ხოლო 1954 წლის დეკემბერს — საბჭოთა კავშირის მწერალთა მეორე ყრილობა. ამ ყრილობაზე 48 დელეგატი საქართველომ წარგზავნა. მათ შორის იყო ლეო ქიაჩელი, რომელიც საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობაში პირველად შეიყვანეს.

მოსკოვამდე მე და ლეო ქიაჩელმა ერთად ვიმოგზაურეთ საერთაშორისო ვაგონის ერთ კუპეში. მატარებელი სწორედ მეგობრული საუბრისათვის არის თითქოს ზედგამოჭრილი.

— ბატონო ლეო, თქვენს ნაწარმოებებში ყველაზე უფრო რომელი გიყვარს, რომელს უფრო გამოარჩევდით.

ლეომ სათვალეები მოიხსნა, თვალები მოკუტა და სერიოზულად დაიწყო:

— ამ კითხვაზე ორკოფულად გიპასუხებდით, რომ თქვენი წიგნი არ მქონდეს წაკითხული (ბატონ ლეოს მხედველობაში ჰქონდა ქიაჩელის საიუბილეო დღეებში გამოცემული ჩემი მცირე მოკულობის, სამთაბახიანი მონოგრაფია, „ლეო ქი-



აჩელი“, რომელიც საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა ოციათასი ტირაჟით, როგორც თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამა), თქვენს წიგნში საკმაოდ ვრცლად მოთხრობილი და დახასიათებული ჩემი ის წვლილი, რაც მე ქართულ მწერლობაში შემიტანია, ამიტომ არ შემეძლია გულახდილი არ ვიყო შენს წინაშე, როგორც მეგობრისა და კრიტიკოსის წინაშე. მე მწერლის სახელი „ტარიელ გოლუამ“ მომიპოვა. ჰო, სახელიცა და მატერიალური კეთილდღეობაც. ტარიელ გოლუაზე თითქმის სამი წელი ვიმუშავე. ისე, ადრე მოთხრობა მქონდა ჩაფიქრებული, ბაჩუა, მუნჯი ბაჩუა იყო მთავარი გმირი. წერას რომ შევუდექი, ერთბაშად შეიცვალა გეგმა და აჩრდილივით რომ დამდეგდა ის ჩემი ორეული სულისა, ტარიელი გაცოცხლდა და 1905 წლის ალში გამოვლილი ჩემი სოფელი და მთლად საქართველო, იმ შორეულ ქენევაში თვალწინ დამიდგა. წერა რომ დაეამთავრე, ხელნაწერი საქართველოში მაშინვე გამოვგზავნე. ამის შემდეგ მოსვენება დავკარგე, სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტე. მეგობრები მიშლიდნენ: ნუ წახვალ, ქვეყანა არეულია, დაგაპატიმრებენ და ციმბირი არ აგცდებო. სწორედ ამ ვითარებაში ქენევაში შევხვდი თედო სახოკიას, იმ კეთილსა და მამულისათვის გადაგებულ კაცს. ბატონ თედოს პარიზში მიეღო ნებართვა სამშობლოში დაბრუნებისა. პირველი მსოფლიო ომის ხანძარი ენთო მთელს ევროპაში. მას დაბრუნება პარიზიდან პირდაპირი გზით არ შეეძლო და ქენევაში ჩამოვიდა. აქ შეხვედრისას ჩემი განზრახვა სამშობლოში ფარულად დაბრუნებისა თედოს გავუმხილე, მან წამაქეზა. მეც თედო სახოკიას რჩევით და მისივე დახმარებით გამოვწიე სამშობლოში, უფრო სწორად, აქ გამოვგზავნილ ჩემს ტარიელ გოლუას გამოვყვევი, და ლონდონის გავლით ნორვეგიაში ჩამოვედით. იქ თედომ ინგლისის კონსული, ილიას მეგობარი მარჯორი უორდროპის ძმა ოლივერ უორდროპი მოინახულა. მას, თბილისში ნაცხოვრებს, ქართული ენის მცოდნეს, თურმე სისტემატურად უგზავნიდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. თედოს ამ გაზეთის გადათვალთვალებისას თვალი მოუკრავს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ დაბეჭდილ ჩემი „ტარიელ გოლუასათვის“. გახარებულმა თედომ ამ გაზეთის ის ნომერი მოიტანა, რომელსაც

ასეთი შენიშვნა ჰქონდა: „თუმცა წინათ განზრახული გეჭონდა ლ. ქიაჩელის მოთხრობა დამატებაში მოგვეთავსებია, მაგრამ შემდეგ ვამჯობინეთ გაზეთში დაბეჭდვა, რადგან ეს მკითხველისათვის უფრო მარჯვეა და მოთხრობაც ადრე დასრულდება.“

დარწმუნებული ვართ, ჩვენი საზოგადოება სიხარულით შეხვდება „ტარიელ გოლუას“, რომელიც მოგვაგონებს ალ. ყაზბეგის მოთხრობებს. თემა მეტად საინტერესოა, აღწერილია მოძრაობის დრო სამეგრელოში, ჩვენი სოფლის გამოღვიძება, გატაცება მაღალი მისწრაფებით. ბ. ქიაჩელის გმირები ტარიელ გოლუა, მისი შვილი ლევანი, პატარა გიო, მუნჯი ბაჩუა, ბეჟანა და სხვები, ხალხის ღვიძლი შვილები არიან, რომელთა გაცოცხლება განსაკუთრებით ძვირფასია დღეს. ჩვენი ერის სიძლიერე და იმედი ჩვენი მდაბიო ხალხია, რომელიც აღადგენს დღეს დაბეჩავებულს და დაცემულ ერს“. რედ. („სახალხო ფურცელი“, № 529).

„ტარიელ გოლუა“ სულ 27 ფელეტონად დაიბეჭდა „სახალხო ფურცელში“. მისი ბეჭდვა დაიწყო ხუთშაბათს, 1916 წლის 17 მარტს და დამთავრდა ხუთშაბათს 26 მაისს, 1916 წელს.

— ფეხბედნიერი აღმოჩნდა ეს ჩემი პირველი რომანი. იგი უკვე ამ გაზეთის სარედაქციო შენიშვნაშივე, ალექსანდრე ყაზბეგის რომანებს შეადარეს და, ამის შემდეგ ქება და დიდება არ მოკლებია ჩემს ტარიელს. თანაც, სამშობლოში არალეგალურად დაბრუნებულს, დიდი თანხა მომცეს ჰონორარის სახით. სული მოვითქვი დამშეულმა ემიგრანტმა, წელში გავიმართე. თუმცა ჯერ ისევ სხვისი პასპორტით ვცხოვრობდი ჩემსავე სამშობლოში. სულ მალე თებერვლის რევოლუცია მოხდა. ჩემი ნამდვილი გვართა და სახელით დავიწყე თბილისში ცხოვრება და საზოგადო მოღვაწეობა.

მაშინვე მწერალთა კავშირის დაარსებაზე დავიწყეთ ზრუნვა. ეს დიდი საქმე იყო. მახსოვს, 1917 წელს პირველსავე კონფერენციაზე დავადგინეთ, სხვათაშორის ეს წინადადება კონსტანტინე გამსახურდიამ შემოიტანა, გოლოვინის პროსპექტს რუსთაველის პროსპექტი რომ დარქმეოდა. წარმოიდგინეთ, რომ მთავრობამ მიიღო ჩვენი წინადადება და გოლოვინის პროსპექტს სანელი გადაერქვა, რუსთაველის პროსპექტი

ეწოდა. ეს ისტორიული ფაქტია და მეტად საინტერესო. იმდენმა ქარიშხალმა გადაიარა ჩვენს თავზე, ვინ იცის რა სახელს დაარქმევდნენ ჩვენი დედაქალაქის მთავარ მაგისტრალს. ეს პატარა საქმე არ იყო მაშინ და კიდევ რამდენი ეროვნულ წამოწყებათა ინიციატორი იყო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი. მისი თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი გახლდათ 1927 წლამდე, და ერთ-ერთი მოადგილე მე ვიყავი, — აქ შეჩერდა, მერე ხმადაბლა დაუმატა:

— არა, ეს უბრალო ლირიკული გადახვევა იყო. „ტარიელ გოლუაზე“ ვყვებოდით არა?

მაგრამ, თუ გინდა სიმართლე გითხრა, მე ყველაზე მეტად „გვალი ბიგვა“ მიყვარს. რატომ, ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. მანამ ნოველებზე გეტყვი რამდენიმე სიტყვას. მე ნოველებით შემოვალე ქართული მწერლობის კარი. ამ ნოველებიდან გამოვარჩევდი „თავადის ქალი მაიას“, „ალმასგირ კიბულანს“, „ჰაკი-აძბას“.

აქ შეჩერდა, თითქოს რაღაცას იგონებდა, მე ამით ვისარგებლე და რეპლიკა ჩავრთე:

— ბატონო ლეო! თქვენ, ამ სამი ნოველის — „თავადის ქალი მაიას“, „ალმასგირ კიბულანის“ და „ჰაკი-აძბას“ მეტი რომ არაფერი დაგეწერათ, ამითაც უკვდავი იქნებოდით-მეთქი ქართულ მწერლობაში.

ლეომ ერთბაშად სიტყვა მომიჭრა:

— მართალი გითხრათ, ყველაზე მეტი უსიამოვნება სწორედ ამ ნოველებმა მომაყენეს. განსაკუთრებით, ჩემი აზრით ყველაზე უკეთესი ნოველის — „თავადის ქალი მაიას“ გამო მომდგნენ. ერთი კრიტიკოსი მიკიჟინებდა: „მაგრამ არიან კიდევ ადამიანები ქვეყანაზე, რომელთაც ასეთი თავადის ქალების სქესობრივი უძღურება აინტერესებთ? ეს უსაქმურთა საქმეა, რისთვისაა საჭირო ეს! რა დარდი აქვს თანამედროვე ადამიანს ვიღაც დაბერებული თავადის ქალის მოტყუებული სიყვარულისა? მოთხრობის შემარჯვენებაც იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი ხელოვნურად მოთხრობილი ტრაგიზმით, რაღაც „სერიოზულობით“ თავადის ქალის დამკვიდრებელ დღეების უკანასკნელ უინტერესო საათებს გვიხატავს“...

ახლა რაც შეეხება დეკადენტობას, მოდერნიზმს... უნდა

მოგახსენოთ, რომ მთელი ჩემი არსებით რეალისტი ვარ, რეალიზმი მიმაჩნია მწერლობის მაგისტრალურ გზად, მაგრამ არც იმ სიკეთის უარყოფა შეიძლება, რომელნიც მოდერნისტულმა სკოლებმა მოიტანეს წერის მაღალი კულტურით.

ნიკო ლორთქიფანიძეზე ვამბობდი და, ეს მეც შემესება: რასაკვირველია, ნიკო ლორთქიფანიძე არ შეიძლებოდა დარჩენილიყო გარეშე იმ დიდი ლიტერატურული ესთეტიკური მოძრაობისა, მით უმეტეს, რომ იგი შეესწრო მას ევროპაში ყოფნის დროს და მისი პირველი ნაბიჯები სალიტერატურო ასპარეზზე დაემთხვა ამ ახალი ლიტერატურული გემოვნების განმტკიცებას... მე იმპრესიონიზმი მაქვს მხედველობაში, მაგრამ აქ საჭიროა ერთი განმარტება. ჩემს ბავშვობას ორი სულიერი საფენელი აყალიბებდა: ერთი, ბავშვობის ადგილის დედა — სოფელი, სამეგრელოს კოლხური ლეგენდების, მითების, ჭაობიანი და ნისლიანი სამყარო ოჩოკოჩებით, ტყის-მაფათი, კუდიანებით და ქინკებით დასახლებული. ეკლესიაში სიარულით და ლიტონიობით ჩვენებური გლეხი მაინც და მაინც თავს არ იწუხებდა, მაგრამ ხატზე გადაცემისა და წყევლის შიში ძვალ-რბილში ჰქონდა გამჭდარი. აქ ეზიარა ჩემი ბავშვობა სოფლის ცრურწმენათა ორ ნაკადს — წარმართულსა და ქრისტიანულს, და ისე ღრმად ჩამრჩა სულში, რომ სანამ ნოველებში არ გავაცოცხლე, მანამ თან დამდეგდა, როგორც ჩემი ბავშვობის ორეული. ჩემი ყმაწვილობის მეორე ადგილის დედა ქუთაისი იყო, უფრო სწორედ, თეატრალური, ლიტერატურული და რევოლუციური ქუთაისი. ქუთაისი მაშინ ქუხდა, ტონს აძლევდა მთელს საქართველოს — წმინდა ქართული ხასიათითა და რევოლუციური პატრიოტიზმით. ლადო მესხიშვილისა და შალვა დადიანის თეატრალურ ქუთაისის რეპერტუარში განსაკუთრებით „სამშობლო“ მიტაცებდა. სპექტაკლებიდან შინ მობრუნებული ხიმშიაშვილის და ლეონიძის სიტყვებს ვიმეორებდი. „დაჰკარ ლევან!, ამით სამშობლოს იხსნი“...

ჩვენთან, გიმნაზიაში ალიოშა ჯაფარიძის მეთაურობით დავაარსეთ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წრე. მე ამ წრის აქტიური წევრი გავხდი. ასე შევალე რევოლუციური საქართველოს საიდუმლო კარები. 1905 წლის რევოლუციამ მე, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, ჩემი სოფლისაკენ

მომაბრუნა და ტარიელ გოლუას გვერდით იარაღით ვიბრძოდი თვითმპყრობელობის ტახტის დასამხობად, მერე ციხე, სიკვდილმისჯილი კაცის ციხიდან გაპარვა, სსვისი პასპორტით ჯერ მოსკოვი და მერე უცხოეთი. აქ დავიწყე წერა. ჩემს სულს კი როგორც მოგახსენეთ, ორი საფენელი უკვე ჰქონდა: კოლხური მითოლოგია და რევოლუციური საქართველოს რომანტიკა.

წერას შევეუდექი, ბევრს ვკითხულობდი, ევროპაში მყოფი გავეცანი და შევხვდი რუს და ევროპელ მოდერნისტებს და მაგრად ჩამოვართვი ხელი, გამიტაცა მათი წერის მაღალმა კულტურამ. თუ არა ევროპის მაღალ კულტურასთან ზიარება, თუ არა იმპრესიონიზმთან წილნაყარობა, ისე, ალბათ, არ დაიწერებოდა ჩემი საუკეთესო ნაწარმოებები. მაგრამ ხომ გახსოვს დიდებული ტატოს სიტყვები, ის „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“... — და ჩემი სული ხომ დადაღული იყო კოლხური ლეგენდებისა და რევოლუციური საქართველოს რომანტიზმით. ამ შენაკადებიდან ხან ერთი წამოყოფდა თავს და ხან მეორე, ახლა ამას ჩემი გატაცებაც მიუმატეთ მოდური მოდერნიზმით და მაშინ ბევრი რამ ერთბაშად ნათელი გახდება... ამ ფონზე შეერწყა ერთმანეთს სოფლის ცრუმორწმუნეთა ცხოვრებისეული ფილოსოფია მისტიციზმის წიგნურ ფილოსოფიას. ავსულებისა და ზეციური ძალების ფატალური შიში გამოვხატე მე „ცოდვის შვილებში“. მას ლეგენდა უძევს საფუძვლად, სოფლად გაგონილი და ზოგი რამ თვალთ ნანახი. მე, მაშინ ალიოშა ჯაფარიძის სოციალ-დემოკრატიულ წრეში გამოწრთობილი პროპაგანდისტი, თავად ვუტევედი ღმერთსა და ხატს, მაგრამ სულით ხორცამდე რეალისტი ვიყავი და როგორ შემეძლო დამემახინჯებინა ხალასი ლეგენდა. წარმართული და ქრისტიანული ღმერთის — ორი ღვთაების მსახური ბეკოს მიერ ლურსმნების ხეზე მიჰედება და ამ გზით მაწყევარი ბეკოსაგან მისი მტრების შერისხვა ან ქრისტიანულ წესზე აღამიანების ხატზე გადაცემა — ისე გამოვხატე, როგორც ხალსში გამეგონა.

ჩემი სოფლის განაპირას ისლის სახლი იდგა. სოფელი ამბობდა, ეს სახლი და მისი პატრონი ხატისაგან შერისხულია, ხალხი ერიდებოდა მის წინ გავლას. სადაც სოფელი თავ-

დებოდა, იქ გადამწვარ წისქვილს მაჩვენებდნენ. ეს აზნაურ ყარამანის ნაწისქვილარიაო, იტყოდნენ. მეწისქვილედ იდგა კაცი, რომელიც განთქმული იყო ხატზე გადაცემითა და მაწყვეარობითო. ტყესაც ასახელებდნენ, სადაც ხეზე დღესაც არის დაქანგული ლურსმნები ჩაქედილი ამ კაცის ხელითო. აი ეს ლეგენდა დავუდგე საფუძვლად „ცოდვის შვილებს“, ასევე სოფლის სურათებია დახატული ნოველებში „სტეფანე“ და „ჯადოსანი“. ამბავი ცხოვრებისეულია, რეალისტური, მაგრამ მოდერნიზმის ქარი მაინც ქრის ჩემს ნოველებში. არ დავფარავ და ვიტყვი, როცა ევროპულ მოდურ მისტიკურ ფილოსოფიას ვეზიარე, მისტიკოსებისა და მოდერნისტების ნაწერებს დავეწაფე, მე ისინი ჩვენებური მორწმუნე გლეხის ფილოსოფიაზე აღზრდილად მომიჩვენენ. ამ ნიადაგზე ერთხანს ლიტერატურშიჩინა მომეძალა. ამის კვალი „შეურაცხყოფილში“ და „ესკალადეში“ აშკარად ჩანს...

1947 წელს გამოცემულ „რჩეულში“ ლეო ქიაჩელის საუკეთესო ქმნილებების — „ტარიელ გოლუას“, „ჰაკი-აძბას“, „თავადის ქალი მაიას“ და სხვათა გვერდით შეტანილ იყო მოდერნისტული ნოველებიც. წიგნზე რეცენზიის დაწერა მე დამევალა. ჩემს სტატიას, რომელიც „კომუნისტში“ გამოქვეყნდა, დავარქვი „გავუფრთხილდეთ დიდი მწერლის სახელს“. მე ლეო გულით მიყვარდა და მწამდა, როგორც დიდი რეალისტი და ცნობილი ოსტატი ქართული სიტყვისა და ბუნებრივია ეს სიყვარული არ დავაკელი ამ „გასაკრიტიკებლად“ გადმოცემულ ლეოს რჩეულსაც. ვწერდი, რომ „ქიაჩელმა თავის დროზე ხარკი გადაუხადა მოდერნიზმს, რომელიც უკუაგდო შემდეგ, როგორც დიდმა რეალისტმა და კითხვას ესვამდი, ამის შემდეგ რა საჭირო იყო ისეთი ნოველების შეტანა, როგორცაა „ესკალადე“, „შეურაცხყოფილი“... ეს მხარე „გავამაგრე“ თავბრუდამხვევი ციტატებით და, ყველაფერი ეს დავაბრალე რედაქტორსა და გამომცემლობას, თითქოს მათგან ვიცავდი ავტორს. მიმიხვდნენ ეშმაკობას, ჯერ რედაქტორი დამესხა თავს, მერე თვით ბატონმა ლეომ წერილით მიმართა ზემდგომ ორგანოებს და თავის თავზე აიღო რედაქციის მიმართ წაყენებული ბრალდება. აქაც, ერთხელ კიდევ გამოჩნდა მისი დიდბუნოვნება და კეთილკაცობა. მაშინ (1947 წელს) ლეოს ჩემთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს ამის თა-

ობაზე და აი, ახლა 7 წლის შემდეგ, როცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყანაზე, სწორედ ამ მოგზაურობისას მკითხა:

— ვთქვათ მწერლის რჩეული გამოვიდა, ხომ უნდა შევიტანოთ ყველა ის დამახასიათებელი ნაწარმოები, რომელიც მწერლის შემოქმედებითი გზაზე სრულ წარმოდგენას მოგვცემს?

მივხვდი რაზედაც მიანიშნებდა ბატონი ლეო, მაგრამ მე რომ თავის მართლებას არ შევდგომოდი, თუმცა ჩვენი ურთიერთობა ასეთ თავის მართლებას არ მოითხოვდა, პირდაპირ ვუპასუხე — რასაკვირველია-მეთქი...

ბატონმა ლეომ ყველაზე კარგად იცოდა თავისი ადგილი და ფასი ქართულ მწერლობაში და მაინც ერთგვარი გაორება ეტყობოდა მის სულს და აი, ახლაც, ამ საუბრისას პენსნე მოიხსნა, თვალეები მისებურად მოჭუტა და ისე მომაჩერდა: „ჰოდა, გახსოვს იმ შენს წერილში „ესკალადედან“ მოტანილ პასაჟს თავს რომ ესხმოდი? — ეს ადგილი თავად თქვა ზეპირად: „ხა, ხა, ხა, მეგობარო არ გეცინება? როგორ მოგწონს ჩემი იდეა? არ გაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია განა ასე ტყუილად არ იბრძვის კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეას, რომელიც ბოლოსდაბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ნიღაბი და წითელ-ყვითელი მოსასხამი?“

ისევ დაუინებით დამაცქერდა და ყრუდ განმარტა:

— „მგონია მე ხშირად ვაჭარბებდი და ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში ვვარდებოდი. თუ ამ ნოველაში კაცობრიობის ბრძოლა ნიღაბს შევადარე, სხვა ნაწარმოებში მეტიმეტად ვარდისფრად დავხატე ეს სინამდვილე. ექვი ჩემს სულს განსაკუთრებით მაშინ დაეუფლა, როცა რომანს „სისხლს“ ვწერდი. არა?“

და ისევ მოჭუტა თვალეები.

— თქვენ, კრიტიკოსები მაკრიტიკებთ იმის გამო, რომ „სისხლში“ მთავარ გმირად გამოვიყვანე ისეთი მერყევი და გაორებული პიროვნება, როგორიც არჩილ დადიანი; ის ვერ გამოვხატე ისეთ რევოლუციონერად, როგორც, ვთქვათ ტარიელ გოლუაა. ჯერ ერთი, არჩილი ინტელექტის კაცია, ტარიელი, მართალია გონიერი, მაგრამ მაინც გლეხია, ბრძენი

გლები, რომელმაც ფანტიკურად იწამა ერთხელ არჩეული გზა. არჩილი წიგნიერი, ნაკითხი, ყოველმხრივ ინტელიგენტია, ეკვის თვალთა აფასებს მის მიერ არჩეულ გზას, და ამაში არაფერს ვხედავ საძრახისს. ასეთი ინტელიგენტ-რევიზიონისტები იყვნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომლებიც, ბოლოსდაბოლოს, მერყეობის, იკვის აწონ-დაწონის შემდეგ, კვლავ უბრუნდებოდნენ რევოლუციის საქმეს და სიკვდილამდე ერთგულად ემსახურებოდნენ სოციალიზმის იდეალს. ამგვარი ადამიანები ნამდვილად არსებობდნენ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში და სინამდვილით დაკმატებული ასეთების კრებადი ხასიათი. არც მეტი და არც ნაკლები. საქართველოში, განსაკუთრებით ილიას მკვლელობას, მოჰყვა ეს განხეთქილება და იკვი, დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. გაღიზიანებული ვიყავი ს. დ. ეროვნული ნიღილიზმით, მე უფრო ჭოლას ვემხრობოდი. ახლა ამაზე კამათს ნუ გავმართავთ.

მე მაინც არ მოვეშვი და ვკითხე:

— ზოგი კრიტიკოსი ფიქრობს, არჩილ დადიშინი ავტორსა ჰგავსო?

უცბად მომიპრა:

— შეიძლება ჰგავს კიდევ, მერე და ვინ თქვა, რომ ავტორი თავის მრწამსს და შეხედულებას თავისივე დადებით გმირებს არ უნაწილებდეს? მე ჩემი ცხოვრების ბევრი შტრიხი ვუწილადე ჩემს მთავარ გმირებს: ტარიელი იქნება ის თუ ბათუ ქარდუა, არჩილ დადიშინი თუ გერა ბიგვა. მათი მრწამსი და რწმენა ჩემი სულის მონაწურია და, მაინც ცალკე აღებული ეს გმირები ავტობიოგრაფიული არ არის. ერთია ავტობიოგრაფიული შტრიხების გამოყენება ამა თუ იმ პორტრეტის დახატვისათვის, მეორეა — ავტობიოგრაფიული რომანი; გამოვტყდები და ვიტყვი, რომ ავტობიოგრაფიული შტრიხი ყველაზე უხვად არჩილ დადიშინის ხასიათის გამოსახვას მივაშველე. ისე კი, მოგეხსენებათ, რომ არჩილი დიდგვაროვანი თავადიშვილი, მე კი, ღარიბი აზნაურიშვილი და, ალბათ, ისიც მოგეხსენებათ, რომ რევოლუცია სწორედ აზნაურიშვილებისა და მღვდლისშვილების მონაწილეობით მოხდა. კრიტიკოსებმა ესეც მიიღეთ მხედველობაში, როცა არჩილისა და ჩემს ანალოგიას ეძებთ.

ესა თქვა და ირონიული ღიმილი მომაფრქვია.



არჩილისეულმა დაეკვებამ ყველაზე მწვავედ თავი იჩინა იმ სიტყვაში, რომელიც ბატონმა ლეომ 1956 წელს წარმოთქვა მწერალთა კავშირში პიროვნების კულტის გამო. ლეო უაღრესად პატიოსანი კაცი იყო, როგორც მოქალაქე და როგორც მწერალი, და ოდნავ სიყალბეს საკუთარ თავსაც არ აპატიებდა. და აი, საკუთარ თავს შეუტია საოცრად აღგზნებულმა. ეს კრიტიკა შეეხებოდა იმ უზომო, გადაჭარბებულ პანიგირიკას, რომელიც ეძღვნებოდა მარტო ერთი „პიროვნების კულტს“ კი არა, არამედ „პიროვნებების კულტს“ რომან „მთის კაცში“...

ეს საუბარი კი მანამდის შედგა, 1954 წელს, მოსკოვში ერთად მოგზაურობისას. ბატონი ლეო ამბობდა:

— ბათუ ქარღუა ჩემი სულის და ხორცის მონაწურია. მე ძლიერ შევეცადე „მთის კაცში“ ჩვენი ხალხის გმირობაცა და აუარებელი მსხვერპლით გამოწვეული სულის წუხილიც გამომეხატა. მსხვერპლის შეწირვით დავიწყე და მსხვერპლის შეწირვითვე დავამთავრე: ტარიელის შვილი რევოლუციის ქარბორიას შეეწირა, ბათუ ქარდავას შვილი ომის მსხვერპლი გახდა. ჩემი შვილის, ოთარის ომში დაღუპვამ გამტეხა მე სულიერადაც და ფიზიკურადაც. ჩემი ბედი ტარიელ გოლუასთან წილნაყარი გამოდგა, ოღონდ ტარიელი უფრო ყოჩაღი აღმოჩნდა. მე კი მოსვენება დამიკარგა შვილის დაღუპვამ, მის აჩრდილს ვერსად დავემაღლე, ვიდრე ამ რომანის წერას არ შევუდგე. ძალიან, ძალიან მოვიწინდომე, მაგრამ მთლად ვერ გამომივიდა რაც მინდოდა, მინდოდა კი ძეგლი ამეგო ომის გმირებისათვის, ძეგლი ამეგო ომში დაღუპული ჩემი ოთარისათვის, — აქ ცრემლები მოერია, პენსნე მოიხსნა, ცხვირსახოცით ცრემლით დანამული თვალები შეიმშრალა და შეუსვენებლივ განაგრძო, — მივხვდი, რომ ოთარის მოკბილეს, ჯოტოს ისე ვერ დავხატავდი, როგორც ეს მამის გულს ეწადა, ამიტომ ის მე, არსებითად არ შემომიყვანია რომანში. „მთის კაცზე“ უფრო „მამა და შვილი“ გამოვიდა, ამასაც თავისი ახსნა აქვს. ეს პატარა მოთხრობა მაშინ დავეწერე, როცა ჩემი შვილი ახლად გაწვეული იყო ფრონტზე და მტერს ებრძოდა სევასტოპოლის მისადგომებთან. და, მე იმედით მოველოდი მის დაბრუნებას. თითქოს მის წასაქვზებლად ვწერდი

ამ პატარა მოთხრობას. მალთაყვა, ომში წასული შვილის მამა, მონუმენტური დავხატე, ერთი ხელის მოსმით, რომ ყველას ერწმუნა — „მრავალჭირგამოვლილ მალთაყვას ეამაყებოდა, რომ მისმა გაზრდილმა შვილმა მამა-პაპათა სახელი არ შეარცხვინა“... „მთის კაცი“ მერე დაეწერე, იმ საბედისწერო დღეების შემდეგ... როგორც გითხარი, ბევრი დრო და ენერჯია მოვანდომე. ხელიც შემიწყვეს, გაზ. „კომუნისტში“ დამიბეჭდეს მთელი რომანი, როგორც იტყვიან წერტილიდან წერტილამდე. ასე მგონია, მაინც არ მიყვო მხატვრული ენერჯია შვილის დაღუპვით ჯანით და სულით გატეხილს...

მატარებელი მოსკოვს უახლოვდებოდა, როცა საუბრის დასაწყისში თავისივე ნათქვამი გაიხსენა:

— ახლა მივუბრუნდეთ თქვენი კითხვის პასუხს, თუ რატომ მიყვარს ჩემს რომანებში გამორჩეულად „გვადი ბიგვა“? ადამიანი რთული ფენომენია. თუ ღრმად ჩავხედავთ მის სულში, იქ ბევრ ისეთ რამეს აღმოვაჩინებ, რაც ერთი თვალის შეხედვით ძნელია დაინახო. ცხოვრებაში არ არსებობს აბსოლუტურად უარყოფითი და ასევე აბსოლუტურად უხინჯო ადამიანი. ოღონდ მწერალს უფლება აქვს დადებითი ადამიანი სრულყოფილი დადებითი თვისებებით დახატოს, იდეალურ გმირად გამოსახოს. მე ამგვარ იდეალურ გმირებად გამოვძქარწე ტარიელი, ბათუ, მარიამი... მაგრამ დავხატე უარყოფითი გმირებიც. ვთვლიდი და ვთვლი, რომ მწერალი ვალდებულია ეძიოს და აღმოაჩინოს ამგვარი ადამიანების სულის ფარულ შრეებში ადამიანური, დადებითი... რაკი ის ადამიანია, არ შეიძლება რაიმე ადამიანური, კეთილი საწყისი არ ღვიოდეს მის სულში. ასე მოვექეცი მე კერძოდ ისეთ ბანდიტსა და თავზნებულადებულ კაცს, როგორც გაიოზ გადაღენდიია.

გვადი! გვადი განსაკუთრებული მოვლენაა და მეც განსაკუთრებულად, გამორჩეული სიყვარულით გამოვხატე იგი. სიღარიბემ და ხელმოკლეობამ, ნაწილობრივ ავადმყოფობამ დაჩაგრა იგი, ეს ხალისიანი და იუმორით ყელამდე სავსე კაცი. გვადი ხალასი იუმორითა და მისებური ცულლუტობითაც მიყვარს. მე სწორედ ამ მხარეს ჩავკიდე ხელი. ვისაც იუმორის გრძნობა ბუნებისაგან აქვს ბოძებული, ის არ შეიძლება შინაგანად ბოროტი იყოს. გვადი მე იუმორის დიდი ნიჭით

დავაჯილდოვე, მისი მხატვრული სასე რომანში იუმორის ნიღბებით დავასახლე, გვადი ხალისიანი იუმორისა და ნიღბების ოსტატია. თუ გაიმარჯვა ამ რომანმა, სწორედ ამ იუმორის წყალობით. ეს მოქილიყე, იოლი გზის ცხოვრების მოტრფილად, მოხერხებით, ბარაქიანი სიტყვით, „ენის თამაშით“, სულით მონათესავეა ხალხური ნაცარქექიასი. მას დევებთან მებრძოლი ხალხური ნაცარქექიას ქუდი დავახურე და დავხატე როგორც ქართული, ხალხური ხასიათი. გვადის ხასიათში ხალხური კეთილი იმპულსები აღმოვაჩინე და მისი ცხოვრებისაგან დასახიჩრებული სულის მკურნალად ეს შინაგანი იმპულსები კეთილ საწყისებად გამოვიყენე (შვილებისადმი უზომო სიყვარული, თავის გამოჩენის სურვილი, ნაცარქექიასეული მოხერხება და ეშმაკობა...). კეთილმა საწყისებმა, რომელიც მე ამ ხალხურ ხასიათში აღმოვაჩინე შეაძლებინა მას სიბნელიდან ერთბაშად სინათლეში გადასულიყო. ორი საწყისის, ბოროტისა და კეთილის ბრძოლაში — ხასიათის ეს შემობრუნება რომ მეჩვენებია, რაიმე განსაკუთრებული უნდა ჩაედინა და აი, მან მოკლა არჩილ ფორია, ის, ვინც ბოროტებისკენ ეწეოდა მისი სულის ნათელ სწრაფვას. მე ის სიმბოლურად გამოვხატე რომანის ბოლო ფრაზაში, რომელსაც დიდი იდეური და მხატვრული დატვირთვა დავაკისრე: სიბნელეში მოჰკლა სიბნელისა და ბოროტების მთესველი არჩილ ფორია. ამ მკვლელობაში დაათენდა გვადის და ამას მოსდევს წინადადება: „ცის კიდურს განთიადისას პირველი სხივი მოსწყდა, ბინდი გაირღვა და გვადის წინ მიწას განერთხო“. დიახ, ბოროტების ღამე გამოარღვია გვადიმ და განთიადს, მზეს შეუერთდა. ამიერიდან, გუშინდელი ფიზიკურად და სულიერად დასახიჩრებული კაცის სულში მზე ჩადგა, მისი ცხოვრების განთიადი დაიწყო.

— მართალია, მშვენიერი მიგნებაა, — ისევ ჩავერიე საუბარში, — სწორედ ასეთნაირად, სულიერად და ხორციელად გაწმენდილ და ამალღებულ გვადის შეეძლო ეთქვა „სისხლი!, სისხლიანი ვარ მარიამ... ჩემს ბავშვებს მიმიხედე! მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ მარიამ“...

ჩვენი დიალოგი თბილის-მოსკოვის საერთაშორისო ვაგონის ერთ კუბეში სხვა მხრივაც იყო საინტერესო, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

ბატონი ლეო უანგარო საზოგადო მოღვაწე იყო. მე არ მახსოვს, მას რომელიმე სხდომა პრეზიდიუმისა, სექციებისა თუ კომისიებისა როდისმე გამოეტოვებინოს. აქტიურად მონაწილეობდა მთელს მწერალთა კავშირის მუშაობაში. არასოდეს შევესწრებოვარ ვინმეს გაეჯავრებინოს იგი, გარდა ერთი შემთხვევისა. ეს მოხდა პრეზიდიუმის იმ სხდომაზე, სადაც მაქსიმ გორკის საიუბილეო მზადების საკითხი იხილებოდა. საიუბილეო სხდომაზე ერთი კრიტიკოსი ადგა და ვრცლად ილაპარაკა მაქსიმ გორკის გავლენაზე ქართულ მწერლობაზე და განაცხადა; მე მგონია, ბატონი ლეო დამეთანხმებდა, რომ მისი „ტარიელ გოლუა“ არ დაიწერებოდა თუ არა გორკის „დედა“. ლეო სასტიკად გაჯავრდა.

— რას ჩამაცივდით, რა გინდათ ჩემგან?... ბატონო ვინ უარყოფს გორკის საერთო გავლენასა და დიდ ავტორიტეტს. მე სიყვარულით ვთარგმნე მისი „არტამანოვების საქმე“, კრიტიკული წერილიც მივუძღვენი გორკის ზსოვნას. ყველანი ალტაცებულნი ვიყავით მისი ფსკერის მემამბოხეებით, მაგრამ თუ დამიჯერებთ, ჩემდა სამარცხვინოდ, მე მაშინ, როდესაც „ტარიელ გოლუას“ ვწერდი, გორკის „დედა“ ჯერ კიდევ წაკითხული არ მქონდა. „ტარიელ გოლუა“, გარკვეული თვალსაზრისით, ჩემი ცხოვრების ბიოგრაფიაა, მე თავად ვიყავი მონაწილე 1905 წლის აჯანყებული დასავლეთ საქართველოს სოფლებისა, რომლის ერთი მეთაური ტარიელ გოლუა იყო. რაც თვალთ ვნახე და გულით განვიცადე, ის აღვწერე ჩემს „ტარიელ გოლუაში“. არც მეტი და არც ნაკლები. დიახ, მასეა ეს...

აქ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღიწინოს: როცა გორკის კეთილისმყოფელ გავლენაზე ვლაპარაკობთ — ეს როდი უნდა გავიგოთ გამარტივებულად და გაუბრალოებულად, როდი უნდა დავეწყოთ ძებნა პერსონაჟებისა თუ მხატვრული პასაჟების უშუალო პარალელებს. არა, ეს გავლენა მოჩანს XX საუკუნის ლიტერატურათა საერთო ხასიათსა და თვისებაში: ჩვენ რომ შევადაროთ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ გორკის „დედას“ ან სხვა რომელიმე ნაწარმოებს და, აქ პირდაპირი პარალელების ძებნა დავიწყოთ, ეს ამაო საქმე იქნება,

„ტარიელ გოლუა“, როგორც მხატვრული ნაწარმოები განმსჭვალულია თავისი ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეებით, რევოლუციური მოძრაობის იდეებით, ისე როგორც გორკის „დედა“. აი რა აკავშირებთ მათ ერთიმეორესთან: სხვა მხრივ კი ტარიელ გოლუა სრულიად ეროვნული ხასიათია, აღმოცენებული ქართულ ნიადაგზე, ისევე როგორც რუსული ეროვნული ხასიათია ნილოვნა ან მისი შვილი პავლე ვლასოვი, მთავარი გმირები გორკის „დედისა“. რასაკვირველია, ბატონი ლეო მართალი იყო მოკამათებთან დავაში და ბუნებრივად, ასე რომ აღშფოთდა...

უზომოდ გაჭავრებული ადგა და პრეზიდენტის სხდომა დატოვა. იროდიონ ქავთარაძე უკან გამოეკიდა, დაუყვავა, მოეფერა, პრეზიდენტის სხდომას დაბრუნებოდა, მაგრამ არავითარმა მუდარამ არ გასჭრა.



შემოდგომის პირველი თვე იყო რუსთაველის პროსპექტზე უკანასკნელად რომ ვნახე ტიციან ტაბიძე. იგი ლალიძის წყლების წინ იდგა „ბურთივით მრგვალი“ ღია ცისფერთვალეზა, ვილაცას პოეტური ძლეღვარებით ედავებოდა. პიჯაკზე წითელი მიხაკი ჰქონდა მიბნეული. იგი არავის უნახავს ქუჩაში გავლილი, საზოგადო შეკრებებზე თუ მწერალთა კავშირის ტრიბუნაზე შემდგარი ამ წითელი მიხაკის გარეშე. ასე მგონია, სიმბოლიზმის ქართული ემბლემა იყო წითელი მიხაკი ან როგორც თვითონ ამბობს, სიმბოლიზმი „განელებული ქართული სულით“. „ცისფერყანწების“ საპროგრამო წერილში ტიციან ტაბიძე წერდა: „ცისფერი“ ფერია რომანტიზმის, მისი ემბლემა, ნოვალისმა გამოიტირა მისტიკა ცისფერი ყვავილის. ეს ყვავილი ატირებაა არჩეული სულის შორეულ ნათელ ქვეყანაზე. საქართველოში ცისფერ ყვავილს ღერო წითელი ჰქონდა. ქართველებისათვის ცა და მიწა სამუდამოდ არასოდეს არ გაყრილან.. ჩვენ სული — უსხეულოდ ვერ წარმოგვედგინა და სხეული კიდევ უსულოდ“ („ცისფერი ყანწები“, № 2, 1916 წ.) დიახ, ძირი ტიციან ტაბიძის პოეზიისა ქართულ მიწაზე იდგა. მაგრამ ეს ქართული პატრიოტიზმი არ უშლიდა

ხელს ყოფილიყო თანმიმდევარი მებრძოლი ქართული სიმბო-  
ლიზმისა.

ქართველ სიმბოლისტებს — ცისფერყანწელებს — სამი ფა-  
ლავანი ყავდა: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ვალერიან  
გაფრინდაშვილი. ამ სამებაში პირველობა პაოლო იაშვილს  
ეკუთვნოდა. ხოლო ლიტერატურული კორპორაციის მოძღვარ-  
თმოდღვარი გრიგოლ რობაქიძე იყო. თავად გრიგოლ რობა-  
ქიძე თავისთავს ცისფერყანწელების ორდენის წევრად არ  
თვლიდა. ამათგან გრიგოლ რობაქიძის სიტყვა ერთხელ მოვის-  
მინე, 1930 წელს რუსთაველის თეატრში გამართულ ამიერ-  
კავკასიის მწერალთა მიტინგზე, რომელმაც ჩემზე წარუშლე-  
ლი შთაბეჭდილება მოახდინა...

ტიციან ტაბიძისაგან კი ყველაზე უფრო, 1936 წელს სა-  
ქართველოს მწერალთა სასახლეში, კონსტანტინე გამსახურ-  
დიას „მთვარის მოტაცების“ საჯარო განხილვაზე წარმოთქმუ-  
ლი სიტყვა დამამახსოვრდა. მაშინ მე თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი ვიყავი. მწერალთა  
კავშირის მაშინდელი დისკუსიების ყველაზე მრავალრიცხო-  
ვანი მსმენელები სწორედ სტუდენტობა იყო. კონსტანტინე  
გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ კი დაბეჭდვისთანავე ერ-  
თბაშად ჩვენი საყვარელი რომანი გახდა...

ტრიბუნაზე იდგა ჩაფსკენილი კაცი კათოლიკე მოძღვარი-  
ვით მომრგვალებული თმებით, კოსტუმზე წითელ მიხაკმიბ-  
ნეული, ფართოდ გახელილი თვალებით აუდიტორიას მისჩე-  
რებოდა. სქელი, მომრგვალებული ტუჩებით გულის სიღრმი-  
დან წარმოსთქვამდა აფორისტულ ხატებით დამუხტულ სი-  
ტყვას: „აქ განაცხადეს, თითქოს ქართულ მხატვრულ პრო-  
ზას ნაკლებ ტრადიცია ჰქონდეს. ეს არ არის მართალი. ქარ-  
თული პროზა მოდის გიორგი მერჩულედან. „გრიგოლ ხანძ-  
თელის“ ცხოვრება მხატვრული სიტყვის იშვიათი ნიმუშია.  
ქართული მატრიანის „ქართლის ცხოვრებას“ მრავალი მაღალხა-  
რისხოვანი მხატვრული ნაწარმოები ვერ გაუსწორებს მხარს.  
იქ ჩვენი ქვეყნის სამხედრო თავგადასავალი ისე მხატვრულად  
არის აღწერილი, რომ ასეთ აღწერას ვერ შევხვდებით ბევრი  
დიდ მხატვრულ ნაწარმოებში. სულხან-საბა ორბელიანის დახ-  
ვეწილი სტილი დღეს საყოველთაოდ ცნობილია. ქართული  
მხატვრული პროზის შედეგია აგრეთვე მე-18 საუკუნის ძეგ-

ლი „კალმასობა“, რომელიც თამამად შეიძლება შევედაროთ რაბლეს უკვდავ ნაწარმოებებს. მე-19 საუკუნეში ქართული პროზა აცდა ამ ბრწყინვალე ტრადიციას. მართალია გასულ საუკუნეში ჩვენმა მწერლობამ შექმნა სოციალურად გამახვალელებული ლიტერატურა, თავის დროზე მას ჰქონდა დიდი გასავალი, მაგრამ დღეს წარმოუდგენელია მხატვრული ნაწარმოებები იწერებოდეს ისე, როგორც სწერდნენ ჩინებულ მოქართულე მწერლები ნიკო ლომოური და სოფრომ მგალობლიშვილი. მას შემდეგ ჩვენი ქართული პროზა ძალიან წინ წავიდა და დიდ მანძილზე ჩამოიტოვა იგი. ქართულ მხატვრულ პროზასა და ცხოვრების განვითარებაში დისპროპორცია წარმოიშვა.

რევოლუციამდე ჩვენში დიდი დავა და კამათი იყო იმიტნ გარშემო, შეიძლება თუ არა დაიწეროს ქართული რომანი. დღეს ეს დავა გადაწყვეტილია. ჩვენ უკვე გვაქვს არა ერთი და ორი ქართული რომანი. ეს არის ჩვენი ცხოვრების განვითარების, ჩვენი წინსვლის შედეგი. მაგრამ ის, რაც აქამდე იყო, დამაკმაყოფილებელი არ არის. ჩვენ გვაქვს მრავალი საშეცნიერო დაწესებულება, უნივერსიტეტი, გვყავს პროფესორები, ინჟინრები, რომლებიც ამდიდრებენ ჩვენს ქვეყანას გამოკვლევებით, მაგრამ ამ ხალხს, რომელიც შინაარსს აძლევს და მრავალფეროვნებას ჩვენს ცხოვრებას, ვერ ნახავთ ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში. მხატვრულ ნაწარმოებში მოცემულ უნდა იქნეს ჩვენი ცხოვრების ეს მრავალფეროვნება. ყოველ რომანში აზროვნება უნდა ჩანდეს, იდეები უნდა იყოს, რომანს კონცეპცია უნდა ჰქონდეს. კონსტანტინე გამსახურდიას რომანი სწორედ მით არის აღსანიშნავი, რომ მასში არის ცდა, ჩვენი ცხოვრების მრავალფეროვანი მასალა აყვანილ იქნა ერთგვარ ფილოსოფიურ სისტემაზე. ეს ადვილი საქმე არ არის, რთულ აზროვნებას მოითხოვს, მეცნიერულ-ფილოსოფიურ ცნებების შემოტანას მწერლობაში. ბევრი ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერი, რომელიც ქართული ენის ჩინებულის მცოდნეა, ხშირად ვერ ახერხებს ქართული ცნებებით აზროვნებას. არაიშვიათად მათ ნაწარმოებებს აზის რუსიციზმის დაღი. კონსტანტინე გამსახურდიას კი ეხერხება ილაპარაკოს და იაზროვნოს ქართული ცნებებით. მას ნაკლებად აქვს რუსიციზმი. ეს უნდა ჩაითვალოს მის დიდ გამარჯვებად. მე

არ ვამართლებ მის ყველა არქაიზმს, მაგრამ საერთოდ იგი არ უხვევს ქართული ენის ბუნებას და ისე მოხერხებულად იმარჯვებს მას, რომ იწვევს მკითხველის აღტაცებას.“

ამ დისკუსიაზე ასეთი მაღალი შეფასება მისცა ტიციან ტაბიძემ „მთვარის მოტაცებას“. ეს მაშინ, როდესაც დისკუსიის მონაწილე რამდენიმე ორატორმა (კარლო მელაძე, დავით დემეტრაძე და სხვ.) „იდეურად გაუმართავ რომანად“ გამოაცხადეს „მთვარის მოტაცება“. აქ დამსწრე საზოგადოებამ იცოდა, რომ ადრე, „ცისფერყანწილებსა“ და „ილიონელებს“ (კონსტანტინე გამსახურდიას ჯგუფი) მძაფრი უთანხმოება ჰქონდათ, მკაცრად და დაუნდობლად წკეპლავდნენ ერთმანეთს, მით უმეტეს, ამიტომაც განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ტიციან ტაბიძის გამოსვლას. ტიციანი ლიტერატურული მრწამსის დაცვაში შეუვალი და უდრეკი იყო. თვით ლიტერატურული ატმოსფერო კი ოციან წლებზე უფრო დაიძაბა 1936 წლიდან და ამ განუკითხაობის წლების ტრაგიკული მსხვერპლი გახდა ღვთიურ პოეტად დაბადებული ტიციან ტაბიძე. მე მას, როგორც სტუდენტი და მკითხველი ისე ვიცნობდი. ამიტომ მის ცხოვრების ქრონიკას გამოვიყენებ, რომ აღვადგინო ტიციან ტაბიძის ლიტერატურული პორტრეტი.



მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულის ნიჟიერი ლიტერატურული ახალგაზრდობა მოდერნიზმის გზას დაადგა (ნიკოლორთქიფანიძე, ალექსანდრე აბაშელი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია...) დაიწყო დაუცხრომელი ძიება ახალი მხატვრული ფორმებისა. ილიას, აკაკისა და ვაჟას შემდეგ ქართულ პოეზიის დაქვეითებას, ენობრივ ნატურალიზმს და ეპიგონობას დაუპირისპირდნენ და შემოიტანეს ახალი საზომები: სონეტი, ტრიოლეტი, ტრიპტიქი, მინიატურა. ეს ვერსიფიკატორული ძიებანი დასრულდა ახალი მიმართულების სიმბოლისტური სკოლის, „ცისფერყანწების“ შექმნით (1915 წ.). ეპიგონების წინააღმდეგ ფორმისათვის ძიების სურვილმა ამ სკოლის მიერ 1916 წელს გამოცემულ ჟურნალ „ცისფერყანწიბში“ გააერთიანა: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალექსანდრე ცირეკიძე, ნიკოლოზ



წადირაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ივ. ყიფიანი, გრიგოლი და ლელი ჭაფარიძეები, არისტო ჭუმბაძე, აკაკი ფალავა. „ცისფერყანწელები“ გამოვიდნენ ჩამოყალიბებული სიმბოლისტური მანიფესტით და პროგრამით: პაოლო იაშვილის „პირველი თქმა“ და ტიცუან ტაბიძის „ცისფერ ყანწებით“. ორივე ეს საპროგრამო მანიფესტი ბრძოლას უცხადებდა ენობრივ ნატურალიზმს, ეპიგონობას, „ლიტერატურულ შაბლონს“ და თვით ქართული რეალიზმის ბურჯებს: ილიასა და აკაკის. ამას ასეთ ახსნას აძლევდა ტიცუან ტაბიძე: „ყოველი ახალი ძალა და მიმართულება ხელოვნებაში გამოდის კადნიერებით... კადნიერი და შეუპოვარი იყო რომანტიზმი, ნატურალიზმი, სიმბოლიზმი, ფუტურისმი... არ შეიძლება ახალი საქმის გაკეთება თუ ძველს არ ეთქვა უარი. ასე იბრძვის ყოველი ახალი სკოლა, რომელიც შემდეგ აკეთებს კომპრომისებს, რადგან მთლიანი უარყოფა ძველისა შეიძლება მხოლოდ მანიფესტით, ისე კი, რაც არის ძველში კეთილშობილი და გამძლე, ატავისტურად გადაეცემა ახალ ცოცხალ ორგანოს. ვიმეორებ ძველის დანგრევა და უარყოფა არ არის დანაშაული, ნუ ვიქნებით კარჩაკეტილები: მსოფლიო რადიუსით გაიმართოს ხაზი ქართული ხელოვნებისა“.

„ცისფერყანწელებს“ 1917 წელს ჩამოცილდნენ გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი... სამაგიეროდ 1918 წელს ამ ჯგუფს შეუერთდა შალვა აფხაიძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი (გოგიაშვილი), სერგო კლდიაშვილი, ლილი მეუნარგია, ნიკოლოზ მიწიშვილი (სირბილაძე), რაჟდენ გვეტაძე, ინჩე-ყანი (იოველ ჟორდანიას), ალ. არსენიშვილი, გიორგი ლეონიძე, ლადო გუდიაშვილი, დია ჩიანელი (ჩხეიძე). ქართველმა სიმბოლისტებმა, რომლის მთავარი ფალავნები იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიცუან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი ფრანგი და რუსი სიმბოლისტების სტანდარტების მიხედვით შექმნეს ახალი ტიპის მწერლობა, სიმბოლიზმის ორდენით: „სიმბოლიზმი ჩვენში რომ უცხოეთიდან მოდის, ამაში არაფერი საფრთხე არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიულ დროში საქართველო იმყოფებოდა ბევრი სხვადასხვა კულტურის გავლენის ქვეშ. ბევრი გადმოუღია იმას ბერძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურისა. ბევრი იმათთვისაც გაუტანებია. ამას არაფერი დაუშლია რუსთაველისათვის შეექმნა „ვეფხისტყაოსა“

ნი“, რომელშიაც უაღრესად არის გამოჩენილი ქართული სული. უკანასკნელ დროს ჩვენში დამკვიდრდა ერთგვარი ცვლადი ლიტერატურულ სკოლათა იმ გეგმით, როგორც ევროპაში. აქ იდეები სამუდამო ცვლაშია, როცა ხალხი იღებს სხვისაგან რამეს, იმას თავის ბრძმედში ატარებს, ნაციონალური ოპერაციების ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვს. სიმბოლიზმს ამ შემთხვევაში ბევრი რამ შეუძლია მოუტანოს ქართველ ერს“ (ქ. „ცისფერი ყანწები“, № 1, 1916 წ.).

მართლაც და შეადარეთ ქართველი სიმბოლისტების მანიფესტები, თეორიული წერილები, ლექსები, მინიატურები, რუსულად თარგმნილი და გამოცემული ფრანგი სიმბოლისტების მანიფესტებს, თეორიულ წერილებს და ლექსებს და თქვენ აღმოაჩინებთ მათ შორის არა მარტო მსგავს პოზიციას, არამედ ზოგ შემთხვევაში პირდაპირ გადმოქართულებულია ფრანგი და რუსი სიმბოლისტების (ასევე იტალიელი და რუსი ფუტურისტების) მანიფესტებიდან აღებული პასაჟები. ევროპული სტანდარტების მიხედვით „პოეზია აყვანილი ეთნოგრაფიიდან და ეროვნული პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე, ამაგრებს ეროვნულ ხერხემალს და ამართლებს ერსაც. ეს არის თეზისი „ცისფერი ყანწლების“ (ტიციან ტაბიძე). ხოლო ცოტა უფრო გვიან ამ თეზისს ასე ავითარებს: „ცისფერი ყანწლები“ პირველი მემარცხენე სკოლა იყო და არის ქართულ მწერლობაში. რვა წელიწადია ეს სკოლა აწარმოებს თავის სასტიკ ბრძოლას ახალი გზების დაპყრობისათვის. ჩვენ დღესაც ვერავის დავუთმობთ პოეზიის ბოზიციებს, რადგან მწერლობაში ყველგან კარგად ვგრძნობთ ცხოვრების შეცვლას, ქვეყნიერების ახალ რიტმს და რევოლუციას. ჩვენი მთავარი მიზანი იყო ქართული კულტურის განმტკიცება, მისი გამოყვანა ეთნოგრაფიული საზღვრებიდან მსოფლიო კულტურისა და შემოქმედების ასპარეზზე. ქართული ხელოვნების ძველი არმია დღესაც განაგრძობს დამშვიდებულ ცხოვრებას, თითქოს ქვეყანაზე არაფერი შეცვლილა. ჩვენ კიდევ ერთხელ ვუცხადებთ ბრძოლას ყოველივე მოძველებულს, დაობებულს, ჩამორჩენილს“ („ბარიკადი“ № 7, 1924 წ.),

ქართველმა სიმბოლისტებმა სიმბოლიზმის გაქართულებით მოახდინეს სიმბოლიზმის გაათავისება. აქ შეხვდა ტიცთან ტაბიძე და გალაკტიონ ტაბიძე ერთმანეთს. „პოეზია უპირველესად ყოვლისა“ და „სამშობლო უპირველესად ყოვლისა“ (გ. ტაბიძე). თითქოს ტაბიძეების გვარს ვალად ემართა ორი ახალი ტიპის დიდი პოეტი მიეცა საქართველოსათვის. ორივესათვის პოეზია იყო ღმერთი, ღმერთს კი არ შეუქმნია ადამიანი, არამედ ადამიანებმა შექმნეს ღმერთი და ადამიანები გაჩენის დღიდან ევედრებოდა ღმერთს, მაგრამ საშველი არ დაადგა. ადამიანი ვერ მიწვდა ღმერთს. სიმბოლისტებმა, და ჭათ შორის ქართველმა სიმბოლისტებმა ღმერთის ტანტ'ხე პოეზია დასვეს და განაცხადეს, პოეზიამ უნდა იხსნასო ადამიანი. პოეზიამ უნდა იხსნასო საქართველო. ღმერთის თაყვანისცემა პოეზიის თაყვანისცემით უნდა შეიცვალოს.

ამ რწმენით შეაღეს ქართული პოეზიის კარი გვარტომობითა და სულით ნათესავმა პოეტებმა: გ. ტაბიძემ და ტ. ტაბიძემ:

ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპის ცალი,  
ერთად ლპებიან ჩვენი მამების კუბოს ფიცარი  
ორპირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ უმეურები  
და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემღურებით...  
გაუყოფელი დაჯვრეა ეზო, სახლი და კარი,  
რიონის ტალღად დაგვედევნა სიტყვა ანკარა.  
ერთია ჩვენი სამუდამო ხაშმის ემბაზი  
ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით...

ტიციან ტაბიძემ 1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში გალაკტიონს „მარტოობის ორდენის კავალერი“ უწოდა. ხოლო ორდესაც „ცისფერი ყანწების“ საპროგრამო წერილში შეაფასა „ძვირფასი სამება ჩვენი პოეზიის, — სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე“, განაცხადა: „გალაკტიონ ტაბიძე ახალგაზრდაა ამ სამებაში და ყველაზე მეტად ეტყობა სიმბოლიზმისაკენ გადახრა. „მე და ლამე“ გვიჩვენებს, რომ მისი სული უძიროდ ღრმაა, მგოსანიც შორს იყურება შიგ და გრძნობასაც დაკრავს საბედისწერო ელფერი. პირველი წიგნის ნერვების ტოკვაზე ეტყობა, რომ გაზრდის შხამიან ყვაველს სიმბოლიზმისას“.

ასეც მოხდა, ამის დასტური იყო გალაკტიონის მეორე წიგნი „არტისტული ყვავილები“, 1919 წელს გამოცემული.

აქ ისიც სათქმელია, რომ სიმბოლიზმის ერთნიშნისანი განმარტება არ არსებობს; ეს ტერმინი, როგორც მიმართულების აღმნიშვნელი, პირველად გვხვდება ჟან მორეასთან, მის მიერ გამოქვეყნებულ სიმბოლისტების მანიფესტში (1886 წელი), რომლის ძირითადი დებულებები შემდეგ ცისფერ ყანწელებმაც გაიმეორეს თავის მანიფესტში. სიმბოლიზმის ესთეტიკურ იდეურ შინაარსს განსაზღვრავს ის, რომ არსებობს ორი სამყარო. ერთი რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ ფიზიკურად და მეორედ — ირეალური, აბსოლუტური, რომელსაც პოეზიამ უნდა გვაზიაროს სიმბოლოების საშუალებით, სიმბოლოსი იმ მუდმივი აბსოლუტისა, რომელსაც საიქიო, ღმერთი, პოეზია აერთმნიშვნელიანებს. ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში ორიგინალურად შეერწყა ერთმანეთს ირეალური, მისტიციზმის, ბოჰემის, თვითმკვლელობის სიმბოლოები ეროვნულ, პატრიოტულ შენაკადებს. ამის ტიპური ილუსტრაციაა ლექსების ციკლი „ორპირზე“ და „ქალდეაზე“. იგი პირდაპირ დაესესხა დეკადენტი ფრანგი პოეტის ლოტრეამონის იმ წიგნს, სადაც პირველად ალაპარაკდა მალდარორი. თავის ესეისტურ სტატიასაც ასე უწოდა „ორპირის ოქროპირი მალდარორი“... — „აქვეს გამართლება—საქართველოში,—წერდა ტიციან ტაბიძე—მალდარორს, ამ ყვითელ გომბეშოს ატირებას... მე დავდიოდი რიონის ფშანებში, ატეხილ ფშანებში, რომელსაც იორდანე დავარქვი და რომლის კუნძულსაც ახალი პატმოსი, ჩემთან ერთად დადიოდნენ ლაფორგი, ტიუჩიევი, ბოდლერი და იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი გადაშენდა, სადაც მხოლოდ ერთი ბაჟაყების ორკესტრი დარჩა, მე ვფიქრობდი პოეზიაზე—რომ პოეზია ბოლოს, როგორც უკანასკნელ წყაროს, ამ ფშანს უნდა დაწაფებოდა... და იყო ეფემერული ჩვენება ციებით გასიებული ადამიანების, დავიწყებულ საყდრებს მელამურეები ესიენ და ამორძალები დასეოდნენ უზარმაზარ ბაჟაყებს ამ ფოსფორით აღულებამში, როგორც უკანასკნელი საყვირის ცემა ისმოდა მაღალი ხმა მალდარორის“. (ტ. ტაბიძე, „მეოცნებე ნიამორები“ № 7) ეხლა მოვიგონოთ ამ მოდელით შექმნილი ლექსები: „ცხენი ანგელოსით“: „აპოკალიპსის თეთრი იმედი. გზა შორეული ქიმერაა, ქალდეა, ჟღალი კავკაზი. საქართველოს ბედს მხოლოდ

ცხენით თუ დაეწევი. მორბიხარ თეთრი — მარტო იმედი ცხენი ანგელოსით. გზას შორეულს რა გაიარდა? ერს ამორჩეულს ჩამორჩებოდი რომ ცხენით არა... ჩვენ პოეტებიც, თუ ვართ დღემდე შენი ამარა, რა გაიარდა ამ ქაობებს? ყოველი დამე მატირებდა ქალდეას ზეცა. ქაობის სვეტად დასდგებოდა მალიარია. მე სამულდამოთ გავალმერთე ერთი არია. დაიმახსოვრებს ამ სიმღერას ჩემი სამშობლო. მე აქ ვიხილე პირველად ყრმამ ყრმა უკვდავი აპოკალიპსის თეთრი იმედი ცხენი ანგელოსით“... და ძველი ქალდეას კიდეც ერთი ქება: „ძველი ორპირი, დანგრეული სანაოები. ქალდეას ზეცა, ამართული, ვით ეშაფოტი, მონომანისთვის აღარ არის სხვა სათნოება, რომ დაჭრილ სულის გადითვალოს ყველა ნაფოტი, ბედის ვარსკვლავი ქალდეასთვის მართლა მკვდარია, რექვიემით ისმის ახლა ყველა არია. ძველია თემა: გიყი მღვდელი და მალარია“.

ქალდეასა და ორპირის სიმბოლისტური ლექსების ციკლში ქართული პეიზაჟია გამოყენებული. ქალდეა და ორპირი ორპლანია. ზეციური, ღვთიური და მიწიერი რეალური პეიზაჟით — ციების ბუდე ორპირის ფშანი და ქაობი. იგი რექვიემური განწყობილებისათვის გვამზადებს. სიმბოლისტების მსგავსად ტიციანი თვლიდა, რომ მიუღებელია ტენდენცია „სოციალური მქადაგებლისა, პოეზიის მარგებლიანობისა, უტილიტარისმისა“. რელიგიასა და მისტიკაში უნდა მოხდეს მეტი პარმონია ქართულ სულთან. იგი წუხნდა ყველაფერი წინ მის პოეზიის გარდა. „კითხვით თქვენს ნაცნობ პატიოსან პოეტს, თუ ის შინაურია, — ვინ უფრო აღელვებს: სტეფანე მალარმე, თუ დანიელა ურია?“ და დაასკვნის: „ორია რკალი: სატურნი და მალარია. სიყრმიდან ვისმენ განუწყვეტელ მე ერთ რექვიემს, ვარსკვლავად დასხდნენ ბაყაყები ქალდეას ზეცას“. ეს ქართული უქმურის, ციების პეიზაჟები შეერწყმის სიმბოლისტურ მისტიკას... ლორდი პიერო მოლუნულ კუზით, ლედი მაკბეტი პერანგგახდილი გადამთვრალ სტუმრებს მუხლებზე უზის. მოპყავთ არტური ავადმყოფ ჭინკებს, მოწყვეტილ ფეხით ჭიანურს უკრავს, თავისმკვლელები ავსებენ ჭიქებს და ულოცავენ ამაყ მოურავს“.

ტიპიური სიმბოლისტური ლექსია ტიციან ტაბიძის ქართული მიწით მოზედილი „ნინა მაყაშვილის“: „შენს წითელ კა-

ბას... ბალაგანის ჯვრის გარდამოხსნას, შენს ტუბერკულოზს და სინაზით ავადგამხდარ ხმას! ძველი სონეტის მხოლოდ დარჩა... ერთი ტერცინა, შაითან ბაზრის დაიხურა ყველა დუქანი. ამოდის მთვარე — თავისმკვლელთა ლეშით მსუქანი, ვანქის ტაძარში „Sabachtan“-ით შენ გაგეცინა.

მუხრანის ხიდზე დასახრჩობად კიდევ დავდგებით, საქართველოში ცხოვრება ხომ — თვითმკვლელობაა. ამიტომ გვიყვარს საქართველო ჩვენ თავდადებით, ამიტომ მოგვეწონს და შეგვინდობს ჩვენ ეს ობობა. ძველი ორდენი თავისმკვლელთა: ილო, ზენონი. ჩვენი ორდენი პოეტების შხამის ყანწებით. თავის მკვლელობის თავზე დაგვფრენს იგივე დემონი... შენს სიყვარულს წამებულებზე ლოცულობდეს ტანიტ ტაბიძე!“.

ეს სონეტი მისტიკური ხატებითაა დასახლებული. ფორმალიზმის, ფორმის პრიმატის აღიარებით, ფრანგ სიმბოლისტების მსგავსად, ქართველმა სიმბოლისტებმა შექმნეს საუკეთესო ნიმუშები ქართული სონეტების: „კოჭლი სონეტი“, „სონეტი უნაგირით“, „ელამი სონეტი“, „სონეტი პროზით“...

საერთოდ სიმბოლისტებმა ლექსის ახალი სტრუქტურა შექმნეს მისტიციზმისა და ესთეტიზმის სინთეზის ნიადაგზე. გამოაცხადეს პოეზიის თვითმიზნური თავისუფლება, ლექსი იდრის კონცეფციიდან თავისუფალი. მსოფლმხედველობიდან მათ მიიღეს შოპენჰაუერის ფორმულა: „სამყარო მხოლოდ ჩემი წარმოდგენაა, არის იმდენი განსხვავებული სამყარო, რამდენი მოაზროვნე ადამიანიცაა“. მეორეს მხრით ნიცშეს „ზარატუსტრას“, ზეკაცის იდეაც გაიზიარეს. ამის მიხედვით სიმბოლიზმის დოქტრინად იქცა მისტიციზმი. ლირიკის ენად გამოცხადდა მუსიკის ენა, იდეალური სამყაროს შეგრძნობა — სიმბოლოებით. სიმბოლისტებმა ლექსი გაანთავისუფლეს ლოგიკური მსჯელობისაგან. სიმბოლიზმი ნიღბების პოეზიად იქცა, და ბოლოს სიმბოლიზმი დაკავშირებულია ვერლიბრთან. ვერლიბრი სიმბოლისტებამდის იყო გამოყენებული, მაგრამ ვერლიბრის კლასიკური ნიმუშები ფრანგ სიმბოლისტებსა და, კერძოდ, არტურ რემბოს პოეზიაშია მოცემული. ქართველმა სიმბოლისტებმა სამყაროს აღქმის სიმბოლიზმის ფილოსოფიური და ესთეტიკური დოქტრინა გაიზიარეს. ოღონდ მას ეროვნულ ნიშან-თვისებანი მოუძებნეს. ამ მხრივ წინ წამოწიეს პატრიოტული ნაკადი. ამის გამო აცხადებდა ტიცინა

ტაბიძე, „არავის იმდენი არ უბრძოლია პოეზიის ემანსიპაციისათვის, არავის იმდენი არ უბრძოლია მაღალი პატრიოტიზმისათვის, რამდენიც „ყანწელებს“ („ბარიკადი“ № 1, 1923 წ.).

რასაკვირველია, ეს გადაჭარბებულია, მაგრამ მაინც ფიქტია, რომ ტიცუან ტაბიძისათვის ევროპული სიმბოლიზმი იყო ამოსავალი ქართული ლექსის ეროვნულ ბუნების გამდიდრებისა და ამალღების. ამიტომ, დააწყვილა მან სახელები ვერლენი და ბესიკი, რუსთაველი და მალარმე (იხ. „ცისფერი ყანწები“, № 2, 1916 წ.) მან სიმბოლისტური მისტიციზმი და ქართული ეროვნული სევდა თავისებურად მოარიგა ფორმისათვის ბრძოლაში : „გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში. ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავილებს. და რაც შემხვდება, შემაჩერებს შორეულ გზაში, ჩემს მწყობრ ლექსში დაისვენებს და დაიჩრდილებს“.

ხოლო საპროგრამო წერილში ამ აზრს ასე ავითარებს: „ბესიკისაგან პოლიტიკისა და პოეზიის სფეროთა გაყოფა, მით უფრო დასაფასებელია, რომ ის იყო კანცლერი იმერეთის მეფის სოლომონის და დაიღუპა დიპლომატიურ მისიის ასრულებს დროს ქ. იასაში... არ არის სხვა პოეტი, რომელსაც ისე გაეწმინდოს ლირიკული თემა, როგორც ბესიკს. მისი ლექსის კულტურა, მისი რითმის სიმდიდრე, ჭრელი ეპითეტი, ნაჩრდილთა ნიუანსების გამოხმობა, ენის მუსიკალური ენერჯის ჯადოქრობა, იმას აიყვანს ქართული სიმბოლიზმის მამამთავრად, როგორც ფრანგ სიმბოლისტებმა აიყვანეს რონსარი და რუსებმა თ. ტიუჩევი“ („ცისფერი ყანწი“, № 2, 1916).

ვაჟა-ფშაველას შესახებ წერდა: „ვაჟა-ფშაველა პანის ღვთაებრივი მკვრეტელი, ხვეის ნიაღვართ დასველებული მუხით, რომლისთვისაც ბუნება ემბაზიც იყო, საქორწინო საწოლიც და კუბოც... ვაჟა ხელუხლებელი ბუნებაა... ვაჟა-ფშაველა ეს სასწაული და სიმბოლიკა უკანასკნელი საუკუნის, ცეცხლოვანი ჩვენებაა საქართველოს მარადი სულის... მთაწმინდა ისე არავის ერგებოდა, როგორც ამ წმინდა მთას“ („ცისფერი ყანწები“). „ყველა ქართველში გამონაკლისს შეადგენს ნიკო ფიროსმანი, ამ შუადღის ლეგენდის ჯადოქარი ოსტატის, საქართველოს მზის კონგენიალი ორეულია ვაჟა-ფშაველა, რომელთანაც მას აქვს ანალოგია“ („ბახტრიონი“ № 8, 1922), და ასე, ტიცუან ტაბიძე ცისფერყანწელების (ქართული

სიმბოლიზმის) უშუალო წინაპრებად თვლიდა ჯერ რუსთაველსა და ბესიკს, მერმე ვაჟასა და ფიროსმანსაც: „ცისფერყანწელებით იწყება ძირიანად შეცვლა ქართული აზროვნების. დამონებული სული უბრუნდება თავის ძველ სულს და ინაკვეთება ქართული იდეა ძველი ქართული იდეით... მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე... ჩვენ ვიზამთ ამას. მაშინ იქნება ნამდვილი რენესანსი და ამ ეროვნულ აღორძინების სადღეგრძელოს სრულიად სერიოზულად ვსვამ „ცისფერი ყანწეებით“ (ტ. ტაბიძე, 1916). ბესიკის მთავარ დამსახურებას ხედავდნენ ფორმალიზმსა და „პოლიტიკისა“ და პოეზიის სფეროთა გაყოფაში. მაგრამ რა ვუყოთ ბესიკის „ასპინძისათვის და რუხის ბრძოლას“? — პატრიოტიზმის ჰიმნს, ისტორიულ ბრძოლას ქართველებისა თურქ დამპყრობლების წინააღმდეგ? საქმე იმაშია, რომ პატრიოტიზმი თვით ქართველი სიმბოლისტების ნიშანთვისებაა. მოვიგონოთ პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის ლექსები თურქების წინააღმდეგ ომში 1918, 1920 წ. და მათი მონაწილეობა ამ ომში ან გავიხსენოთ ყანწელების მანიფესტები; უარყოფდნენ რა ილიასა და აკაკის დამსახურებას ქართული პოეზიის წინაშე. „მათ მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაჯეთად. ამ დღიდან ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული... მეორე მხრით, აღიარებდნენ მათ „დიდ ეროვნულ დამსახურებას“.

უფრო ნათლად მათი ქართული პატრიოტიზმი გამოვლინდა გაზეთ „ბახტრიონში“ (1922—1923). დაწყებული სათაურით — „ბახტრიონი“ და გაგრძელებული პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის წერილებით, ყველგან ღვივის ქართული ეროვნული სული. სწორედ აქ გამოაცხადეს ვაჟა და ფიროსმანი „ეროვნულ გენიად“, ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების 15 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილებში კი — „ილია დიდი ეროვნული და საზოგადო მოღვაწეა“. მაგრამ ლიტერატურულად კვლავ რჩებოდნენ სიმბოლიზმის ერთგულებად და ისევ თავს ესხმოდნენ „ნაჯახით გამოჩორკნილი ლექსების“ გამოილიას, აკაკის და თვით ბარათაშვილს.

1921 წელს საბჭოთა საქართველოს მიესალმნენ ყანწელები, ისე როგორც რუსი სიმბოლისტები 1917 წლის რევოლუციას და ფრანგი სიმბოლისტები პარიზის კომუნას. მაგრამ



ეს ხელს არ უშლიდა მათ ლიტერატურაში კვლავ სიმბოლის-  
მის შეაბჯრედ დარჩენილიყვნენ. ქართველი სიმბოლისტები რე-  
ვოლუციას ეროვნულ მისიას ანიჭებდნენ. ტიციან ტაბიძე 1921  
წელს წერილში „რევოლუცია და პოეტები“ წერდა: „ქართვე-  
ლი პოეტები ასე ფიქრობენ, ეროვნული თავისუფლება დამო-  
კიდებულა სოციალურ განთავისუფლებაზე და რევოლუციის  
დაცვა ერის ეროვნების იდეის დაცვაა, რადგან შრომის გან-  
თავისუფლებასთან ერთად, განთავისუფლდება ერიც... რასა-  
კვირველია ეროვნულობა არ გამოირიცხავს რევოლუციონრო-  
ბას“. და „ცისფერყანწელებმა“ მიიღეს რევოლუცია, მაგრამ  
არა ერთბაშად. ეს გარდატეხა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნ-  
და, ვიდრე დეკლარაცია მიწასთან დაბრუნებისა (1925). 20-  
იან წლების ბოლომდის შერჩა ტიციან ტაბიძესა და „ცისფერ  
ყანწელების“ ორდენის წევრებს სიმბოლისტური თემის მოდე-  
ლები და ლექსის სტრუქტურა (მაგ. ტიციანის „შეხვედრა  
კოსტ. ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში“ (1927)  
„სკვითური ელეგია“ (1926) „სერგეი ესენინი (1926), მაგრამ  
განა თვით გალაკტიონ ტაბიძეს, რომელმაც ყველაზე ადრე მი-  
იღო რევოლუცია, არა აქვს მოდერნისტული ლექსები, მას  
შემდეგ, რაც 1917 წელს განაცხადა: „გათენდა, ცეცხლის მზე  
აენთო, აცურდა“... მის მომდევნო რევოლუციურ ლექსების  
„გემი დალანდი“ (1918), „ეს გრიგალია სიახლის“ (1921)...  
„ჩვენ პოეტები საქართველოსი“ (1923), „ჯონ რიდი“ (1924).  
სწორედ ამ წლებში მათ გვერდით იბეჭდება მისი მოდერნის-  
ტული ლექსებიც: „მას გახელილი დარჩა თვალები“ (1918),  
„მიცვალებულის ხსოვნას“ (1919) „ელეგია“ (1923)... ასე რომ  
ქართველ სიმბოლისტებს ხანგრძლივი ბრძოლა უხდებოდათ  
საკუთარ თავთან, ვიდრე ისინი სოციალისტური რეალიზმის  
გზას დაადგებოდნენ. ეს შეეხება კერძოდ ტიციან ტაბიძესაც.

ჩვენ ასე ვრცლად იმითომ შევჩერდით ტიციან ტაბიძისა  
და ცისფერ ყანწელების სიმბოლისტურ ლექსებზე, რომ გვე-  
ჩვენებინა, როგორ ძვალრბილში ჰქონდათ გამჭდარი სიმბო-  
ლიზმი, და რომ შემოქმედებითად განთავისუფლება ძველი  
ტვირთისაგან ადვილი არ იყო. დიან, ძლიერი იყო ესთეტიზ-  
მით გატაცება. ამ მხრივ მონოლითური და მთლიანი იყო ეს  
ცისფერი ორდენი ცამეტი ძმათა. აკი იტყვის პაოლო იაშვილი,  
ცისფერყანწელები ერთი კაციაო, ერთი პრინციპით შეკრული.

ტიციანი დაუმატებს: „ამიერიდან გაყოფს ნამდვილ პოეზიას ბანალობიდან. არც ერთი ხაზი ეთნოგრაფიის. მისი მარშრუტია საფრანგეთი, და მსოფლიო. მისი ფანტაზია გადადის ფანტას; მაგორიაში. ლაფორგისა და ლოტრეამონის შემდეგ დღე ისე არ ლამდება, როგორც წინათ. და ამ კომპარულ ლამეებს უნდა სხვანაირი გათენება“ („მეოცნებე ნიამორები“, 1924).

ციტიან ტაბიძემ გმირულად გამოარღვია დეკადენტური ვიწრო კამერული პოეზიის არტახები და მთელი სულითა და გულით მიაშურა საქართველოს, ქართულ მიწას. პოეტი მთელი არსებით მოექცა ახალი ცხოვრების შუაგულში. ლექსები: „ლექსი მეწყერი“, „ოქროყანა“, „მაშ გამარჯვება“, „ნუ გაიკვირებ“, „შემოდგომის დღე ოქროყანაში“, საბჭოთა საქართველოს სადიდებელი ჰიმნია. გასაოცარი პოეტური ხილვები, მოვარდნილი თავაწყვეტილი სტიქიონი გრძნობებისა გვაბრუნებდა მიწის სურნელებით, საქართველოს ეშხით, აღგვაგზნებდა უნაპირო ახალი ცხოვრების გულწრფელი სიყვარულით. ეს მართლაც ხელმეორედ დაბადება იყო პოეტისა: „მაგრამ მომადგა გრიგალის სვეტი, ახალ ბრძოლაში თავით დავეშვი, სიტყვა არ არის ცეცხლის დამწრეტი, ისე როგორც ზღვას ვერ დაშლის პეშვი. დაფასთან ვდგევარ და ვშლი ძველ ლექსებს, ცარციტ კი არა, სისხლით რომ ვწერდი. საბჭოთა მიწავ! გიკოცნი ფესვებს ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი (1928). სიმბოლისტური ძიებებით. გამოგონებებით, მირაჟებით, მისტიკით, მოჩვენებებით, ორეულებით, ნიღბებით გართულებული ლექსის კონსტრუქცია თანდათანობით 'მეცვალა ნათელმა. რეალისტურმა პოეტურმა ქსოვილმა. ეროვნული საწყისების განზოგადოებით, რომელიც მას იმთავითვე ჰქონდა თანდაყოლილი, ამალღდა საბჭოთა პატრიოტიზმის საოცარ ორიგინალურ გამოხატვამდე: „თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე და დაუჩოქებ მიწას მუხლებით. — მაშ გამარჯვება ტკბილო სიცოცხლევ, დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი. ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს, ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს, სანამდე უნდა, რომ გზად ედინოს გავარვარებულ ოქროს მთა-ველებს! სხვა რომ მოკვდება მისთვის რა არი: წავა, გაქრება, როგორც სიზმარი, მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს, რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს. ნეტა, სად აქვს ამ ზვარებს ბოლო, ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი, სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა

არ იყოს ასე ლამაზი. — სხვა საქართველო მაინც სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა? ვის თუთქავს ასე ცეცხლის ლაღარი, ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ეღირსა? დავბადებულვარ რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი — მაშ, გაძარჯვება ტკბილო სიცოცხლევ, დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი“.

ეს ალალი, გულმართალი სიტყვებია.

პოეტი არ თაკილობდა ყოფილიყო საქართველოს მონა, მისი საოცარი მიწის და ზეცის მეხოტბე. ეს პატრიოტიზმი ისე გადამდებია, ისე მომაჯადოებელი, რომ მკითხველი ერთბაშად პოეტის თანაზიარი ხდება და ყველაფერი ეს დეკლარაციით კი არ არის გამოხატული, პოეტის სულშია აღმოცენებული სტიქიურად. „მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს, ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“. ასე ფანატიკურად არის შეყვარებული პოეტი საქართველოს მიწასა და ზეცაზე, პოეტი მღელვარებით წერდა:

სამჭერ ვარ დაბადებული,  
მონათლული ვარ სამჭერ,  
ერთხელ სიკედილი რას მიზამს;  
ერთხელ სიკედილის არ მჭერა.

უკვდავებაში გადასულ პოეტის მიმართ ეს წინასწარმეტყველური აღსარებაა. იგი პირველად დაიბადა 1895 წლის 2 აპრილს, შუამთაში, ორპირის მახლობლად. მეორედ — როცა ერთ-ერთი ლიდერი და ფალავანი გახდა პოეზიის, მესამედ — 1954 წელს, როცა იგი ტრაგიკულად მოწყვეტილ ქართულ მწერლობის ოჯახს კვლავ დაუბრუნდა. მახსენდება, ირაკლი აბაშიძე და მე ორ დღეს ვწერდით საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სახელზე წერილს — დასაბუთებას ტიციან ტაბიძის, მიხეილ ჭავჭავაძის, პაოლო იაშვილის თაობაზე. წერილი ცენტრალურ კომიტეტში რომ მივიტანეთ, ჩვენი წინადადება მოეწონა მაშინდელ პირველ მდივანს ვასილ მყავანაძეს, გვითხრა, თქვენ ავაშენათ ღმერთმა, ეს კარგი საქმეა, ამას წინათ ჩემთან მოვიდა ერთი პასუხისმგებელი კაცი, თან მოიტანა სია და ასე მითხრა, ამ ხალხს თუ არ დაიქვრ, ისე მუშაობა გაგიჭირდებაო. მე სამხედრო კაცი ვარ, ერთბაშად

შეცვლენდი და ჭიჭურად მიეახალე აღშფოთებულმა, ეს როგორ-მეთქი... ახლა თქვენ მოითხოვთ უკანონოდ მოკვეთილ მწერლების აღდგენას, თანახმა ვარ...

ვასილ მქავანაძე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა მე-4 ყრილობაზე რეაბილიტაციის მოთხოვნით. ეს იყო პირველი რეაბილიტაცია მთელ საბჭოთა კავშირში.

ტიციან ტაბიძე მრავალმხრივი და ფართო მაშტაბის მწერალი იყო: საპროგრამო წერილები ცისფერყანწელებისა, ესეები, მინიატურები, კრიტიკული წერილები, ლექსები და ლექსები... მას წარმოაჩინენ როგორც მაღალი კულტურის მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. საქართველოში არ ყოფილა არც ერთი დიდი ეროვნული წამოწყება, რომლის ერთ-ერთი თავკაცი იგი არ ყოფილიყო.

ტიციან ტაბიძე მთელი თავისი არსებით, მეობით, პოეტური მრწამსით საქართველოს ქვეშარიტი მხატვარი გახდა. ამ მხრივ მისთვის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი ოციანი წლების მიწურული და ოცდაათიანი წლები იყო. პოეტი ბევრს მოგზაურობდა, ეცნობოდა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ შემოქმედებით შრომას. თვეობით ცხოვრობდა რიონჰესის მშენებლებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა როგორც პოეტი და მოქალაქე ამ გრანდიოზულ მშენებლობაში. ამის შედეგად შექმნა ორი ბრწყინვალე ნარკვევი: „რიონჰესი“ და „რიონიდან ენგურამდე“. კოლხეთის მშენებელთა თუ ტყვარჩელის მემალაროელთა ხშირი სტუმარი იყო, ეცნობოდა საბჭოთა რუსეთსა და ჩვენს მოძმე რესპუბლიკებს. მას ყველგან ძმურად ხვდებოდნენ უკრაინასა თუ ბელორუსიაში, სომხეთსა თუ შუა აზიაში. ყველაზე მეტად მოსკოველ და ლენინგრადელ პოეტებთან ატარებდა პოეტური ცხოვრების საინტერესო დღეებს. პირადად იცნობდა იგი ყველა გამოჩენილ საბჭოთა მწერალსა და მათთან პირადი კონტაქტები ჰქონდა. ამ ვითარებაში ყალიბდებოდა ის დიდი პოეტური იმპულსი და შთაგონება, რომლითაც ცხოვრობდა, სუნთქავდა და ჰქმნიდა იგი თავის საუკეთესო ლექსებს, ნარკვევებს, წერილებს თუ თარგმანებს. ყოველივე ამის შედეგად არაჩვეულებრივად გაფართოვდა, გამრავალფეროვანდა მისი პოეტური პალიტრა. სის-

ხლსავსე და ხორცსავსე გახდა მისი საოცარი მიწიერი და სულიერი ლექსები.

პოეტი მთელის თავის გულწრფელობით მიესალმებოდა ახალ დროს და მშრომელ ხალხს: „თავისუფლება მხოლოდ ხალხს აკლდა — ედო მონობის მძიმე უღელი, თავისუფლება რომ აქ დასახლდა, ჩვენი თაობა ამას უმღერის. დარიალიდან ღართისკარამდე და ან სანამდის თვალი მიუწევს, სოფლიდან სოფლად, აულით აულს, ახალ ცხოვრებას ეყრება ფუძე“.

ტ. ტაბიძის ხორცსავსე პატრიოტიზმი „ლექსის ძაფით“ დაკავშირებულია გრ. ორბელიანის სამშობლოს სადიდებლად დაწერილი ლექსების ძირებთან. და მაინც ტიციან ტაბიძის პატრიოტული ლექსები მთიდან მოვარდნილ ზვავს ჰგავდა, რომელიც გაგიტაცებდა და თან გაგიყოლიებდა. პატრიოტიზმის მოტივმა თვით ცისფერყანწელების შემოქმედებაში იჩინა თავი. სწორედ პატრიოტული ლირიკა აძლევდა ამ სიმბოლისტურ სკოლას ეროვნულ იერს. განსაკუთრებით ძლიერ წარმოჩინდა ეს მოტივი ოცდაათიანი წლების ყოფილ ყანწელთა პოეზიაში. გ. ტაბიძის ლექსები ამ მხრივათაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა. გულწრფელად ამბობს პოეტი: „სულმოუთქმელი ასე ვიმღერი, ლექსი დაწმენდას ველარ მოუცდის, როცა დიდ გრძნობის გვიძირავს მეწყერი... გვთუთქავს ახალი გრძნობა, დამწველი სულის დგმა ახალ ადამიანის“.

ამას მოსდევს პოეტის სულის პატრიოტული ღაღადისი.

მთაც ლამაზი გვაქვს. ბარიც ლამაზი,  
და თუ არ იყო ქვეყნად ედემი:  
ეს შენი არი ზვარი და ვაზი  
ცეცხლის ბრიალით გულს რომ ედება.  
ჩვენ თუ მეორედ დავიბადენით, —  
ეს შენი ვნახეთ ჩვენ დაბადება,  
რომ სიხარულის ცრემლის დადენით  
ახალი კაცის გავხდეთ ბადებად.

სამშობლოს სიყვარულით ასე გატაცებული პოეტი თუ „ცისფერ ყანწებში“ დასცინოდა „მესტიერე, მესაზანდრე“ პოეტებს, ახლა თავად აცხადებს:

მე არ მრცხვენია დიდ ეპოქისა,  
ერთი საწყალი რომ ვარ მესტიერე.

ასე შეიცვალა ადრინდელი სიმბოლისტური კრედო კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებთან უშუალო ზიარებით, სოციალისტური რეალიზმის პოზიციით. ახალმა დროის სოციალისტურმა მშენებლობამ დაბადა პოეტის ეს ახალი პანგი.

მე თვალთ ვნახე ეს გალაშქრება და მოვიხადე მეც ეს სახადო, ნაქებ შირაზის ვარდის მაგიერ ქვათა მუსიკის გაუხდი საადი, ასე დავწერე თანამედროვე სოციალისტური ქვათა ლაღადი...

საბჭოთა მიწის, მისი გამრჯე და მშრომელი ადამიანების ზეავი და ბარაქა, სომხეთში იქნებოდა ეს თუ უკრაინაში, რუსეთსა თუ შუა აზიაში, გულს უხარებდა პოეტს:

საბჭოთა მიწის დაილოცოს  
ყველა მტკაველი,  
იყოს უკვდავი, ვით პუშკინი და რუსთაველი.

ოცდაათიან წლებში ლაღად გაშალა ფრთები ტ. ტაბიძის განუმეორებელმა პოეტურმა ტალანტმა. ის არა მარტო თემატიკურად გახდა მრავალფეროვანი, არამედ გამომსახველობითი პოეტური ფორმებითაც, უფრო ნათელი, უფრო ხორცსავესე პოეტური ინტონაციებით, ფერებით და საღებავებით. საღად, უბრალოდ ამბობდა თავის სათქმელს: „ისე უბრალოდ, როგორც მუხრანზე გაზაფხულისთვის მოდის ბალახი, ისე უბრალოდ, როგორც არაგვზე ალაპლაძდება მზეზე კალმახი. ისე უბრალოდ მინდა ვუმღერო ჩემს განახლებულ მშობლიურ მიწას, ლომისთვის იყო ის წილნაყარი, ახლაც სამშობლოს მარჯვენით იცავს“.

და პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს უბრალოება არასოდეს დასულა მაღალი პოეზიიდან პრიმიტივიზმამდე, გაცვეთილ ტრაფარეტამდე. უნდა დაუუჭეროთ პოეტის განცხადებას: „არცერთი სიტყვა არ დამცდენია, მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეთქვა, როცა პწკარები პწკარებს სდევნიან, საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა“.

ტიციან ტაბიძესთვის ნიშანდობლივი გახდა უსაზღვრო სიყვარულის დრამატიზმით გადმოცემა. ორიგინალური პოეტური ინტონაციის, მომაჯადოებელი ემოციური ნახატით აქ ახალი დროის ცხოველმყოფელობით სუნთქავს ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა. ტ. ტაბიძე ლექსის უბადლო ოსტატია მისი ლექსები გვაჯადოებენ მოულოდნელი შედარებებით და

მოსწრებული პოეტური თქმებით. მისი ლექსები გვიპყრობენ სწორედ ამ მოულოდნელობით და პოეტური გამოგონებით. მართალია, მისი ლექსები ხშირად სორკლიანია, თითქმის დარღვეულია ერთგვარი ლოგიკური თანმიმდევრობა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის პოეტს დიდი ემოციური ძალით გამოხატოს ლირიკული ლექსის სათქმელი, დიდი პოეტური სუნთქვა და ემოციური ძალა მიანიჭოს ლექსს. მისი საუკეთესო ლექსები მუდამ დარჩება პოეტური, ორიგინალური ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშებად. ასევე მგზნებარე პატრიოტიზმი მუდამ შთამაგონებელი იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

არიან პოეტები, რომლებიც ერთბაშად გაიელვებენ პოეზიის ცაზე. შემდეგ მოულოდნელად და ტრაგიკულად გამოგვეცლებიან ხელიდან, მაგრამ ისინი წარუშლელ კვალს ტოვებენ ეროვნულ მწერლობაში. მათი ლექსები მკითხველთა გულ-ლებში პოულობენ ბინას და მასთან ერთად ღამეს ათევენ. ასეთი ბედი ერგო ტიციან ტაბიძის ლექსებსაც. უკვდავებაში გადასული ტიციან ტაბიძის ლექსები მარად იცოცხლებენ მის საფიცარ საქართველოსთან ერთად, მარად გაიმეორებს ყოველი ქართველი მკითხველი „მე დავიბადე აპრილის თვეში, ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან, მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში, მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან. აქედან ვიცი, მე რომ მოვეკვდები, ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება, ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამოსარჩლებად. იტყვიან ასე: იყო საწყალი, ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი, ლექსები იყო მისი საგზალი, არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი. და აწვალებდა მას სიკვდილამდე ქართული მზე და ქართული მიწა, ბედნიერებას მას უმაღლვდნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა“.



ოციანი წლების ქართულ ინტელიგენციაში ვახტანგ კოტეტიშვილი გამორჩეული ფიგურა იყო, გამორჩეული მწერალთა და მეცნიერთა შორის. მას სახელი და დიდება მოუპოვა ოციანი წლებში ფრიად გახმაურებულმა დისკუსიამ — „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორების საკითხი“. ამას წინ უძღოდა ჩვენი დროის ქარიშხლისა და შტურმის წლებში დიდი ილიას ეროვნული მრწამსის შეუპოვარი დაცვა ნიჰილისტური

თავდასმებისაგან. ილიას მიერ აგებული ეროვნული სახლიმ ორი ბოძი იყო საქართველოს მწერალთა კავშირი და თბილისის უნივერსიტეტი. ვახტანგ კოტეტიშვილი ერთდროულად მოღვაწეობდა მწერალთა კავშირსა და უნივერსიტეტში. პირადი ნაცნობობა და შეხვედრები მქონდა საქართველოს ამ ორი დიდი ეროვნული ტაძრის დამფუძნებლებთან...

1918 წლის იანვარში ვახტანგ კოტეტიშვილი ტარტუს უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტია. 1913 წელს დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საქმიანობაში. 1921 წელს არჩეული იქნა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ.

1926 წელს გაიმართა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა, რომელმაც სცადა ამჟამად არსებული ოთხი ლიტერატურული მიმდინარეობათა (ოთხი კორპორაციათა: სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა, სრულიად საქართველოს ახალი მწერალთა კავშირისა, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირისა და ქართველ ფუტურისტთა) გაერთიანება. სწორედ ამ ყრილობაზე სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა ვახტანგ კოტეტიშვილმა. ეს სიტყვა უცნობია ფართო მკითხველთათვის, იგი არ არის შესული ვახტანგ კოტეტიშვილის თხზულებათა ორტომეულში. არადა, ეს სიტყვა ყველაზე სრულად გამოხატავს ვახტანგ კოტეტიშვილის „ქარიშხლისა და შტურმის“ პერიოდის ეროვნული ნიჰილისტების წინააღმდეგ მიმართულ პოზიციას. სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობის სტენოგრამაში ვკითხულობთ:

— ...გუშინ მომხსენებელმა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელიც მთავრობის წარმომადგენელი იყო იმავე დროს, განაცხადა: „ჩვენ გვინტერესებს ერთი რამ, იღებს რევოლუციას თუ არა მწერლობა და თუ იღებს — შემდეგ სწორეთ როგორც გინდათ, გინდ ყირამალა დააყენეთ ასოები, გინდ ტახტზე წააწვინეთო და სხვ... აი, ეს არის უძვირფასესი, რაც გუშინ მოვისმინეთ და დაგარწმუნეთ, რომ თუ ეს განცხადება იქნება ერთგვარი გარანტიის ქვეშ დაყენებული, ე. ი. თუ ქართველ მწერლებს მიეცემათ საშუალება, რომ გეგემონობა არც ერთ მიმართუ-



ლებას არ ექნება, არამედ ყველას ექნება შემოქმედების თავისუფლება, მე გარწმუნებთ რომ სრულებით წაიშლება ის განსხვავება, ის საშიში უნდობლობა, რომელიც აქამდე ყველას გვიშლიდა ხელს...

ჩვენ ქართველი მწერლები ვართ და ქართული ენა ჩვენთვის უპირველეს საგანს შეადგენს. ქართული სიტყვა დიდ მოვლას, პატრონობას მოითხოვს. ქართულ სიტყვას პატრონი არ ჰყავს. ის შერყვნილია დაწესებულებებში. შერყვნილია გარეთ მაღაზიის აბრებზე, ის შერყვნილია გაზეთებში, აფიშებში, ყველგან ილახება ქართული სიტყვა. ის დამახინჯებული არის. ქართული მეცნიერება, ერთი საუკუნის განმავლობაში, ტყვეობას განიცდიდა. ჩვენ წართმეული გვქონდა საშუალება გვემსახურნა ქართული სიტყვისათვის. ჩვენ ჩამოვრჩით მრავალ გზაზე და ჩვენ ეხლა, ხელოვნურად ვქმნით სიტყვებს. ვაკოწიწებთ რაღაც უთავბოლო ელემენტებს, უხეირო თარგმანობას ვეწევით. ეს ამახინჯებს ჩვენ ენას. საჭიროა დაარსდეს ქართული სიტყვის ერთგვარი აკადემია, სადაც გამომუშავდება ყოველი სიტყვა, ყოველი წინადადება (ტაში). ვუსურვებ ქართულ მწერლობას, რომ შეასრულოს ის დიდი მოვალეობა, რომელიც დღეს ისტორიამ ჩვენ უღონო მხრებზე დააყრდნო. ჩვენ დიდ ხანს ვიყავით მონობის ქვეშ, რუსეთის ყოფილმა მეფის მთავრობამ გაძარცვა ჩვენი სიმდიდრენი, წაიღო როგორც მატერიალური, ისე ფსიქოლოგიური რიგის განძეულები და ჩვენ უნდა დავაბრუნოთ ის რელიკვიები, რომლებიც აქედან გამძარცველებმა წაიღეს: უნდა კვლავ ავმართოთ თავის ადგილას, რომ აღსავლის კარები ღია იყოს და იქიდან იდინოს საქართველოს თავისუფალმა სულმა ქვეყნის აყვავებისა და მშრომელი ხალხის საბოლოო გამარჯვებისათვის...

(საერთო ხანგრძლივი ტაში)“...

სიტყვა ყრილობამ აიტაცა, მაგრამ მთავრობისა და პარტიის ოფიციალურ წარმომადგენლებს არ მოეწონათ, თავს დაესხნენ. ვახტანგ კოტეტიშვილი იძულებული გახდა ხელმეორედ გამოსულიყო:

— აქ ამხ. ვალია ბახტაძემ აღნიშნა:

„თქვენ ერთგვარ ბოიკოტს, საბოტაჟს აწარმოებდითო“. მე არ მინდა მარტო სიტყვით ვუპასუხო. მე ვთქვი, და კიდევ

მოგახსენებთ, რომ 21 წელს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი დაადგა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას და უკვე პირველ თვეებშივე, ლიტო, რომელიც განათლების კომისარიატთან იყო შექმნილი, თავიდან ბოლომდე ჩვენს განკარგულებაში იყო. იმ დროს გამოვეცით ჟურნალი „ხელოვნება“, რომელშიაც თანამშრომლობდნენ (კითხულობს): აკაკი პაპავა, სოლომონ თავაძე, ს. აბაშელი, მიხ. აბრამიშვილი, მარიჯან, დ. თურდოსპირელი, შალვა დადიანი, ვარლამ რუხაძე, აკაკი ფალავა, მე და სხვ...

მართალია, ორი ნომრით გათავდა ჟურნალის არსებობა, მაგრამ ფაქტის აღსანიშნავად უნდა მაინც ითქვას, რომ ეს ჟურნალი თავიდან ბოლომდე იყო ჩვენი მწერალთა კავშირის ხელში. აი, რას ვწერდით, და იყო თუ არა ჩვენ მხრივ საბოტაჟი და ბოიკოტი. ძალიან ბოდიშს ვიხდი, თავს შეგაწყყენთ, მაგრამ ეს საკითხი იმდენად რთულია, რომ ამ ჟურნალის მეთაური ნომერი უნდა წავიკითხო. მოგახსენებთ, რომ ეს მეთაური დაწერილია აკაკი პაპავას და ჩემს მიერ. (კითხულობს). აი რას ვწერდით:

„ამ სოციალურ გარდაქმნის ხანაში იწყება ყოველგვარ კატეგორიის ღირებულებათა გადაფასება, ახალი ცხოვრების გამოქვდვის გზა ცეცხლის ენებითაა გარშემორტყმული, საფუძვლამდის ინგრევა ძველი შენობა და ახლის მიდგომით, ახლის გაგებით და მეთოდით უნდა აშენდეს უკვდავი სასახლე. შეიძლება ამ საერთო გარდაქმნის ჟამს ბევრი ისეთი რამ მოჰყვეს ნანგრევებს ქვეშ, რაც ძვირფასი იქნებოდა მომავალი კაცობრიობისათვის, მაგრამ ულმობელია კანონები რევოლუციისა და როცა მთელი სასახლე ზანზარებს, ლამაზ ჩუქურთმებზე აღარ ჰფიქრობ, რადგან შიშობ, ნანგრევებმა თითონ შენ არ მოგიტანიონ ქვეშ. მაგრამ არის კორექტივიც... თუ მართალი იყვნენ მარქსი და ენგელსი, „კომუნისტურ მანიფესტში“, როცა ამბობდნენ: — „პროლეტარიატი არას დაჰკარგავს, გარდა თავისი ბორკილებისა, ხოლო შეძენა კი შეუძლიან მთელი ქვეყნისაო“... დღეს, როცა ეს ბრძოლა გარდაქმნისათვის უდიდესი მასშტაბით იწყება, „მანიფესტის“ ამ აფორიზმს რევიზია ეპირვება. პროლეტარიატს შეუძლიან მთელი ქვეყანა შეიძინოს, მაგრამ ამავე დროს შეუძლიან ბევრიც დაჰკარგოს.

პროლეტარიატს დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა მარ-

თებს, როცა საქაროა სტიქიური ნაბიჯი შესცვალოს წინასწარ გაზომილმა ნაბიჯმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა პროლეტარიატმა მთელი ქვეყანა შეიძინოს. მაგრამ ამ შეძენის პროცესში იმდენი რამ დაჰკარგოს, რომ რეზულტატი მისი დიდ ბუნებისათვის პატარა შეიქმნეს... და დღეს იწყება ბრძოლის დათრობიდან გამოსვლა და სიცხადე თავისას ითხოვს... და მშრომელ ხალხს უნდა, მთელი ქვეყნის შეძენის დროს, რაც შეიძლება ნაკლები დაჰკარგოს... მთელი ქვეყანა მემკვიდრეობით მის ხელში გადადის და უღირსია ის, ვინც ამ მემკვიდრეობის ობიექტს გაანადგურებს... ბრძოლის ხანაში ანალიზი სიცხოველეს არა ჰკარგავს და დაფიქრებით მივდივართ წინ. არა გეწამს რღვევა რღვევისათვის... და ჩვენ ფრთხილად, მზრუნველობით ვეკიდებით იმას, რაც ძვირფასია მომავლისათვის, ურომლისოდაც „შეძენილი ქვეყანა“ თავის ენერჯიას და მშვენებას ჰკარგავს. და ამ ურყევ ღირებულებათა შორის, პირველი ადგილი ხელოვნებას უჭირავს. ეს კარგად გვესმის და გვინდა კიდევ შევეუნახოთ იგი მომავალ ეპოქობრიობას. აი, რატომ, ამ საშინელ კატასტროფულ ეპოქაში, ზრუნვით ვეპყრობით ხელოვნებას, მაგრამ ჩვენი ქვეყნის აღორძინება ორი მიმართულებით ხდება: სოციალურისა და ეროვნულის. ერთი-მეორის განვითარებაა, პირველი უმეოროდ წარმოუდგენელი და უშინაარსოა, და თუ მომავალ ცხოვრებისათვის ხელოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს ჩვენი დროის ეროვნულ კულტურის აღორძინების მთავარ ფაქტორად სწორედ ის რჩება. ქართული სტილი, კოლორიტი, ჰანგი... აი, რა გზით უნდა წავიდეს ჩვენი ხელოვნება და მშრომელი ხალხი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღებს მთელ ქვეყანას, არ შეიძლება ეხლავე არა ზრუნავდეს მის სიმდიდრეთა შენარჩუნება-გაფურჩქვნაზე. ამიტომ, ხელოვნებას, შემთხვევითი ჯგუფების ხელში ვერ დავტოვებთ, მართო სახელმწიფო მასშტაბით შეიძლება დღეს მასზე ზრუნვა, მისი დაცვა, გამდიდრება... ვისაც უნდა მომავალი მდიდარი იყვეს სულიერი კულტურით, — მოვიდეს და დაეხმაროს სახელმწიფოს ამ დიდსა და ლამაზ საქმეში“.

ამავე ყრილობაზე ტიცინ ტაბიძემ განაცხადა: „მთელი უნივერსიტეტი დაინტერესებულია, მაგრამ საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიაც არ იკითხება

უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ვინაიდან არ ყავთ სათანადო პიროვნება“ (სტ. გვ. 154)... სწორედ იმ დღეებში, 1926 წელს ვახტანგ კოტეტიშვილი მიწვეულ იქნა თბილისის უნივერსიტეტში ლექციების კურსის წასაკითხად. მე პირველად აქ შევხვდი ვახტანგ კოტეტიშვილს 1932 წელს, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი. იგი ფოლკლორის კურსს გვიკითხავდა. მაშინ ბატონი ვახტანგი 40 წლისა იყო, ხორბლის ფერი სახის შავხუჭუჭთმიანი, გრუზა, თვალადი, სავსე სიცოცხლითა და ხალისით. საქმე ისე წარიმართა, რომ თსუ-ში ვახტანგ კოტეტიშვილი ქართული ლიტერატურის ისტორიას კი არა, ხალხური სიტყვიერების ისტორიას გვიკითხავდა, მაგრამ ეს არსებითად მთელი ქართული მწერლობის, ზეპირი და წერილობითი მწერლობის ისტორია იყო, რომელსაც საოცრად ხატოვნად და ემოციურად ჰყვებოდა. პირველივე ლექციებით მოგვცინბლა. მერე და მერე ისე გაგვიშინაურდა, რომ მთელი კურსის სტუდენტები ჩაგვრთო ლექციების მსვლელობაში. მის ბაგეთაგან უღევად იფრქვეოდა ქართული ლექსების თვალმარგალიტები, იგი ზეპირად წარმოთქვამდა ლექსებს და ჩვენგანაც ამასვე მოითხოვდა. — აბა რომელმა იცის ეს ლექსი? და თავად ლექსის პირველ სტროფს წარმოთქვამდა — ჩგუფში ერთი კი არა, რამდენიმე აღმოჩნდებოდა ამ ლექსის მცოდნე და ახლა ისინი ეცილებოდნენ ერთმანეთს. თავად საოცარი მგზნებარებით წარმოთქვამდა ბალადას „მოწმე და ვეფხვი“. ამ დროს იგი თავად ჰგავდა მოყმე მზეჭაბუკს. ჩვენ მას ვბაძავდით, სხვათა შორის, ჩვენი ჩგუფის სტუდენტთა უმრავლესობა პოეტები და ლიტერატორები იყვნენ; ვარლამ ჟურული, ვახტანგ რაზიკაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ნიკო ტატიშვილი, ვალოდია ხობისპირელი, იაშა ბურჭულაძე, ვარა ხარანაული, რუსუდან გელოვანი, სიმონ სხირტლაძე, გივი გაჩეჩილაძე, მიხეილ კვესელავა, დავით შამათავა, ივანე გავაშელაშვილი...). ერთბაშად ისეთი ზღაპრული ატმოსფერო შეიქმნებოდა, რომ ეს „აკადემიური ლექცია“ პოეზიის სადამოდ იქცეოდა ხოლმე. ამ სადამოს დირიჟორი, რასაკვირველია, ბატონი ვახტანგი იყო. ლექციებსა და ლექციების შემდეგაც ისე გვხვდებოდა ბატონი ვახტანგი, თითქოს მისი ტოლნი და სწორნი ვყოფილიყოთ, მისი კოლეგები. მას ჰქონდა საოცარი უნარი ახალგაზრდებთან,

სტუდენტებთან დამეგობრებისა. ერის ხვალისდელ დღეს ამ ახალგაზრდობაში ხედავდა და, მიუხედავად იმ დროს თავაშვებული რაპულ-კომკავშირული რეიდებისა, იგი ახერხებდა საერთო ენა გამოენახა ახალგაზრდობასთან. ჩვენ, სტუდენტებს მისი გვჯეროდა და ამიტომაც გამორჩეულად გვიყვარდა. ჩვენ შევიყვარეთ ეს სულით და გონებით, საქციელითა და აღნაგობით — ჭეშმარიტი ქართველი, პრინციპული და შეუვალი ეროვნული მოღვაწე. ჩვენ გვიტაცებდა მისი უკომპრომისო ბრძოლა ილიას ეროვნული პოზიციის დაცვაში. ჩვენ მის ჭხარაზე ვიყავით მაშინ, როცა ოფიციალური წრე, ურაკოს-მოპოლიტები სდევნიდნენ მას, ნაციონალისტად და რეაქციონერად აცხადებდნენ. ასე იყო იგი გამოცხადებული ოფიციალური პირის მიერ, გაზეთ „კომუნისტში“, 1931 წელს დაბეჭდილ წერილში... ჩვენს ჯგუფში სწორედ იმ დღეს სიმონ სხირტლაძემ მოიტანა 1922 წელს გადაღებული ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი არიან შავჩოხოსანი ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი — „ეროვნული გრალის მკვებნი“... ეს ფოტო ბატონ ვახტანგს ვაჩვენეთ, გაგვიღიმა და — ეს ტრაგიკული ისტორიის ფურცელია, — რაღაცნაირად ჩაიკვნესა და ერთბაშად ლექცია დაიწყო...

მას განსაკუთრებით უყვარდა ხალხური პოეზია, ქართული მითოლოგიური ძირები და მასზე აღმოცენებული ქართული პოეზიის ღმერთკაცი ვაჟა-ფშაველა. ჩვენც გადმოგვედო ეს სიყვარული. ალბათ იმით თუ აიხსნება, რომ ჩვენი ჯგუფის უმრავლესობამ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება აირჩია სადიპლომო თემებად. პირადად მე „გველის მჭამელი“ ავიღე სადიპლომო თემად, ხოლო პირველი წერილი „ვაჟა-ფშაველა და თერგდალეულები“ ბატონი ვახტანგის რეკომენდაციით 1936 წელს გამოვაქვეყნე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1936 წ. № 8).

1936 წელი. პირველად სახელმწიფო გამოცდებთან ერთად შემოღებული იქნა სადიპლომო შრომების დაცვა. ჩემი სადიპლომო შრომის — „ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ — ხელმძღვანელი იყო რეცენზენტად კონსტანტინე კაპანელი დაინიშნა, — საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ კოტეტიშვილი იყო. სამივე მიცნობდა: XIX საუკუნის ქართული

ლიტერატურის ისტორია ბატონ მიხეილ ზანდუკელს ჩავაბარე, ხალხური სიტყვიერების ისტორია და პოეტიკა — ბატონ ვახტანგ კოტეტიშვილს, ლიტერატურის თეორია — ბატონ კონსტანტინე კაპანელს, ჩემს სადიპლომო შრომაში გამოყენებული მქონდა, სათანადო გვერდების მითითებით, კონსტანტინე კაპანელის — „ქართული სული ესტეტიურ სახეებში“ (1925 წ.). ვახტანგ კოტეტიშვილის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (1925-27 წ.). მე შესავალ სიტყვაში ვთქვი: ვაჟას მინდია ღმერთკაცობის განსახიერებაა, გველის სიბრძნეს ზიარებულ მინდიას ვაჟამ მანიაჰა უნარი უხილავის ხილულად ქცევისა. ამ მხრივ მინდიას ვაჟას მთებიდან მსოფლიო გადაძახილია, ასე იქცა იგი განზოგადებულ ღმერთკაცად. ღმერთკაც მინდიას ბედნიერება და გამარჯვება მოაქვს ხევსურებისათვის მშვიდობიან ცხოვრებაშიც და მტერთან ბრძოლებშიც. ვაჟამ იგიც გვითხრა, რომ ადამიანი არ შეიძლება ბოლომდე ღმერთკაცად დარჩეს. ადამიანს, პრაქტიკული ცხოვრებისთვის მოწოდებულს, ეს არ ძალუძს. მინდიას ტრაგედიის სათავე ამაშია (ამ თემას შემდეგ კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე მიუბრუნდნენ). ღმერთი ერთია, ადამიანი კი ღმერთისაგან განსაზღვრული არსებაა. ამ ფონზე ვაჟას მზია და ჩალხია, რომლებიც ცხოვრების პრაქტიკას განასახიერებენ, უფრო მართალი და უფრო რეალური ხატებია...

ბატონი ვახტანგი მე მომემხრო, ბატონმა კონსტანტინემ კი სულ სხვა სიბრტყეზე გადაიტანა კამათი: მინდიას ტრაგედიას მსოფლიო ლიტერატურის დიდ გმირებს — პრომეთეს, დონ კიხოტს, ჰამლეტს, ფაუსტს — და ორგანოტროპიზმის მისეულ თეორიას უსადაგებდა... არსებითად კამათი კონსტანტინე კაპანელსა და ვახტანგ კოტეტიშვილს შორის გაიმართა. დიდხანს გაგრძელდა ეს დავა და კამათი. არაჩვეულებრივად ემოციური, გადამდები და მძაფრი იყო ეს საჯარო პაექრობა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე და ის იყო 1937 წელს ასპირანტად დამტოვეს, გადავწყვიტე. მუშაობა ბატონ ვახტანგთან განმეგრძელებინა, მაგრამ ვაი, რომ იმავე წელს, ეს უმამაცესი ეროვნული მოღვაწე, სიბრძნით, ჭკუით, სიკეთით, სათნოებით ყელამდე სავესე, 44 წლისა ტრაგიკულად მოწყვიტეს ოჯახს, მის სათაყვანებელ მამულს, მწერლობასა და უნივერსიტეტს...

ათიანი და ოციანი წლების დასაწყისი საქართველოში არა მარტო პოლიტიკური პარტიებისა, არამედ სხვადასხვა კულტურათა და ლიტერატურული მიმართულებათა მძაფრი ბრძოლით აღინიშნა. ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტ საქართველოს მძიმე ბურუსად ჩამოაწვა 1905 წლის რევოლუციის დამარცხება. ამას მოჰყვა წიწამურის ტრაგედია: მოკლეს ქართველი ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე. აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ ჩამოკრეს ეროვნული გლოვის ზარი და ფეხზე დადგა მთელი საქართველო, მაგრამ სულ მალე აკაკი და ვაჟაც გამოეცალა ქართულ მწერლობას. ამ ვითარებაში, როცა „ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი“ (გალაქტიონი), „1915 წლის დასაწყისში ქუთაისზე ელვის სისწრაფით გაისმა ვით შორიდან მოსულ ფრინველთა სიმღერა ახალი მხატვრული სიტყვის ქადაგება. ქუთაისი აფორიაქდა. უჩვეულო ქალაქია: ის — უცილობლათ მეტაფიზიკური „ობივატელობის“ გენიალური გამოხატულებაა, — და მასთანავე, განსაკუთრებულად თავისებური... ის ახალგაზრდები, რომლებმაც თავისი ახალი სიმღერით დაარღვიეს ქუთაისის ქუჩების უდარდელი სიჩუმე, იყვნენ ახლად გამოსული მგოსნები: პაოლო იაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლელი ჭაფარიძე. ცხოვრების განცდათა მოდერნისტული სტილი სამხატვრო სიტყვის მწყობრ განსახიერებაში — აი რა იყო იმათი აღთქმის ახალი ხაზი და ქუთაისის დუქნები უცბად გადაიქცა პარიზის სალიტერატურო კაფეებათ, სადაც არღნის ხმასთან და აუცილებელ „მრავალყამიერთან“ ერთად გაისმა საყვარელი სახელებიც. ედგარ პოე და შარლ ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უაილდი, პოლ ვერლენი და სტეფანე მალარმე, ხოზე-მარია ერედია და ემილ ვერხარნი, კონსტანტინე ბალმონტი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი და ვიაჩესლავ ივანოვი, ინოკენტი ანენსკი და ალექსანდრე ბლოკი“ (გრიგოლ რობაქიძე).

ქართულ მწერლობაში დიდი რეალისტების გვერდიგვერდ მკვიდრად დასახლდნენ მოდერნისტული სკოლები. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ევროპაში განათლება მიღებული

ნადი, ქემმარიტი ნიქით მომადლებული და გამორჩეული ქართველი მოდერნისტები. დაიწყო მოდერნიზაცია მთელი ქართული კულტურის. მოხდა დიდი განახლება და ამალეობა არა მარტო ქართული მწერლობის არამედ ქართული ფერწერის (ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე), ქანდაკების (ი. ნიკოლაძე), ქართული თეატრის (კ. მარჯანიშვილი, ალ. ახმეტელი)... ეს ახალი მიმართულებები მართალია, ხარკს უხდიდნენ მოდურ ევროპულ „იზმებს“, მაგრამ მტკიცედ იდგნენ ქართულ მიწაზე, მათ თავისებურად განსხვავებულად მოარგეს ნიკემს მისტიციზმი — და „დიონისოს კულტი“. „დიონისო ბნელ თვალებიანი ღმერთია ჩემი“ — აცხადებდა კ. გამსახურდია. „ჩემი ღერბია დიონისოს მედალიონი“ — წერდა გრ. რობაქიძე. ქართველი მოდერნისტები უხვად დაესესხნენ მითოლოგიას და ქრისტიანულ და წარმართულ მისტიკას — სპარსეთის, ინდოეთის, იტალიის, გერმანიის მისტიკოსებს. ამ გზაჯვარედინზე გაჩნდა განსხვავებული სტილითა და მანერით დაწერილი მოდერნისტული პროზის ორი მწვერვალი — „გველის პერანგი“ და „დიონისოს ღიმილი“... მოდერნიზმის გზაზე შეხვდნენ ერთმანეთს დრამატურგი გრიგოლ რობაქიძე და განახლებული ქართული თეატრის ფუძემდებლები კოტე მარჯანიშვილი და ალექსანდრე ახმეტელი. რუსთაველის თეატრის კარი გრ. რობაქიძემ მისტიკური პიესით — „ლონდათი“ შეაღო, ეს კარი ქართული მითოლოგიით შთაგონებული, ხალხურ ძირებთან ზიარებული თეატრალური დღესასწაულით — „ლამარათი“ დაიხურა. „ლონდას“ შემდეგ ევოლუცია განიცადა მწერლის ლიტერატურულმა პროზიციამ. „ლამარა“ იყო გენეტიკური ხიდი მოდერნიზმსა და ქართულ ეროვნულ მწერლობას შორის გადებული. ყველაზე დიდი სახელი სწორედ „ლამარამ“ მოუტანა გრიგოლ რობაქიძეს.

მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ახლა ისევ „ლონდას“ მივუბრუნდეთ. გრიგოლ რობაქიძის „ლონდა“ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა 1923 წელს დადგა. დადგმა განახორციელა კოტე მარჯანიშვილმა, პრემიერა შედგა 27 თებერვალს. გაზ. „კომუნისტი“ იტყობინებოდა: „ლონდა“ დღეს რუსთაველის თეატრში კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება გრიგოლ რობაქიძის პიესა მისტერია „ლონდა“, რომლისათვის შეკერი-



ლია ახალი კოსტუმები და დასატულია დეკორაციები ირ. გამ-  
რეკელის მიერ. დადგმამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. დაიწე-  
რა მრავალი რეცენზია. მათ შორის ყველაზე მეტი გაზეთ  
„რუბიკონში“ — სრულიად საქართველოს ახალი მწერალთა  
კავშირის (ამ კავშირის თავმჯდომარე თავად გრიგოლ რო-  
ბაქიძე იყო) ორკვირეულ ორგანოში. აქვე, „რუბიკონში“ და-  
ბეჭდილია პიესა „ლონდას“ ნაწყვეტი, საესე სიმბოლისტური  
პოეტური ხატებით, ნიღბებით, ფანტასმაგორული ილუმალე-  
ბით.

ოთარ: იყო მონადირე ლაშაზი ყმაწვილი.  
ვერავინ შეუტევდა მის მკლავებს ჭერიანს.  
ღნებოდა მისთვის მრავალი საცოლვე.  
თვითონ კი დასდევდა ტევრებში ჭერიანს.  
და ერთხელ უეცრად როგორც სინდიოფალა  
მას შემოეყარა ტყის დედოფალი?

ხმები: ვინ არის ვინ არის იგი დედოფალი?

ოთარ: ტყის დედოფალი: არ იცით ვინ არის?  
მაგარი, ავხორცი, ტევრების ასული.  
ტკბილია შეხვედრა მუდამ მომცინარის.  
მას ელის მონადირე საირმედ გასული:  
წითელი თმები და მწვანე თვალები  
დასწვავენ მონადირეს სხვაფერი ალებით.

ხმები: და მერე რა მოხდა?

ოთარ: მივიდა დედოფალი. მოხვია ხელები.  
ყმაწვილს აუვარდა ტკბილი ჟრუანტელი.  
მიენდო. მიენდო მღვრია გახელებით.  
სხეული მოელბო ვით რბილი სანთელი.  
და უჩვეულო მწვავი სიხარულით  
შეჭფიცა ჯადოსანს ვაჟმა სიყვარული.  
მაგრამ დედოფალმა მოუჭრა ფარულად:  
მოკვდავთან არ შეცდებ თუ გინდა სიხარული.

ხმები: ნეტავ რით გაგრძელდა?!

ოთარ: გაიჭრა მონადირე სრულებით ტყვევლად.  
ძალზე გაველურდა უცხოის გზნებაში.  
და თითქო სიცოცხლის გადასანთხელად  
ხარბად იხრჩობოდა ლამაზთან ვნებაში.

მაგრამ დედოფალი ვაჟს ძვირად ეგება:  
ტანზე შეხმა და თვალები აელამა.

**ხ მ ე ბ ი:** და სხვასთან არ შეცდა?!

**ო თ ა რ:** ლამაზი იყო ყმაწვილის ძმის ქვრივი.  
ელალთვალეზიანი და წაბლისფერთმიანი,  
ათქვირებული და ტანით კვრივი.  
მაზლს ეტმასნებოდა ის სხეულმზიანი.  
მონადირეც გრძნობდა ატეხილ ცდენას.  
და ბეწვზე აკავებდა განზომილ თმენას.  
მაგრამ როდემდის?! ერთხელაც სადამოს,  
როს ტანი მოელბო და ნება მოედუნა —  
მიეცა ყმაწვილი ცდუნებას საამოს  
და რძალს ახურებულს სურვილით მიედნო.  
უთუოდ ტკბილი იყო ხვევნა და ზმანება:  
ყმაწვილს გულში რომ არ იყო დანანება.

**ხ მ ე ბ ი:** და მერე და მერე?!

**ო თ ა რ:** მონადირემ უკლო ტყეველად სიარულს.  
ძვირად აფიქრებდა ჯიხვი ნათოფარი.  
რძალთან ატარებდა დროს იგი მხიარულს  
მაგრამ ხსოვნას წვაედა ტყის დედოფალი.  
უეცრათ გაემართა იგი სანადიროთა  
და წინ შეშოეყარა მას შველი პირნოთა.

**ხ მ ე ბ ი:** შველი პირნოთა?!

**ო თ ა რ:** შუბლზე აქვს ახატული ნამგალა მთვარე.  
ჩლიქებს უკოცნიან ყვითელი ქვიშანი.  
მას ელის მონადირე როცა მარტო არი:  
იგია მისთვის საბედო ნიშანი.  
უხარის ხატულასთვის კორდი და მდელიცა.  
და გულში მისი აქვს დაცვა და შელოცვა.

**ხ მ ე ბ ი:** და მერე და მერე?!

**ო თ ა რ:** და გაჰყვა მონადირე პირნოთას ტყისაკენ  
რადაც უჩვეულო გუმანში გართული.  
უეცრათ დაინახა ქათქათა რიყეზე  
ტიტველი მუხლები თეთრად გაშვართული.  
ეს იყო დედოფალი. გაფითრდა ყმაწვილი.  
ლამაზი აილესა. დაგესლა გუნება.  
უთხრა: მოკვდავ ქალში თუ რისთვის გამცვალე.

ეხლა მე გიჩვენებ თუ რაა ცდუნება.  
თან კლდეზე აიყვანა მალლა მონადირე.  
შუცხოდ უღიმოდა მაცდური ღიმილით.  
გული მოიჭერა რომ ბევრი ატირა  
და ტევრში გადაეშვა ავხორცი კივილით.

**ხ მ ე ბ ი:** ქვრივმა რალა ქნა?

**ო თ ა რ:** დანადვლიანდა ქვრივი ჟღალთვალება.  
ალარ უღიმოდა პირი მომცინარეს.  
საყვარლის საქებრად შეჰკრიბა ქალები.  
და ტივით გაუდგა შაველა მდინარეს.  
დაბურულ ქიმთან გაისმა ძახილი.  
შუა ღამე იყო თეთრად გამთვარული.  
და რა გაიგინეს იქ ქვრივის სახელი  
ტივი შეაჩერეს და გამართეს არული.  
ყმაწვილსა მოედო შეხვედრის ალი და  
თითქო მოთმინებას მახვილი დაესო:  
მოისწყდა უბედური ციცაბო ნაპრალიდან  
და ტივზე ქალის წინ უსულოდ დაეცა.  
გულში ჩაეხვია რძალი ჟღალთვალება.  
შეჰკივლა მთოვარეს შუქთა მომფინარეს.  
უკან გაისტუმრა დობილი ქალები.  
თვითონ კი ტივით გაუდგა მდინარეს.  
ამბობენ: რისხვა ქვრივს არ ეცილება.  
დაეძებს დედოფალს რომ ჩასცეს მახვილი.  
თუ შეხვდნენ ერთმანეთს ტან ალესილები  
ზღაპარი იქნება უთუოდ ახალი.

სპექტაკლს არ დავსწრებივარ იმ უბრალო მიზეზის გამო,  
რომ მაშინ ათი წლისა ვიყავი. უფრო გვიან კი, 1929 წელს მე  
რუსთაველის სახელმწიფო თეატრში, ამიერკავკასიის მწერალ-  
თა პირველ ყრილობაზე მოვისმინე გრიგოლ რობაქიძის ორა-  
ტორული ნიჭით გაბრწყინებული ამიერკავკასიის ხალხები-  
სადმი მიძღვნილი ჯადოქრული სიტყვა, ხოლო „ღამარა“ —  
თეატრალური ხელოვნების ეს საოცრება — რაოდენჯერმე ვნა-  
ხე. „ლონდას“ შესახებ წარმოდგენა რომ შეგვექმნას, იმ თვით-  
მხილველთა, ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური  
რეცენზიებიდან მოვიტანთ ფრანგმენტებს, რომელთაც დღემ-  
დის ტაბუ ჰქონდა დადებული. აქ კი უპირველესს ყოვლისა

თვით ყანწელებს უნდა დავესესხო, რადგან ყანწელები ყველაზე უფრო თავგამოდებით იცავდნენ ქართული თეატრის დიდ რეფორმატორებს კოტე მარჯანიშვილსა და ალექსანდრე ახმეტელს და საერთოდ „დურუჯელებს“, ამავე დროს ცისფერყანწელების მოძღვართმოძღვარი იყო გრიგოლ რობაქიძე. ამ ორდენის ყველა ეჭურნალის ყველა ნომერი: „ცისფერი ყანწები“, „მეოცნებე ნიამორები“, „შვილდოსანი“ გრიგოლ რობაქიძის ლექსებით იხსენება. ასევე უხვადაა წარმოდგენილი ყანწელების გაზეთებში „ბარიკადში“ და „რუბიკონში“ გრ. რობაქიძის ესეები და ლექსები. ქართული მწერლობისა და აზროვნების მეტრად გრიგოლ რობაქიძე გამოაცხადეს: მან „აქვს თავის ფანტასმაგორია და მისტიკა დიდების, რომაული პროფილი. იგი დაჯერებული სიმბოლისტია“, წერდა ტიცინ ტაბიძე (იხ. მეოცნებე ნიამორები“, № 6, 1921 წ.). ეს თვალსაზრისი უფრო გააღრმავა „ლონდასადმი“ მიძღვნილ სტატი-აში.

„გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და შემოქმედება — არის ცხოვრება წმიდანის. ასეთ პიროვნებაზე იწერებოდა წინათ „ცხოვრება წმიდათა“, რომლის საუკეთესო ნაშთადაც დარჩენილია გიორგი მერჩულის „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელი-სა“. მე ვამზადებ წიგნს „გრიგოლ რობაქიძე — აპოლოგია“, რომლის შესახებ ვიტყვი, მხოლოდ რომ იქ არის 27 ტენისი. ამიტომ ვერიდები საგაზეთო წერილის დაწერას, მაგრამ დღეს მე მინდა ვსთქვა, ჩემი სიტყვა „ლონდა“-ზე...

რუსთაველის თეატრი: 27 თებერვალი  
დადგმა კოტე მარჯანიშვილის.

ამ დღეს რუსთაველის თეატრი არ გავდა თავის თავს. ჩვენ თითქო მივეჩვიეთ თეატრში არ ველოდით ნამდვილ დღესასწაულს, მაგრამ კოტე მარჯანიშვილის მაგიური ხელი ჩვენ თვალის წინ ახდენს სასწაულს სასწაულზე. „ცხვრის წყარო“-ს დადგმა მართალია იყო თავის დამაბრუებელი გამარჯვება რეჟისორის და ქართველი არტისტების — მაგრამ სულმოკლე ფილისტერები მაინც უმატებდნენ: ნუ დაივიწყებთ, რომ ის-პანია ლოპედევეგას თავისთავად იძლევა ფერადების და ტემპერამენტის გამარჯვებასო.

27 თებერვალს რუსთაველის თეატრში წარმოდგენ ქარ-

თველი დრამატურგი, რეჟისორი და არტისტები საკუთარი შე-  
მოქმედებით.

მართალია გრიგოლ რობაქიძის „ლონდა“ შარშან იყო რუ-  
სულ სცენაზე დადგმული და დიდათაც გაიმარჯვა, მაგრამ ქარ-  
თველი საზოგადოებაც ამ ღამეს ამ სასწაულის მოლოდინით  
მოვიდა თეატრში. ქართულ თეატრს მართლა არ ახსოვს ჯერ  
ამდენი ხალხი თეატრში და უფრო ბევრი კიდევ უკან დაბ-  
რუნდა.

ყველას ინტრიგას იწვევდა გრიგოლ რობაქიძე და კოტე  
მარჯანიშვილი.

და უნდა ითქვას მართალი, რომ ამ დღეს მოხდა თვალის  
ჭხელა ხალხის, ქართველი საზოგადოება ერთხელ კიდევ დარ-  
წმუნდა, რომ ჩვენ დღეშიც შესაძლებელია სასწაული. მარ-  
თალია ვისაც ახსოვს შარშანდელი და წრევანდელი სეზონი  
კოტე მარჯანიშვილამდე თავის თავს არ უჯერის რომ შეიძ-  
ლება ასე ზღაპრული გარდაქმნა და გამარჯვება. გადაიხადა  
ფზარდა და მოსჩანს თვალის დამაბრმავებელი მზის ფონი. მხა-  
ტვარ ირაკლი გამრეკელს, რომელიც ჯერ კიდევ ყრმაა, არ და-  
უზოგავს თავი; მისი დეკორაციები თითქო პავლე კუზნეცო-  
ვის დაწერილია, თვალს სჭრის მზის ელვარება, საღებავების  
გადასავალი — ეს თითქო მართლა ცხოვრებაა შექმნის მე-  
ორე დღეს.

შესავალი მისტერიის მოცემულია და როგორც ორგანი-  
რეკავს „ლონდას“-ს გაჭედილი სიტყვა. აღსანიშნავია, რომ  
ამ დღეს რამდენიმე ახალგაზრდა არტისტი სცდიდა თავის  
თავს და დებიუტი ბენეფისად გადაიქციეს.

მშვენიერი იყო აკაკი ვასაძე მეგოსანი ოთარის როლში, შე-  
უღარებელი გიორგი დავითაშვილი ბატონიშვილის თამაზის  
ამსრულებელი, მფე ხორავას ისეთი ხმა აღმოაჩნდა, რომ მარ-  
ტო ამის აღმოჩენა გაამართლებდა ერთ წარმოდგენას. ჩვენ  
გულს სიხარული ავსებს იმის აღნიშვნით, რომ კოტე მარჯა-  
ნიშვილი ამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას უხსნის გზას და სამუ-  
დამოთ უტოვებს თეატრს.

მასიურ სცენებში ერჩევიან: „ვ. ჭიქია, ნ. გვარაძე, ვ. ირა-  
ბიძე, ქურუმთა ქურუმის როლში ახალგაზრდა მსახიობი ღამ-  
ხაშიძე, მოამბე დავით ჩხეიძე. ქადაგი პ. კორიშელი. წარმოდ-  
გენა ისე ტემპით მიდის, რომ თვალი ვერ იჭერს დეტალებს —

ყველაფერი გადადის ერთ მოჭრილ ლოდის გადავარდნაში. მაგრამ გვირგვინი წარმოდგენის იყო ლონდა — ქ-ხი ელენე დონაური ვაჩნაძე. მართალია ლონდას როლი მისტერიაში არ არის მთავარი როლი, მაგრამ პიესის დადგმას აქამდე უშლიდა, რომ ლონდა არ იყო ქართულ სცენაზე.

ავტორმა და რეჟისორმა თავიანთი არჩევანი ე. ვაჩნაძეზე გააჩერეს და არჩევანი გამოდგა დიდებული. ლონდა რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის თქმით არის მზის ჭურჭელი. აქ ყველაფერია ქალისტანი და ტემპერამენტი. ამიტომ იყო, რომ ნიკიშის ხელის დაქნევის მაგიით თეატრი დაიპყრო ვაჩნაძის ქალობა. ოქროს თემები, რომელიც გადადის ცეცხლში, და ზღაპრული ალის ტანის სითეთრე და მოყვანილობა ჰქმნიდა ამ შინაგან მუსიკას, რომელსაც არ სჭირდება სიტყვა. პირადათ მე თითქო ამ დამეს ვხედავდი ალისა კოონენს, რომელსაც მარიუს პეტიპას შემდეგ ღმერთი ასწავლიდა გიმნასტიკას და კაპრიზს.

ელენე დონაური ვაჩნაძე ჰქმნიდა ამ ილუზიას. ლონდა ამ დამეს მოკვეთილი იყო როგორც ხოზე მარია ერედიას სონეტი. კოტე მარჯანიშვილზე რა უნდა ითქვას...

აქ კონგენიალურად შეხვდნენ ერთმანეთს ავტორი და რეჟისორი...

განუმეორებელია ის წამი, როცა ლონდა ჭურუმის მოთხოვნით უნდა შეეწიროს მსხვერპლად, როცა ვერც ერთი ახალგაზრდა ვერ ასრულებს დავალებას და ფეხქვეშ უვარდება ლონდას, დაბრმავებული სილამაზით, როცა თვითონ თამაზი მიდის თავის მკვლელობისათვის. ამ ცერემონიალს წინ უძღვის სვანური მზის ჰიმნი „ლილე“, რომელსაც იმეორებდა ვლადიმერ სოლოვიოვი, რომელიც იყო გატაცებული ამ გენიალურ მზის ათვისებით და რომელიც მელიტონ ბალანჩივაძედან იცნობდა ამ ჰიმნს. აქ რომ ორკესტრი ყოფილიყო და და უცრო მეტი ხალხი, სცენაზე მომღერალი თეატრი ჟრუანტელით გატყდებოდა.

პირადად მე რაც უნდა ზედმეტად არ მიმაჩნდეს ჩემი შენიშვნა კოტე მარჯანიშვილისადმი, დაუმატებდი, რომ საზოგადოთ წარმოდგენა მოიგებდა, რომ მასიურ სცენებს მეტი ყუადრადლება ჰქონოდა მიქცეული და სცენაზე მეტი ხალხი ყოფილიყო, განსაკუთრებით ქალები...

არ შეიძლებოდა ორკესტრის მოხსნა. „ლილე“ უორკესტროთ ჰკარგავს თავის ნახევარ სიდიადეს. რამდენადაც მე შევაძინე, ხალხზე ამ წარმოდგენამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თითქო მოულოდნელად ზვავი დაეცა თავზე — აქ ვერ ბედავდენ უარყოფის სიტყვის თქმას, ისინიც ვინც ამისთვის იყვენ მოსული თეატრში...

ამ ღამეს ისეთი შთაბეჭდილება იყო თითქო ვილაც პირანდოზზე უფრო ფანტასტიურმა არქიტექტორმა რუსთაველის თეატრი გადაიტანა პარიზში, ისე არ გავდა ეს კამერული დადგმა ტფილისის ცნობილ დადგმებს.

კოტე მარჯანიშვილისათვის კომპლიმენტი არ იქნებოდა იმის თქმა, რომ მან თეატრის ისტორიაში საზოგადოთ შექქმნა თავის პერიოდი, მისგან გამოდის საუკეთესო რუსული კამერის თეატრი, რომელიც ეხლა მბრძანებლობს რუსეთში, მაგრამ უნდა ითქვას მთელი პასუხისმგებლობით, რომ კოტე მარჯანიშვილმა არათუ პერიოდი შექქმნა ქართულ თეატრში, პირდაპირ იხსნა ეს თეატრი სიკვდილისაგან. ეს არის უდიდესი ეროვნული საქმე, რომელიც ჩვენ მოსწრებაში ვისმეს გაუყვთებია. და აქ ის მართლა გამოდის ეროვნულ გმირის როლში... ტიცინ ტაბიძე („რუბიკონი“ № 7, 1923 წელი).

„...ტყვილად არ ჰქვია ამ პიესას მისტერიის სახელი: „ლონდა“. თავიდან ბოლომდის გამართლებულია, როგორც მისტერია მხოლოდ და იმას არ მოეთხოვება ის რაც სავალდებულოა „უანრიულ“ დრამისათვის.

პიესაში არის მომენტები უმაღლესი სილამაზის, თუმცა პიესაში არ არის არც ერთი ვულგარული ხაზი: ლონდა უკვე გამეტებული სიკვდილისათვის — მღვდელ მსახურებს მიჰყავთ ანთებულ სანთლებით უფსკრულისაკენ — ეს სამგლოვიარო კორტეჟი საშინელია და მშვენიერი.

...არის ერთი მომენტი, სადაც მარჯანიშვილის რეჟისორული ფანტაზია და ინტელექტი გენიალურია: ეს ის მომენტია როდესაც ლონდა მაღალი კიბით მიჰყავთ სასჯელის ადგილისაკენ. თითქო ანგელოსებს მიჰყავთ ლონდა სამოთხის მაღალ ბალებში. აქ კ. მარჯანიშვილმა თითქოს აისრულა თავისი ნატურა: თავის წერილში „ლონდაზე“ ის ნატრობდა, რატომ გრიგოლ რობაქიძემ არ აისროლა მზის უფსკრულში ლონდა და გაიმეტა ის მიწის უფსკრულისათვის.

ლილეს სიმღერა, როდესაც ლონდას სანთლებით მიაცილებენ, არის მომენტი დაუვიწყარი და დიდი მშვენიერების. მტკიცება, რომ „ლონდა“ გრანდიოზული მისტერიაა, რომელიც, უარყოფს ყოველდღიურობის ნირვანას.

უნდა ვიყოთ ღირსი ამ მისტერიის, უნდა ვიყოთ ღირსი ლონდას მსხვერპლის“. ვალერიან გაფრინდაშვილი („რუბიკონი“, № 7, 1923 წელი).

„...„ლონდა“ არის რევოლუცია ქართულ მეტად მქლე დრამატურგიაში (არის გამონაკლისები) რევოლუციისათვის საჭიროა დიდი ცეცხლი, და ახალი შეგზნება ნავთის. აუცილებელია ახალი ხაზების დაჭერა ეს კი ქართულ თეატრს არ შეეძლო.

თითქოს განგებით ელოდა „ლონდა“ მარჯანიშვილის დიდ ტემპერამენტს. ერთმანეთს შეხედეს ორი დიდი არტისტი სიტყვის, და რიტმის ორი დიდი მესაიდუმლე“. შალვა აფხაიძე („რუბიკონი“ № 5, 1923 წელი).

ჩვენი წერილი უნდა დავასრულოთ გამოჩენილი ეროვნული მოღვაწისა, მწერლისა და მეცნიერის პავლე ინგოროყვანს ესეით:

„ყოველივე რაც ითქმის ადამიანზე, თუ კი არ არის მასში მიკერძოება სიყვარულის, არ არის ღირსი ყურადღებისა.

გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის ჩემი დიდი სიყვარული, მაგრამ გრიგოლ რობაქიძის შესახებ არ არის საჭირო მიკერძოება, რადგან მისი სახელით ლაპარაკობს თითონ პოეზია.

უცნაურია ბედი გრიგოლ რობაქიძის — პოეტის.

გრიგოლ რობაქიძე თავიდანვე მიღებულ იქნა საქართველოში როგორც მოაზროვნე, როგორც ესთეტი, როგორც ორატორი. მაგრამ ძვირად თუ ვინმე აფასებს, რომ გრიგოლ რობაქიძე ყოვლის უწინარეს არის დიდი პოეტი...

იგი თავისი ხედვით ზომავს საუკუნეებს. ხოლო თანამედროვე პოეზიამ იგი აღიარა როგორც თავისი მეტრი.

ქართულ პოეზიაში არ არის მეორე, რომელსაც ჰქონდეს ასეთი მძაფრი, და ამავე დროს ასეთი უცთომელი გზნება ქართული სიტყვის. გრიგოლ რობაქიძის სიტყვაში თითქოს გაიხსნა პირველი სათავე, პირვანდელი წყაროსთვალა ქართული მეტყველების. მასში განახლდა ბებერი თესლი ქართული



სიტყვის. გრიგოლ რობაქიძის ქართული არის აღსავსე პირ-  
ვანდელი სიქალწულით.

გრიგოლ რობაქიძე არ მიდის სიტყვასთან როგორც არტის-  
ტი, არამედ იგი თვით გამოდის სიტყვიდან როგორც რიტმი,  
და როგორც პოეტი.

გრიგოლ რობაქიძის პოეზიაში არის ახალი და განუმეორე-  
ბელი მიმღეობა მსოფლიოსი.

მე ცოტა მეგულება მთელს თანამედროვე პოეზიაში ისე-  
თი შთაგონებული ლექსი, როგორც არის „ორლობის ეშა-  
ფოტი“. აქ არის პატმოსის ხილვა. ამ ლექსის ეპილეპტიური  
რიტმის რხევაში იბადება ნამდვილი ჩვენება აპოკალიპსის  
მეწამული ცხენების.

ან მისი ლექსები მზის ციკლის: აქ არის მოცემული განუ-  
მეორებელი მზისა, როგორც ცეცხლოვანი დრაკონის.

ან „ტფილისის ხერხემალი“. ეს შეუდარებელი ორატორი-  
უმი ისეთივე მონუმენტალური ძეგლია ქართული პოეზიისა,  
როგორც არის რუსულ პოეზიაში პუშკინის „სპილენძის  
მხედარი“. აქ არის უკანასკნელი თავის — დადგინება ქართუ-  
ლი ეროვნული იდეისა.

ან მისტიური ხორალები: „მიწის სჯული“, „წმინდა ნინო“.  
აქ გამოჭრილია ვაზის ნასხლევიდან ჭვარი, და ცხელი ჭრილო-  
ბა შეხვეულია ქალწულის თმებით.

ეს სასიყვარულო იწვევს შთაგონებას...

აღვნიშნავ შემდეგსაც:

გრიგოლ რობაქიძეში ჩემს გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ  
მან სძლია საბედისწერო სიბერწეს ქართული გენიისა. გრი-  
გოლ რობაქიძე ახალი ქართული პოეზიის ფალანგაში არის  
ყველაზე ხმოვანი. მაგრამ როდესაც მასზე უფრო ახალგაზრდა-  
ნი ჩვენში იწვევენ ზოგჯერ შიშს, რომ ისინი შესაძლოა ამ-  
თავრებენ კიდევ თავიანთ ციკლს, გრიგოლ რობაქიძე გვევ-  
ლინება როგორც ახალი რქა-ნაყარი ვენახი.

გრიგოლ რობაქიძე შთაგონების ავსილობით არის ყველა-  
ზე ახალგაზრდა პოეტი ჩვენი თაობის, და იგი ყველაზე მეტს  
მოულოდნელობას ფარავს თვის შინაგან და მე მჯერა რომ  
მისი შემოქმედების „დიდი შუადღე“ ჯერ კიდევ წინ არის...

საუბარი გრიგოლ რობაქიძეზე დიდ პასუხისგებას შეიცავს.  
ეს ნიშნავს გადააფასო ბევრი სახელები და ბევრი ღირებულე-

ბა. მე კიდევ ვიტოვებ სიტყვას გრიგოლ რობაქიძეზე. და ეს შემთხვევითი სტრიქონები იყოს პროლოგი ამ სიტყვის“.



შალვა აფხაიძე კეთილმოსურნე და უღალატო კაცი იყო განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა გიორგი ლეონიძე, მაგრამ ამას არასოდეს ხაზს არ უსვამდა და არც გოგლასაგან საპასუხო საზღაურს ითხოვდა. მას კარგად ესმოდა თავისი ადგილი და მოვალეობა იმ დიდ ეროვნულ შტაბში, რომელსაც მწერალთა. კავშირი ქვია. 1952-53 წლებში მეტად რთულ ატმოსფეროში გვიხდებოდა მუშაობა. 1954 წლიდან საოცრად შეიცვალა ვითარება. ამას მოჰყვა პაოლო იაშვილისა, მიხეილ ჭავჭავიძის და ტიციან ტაბიძის რეაბილიტაცია. ამის მიხედვით მოხდა ცისფერყანწელთა კორპორაციის ლეგალიზაცია. მანამდის ცისფერყანწელებს ტაბუ ჰქონდათ დადებული. მე მახსოვს, როდესაც ერთად შევიკრიბებოდით სანადიმოდ და ჩვენს შორის იყო გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, არ შეიძლებოდა ეს მეგობრული შეხვედრა ისე დამთავრებულყო, რომ შალვა აფხაიძე არ ამდგარიყო და არ ეთქვა სადღეგრძელო, „ეს „მათ“ გაუმარჯოს“, „მათ“ ყანწელების მეთაურების — პაოლოსა და ტიციანის „პაროლი“ იყო, ჩემთვის უკვე განდობილი. და ფეხზე აღგომით ვსვამდით ამ სადღეგრძელოს. ისე კი, „მათი“ სახელის და გვარის მოხსენიებას ვერიდებოდით. თუმცა საოცრად მაინტერესებდა ლეგენდად გასული მათი სახელის ყოველი დეტალი. და აი ტაბუ აეხსნა ყანწელებს და მათ ბელადებს პაოლოსა და ტიციანს. იმ დღეს სწორედ ამას მოყვა ეს დიალოგი: — დიდი ამბავი მოხდა, — მღელვარებით ამბობდა შალვა, — გაცოცხლდნენ, ხელმეორედ დაიბადნენ ქართულ მწერლობის ეს დიდებული სამება: მიხეილ ჭავჭავიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი...

— საოცრებაა, სწორედ, რომ საოცრებაა ჩვენ დროში მეორედ დაიბადნენ ეს მწერლები, ქართული სიტყვის ეს ბრწყინვალე ოსტატები, დიდებული მამულიშვილები. მეც დღეს ვარ გაბრუებული ყოველივე ამით, რომ მგონია მათთან ერთად ხელმეორედ მოვედი ამ ქვეყანაზე. საქმე ისაა, რომ

ისინი დიდი მწერლები იყვნენ. ისინი, განსაკუთრებით, პაოლო და ტიციანი ჩემი სულიერი ძმები იყვნენ. ჩვენ განუყრელი ვიყავით მწერლობაშიაც და ოჯახებითაც. ნამდვილი ძმები, პო, როგორ დამაკლდნენ მე ისინი, — ესა თქვა და ცრემლები მოერია, რითაც ვისარგებლე და ვკითხე ბატონ შალვას, — როდის შეხვდით, როდის დაუახლოვდით პაოლოსა და ტიციანს?

— მე ქუთაისის გიმნაზიაში ვსწავლობდი (იგი 1913 წელს დავამთავრე), ქუთაისი იმ დროს ტონს აძლევდა მთელს საქართველოს. ქუთაისი ეროვნული და რევოლუციონური მოძრაობის ცენტრი გახდა... ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები ილიას სიკვდილის შემდეგ აქ აკაკის გარშემო დაირაზმნენ. ეწყობოდა ლიტერატურული და თეატრალური საღამოები. ამ საღამოების მონაწილენი იყვნენ აკაკი, ვაჟა-ფშაველა, იროდიონ ევდოშვილი, ლადო მესხიშვილი, ნოე ჩხიკვაძე, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე. აკაკისა და ვაჟას სიკვდილის შემდეგ ცისფერყანწელები ჩაუდგნენ სათავეში ახალ ლიტერატურულ მოძრაობას, ეს იყო 1915 წელი. მე მაშინ პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, ჩემთან ერთად იყო სანდრო ცირეკიძე და ბესო ჟღენტის ძმა, გიორგი. მივიღეთ ცნობა, ქუთაისში ახალი ლიტერატურული ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ გამოვიდაო. ცისფერყანწელების გამოსვლას დაუფარავი სიხარულით შევხვდით, სამწუხაროდ სწორედ იმ წელს პეტერბურგის ჰავა ვერ აიტანა და გიორგი ჟღენტი გარდაიცვალა, პეტერბურგიდან კიევის უნივერსიტეტში გადავიდა სანდრო ცირეკიძე, დავრჩი მარტო. პეტერბურგში ყოფნისას გატაცებით ვკთხულობდი ბლოკს, ბალმონტს, ბრიუსოვს, ასე რომ, მე ერთგვარად მომზადებული შევხვდი მშობლიურ ქვეყანაში ახალ პოეტურ სკოლას.

1917 წელს პეტერბურგიდან ქუთაისს დავბრუნდი. და პირადად გავიცანი პაოლო იაშვილი, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ვიცნობდი და სიხარულით შევხვდი სანდრო ცირეკიძეს. სანდრო ცირეკიძემ და ვალერიან გაფრინდაშვილმა მომიწვიეს მათ მიერ 1918 წელს დაარსებულ სიმბოლისტური ჟურნალში. — „მეოცნებე ნიამორები“. ვეხმარებოდი მათ ჟურნალისათვის სარედაქციო

მასალების მომზადებაში. არსებითად აქვე ავიდგი ფეხი მწერლობაში. ქუთაისში რომ ჩამოვედი, ცისფერყანწელების პირველი ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ უკვე გამოცემული იყო და სასტიკი დისკუსია მიმდინარეობდა. ერთნი აქებდნენ, მეორენი კი, უფრო დიდი ნაწილი საზოგადოებისა, ოპოზიციაში ედგა ცისფერყანწელების ჯგუფს. მე მათ ბარიკადებზე უყოყმანოდ დავდექი, რადგან ჩემს სულში სიმბოლიზმის „ბოროტმა ყვავილმა“, იქ იმ შორეულ პეტერბურგში იყავილა. ყანწელებმა შემითვისეს და ვალერიან გაფრინდაშვილის წინადადებით ამ კორპორაციის მდივნად ამირჩიეს. ხოლო ჩემი პირველი სტატია „მეოცნებე ნიამორების“ პირველსავე ნომერში დაიბეჭდა. მე ამ სტატიაში ვამტკიცებდი, რომ ჩვენში ნოყიერი ნიადაგია სიმბოლიზმისათვის. აი, რას ვწერდი მე ამ წერილში — „ქართული პოეზიის პერსპექტივები“ — „საქართველომ ნახა თავისი თავი და პოლიტიკურ აღორძინებასთან ერთად დაიწყო ქართული ხელოვნების რენესანსიც. საქართველომ უნდა დაიმკვიდროს თავის თავი კულტურულად. შემთხვევით არაა, რომ განთავისუფლებულ საქართველოში ხელოვნების რენესანსის სადავე ახალმა სკოლამ — სიმბოლიზმმა დაიკავა ხელში. უნივერსალურად განვითარებული საქართველოს რუსთაველის მოწყვეტილმა სიტყვამ დააგვირგვინა. ასეთივე გვირგვინით უნდა შეამკოს განთავისუფლებული საქართველო ახალმა სკოლამ — სიმბოლიზმმა. რუსთაველის სიტყვა ასახავდა ორ ქვეყანას, ორ აზრს. ასეთი იქნება ახალი სიტყვაც... ჩვენ გვწამს საქართველოს მესიანიზმი: შედუღება დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურისა. მიმქრალი იყო ეს იდეა... მართალია სიმბოლიზმი პირველად დასავლეთიდან შემოვიდა ჩვენში, მაგრამ მის უმაღლეს განვითარებისათვის არსად არ არის ნიადაგი მზათ ისე, როგორც ჩვენში. აქ უკვე გაჟღენთილია ჰაერი სიმბოლიური შემოქმედების ელემენტებით: აღმოსავლეთის თვალუწვდენი მისტიციზმი, ჰაერში გაფანტული სახეები, სპარსეთიდან მოტანილი ფერები და მეტყველი ხმები. დღეს ჩვენში არის უკვე ორი პოლიუსი ერთი დასაწყისის.

პაოლო იაშვილში ახმაურდა ხალიჩიანი აღმოსავლეთი: გაბედულ მეტაფორებით, თვალმჭრელ კონტრასტებით. პაოლო იაშვილის პოეზია მშვენიერი მოზაიკაა ძვირფას ქვებით, ფე-

რების ჩრდილებით და ხმებით მოკაზმული. პაოლოს ტრიო-  
ლეტებში განთბარ სიტყვებით იკივლა აღმოსავლეთმა. მეორე  
მხრით დასავლეთიც ვალერიან გაფრინდაშვილში, თავისი შე-  
უზღუდველი ფანტასტიკით, ინდივიდუალიზაციის ავთომყო-  
ფობით, შეშინებულ სახეებით. გაფრინდაშვილის პოეზია  
დორიული ტაძარია გამოზომილ, ამაყი არხიტექტონიკით. მის-  
თვის საყვარელია სიტყვის არა ნამდვილი, არამედ შესაძლე-  
ბელი, ინტიმური აზრი. უნდა მოხდეს ამ ორ პოლიუსის შეხ-  
ვედრა. ამ ორმა მსოფლმხედველობამ უნდა იქორწილოს ერთ  
ტაძარში. მეთორმეტე საუკუნემ ეს შესძლო. უნდა შესძლოს  
განახლებულმა საქართველომ. ქართული ხელოვნება ნაცადი  
გზით წავა. სიმბოლიზმი ამაყი სიტყვით შეადუღებს ჩვენში  
პაოლო იაშვილის კერპთაყვანისცემის პანტეიზმს და ვალე-  
რიან გაფრინდაშვილის ქრისტიანულ სიღრმეს. და თუ მარ-  
თლაც დადლილ დასავლეთს ეჭირვება გადახალისება აღმოსავ-  
ლეთის მისტიციზმით და მაგიურ ქვებით, ამას შესძლებს უექ-  
ველად გამოცდილი დოსტოქარი — საქართველო. ამ მიზნი-  
საკენ წავა ჩვენში აჩქარებულ ტემპით ცხოვრების მიერ გა-  
მართლებული სიმბოლიზმი“...

შალვას ხელთ ჰქონდა „მეოცნებე ნიამორების“ მთელი კომ-  
პლექსი და ახლა ამ უურნალის მეორე ნომერში დაბეჭდილ  
მის წერილს მიკითხავდა. კითხვა რომ მოამთავრა, მე შევე-  
სიტყვე — იგივე აზრი ხომ ლექსად აქვს გამოთქმული ტიცი-  
ანსა და გოგლას-მეთქი: — „ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის  
ბოროტ ყვავილებს“ — „არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად  
ჩახუტებულს მადგამენ გვირგვინს თეიმურაზი და ჭავ-  
ჭავაძე“...

— საქმე ისაა, რომ ჩვენ, ცისფერყანწელები, ჩვენს წე-  
რილებსა და ლექსებში თავგამოდებით ვიცავდით ამ ერთიან  
სიმბოლისტურ პოზიციას. დიახ, წერილებშიაც და ლექსებ-  
შიაც, დისპუტებშიაც და კრებებშიაც. ჩემი პირველი ლექსიც  
სწორედ ყანწელების სიმბოლისტური მოდელითაა დაწერილი.  
აი ეს ლექსიც:

ნომპარა თვალი შენმა ხილვამ. გშენის ამარტი,  
დათენთილ მკლავებს გიდარაჯებს ცხრა ჭავიარი,  
და ბოლოს კისერს აფერადებს ქარვის შაირი.  
მე კი თითებზე ვითელი თვეებს: მაიაი, მარტი.  
ვიტყვი ხანდახან, რათ არა ვარ მე ბონაპარტი,  
რომ ყოზეფინას გითავაზო ცელქი დაირი,  
ჩაგაცვა კაბა: შავი, ლურჯი ან სხვა ნაირი.  
შენ გასართობად მუქ ხავერდზე გაეშალო კარტი?  
და მიწვევს ლოცვად ცრემლნარევი შენი პროფილი,  
მისი შეხედვით მე ყოველთვის ვარ კმაყოფილი.  
თუ აბნეე სიცილს ჩემთვის, მაშინ კარგი დარია.  
გიშრის თვალებით კრძალვით ვამსხვრევ ღამეს მთვარიანს,  
შენ სადიდებლად ვწერ სონეტებს ნახს და ქარვიანს!  
შენი პიერო მომიგონე, წმინდა Maria!

მე ეს მოტივი — წმინდაო მარია, რომელიც ქართველ სიმბოლისტების საყვარელი პოეტური ხატი იყო — გავაგრძელე მეორე ლექსშიაც, რომელიც „მეოცნებე ნიამორების“ მეორე ნომერში დაიბეჭდა („თეთრი საღამო“). ეს ლექსიც უნდა წაგიკითხოთ, რომ დარწმუნდეთ, თუ როგორ პირწმინდათ ვიცავდი მე ცისფერყანწელების ორდენის პოეტიკას.

მე შენ ნახ სურათს, მოფერებით, წმინდა Maria,  
ვატარებ ყველგან ავთამყოფი — ჩუმი დიდებით.  
თითქოს კვითინებს იღუმალი თეთრი არია  
სათუთ ჩარჩოში, მე პიერო, რომ ვაკვირდები.  
ჩემი ოცნება შენ მორცხვ ცრემლებს დაედევნება  
და უცაბედად წამომცდება „ახ, ჩემო Madame  
მოჩვენებაა ეს სიყვითლე, თუ მკრთალი ვნება?  
მე შენი ცქერით დავითვრები როგორც თამადა.  
გავიხმობ ცალკე შენ თალს თვალებს ძვირფას ლორნეტით,  
თეთრი დუელი სამუდამოდ გაიმართება,  
იო ვიცი რომელს წაგვიღებენ ცისფერი ეტლით...

— არა, მე ერთგული ჭარისკაცი ვიყავ ქართველი სიმბოლისტების — ცისფერყანწელებისა. მათი ძმა და თანამეაბჯრე, თანმიმდევრულად ვიცავდი მათ თავგანწირულ ბრძოლას ქართული ლექსის მაღალი კულტურისათვის, პრიმიტივიზმისა, შტამპისა და შაბლონისაგან ქართული სიტყვის განთავისუფლების თეორიას. ამ მხრივ ჩვენ საოცრად თანმიმდევრული პო-

ზიციით, ძმობით და ერთგულებით ვიყავით შეკრული. ქუთაისში დაირწა ჩვენი, ქართველი სიმბოლისტების აკვანი. მერე თბილისში გადმოვიდნენ პაოლო, ტიციანი... მე მათ გადმოვეყევი. ქუთაისში დარჩნენ ვალერიან და სანდრო ცირეკიძე. უფრო კი სანდრო, ვალერიანი კი ხან აქ იყო თბილისში და ხან ქუთაისში. სანდრო კი თითქმის ბოლომდე დარჩა ქუთაისში და იქიდან განაგებდა ჩვენი ჟურნალებისა და წიგნების გამოცემას. სწორედ მისი მეოხებით გამოვიდა ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“. კოლაუ ნადირაძის „ბალდახინი“, „ახალი პოეზიის ანთოლოგია“, „მალარმე. პროზა და პოეზია“ ქართულად. ჟურნალები „მეოცნებე ნიამორები“ და „შვილდოსანი“ და სხვა. სანდრო ცირეკიძე საოცრად უანგარო კაცი იყო, სწორედ მან გამოსცა პირველი სიმბოლისტური მინიატურები „მთვარეული“. სანდრო იყო ჩვენი სათაყვანებელი მეგობარი, თბილისში გადმოსული ცისფერ ყანწელების ორდენის საფიციარ ძმად დარჩა იგი ბოლომდის. 1921 წელს მე ლექსით მივმართე მას — „წერილი სანდროს თბილისიდან“:

ძველი ხატების დიდ მინანქრებში  
 კვდება თბილისი ქაროლის დიდება.  
 და მოგონებას ქვების ნამქერში  
 ჩემი თვალები გაეკიდება...  
 პალიგრაფები. უდაბნო ცხელი  
 ნინო წარმართი და კლეოპატრა  
 სანდრო! მეძახის შენი სახელი  
 და საფიჩხია კვლავ მომენატრა  
 („მეოცნებე ნიამორები“ № 6).

თბილისში კვლავ სიმბოლისტურ წერილებსა და ლექსებს ვაქვეყნებდით.

მკლანჭოლით გააცილებს ქუჩა ტიციანს,  
 მხოლოდ პაოლო მიიძინებს ქაშვეთის კართან.  
 და ვინ გაყვება მივიწყებულს ეტლს ასე გვიან,  
 ვინ არ იტირებს შემოდგომის შორეულ ქართან.

ხოლო ჟურნალ „შვილდოსანში“, რომელსაც სანდრო ცირეკიძე რედაქტორობდა და ქუთაისში გამოდიოდა, იქაც გამოვაქვეყნე სიმბოლისტური ლექსები და წერილები.

ერთ წერილში („ლიტერატურული პროფილები“) ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების წიგნს „დაისებს“ განვიხი-

ლავდი: „ქუთაისმა გვიჩვენა წიგნის კულტურა. „მეოცნებე ნიამორებისა“ და „კირჩხიბის“ ყოველ გამოცემას ამჩნევია ოსტატის ხელი, ასეთია „დაისებიც“, ეს პირველი წიგნია ყანწელის და მით უფრო საინტერესო: აქ უნდა ვეძიოთ სიმბოლიზმის პირველი გამართლება საქართველოში.

ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზია სუბიექტურ ემოციათა ანარეკლია, ჯადოსნური სარკეა. მისი სულიერი განცდების ყოველი ნიუანსი საოცარი ფერებით არის ჩაძირული ამ სარკეში. ინდივიდუალური ასახვა მოვლენისა რელიგიური განცდაა შეპუდრული ნილაბით მოჩვენებული. პოეზია, როგორც სავანე რელიგიური ჰერეტიკა, გავლას შეუმჩნეველ ხილზე მეორე დასაწყისში, კავშირია ორი სამყაროსი. გაფრინდაშვილის პიროვნება გაორებულია და ეს მეორე „მე“ ჰამლეტის ტოგაში გამოხვეული, მუდმივი თანამგზავრია მისი... სახეების და ლექსის ტექნიკის ამოდენი სიახლე ერთ წიგნში — უჩვეულოა ჩვენ ლიტერატურისათვის. „ცისფერი ყანწების“ ჯგუფი თავისი ოთხი წლის გამოფენას აწყობს და მათი პირველი წიგნი გვიჩვენებს, რომ ქართული პოეზიისათვის იწყება ახალი გზები. ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისებში“ აღარაა აზიის პრიმიტიული კეკლუცობა, აქ ევროპის პუდრაა და ყელსახვევი. ქართულ პოლიტიკას ქართულმა ლიტერატურამ დაასწრო ევროპისაკენ დაბრუნება“.

— ბატონო შალვა, ეს ხომ ეწინააღმდეგება თქვენი ცისფერყანწელების ცნობილ დებულებას: რომ უნდა მომხდარიყო ქართული ეროვნული, უმთავრესად, „აღმოსავლური მესიანისმისა“ და ევროპული სიმბოლიზმის შერწყმა და ამ ნიადაგზე ქართული სიმბოლიზმის განვითარება?

— დიახ, ჩვენ ბოლოს და ბოლოს მთლიანად კურსი ევროპული მოდერნიზმისაკენ ავიღეთ. მოდერნისტული სტანდარტების მიხედვით გამართვა ქართული ლექსისა დაედო საფუძვლად ჩვენი ცისფერყანწელების თეორიასა და პრაქტიკას.

— დიახ, ცისფერყანწელების გამოსვლა მოვლენა იყო არა მარტო ქუთაისისათვის, არამედ მთელს საქართველოსათვის, ვინაიდან ჩვენი სიტყვა იყო ახალი სიო, ახალი მიმართულება ჩვენს მწერლობაში, სახელდობრ ქართული მოდერნიზმი. ჩვენ წრეს მაშინ წესად ჰქონდა შემოღებული რომელიმე წევრთან



შევეკრებილიყავით. იყო გაუთავებელი საუბარი პოეზიაზე, ახალი ლექსების კითხვა. სიხარული და მეგობრული გულის გახსნა ერთმანეთისთვის, ღამის თევა. რა იყო საუბრის თემა? პოეზია... დირიჟორობას საუბარში ყოველთვის პაოლო სწევდა. ჩვენ ვაღმერთებდით ლექსის ფორმას და ნოვატორობას. მაგრამ არ დავმალავ და ვიტყვი, ჩვენ ბევრი რამე მექანიკურად გადმოგვექონდა ფრანგ და რუს დეკადენტებიდან. გვერდი ავუხვიეთ ქართული კლასიკური პოეზიის ხაზს. გამოვაცალეთ მას სოციალური საყრდენი, მოქალაქეობრივი პათოსი. დაუფარავად ვქადაგებდით „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“. მაგრამ ისიც ხომ ფაქტი იყო, რომ აკაკის შემდეგ ქართულმა ლექსმა ერთგვარად დაკარგა ზეგავლენის ძალა. აკაკის ბრმა მიმბაძველობის, ეპიგონების წყალობით გამოეცალა ლექსს მიღზიდველობა, მკითხველზე ემოციის ზეგავლენის მოხდენის ძალა; საკუთრივ პოეზიის გამომსახველობითი საშუალებათა მრავალფეროვნებისათვის ბრძოლა შეცვალა უსახო პანეგირიკამ. ამ ეპიგონურ პოეზიას ცისფერყანწელებმა დაუპირისპირეს ახალი ლექსი, რომელშიაც აქცენტირებული იყო პოეტური სახეების სიახლე.

ჩემის აზრით, — ჩავერიე საუბარში, — ცისფერყანწელების სკოლა საინტერესო ლიტერატურული სკოლა იყო. მათი ენობრივი ნატურალიზმის, რიტორიკის, პრიმიტიული დეკლარაციების წინააღმდეგ პროტესტი მიმართული იყო ქართული ლექსის განახლებისაკენ. მართალია, მათ ლექსებში ხშირია ლაპარაკი საიქიოზე, პალუცინაციებზე, თვითმკვლელობაზე, ბოჰემაზე, სიგიჟეზე, ორეულებზე, ყველაფერი ეს მისტიციზმის ბურუსშია გახვეული. ცხადია, ხშირად ეს იყო ორიგინალობასთან თამაში. მკითხველის გასაღიზიანებლად და ყურადღების მისაპყრობად. ამ სკოლაში ყველაზე უფრო თანმიმდევარი სიმბოლისტი ვალერიან გაფრინდაშვილია, ხოლო მისი პოეტური ფორმულა იყო „არ ემორჩილოთ სინამდვილის სასტიკ არტახებს“... მერე დრო იცვალა, თვით ვალერიან გაფრინდაშვილმა გადმოისროლა ლოზუნგი „დაეუბრუნდეთ მიწას“... ახლა ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონიძის გარეშე წარმოუდგენელია ქართული პოეზიის დიდებაზე ლაპარაკი. მათ გაუღეს ქართულ საბჭოთა პოეზიას ფართო კარები და მთელ

მსოფლიოში გამოაჩინეს ქართული სიტყვის მაღალი დონე და ღირსებანი. ოციანი და ოცდაათიანი წლების ქართული პოეზიის მიღწევანი, მისი საერთაშორისო აღიარება მათ სახელებთანაა დაკავშირებული. საკმარისია აქ მოვიგონოთ საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობა. რა მაღალი საერთაშორისო აღიარება ერგო ქართულ პოეზიას და ამაში პაულო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის როლი განუზომლად დიდი იყო.

შალვა აფხაიძე გულისყურით ისმენდა და ამ ჩემს პათეტიკურ სიტყვებში გულწრფელ, მეგობრულ აღიარებას ხედავდა იმ ლიტერატურული სკოლისა, რომლის წევრიც თავად იყო წლების განმავლობაში. ბატონმა შალვამ სიტყვის მაგიერ ლექსით მიპასუხა:

გრძელი მანძილი გამოვიარე  
და გზაში უკვე შემომალამდა,  
ცხოვრება ჩემი ხან ცრემლის დუღილს,  
ხან კი დაუმცხრალ მზის ჩანჩქერს გავდა.

შეჩერდა, ლექსს თავი მიანება და სიტყვით მომმართა:

— მე მითქვამს ჩემი წილი საგალობელი. ჩვენი ქვეყნის აღორძინებაზე, მისი აღმშენებელ და დამამშვენებელ ადამიანებზე. რომ მკითხო, რით ვასახელე, რა გავაკეთე მე ჩემი ქვეყნისათვის — პირდაპირ გეტყვი, რაც შემეძლო, არაფერი დამიკლია და პირნათლად ვემსახურე ჩემ ქვეყანას, როგორც რიგითი კაცი. დიახ მე რიგითი ჯარისკაცი ვიყავი ჩემი ქვეყნისა, ჩვენი დიდი მწერლობისა. მე არ ვიყავ დიდი ჩინოსანი, არც ბედი მეზარა ქვეყნისა, მაგრამ როგორც რიგითი ჯარისკაცი, და რიგითი პოეტი გულწრფელად მოვიხადე ჩემი მოქალაქეობრივი ვალი. ლექსებში მე უფრო ლირიკული ხმების მსახური ვარ. აი ამის საბუთად მინდა წაგიკითხო ჩემი ერთი ახალი ლექსი:

მზა ხველას ჰყოფნის

დღე გაიზარდა...მზემ გრილ ოთახში  
დიდი ნაბიჯით შემოალაჭა,  
აპრილის სუნთქვამ, აპრილის შუქმა  
ჯანით, ხალისით ამივსო მაჭა.

გაზაფხულია... მზე ყველას ჰყოფნის...  
ჩემი ალვის ხის წვერზე მოექცა  
და მისმა ცხელმა დაღვრილმა ტალღამ  
ზამთრის ნალველი ცას ჩამორეცხა.

ამოებერა მიწას გულ-მკერდი,  
ძილით გამაძლარს გამოელევიდა  
და რძით გატენილ ჭიქნებით კვებავს  
ჩეჩილებს, როგორც კეთილი ძიძა.

მზის მონატრულმა ძლიეს ამოხეთქა  
მიწა ენძელას უმანყო ლერომ...  
მზე გაიზარდა... დღე გაიზარდა...  
ხმის ჩაბლუჩამღე მინდა ვიმღერო.

საოცარი გულდია და გულმხურვალე თანადგომა იცოდა შალვამ. ყანწილების დიდებულ ტრადიციას ძმობისა და მეგობრობისას, ახლა ჩვენთან; მწერალთა კავშირში პირწმინდათ იცავდა. ჩვენ, ხან ბატონ შალვასთან, ხან გიორგი ლეონიძესთან, ირაკლი აბაშიძესთან, ჩემთან ვიკრიბებოდით და გვქონდა გაუთავებელი საუბარი, დავა და კამათი მწერლობაზე, თეატრზე, ახლად გამოსულ წიგნებზე... ეს ძმობის საღამოები დაუვიწყარია. სული და გული ამ ძმობისა ისევ შალვა აფხაიძე გახლდათ. მისი საფიცარი ხატი მწერლობა და თეატრი იყო. მან საოცარი გულწრფელობით სავსე წერილები უძღვნა აკაკი ხორავას, ვერიკო ანჯაფარიძეს, შალვა დადიანს, ირაკლი აბაშიძეს, გიორგი ლეონიძეს, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, ლეო ქიაჩელს, გრიგოლ აბაშიძეს, ლადო ასათიანს, ვალერიან გაფრინდაშვილს. კოლაუ ნადირაძეს, სანდრო შანშიაშვილს. ალ. ახმეტელს და სხვებსა და სხვებს.

მახსენდება ის დღე, როცა შალვა დადიანი მთაწმინდას მივებარეთ, საღამოს კი წინადღეს ტრაგიკულად დაცემული გალაკტიონი გადმოვასვენეთ საქართველოს მწერალთა სასახლეში. გვიან ღამით ჩემთან წამოვიდნენ: ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, დავით ჩხიკვიშვილი, შალვა აფხაიძე, მამია ასათიანი. კარგად მახსოვს, იმ პირქუშ ღამეს შალვა აფხაიძემ თქვა:

— ყველას ხიბლავდა შალვა დადიანის სულიერი არისტოკრატიზმი, მისი თავაზიანობა, ფართო ინტელექტუალური სამყარო, დარბაისლური, ხავერდოვანი ენა და ღრმა გული,

რომელიც ადამიანის დიდ სიყვარულს იტევდა... გალაკტიონი? გალაკტიონი კი საოცრება იყო, პოეტური საოცრება ჩემი სულიერი ძმები ხომ ცისფერყანწელები იყვნენ, მაგრამ მე ქართული ლექსის პირველი სიყვარული გალაკტიონმა დამახატა. მისი „მერი“ და „მთაწმინდის ლამე“ ჩემს სიკაბუჯეს ახვევდნენ ფესვებს.

ყოველი ახალი სახელის გამოჩენა უზომოდ ახარებდა, ბავშვური უზაქველობით და პირველყოფილი უშუალობით შეჰხაროდა ახალი სახელის გამოჩენას ქართულ ლიტერატურაში. სწორედ მან უძღვნა პირველი წერილები ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, შოთა ნიშნიანიძის, მურმან ლებანიძის, მორის ფოცხიშვილის გამოჩენას ქართულ პოეზიაში. ის გულით ხარობდა ყოველი ჩვენგანის რაიმე წარმატებით; როცა „ეკატერინე ჭავჭავაძე“ იბეჭდებოდა ეურნალ „მნათობში“, ვრცელი წერილი გამოაქვეყნა „ლიტერატურულ საქართველოში“ და იმ დღეს ჩემთან კაბინეტში შემოსულს მადლობის ნიშნად რომ გადავებხვიე, გულწრფელად მითხრა: ტატოსა და ეკატერინეს უიღბლო სიყვარული ყველა ჩვენგანის სულში ზის. ვიდრე შენ წიგნში გაამჟღავნებდი ამ საოცარი ქართველი ქალის ტრაგიკულ ბედს, მეც გამოვეხმაურე ამ თემას ლექსით. შალვა აფხაიძემ ზეპირად წარმოსთქვა ეს ლექსი:

...მაშინ აქ ჰქროდა სიო საამო  
ნებიერ ქალწულთ კრინოლინების  
და შემოჰქონდა ფარჩის საღამოს  
თეთრი ვარსკვლავნი შეკონილები.  
დროით მიუუჩნდა ვრცელი ყაბახი,  
დღით რომ ბორგავდა, იღხენდა, კრთოდა.  
მთაწმინდისაკენ მთვარეს გადახრილს  
შუქი მისტაცა ღრუბელმა ოღნავ.  
გამოეფინენ ბანებზე შვებით  
ჭავჭავაძიანთ ტურფა ქალები,  
მტკვრის ზვირთებს გაჰყვა მათი კისკისი  
და თბილი შუქი მათი თვალების.  
ქუდჩაკეცილი და საესე სახით  
ცეკვავს კატინკა — ისნის ცისკარდ  
ნეტავ ვის შესტრფის, ან ვის შესძახის,  
„გულს დაგეკონოს ბროლის ფიცარი“  
ცეკვავს და ამ დროს უბედო ტრფობა  
შეუბრალებლად გულს უნგრევს ტატოს.

მის ლექსებსა და წერილებს არა მარტო პროფესიონალი კრიტიკოსისა და პოეტის ბეჭედი აზის, არამედ მათში კეთილმოსურნეობის საოცარი სითბო გამოსჭვივის. იგი თითქოს იმისთვის იყო დაბადებული, რომ სიკეთის, ძმობისა და მეგობრობის მეგზური ყოფილიყო.



ეს იყო 1958 წელს. მოსკოვში დიდი ტრიუმფით მოეწყო საქართველოს ხელოვნებისა და მწერლობის დეკადა. საბჭოეთის დედაქალაქი მთელი ათი დღე აღტაცებით უკრავდა ტაშს საქართველოდან წარმოგზავნილ ხელოვნებისა და მწერლობის დიდოსტატებს. მოსკოვის დიდ თეატრში ალექსი მაკავარიანის ბალეტ „ოტელოზე“ მოხვედრა და ვახტანგ ჭაბუკიანის ხილვა მოსკოველთა ოცნება იყო, ხოლო დრამატულ თეატრში ოიდიპოსის სამი შემსრულებელი — აკაკი ხორავა, ეროსი მანჯგალაძე და სერგო ზაქარიაძე საერთო აღფრთოვანებას იწვევდნენ. იმავე დღეებში საბჭოთა კავშირის მწერალთა სახლის ფოიეში ფოტორეპორტიორები ელოდნენ შალვა დადიანის, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, ლეო ქიაჩელის, სიმონ ჩიქოვანის და სხვათა გამოჩენას... კონფერენციის დიდ დარბაზში სულგანაბული უსმენდნენ ქართველი მწერლების ახალ თარგმანებს, შემდეგ კი ტაში აზანზარებდა დარბაზს. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია ტიციანის, პაოლოს, მიხეილ ჭავჭავაძის სახელების ხსენებამ. მათი პირადი მეგობრები ნ. ტიხონოვი, პ. ანტოკოლსკი, ლ. ლეონოვი, კ. ფედინი, ა. სურკოვი... ყვებოდნენ მათთან შეხვედრებისა და მეგობრობის დაუვიწყარ დღეებზე, კითხულობდნენ თარგმანებს და მათს თვლებში იელვებდა ხოლმე სიხარულისა თუ სინანულის ცრემლი. პ. ანტოკოლსკიმ წაიკითხა ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ლექსები და დასძინა, რუსი და ქართველი პოეტების მეგობრობა და ძმობა მათ გამოჰედეს და გამოაწრთვესო. პოეტთა მეგობრობის ეს ხიდი იალბუზივით ურყევია...

დეკადის დღეებში ქართველი მწერლები ჯგუფ-ჯგუფად

ესტუმრნენ ფაბრიკა-ქარხნებს, კოლმეურნეობებს, ერთი ჯგუფი ესენინის ადგილის დედას — კონსტანტინოვოს ეწვია.

კონსტანტინოვო რიაზანის ოლქში ერთ-ერთი ულამაზესი ტიპიური რუსული სოფელია. აქ დაიბადა 1895 წელს სერგეი ალექსანდრეს ძე ესენინი, ბავშვობაც აქ გაატარა. 1913 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა, 1915 წელს კი პეტროგრადში გადავიდა, მაგრამ ადგილის დედის სიყვარული და სურნელება გაუხუნებლად ცოცხლობდა მის პოეტურ სულში. მის ლექსებში პატრიოტული აღსარების ადრესატი ხშირად ეს სოფელი და მისი დაი ალექსანდრაა. სწორედ ალექსანდრა ალექსანდრეს ასული შემოგვეგება და მისი პირველი სიტყვა ეს იყო: მობრძანდით ქართველებო, ჩემს ძმას განსაკუთრებით უყვარდა საქართველო, მის ხილვამდე ზღაპრულ სამოთხედ ჰქონდა წარმოსახული თქვენი სამშობლო, ალბათ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, რომელსაც იგი გატაცებით კითხულობდა გამომგზავრებამდე და აღზნებული ამბობდა: „სულ მალე მე რუსთაველის სტუმარი ვიქნები საქართველოში“. იმ წლებში სამოქალაქო ომმა შეუშალა ხელი, მერე კი ერთბაშად მიაშურა კავკასიას და საქართველოს“ — ესა თქვა და ქვეითკირით ნაგებ თეთრად შეღესილ ძველებურ რუსულ სახლში შეგვიძღვა, სადაც დაიბადა დიდი რუსი პოეტი. ამ რიაზანულ ოჯახში სისადავე და უბრალოება სუფევდა. შუა დარბაზში იდგა ალექსანდრა ალექსანდრეს ასული და განსაკუთრებული სინაზითა და სიყვარულით გვიამბობდა ესენინების ოჯახის ამბავს, იხსენებდა პოეტის ბავშვობას. ყურადღება მიიპყრო სათუთად შენახულმა და მოვლილმა მემორიალურმა ნივთებმა, წიგნის მომცრო კარადამ, საწერმა მაგიდამ. მასპინძელმა წიგნის კარადა გამოაღო და სერგეი ესენინისეული კონსტანტინე ბალმონტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ 1917 წლის პირველი გამოცემა გამოგვიწოდა. რომელსაც პოეტის ხელითვე აწერია: „სერგეი ესენინი. 1917 წელი. მაისი“. მე, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა, ქართველი მწერლების სახელით უდიდესი მადლობა მოვახსენე ქალბატონ ალექსანდრას ამ ისტორიული წიგნის ბოძებისათვის, ახლა ეს წიგნი ინახება თბილისის უნივერსიტეტის გ. ტაბიძის სახელობის კაბინეტში. ესენინის სახლი ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული სახელმწიფო მემორიალად, მაგრამ ძმა-

ზე და მის პოეზიაზე უზომოდ იყო შეყვარებული და ათბობდა, პატრონობდა, დაფოფინებდა პოეტის ფუძეს, ეზო-კარმიდამოსა და მამა-პაპეულ ნივთებს... და აი, ასეთი პატრონისაგან ასეთი უნიკალური საჩუქრის გაღება მე საქართველოსა და ესენინის ურთიერთობის სიმბოლურ გამოხატულებად მივიჩნე... (ალექსანდრა ესენინა ახლახან გარდაიცვალა 71 წლისა).

ეს მომცრო (კ. ბალმონტმა „ვეფხისტყაოსნის“ სრული თარგმანი 1933 წელს გამოსცა პარიზში), კითხვისაგან გაცვეთილი თეთრი წიგნი უამრავ ფიქრს აღუძრავს კაცს. ამ ფიქრთა სათავე, უწინარეს ყოვლისა, თვით რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“. სწორედ ბალმონტის მიერ თარგმნილმა „ვეფხისტყაოსანმა“ ერის დიდების ამ უკვდავებამ, ჩვენმა დიდმა წინაპარმა შოთა რუსთაველმა „მოიპატიეს“ საქართველოში სერგეი ესენინი, ისე როგორც თვით „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი საყოველთაოდ ცნობილი პოეტი ბალმონტი. გმირული ისტორიული წარსულის მქონე საქართველოს სახელი ბალმონტისეული „ვეფხისტყაოსნის“ მეოხებითაც გავიდა ჩვენი ქვეყნის მიღმა. თვით ბალმონტსაც დიდად გაუთქვა სახელი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნამ. ამის თაობაზე კარგად შენიშნავს გალაკტიონ ტაბიძე: „ბალმონტის პოეტური სიტყვის „გადამღერების, მრისხანების, სინაზის უღერა“, საუცხოოდ მოემსახურა მსოფლიო პოეზიას შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანით“.

კ. ბალმონტის ბიძგის მიმცემი; ერთ-ერთი პირველი შთამაგონებელი და მასპინძელი საქართველოში პაოლო იაშვილი იყო, აქ თვით პაოლო იაშვილს მივცეთ სიტყვა:

...„კონსტანტინე ბალმონტი, გამოჩენილი რუსი მგოსანი დიდი სიყვარულით და გატაცებით ეკიდება ჩვენს ქვეყანას, საქართველოს სილამაზისა და ქართველი ხალხის დამახასიათებელი თვისებათა გარდა, ბალმონტს აინტერესებს ჩვენი ენა და პოეზია, შემთხვევით, ოლივერ უორდროპის მეოხებით მას წაუჟივთხავს ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ და ისე გატაცებულა უკვდავი პოემით, რომ გადაუწყვეტია მისი რუსულად თარგმნა. ამ მიზნით იგი აპირებს საქართველოში მოსვლას, ენის შესწავლას და მცოდნე პირთა დახმარებით თარგმნას. ეს ზამთარი ბალმონტმა პარიზში გაატარა

და მე შემთხვევა მეძლეოდა ხშირად შევხვედროდი მას. ქართულმა ენამ მასზე და მის მახლობლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველ გაცნობისას ბალმონტს არაფერი არ უთქვამს ჩემთვის „ვეფხისტყაოსნის“ გადათარგმნის შესახებ, მაგრამ შემდეგში, როდესაც მისივე თხოვნით მე წავეუკითხე მას ადგილები პოემიდან და გადავუთარგმნე ქართულიდან რამდენიმე მისგანვე არჩეული სიტყვა, მან მრავალ სტუმართან ალტაცებით წარმოთქვა: „მრავალი ქვეყანა მინახავს, ისეთიც კი, სადაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია და საქართველოში, რომელიც ისე ახლოს არის და რომელიც სიყრმიდან მიყვარდა და მიყვარს, ჯერ არ ვყოფილვარ, ეგებ რაღაც ძალა განგებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახული სილამაზის შემდეგ, მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი ტკბილი სიზმრის მშვენიერი დასასრული ყოფილიყო“. „ვერ წარმოიდგენთ, — მითხრა ერთხელ მან, — როგორის ნეტარებით ველი იმ წუთს, როდესაც პირველად დავინახავ თქვენს სამშობლოს“.

ერთ დღეს, კ. ბალმონტთან მისვლისას, მისმა მეუღლემ მითხრა: „ბალმონტის და ჩვენი ფიქრი ეხლა სულ საქართველოსკენ არის. მან უკვე გადაწყვიტა საქართველოში წასვლა, მაგრამ მე და ჩემ ქალს ძლიერ დაგვწყვიტა გული, რომ ასე უეცარ გადაწყვეტით საშუალება არ მოგვცა ჩვენც წავყოლოდით მასო“. მართლაც, ბალმონტმა აღფრთოვანებით მითხრა, რომ სულ ცოტა ხანში იგი წავა საქართველოში.

თბილისში ბალმონტი იქნება დაახლოებით 14 აპრილს. აქ ის წაიკითხავს მეტად საინტერესო ლექციას „ოკეანეთს“ — პოლინეზიაში მოგზაურობის დროს შეგროვილ შთაბეჭდილებას გაუზიარებს მსმენელებს. თბილისით იგი დაამთავრებს თავის ლექციების ტურნეს რუსეთის დიდ ქალაქებში. უკანასკნელად ჩვენი ქალაქი მან განგებ აირჩია, რომ მეტი შეძლება ჰქონოდა აქ დარჩენისა, თუმცა ჯერჯერობით მას საშუალება აქვს დარჩეს მხოლოდ რამდენსამე დღეს. ენის შესასწავლად და „ვეფხისტყაოსნის“ სათარგმნელად იგი შემდეგ ჩამობრუნდება. ეკვი არ არის, ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობით დაუხვდება ჩვენი ქვეყნის მეგობარს და არ გაუქარწყლებს იმ მშვენიერ წარმოდგენას, რომლითაც იგი ჩვენში მოდის, ვსარგებლობთ შემთხვევით და



ვეგზავნით „თემს“ ბალმონტის რამოდენიმე ლექსის თარგმანს. პარიზი, აპრილის 6, 1914“, ტიცციან ტაბიძე, ასე მიმართავდა რუს პოეტს:

გელის თბილისი,  
„ვეფხისტყაოსანს“  
მეორედ ელის დღეს  
საქართველო.  
ციხეერ ყანწებით დიდებულ  
მგოსანს  
ხოაკებებენ შენს  
სადღეგრძელოს.

მართლაც ბალმონტი პირველად 1914 წელს ესტუმრა საქართველოს, მეორედ — 1915 წელს, მესამედ 1917 წელს.

1915 წელს პარიზიდან დაბრუნებული პაოლო იაშვილი თვითონ იყო მასპინძელი ბალმონტისა... 1915 წლის 5 ოქტომბერს ბალმონტი ქუთაისს ეწვია. ქუთათურებმა ზღაპრული შეხვედრა მოუწყვეს რუსი სიმბოლისტების მამამთავარს. ამ შეხვედრების რეჟისორი და დირიჟორი პაოლო იაშვილი გახლდათ. ძმობით, სტუმართმოყვარეობით, საქართველოს სიყვარულით აღსავსე დაბრუნდა კ. ბალმონტი სამშობლოში და რუსეთის ქალაქებში რამდენიმე ლექცია წაიკითხა რუსთაველზე და პოემის თარგმანის ჭაშნიკიც გააცნო მშობლიურ ხალხს. რუსულსავე პრესაში გამოაქვეყნა სტატიები: „შოთა რუსთაველი და მსოფლიოს სხვა გენიოსები, როგორც მიჯნურობის მომღერალნი“, „რუსთაველი“ და სხვა. უეჭველია, ეს ლექსები მოისმინა სერგეი ესენინმა მოსკოვსა და პეტერბურგში, ხოლო, როცა 1917 წელს მოსკოვში გამოვიდა კ. ბალმონტისეული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი, უმაღვე შეუძენია. „ვეფხისტყაოსნით“ და გამოცემას წამძღვარებული წერილებით შეიყვარა ესენინმა საქართველო და მერე გამოჰყვა რუსთაველის სტრიქონებს: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია...“ და მოადგა საქართველოს. საქართველომ ფართოდ გაუღო კარი უნიჭიერეს პოეტს. ტიცციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, გიორგი ლეონიძემ და ვალერიან გაფრინდაშვილმა ძმობა გამოუცხადეს და მთელი საქართველო მოატარეს. რუსთაველის საქართველო, ქართველ საბჭოთა პოეტებთან მეგობრობა ესენინისათვის პოეტური შთაგონების ახალ იმპულს-

სად იქცა: საქართველოში ყოფნისას მან შექმნა საუკეთესო პოეტური კმნილებანი, რომელთა ერთ ნაწილში („საქართველოს პოეტებს და სხვ.) გამოხატულია საქართველოსა და ქართველი პოეტებისადმი უგულთაღესი სიყვარული და პატივისცემა.

სერგეი ესენინის ტრაგიკული სიკვდილი მწარედ განიცადა მთელმა საბჭოეთმა. ესენინის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა. ეჟურნალმა „მერცხალმა“ (№ 1, 2, 1925 წ.) ლექსებისა და წერილების სპეციალური ლიტერატურული დამატება მიუძღვნა ესენინს.

ტიციან ტაბიძემ უმძაფრესად განიცადა პოეტი მეგობრის დაღუპვა.

ჩხოფურაშვილთან ვიყავით  
წუხელ,  
შენზე ღრიალით გასკდა არღანი;  
საქუთარ ძმასაც ველარ  
გავუმხელ,  
რაც ჩაკირულა გულში  
ბალღამი...  
სამწუხაროა ყველა ესენი  
და უფრო მწარე კიდევ ის არი,  
ღამაზო ბიჭო სერგეი ესენინი  
ცოცხალს არ გესმის ეს  
საფიცარი  
ამხანაგებო, თუ ღრმა ლელეში  
ჩვენი თავებიც საღმე  
ლაგორღეს,  
ყველამ იცოდეს — სხვა  
პოეტებში  
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ  
ორღენსი

ტიციან ტაბიძის ეს ამონაკენესი რუსთაველის საქართველოს პოეტური ექო იყო.

უღროოდ დაღუპულ პოეტს არა მარტო ლექსებში გამოუხატავს საქართველოსადმი უნაპირო სიყვარული, არამედ თვით ოჯახშიც დაუტოვებია ამ სიყვარულის კვალი ნათელი. ამის დასტურია დისგან ბოძებული ეს „ვეფხისტყაოსანი“ პოეტის წარწერით.

## გაბაასება ლანდებთან

შიო არაგვისპირელისა და მისი გმირების ლანდი გამოვიხმეთ, რათა კავშირი გაგვება წარსულსა და თანამედროვეობას შორის, დაგვენახა პრობლემათა მემკვიდრეობითობა, ციტირება მოგვეხდინა იმ მოსაზრებებისა, რომელიც დღესაც ასე მწვავედ დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე. შიო არაგვისპირელის გმირთა სულიერი ცხოვრების ფსიქოლოგია სრულიად თანამედროვეა. ისინი კი არ არიან გათიშულნი დღევანდელობიდან, არამედ ჩვენი ტკივილებით ცხოვრობენ. თაობათა მეტაფორულმა კავშირმა გვიკარნახა გაბაასება ლანდებთან. და რამეთუ: ქვეყანაზე „უსიყვარულოდ არ არსებობს თვით უკვდავება“, ჩვენც ამით დავიწყეთ.

— სიყვარული აგვამაღლებსო, — ბრძანა რუსთაველმა და ჩვენს სულიერ ცხოვრებაში დამკვიდრდა იდეალური სიყვარულის ეს კოდექსი. რვა საუკუნის განმავლობაში ამაღლებული სიყვარულის ეს კანონი არავის გადაუსინჯავს. პირიქით, სასკოლო მერხებიდან რუსთაველისგან დამოძღვრებულთ გვახეპირებინებდნენ: „სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს რომ არ ჰმონებდეს... შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან მბრძენი ხელად რბოდეს... ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი“...

და, აი შემოაღო თუ არა შიო არაგვისპირელმა ქართული მწერლობის კარი, ხმამაღლა განაცხადა: „იდეალური სიყვარული პოეტების ფანტაზიის ნაყოფია, მას ცხოვრებასთან არავითარი კავშირი აქვსო“...

უცნაურია, არა?! ჰოდა შიო არაგვისპირელს აქვს ერთი ნოველა, რომელსაც ჰქვია: „უცნაურია, უცნაური“! იქნებ უცნაურია ჩვენი განზრახვაც იმქვეყნის მუდმივ ბინადრებთან — ლანდებთან გაბაასებაც, მაგრამ ამ საქმეს აქვს მეორე მხარე...

შიო არაგვისპირელი ჭეშმარიტი მწერალია და მწერალი ხომ, გარდაცვლილი თუ ცოცხალი, თავის წიგნებით მუდამ კონტაქტშია მკითხველთან. ჩვენც საქმე შიო არაგვისპირელის დანატოვარ წიგნებთან გვექნება. გაბაასებაც ამ ნიადაგზე

გამართება. გაბაასება კი სწორედ იმ ნოველებით უნდა დავიწყოთ, დაბეჭდვისთანავე დავა და კამათი რომ გამოიწვიეს. აქ პირველობა უნდა მივაკუთვნოთ ნოველას: „უცნაურია, უცნაური“! ამ ორგვერდიანი ნოველის დედაარსი ასეთია — „ის თამარი კი არის?! — ეს თამარი... არა, არა... ეს მჩვარია, რომელსაც ვთელავ... ის თამარი მშვენიერება იყო, უმანკოება, მას თაყვანს ვცემდი, მის წინ მუხლს ვიდრეკედი და... ახ... ჰაჰა? ...დაიკარგე, დაიკარგე აქედან!... დაუყვია ამნონმა და ზიზლით ხელი ჰკრა... მძულხარ, მძულხარი ვილაცა მჩვარი დაგდებულხარ აქ...“ ამას ამბობს ისრაელთა მეფისწული სიგიჟემდის შეყვარებულ ქალზე მას შემდეგ, როცა უცნაური ძალადობით დაიმორჩილა, მასთან სარეცელი გაიზიარა. რუსთაველის ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი საზოგადოება ერთბაშად აღშფოთდა შიო არაგვისპირელის ქალ-ვაჟთა ამგვარი სიყვარულის გამო:

— „სიყვარული იმიტომ არის თავდამავეიწყებელი, რომ უთუოდ წინ უძღვის ბრძოლა ადამიანის არსებობის დამშვიდობიანებისა და მყუდროებისა სიყვარულის ვნებათა ღელვასთან, და მყუდროების დამარცხება, რასაც პოეტები სულსკვეთებას უწოდებენ. ბ-ნი არაგვისპირელი სრულიად ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას და ამას მოსდევს მისი შემცდარი აზრი სიყვარულის შესახებ, სიყვარულისა, რომელსაც ის მოწონებისაგან და პირუტყვეული გატაცებისაგან ვერ განასხვავებს...“ („ივერია“).

ვინ იყო ამ დავაში მართალი? სანამდის ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, მანამ ჩავიხედოთ არაგვისპირელის მეორე ნოველაში. ამ ნოველას ჰქვია „ორი მკურნალი“. აპრილია. ექიმების დიაგნოზით, შალვა, ახალგაზრდა ავადმყოფი, მაისამდე ვერ მიაღწევს, თუ ნიცაში არ წავიდა და არ იმკურნალა. შალვას კი ამის საშუალება არა აქვს და იმედგადაწურული, თავის სოფელს მიაშურებს და აქ მიქელ გაბრიელის მობრძანებას ელოდება. სიკვდილის მოლოდინში შალვას მასზე უზომოდ შეყვარებული ელიკო გამოეცხადა. გულწრფელი ალერსი და სიყვარული ქალისა განკურნავს ვაჟს. ასეთია სიყვარულის ყოვლის შემძლეობა. ახლა ამის გამო ისევ აუჯანყდნენ არაგვისპირელს „ივერიელები“.

— „ორი მკურნალის“ დედააზრი ყალბ საფუძველზეა

აშენებული. ასე გამოდის, რომ კლექით ავადმყოფს ექიმი კი არ შველის, არამედ ახალგაზრდა შეყვარებული ქალი, თავის გადამეტებული ალერსით“... სანამ დასკვნას გამოვიტანდეთ, მანამ აკაკი წერეთელს მოვუსმინოთ: „ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ახალ მწერლობაში ყველაზე უფრო საყურადღებოა არაგვისპირელი. მისი ფსიქოლოგიური ეტიუდებით, მისი ზეგავლენით, მიმბაძველობით ბევრი გამოიწვია, თითქმის სკოლა შექმნა“. აკაკი ახალი ფსიქოლოგიური სკოლის მეთაურად თვლიდა შიოს, მისი თანამედროვე კრიტიკოსები კი სწორედ „ადამიანთა ფსიქოლოგიის უცოდინარობაში“ სდებდნენ ბრალს. ჩვენთვის მსაჯულის როლი არავის დაუკისრებია, ამიტომაც ვით ხილულში უხილავს, შიოს ლანდს უნდა მივმართო:

— ასე რად ხდება? ერთი ასპექტის ორი უკიდურესი გადაწყვეტა რამ გამოიწვია?

ლანდმა თითქოს ზეცის ტალღა გამოარღვიაო და ნიშნის მოგებით მიპასუხა:

— ჩემი გმირები გამოიხმეთ და თავად ისინი გიპასუხებენ — ასე რად ხდება? — ეს თქვა და ჩემს თვალწინ ფანტასტიკური ტრიბუნა აღიმართა, მის გასწვრივ გრძელი სკამი იდგა. მასზე თანმიყოლებით შიოს გმირები დასხდნენ. მე გაოცებული შევცქეროდი ლანდებს. ამით ისარგებლა ბატონმა შიომ და ახლა თავად მომმართა კითხვით: — ხომ იცანი ისინი? მაინც გირჩევთ, მათგან პირველად მახარე გამოიხმეთ. თანამედროვე ადამიანებზე გულაყრილმა, სევდით შეპყრობილმა ხალხურ სიბრძნეს — არაკს მივმართე და იქ ვიპოვე მე ის ჩემი საოცნებო გმირი მახარე. ჰოდა გთხოვთ პირველად მას მოუსმინოთ.

კმაყოფილებით გამიღიმა ლანდმა. მე ამით ვისარგებლე და ხმამაღლა მივმართე ლანდებს:

— ჰეი, ჰეი, მანდ რომელი ხართ მახარე? — უცბად ტრიბუნაზე ნიღბოსანმა შემოალაჯა. მახარე მე ახალგაზრდა წარმომედგინა, რომ შევხედე თეთრწვერას, ღრმად მოხუცს — შეცბუნებულმა ვკითხე: — რამდენი წლისა ხართ? — ორი ათასი წლისა! — იყო პასუხი. ეს როგორღა-მეთქი. ისე, უბრალოდო, მიპასუხა — ჩვენ, მეც, ჩემგან ხელმარჯვნივ კაცია ბატონი შვილის ასული ეთერიც, მის გვერდით მეფისწული ნადი-

რაც, მისი და მარეხიცა და ის ჩემი ძმადნაფიცო ირემაც საქართველოსთან ერთად დავიბადეთ. მერე, რომ წამოვიზარდენით, ქართველთა გულში დავსახლდით. მასთან ერთად გვიბრძოლია, გვიმრომია და დავვიცავს ქვეყანა ჩვენი. მერე ლანდებში გადასულებს ყოველ გაჭირვების უამს ისევ და ისევ გვეძახის ახალი და ახალი მოდგმა ქართველთა. ერის ზარი ჩამოკრავს თუ არა, სული ჩვენი ცოცხლდება და თქვენსკენ გამოწევს. ასეა ეს, მარად ბებერნი უმალ ახალგაზრდანი გავხდებით.

— ეს რალაც ზღაპარს ჰგავს.

— ჩვენ თავად ვართ ზღაპარი — ქართველთა სულში უკვდავად დასახლებულნი. დიახ, ჩვენ ზღაპარში დასახლებული ნიღბები ვართ, თანაც ძნელად გამოსაცნობი ნიღბები. ვის არ უცდია ჩვენი გამოცნობა. გვეძახდნენ, გვიხმობდნენ, გვეკითხებოდნენ, ვინა ვართ და რანი ვართ, რას ვაკეთებდით, რა მოვიმოქმედეთ, რით გავითქვით სახელი ან რას ვაკეთებთ ამჟამად. ერთხელ ბატონმა შიო არაგვისპირელმა გამოგვიხმო. თავიდან ბოლომდე გვაამბობია ჩვენი ამბავი ზღაპრად ქცეული, თუმცა რომანში ბევრი რამ თავისებურად გადაასხვაფერა. ის რომანი — „გაბზარული გული“ წაკითხული გექნებათ და თავად შეგიძლიათ გააჩიოთ, რა არის აქ ზღაპრული და რა არის მისი. ჰოდა, ამის გარდა, რა გსურს ჩვენგან მოისმინოთ, ბარემ პირდაპირ მკითხეთ. მე მაინტერესებს, როგორ შესძელი ეთერის „უცნაური ზარის“ შექმნა. გესმით, ჩემი კითხვა? თუმცა ამ ბურუსში ველარ ვხედავ შენს სახეს.

ბურუსი გამოარღვია, ნიღაბი მოიხსნა და ჩემს წინაშე წარმოდგა ახოვანი, თმა-წვერ-ულვაშა, თვალმშვენიერი. ათლეტური ჰაბუკი.

— აი ახლა კი გიცანით. ეს თქვენა ხართ ბატონი შიოს მახარე! მინდოდა გამეგო, ის „უცნაური თუ „შიშის“ ზარი როგორ შექმენით?

— ეს თვითონ ღმერთმა შთამაგონა, სიყვარულის ღმერთმა. ეს ღმერთი ეთერი იყო, მისი უცნაური ხმა, ხმა საიღუმლო და ჩემთვის მიუწვდომი სიყვარულის ჯადო. ამ ხმამ მე სიყვარულის ჯადოქრად მაქცია და წვალება-ტანჯვის შემდეგ ღმერთკაცის როლში აღმოვჩნდი. მოხდა სასწაული: მე ხელოსანმა, მიუწვდომელი ეთერის სიყვარული, მისი მზეთუნახავი სახე, მთვარის შუქზე დანახული, ლითონში გამოვაქან-

დაკე. მისივე ხმა ჩაუდგია იმ ზარს და ეთერქალი ჩეჰად ვაქციე. სხვა მხრივ ვერ მივწვდებოდი ამ ზეციერს მე, მიწიერი ხელოსანი.

გაოგნებული ვუსმენდი ლანდად გამოცხადებულ მახარეს ხმას, შემატყო ეს გაოგნება და თავად მითხრა: — უცნაურია ხომ?

— ჰო, უცნაურია, — ვთქვი ჩემთვის და ის იყო მოლანდებაც გაქრა.

ამ დროს ბატონი შიოს ხმა მომესმა:

— ასეა, ცხოვრებაში ბევრი რამ არის უცნაური, მოულოდნელი, ქვეცნობიერი და აუხსნელი. ჰოდა, მე მაშინაც მართალი ვიყავი, როცა ვწერდი ნოველას „უცნაურია, უცნაური“, და მაშინაც, როცა გონებამ „ორი მკურნალი მიკარნახა“. „ორ მკურნალში“ სიყვარული ღმერთკაცად იქცა და ექიმებისგან განუკურნავი კლექისაგან ფილტვებგამოხრული ჭაბუკი განკურნა. ხომ სასწაულია?

— დიახ, სასწაულია, — დაუდრასტურე მე.

— ერთი ჯურის ადამიანების სულში ასეთი სასწაულის ძალა აქვს სიყვარულს. ზოგიერთი ადამიანის სულში კი სიყვარული გაბინძურებულია ავადმყოფური ვნებით. ასე არ არის განა ეს ნოველაში „უცნაურია, უცნაური!“. ხომ არიან იმგვარად სნეული ადამიანები, როგორც ამნონია. არიან სიყვარულის ლოთებიც: დათვრებიან რომელიმე ამოჩემებული ქალის სიყვარულით, გამოფხიზლდებიან და უმაღ შეიძულევენ სიყვარულის ღმერთქალს. მერე სიყვარულით გალოთებულები ისევ ეძებენ, ისევ შეიყვარებენ. ისევ დათვრებიან მშვენიერი არსებით, გამოფხიზლდებიან და ისევ სახლიდან აგდებენ სიყვარულის ღმერთქალს და ასე დაუსრულებლივ კაცი ღვინოს რომ მიეჩვევა, მერე მისგან მოშხამული ლოთდება, გონს კარგავს. ასეა ეს სიყვარულშიაც. თავად მაღიზიანებდნენ და სულიერ სიმშვიდეს მაკარგვინებდნენ ასეთი ადამიანები, მათი მხილებით ჩვენს საზოგადოებაში გამეფებულ უზნეობას ვებრძოდი. მეორეს მხრით, მე ადამიანში სულიერად, ფიზიკურად ძლიერი და ზნეობრივად ამღლებული პიროვნება მიზიდავდა. რაკი ისინი ჩვენს თანამედროვეთა შორის ვერ ვპოვე, მე ზღაპარს მივაშურე.

...მე ამ შემთხვევაში დიდი სამოციანელების გზას მივყე-

ბოდი: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“. ხალხის სახელით მივმართე ქართულ არაკს და მოვ-  
ნახე მე დღევანდელი ჩვენი საზოგადოებისათვის მისაბაძი მა-  
გალითი, მისაბაძიცა და უარსაყოფიცა. ასე გამოვიყენე ქარ-  
თული არაკები „გაბზარულ გულში“ და აქ მისაბაძ მაგალითად  
მახარე დავსახე. ჩემს გმირებს შორის გამორჩეულად ამიტო-  
მაც მიყვარს მახარე. ვინძლო შენც შეიყვარო.

— აი ისიც, — ტრიბუნაზე ისევ გამოჩნდა მახარეს ლანდი.

— ერთ საღამოს, როდესაც სოფელს უკვე ეძინა, — ალა-  
პარაკდა ლანდი. — სამკედლოში შემომესმა ეთერის ციური  
ნმა. გარეთ გავჯარდი და მთვარის შუქზე მის სახეს შევხედე.  
თაფის დღეში ასეთი რამ არ დამმართია. ვიქეც ღმერთკაცად  
და ეთერის ხმა უცნაური ლითონში მოვამწყვდიე, ამით დავმ-  
შვიდდი და მოვისვენე. მაგრამ თურმე ცვდებოდი, ჩემი ტრა-  
გედია სწორედ იმ დღეს დაიწყო, როცა ზარი შეექმენი. ღმერ-  
თების დედოფალს — ეთერის და მტკიცე გადაწყვეტილება  
მიელოთ: მეორე ეთერი, ჩემი ოცნების ხატი ეთერი, ხელთ ეგ-  
დო და ამით გახსნოდა ფართო გზა დედოფლობისაკენ. მე  
ასე ვფიქრობდი: რაკი ეთერის ხმა დავისაკუთრე და ზარში  
ჩავამწყვდიე, თვითონაც ვერსად წამივა-მეთქი. მე, ხელოსანი,  
ბატონიშვილის ასულს დავეპატრონე. დაიწყო სულთა დუე-  
ლი — ღმერთკაცად ქეული ხელოსნისა და მზეთუნახავი  
ეთერისა. ღმერთისაგან ბოძებულმა ნიჭმა დახურული გულის-  
კარი გამიხსნა და მოხდა სასწაული იმ ზღაპრულ ხეივანში...

ერთბაშად სიტყვა გააწყვეტინა მახარეს ეთერის ლანდმა:

— მეც ზღაპარში დავიბადე. ხალხური ზღაპრის შვილო-  
ბილი, როგორც ზღაპარშია, მეც მზეთუნახავი ვიყავი. სილა-  
მაზით გაამაყებულს, დედოფლობის ჭია ჩამიჯდა გულში და  
დავკარგე მოსვენება სულისა. ჩემს სანახავად უამრავი ვაჟ-  
კაცი მოდიოდა. არავის ვიკარებდი, დედოფლობაზე ვოცნე-  
ბობდი და ღამ-ღამობით სიმღერით მთვარეს შევსთხოვდი. ამ  
სიმღერას ფარულად ყურს უგდებდა თურმე აი ეს მახარე, —  
და მახარეს ლანდს მიაშვირა ხელი. — ასე დაიბადა მახარეს  
სულში და მისი სულიდან ლითონში გადავიდა ჩემი მეორე  
ხმა. მე გადავწყვიტე ხელთ მეგდო მახარეს ეთერი — შიშის  
ზარი. ასე ვფიქრობდი, უნდა მქონოდა ისეთი თილისმა, რომ-



ლითაც სეფისწულს ქედს მოვახრევიებდი. ასეთი თილისმა სწორედ რომ მახარეს „შიშის ზარი“ იყო და მოვქსოვე ჯადოსნური ბადე განზრახვის შესასრულებლად. მაგრამ მეც იმ ბადეში აღმოვჩნდი: სიყვარულის ღმერთმა მის ნებაზე გვატარა.

— თუ ეს ასეა, მაშინ რად დაადექით ლალატის გზას? დიალოგში მახარე ჩაერია.

— მე შენთვის არასოდეს მილალატია.

— როგორ თუ არ გილალატია?

ეთერის ხმა: — ვიმეორებ, შენთვის არასოდეს მილალატია. აბა ჰკითხე ჩემს გადიას.

ეს თქვა და გადიას ლანდმა ჩამოართვა სიტყვა ეთერის:

— მართალი გითხრათ, ასე მეგონა, სასახლეში რომ მივედით, ეთერი ბედნიერი გახდა-მეთქი. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, დედოფლობისთვის მეოცნებე ეთერი ისევ უკან დაბრუნებაზე იოცნებებდა. და აი იმავე დღეს შემომჩვილა, უკან დაბრუნება მინდაო.

გაქრა გადიას ლანდიც. ის-ის იყო ბატონი შიო გამოჩნდა. ახლა მას მივმართე:

— ყველაფერი ეს ჩინებულია და მე, თქვენს ადგილას, წერტილსაც მახარესა და ეთერის შეყრით დავსვამდი. თქვენ ხომ საერთოდ გიყვართ მოკლედ თქმა. თქვენი სტიქია ხომ ნოველაა? რაღა საჭირო იყო ასე „ხეავრიელად გაწელა ფაბულისა“. აქ ექვსი ზღაპარია, თქვენებურად გადმოკეთებული ზღაპრები მებატე მწყემსზე, მზეთუნახავზე, მეჯოგეზე, მეფისწულზე... და რაც მთავარია, ბოლო კი, ფინალი, სადაც სამშობლოსათვის თავშეწირვის ამბავია მოთხრობლი, კულმოკვეცილია, სულ სამიოდე გვერდი ეთმობა ამ ყველაზე დრამატულ ამბავს. მერედა, სად იპოვეთ ასეთი უნიათო, მშიშარა მეფისწული?

არა, მე ეს ყოველივე შეგნებულად გავაკეთე, რომანის ბრობლემა სიყვარულია, ზღაპრული ენით გამოუთქმელი სიყვარული. სიყვარული ყოვლისშემქმნელი და ყოვლისდამანგრეველი. ამიტომაც გამოვიყენე და ასე უხვად დავესესხე მე ქართულ არაკებს, ქართულ ზღაპრებს, თქმულებებს, გადმოცემებს... ზღაპრული ამბავი რეალობად ვაქციე. საზოგადოდ ყოველ მოვლენას ორი მხარე აქვს: რეალური და ირა-

ციონალური. ნამდვილი — თვალთ ხილული და უხილავი — იღუმალეებით დაფარული. მწერლის ამოცანაა უხილავი ხილულად აქციოს. სწორედ ამ მიზნით გამოვიყენე ზღაპარი. ზღაპარში დაბადებული ეთერი ჩემს რომანში დაეასახლე. მეტწილად ყველა დიდი ნაწარმოები არაკზეა, თქმულებაზეა დაფუძნებული. არაკი ხალხში დაიბადება, მერე თოვლის გუნდასავით აგორდება, გაიბერება, შეიკვრება, შენივთდება და ხალხის გულშივე დაიდებს მუდმივ ბინას. ხალხის სულის ამ მონაწურს, ვით მაცოცხლებელ წყაროს წყალს, ისე ეწაფება მწერალი თუ ხელოვანი, თავისებურად გადაადნობს, სახესა და ფორმას უცვლის, ახალ სულს ჩაუდგამს, ახალ ხორცს შეასხამს და ასე მისი სულის მონაწურად აქცევს.

— ხელოვანის ღმერთკაცად ქცევა ძველთაძველი თემაა, მარადიული პრობლემა. ამ თემასთან შეჭიდება თქვენ უთუოდ გამშვენებთ. ოლონდ ისიც ცნობილია, რომ ყოვლისმცოდნეობა, ღმერთთან გატოლება თუ ღმერთკაცად ქცევა, ყოველთვის მარცხით მთავრდება. ამის მაგალითად, შორს რომ არ წავიდეთ, ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“ იკმარებდა. თქვენთან თითქოს პირიქით ხდება ყოველივე ეს, თუმცა ფინალი ბუნდოვანია, მაინც ღმერთკაცი მახარე სამშობლოს მხსნელად მოვევლინება.

— დიახ, მახარე მე ყოვლისმცოდნე ღმერთკაცად გამოვხატე. მოვიგონოთ „ზარის“ ისტორია, ან გაუხედნავი ცხენის გახედვნა. გაზღაპრებული, ამალღებულები სიყვარულია ყოველივე ამის საფუძველი (თუმცა მისი გული მაინც გაიბზარა ძმადნაფიც ირემას ვერაგობით ფინალში). ასევე ვაჩვენე სილაჩრე მეფისწულისა, ნადირასი.

— ასე მგონია თქვენი რომანის ფინალი მახარესეული ღმერთკაცობის კონცეფციას ჩრდილს აყენებს: ომის გმირად ძმადნაფიცობის მოღალატე ირემა გამოდის და არა მახარე. თვით მახარეს გულიც გაიბზარა ძმადნაფიცის ღალატით, როგორც მახარეს მიერ შექმნილი იდეალური ზარი.

— არა, არ ეწინააღმდეგება ეს ჩემს ჩანაფიქრს. კი გაიბზარა მახარეს გული, მაგრამ ისე, როგორც მახარემ გაამთელა ეთერის — „გაბზარული ზარი“, ასევე გაამთელებს მახარეს გაბზარულ გულს ეთერი, რომელიც მას დაუბრუნდა როგორც მიუწვდომელი იდეალი. მახარე, როგორც ვთქვი. ერთგვარ ანა-

ლოგიას ვაჟა-ფშაველას მინდიასთან ჰპოულობს. ოღონდ მახარე უფრო მთლიანი პიროვნებაა, ვიდრე მინდია. ისე, როგორც მინდიას ესმის ბუნების ენა, ასევე მახარეს ესმის სიყვარულის ენა. ბრიყვთა სიავით ჩაგონებული მინდია გადაუდგა თავის რწმენას, ათას განსაცდელს გამოვლილი მახარე არ უღალატებს ეთერის სიყვარულს. თუმცა მახარე ახალი სამყაროს — ტექნიკის სამყაროს მინდიაა. მისტიკური ფანატიზმით დამუხტული მახარეს სული შეიგრძნობს ეთერის სიყვარულს და ლითონში გამოამწყვდევს მას. მისი სული, როგორც ვაჟას მინდიასი, ღია კარია მისნობისა, რომ იღუმალის ძაფებით კავშირი გააბას ეთერის ხმასთან. ეს ყოველივე ზღაპარივითაა, რამეთუ ცხოვრებაა თავად ზღაპარი. მე ზღაპრების, არაკების ახლებური წაკითხვა ვცადე. ჩვეულებრივად ზღაპრებში გმირების ბედი კეთილად მთავრდება, მაგრამ ხალხურ „ეთერიანში“, რომელიც საფუძვლად დაედო „გაბზარულ გულს“, ეთერისა და მახარეს ბედი კეთილია. მე წავშალე საზღვარი ლეგენდასა და სინამდვილეს შორის. უფრო ზუსტად, სიყვარულის ყოვლსშემძლეობას მივუსადაგე ზღაპარი და ასე, არაკსა და ისტორიას შორის, ცხადსა და სიზმარს შორის სიყვარულის იდუმალი ხიდი გავდე. მოვახდინე ზღაპრის მოდერნიზაცია... მე არ მაკმაყოფილებდა ჩვენს საზოგადოებაში გამეფებული ობივატელობა, ინდეფერენტიზმი, განზე დგომა, გულგრილობა, მეშინაობა... XIX საუკუნიდან ევროპულ მოდეებს აყოლამ ღრმა უარყოფითი კვალი დაამჩნია ჩვენს სულსა და გონებას.

— „უცხოურ მოდეებს“ ვერ გავექცევით, ბატონო შიო! ჩვენს მწერლობას, ჩვენს კულტურას ეიანოგრაფიული ჩარჩოები უნდა ჩამოვხსნათ. ევროპული ხელოვნების სტანდარტების მიხედვით, მსოფლიო რადიუსით უნდა გავმართოთ ჩვენი მწერლობა, ეროვნულის ზოგადსაკაცობრიობამდე ამალეობა ისევ და ისევ ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს სხვა მხრივ ჩვენ ვერ გავეჭიბრებით მსოფლიო კულტურას. აქ რუსთაველი უნდა იყოს ჩვენთვის მაგალითი.

— მე ამის წინააღმდეგი როდი ვარ, მაგრამ ისტორიულად ჩვენ ამ უცხო ევროპული მოდეისთვის შინაგანად არ ვიყავით მზად. ამიტომაც მთლად გაშიშვლდნენ ჩვენი ადამიანები გარედან შეფერილ ფერუმარილში. ტრადიციული მორალის ეროვნულ მოდელებს — რუსთაველიდან ნანდერძევი სიყვა-

რულის, ძმადნაფიცობის, მეგობრობის რაინდულ სულს ვერ მოერგო ყოფითი ვაჭრული მოდელები. სიყალბე, მატყუარობა, ორპირობა მოეძალა ჩვენი საზოგადოების ობივატელურ სულს. ყველაზე დიდი უბედურება სულიერ ღირებულებათა დევალვაციაა. ადამიანთა ორპირობა, ანგარიშზე აგებული ოჯახი, სიყალბეზე აშენებული ქალ-ვაჟთა ურთიერთობა სააშკაროზე გამოვიტანე. მე შემზარა ჩვენი საზოგადოების ამორალიზმმა. ამიტომ მივაშურე ზღაპარს. მე მსურდა ადამიანი უფრო ამაღლებული, უფრო მშვენიერი, უფრო გონიერი და კეთილი მეხილა. ასეთ ადამიანთა სულთა კავშირის ძებნას შევალე ეს ჩემი წუთისოფელი და რაკი იგი ვერ ვპოვე ჩემს თანამედროვე ადამიანებში, ვიმეორებ, ზღაპარს მივაშურე. ასე დაიბადა ჩემი რომანი „გაბზარული გული“ ჩემი სიცოცხლის მიწურულში. სამწუხაროდ, ჩემს ირგვლივ არჩეული სინამდვილის განცდამ აქაც წამოყო თავი: ღმერთკაცად ქცეული მახარეს ძმადნაფიცი ირემა მოლაღატე აღმოჩნდა. დიახ, ცხოვრება უსასრულო დრამაა, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო. ადამიანში ყველაზე მეტად პატიოსნებას ვაფასებდი მე და ვეძებდი პატიოსანს, უანგარო ადამიანს. სწორედ ასეთი პატიოსანი და გაუზზარავი, მთლიანი პიროვნებაა მახარე. პატიოსანი, როგორც შეგირდი, პატიოსანი, როგორც მიჯნური, პატიოსანი, როგორც მამულისათვის მეომარი. ამ პატიოსანი ადამიანის გვერდით მე დავხატე გულღვარძლიანი, შურიანი და ბოროტი, მოლაღატე ირემა.

პატიოსნება ნიჭია სულისა ისე, როგორც სილამაზე ნიჭია ხორციელების. სულითა და ხორციით ნიჭიერ ადამიანთა როლში წარმოვადგინე მე მახარე და ეთერი. მე რომ მკითხონ, ადამიანებს ორ კატეგორიად დავყოფდი: მაღალი სულის კეთილ და ბოროტი სულის გულღვარძლიან ადამიანებად. თვით ცხოვრება წარმომიდგენია მე კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ასპარეზად. ამ მხრივ ვასილ ბარნოვის პოზიციას ვიზიარებ. ვასილ ბარნოვი ჩემი მასწავლებელი იყო თბილისის სემინარიაში. მე მისგან მომისმენია: „იყო დრო, — ამბობდა იგი, — როდესაც არსებობდა მხოლოდ ნათელი ანუ კეთელი... ეს იყო პირველი პერიოდი სამარადისო არსებობისა. დადგა დრო, როდესაც შეიქმნა ბნელი ან ბოროტი და მკაცრად შეებრძოლა ნათელს ან კეთილს. დიდის ძლიერებით ებრძვის ბნე-

ლი ნათელს, ბოროტი კეთილს. ეს არის მეორე პერიოდი სა-  
მარადისო არსებობისა. დადგება დრო, ოდეს ნათელი ან კეთი-  
ლი სძლევს ბოროტს ან ბნელს, დათრგუნავს მის მებრძოლ  
ძალებს და განაქარვებს. მაშინ ისევ გამეფდება უსაზღვრო  
სამყაროში ყოვლად სახიერი ნათელი, დაუჩრდილავი, კეთილი,  
შეურყვეველი, შეუზღუდავი. ბნელი თუ ბოროტი მთლად მო-  
ისპობა მაშინ, გარდაიქმნება არარაობად. ეს იქნება მესამე  
და საბოლოო პერიოდი სამარადისო არსებობისა“. ძველი  
სარწმუნოება ჩვენში ყოფილა თაყვანისცემა ნათელისა. ამ  
რწმენის მიხედვით არსებობს ერთი ღმერთი ნათელი. ღმერთი  
თვით არის ნათელის განსახიერება. ჩვენს დროში ადამიანები  
განუდგნენ ნათელის რწმენას. იგი, — ცბიერი, მატყუარა,  
ბოროტი, — ორპირ არსებად იქცა. განძის, დიდების, ტახტის,  
ქინჯის, განცხრომის ინტერესებს ანაცვალა ყოველივე ამალ-  
ლებული, მაღალი სულიერი სამყარო სულნამცეცობამ შესც-  
ვალა. სინაოლის ღმერთმა დასაჯა ცოდვილი ადამიანები. ჩვენ  
ცოდვის შვილები ვართ. ადამიანი ამ ცოდვისაგან უნდა  
განიწმინდოს. უნდა მოხდეს სულიერი, ზნეობრივი და სოცია-  
ლური კათარსისი. რა გზითა და საშუალებებით უნდა მოხდეს  
ეს? აი კითხვები, რომლებიც მე მაწვალებდნენ და ალბათ  
თქვენს თაობასაც აწვალებს დღესაც. ჩემი აზრით, ბოროტე-  
ბას მხოლოდ მხილების გზით უნდა მოვეერიოთ. და აქ პირვე-  
ლი სიტყვა მწერალს ეკუთვნის. ბოროტებას წინ უნდა აღუდ-  
გეს საზოგადოებრივი აზრი. ბოროტების წინააღმდეგ საბრ-  
ძოლველად ატმოსფერო მწერლობამ უნდა შექმნას. მწერლობა  
დღევანდელობის მამხილებელი უნდა იყოს და არა მამამბელი.  
დაშაქრულ, სულის მამამბელ ნოველებზე უარი ვთქვი, სუ-  
ლიერი სიმდაბლე ადამიანთა საყოველთაოდ გამოვფინე. ამაში  
ვხედავდი მე ჩემს მწერლურ მოწოდებას. მე აქ გამოვებაექრე  
ჩემს მასწავლებელს თვით ბარნოვსაც. თუმცა ბარნოვს, კე-  
თილი ადამიანების მხატვარს, როდრე აკლია კრიტიკული პა-  
ფოსი თანამედროვეობის თემებზე დაწერილ მოთხრობებში.  
მოვიგონოთ გულცივაძე მოთხრობა „ფარჩის ახალუხიდან“ —  
ეს გულქვა, ზვიადი, უღმობელი, გაუმაძლარი მევახშე. ან მა-  
სავით ფულის ტომარა, სულით მახინჯი გაქარი მილუა („ის-  
ნის ცისკარი“), რომელსაც გადაუწყვეტია დაისაყუთროს ხე-  
ლოსნის უღამაზესი ასული თინანო, ის თინანო, რომელსაც

საიათნოვამ „ისნის ცისკარი“ უწოდა. ჰოდა, ფულის ტომრიანი ადამიანები, ეგრეთწოდებული „ცივილიზაციის შვილები“, ბოროტი არსებანი არიან. ეს ბოროტება სიყვარულშიაც ვლინდება და ძმობა-მეგობრობაშიაც. მე ბარნოვისაგან განსხვავებით უფრო სარკასტულად დავცინი ადამიანთა გულცივობას. ამ მხრივ ბარნოვი უფრო ჰუმანურია, ტრადიციული, მაგრამ ეს უფრო სტილის საკითხია.

ცხოვრებაში ბოროტებას, ორპირობას, ავკაცობას, მატყუარობას მაგრად გაუდგამს ფესვები ჩვენს საზოგადოებაში. ამიტომ ავტენხე განგაში. გავიხსენოთ „გმადლობთ, უფალო, გმადლობთ“. მე საგანგებოდ შევყარე ადამიანები ეკლესიაში, სადაც თითქოს ცოდვები უნდა მოინანიონ. მაგრამ აქაც უსინდისოდ ტყუიან ისინი. ამ მატყუართა ხროვას მოსამართლედ, გულთამხილავად ყმაწვილი ქალი დავუყენე: „ზარსა რეკენს.. დღეს ბედნიერი დღეა, მრავალი მოაწყდება, ეკლესია ვერც კი დაიტევს. აგერ იქ, გალავნის კუთხეში, დავდგები. იქიდან არავინ გამომეპარება. მე კი ვერავენ დამინახავს, ყველას გული, ოხ, ღმერთო, წინ გადამეშლება“. და აი, ამ ყმაწვილ ქალს, რომელსაც უნდა ადამიანის გულწრფელობა სწამდეს, საშინელი სურათი გადაეშლება თვალწინ: აგერ დედაბერი ყავარჯნით შევიდა ღმერთის ტაძარში — „პატიოსანი და მართალი ადამიანის ჯილა დადიხანია საზოგადოებამ თავს დაადგა... მაშ გიცრუვია, საზოგადოებისათვის თვალი აგიხვევია... ღმერთო, რა გაიძვერად უმოქმედნია! და აი, ეხლაც წმინდა ადგილას ისევ ცრუობს“... აი, აგერ მეორე — „სათნოებით სავსე მშვენიერი არსება“ ღმერთს ვედრება, თითქოს უყვარს მას ქმარი, ნამდვილად კი ღალატობს თავის ქმარს... „ოი, წყეულო თვალთმაქცო“. ასევე ატყუებს მას ქმარი... ორივეს ერთმანეთისა სწამთ, ორივე კი ერთმანეთს ატყუებს, ღირსნი არიან ორივე ერთმანეთის. უნამუსოდ ატყუებენ ერთმანეთს შეყვარებულები. „მათ სათავეშივე დაიწყეს ცრუობა“. ასევე ცრუობს კეთილი მწყემსიც, მამულიშვილობით რომ მოაქვს თავი: „ახ, რა დიდი ამბით, რა გრძნობით ახსენებენ ხოლმე წმინდა სამშობლოს. ამით ხელოვნურად თვალი აუხვიეს საზოგადოებას“. — „შედით, შედით თქვენც, თქვენც ორგულებო, მატყუარებო“... და საშინელი განაჩენი გამოაქვს ახალგაზრდა მსაჯულს: „ღმერთო!.. ვინდა დარჩენილა? უფალო, შეარყიე

ტაძარი, შეუმუსრე მისი მკვიდრი კედლები, როგორც შიგ  
მყოფთ შეუმუსრავეთ ყოველი ადამიანური გრძნობა და...  
უფალო, უფალო... ნუ თუ არავინ დარჩა?! ერთი, ერთი ადა-  
მიანი მაინც ვნახო, რომელიც გულწრფელად მოქმედებდა..“

— ბატონო შიო, — მივმართე მე ლანდს, — ეს მეტისმე-  
ტი ხომ არ არის? ნუთუ მართლაც ასეთია მთელი ჩვენი მოდ-  
გმა.

— ამ ნოველაში „გმადლობთ უფალო, გმადლობთ“ მე  
თეზისების სახით ჩამოვაყალიბე თანამედროვე ადამიანთა ორ-  
პირობით გამოწვეული ჩემი განუზომელი გულისტკივილი.  
მერე ეს თეზისები ცალკე ნოველებში გავშალე. აი, მოვიგო-  
ნე ნოველა „მხრებილა ავიჩეჩე“. გულჩინა და გაიოზი თით-  
ქოს გამიჯნურდნენ. გაიოზი ოცნებობს ერთგულ ცოლზე: „ოხ,  
რა ნეტარებაა, როდესაც გგონია მაინც, რომ შენი არსება მე-  
ორეს შეუერთე და ორნი ერთ არსებად ხართ გარდაქმნილი,  
რომ „შენ“ „ის“ ხარ და „ის“ კიდევ „შენ“. გაიოზი იქვის  
თვალით უყურებს მომავალი საცოლის პირფერობას. და აი  
საბუთიც სულ მალე გამოჩნდება. გულჩინა ერთსა და იმავე  
დროს დაწერს და გაგზავნის ორ წერილს: ერთს საქმროდ  
არჩეული გაიოზისას და მეორეს — საყვარლის მისამართით.  
მისამართები შეეშლება. გაიოზი საყვარლის მისამართით  
გაგზავნილ ბარათს მიიღებს: „შენ რომ ქალი იყო, —  
სწერს გულჩინა საყვარელს, — მაშინ დამეთანხმებოდი, რომ  
ჩვენს დროში კანონიერი ქმარი ქალისთვის აუცილებელია.  
ქმარი ქალისთვის ფარია, ფარდაა და მეც ამ ფარდას ვეძებ,  
რომ იმის იქით მე და შენ უშიშრად, მოურიდეblად ვისი-  
ყვარულთ... ასეთია გულჩინას „სიყვარულის ფილოსო-  
ფია“ და ის გამონაკლისი როდია ჩვენს საზოგადოებაში. ამ  
აზრს ვანვითარებ მეორე ნოველაში — „ხითხითებს და ხით-  
ხითებს“. ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე ანა ფულის ტომ-  
რიან „ბებრუტუნა ქაიხოსროს მიათხოვეს“. ანა სრულ გან-  
ცხრომას მიეცემა, აგარაკს აგარაკზე იცვლის, თავის ბებერ  
ქმარს თვალს აუხვევს, ოჯახის, „მეგობრად“ გაიხდის ახალ-  
გაზრდა ვაჟს და ასე ანებივრებს ცბიერებითა და მატყუარო-  
ბით „ხორცსა და სულს“.

— მეც იმას მოგახსენებთ „ქარი კი ამ დროს კენესო-  
და, ზუოდა და გმინავდა“, „ბალდი ყოფილხარ“, „სულ ერთია“,

„სისულელეა“... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ამ ნოველებს ასეთი ერთი საერთო ნიპილისტური დასკვნა აქვთ: „ცოლი და ქმარი, თუმცა ყოველთვის უმტკიცებენ ერთმანეთს გულწრფელობას, საქმით კი ცბიერობენ, ატყუებენ ერთმანეთს“.

— ჰოდა იმას გეკითხებით, მეტისმეტად ხომ არ გააშიშვლეთ ადამიანის სული-მეთქი? მე მზარავს ასეთი შიშველი სულის ადამიანები. მაგალითისთვის ავიღოთ თქვენი „ანტონ ზურაბიჩი“. ანტონ ზურაბიჩი — ეს საჩკასტული არსება, სრული დაცინვაა ადამიანისა, ადამიანობისა. გაშიშვლებული სულის ეს პიროვნება გვაშინებს სწორედ თავისი სულიერი ამორალიზმითა და სილატაკით. თქვენ შორს მიდიხართ ეტიუდში „მხრებილა ავიჩიჩე. აქ საერთოდ ექვი შეგაქვთ ადამიანთა გულწრფელობაში: „კაცი თუ ქალი, ორნივე ლალატობენ, საქმით თუ არა, განზრახვით მაინც. განზრახვით ლალატი და საქმით ორივე ერთია, ორივე ლალატია და არაფრით განსხვავდება. „რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის თქმასა მას, მუნვე იმრუშა (სახარება მათესი, თავი V. მუხ 28). „საცა ლალატია, იქ ერთობას ადგილი არა აქვს. ვერა, ვერა! კაცი მარტოდ ებადება და მარტოობა, ეულობა სიკვდილამდის თან სდევს... ნეტავი იმას, ვინც ამას გრძნობს. ის ბედნიერია. რა არის ამის მიზეზი? რად არის ადამიანი დევნილი? ვინ დასწყევლა? ვინ? ვინ?... ვინლა ვინ, თითონ... ადამიანი ყოველისფერს მოიმოქმედებს, მაგრამ გულწრფელად კი არაფერს“. ნუთუ მართლა ასეა ეს?

— თუ გულწრფელი ვიქნებით, დიახ, — უცბად მომიქრა, თან დაუმატა:

— „ესაა ჩვენი ცხოვრება“, მაგრამ მე თავად არ მინდოდა ეს ჭეშმარიტება მერწმუნა და ამიტომ ჩემი პოზიციის ყველაზე ტიპიურ ნოველას — „გმადლობთ, უფალო, გმადლობთ“, სიზმარი ვუწოდებ, მაგრამ ეს ისე, როგორც ბავშვს მწარე წამალში შაქარს ურევენ ხოლმე...

— მაინც ყველაზე მეტად თქვენს ნოველებში ქალები სცოდავენ ხოლმე, ერის დედაბოძი ქალები. ეს ხომ არ ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ტრადიციას. განა ქეთევან დედოფლის მაგალითი ან თამარ მეფე — ეს სიამაყე და მწვენიება ქართველთა, არაფერს ეუბნება ჩვენს სულსა და გულს?



— როგორ არა, მე ჩემის მხრით ბარათაშვილს, ილიასა და აკაკის ქართველის დედებს დაეუმატებდი. მეც ამასვე ვვალაღებ. ასევე მტკიცე და შეუვალნი იყვნენ ისინი სიყვარულშიაც. მოიგონეთ ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას მთიელი ქალები. ჰოდა, მე მათგან ჩაგონებულმა მთიელი მარო („ყველაი დავკარგე“) ამალღებულნი თავაწყვეტილი სიყვარულით დავხატე. დიახ, მთამ შემოგვინახა უბიწო სიყვარულის ტრადიცია. ბარში კი ცივილიზაციამ დიდი ზნეობრივი დაკნინებანი მოგვიტანა. ის ჩემი მეორე მარო („ჩემი სამშობლო ჩემი გულია“) ასე მსჯელობს: „ჩემი სამშობლო ჩემი გულია და სადაც მე ვიქნები, სამშობლოც იქ იქნება, — აღზნებით წამოიძახა და თავის მთრთოლვარე ტუჩები პოლონელ ზლისლავ პშივალსკის ტუჩებს ზედ დააკონა“. პოლონელი შეჰხარა ქალის ამ საქციელმა და უკუდგა მისი სიყვარულისგან. ქართველებში დაკარგული ეროვნული თვითშეგნების მამხილებლად პოლონელი ამ ნოველაში შემთხვევით არ გამოიყვანია. მე პოლონეთში, ვარშავაში ვსწავლობდი. აქ ვმეგობრობდი პოლონელ სტუდენტებთან. მათ მე, ქართველ სტუდენტს, გული გადამიხსნეს და შიგ ჩამახედეს. ჰო, რა წმინდა გულით უყვარდათ სამშობლო — პოლონეთი. მზად იყვნენ მისთვის თავი გაეწირათ. პოლონეთი და საქართველო მაშინ ერთ ბედს ქვეშ იყო. იქ, ჩემ ქართველ კოლეგებთან ერთად, დავაარსე საზოგადოება „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“. სულ მალე მიაგნეს მეფის რუსეთის აგენტებმა ჩვენს პატრიოტულ წრეს და სხვებთან ერთად ციხეში ამოვყავი თავი ჯერ ვარშავაში, მერე ქუთაისის ციხეში, ცხრა თვე მჯიჯგნეს და მტანჯეს სწორედ ამან ჩემს გულში უფრო გააღვივა სიძულვილი ქართველთა ერთ წრეში ფეხმოდგმული ეროვნული ნიჰილიზმისადმი. სამშობლოში კი სწორედ ამის გამო ამიჯანყდნენ, ცილი დამწამეს „მიწაას“ ავტორს. ხომ გახსოვთ ეს ნოველა.

— როგორ არ მახსოვს? ეს მართლაც საოცარი გულთამხილაობით დაწერილი ნოველაა. ტუსადი მთიელის განცდა აქ ერთი მუჟა მიწის სიყვარულშია გამოხატული. ამაზე დიდი განცდითა და სასოებით სამშობლოს სიყვარულის დახატვა შეუძლებელია. ბერა საოცრად მთლიანი პიროვნებაა. ბერამ სამშობლოს ფასიც იცის და ქალის სიყვარულის ერთგულე-ბაც.

— ჰო, ასევე არ დავხატე ის ჩემი მახარე? მაგრამ ყველაფერი ეს ნამდვილ პატრიოტებს შეეხება, იმ თითო-ოროლა პატრიოტებს, ახლა მთაში რომ შემოგვრჩა ბარად? ბარად კი მეშინი მარო და ასეთი მეშინი გულჩინები და მისთანანი, სარეველა ბალახით მოედო ქვეყანას. როგორ შემეძლო, ეს არ მემხილებინა. ვინც ჩვენს სინამდვილეს გონების თვალთ დააკვირდება, ის უთუოდ დამეთანხმება. აკი დამეთანხმა კიდეც ისეთი უკომპრომისო მწერალი, როგორიც კოლა ლომთათიძე იყო?..

— მე მაინც მაშინებს თქვენი ასე მოჭარბებული შიშველი სულის ადამიანები. არა მარტო სიყვარულშია ეს უსაშველო ნიპილიზმი, არამედ თითქმის ყველა პრობლემაში, რომელსაც თქვენ შეეხეთ. აი ავიღოთ ისეთი წყევლა-კრულვიანი კითხვა, როგორიცაა, რა არის ადამიანი? რა უფლება და მოვალეობანი აქვს მას.

მერე ჰაერში დაირბა მწუხარე დანიელი პრინცის საგანგაშო ზარის რეკვა: „ყოფნა არ ყოფნა, საკითხავი აი რა არის“ კაცობრიობა დაასწულა ამ კითხვამ და პასუხი დღემდის ვერ უპოვიათ.

— უფრო მეტი, — ჩამომართვა სიტყვა შიოს ლანდმა. — ეს საკითხი ჩვენი დროის ყველაზე მწვავე პრობლემაა, ქეშმარიტი შემოქმედის ფიქრის სათავეა და სკეპსისის მიზეზიც ეგ გახლავთ. რა არის ადამიანი, რა უფლებები და შესაძლებლობანი აქვს მას, როგორია დამოკიდებულება ადამიანებსა და საზოგადოებას შორის — მე შეძლებისდაგვარად ამ თემას ჩემი ნოველების დიდი ნაწილი მივუძღვენი.

— ეს მართალია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ამ ნოველებში მეტწილად ურწმუნო ადამიანები არიან დასახლებულნი. ავიღოთ თუნდაც „სამი მცნება“. სწორედ აქ ვკითხულობთ: — ჰოი, კაცო! ნურასდროს ნუ დაეკითხები შენს თავს: რა არის ადამიანი. ყოველგვარ მოვლენას შენს ცხოვრებაში გულგრილად შეხვდი, ეცადე შენი ცხოვრება მხოლოდ სიამოვნებით გაატარო — აბა დააკვირდით ამ სტრიქონებს? ეს ხომ გულგრილობისაკენ, ცხოვრებისაგან განდგომისაკენ მოწოდებაა? და ამას ამბობს მეფისწული, ვისაც ქვეყნის მეთაურობა და წინამძღოლობა აკისრია. თქვენ უფრო შორს მიდიხართ. რა არის ადამიანის ამ კითხვისათვის რომ გაეცა პა-

სუხი, მეფისწული მთელი ოცდაათი წელი მოგზაურობს და ეძებს პასუხს. ამ ეკლიან გზაზე ვიღაც შემლილს გადაეყრება და იგიც პასუხს არ დააყოვნებს: სისულელეა! ეს ხომ საშინელი დაცინვაა საერთოდ ადამიანისა. — შეუძლებელია ადამიანი ცხოვრობდეს და კი არ იცოდეს, რას წარმოადგენს, რა ადგილი უჭირავს სხვა ცხოველთა, მცენარეთა და სხვათა შორის. დიდებული კითხვაა. ყველა დროის დიდ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს აწუხებდა ეს კითხვა, მაგრამ პასუხი? პასუხი თქვენის მხრით ამაზრუნენია, შიშის მომგვრელი.

— ჰო, მართალია, ჩემს სულს შეეპარა სკეპსისი. მაგრამ მე მაინც ბოლომდე არ დავრჩენილვარ სკეპტიკოსად. ვეძებდი და ჩვენს საზოგადოებაშიც ვიპოვე ისეთი ადამიანები, რომელთაც მომავლის რწმენა გააჩნდათ. ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ ეს მეშჩანური საზოგადოება გარდაექმნათ, ჭაობი წმინდა წყაროდ ექციათ. ჩვენი ეპოქის რთულ ვითარებაში ადამიანებს მე დავაკისრე ჭაობი ნაკადულად გარდაექმნათ. გახსოვთ ჩემი ეტიუდი „ციცინათელა?“ გიორგი საზოგადოებამ შეურაცხყო, ზურგი შეაქცია, მიუხედავად ამისა გიორგი თავის მოვალეობად თელის იბრძოლოს საზოგადოების გარდაქმნისთვის, ბოროტს — კეთილი, სიბნელეს — სინათლე დაუპირისპიროს. ციცინათელასავით გაანათოს ბნელი. პიროვნებამ თავის უკანასკნელ სულს ამობღო-მამდე მოვალეობას არ უნდა გადაუხვიოს და წინ მიდიოდეს შეუღრეკლად... ასე რომ, ყველა ჩემს ნოველაში ურწმუნობა „როდია ჩასახლებული“, როგორც ამას მიყიჟინებენ ხოლმე. მე ბევრგან დავხატე ადამიანი ანთებული რწმენით, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების რწმენით...

— მაინც ბრძოლის ჟინი აკლიათ თქვენს გმირებს, ისინი მეტწილად პასიურები არიან, ბედის მონანი, სულნამცეცანი... მარტო მხილება, მარტო გაშიშვლება, ადამიანის სულის ქექვა საქმეს ვერ შეეღობა. ადამიანები უნდა გავამხნეოთ, შევუძახოთ, გამოვაფხიზლოთ, წავაქეზოთ, რწმენა განვუმტკიცოთ, სიცოცხლის ჟინი დავუბრუნოთ. დიახ, გამხნევება და სულიერი ამალგება ჭირდება დღეს ადამიანებს და არა სულნამცეცობის გაშიშვლება და დაკნინება ისედაც დაკნინებულს. არ დავივიწყოთ ილიას შეგონება: ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია. შე-

ნი ნოველების გმირებს აკლიათ ეს ილიასეული რწმენა ხვაი ლინდელი დღისა.

— არა, ეს უმართებულო ბრალდებაა. განა ჩემი გუთნია აწვილი ბედის მონაა, პასიური პიროვნებაა. ის ხომ ჯორჯი-ანჰილის პროტოტიპია, რომელმაც ბომბით განგმირა მტერი. მას ამისთვის ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. იგი ჩამოხრჩობის წინ ასე მიმართავს ხალხს: „მაშ, ძმებო, მოდით და ერთად წავიდეთ, მეც თქვენ გვერდით ამოგიდგებით და იარაღით ხელში ხალხის მტერს დავეცნეთ“. განა ხალხური თქმულება ამირანის შესახებ ასევე, ოპტიმისტური ჩანახატით არ დავასრულეთ „ამირანი ისევ აპირებს მხნედ შეუდგეს თავის განთავისუფლებას... მაშინ განთავისუფლებული ამირანი ააყვავებს ქვეყანას... მაშინ დადგება დაუსრულებელი ბედნიერება“. და ბოლოს დათუა შრომიშვილი („ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო“) და მთიელი ბერა („მიწა“) ბედისწერის წინააღმდეგ ამხედრებული გმირები არ არიან? როგორ? მე, ამ ნოველების ავტორს, არა მწამს ხვალინდელი საქართველო? ეს რწმენა რომ არ მქონოდა, კალამს ხელს არ მოვკიდებდი. სწორედ იმიტომ, რომ მე მწამდა ხვალინდელი საქართველო, სწორედ იმიტომ გამხილებდი ჩემს გვერდით მცხოვრებ უღირს ადამიანებს, რომელთაც ქართველობით მოჰქონდათ თავი და ნამდვილად კი ცბიერი იყვნენ. ჩემი სევდა, ჩემი პესიმიზმი სწორედ რომ რეალობიდან იღებს სათავეს, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი რეალობიდან. პესიმიტიად, მეძახით და გავიწყლებათ, რომ მე პესიმიტი კი არა, ნამდვილი რეალისტი ვარ. უმაღლესი რეალიზმია ჩემი წუხილი გულისა, რეალური, ცხოვრებისეული, ადამიანის სულის გამწმენდელი და მამხილებელი მწერლობა, აი ჩემი რეალიზმის საფუძველი. ჰო, ვიმეორებ, ჩემს სულს შეეპარა სკეპტიციზმის სენი, მაგრამ ეს თვით ცხოვრებით ნაკარნახევი, თანამედროვე ადამიანთა დაკვირვების საფუძველზე აღმოცენებული სევდა იყო. ბევრზე ბევრი აღმოჩნდნენ მატყუარანი, მედროვენი, ორპირნი.

— ამაში კი მართალი ხარ, — ისევ ჩავერიე საუბარში. — მედროვენი, მატყუარანი, ორპირნი, სამწუხაროდ, ახლაც ბლომად არიან ჩვენს შორის. ალბათ, ასე იყო და ასე იქნება. ეს განუკურნავი სენია ადამიანთა მოდგმისა. იყო და არის უთუოდ მართალი ბრძანდებით, ბატონო შიო, მწერლობის

ამოცანა მათი მხილება, დღის სინათლეზე გამოტანა და შე-  
უპოვარი ბრძოლა მედროვეთა წინააღმდეგ.

— ჰო, ასეა, მაგრამ მე დავილაღე ამ მედროვეთა წინააღ-  
მდეგ ბრძოლაში და ამიტომ მივაშურე ქართულ არაკს, რომ  
იქ შეპოვა უფრო მთლიანი, გაუბზარავი და ბუნებასთან ჰარ-  
მონიაში მყოფი ადამიანი.

— კი მაგრამ თვით „გაბზარულ გულში“ ირემა ხომ ბო-  
როტი სულია?

— ირემა ბოროტი სულია, მაგრამ არა ეთერის სიყვარუ-  
ლის გამო, როგორც ეს ხალხურშია. ბოროტია ძმადნაფიცი  
მანარეს მიმართ, და. იცით, რატომ? იმიტომ, რომ მას ჰგონია,  
მანარეს საოცნებო მარეხს ცოლად შერთავენ, რაკი ომის გმი-  
რად გამოცხადდება იგი. მან ხომ არ იცის ეთერისა და მანა-  
რეს სიყვარულის ისტორია? მარეხი და ეთერი სულითა და  
ხორციით ტყუპის ცალებია, შემოქმედი მანარესაგან სიყვარუ-  
ლით ამალღებულნი, მარეხზე უიღბლოდ შეყვარებულ ირემას  
გულში ჩაესახა შური და მტრობა მანარეს მიმართ. იგი  
ხალხური მურმანიც არის და ქართული იაგოც. ორივე შემთხ-  
ვევაში ბოროტების სარჩული პირადი შურია. იგი თავისებუ-  
რი მურმანია, ნადირობაში თან რომ ახლავს ყოველთვის მე-  
ფისწულს, ვით მურმანი „ეთერიანში“ აბესალომს. ირემა სი-  
ყვარულის ნიადაგზე გამოჩენილი მეორე მოდელია მურმანი-  
სა, უფრო სააშკარაოზე გამოსული ბოროტებაა. ადამიანში  
ორი სულია, ორი მოდელი — ბოროტი და კეთილი და მათ შო-  
რის გამუდმებული ბრძოლაა, ცხოვრება ჩვენი ასეა თვით  
„გაბზარულ გულშია“, ეს ორი მოდელი განაგებს ადამიანთა  
ბედისწერას.

— და მაინც ადამიანი გონიერი და ჭკვიანი არსებაა, ყოვ-  
ლისშემძლე და სასწაულების მომხდენია.

— გეთანხმებით, განა ასე არ არის ეს „გაბზარულ გულ-  
ში“?

— და თუ ეს მართლაც გულით გწამდა, რატომ აგვავეთ  
ასე ყელამდე ურწმუნო ადამიანებით? რატომ გახლიჩეთ, რად  
გააპეთ ასე ადამიანი?!

— მე კი არა, თვით განგებამ გახლიჩა ადამიანი...

— როგორ თუ განგებამ?

— ჰო, ბუნება, პირველქმნილი ბუნება, კეთილი იყო, ნამ-

ღვილი სამოთხე. ამ სამოთხეს ადამიანი ბოროტ არსებად მო-  
ევლინა. მან თვით ბუნებას გამოუცხადა ომი. ბუნების სიკე-  
თეს ბოროტებით უპასუხა და ამით დაივიწყა, რომ ბუნება  
ღმერთია. გახსოვთ ვაჟა-ფშაველა?

— მახსოვს, მაგრამ განა ვაჟამ არა თქვა: ბუნება მბრძანე-  
ბელია, იგი მონაა თავისა, ერთგვარად მტვირთველი არის კე-  
თილისა და ავისა. და მაინც ლამაზი არის, მაინც სიტურფით  
ჰყვავისაო.

— ჰოდა, თქვენთან ბუნება არ გვწყალობს. მოვიგონოთ  
ეტიუდი: „ხა, ხა, ხა, რა სულელი ხარ“. ახალგაზრდა ეფრემი  
კვდება. მეგობრები გლოვობენ. ზეკას შესჩივიან ეფრემის  
ულღეთო სიკვდილის გამო. „ზეკა ჩვეულებრივად წყნარი და  
მშვიდი იყო — ცავ, შენზე ადამიანის მწუხარება არ მოქმე-  
დებს?! — ხა, ხა, ხა, რა სულელი ხარ! — ჩამოჰკისკისეს ზე-  
ვით ვარსკვლავებმა“.

— მაგრამ ეს ხომ სიმართლეა, მწარე სიმართლე. რა რეა-  
ლობის მეტაფორაა. გახსოვთ ჩემი „ბუნების მეფენი“?

— „ადამიანი მეფეა ბუნებისა და მას შეუძლია დაიმორჩი-  
ლოს და იმსახუროს ის, როგორც ვირი“, — ტრაბახობს ღვი-  
ნისაგან შუბლგახურებული თამადა. და, აი ქეიფის შემდეგ  
მინდვრად გაისეირნებენ თანამესუფრენი. უეცრად ატყდება  
ჭექა-ქუხილი. მაშინ? „მაშინ კი ბუნების მეფეთ თავგის სორო  
სამშობლოზე უპვირფასესად უღირდათ. სად წასულიყვნენ?  
სამარცხვინო მათი კივილი იფარებოდა არემარეს გმინეთ“.  
ასე, ერთ წუთში გააქარწყლა ბუნების სტიქიამ მედიდურობა  
ადამიანებისა და ნათელი გახადა სიმსდალე, სილაჩრე და ცრუ-  
ბენტელობა მათი. მერე იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ვაჟას-  
თან ისევე, როგორც ადამიანი მტრობს ბუნებას, ბუნებაც სა-  
მაგიეროს უხდის ადამიანს. ვაჟას ამის გამო ხშირად აღმოხდე-  
ბა ხოლმე კვნესა. ადამიანს კი არ ესმის კვნესა ბუნებისა და  
არად აგდებს მას. ჩემის აზრით, ადამიანები ცხოვრებამ გააბო-  
როტა. ადამიანის სულში ჩათესილი ეს ბოროტება უნდა ვამ-  
ხილოთ. ადამიანი, ჩვენი თანამედროვე ადამიანი, სულიერად  
უნდა განიწმინდოს, გარდაიქმნეს, ღირსება, პატიოსნება, პირ-  
ველქმნილი ბუნების სიკეთე უნდა დაეუბრუნოთ ადამიანებს.  
ადამიანი სულითაცა და სხეულითაც ისეთივე ლამაზი უნდა  
იყოს, როგორიც ჩემი მახარეა. ყოველგვარ ცდუნებაზე უარი

უნდა ვთქვათ. კათარსისი, კათარსისი ჳირდება თანამედროვე ადამიანს. კეთილის გამარჯვება მოითხოვს თვითშეწირვას. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ასეთი თვითშეწირვისათვის. გზა ერთია: დავემოთ, ვამსილოთ, ადამიანებს გულიდან ცივი ქვა ამოვაცალოთ, პატივმოყვარეობაზე, თვითგანდიდებაზე უარი უნდა ვათქმევინოთ. ბოროტებას განვარიდოთ და კეთილს ვაზიაროთ, — აი ქეშმარიტი მოვალეობა მწერლისა. ასე მესახებოდა მოვალეობა ჩემი, როგორც მწერლისა და მოქალაქისა სამშობლოს წინაშე. რითაც შემეძლო, როგორადაც შემეძლო, ამ მოვალეობისათვის არ გადამიხვევია. როგორ აღევსარულე ყოველივე ეს, ამის განსჯა ჩემი ხალხისთვის მიმინდვია. ერთი კია, ძალ-ღონე და განგებინგან ბოძებული ნიჭი არ დამიზოგავს. სოციალური, ეროვნული, ჳნეობრივი; ფსიქოლოგიური თუ ჳოგადკაცობრიული სატკივარი სულს მიწეწავდა და მოსვენებას მაკარგვინებდა. ასე ვიფიქრე, საკითხთა ამ წყებას რქებში ჩავავლებ-მეთქი ხელს: რა არის ადამიანი, რა დანიშნულება და მოვალეობა აკისრია მას ამ ქვეყნად — საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე. ამ მარად ძველსა და მარად ახალ პრობლემას ვუტრიალებდი მე ყოველმხრივ და ვეძებდი, ვეძებდი პასუხს. ხშირად ამოდ. ეს ვეებერთელა და ძნელად ამოსაცნობი ამოცანაა. მეც გამიჭირდა მისი გამორკვევა, მაგრამ რაც მოვახერხე, ერთი კაცისთვის, მე მგონია, ესეც კმარა. ახლა ჳერი თქვენზეა, — თქვა და გაბევრდა ბატონი შიოს კეთილი ლანდი. იმათში ერთმა, დაღონებულმა გაბრომ, ასე განაცხადა:

— „ოხ, მომეცით რწმენა მომავლისა და აი, ამ მთას მეორე ნაპირას გადავდგამ, თავს შევაკლავ“! — და ერთხმად იქუხეს ლანდებმა: „რწმენა! რწმენა მიეცით ხალხს, რწმენა, რწმენა დაუბრუნეთ ადამიანებს“...

## მ თ ა წ მ ი ნ დ ა

(პოეზია — უპირველეს ყოვლისა)

მთაწმინდა უკვდავთა ეს სამარადისო სამყოფელი საქართველოს უპირველესი საოცრებაა „თავისი ბუნებითა და გონებით“. ეს საოცრება პირველად სილამაზის გაუხუნარმა მუზამ ნინო ქავეჭავაძემ „აღმოაჩინა“. აქ მიუჩინა მუდმივი ადგილსამყოფელი თავის სათაყვანებელ ქმარს ალექსანდრე გრიბოედოვს.

ნინომ შეიყვარა ეს მაღალი სულისა და მღელვარე გულის ბრძენი კაცი და 16 წლისა ცოლად გაჰყვა მას: 1828 წლის 22 აგვისტოს სიონში გრიბოედოვს ჯვარი დასწერეს ნინო ქავეჭავაძეზე, მაგრამ საბედისწერო აღმოჩნდა ეს ჯვარისწერა. ხუთი თვის შემდეგ, 1829 წლის 30 იანვარს, თეირანში ტრაგიკულად დაიღუპა გრიბოედოვი. ეს ამბავი რომ შეიტყო, გული შეუღონდა ნინოს და მუცელი მოეშალა. ასე უბედურად წარიმართა ნინოს ბედი. 17 წლისას ქმარიც დაეღუპა და შვილიც. ალექსანდრე გრიბოედოვი თეირანიდან თბილისს ჩამოასვენეს და მთაწმინდაზე საგანგებოდ მომზადებულ მღვიმეში დაკრძალეს. მღვიმის ფრონტონზე წააწერეს: „აქ დაკრძალულია გრიბოედოვის ნეშტი“. მერმე საფლავზე დაადგეს მარმარილოს ძეგლი ბრინჯაოს ჯვრით და მტირალი ქალის ფიგურით. კვარცხლბეკის წინამხარეზე მწერლის ბარელიეფია, ხოლო მის ქვეშ ოქროს ასოებით ამოკვეთილია: „ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი, მოკლულია თეირანში 1829 წლის იანვრის 30-სა დღესა“. სამხრეთით ამოტვიფრულია: „УМ и дела твои бессмертны в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя“. სამარხის ზემოთ ქვაზე აწერია: „აქ მდებარეობს გუამი გრიბოედოვისა. აღუშენა ძეგლი ესე მეუღლემან ნინა თავადი ალექსანდრე ქავეჭავაძის ასულმა წელსა 1832“, აბა დააკვირდით ამ ეპიტაფიის სიტყვებს. ეს სიტყვები გრიბოედოვის ქვრივს — ოცი წლის



ნინო ჭავჭავაძეს ეკუთვნის. ამ სიტყვებს თავისი სული თან გაატანა და მით აღანთო ხალხთა ძმობის ლამპარი. ნინომ პირველმა მისცა ალექსანდრე გრიბოედოვის ნიჰსა და საქმეს უმაღლესი შეფასება, და ლიტერატურის ისტორიამ გაიზიარა ეს შეფასება. გრიბოედოვის მთავარი თხზულების — „ვაი ჭკუისაგან“ — სრული ტექსტი გამოქვეყნდა 1862 წელს. არასრული — 1833 წ. ნინოს ხელთ ჰქონდა ხელთნაწერი ავტორისა. ნინო ჭავჭავაძე — „სილამაზის ნაზი გრიგალი“ — არა მარტო მშვენივრით იყო განთქმული, არამედ ჭკუითა და გონებითაც...

1847 წელს გარდაიცვალა სამი ულამაზესი ასულის — ნინოს, ეკატერინეს, სოფიოს და უმამაცესი მეომარის დავით ჭავჭავაძის დედა, ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე ლექსის — „მუხამბაზის“ ადრესატი სალომე. ნინოსა და ეკატერინეს მოთხოვნით სალომე ორბელიანი მთაწმინდაზე — მამადავითის ეკლესიაში დამარხეს. დავით დადიანმა საფლავს მარმარილოს ფილა დაადო წარწერით: „მარად დაუვიწყარ სიღედრისა სამარეს დავადევი ფიქალი ეს მთავარმა დავით დადიანმა“. ათი წლის შემდეგ, 1837 წელს კი 25 წლისა ქოლერით გარდაიცვალა თბილისის ეშხი და სილამაზე — თვით ნინო ჭავჭავაძე. სამეგრელოს დედოფალმა, უმცროსმა დამ ეკატერინე ჭავჭავაძემ — „წინანდლის ვარდმა“ — ნინოც გრიბოედოვის გვერდით მიაბარა მთაწმინდას. როგორც ძველ საბერძნეთში ფოკიდის მხარეში პარნასის მთა გამოცხადდა მუზეების ღმერთის სამყოფლოდ, ასევე თბილისში, მთაწმინდას ჭავჭავაძეებმა დაანათლეს ყოფილიყო ქართული მუზეების ადგილსამყოფელი... მერე ის იყო, რომ 1887 წელს საქართველომ მთაწმინდას, ცარიზმის აგენტების მიერ მოკლული სტავროპოლში გადასახლებული საქართველოს სინდისი — დიმიტრი ყიფიანი მიაბარა. ეს სამგლოვიარო პროცესია ქართული სულის ეროვნული ენერჯის დემონსტრაციად გადაიქცა. საქართველოს ეროვნულ გამოღვიძებას კი XIX საუკუნის საქართველოს სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა. გავიდა რამდენიმე წელი, და ვაი რომ ქართველი ერის უბერებელი მამა განგმირა საქართველოს მტრებისგან გასროლილმა ტყვიამ. დაადუმეს ერის მოძღვარი, წარტაცეს საქართველოს წინამძღოლი. მაგრამ მტრების იმედი არ გამართლდა. ილია

კავკავადის ტრაგიკულმა სიკვდილმა ფეხზე დააყენა მთელი ერი. იმ ეროვნულ გლოვის დღეს მთაწმინდისაკენ პროცესიას წინ მიუძღოდა ტყვიით განგმირული ილიას შუბლი როგორც საქართველოს მოწამებრივი გვირგვინი, ძირს დაუხრელი დრო-შა ერისა.

სასოებით მიაბარეს ერის მამა და დიდება ილია მთაწმინდას. ეს მოხდა 1907 წელს. ეთერში გახშიანდა ღმერთკაცის სიტყვები, უკვდავების ძახილი: „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა! მე ვარ შენი თანამდევნი, უკვდავი სული“. 8 წლის შემდეგ, 1915 წელს ილიას გვერდით მთაწმინდას მიაბარეს ილიას დიდი თანამებრძოლი და ერთიანი საქართველოს მებაირახტრე — დიდი აკაკი. იმ წელსვე საქართველოს ხელიდან გამოეცალა ვაჟა-ფშაველა. იგი დიდუბეში დაკრძალეს. ამ გარემოებით გულნატკენი ტიცინი ტაბიძე 1916 წელს ჟურნალში „ცინფერი ყანწი“ წერდა: „მთაწმინდა არავის ისე არ შეფერის, როგორც პოეზიის მთას ვაჟა-ფშაველას“... ასრულდა, 1935 წელს საბჭოთა საქართველომ ტიცინი ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, პაოლო იაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, პავლე ინგოროყვას თაოსნობით მთაწმინდას მიაბარა ქართული პოეზიის მთა — ვაჟა-ფშაველა, 1938 წელს კი მთაწმინდაზე გადაასვენეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი. ამის შემდეგ პირველი პოეტი, რომელიც მთაწმინდა მიაბარეს, იყო გალაკტიონი.

თბილისის ამ წმინდა მთამ არა მარტო მიიბარა საქართველოს უკვდავი შვილები, არამედ მანვე დაბადა ქართული პოეზიის სამი შედეგრი: ნ. ბარათაშვილის — „შემოღამება მთაწმინდაზე“, აკაკის — „განთიადი“ და გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარე“. საჭიროება არ მოითხოვს ამ ლექსების აქ მოტანას, რადგან ყოველი ქართველი მკითხველის გულებში დაიდევს მათ მუდმივი ბინა, მაგრამ თვით ჩემი წერილისათვის უნდა დავესესხო ლექსების ამ სამებას თითო ოროლა სტრიქონი:

პოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდა ადგილნი შენნი...

მე შენს მკვრეტელს, მავიწყდება საწუთროება.

გულისტქმა ჩემი შენსა იქითა ვძიებს საღაღურს...

მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენთან მიიღებს,

რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს შინდსა ის განანათლებს...

მთაწმინდა ჩაფიქრებულა  
შეპყურებს ცისკრის ვარსკვლავსა...  
დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ,  
შენს მიწას მიმბარეო,  
ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო  
ჩემო სამშობლო მხარეო...

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი  
მღუპარებით შემოსილი შეღამების ქნარი  
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...  
ისე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!  
აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით...  
ხარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...  
და მეც მოვეკდე სიმღერებში ტბის სედიან გედად  
ოლონც ვთქვა, თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა...

ღიახ, ეს სამი შედეგრი, ქართული პოეზიის სამი თვალ-  
მარგალიტი, ყოველმა ქართველმა ზეპირად რომ იცის, მთა-  
წმინდამ დაბადა, მანვე აკურთხა და არწივის ფრთები შეასხა...

მთაწმინდა პოეზიის მწვერვალად აღმართული საქართვე-  
ლოს ჩაუქრობელი სული — უკვდავი სულების უკვდავი სავა-  
ნე. რუსთაველის სული კი ამ უკვდავთა საფლავებზე სანთლე-  
ბად ანთია. ერის გუშაგებად დამდგარნი საქართველოს უკ-  
დავი სულები მთაწმინდიდან — თაობიდან თაობებს გადასძახე-  
ბენ, აღვიძებენ, აფხიზლებენ, მოუწოდებენ, შთაგონებულ სა-  
ქართველოსათვის თავდადებან.

მთაწმინდა ფიქრია საქართველოსი. უკვდავთა მზისგან ნა-  
ფერი იმედის თვალით რომ დაპყურებს თბილისს, მთლად სა-  
ქართველოს და გრძელდება გზად განფენილი სიციოცხლე:

სული გვეონდეს უსპეტაყეს თოვლისა..  
სიმღერები ხალისის და ბრძოლისა.  
პოეზია — უპირველეს ყოვლისა

კეთილი იყოს! კეთილი იყოს გალაკტიონისგან დალოცვი-  
ლი საქართველოს გზა სიციოცხლისა.

ავტორის მინაწერი: 1920 წელს სრულიად საქართველოს  
მწერალთა კავშირის მეორე კონფერენციის გადაწყვეტილე-  
ბით დაწესდა პოეზიის ტრადიციული დღე და გამოვიდა ერთ-

დროული გაზეთი „პოეზიის დღე“. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მოეწყო პოეტებისა და მწერლების მანიფესტაცია. 1921 წელს 7 მაისის „პოეზიის დღეში“ ტიცინა ტაბიძე წერდა: „პოეზია საქართველოში იმთავითვე ერთადერთი ამტკიცებდა საქართველოს ყოფას... საქართველოს შეიძლება მეორე სახელად რუსთაველი დაერქვას“...

პოეზიის ტრადიციული დღე და ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე“ 1930 წელს შეწყდა. ოცდაათი წლის შემდეგ, 1960 წელს განახლდა, ხოლო 1966 წელს — რუსთაველის 800 წლის საყოველთაო საიუბილეო დღეს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: „რუსთაველის დღე — პოეზიის დღე ჩატარდეს ყოველწლიურად, ოქტომბერში. იგი დაწყოს მესხეთში — სოფელ რუსთავეში... 1986 წელს ვარძიის 800 წლისთავი იდღესასწაულა მთელმა საქართველომ და დაწესდა „ვარძიობა“.

ეგებ ამიერიდან „ვარძიობას“ დაუკავშირდეს რუსთაველისა და თამარის დღე — პოეზიის დღე — და აღვასრულებდეთ რუსთაველის ანდერძს — „თამარს ვაქებდეთ მეფესა“... და ამით საბჭოთა საქართველოს განვადიდებდეთ... თანმიყოლებით პოეზიის დღე — „თბილისობა“ — მთაწინდაზე ჩატარდეს. და დაიბეჭდოს ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე“. 1986 წლის თბილისობას საოცარი სილამაზე მიანიჭა მთაწინდაზე გამართულმა პოეზიის დღემ. ილიას, ვაჟას, ბარათაშვილის, გალაკტიონის, გრიბოედოვის „ძვირფას საფლავებთან“ იდგნენ გამოჩენილი მსახიობები და პოეზიის ალით ანთებულნი კითხულობდნენ მათ ლექსებს, ხოლო აკაკის მუდმივ სამყოფელთან პირველი კლასელი ორი ბიჭი და ერთი გოგონა კი არ კითხულობდნენ, არამედ როგორც ლოცვა ისე წარმოთქვამდნენ მორიგეობით: „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“...

პოეზიის ღვთიური ხმები ექოდ მოედო მოზეიმე დედაქალაქს, მთლად საქართველოს. დაე, ყოველწლიურად თბილისობის დღეს ზარების რეკვად გაისმოდეს მთაწინდიდან: „პოეზია — უპირველეს ყოვლისა“...

## მ ა ლ ა თ ო ვ ი

ეს ამბავი მადათოვზე დაიწყო და მამადავითზე დამთავრდა...

ეს შეღამება ნათელს დამათოვს,  
მტკვარიც დაანთებს ნათელ ხარებას,  
ათოვს ხიდებს, ათოვს მადათოვს,  
ათოვს ზმანებებს და მწუნარებას...

ასე წერდა გალაკტიონ ტაბიძე 1920 წელს, ხოლო ერთი წლით ადრე ისევ მადათოვს მიმართავდა: „გადმოფრენას ეს ყორანი მადათოვზე აპირებს, გაანათებს რესტორანი ტივებიან ნაპირებს, ასე მიდის ეს ზამთარი სიზმარივით მდევარი, ასე რეკავს საზანდარი უქმი, შემაქცევარი, რომ ისმოდეს საიათნოვას დაქანგული ჰანგები, მიეთოვოს, მოეთოვოს კედლებს ფარშავანგები, სული ტირის და როს ნანას, კოჭლო სააკ ჰპირდები, დაანებე ფიროსმანას სევდიანი ტვირთები, რომ წავიდეს ეს ზამთარი სიზმარივით მდევარი, რომ რეკავდეს საზანდარი უქმი შემაქცევარი. ოცნებაო, ჩემო ძველო, ვართ ღამეთა მთეველი, კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღეველი“.

მადათოვი გალაკტიონის ლექსებმა რომანტიკულ მოგონებად შემოგვინახა, მერე კი ისტორიის კუთვნილებად იქცა ამ ალაგის ეს სახელი და შეისვა „მისი სადღეგრძელო დაუღეველი“. ეს მოხდა 1933 წლის ადრთან გაზაფხულზე.

თბილისის მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მშენებლებმა მადათოვთან დაჰკრეს პირველი ბარი. მდინარის განშტოება ორად ჰყოფდა მადათოვის კუნძულს. მადათოვის კუნძული ვორონცოვის ხიდსა და ალექსანდრეს ბაღს შუა ერთი დაჭაობებული ადგილი იყო, ბაყაყებისა და კოლოების ბუდე. მტკვრის სანაპიროს მშენებლებმა სწორედ აქ მოამწყვდიეს ბეტონის მარწუხებში მტკვარი და გზა გადაუღობეს მადათოვისაკენ. 1933 წლის დეკემბრის გაზეთი „კომუნისტი“ იტყობინებოდა: „სანაპირო ქუჩის გაყვანა ძირითადად უნდა დამ-

თავრდეს 25 იანვარს. ახალი სანაპირო ქუჩის მშენებლობა საქალაქო მეურნეობის მშენებლობის ყველაზე თავალსაჩინო ობიექტია. იგი განტვირთავს ყველა გადატვირთულ ქალაქის მთავარ მაგისტრალურ სატრანზიტო ხაზს — ვერის დაღმართს და რუსთაველის პროსპექტს. ქალაქის ძველი ნაწილი ახალ ნაწილს და რკინიგზის სადგურს უმოკლესი მანძილით დაუკავშირდება. მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა იკისრეს 25 იანვრამდე დაამთავრონ ქუჩის პროფილის გასწორება, მის ზედაპირზე მიწის მიმოყრა, მდინარის ნაპირზე ბეტონის კედლის — დამბის აგება, კარუსელის ქუჩიდან მტკვარზე ნიაღვრის გასასვლელი გვირაბის გაყვანა. ბეტონის დამბის აგება ქუჩის დაცვის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო უბნებზე — საკანალიზაციო მილები ქუჩის გასწვრივ“...

ასე დაიწყო მადათოვის კუნძულის შემოგარენში დიდი ქალაქების ცნობილ სანაპიროთა შორის ერთი ყველაზე ულამაზესი მტკვრის სანაპიროს მშენებლობა. ამ მშენებლობის თავკაცი ტიტე ლორთქიფანიძე იყო. შეძლებულ თავადიშვილს ტიტეს მამას არა მარტო სოფლად ჰქონდა დიდი სასახლე და მამული, არამედ თბილისშიაც ოთხსართულიანი სახლი საკუთარი ეზოთი. ტიტე ერთადერთი შვილი იყო თავადისა და მას უმაღლესი საინჟინრო განათლება ჯერ პეტერბურგში, მერე კი გერმანიაში მიაღებინა. ეს ლიბერალი თავადიშვილი რევოლუციონერებთან მეგობრობდა, მაგრამ ჯერ მამისეულ მამულს და სახლ-კარს სოფლის საბჭო დაეპატრონა, ხოლო თბილისში ტიტეს სახლი კომუნალურ სახლად გამოაცხადეს, მას ორი ოთახი დაუტოვეს მესამე სართულზე, მერე კი ტიტე აპარატის წმენდაში მოჰყვა. გამწარებული ინჟინერი სერგო ორჯონიკიძეს მიადგა. სერგო იცნობდა ლორთქიფანიძეების ოჯახს. იგი ერთხანს, სოფლად, ტიტეს მამის სახლში იმალებოდა. სერგომ მიიღო ტიტე და ყურადღებით მოუსმინა — არც მამა და არც მე რევოლუციის მტრები არ ვყოფილვართ, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ მაინც არ დაგვზოგეს, მამა ხომ შეეწირა ამ უსიამოვნებას, ახლა მე მომადგნენ, ყოფილი მყვლედლისა და მებატონის შვილი ხარო და წმენდაში მომაყოლეს. — მაშ, თავადიშვილების მიზეზით? — გაიოცა ს. ორჯონიკიძემ. — შენ ხომ იცი მეც ყოფილი აზნაური ვარ, მაგრამ როგორ გგონია, ცუდად ვემსახურები რევოლუციას? არა, ჩემო

კარგო, ჩვენ თავადიშვილობის გამო თქვენისთანა სპეციალისტებს არაფერს ვერჩით, თუ იგი ჩვენს საქმეს კეთილწინდისიერად ემსახურება. თქვენ დამშვიდდით, ამ საქმეს მოვევლება... — ეს უთხრა და ხელი მაგრად ჩამოართვა. ტიტე ლორთქიფანიძე არა თუ აღადგინეს სამუშაოზე, იმ კვირას თბილისის აღმასკომში კომუნალური განყოფილების გამგედ დანიშნეს, ხოლო 1933 წელს, როგორც ინჟინერს და ჰიდროლოგს, მას მიანდეს თბილისის სანაპიროს მშენებლობა.

ტიტე ლორთქიფანიძე ნათესავად ერგებოდა თამარ ვაჩნაძეს. თამარის მამის, გენერალ ნიკო ვაჩნაძის სახლში ცხოვრობდა იგი პეტერბურგში და მეჯლისებში დიდკაცებია სალონებში ერთად დადიოდნენ თამარი და ტიტე. მერე ბედმა გაჰყარა ისინი. ტიტე გერმანიაში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად, თამარი კი პეტერბურგს დარჩა. მსოფლიო ომმა კვლავ პეტერბურგში შეჰყარა ეს ძველი მეგობრები. შემდეგ სამოქალაქო ომის ქარცეცხლსაც დააღწიეს თავი და თბილისს მოაშურეს.



ნიკო ვაჩნაძეს ცოლი ადრე გარდაეცვალა. ქალიშვილს ხატვის ნიჭი აღმოაჩნდა და მამამ თამარი სამხატვრო სტუდიაში მიაბარა. მან სულ მალე დაიმსახურა პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. როცა სტუდიაში მეოთხე კურსელთა გამოფენა მოეწყო, პირველი პრიზი თამარ ვაჩნაძის ნამუშევრებს მიაკუთვნეს. ეს იყო 1914 წელი. სულ მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. მსოფლიო ომის სუსხი ვაჩნაძეების ოჯახსაც შეეხო. ნიკო ვაჩნაძე პრუსიის ფრონტზე დაიღუპა 1916 წელს. ეს ამბავი თამარის მამის მეგობარმა, ფრონტზე დაჭრილმა და ჰოსპიტლიდან დაბრუნებულმა, გენერალმა ვიქტორ რიაზანოვმა წვრილად მოუთხრო. მამის სიკვდილით თავზარდაცემული ქალიშვილი ისტერიკაში ჩავარდა. მთელი კვირა თავზე ადგა ვიქტორ რიაზანოვი თამარს. უცოლო გენერალი ამშვიდებდა, ანუგეშებდა, იმედს აძლევდა სიცოცხლეგამწაურებულ ქალიშვილს. ეს მეგობრული თანაგრძნობა და ურთიერთობა იმით დამთავრდა, რომ თამარი ცოლად გაჰყვა ხანშიშესულ გენერალს. 1917 წლის თებერვალში დაიბადა ვიქტორ

რისა და თამარის ქალიშვილი, რომელსაც სახელად მერი შე-  
არქვეს.

თებერვლის რევოლუციამ ბუდე დაუნგრია რიაზანოვების  
ოჯახს, ოქტომბრის რევოლუციას კი მტრად გაუხდა რიაზანო-  
ვების ნაშიერი და თეთრგვარდიელების გენერალი ვიქტორ  
რიაზანოვი წითელ მოსკოვს უტევდა. ერთ-ერთ შემოტევისას  
სახალხო არმიელების, რევოლუციური მოსკოვის დამცველე-  
ბის ტყვიამ იმსხვერპლა გენერალი რიაზანოვი. პეტერბურ-  
გში უმწეოდ დარჩენილ რიაზანოვის ქვრივს ქართველმა რევო-  
ლუციონერებმა ტიტე ლორთქიფანიძესთან ერთად ხელი გაუ-  
წოდეს და მათივე დახმარებით თამარ ვაჩნაძე თავისი პატარა  
პირმშოთი თბილისში აღმოჩნდა და ბინა ტიტე ლორთქიფანი-  
ძის სახლში დაიდო. თბილისიდან კახეთს მიაშურა პაპისეულ  
მამულში. იქ ყოფილმა მოურავმა ცივად მიიღო ვაჩნაძეების  
მემკვიდრენი. თამარი მტკიცედ აღუდგა წინ მტაცებელ მოუ-  
რავს, ერთობის თავმჯდომარის ანდრონიკაშვილის დახმარე-  
ბით მამაპაპისეული სახლ-კარი დაიბრუნა და მერე გაყიდა და  
თბილისში წყნეთის ქუჩაზე ლორთქიფანიძეების გვერდით  
ოთხოთახიანი ბინა შეისყიდა...

თამარს ჯერ კიდევ პეტერბურგიდან იცნობდა პროფესო-  
რი გიორგი ჩუბინაშვილი და სწორედ ის განაგებდა ამჟამად  
თბილისის სამხატვრო აკადემიას. მან თანამშრომლად აიყვანა  
პეტერბურგის სამხატვრო სტუდიის კურსდამთავრებული თა-  
მარი. ამასობაში მერი შვიდი წლისა გახდა და სკოლაში მია-  
ბარა.

თამარი დამშვიდდა. სამსახურიც ჰქონდა, ბავშვიც კარგად  
სწავლობდა. თბილისში ვაჩნაძეების ყოფილი მოსამსახურე,  
ერთი უთვისტომოდ დარჩენილი სამოც წელს მიტანებული ბე-  
ბია ნინო ჩამოიყვანა და შინ ის ფუსფუსებდა. სახლს ალაგებ-  
და, საჭმელს ამზადებდა, ბავშვი სკოლიდან მოჰყავდა. სამსა-  
ხურიდან და სკოლიდან დაბრუნებულ დედა-შვილს სუფრას  
გაუშლიდა და სამივენი ერთად სადილობდნენ. მერე თამარი  
ხატავდა, მერი გაკვეთილებს სწავლობდა, ბებია ნინო ისევ  
სამზარეულოში ფუსფუსებდა და ვახშამს ამზადებდა. მიდიო-  
და ასე დიდი მწუხარების შემდეგ გამოდარებული დღეები,  
მაგრამ სამოქალაქო ომის ტრავმა, ომის წლების კოშმარი,  
ფრონტზე დაღუპული მამა და ქმარი ჯერ კიდევ მძიმედ აწვა



სულზე ვაჩნაძეების ასულს. ერთადერთ ნუგეშს ხატვაში პო-  
ვებდა იგი. ახლა ის ამით ცხოვრობდა. ორი დიდი ტილოს  
თემა სამოქალაქო ომი იყო. დედის გატაცება ხატვით პატა-  
რა მერისაც გადაედო. მორჩებოდა თუ არა გაკვეთილს, დე-  
დის წინ დასკუპდებოდა და მის ყოველ მოძრაობასა და ფე-  
რების შერჩევას ხარბად აკვირდებოდა. თვითონაც საღებავში  
თითებს ყოფდა და ქალაღზე რაღაც ბურთულები გამოჰყავ-  
და, და ასე, მთელი არსებით დედასთან ერთად ხატვის სამყა-  
როში ამოჰყოფდა თავს. ბავშვის გონების გასაოცარი დამუხ-  
ტვა ხდებოდა დედის სალონში. მერე მერი თვითონ შეუდგა  
ფანქრით ხატვას, მაშინ მხოლოდ შვიდი წლისა იყო. ხატავდა  
სურათებიან წიგნებში თუ სიზმარში ნახულ ზღაპრულ ფე-  
რიებს, დევებს, გაიძვერა მელიას თუ მოხერხებულ ნაცარქე-  
ქიას, ზღარბსა და კურდღელს. ახლა უკვე ფანქრით ნახატი  
აღარ მოსწონდა, დედისეულ ფლომასტერებით დაიწყო ხატ-  
ვა. რთულ კომპოზიციას და იმპროვიზირებულ სიუჟეტებს მი-  
მართავდა. მშვენიერების სამყაროში და საშიშ ალქაჯების ქვე-  
ყანაში თანაბრად თავისუფლად გრძნობდა თავს, ნაირნაირი  
ოცნებითა და ფანტაზიით ავსებდა ქალაღდსა თუ ტილოზე  
გადატანილ სურათებს.

10 წლის მერი დედამ მოსე თოიძესთან მიიყვანა და კონ-  
სულტაცია თხოვა. თოიძეს მოეწონა ეს ბავშური ფანტაზიის  
სილაღე და სითამამე, საოცარი მიგნებითა და გამოგონებებით  
ნამუშევარი და მაშინვე დატოვა სახელოსნოში. მერი აკვირ-  
დებოდა, თვალთ ზომავდა, გონებით წონიდა სახელოსნოში  
ყველაფერს. შედარებით უცხო გარემოში აღმოჩნდა. იქ, სკო-  
ლაში ზარი დაირეკებოდა, კლასში შედიოდა, მასწავლებლის  
გაკვეთილს უსმენდა, ზოგჯერ თვითონ პასუხობდა ხოლმე. აქ  
კი, თავის კუთხე მიუჩინეს სახაზავითა და საღებავებით, ფუნ-  
ჯით და ტილოთი, ქალაღდითა და ფანქრით, თან განუმარტეს,  
აუხსნეს, რა რისთვის უნდა გამოეყენებინა. მერი ერთხანს და-  
იბნა, რით დაეწყო და, აი, დედის მაგალითით ჩაგონებულმა  
ჯერ რაღაც წრე შემოხაზა, მერე შეჩერდა, ჩაფიქრდა... სწო-  
რედ ამ დროს მასწავლებელი დაადგა თავს და მოულოდნელად  
ჰკითხა: — რა, თქვენ პირდაპირ ხატვას გინდათ შეუდგეთ? —  
ჰო, ხმადაბლა უპასუხა, — ფუნჯით საღებავი მოსრისა და  
ბურთისმაგვარ წრეს შეაჩერდა. უცბად, სახლში სათუთად

მოვლილი ბაჭიას თოჯინა წარმოუდგა თვალწინ და რამდენიმე წამს ყურბარტყუნა ბაჭიას მოდელი გამოკვეთა. ყურები, თვალები და კუდი ნაცრისფერებით აამეტყველა, ტანი თოვლივით თეთრი გამოაბა, ბოლოს ფეხებიც მიახატა. ხელმძღვანელმა სურათი მოუწონა და შენიშვნაც მისცა. მერიმ ფუნჯი პატარა მაგიდაზე დადო და იქვე სკამზე ჩამოჯდა. დიდხანს იჯდა ასე დაფიქრებული და აფორიაქებული. მერე ადგა, სამუშაო ხალათი იქვე ლურსმანზე ჩამოკიდა, პალტო ჩაიცვა და შინ გასწია. სახლში ბებია ნინო დახვდა. ალერსით გაათბო და საუბარი გაუბა. ამ დროს დედაც დაბრუნდა სამსახურიდან. დედამ მაშინვე ის ჰკითხა, როგორ მოგეწონაო და შეეწყვეო შენს ახად სკოლას, მერი დუმდა. მაშინ დაწვრილებით გამოკითხა ყოველივე. მერე გულში ჩაიკრა და წარმატება უსურვა.

პირველი ნახატით მერი უკმაყოფილო იყო. არა, ეს წრე, წრის შიგნით ბაჭია, ბავშვურია, მეტისმეტად ბავშვური, არა? ეკითხებოდა თავისთავს მერი და, შინაგანი უკმარისობის გრძნობას ვერ მალავდა, თუმცა, დედასთვის არაფერი უთქვამს ამის შესახებ. მთელი ღამე თავისთავს ეკამათებოდა, და ამ კამათში დაათენდა. დილით, თითქოს, რაღაც მოაგონდაო და დედის სამხატვრო ოთახში შევიდა, შეხედა ქალის პორტრეტს, შავი და წითელი ფერებით შეზავებულს... თოიძის სახელოსნოში რომ შევიდა, ომში გამოვლილი დედის როლში წარმოიდგინა თავი. პალტო სწრაფად გაიძრო, ხალათი გადაიცვა, თავის პატარა მაგიდის წინ, ორფეხა დაფაზე გაკრულ ქალაქდს მიადგა, ფუნჯი აიღო და ხატვას შეუდგა, შეეცადა იმ შთაბეჭდილების ანალოგიით მოეძებნა, რაც დედის სურათმა ამ დილით განაცდევინა. საკუთარი დედის პორტრეტი დაეხატა, სიმბოლური და ალევორიული ხასიათი მიეცა ნახატისათვის. აი, მალალი, გამხდარი, გამხდარი კი არა ძვალტყავა ფიგურა ქალისა, ზეცისკენ აღმართული ხელებით თვალის ერთ დახამხამებაში მოხაზა. ნახაზი უკვე ქმნიდა ალევორიული გამოსახულების ფანტასტიკურ ფიგურას. მერე აიღო და ის ფანქრით შემოხაზული შავი ფონი ფერებით შეავსო — ფერებში წითელი ჭარბობდა. ეს უკვე აღარ იყო გუშინდელი ბავშვური ფანტაზიის გაგრძელება. არა, ეს სრულიად ახალი, რთული კომპოზიციის სურათი გამოუვიდა. ქალის ფართოდ გახედილ თვალებს ამუშავებდა, როცა თავს ფერწერის მასწავლებელი და-

ადგა. ერთბაშად შედგა და დააკვირდა ნახატს. აკვირდებოდა და განცვიფრებაში მოდიოდა, ნუთუ ამ მონუმენტალური ნახატის შემქმნელი გუშინდელი ბაქიას ავტორია?

მღელვარე ქაში დაუდგა ამ 15 წლის გოგონას, გუშინ გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯი, მომავლის რწმენით მსქვალავდა მის პოეტურ სულს. ეს მოსვენებადაკარგული მადიებელი სული ახალ და ახალ ფერების საშუალებით აზავებდა და საღებავებს: ცისფერს, ლურჯსა ფერს, ქათქათა თოვლივით თეთრს, ხასხასა მინდვრის ყვავილების ფერს, მზის ფერს, მთვარის შუქით განათებულ ველ-მინდვრების ფერს, ეძებდა კურთხეულს და მადლიან ფერებს; იმ ფერებისაგან უნდა გამოეხატა კაციც და ქალიც, სიყვარულიც და სიძულვილიც, სილამაზეც და სიმახინჯეც, მუშაც და გლეხიც, კეთილიც და ბოროტიც, ცაც და ბარიც, მთლად საქართველო... როგორ ჩაატის, როგორ გამოსახოს ეს ოცნება ვეებერთელა?

16 წლისა რომ შესრულდა, სიყვარული ეწვია. პირველად გაჩნდა მერის ტილოზე შეყვარებული ვაჟისა და ქალის საოცრად მომხიბლავი სახეები, სიმბოლური და ქვეტექსტებით დამუხტული. ტილოზე აღბეჭდილი ქალ-ვაჟის სიყვარული დიდი შინაგანი დრამატიზმით იყო გარდასახული.

მთის ფერდობზე პატარა ქოხი დგას, ქოხს წინ რუ ჩამოუდის, ეზიწი ცისფერთვალა, უბრალო ჩითის კაბიანი ქალი დგას და ყურს მიუგდებს ფერდობზე მორაკრაკე რუს. რუს შეტბორებულ ანკარა ზედაპირს ჩრდილი დასდგომია, ჩრდილში ვაჟის სახე არეკლილა, თეთრი ჩოხა-ახალუხი აცვია, წელზე სატეგარი ჰკიდია. დგას და უჩვეულო, მიმზიდველი ღიმილით შესციცინებს...

იმ წელს ხელოვნების სახლის ფოიეში მესამეკურსელთა გამოფენა მოეწყო, როგორც დედამისმა 16 წლის წინ პეტერბურგში, მერიმაც ამ გამოფენაზე პირველი პრიზი მიიღო. მის ნამუშევრებიდან ყველაზე მეტი მოწონება მაინც ალეგორიულ სურათს — „სიყვარულის მოლანდებას“ ხვდა წილად. სტუდიის ხელმძღვანელმა გამოფენის შედეგების შეჯამებისას ყველაზე მეტად მერის ნახატებს მიაპყრო ყურადღება და საჩაროდ შეაქო. გამოფენის საზეიმო გახსნას და დახურვასაც დაესწრო მერის დედა თამარ ვაჩნაძე. მას თან ახლდნენ სამხატვრო აკადემიის თანამშრომლები. თამარს ულოცავდნენ

შვილის წარმატებებს და სიყვარულით ეხვეოდნენ. დედის გული ღელავდა, განსაკუთრებით, როცა ცნობილი მხატვარი, დიდი რეალისტი, მოსე თოიძე აქებდა შვილის ნახატებს. ღელვამ ისე აიტანა, რომ ცრემლები მოერიო. ეს სიხარულის ცრემლები წვალებით და თეთრად გათენებული ღამეებით გამოზრდილი შვილის წარმატებით იყო გამოწვეული. შვილი დედის გვერდით იდგა. დედამ მოხვია ხელი და შვილი სამხატვრო აკადემიის რექტორს, მათი ოჯახის ძველ მეგობარს, გიორგი ჩუბინაშვილს წარუდგინა. გიორგიმ შუბლზე აკოცა, წარმატება უსურვა ქალიშვილს. ეს დღე დაუვიწყარი იყო დედა-შვილისათვის.

გივი დიდხანს იდგა მერის ნამუშევრების წინ. აკვირდებოდა ყოველ ნახატს და ფიქრობდა, ფიქრობდა... როგორ გაზრდილა, რა შესანიშნავ მხატვრად ჩამოყალიბებულა მეზობელი ქალიშვილი. ერთხელ, როგორც იქნა გაბედა, მუშაობით გართულ ქალიშვილს შესთავაზა, შინ ერთად წავიდეთო და, აი, ამდენი ხნის მეზობლები, თანაკურსელები პირველად მიაბიჯებდნენ ერთად შინისაკენ. ჯერ სათქმელს თავი მოუყარა გივიმ, მერე ერთბაშად კითხა: აი, ის პორტრეტი, დღეს რომ ხატავდი, ვილაც ნაცნობ ვაჟს მაგონებს.

— მაინც ვის? — თითქოს სხვათაშორის ჰკითხა ქალიშვილმა. — ვისა და იმას, შენს გვერდით რომ რაღაცას თხუპნის, იმ გიასი დიახ, დიახ, ის სწორედ ის თხუპნია გიია.

მერის გაუკვირდა ვაჟის გაღიზიანებული საუბარი და მხრები აიჩეჩა.

— მაინც საიდან დაასკვენით?

— იქიდან, რომ ძალიან ჰგავს!

— თქვენ ცდებით, ჩემო კეთილო, გია აქ არაფერ შუაშია. პირდაპირ ნატურრიდან არასოდეს ვხატავ. მე მომავალ პორტრეტს გონების თვალთა წარმოვიდგენ, მერე ამ გონებით წარმოდგენილის აღდგენას ვახდენ, ათი და ასი ნაცნობ სახეთაგან. ასე გამოდის ზოგი პორტრეტი ნაცნობი ქალიშვილისათუ ვაჟისა და, არა ფოტოპირი ვინმესი. ფოტოპირული ხატვა მე არ მიმაჩნია დიდ მხატვრობად, — დასაბუთებით ამტკიცებჯ და ქალიშვილი, ვაჟი კი სხვა პასუხს მოელოდა. ამასობაში წყნეთის ქუჩამდგე მიაღწიეს და თავიანთ ეზოებში შევიდნენ.

დააფრთხნო ქალიშვილის ცნობისმოყვარე გონება ვაჟის

ნერვიულმა კითხვამ. არა, მაინც საიდან მოიტანა ექვი. რა შუაშია აქ ვილაც გია, რომელსაც არ ვიცნობ ხეირიანად? გამოუცნობი ექვი ჩაეწვეთა ქალიშვილის გონებას. შინ რომ მივიდა, თითქოს დაავიწყდა ყველაფერი. იმ ღამეს კი ძილის წინ, კვლავ ფიქრობდა და იგონებდა ვაჟის გაღიზიანებულ საუბარს.

იმ თვის ბოლოს მერიმ ახალი კომპოზიცია შექმნა. ქალიშვილი მთელი ტანით თითქოს ზეცაში ატყორცნილი. დაჩოქილი, ვაჟი, ექვით და სევდით სავსე თვალებით ქალიშვილს უაზროდ მისჩერებოდა და ემუდარება. — ეს ხომ არ იყო ნაყოფი იმ ექვისა, რომელიც აგერ მთელი თვე რომ აწვალებდა? მერე, ესკიზი კომპოზიციურ სურათად იქცა და ქვემოთ წარწერა გაჩნდა: „შეყვარებულნი“. იმ დღეს გივი მთელი საათი აცქერდებოდა და აკვირდებოდა სურათს. ამ დროს მერიც მოვიდა, მთლად აელვარებული და აღელვებული. უცბად კითხვით მიმართა — ახლაც გიას ჰგავს ეს ვაჟი? და ხელი პორტრეტისაკენ გაიწვირა. არა, ახლა მე, მე მგავს, ჩუროჩულით თქვა ვაჟმა. მერი ერთბაშად მოწყდა ადგილს და დედის ოთახში შევარდა. დედა, ჩემო დედა, თითქოს ვილაცა ართმევსო დედას, ორივე ხელებით გულში ჩაიკრა. რა იყო შვილო, რა მოხდა, გაოცებული დედა ამშვიდებდა შვილს. არაფერია. არაფერია დედა, გამივლის, ახლა გთხოვ წამოხვიდე და ჩემი ახალი ნამუშევარი ნახო, რალაცნაირი ვედრებით უთხრა ეს სიტყვა და ხელი ხელში ჩაავლო და სურათთან მიიყვანა დედა-მხატვარი.

ათასჯირგამოვლილ ქალსა და მხატვარს არ გამოპარვია, რომ ამ შეყვარებულთა წყვილში ერთი მისი ქალიშვილი იყო, მაგრამ მეორე?, მეორე ვინ უნდა იყოს? ეკითხებოდა თავის თავს. სწორედ ამ დროს მოსე თოიძე მოლიმარის სახით თავზე წამოადგა დედა-შვილს. მოსეს მოეწონა სურათი, აღგზნებული, ზეაწეული, რომანტიკული მღელვარებით სავსე ერთობლივი კომპოზიცია ქალ-ვაჟსა.

— არა, ეს შეყვარებულ წყვილთა დიდებული სიმღერაა, — თქვა თოიძემ, და ხელი ჩამოართვა მასწავლებელმა მოწაფეს. ჯერაც 17 წელი არ შესრულებოდა სიყვარულის მხატვარს, თავად რომ ეწვია სიყვარული.

გივი ბოტკოველი წყნეთის ქუჩაზე ცხოვრობდა. მამა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განყოფილების გამგედ მუშაობდა, დედა ექიმი იყო. დედისერთა გივი შინ მთელი დღე მარტო იყო, მაგრამ მარტობა არ ეთქმოდა: ორსართულიან სახლს ორი გრძელი აივანი ჰქონდა და საკმაოდ ძოწრდილი ეზო, მეზობლები ხშირად აივანზე ისხდნენ ან ეზოში ჩინარის ძირას დადგმულ მერხზე. ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და მეგობრობდნენ, თითქოს მთელი ეზო ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა. თბილისის ცა თავზე ეხურათ და ქვევით ქართული მიწა ეფინათ. ამ ორსართულიან, ქვიტკირით ნაგებ და თუნუქით გადახურული სახლის მეორე სართული ლორთქიფანიძეებს და ბოტკოველების ოჯახს ეკავათ. ქვედა სართულში რვა ოჯახი ცხოვრობდა. ამათგან ოთხი ქართველი იყო, ოთხი რუსი, სომეხი, ოსი და ქურთი... ყველა ბავშვს მეორე ბავშვის ენა ესმოდა და მაინც საერთო სალაპარაკო ენა ქართული იყო, თბილისური ქალაქური ქართული. ვიდრე სკოლაში მიაბარებდნენ, ზამთარ-ზაფხულ, ავდარში თუ ფარში, დილიდან სალამომდის ბავშვები ეზოსა და ქუჩაში თამაშობდნენ ხან რან და ხან რას, ხელს არავინ უშლიდა, რადგან მთელს ეზოში გარდა ორი მოხუცისა, ყველა მუშაობდა ან სწავლობდა და შინ პატარების მეთვალყურეობა სურენას დედას უშუანასა და მერის ბებიას ნინოს ჰქონდათ მინდობილი. ისინი, ორივენი ისხდნენ ეზოში და წინდებს ქსოვდნენ, ბავშვები მთლად რომ აიკლებდნენ იჭაურობას, დაუტატანებდნენ ხოლმე, მაგრამ უფრო მოფერებით, ვიდრე დატუქსვითა და გაბრაზებით.

სწორედ ამ ორ სართულიანი სახლის გვერდით ცხოვრობდა თამარ ვაჩნაძე. ბავშვები ერთ ეზოდან მეორე ეზოში გადადიოდნენ და ერთად იყრიდნენ თავს. აქვე იყვნენ გივი და მერი. ისინი ტოლები იყვნენ. სკოლაშიც ერთად სწავლობდნენ და მოსე თოიძის სტუდიაშიც ერთად მოეწყვნენ. ორივე ეზოს ბავშვების ყველაზე დიდი ზეიმი იყო წყნეთელი არსენას გამოჩენა თავის სახედრით. ვირზე გადაკიდებული ჭრელი ხურჯინით მოადგებოდა იგი ეზოს კარს და ხმამალა დაიყვირებდა: „მაწონი, მაწონი“. ერთბაშად ბავშვები მიაწყდებოდნენ

ალაყაფის კარებს და ფართოდ გააღებდნენ, არსენაც წინ შემოუძღვებოდა თავის სახედარს. ბავშვები გარს შემოერთყმებოდნენ: ზოგი ყურებს უსინჯავდა და ზოგიც კისერზე ჩამოეკონწიალებოდა. მშვიდი პირუტყვი იდგა და კაცმა არ იცის სიამოვნებდა თუ არა ბავშვების მოფერება თუ ყრიაპული, იდგა და ადგილიდან არ იძროდა. მერე ერთბაშად თავს მაღლა აწევდა, აყროყინდებოდა. ბელურებივით შემოსეული ბავშვებიც უმაღლესად გაეცლებოდნენ ვირსაც და არსენასაც. იქვე შორი-ახლო ჩაცუქებული მერი სიბრაღულითა და თანაგრძნობით მისჩერებოდა ხურჯინის სიმძიმისაგან ზურგჩაზნეჭილ სახე-დარს. მერე ბებია ნინო და დეიდა შუშანა მეზობლებისა და საკუთარი მაწვნის ცარიელ ქილებს ჩააბარებდნენ, ამდენსავე მაწვნით სავსე ქილებს მიითვლიდნენ, ფულს გადაუხდიდნენ არსენას. კმაყოფილი და მოდიმარი არსენა ერთი უშველგებელი შეგინებით წინ გაიგდებდა სახედარს და ეზოდან გადიოდა. ასე იყო ეს ყოველ მეორე დღეს. აქ შეიყვარა ეს ცხოველი მერი და ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა ფანქრით დაეხატა არსენას სახედარი. მეორე დღეს მოვიდა თუ არა არსენა, ხელებში შეაჩეჩა ეს ნახატი — ჰა, ხომ ჰგავს შენს სახედარს? არსენა განცვიფრებით დააკვირდა ნახატს, მაგრამ ამ დროს გივი წამოეპარა, სურათი ხელიდან გამოსტაცა და ბავშვებს თვალწინ აუფრიალა, ბავშვები დაკვირვებით სინჯავდნენ, ზოგი ამბობდა ჰგავსო, ზოგიც — ეს რა სახედარია? ჯორი უფროა, მეორემ წამოიძახა, ხარიაო, მესამემ თხააო. მერე გაჯავრდა და ნახატი იქვე დაფხრიწა და ფეხქვეშ დაუყარა გივის. გივი შეკრთა, ასეთ რამეს არ მოელოდა, გული ეტკინა დაიხარა, რომ ეს ნაგლეჯები შეეგროვებინა, მაგრამ მერიმ დაასწრო, ნაკუწები სწრაფად აკრიფა, მუჭში მოიმწყვდია და შინსაქვენ მოჰკურცხლა. ის დღე იყო და, ვირის მხატვარი შეარქვეს მერის. გაებუტა ტოლ-მეგობრებს, ახლა ბუტია დაუძახეს და ცხარე ცრემლით ატირეს. ერთი მათგანი, შუშანიკას შვილიშვილი, დუსია ქომავად დაუდგა და მბეზარა ბავშვებს შეუტია. დედამ რომ ამ ამბებს ყური მოჰკრა, თავად ჰკითხა, რა მოხდაო, რათ გაებუტეთო მეზობლის ბავშვებს. მერიმ წერილად მოუთხრო ყოველივე, რაც მოხდა, ცრემლები მოერიდა და ატირდა. დედამ დაუყვავა: შენ ხომ ნახე ფიროსმანის გა-

მოფენა? ჰოდა, ფიროსმანის ნახატი „სახედარი“ მსოფლიო შედეგად არის აღიარებული...

გავიდა დრო, მერიმ მოსე თოიძის სტუდიაში გამოიჩინა თავი... „დედის სურათი“, სიყვარულის თემაზე დახატული ალეგორიული ტილო... მერე თავადაც ეწვია სიყვარული. სწორედ იმ ბიჭს შეუყვარდა უზომოდ, სახედრის მხატვარი რომ შეარქვა.



ვაჩნაძეებს იმ საღამონ სოფლის მასწავლებელი, ყოფილი მღვდელი დავითი ეწვია. მასწავლებელს ღვინო შეეპარა, ძველი დრო მოიგონა, მერე ერთბაშად მოჰრა და თქვა:

— წუხელ ღამით მე ვკითხულობდი წიგნთა შორის ყველაზე უძველეს და ბრძნულ წიგნს „ბიბლიას“. იგი აღრე წამეკითხა და ზეპირად მისწავლია კიდევ. მაგრამ ახლა საოცრად მწვავედ ეხმაურება მისი ყოველი სიტყვა ჩემს დასეტყვილ სულს. არა, რა არ გადახდა ადამის ძეს, რა რიგი არ ეწამა იგი და არ ეცვა ჭვარს და მაინც მიდის ეს ცხოვრება ისევ ძველი გზით: ტანჯვით, ბრძოლით, ვაებით, ცრემლით, სისნლით, იმედით და უიმედობით გათანგული. „დაბადებას“ რომ ეცნობი, ყველაფერი ზღაპარი გგონია; მერე, რომ აკვირდები გონებით, საწინააღმდეგო აზრს აღძრავს; დახურავ წიგნს და დაიწყებთ კრიტიკულ შეფასებას. პირველი კითხვა, რაც არ გასვენებს, ეს არის საიდან მოდის და სად დამთავრდება ეს გზა უსასრულო? — „და აკურთხა ღმერთმან ნოე და ძენი მისი და რქვა მათ აღორძინდით და გამრავლდით და აღავსეთ ქვეყანა, დაეფუღენით მას“... „ესე ტომნი ძეთა ნოესთანი ნათესაობათაებრ მათთა თესლისამებრ მათისა. ამათგან განეთესენ ჰალაკნი ნათესავთანი ქვეყანასა ზედა შემდგომად წყლით ღრვნისა“.

შეჩერდა, მერე ნაღვლიანად დაუმატა: ვთვალე, ვთვალე და ვერ დავთვალე რამდენი წელი გავიდა ქვეყნის დაბადებიდან და მერე „წყლით ღრვნის“ შემდგომ.

— ხვალ რა იქნება? — ცნობისმოყვარეობით ჰკითხა თამარმა, — რაც ყოფილა, ის იქნება. კვლავ დაბადება, ისევ ტანჯვა, ისევ სიკვდილი ისევ სიცოცხლე და მერე ისევ და ისევ წარღვნა, რადგან ღმერთმან დასაჯა ადამიანი ურჩობისათ-



ვის. ასე დაუსრულებლივ თუ სადღაც გაჩერდება საათი ცხოვრებისა?

— არა, არ გაჩერდება, რადგან სიცოცხლე იგი დაუბოლავებელია და უსასრულო ვით ღმერთი... ღმერთმან ადამიანს დაუწესა „ოფლითა პირითა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგან მიღებულ იქმენ, რამეთუ მიწაი ხარ მიწად იქეც“. ეს შეგონება სამწუხაროდ ბევრს დღესაც არ ესმით და უუღმარათობის გზაზე დამდგარი ეურჩება ღმერთსა და უფალს ამ ქვეყნისასა. დიახ, სანამ ვართ, უნდა ვიშრომოთ და ვაშენოთ. შრომა, თავმდაბლობა და ერთგულება ამშვენებს ადამიანებს, თავგასულნი და ღმერთთან შერკინებულები დროებით გაითქვამენ სახელს, მაგრამ საბოლოოდ მარცხდებიან ხოლმე. დედის ურჩი კვიცი მგელმა შეჭამაო ხომ გაგიგონიათ.

— მაშ უსიტყვო მონობა არა — შეაპარა თამარმა.

— არა, ჩემო კეთილებო, მონობა ერთია — უფროს-უმცროსობა მეორე, მონობა ბოროტებაა. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთგული ადამიანის სრული თავისუფლებისა. ჩვენ მოვითხოვთ ერთგულებას ფიცისა, ერთგულებას დანთქმულ პირობისა. ერთგულება კაცურიკაცობისა. შრომა და შრომით მოპოვებული სახელი პირველი ნიშანია ადამიანის სახელისა და ღირსების საზომ-სასწორი იგია. დიახ, დღესაც ძალაშია „პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა არა კაც ჰკლა, არ იმრუშო, არ იპარო, არა ცილი წამო მოყვასსა შენსა ზედა წამებითა ცრუითა“.

— როდის შემდეგ გახდი მამაო მორწმუნე კომუნისტი, — შეხუმრებით უთხრა თამარმა ქადაგად ქცეულ თეოფილე მღვდელს. მღვდელი გაჯავრდა, მაგრამ არ შეიმჩნია და ასე უპასუხა:

— კომუნისტობა რა შუაშია? შრომა, კაცთმოყვარება, პატიოსნება მუდამ იყო ქვეყნის საფუძველი. მე ამ მხრივ არც წარსულისა მეშინია და არც აწმყოსი. ჩემს სამწყოსში, თქვენს სოფელში ძველადაც ამას ვქადაგებდი და თავადაც მეზობელ გლეხებივით ვშრომობდი. ახლაც, როცა მასწავლებლობა მომანდეს, ჩემს მოწაფეებს სწორედ რომ შრომის სიყვარულს ვუნერგავ. მე გული მტკივა, როცა ვხედავ, რომ მომრავლდნენ უსაქმურნი და სხვისი შრომის მიმტაცებელნი. თვით მოწაფე-

ებსაც გადაედო ეს სენი. უსწავლელად და უშრომლად უნდათ ფონს გავიდნენ. ოღონდ ნიშანი მიიღონ, ატესტატი და უკეთურ საქმესაც არ ცრიდებიან. არა, ქალბატონო, მე მუდამ მწამდა და ახლაც მწამს, რომ მშრომელ კაცში, მშრომელ ბავშვშიაც, იშვიათად თუ გამოვა უპატიოსნო და ცუდლუტი.

ეს თქვა და ადგა მასწავლებელი, ეს ყოფილი მღვდელი, ერთზელ კიდევ დაილოცა და კეთილი გულით დაემშვიდობა ოჯახს...

აკადემიის მეორე კურსის სტუდენტები იყვანეს ძერი და გივი, როცა გივის მამა გარდაიცვალა. გივი სულ მარტო დარჩა. ახლა ერთადერთი მაცოცხლებელი სხივი მერის სიყვარული იყო, უმწიკვლო, გულწრფელი. ეს იცოდა თამარ ვაჩნაძემ და ამიტომ უყოყმანოდ იმ წლის ბოლოს შეყვარებულები შეაულა. პირველად თითქოს აეწყო კიდევ ოჯახი, მაგრამ სულ მალე ახალმა ქირმა წამოყო თავი. გივიმ საჯაროდ, თვით აკადემიაში სცემა გიას, რის გამოც კომკავშირიდან გარიცხეს. მტკვრის სანაპიროს მშენებლობაში დაიწყო მუშაობა უბრალო მუშად. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გაცხარებით მუშაობდნენ. ასწორებდნენ მტკვრის მარჯვენა ნაპირს: ბუჩქებს ძირკვავდნენ, გზას ტყეპნიდნენ და ხრემს აყრიდნენ. მოჰქონდათ ხე-ტყე, ცემენტი. მტკვრის პირას ამზადებდნენ ხრემსა და ქვიშას, იქვე უღვევლი იყო, მაგრამ ყველაფერი ეს დიდძალ მუშა-ხელს მოითხოვდა. ტექნიკა არ ყოფნიდათ, და მანქანების მაგიერ ურემსა და ხარ-კამეჩს იყენებდნენ. მიწას ბარიტა და ნიჩბებით თხრიდნენ, კლდეებს წერაქვითა და ჩაქუჩით ანგრევდნენ. თამარის თხოვნით ტიტემ გივი ბიჭიკო სვანაძის უბანზე ტექნიკოსად გადაიყვანა. ბიჭიკო ერთი დარდმანდი, მაგრამ უნარიანი, დაუცხრომელი ორგანიზატორი იყო. სწრაფად ამყარებდა ურთიერთობას ადამიანებთან. მისი უბანი ყველაზე მოწინავედ ითვლებოდა სანაპიროს მშენებლობაზე. ბიჭიკო წარმოების ტექნიკურ ხელმძღვანელობაში სწრაფად გათვითცნობიერდა, მასთან თავი მოიყარა სამუშაო წარმოების ყველა რგოლმა. მოდიოდნენ მიწის მთხრელები, ქოხმახების მნგრეველები, მეურმეები... ყველას თავის უბანს მიუჩინდა, ყველას დაასაქმებდა. ყოველი კვირის ბოლოს გივის მუშევრებით უსწორებდა ანგარიშს. გივი თავად ურიგებდა ხელფასს იმ ნორმატივით, რასაც ბიჭიკო ადგენდა, ნარდად აღე

ბულ სამუშაოზე. ცალკე მომუშავე მუშაზე თუ მეურმეზე, კალატოზზე თუ ხუროზე ფულის მიცემა გივის ევალეზოდა... ბიჭიკოს ნდობით გვიმ სულ ადვილად მიაკვლია ხელის მოთბობის გზას. ამ მიღეთ ხალხში ყოველდღე ახალ ახალი ნაკადი მოდიოდა, იმათგან ბევრმა განსაკუთრებით, ბორჩალოდან ჩამოსულმა მიწის მთხრელებმა, ხელმოწერა არ იცოდა. ფულს მიიღებდნენ თუ არა, ჯვარს დაუსვამდნენ ქალაღზე. მუშა გარიგებით იღებდა ხელფასს და იმ ქალაღზე რა ეწერა, იმას არც აინტერესებდა. ეს ხელხვაიანი ხვრელი აღმოჩნდა და გვიც ერთბაშად ფულიანი კაცი შეიქმნა. გივი ყოველდღე ქეიფობდა. შინ მთვრალი ბრუნდებოდა. ყოველივე ამის ნიადაგზე ბზარი გაჩნდა ოჯახში. მერის შეძულდა ლოთი ქმარი, მაგრამ მათ უკვე ერთი წლის ვაჟიშვილი ჰყავდათ და ის აკავშირებდათ. სულ მალე კი გივის ყალბი „ქალაღები“ სასამართლოს მსჯელობის საქმე გახდა. გივი დააპატიმრეს და სამი წლის ციხე მიუსაჯეს...

საქართველო მშენებლობის ხარაჩოებში იჭდა. ამ გიგანტურ გარდაქმნათა მოწმე და მონაწილე გალაკტიონ ტაბიძე წერდა:

...ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს, —  
რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,  
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!

ქართული პოეტური სიტყვის ჯადოქარი, ქართველი პოეტების მეფე, — ასე უწოდეს მას დავით კლდიაშვილმა, ვასილ ბარნოვმა, გიორგი ქუჩიშვილმა... — რევოლუციური საქართველოს სწორუპოვარი მხატვარი იყო. რევოლუცია და გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციური პოეზია ტყუილ ძმები არიან, ამიტომაც, საბჭოთა მთავრობამ მას, პირველს უბოძა სახალხო პოეტის ტიტული. ეს მოხდა 1933 წელს, სწორედ იმ წელს, როცა მტკვრის სანაპიროს მშენებლობა დაიწყო. იმ დღეს რუსთაველის თეატრში, პოეტის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის 25 წლისთავის საიუბილეო საღამოზე გაიცნო ბიჭიკო სვანაძემ ნათია ანდრონიკაშვილი. გაიცნო და ერთბაშად გადაწყვიტა ცოლად შეერთო თავადის ულამაზესი ასული.

ნათიამ იმავე დღეს, რა დღესაც წინადადება მისცა ბიჭიკომ,

ხელი მოაწერა. ერთბაშად სული მოითქვეს ანდრონიკაშვილების ოჯახმა. ბიჭიკო უხვად უმასპინძლდებოდა ამ „დამშეულთა ბრწყინვალე არისტოკრატის“. ყოველ შაბათს მათთან შეხვედობრივ დადიანებს თუ შარვაშიძეებს, ვაჩნაძეებსა თუ ანდრონიკაშვილებს და იყო ერთი ტრაბახი და თავბრულდამხვევი მოგონება წარსულისა — გახსოვს იმ ორბელიანს შამილის ნაიბმა რომ შეუტია, მე რომ არ მივშველდობდი, თავს წააცლიდა ის ურჯულო ჩვენს ორბელიანს, — ამბობს დადიანი და თავის ქნევით უდასტურებს ანდრონიკაშვილი. — არა, ის თუ გახსოვს, 1918 წელს ჭოროხთან იმ ერეკლეს ნაქონი ხმლით რომ შევეუტეე თურქებს, — მახსოვს, მახსოვს... უდასტურებს ანდრონიკაშვილი და ასე, მახსოვს და გახსოვს იწილ-ბიწილოთი ირთობდნენ თავს და შეექცეოდნენ ბიჭიკოს ფულით გაშლილ მდიდრულ სუფრას...

ამასობაში სამი წელი გავიდა. ბიჭიკო ყურადღებას არ აკლებდა თავადიშვილის ლამაზ ასულს და ერთხანს ბედითაც კმაყოფილი იყო, მაგრამ როცა ბატონიშვილების პრეტენზიამ ყოველგვარ საზღვარს გადააცილა, მაშინ კი სცადა გასცლოდა ამ ყოფილ დიდებულთა ოჯახს. სწორედ ამ დროს გივი პატიმრობიდან დაბრუნდა და ისევ მიადგა ბიჭიკოს და ტიტეს რეკომენდაციით კვლავ მასთან დაიწყო მუშაობა.

მერი ამრეზილი შეხვდა ქმრის დაბრუნებას. გივიმ ისევ მიჰყო ხელი ლოთობას. სანაპიროს მშენებლობა კი ბრკოლდებოდა. გაზეთი „კომუნისტი“ იტყობინებოდა — „სანაპირო ქუჩის გასაყვანი სამუშაოები არაა უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობის ისეთი საშენი მასალით, როგორცაა: ხე-ტყე, ქვიშა-ხრეში და ცემენტი. მათ არა აქვთ საკმაო რაოდენობის საშუალებანი... ბორჯომ მინწყალის სამმართველომ, სააფთიაქო სამმართველომ, სატრანსპორტო ამხანაგობამ „მოტორმა“ და მთელმა რიგმა სატრანსპორტო ორგანიზაციამ ვერ შეასრულეს ვალდებულებანი ქუჩის მშენებლობისათვის. მშენებლობას 500-მდე კაცი აკლია, საჭიროა სანაპირო მშენებლობის დირექციამ მეტი ოპერატიულობა გამოიჩინოს“...

მშენებლობის უფროსი, ლორთქიფანიძე, ყოველდღე ამოწმებდა სამუშაო უბნებსა და სათანადო მითითებებს აძლევდა ბრიგადირებს. იმ დღეს, საგანგებოდ გააფრთხილა ბიჭიკო გივის ბრიგადის თაობაზე — ჩამორჩენილია და მიხედვით, საქმე

კი მაინც წინ არ მიდიოდა. მთვრალი ბრიგადირი მთელ დღეებს სადმე რესტორანში ძმაბიჭებში ალაშქრებდა. იშვიათად მოდიოდა სამუშაოზე, შინ კი მერი ამაოდ ელოდა ქმარს. იმ დღეს, მოთმინება დაკარგულმა მერიმ, გადაწყვიტა სამუშაო ადგილზე მისულიყო და იქ ენახა ბიჭიკო და მოლაპარაკებოდა გივის გამო.

გადახრილი მზე მტკვარზე ირეკლებოდა, ვით შემოდგომის ყვითელი ქადრის ფოთოლი. ახლად აგებულ ბეტონის კედელს მიყრდნობილი მერი მტკვარს დაეინებოდა ჩასცქეროდა — გაღეშილი ქმარი დალანდა, რომელსაც გვერდით ბიჭიკო მოყვებოდა. შეერთა მერი, გონს რომ მოეგო, მისკენ მიმავალ ბიჭიკოს მიადანა: „კარგი კომპანია შეყრილხართ!“ ეს თქვა, გატრიალდა და შინისაკენ გასწია. სახტად დარჩა ბიჭიკო, ხმის გბლება ველარ მოასწრო. მერი მიაბიჯებდა და მისი ტანკენერი ლანდი ზღაპრულ ფერად იკვეთებოდა დაღმავალი მზის შუქზე. გივის არც კი შეუნიშნავს მერის სილამაზისაგან გათანგული ბიჭიკო. ბიჭიკო ქალს გაეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია და იქ შეჩერდა, სადაც სიჩუმეს მადათოვის კუნძულის ქაობის ბაყაყების ყიყინი არღევედა. ვორონცოვის ხიდზე მიმავალი ტრამვაის ზარის გაბმულმა წკრიალმა გული გაუწვრილა, სარცარი მოჩვენებით თუ მოლანდებით შელონებულს. უკვირდა, ასე რად გაუწყრა! ფიქრთა ბურანიდან მერის ლოთი ქმრის ლაზღანდარობამ გამოიყვანა. ბიჭიკოს გვერდით ამოსდგომოდა და უშვერი სიტყვებით აგინებდა. შეხედა ამ ლოთს და თითქოს ახლა მიხვდა, ბუნების რა შეუსაბამობაა იყოს გივი და ეს ანგელოზი ქალი...

გადიოდა დღეები. ისევ არ ჩანდა გივი. ისევ ბრაზობდა მერი და გამოსავალს ეძიებდა. ერთადერთ გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ ისევ ბიჭიკოს მეოხებით მოერჯულებინა ეს გალოთებული ქმარი და ის იყო, უხშირა სიარულს ბიჭიკოს სანახავად სანაპიროზე.

იმ დღეს საღამოს 7 საათი იყო, სამუშაო დღე მთავრდებოდა. ბიჭიკო მადათოვის მოედანზე იდგა და ვილაც მუშას ედავებოდა, რომელიც მოთხრილ მოედანს ლითონის ცოცხით ასწორებდა. სწორედ ამ დროს მერი გამოჩნდა, გივის დაეძებდა. ბიჭიკო დიდის ამბით შეხვდა ქალს, საუბარი გაუბა. — შეხედეთ, რა მყარად და საიმედოდ არის ნაშენი ბეტონის კე-

დელი. — ესა თქვა და მარჯვენა ხელი მიაწვირა კედელს, რომელიც მეტეხის ციხის მარცხენა ნაპირიდან ვორონცოვის ხიდამდე მოჰყვებოდა. აქედან ეს კედელი მეტეხის მთელ სიგრძეზე გაემართება ვიდრე ვერის ხიდამდე. ეს ტრასა სულ ორ კილომეტრამდე იქნება. გეგმით მშენებლობა ამ წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს. აი, ხომ ხედავ, გასულ წელს მეტეხიდან აქამდე — მადათოვამდე მოვალწიეთ და, მაინც 38 ათასი მანეთის მოცულობის სამუშაო შევასრულეთ. ის შენი ქმარი რომ კარგად უძღვებოდეს საქმეს, გეგმაში ასეთი ჩავარდნა არ გვექნებოდა. ის თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული, რაც შეიძლება სრულიად ავითვისოთ გეგმით გათვალისწინებული თანხა. ის ხომ ამის მიხედვით ღებულობს ფულად პრემიასაც. მართლა, ის ფული თუ მოაქვს სახლში, რასაც იღებს, თუ ისევ უთავბოლოდ ლოთობაში ხარჯავს — ესა თქვა და თვალეში შეაჩერდა მერის. მერიმ თვალი დახარა, სიბრაზე ყელზე მოაწვა, მაგრამ ამ კითხვაზე არა უპასუხა რა. ბიჭიკო მიხვდა, რომ უტაქტო იყო ეს შეკითხვა და ისევ მშენებლობაზე გააგრძელა საუბარი. — ჩვენ ყოველდღე ათას ხუთასი მუშახელი გვეჭირდება, დღეს კი ხუთასამდე კაცი მუშაობს. ჩვენ, 120 დაწესებულებებსა და რაიონებში გვაქვს დადებული ხელშეკრულება, ყველა მათგანი რომ ასრულებდეს დავალებას, აქამდის ეს მადათოვის მოედანიც კი სანაპიროს პირველი რიგის მშენებლობა მოთავებული გვექნებოდა. — უცბად სიტყვა ჩაქრა, — ცოტა არ იყოს გივის მეშინია, ყოველ დღე მთვრალია და საქმე ბრკოლდება ამით. სწორედ რომ არ ვცნობ ამ კაცს, ვერც ციხემ უშველა და ვერც ლორთქიფანიძის გაფრთხილებამ, — ეს თქვა და სახეში დაეინებით ჩააცქარდა ქალს. ახლა კი გატყდა ქალი და ოხვრით, ცრემლიანმა შესჩივლა: მეც იმიტომ მოვედი, რომ მეთხოვა თქვენთვის, დამეხმარეთ რამე... თუ ასე გაგრძელდა, სხვა გზა არ დამრჩენია, გარდა იმისა, რომ გავცილდე. ეს სიტყვა, — გავცილდეთ, სადღაც გულის სიმზე მოხვდა ბიჭიკოს, პასუხით კი არა უპასუხია რა.

მერი სულითაც მაღალი იყო და სილამაზითაც ქე`ული. მისი სულის მშვენიერება და საოცარი მოთმინება მაინც ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობას აღემატებოდა. ამავე დროს უზომოდ ამაყი იყო. თვითონაც უფრთხილდებოდა ბუნებისაგან ბოძებულ სულის სიმდიდრეს და სხველისაგანაც

საამისო დაფასებას მოითხოვდა. დიდად აფასებდა და უფრთხილდებოდა ზნეობრივ სიფაქიზეს. ასევე უფრთხილდებოდა თავის პროფესიას და ოჯახური უსიამოვნების მიუხედავად, მერი ენერგიულად ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას. დარწმუნებული იყო, რომ ქმრის მორჯულებასაც შეძლებდა, და სწორედ აქ უმტყუნა ბედმა, გადიოდა დღეები, გივი ისევ ლოთობდა... ხელგაშლილად ხარჯავდა ოხრად ნაშოვნ ფულს... გივი მეორედ ჩავარდა ციხეში, დაავადმყოფდა და გარდაიცვალა. საქმე ისე მოეწყო, რომ გივის დამარხვის ხარჯების გაღება ბიჭიკოს დასჭირდა...

\* \*

იმ დღეს შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს ბიჭიკო და მერი. ბიჭიკო დიდის ამბით მიესალმა მერის და წერილად მოუთხრო ყოფილი ქმრის — გივის დაკრძალვის ისტორია. მერის არ ეამა ყოველივე ეს. მიხვედრილმა ბიჭიკომ ამით ისარგებლა და ახლა სხვა კუთხით მოუარა სათქმელს:

— არა, რა უცნაურად დატრიალდა ეს ყველაფერი, სწორედ რომ ზღაპარს ჰგავს. თქვენ ხომ უღირსი ქმარი აღმოვაჩნდათ. ის ბედდამწვარი გივი არა მარტო ლოთი იყო, არამედ მატყუარაც. ბუნებრივია, ამისთანა კაცს ვერ მოითმენდით, მაგრამ რას იზამ ყველაფერი ბედისწერაა. აღსარებისათვის უნდა ვითხრათ, რომ არც მე აღმოვჩნდი ბედნიერი, სწორედ რომ ავ თავადიშვილებს გადავეყარე. მოახლედ განდომა მომინდომეს. ის ყოფილი ჩემი ცოლი სწორედ რომ ლამაზიც იყო და გაზრდილიც. მეც თავს არ ვზოგავდი და უზომო ფული შემქონდა ოჯახში. მერე რომ გაძლნენ, ისე გამითამამდნენ ეს ყოფილი ბატონიშვილები, რომ ჩირადაც აღარ მაგდებდნენ, უთავბოლოდ ფანტავდნენ ამ ჩემს ნაამაგარს და გაბმულ ქეიფობას ბოლო არ უჩანდა. ვითმინე ბატონო, ვითმინე, მაგრამ როცა ყელამდე ამოვიდა მათი მხრივ უმადურობა, ავდექი, ავიკარი გულა-ნაბადი, გამოვექეცი იმ მუქთახორებს და ჩემს ბუნავს მივაშურე. კი ვარ ახლა შენსავით მარტოსულად. — ეს თქვა და თვალეში შეაცქერდა მერის. გივის ხსენებით აფურონიჭებული მერი, გაოგნებული უსმენდა კაცს და ამ უკანასკნელი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია და, არც გამოხმაურებია. ამით ისარგებლა ბიჭიკომ და გააგრძელა:

— თქვენ დიდებული ადამიანი ხართ, თავადიშვილი ბრძანდებით, მაგრამ მე ხომ გიცნობთ და გაკვირდებით წყნეთის ქუჩიდან, დედათქვენი და შენ სულ სხვა ხართ, ვიდრე ის ავცია თავადები, მე რომ გადავეყარე, სწორედ რომ აფერუმ თქვენს ქალობას. შრომითა და ნიჭით იკაფავთ გზას. ის ოხერი ქმარი რომ არ შეგყროდა, თქვენზე ბედნიერი ოჯახი არც კი მეგულებოდა თბილისში. შენისთანა, ვინმე ლეთისნიერი რომ შემხვედროდა მტლად დავეგებოდი. — ეს თქვა და ისევ ეშმაკურად შეაკქერდა ქალს.

ეს ხომ სიყვარულის ახსნას ჰგავს, ნუთუ ხელსა მთხოვს... ღმერთო ჩემო, ეს გაიფიქრა და დადუმდა. კაცი არ ისვენებდა, გადაწყვიტა ეთქვა სათქმელი და დინჯად დაიწყო:

— აქამდისაც უნდა მეთქვა, მაგრამ ვერ გავბედე... ახლა კი აღსარებასავით უნდა გაგანდოთ, თუნდაც თქვენი წყრომა დავიმსახურო — შენი ყოველი გამოჩენა მადათოვზე ჩემთვის დღესასწაული იყო და გლოვაც, იმედიც და უიმედობაც. თანდათანობით ვრწმუნდებოდი, რომ შენისთანა ქალი იმ ლოთ გივის დიდხანს ვერ აიტანდა. მიხაროდა, გივი რომ არ დაგხედებოდა და შენ იძულებით მე მომმართავდი. მე ვხარობდი იმ ორიოდ სიტყვით, რომელსაც შენს ბაგეთაგან ვისმენდი. შენი სილამაზით მონუსხული ვიზნეოდი და რაღაცას მივედ-მოვედებოდი ხოლმე, მე ჩვენს მშენებლობაზე ჩამოვაგდებდი საუბარს, რომ ამით ორიოდ წუთი შენს გვერდით ვყოფილიყავ. მე სრულიად უცნობი გრძნობა მეუფლებოდა. ვთბებოდი და ვტკბებოდი შენით. წახვიდოდი და ჩემი გულთა მზერა თან მოგდევდა ვით აჩრდილი და შენს სულში იმხარებოდა, მიეფარებოდი მადათოვს და ჩემი მზერაც უკვე აღარ წვდებოდა შენს სულს და მე დავლონდებოდი. ასე იყო ეს ყოველ შეხვედრისას. მაგრამ, სანამ „ის“ ცოცხალი იყო მე სიტყვაც ვერ შევბედე, სიტყვა მოწყალებისა და შეწყალებისა... ახლა მომეცა საშუალება ხელი გთხოვო.

ამ სიტყვებმა შეაჯრყოლა ქალი, მათში რაღაც თავხედურა გამბედაობა გამოსქვივოდა და გადაწყვიტა უკმენად ეპასუხა, ნამდვილად კი სულ სხვა უთხრა:

— შენ, ჩემო ბიჭიკო, გადაგიწყვეტია თავადიშვილებზე ნადირობა, ახლა მორიგ მსხვერპლად მე აგირჩევივარ, — ეს თქვა და სარკასტულად გაიცინა, — არა, მართლაც რომ ცუდად



წავიდა ჩვენი საქმე. ჩვენში მერი თავადაზნაურობას გულისხმობდა. ახლა თქვენი დროა, ბობოლა კომუნისტებისა და ფულიანების დრო. შენ ფული გაქვს და ასე გგონია, ისე, როგორც ეს ჩემ ტუტუც ქმარს ეგონა, ფულით ყველაფერი შეგიძლია იყიდო. არა, ჩემო ბიჭიკო, საქმე არც ისე არ არის, როგორც თქვენ გგონიათ. ჩვენში, — თავადაზნაურობაში ბევრია მშრომელი, საქმიანი და კომუნისტიც, რატომ გგონიათ, რომ მარტო ღარიბები და ლატაკები უნდა იყვნენ კომუნისტები. მე ამას წინათ ლენინთან ამოვიკითხე: — ყველა პატიოსანი, ვინც ჩვენთან ითანამშრომლებს, განურჩევლად წოდებისა, ჩვენიაო...

— გეთანხმებით, — ერთბაშად მოუჭრა ბიჭიკომ, — განა ის ჩვენი ხელმძღვანელი ტიტე ლორთქიფანიძე თავადიშვილი არ არის, ასე სანიმუშო კაცად რომ არის აღიარებული მთელს რესპუბლიკაში? ხოლო რაც შეეხება ფულებს, მე ფულებით სრულიადაც არ ვიწონებ თავს, ანდა ვინ მომამავე იმდენი ფული, რომ მე ფულებით ვიყიდო ადამიანი. არა, ეს სულ ტყუილია...

ბიჭიკო ხელებს შლიდა, აღგზნებით ლაპარაკობდა, ამასობაში სახლს მიუახლოვდნენ.

— კარგი, ხომ მოგისმინე, დღეს ეს იკმარე, ნახვამდის, მერე ერთბაშად, თითქოს რაღაცა მოიფიქრაო, შემოტრიალდა და ბიჭიკოს მიმართა, მართლა, ხვალ მე მამადავითზე ავდივარ, ერთხელ კიდევ მინდა ვნახო იაკობ ნიკოლაძის ილიას მგლოვიარე ქალი, დედა-საქართველოს გლოვა ქვაში გაცოცხლებული... მე ახლა დიდ პორტრეტზე ვმუშაობ, დედის პორტრეტზე და მინდა კიდევ ერთხელ ვეზიარო ნიკოლაძის ამ საოცარ ქმნილებას, რომ მუზა ჩემი გავალიზიანო ამ შედეგის გავლენით... თუ გინდა მოდი ხვალ, იქ შევხვდეთ და იქედან შეამოწმე შენი ფიქრების სიმაღლე და სიმართლე...

ბიჭიკო სიხარულით ცას ეწია. მადლობის ნიშნად ხელებზე დაეკონა და ეამბორა.

მეორე დღეს, დანიშნულ საათზე მამადავითზე შეხვდნენ მერი და ბიჭიკო. მერე დიდხანს იდგა ილიას ძეგლის წინ ჩაფიქრებული და აფორიაქებული, ბიჭიკო გვერდით ედგა და ისევე თავისი უიღბლო ქორწინების ამბავს ჰყვებოდა. უკვირს მერის, ასე ერთბაშად როგორ შეეჩვია ამ კაცს, უკვირდა და ბასუხი ვერ ეპოვნა... მეორე დღესაც აქ შეხვდნენ და მადა-

თოვზე დაწყებული ეს „რომანი“ მამადავითზე დასრულდა. იმ კვირას სვეტიცხოველში ჭვარი დაიწერეს მერიმ და ბიჭიკომ.

განვლო დრომ. ახლა შვილიშვილებში ნებივრობენ ბიჭიკო და მერი, სიამ-ტკბილობით იგონებენ გარდასულ დღეებს:

— გახსოვს ჩვენი ჭვარის წერის დღე სვეტიცხოველში?

— მახსოვს, ჩვენ ეტლში ვისხედით, მეეტლე მიგვაქროლებდა და მე მთლად აღგზნებული გალაკტიონის ლექსს ვამბობდი:

შენ ჭვარს იწერდი იმ ღამეს მერი  
მერი იმ ღამეს მაგ თვალთაკვდომა  
მწუხარე იყო ვით შემოდგომა...  
სთქვი უეცარი გასხივოსნება  
რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?  
რად აშრიალდა ჩემი ოცნება  
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?

ეს ორი სტროფი წარმოსთქვა და სევდიანად დაუმატა: „შენ სულგანაბული ყურს მიგდები, რა დამავიწყებს მე იმ საღამოს?“...

მთაწმინდის ძირას ცხოვრობენ ახალ ათსართულიან სახლში. საღამომობით აივანზე სხედან მერი და ბიჭიკო და მეცხრე სართულიდან გადაპყურებენ თბილისს. აქედან ხელისგულივით მოსჩანს სანაპირო. მტკვარს ქამრად შემოურტყამს რკინა-ბეტონი და კალაპოტში მომწყვდეული ნელა მიედინება ორთაქალისაკენ.

— გახსოვს ის ძველი მადათოვი,— და. ბიჭიკო მარჯვენა ხელს თბილისის სანაპიროსაკენ მიაშვერს, — ჩვენი რომანი იქ დაიწყო, ახალგაზრდობის წლები იმ მტკვარს თან გაჰყვა.

— ჰო მადათოვზე დაიწყო და მამადავითზე დამთავრდა,— სევდანარევი ღიმილით დაუდასტურა მერიმ... — მახსოვს და გახსოვს იწილ-ბიწილოს — მთაწმინდიდან მონაბერი ქარი ეალერსება...

და ასე ძველის მოგონებათა ბურანში მიდის უამი მათი ცხოვრებისა.

## ს ი ნ ა ნ უ ლ ი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, სკოლის მეგობრებს — ზურაბს, ლაშას და ბერტას მალე შეათვალწარბა ცისია შემოუერთდა. ახლა, კინოთეატრსა თუ საერთო ლექციების დროს, მერხზე ერთად იჯდა ეს ოთხეული: ბერტა, ცისია, ზურაბი და ლაშა. იმ ზაფხულს სტუდენტებმა გერმანულ ენაზე ერთმომქმედებიანი პიესა დადგეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში. შეყვარებული ქალიშვილის როლს ბერტა ასრულებდა. მეგობრები ერთად ისხდნენ და სულგანაბულნი მისჩერებოდნენ სცენას. ახალბედა მსახიობები საამოდ ელურტულებდნენ. ძმებმა ჩხეიძეებმა გერმანული ჩინებულად იცოდნენ და ყველაზე ადრე ტაშით თუ სიცილით პირველნი აიყოლიებდნენ ხოლმე აუდიტორიას. ცისიამ გერმანული არ იცოდა და ამიტომ ისე მექანიკურად აჰყვებოდა ხოლმე მათ; მერე და მერე ძმების გადაქარბებულმა ყურადღებამ ბერტას მიმართ ექვით ადავსო ქალიშვილის გულა.

გათავდა თუ არა სპექტაკლი, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. განსაკუთრებით ბერტას უკრავდნენ ტაშს. ვილაცამ ყვავილებიც კი მიართვა. ცისია ადგა და ისე გავიდა დარბაზიდან, არც შეუნიშნავთ ძმებს.

წარმოდგენა მორჩა, ბერტას მოსაცდელში შეეგებნენ ძმები ჩხეიძეები და წარმატება მიულოცეს. ბერტამ ცისია მოიკითხა, მიიხედ-მოიხედეს, ის არსად ჩანდა. ზურაბმა იცრუა, თავი ასტკივდა და ადრე წავიდაო. ნეტა რა უნდა სწყენოდა ცისიას? უცბად ფიქრმა გაურბინა — ალბათ მე რომ ბერტას თამაშს ვაქებდი ის, თუ ეწყინაო და რალაც გულის სიღრმეში ესიამოვნა კიდეც. ჩანს, ცისია არ უნდა იყოს გულგრილი იმის მიმართ, თუ ვის შეაქებს ზურაბი — ბერტას თუ ცისიას. ნუთუ ექვიანობს ცისია? ხოლო ბერტა სკოლიდან მეგობრობდა ზურაბსა და ლაშასთან და დღემდის კარგად ვერ გამოერკვია; ძმებში რომლისთვის უნდა მიეცა უპირატესობა.

იჯდა უნივერსიტეტიდან შინ დაბრუნებული ბერტა და ურ-

თიერთს ადარებდა ძმებს: — არა, ისინი სულაც არა ჰგვანან ერთიმეორეს, ასკენიდა ქალიშვილი: ზურაბი თამამი, მოურიდებელი და შეუპოვარია, ლაშა — უნო და თვინიერი. ზურაბი რომ გელაპარაკება, თვალბში ურცხვად ჩაგაშტერდება, მუდამ თვალდახრილ და ოდნავ სევდიან ლაშას კი ბერტასთვის თვალი არასოდეს გაუსწორებია და თვითონ ბერტა თუ შეხედავს, პატარა ბალღით გაწითლდება და ენა ებორკება.

არა, ლაშასავით თვინიერი ბიჭები ბერტას ვერ მოხიბლავენ, მხოლოდ ზურაბი, ზურაბი აურჩევია მის გულს და ცოცხალი თავით ცისიას კი არა, თვით მამაზეციერსაც კი ვერ დაუთმობს.

...იმ დღეს ლექციები ერთდროს დაუმთავრდათ, უნივერსიტეტს გამოსცილდნენ და წყნეთის ქუჩაზე გამოვიდნენ. ბავშვივით აცეტებული ბერტა წუთითაც არ ისვენებდა, მან ქუდი მოხადა ზურაბს და თვითონ დაიხურა თავზე, ოდნავ დაწინაურებულმა უკან მოიხედა და იკითხა, მიხდება თუ არაო. მერე მკლავი გაუყარა ზურაბს და ცისიას ჰკითხა — ვუხდებით ერთმანეთს ხომ კარგი წყვილი ვართ? ჰო, თქვენ გეკითხებით, თქვე უშნობეო! პასუხი რომ ვერ მიიღო, მაშინ უცებ შეაჩერა სამეული, თვითონ წინ წარდგა და ხმამალა განაცხადა:

— მე მიყვარს ზურაბი, მასაც ვუყვარვარ, დაე, ეს ყველამ იცოდეს. — თქვა და გადაიხარხარა, მერე ცისიას თვალბში შეაჩერდა და უტიფრად მიმართა:

— ცისია, ჰა, ცისია, შენ რას იტყვი, ხომ კარგი არჩევანია?

შეცბუნებული ცისია ბავშვივით გაწითლდა, აენტო, მერე განაწყენებულმა გაბრაზებით მიახალა:

— მე ვითომ რა შუაში ვარ, — თქვა ეს და ეჭვით შეპყრობილმა ქალიშვილმა თავისდაუნებურად ზურაბს შეხედა, თითქოს ბიჭის თვალბში უნდოდა რაღაც ამოეკითხა.

სწორედ ამ დროს, სტუდენტებს ბატონი ირაკლი შემოხვდა, საღმით მოიკითხა სათითაოდ და საუბარი უკვე სხვა გეზით წავიდა, მაგრამ ის დღე, ის წუთი ოთხივეს დაამახსოვრდა და მათ ურთიერთობას რაღაცნაირი ბზარი გაუჩინა.

ამ ამბებმა ფრიად დააფიქრა ზურაბი. იგი ახლა აშკარად გრძნობდა, რომ არჩევანის წინაშე იდგა. და, რაც უფრო აკვირდებოდა და ადარებდა ამ ორ ქალიშვილს, მით უფრო

უპირატესობას ცისიას ანიჭებდა: ბერტა თამამი და თავნება, ამპარტავანი და მუდამ პირველობის მაძიებელია. იმ დღეს, მთაწმინდაზე რომ ვიყავით სასეირნოდ, ბერტას თავი ისე ეჭირა, თითქოს ჩვენი ატამანი ყოფილიყოს, ჩვენგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა ჩუმად ვადარებდი ერთმანეთს ცისიასა და ბერტას. პო, რა სხვაობა იყო ცისია მამადავითის აღმართზე ისე მიდიოდა, თითქოს ეშინოდა ფეხი არ დაედგა ბილიკზე მოფუსფუსე ჭიანჭველებისათვის, ბერტა წინ გარბოდა და ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა — ქალამნად. იგი თამამია და ამაყი, ცისია — კეთილი და გულთა, მოწმენდილ ცასავით მუდამ მომცინარე.

ექვებსა და ფიქრებში, სიყვარულობანას თამაშში ისე გაიარა ოთხმა წელმა, რომ არც კი გაუგიათ. მეხუთე წელს საღიპლომო შრომებიც დაიცივეს და სახელმწიფო გამოცდებიც წარმატებით ჩააბარეს. ზურაბი ასპირანტად დაიტოვა პროფესორმა ერეკლე ტატიშვილმა, ბერტა — გერმანული ენის კათედრაზე მიზნობრივ ასპირანტად. ლაშა — რაიკომის ინსტრუქტორად აიყვანეს, ხოლო ცისიამ იმავე წლის ოქტომბერში ასპირანტურაში — ინგლისურ ენაში ჩააბარა გამოცდები. ახლა უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ცისია და ზურაბი.

მშვიდი საღამო იყო, თბილისური შემოდგომის საღამო, მთაწმინდიდან მონაბერი ნიავი არხვედა რუსთაველის პროსპექტზე ჩამწკრივებულ ჭადრის ხეთა ფოთლებს. ბერტა უკანნიდან მიეპარა ზურაბს, თვალებზე ხელები ააფარა და ყურთან უჩურჩულა, — აბა გამოიციან ვინა ვარ. ბიჭმა ფრთხილად მოიცილა ნაზი ხელები, ქალს თვალებში შესცინა და ხელკავი გაუკეთა. ხორცსავსე ქალიშვილის თბილი სხეულის შეხებამ ერთბაშად აღანთო ზურაბი.

რუსთაველის პროსპექტს მიჰყვნენ, მერე სასტუმრო „თბილისთან“ გადაჭრეს პროსპექტი და ჯორჯიაშვილის ქუჩით სანაპიროსაკენ გასწიეს; ის იყო, ჯორჯიაშვილის ქუჩა მოათავეს და ხელმარცხნივ გადაუხვიეს, რომ წინ ცისია და მამამისი შეეფეთათ. ცისიას მამა უნივერსიტეტის პროფესორი იყო, ახალგაზრდები დიდი ამბით მიესალმნენ პროფესორს. გასცილდნენ თუ არა შემხვდურებს, ზურაბს ერთბაშად წაუხდა ხასიათი.

ბერტა მაშინვე მიხვდა ვაჟის ასერივად შეცვლის მიზეზს, მაგრამ არ შეიმჩნია, ათას რამეს წაეტანა, ამ მთისას და იმ ბა-

რისას, მაგრამ ვერ იქნა და ვაჟი იმ დღეს გუნებაზე ველარ მოიყვანა...

ცისიას და ბერტას მეგობრობაში შესამჩნევი ბზარი გაჩნდა. ცისიას ადრე ნამდვილად გულწრფელი სიყვარულით უყვარდა ბერტა, ახლა კი უცხოებით ხვდებოდნენ ერთიმეორეს. ეს შეხვედრები თანდათან უფრო აუტანელი ხდებოდა. საიდან გაჩნდა ეს მტრობა, როგორ ჩაისახა ცისიას გულში ეგზომი სიძულვილი ამხანაგის მიმართ? რაც უფრო მეტს ფიქრობდა ცისია ამაზე, მით უფრო ბოლმით ევსებოდა გული. ახლა თვით ზურაბიც აღიზიანებდა, ოდნავი ყურადღებაც ბერტასადმი ჰკუიდან შლიდა.

მერე ის იყო, ერთბაშად ჩამოსცილდა ცისია თავის მეგობრებს. ჭერ, გამოცდებისთვის ვემზადებიო, მოიმიზეზა. მერე ავადმყოფობა მოიშველია, ზურაბს უმტკიცებდა, ავად ვარ და ამიტომ ვერ მოვდივარ თქვენთანო. შეწყვიტა მეგობრებთან ურთიერთობა და საშინელი მარტოობა იგრძნო. გული მთლად დაუცარიელდა, ეჭვი უფრო გაიზარდა და გაიბერა. სანაპიროზე ბერტასა და ზურაბის ერთად ნახვამ მთლად საგონებელში ჩააგდო. რამდენიმე დღის შემდეგ უნივერსიტეტის ასპირანტურაში მოულოდნელად შეხვდა მას ზურაბი. ცისიამ თვალი აარიდა ბიჭს და ისე გავიდა ოთახიდან, რომ სალამიც ვერ მოასწრო ზურაბმა, უკან გამოეკიდა ქალიშვილს, უნივერსიტეტის გასასვლელთან დაეწია და ხელი გაუწოდა. ცისიამ უღიმღამოდ ჩამოართვა ხელი. უნივერსიტეტის ეზოდან გამოვიდნენ და წყნეთის ქუჩას დაადგნენ. საუბარს თავი ვერ მოაბა ზურაბმა. უცებ თითქოს გულმა გაჩმიანაო, გაუბედავად წარმოთქვა:

— რატომ მებუტები, ხომ იცი, რომ მე...

მაგრამ გულში გახმიანებული სიტყვა „მიყვარხარ“ ყელში გაეჩხირა:

— რას ჰქვია, გებუტები.

— არა, კი არ მებუტები, რატომ გამირბიხარ, რად შემძულე, რად ჰკარი ხელი ჩემს სიყვარულს?

ცისია ერთბაშად აფეთქდა და მოურიდებლად მიახალა:

— როგორ, აქამდის ყველამ ვიცოდით, საჯაროდაც გამოაცხადეთ, რომ ბერტა გიყვარდა. ასე მალე მოგბეზრდა და ახლა გინდა სათამაშო თოჯინად მე გამიხადო? ვერა, ვერ მოგართვეს, ბატონო ჩხეიძე!

ზურაბს შერცხვა, მოზიმზიმე ქუჩას გაერიდა და უსიტყვოდ გასწია შინისაკენ, ახლა უკვე მწვავედ განიცადა ცისიას უკმეზობა და მზად იყო ბინაზე სწვეოდა ქალიშვილს, დაერწმუნებინა, თუ როგორ უყვარდა იგი, მაგრამ მამამისის მოერიდა და ცისიასთან წასვლა გადაიფიქრა.

ამ დროს ლაშაც დაბრუნდა სამსახურიდან. ზურაბმა ძმას დაწვრილებით უამბო, რაც შეემთხვა, და ბოლოს სთხოვა, მე ახლა წერილს დაწერ და, შენი ჭირიმე, ხვალვე ცისიას გადაეციო. ლაშას გულში ეამა, მის ძმას რომ ცისია შეყვარებოდა. შეპირდა, დაწერე, ხვალვე გადავცემო.

ლაშამ მეორე დღესვე მიუტანა ზურაბის ბარათი ცისიას. ქალიშვილმა წერილი გამოართვა და ხალათის ჯიბეში ჩაიდო. გავიდა თუ არა ლაშა ოთახიდან, ცისიას მოთმინება არ ეყო, და საჩქაროდ დაიწყო ბარათის კითხვა: „ჩემო ცისია დიდხანს ვფიქრობდი ვიდრე ამ წერილის მოწერას გადავწყვეტიდი. გუშინდელი შეურაცხყოფის შემდეგ ეგებ არც ღირდეს რაიმეს თქმა, მაგრამ ამ ოხერმა გულმა არ მომასვენა და გადავწყვიტე ბარათით შეგხმიანებოდი, კიდევ ერთხელ მეცადა ჩემი გრძნობის გულწრფელობაში შენი დაჯერება. ვიცი, შენ გგონია, რომ მე ბერტა მიყვარს. იქნებ არც დაიჯერო ჩემი გულწრფელობა, შენი ნებაა, მაგრამ მერწმუნე, რომ ამ ბარათის ყოველი სიტყვა მართალია და გულიდან არის ამოსული, არ დაგიმაღავ: ბერტას ბავშვობიდანვე ვიცნობ. ვერც იმას ვიტყვი, რომ როდისმე გულგრილი ვყოფილიყავი მის მიმართ. მქონდა ბავშვური გატაცება, სიყვარულით კი არასოდეს მყვარებია. მას შემდეგ, რაც შენ გაგიცანი, ბერტას მიმართ ერთბაშად გამიცვივდა გული. ამას ბერტა მიხვდა და ამიტომ არის, რომ ასე ქვეყანას მოსდო „ჩვენი სიყვარულის“ ამბავი. ახლა სალოცავი ხატი შენ გახდი ჩემთვის, დღე შენზე ლოცვაში მილამდება და ღამე შენზე ფიქრში მითენდება. თუ ამ გულით ნათქვამ სიტყვებს სიყალბეში და თვალთმაქცობაში არ ჩამითვლი, ჩემზე ბედნიერი კაცი არავინ იქნება ამ ქვეყანაზე. ეს არის და ეს ჩემი მოკლე აღსარება, ველი პასუხს. შენი ზურაბი“.



სასწავლო წელი მთავრდებოდა, სტუდენტების საგამოცდო სესიები მიიწურა. ასპირანტებს მუშაობის წლიური ანგარიში

და მეცნიერ-ხელმძღვანელების დახასიათება უნდა წარმოედგინათ. უნივერსიტეტის დერეფნებში ხალხმრავლობა იყო. უნივერსიტეტმა ამ დროისათვის ფართოდ გაშალა მხრები. ახლა აქ რვა ფაკულტეტზე სამიათასხუთასი სტუდენტი ირიცხებოდა. შვიდასი პროფესორ-მასწავლებელი ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. არც ასპირანტურას ჰყოლია როდისმე ამდენი ხალხი. ის-ის იყო, უნივერსიტეტში კვლავ მოიწვიეს ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა სიმონ ჯანაშიამ ორი ასპირანტი მიიბარა თავის მასწავლებელს. ბატონმა ივანემ ყველაზე პირველმა მოიტანა ამ ორი ასპირანტის ვრცელი დახასიათება. ასპირანტურის გამგე ივ. ჯავახიშვილის ნასტუდენტარი იყო. შეწუხდა: „ბატონო ივანე, თქვენ რატომ გაისარჯეთ, რომელიმე ასპირანტისათვის უნდა გამოგეტანებინათო“. „არა, ბატონო, ყველამ თავისი მოვალეობა თვითონვე უნდა შეასრულოსო“ — მოუჭრა ივანემ.

ამ დროს ასპირანტურის ოთახში ერეკლე ტატიშვილი და მისი სამი ასპირანტი შემოვიდნენ. ბატონმა ივანემ პირველმა გაუწოდა ხელი და დიდი პატივით მოიკითხა კოლეგა. მერე იმ სამ ასპირანტსაც, თავი უხერხულად რომ იგრძნეს და გასვლა დაპირეს, გულთბილად ჩამოართვა ხელი და ოთახიდან გამობრძანდა.

ბატონი ივანე მეცნიერული სინდისისა და ჰუმანიტატი მოქალაქეობრიობის ცოცხალი განსახიერება იყო...

ბატონმა ერეკლემ თვით ასპირანტების თანდასწრებით დაწერა მათი მოკლე დახასიათება.

ერეკლე ტატიშვილი ქალიშვილებს იშვიათად აიყვანდა ხოლმე ასპირანტად, მაგრამ ცისია იმდენად გამორჩეული იყო სხვა სტუდენტთაგან, რომ არ შეეძლო უარით გაესტუმრებინა. როცა საქმეს მორჩნენ, ცისია და ზურაბი შინისაკენ, წყნეთის ქუჩას ერთად დაადგნენ. ცისიას თავი ისე ეჭირა, თითქოს ზურაბის წერილი არც წაეკითხოს. ვაჟმა ვერ გაუძლო მის დუმილს და ჰკითხა, გუშინ ჩემი წერილი თუ წაიკითხეო. ცისია კვლავ დუმდა. მერე სიტყვა ბანზე ააგდო, საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა, ვაჟმა გაუმეორა კითხვა. წავიკითხეო, უპასუხა ქალმა. მერე, თუ წაიკითხე, რა პასუხს მაძლევო, არ ეშვებოდა ვაჟი. პასუხს მოფიქრება უნდა, არ მინდა შენსავით ავჩქარდე,



შენი ბარათი, მე მგონია, წუთიერი გატაცების, აჩქარებისა და გაჯავრების შედეგი იყო, დასძინა ქალმა.

ზურაბი მეტისმეტად თავმოყვარე იყო. ქალიშვილის ასეთი პასუხი შეურაცხყოფად ჩათვალა და უსიტყვოდ გაეცალა. გაცლით კი გაეცალა, მაგრამ ვერაფრით ვერ დაიწყნარა აღელვებული გული. ძილი არ ეკარებოდა, არ იცოდა, რა გზას დადგომოდა.

„ნუთუ ბერტა უფრო კეთილი და დამყოლია? არა, უფრო გონიერია და ცხოვრებას დახარბებულს, ცისია კი უფრო ნახია და ჰაეროვანი. ცისია ჩემი უნდა გახდეს, მე მის იქით გზა აღარ მაქვს“ — ასე ფიქრობდა ძილგატეხილი ზურაბი. უთენია ადგა და ახალი წერილი დაწერა: „ცისია, ამ წერილს მეორედ ვწერ. კვლავ გიმეორებ პირველი წერილის სიტყვებს— უშენოდ ყოფნა ჩემთვის სიკვდილზე მეტია. თუ შენგან უარი მივიღე, ეს ქვეყანა ჯოჯონეთად გადამექცევა. ხომ იცი, გამწარებულ კაცს თავზე ხელის აღება არ გაუჭირდება, მე სიტყვის კაცი ვარ და ეს მუქარა კი არა, მტკიცე გადაწყვეტილებაა, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება...“

ზურაბმა წერილი ძმას წაუკითხა. ლაშას ძალიან ესიამოვნა ეს ამბავი.

— ცისია ჭკვიანი ქალიშვილია, თუმცა ცოტა მიუკარებელი და მარტოსული კი არის, შენ მის ხელში მაინც ბედნიერი იქნები, ძმაო!

ლაშას კი, ბერტას სიყვარულით დამწვარ ლაშას, ვერავისათვის გაეზიარებინა თავისი გრძნობა. მან ხომ იცოდა, რომ ბერტას ზურაბი უყვარდა. აქამდე, ძმის რილით, ბერტას სიყვარულს გულში იკლავდა, ახლა კი, ამ ბარათის შემდეგ, ლაშას სიყვარულს გზა ეხსნებოდა.

ზურაბმა და ცისიამ იმ საღამოს ხალხით მოზიმზიმე რუსთაველის პროსპექტი გადაკვეთეს და ნელა დაჰყვნენ ჯორჯიაშვილის თავდაღმართს. ქუჩის ბოლოს, სწორედ იმ ადგილას, სადაც ათიოდე დღის წინათ ცისია შეეფეთა ბერტას და ზურაბს, ქალიშვილი შეჩერდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, და უკან გაბრუნება სცადა:

— არა, ზურაბ, ახლა გვიან არის, სანაპიროზე ბნელა, ხალხი რას იფიქრებს, სჯობს ისევ რუსთაველის პროსპექტზე ვისეირნოთ...

მას შემდეგ, რაც წყნეთის ქუჩაზე ცისიას მოტრფიალე თანაკურსელ ბიჭიკოსთან წაკინკლავება მოუხდა, ზურაბი ხალხს გაუბრბოდა, მყუდრო ადგილებს ეტანებოდა. ესეც არ იყოს, ბერტას რიდი და ხათრიც ჰქონდა, ბერტა ხომ ამ ბოლო დროს ეჭვიანობდა ცისიაზე. ვაჟს არ უნდოდა ქალებს შორის, უსიამოვნება გამწვავებულყო და ამიტომ შესთხოვდა ცისიას, სანაპიროსაკენ წავიდეთო. ქალიშვილი დაჰყვა ვაჟის ნებას.

ცისიას ფაფუკად ნაქსოვი, ორად გაკეცილი თავშალი მკლავზე გადაეგდო, თავშალი წვივებამდე სწვდებოდა და მოკლე, ნარინჯისფერი ჩითის კაბის ქვემოთ შიშველ მუხლებზე ედებოდა. ჩითის კაბა კობტად მორგებოდა ტანწერწეტა ქალიშვილს. წელზე ცისფერი ქამარი ერტყა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა და ვაჟზე მაღალს აჩენდა, თუმცა ტანად უფრო დაბალი იყო, ვიდრე ზურაბი. ხორბლისფერ სახეზე ძალიან შვენოდა ნარინჯისფერი კაბა. ზურაბს ლურჯი ინგლისური შალის კოსტუმი ეცვა. თავშიშველს ორად გაყოფილი, ოდნავ ხვეული თმა ოქროსფრად უბზინავდა.

ზურაბი ცისიას გვერდით ნელა მიაბიჯებდა სანაპიროზე. არავის და აღარაფერს ამჩნევდა, ახლა მისთვის მთელ ქვეყანაზე მარტო ცისია არსებობდა. თბილი ამინდი იყო. ერთხანს ასე ისეირნეს ხეივანში, მერე ყველაზე მიყრუებულ ადგილას ცარიელი სკამი მოძებნეს და ჩამოსხდნენ. ირგვლივ დუმილი სუფევდა. მერე სადღაც სიცილიც გაისმა და ისევ მიჩუმდა ირგვლივ ყოველივე. ისინი კი ისხდნენ სანაპირო ბაღის სიღრმეში და ტკბებოდნენ ღამის უჩვეულო დუმილით. შუალაშე გადასული იყო და ბაღის მყუდროებას მტკვრის ჩხრიალიდა თუ არღვევდა. ღამის დუმილით შეშინებული ქალი სულ უფრო ეკვროდა ვაჟს. ზურაბი ცისიას შავსა და დიდრონ თვალებში ჩაჩერებოდა. ცისიას ჟრუანტელი უვლიდა და ტანზე ბუსუსებს აყრიდა...

— სულზე უტკბესი ხარ...— ჩურჩულებდა ზურაბი და ქალს გულში იკრავდა. კოცნამ და ალერსმა ისე გაათბო მათი სხეულები, რომ აღარაფერი ესმოდათ. დასავლეთიდან წამოსულმა ჟანგისფერმა ღრუბლებმა მოღუშული ღამე უფრო დაბურა და ჩინარის ფოთლებიც წვიმის შხეფებმა აახმაურა. ქალ-ვაჟი ისე მხურვალედ იყვნენ ჩახუტებულნი, რომ წვიმის პირველი

წვეთების ხმაური არც გაუფიქრებია... მერე კი, ვნების ბურანში წასულნი, უცებ გამოფხიზლდნენ.

ვაჟმა ქალიშვილი სახლამდე მიაცილა და კიდევ ერთხელ აკოცა გამომშვიდობებისას. დათქვეს, რომ მეორე დღეს, იმავე დროს, იმავე ალაგას შეხვდებოდნენ. შინისკენ მიმავალი ზურაბი ისევ ცისიაზე ფიქრობდა. ცისიას სული მის სულში გადასულიყო, იგი განაგებდა მის ფიქრსა და გონებას.

შინ ისე შევიდა, არავის შეუტყვია. ტანთ გაიხადა და დაწვა. ვაჟმა იმ ღამეს ძილის წინ მტკიცედ დაიფიცა, მთელი ქვეყნიერება რომ აღსდგეს ჩემს წინააღმდეგ, ცისიას თავს მაინც არავის დავანებებო.

მეორე დღეს, 1941 წლის 22 ივნისს რადიომ ქვეყანას ამცნო დიდი სამამულო ომის დაწყება. ერთბაშად დაირღვა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება.

• •

ბერტა დედით ქართველი იყო, მამით უზბეკი, მამა შარიფ რახიმოვი ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოში მუშაობდა. აქვე მუშაობდა პირველი ქართველი ინჟინერი ქალი ქეოო ანდრონიკაშვილი. ქეთოს მშობლებს ვარდისუბნის ქუჩაზე საკუთარი სახლი ჰქონდათ. ქეთოს დედა გერმანელი იყო, მამა მეფის რუსეთის განთქმული გენერალი. ამ უბანში ყველაზე დიდი სახლი, ვენახის ტალავერიანი ღამაზი ეზოთი, სწორედ ანდრონიკაშვილებისა იყო. გენერალი გიორგი ანდრონიკაშვილი რომ დაიღუპა, დარჩა ორი ქალიშვილი — ქეთო და ეფემია. სწორედ იმ წელს გაჰყვა ცოლად ქეთო შარიფ რახიმოვს. მათ შეეძინათ ქალიშვილი, რომელსაც ბებუის საპატივცემულოდ, ბერტა შეარქვეს. 1936 წელს შარიფი ტაშკენტში გადაიყვანეს საპასუხისმგებლო პარტიულ სამუშაოზე.

ანდრონიკაშვილების დიდ ოჯახში ბერტა და ქეთოს უფროსი გაუთხოვარი და ეფემია დარჩა. 1938 წელს ბერტა ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობით თბილისში მიზნობრივ ასპირანტურაში დატოვეს. მამის შარიფის თხოვნით, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ტაშკენტის უნივერსიტეტში დაბრუნების პირობით...

1939 წელს ბერტას დედ-მამა საავტომობილო ავარიაში

მოპყვა. ბერტა სასწრაფოდ გამოიძახეს ტაშკენტში. ორი დღე-ღამე ებრძოდნენ სიკვდილს ბერტას მშობლები, მაგრამ ამაო აღმოჩნდა ყოველივე ცდა ექიმებისა, მესამე დღეს ბერტას მშობლები გარდაიცვალნენ. იმ დღეს ეფემიაც ჩამოფრინდა ტაშკენტში. დედ-მამის ასე მოულოდნელად დაღუპვამ თავზარი დასცა ბერტას, საშინელი კრუნხხვები დაეწყო, ლოგინად ჩავარდა. დეიდა ეფემია ყოველდღე ეჩიჩინებოდა ბერტას, უსაშველო საქმეს ჩვენ ვერაფრით წავადგებითო, აქ მშობლების აჩრდილი არ მოგასვენებს, დატოვე ეს კოშმარების ალაგი და თბილისს დავბრუნდეთო... მერე და მერე დაპყვა ბერტა დეიდის სურვილს და თავის გულის ძახილს, დიახ, ახლა მას ზურაბის სიყვარული ეძახდა თბილისში...

ასპირანტობის კურსს რომ ასრულებდა, 1941 წლის შემოდგომას, დეიდა ეფემიაც გარდაეცვალა ბერტას.

სწორედ რომ უცნაურად წარიმართა ბერტას ბედი.

დარჩა სულ მარტო, შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო იგი...

1941 წლის შემოდგომა დადგა. მოსავალი უხვი მოვიდა საქართველოში. მაგრამ მუშაკაცი არსად ჩანდა, რომ დროზე დაებინავებინათ ომში წასული მამაკაცების შრომით მოსული ხვავი და ბარაქა. სკოლის მოსწავლეები და მოსამსახურეები მოახმარეს სოფელს. ბავშვების, ქალების, მოსამსახურეებისა და ხეიბრების ერთიანმა შრომამ თავისი გაიტანა და მოსავალიც დაბინავდა. სწორედ მაშინ ფაშისტების თვითმფრინავები გამოჩნდნენ თბილისის ცაზე, ყოველ წუთს ციდან მტრის ბომბები ელოდა ხალხს. ქალაქი შეინიღბა.

რუსეთისა და უკრაინის ველებზე გაბოროტებული მტერი წინ მოიწევდა. საჭირო შეიქმნა ჩვენი ქვეყნის საყოველთაო მობილიზაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის კურსდამთავრებული ბერტა პარტკომში დაიბარეს და ტაშკენტის უნივერსიტეტის მოწერილობა ჩააბარეს. მიზნობრივ ასპირანტურაში გამოგზავნილ ბერტას წესისამებრ უკან იწვევდნენ. ბერტას თავზარი დაეცა, მერე საჩქაროდ გამოვიდა უნივერსიტეტიდან, გზაზე თითქოს ვილაცამ უკარნახაო, უმაღ ზურაბი გაახსენდა და იმავე საღამოს ქალიშვილი ჩხეიძეების ოჯახს მიადგა. სამსახურიდან დაბრუნებული ზურაბი და ლაშა შინ დახვდნენ. გაფითრებული და შეშინებული ბერტას გამოჩენა მოულოდნელი იყო ძმებისათვის. ბერტა

ძლივს იდგა ფეხზე და გზაზე გაზეპირებულ სიტყვებს იმეორებდა. იგი ზურაბს მისჩერებოდა:

— ზურაბი ახლა შენს ხელთაა ჩემი ხსნა. ჩემი ბედი. ალბათ გაიგებდით, რომ მე უკან მიწვევენ ტაშკენტში. შენ იცი, რომ მშობლების დალუპვის შემდეგ ტაშკენტში ბუდე მომეშალა. აქ, თბილისში დეიდა ეფემია და შენ მეგულებოდით იმედად, ერთი თვის წინ დეიდა ეფემია გამომეცალა. და ახლა მხოლოდ შენ შეგიძლია მისხსნა...

— მე რა შემიძლია? — შეშფოთებით იკითხა ზურაბმა.

— რა და... ხვალ ხელი უნდა მოვაწეროთ...

ვიდრე პასუხს მიიღებდა, შეშინებულმა ბერტამ ზედიზედ მიაყარა სიტყვები:

— დიახ, ხვალ სამ საათზე, ჰო, თუნდაც ისე, ფორმალურად, მერე... მერე ისე მოიქეცი, როგორც გენებოს. — თითქოს ნათქვამისა შერცხვაო, სახეზე ხელები აიფარა. — მე მჭერა შენი გულისა...

უნდოდა ეთქვა, შენი სიყვარულისაო... — მაშ ხვალ გელოდები, სამ საათზე ორჯონიკიძის რაიონის მმაჩში...

ეს თქვა და სახლიდან გავიდა. ბერტა იმდენად იყო დარწმუნებული ზურაბის თანხმობაში, პასუხისათვის არ დაუცდია. ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ გაოგნებული ძმები იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— არა, არა, მე ბერტასთან ხელს არ მოვაწერ, — განაცხადა ზურაბმა, — ჯერ ერთი, ხალხი რას იტყვის. ჩვენს დაუძინებელ მტერთან ომი გვაქვს და მე აქ...

თითქოს კრებაზეაო, ისე რიხით ამბობდა ზურაბი, მერე ძმას თვალეებში შეხედა და იქ თანაგრძნობა რომ ვერ ამოიკითხა, ახლა სხვა საბუთი მოიტანა:

— ლაშა, შენთან რა მაქვს დასამალი, ეს რომ ცისიამ გაიგოს, აბა წარმოიდგინე, რა მოხდება! შენ ხომ იცი, რომ ცისია მიყვარს, დიახ, მიყვარს...

ზურაბმა ისევ შეხედა ძმას. ლაშა გაშტერებული იდგა: აღარ უსმენდა ძმას. მერე უსიტყვოდ გაეცალა იქაურობას.

რასაკვირველია, მეორე დღეს, სამ საათზე, ორჯონიკიძის „მმაჩის“ მოსაცდელ ოთახში ზურაბს ამოდ ელოდა ბერტა: ზურაბის მაგივრად გაფითრებული ლაშა გამოჩნდა.

— ზურაბი, ზურაბი სად არის? — თავისდაუნებურად იყ-

ვირა ბერტამ. ლაშა თავდახრილი იდგა და ხმას არ იღებდა. ბერტა მიხვდა, რომ ზურაბი არ მოვიდოდა და ხმამალაღი ტირილი აუვარდა, მერე უცბად გონს მოეგო.

— ახლა რა ვქნა? მე ზურაბის იმედი მქონდა...

ქალიშვილს ისევ ტირილი აუვარდა. ლაშა ამშვიდებდა, ბერტა კი ტირილით ამბობდა:

— ..ახლა ჩემთვის ხელის მოწერა სიკვდილ-სიციცხლის საკითხია, რა ვქნა, სად წავიდე? — უმწეოდ ტიროდა ბერტა. ლაშამ ძლივს გაიღო ხმა:

— ჰო, წუხელისვე მინდოდა შემეტყობინებინა შენთვის. შენ რომ ჩვენგან წამოხვედიო, ზურაბი მაშინვე გამოიძახეს სამხედრო კომისარიატში და ამ დილით ჯარში გაიწვიეს.

— ჯარში გაიწვიესო? — შეჰყვირა ქალიშვილმა და გული შეუწუხდა, მეორე ოთახიდან რეგისტრატორი ქალი გამოვარდა და ბერტას მიეშველა, ლაშაც მიეხმარა და ძლივს მოასულიერეს გონწასული. ბერტა გაკირვებით წამოდგა და გარეთ გალასლასდა. ლაშა ფეხდაფეხ გამოჰყვა განწირულად მტირალ ქალიშვილს. ვაჟმა ქალს ხელი მოჰკიდა, შეაჩერა. მაგრამ თვალეზში ვერ შეხედა. თავდახრილი იდგა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სიტყვა ყელში ეჩხირებოდა. ქალიშვილმა თვალეზში შეხედა და უმწეოდ იკითხა:

— რაო, ლაშა, რამე ხომ არ მოიფიქრე?

თავჩალუნულმა ლაშამ დამარცვლა სიტყვები:

— მოდი, მე და შენ მოვაწეროთ ხელი... არა, ეს ისე, ფორმალურად... მერე ომი გათავდება და ჩემი ძმაც დაბრუნდება... შენ ხომ ჩემი ძმა გიყვარს...

ბერტამ გიჟივით გადაიხარხარა და ლაშას გულ-მკერდზე მიეყრდნო, რომ უცბად არ წაქეუულიყო. ლაშამ ხელები მიაშველა და მკლავი მკლავზე გამოსდო:

ბერტა გონს მოეგო და ტირილით შეესიტყვა:

— მე შენთან მოვაწერო ხელი? პარტკომში განვაცხადე, ზურაბთან ვაწერ ხელს-მეთქი, მთელმა კურსმა იცის რომ ზურაბი მიყვარს... რას იტყვიან პარტკომში? ან სხვები როგორ გაიგებენ ამას...

ვაჟი ემუდარებოდა ქალიშვილს, მაგრამ ვერა და ვერ ამშვიდებდა.

— მე სხვა გზას ვერ ვხედავ და, როგორც გინდოდეს, ისე გადაწყვიტე.

ბერტა მიხვდა, რომ არჩევანის დრო არ იყო და ვედრებით მიმართა ვაჟს:

— მოიცა, ლაშა, მოვიფიქროთ, შენ უფრო იცი ამ საქმისა... შენ ამბობ ფორმალურადო, არა?...

— ჰო, ფორმალურად, შენ რომ დაგტოვონ თბილისში, ბერტა!

„შენ“ სიტყვას რალაცნაირად გაუსვა ხაზი და ქალიშვილს მიაჩერდა.

— დიახ, შენ რომ დაგტოვონ, მერე ეს ომიც მალე გათავდება, ჩემი ძმაც დაბრუნდება და ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ მოგესურვება.

ამ სიტყვებმა თითქოს გამოაფხიზლა ქალიშვილი, ის შეკრთა და გაკვირვებით შეხედა ლაშას, ლაშა აღზნებული მისჩერებოდა მტირალ ქალიშვილს. ვაჟის გამსკვალავმა მზერამ ბერტას ეჭვები აღუძრა, მაგრამ ახლა იმის დრო არ ჰქონდა, რომ ღრმად ჩააკვირვებოდა ამ ამბავს. იდგნენ ორჯონიკიძის რაიონის მმაჩის წინ და თუ რა ბოღმა ტრიალებდა თვითუღლის გულში, ამის გამოცნობა სულ ადვილი იყო ორივესთვის, მაგრამ პირდაპირ პასუხს ვერცხს ერიდებოდნენ, უცბად ბერტამ წამოიძახა კარგი, მაშინ ნუ ვაყოვნებთო.

ჩხვიძის გვართ დატოვეს ბერტა უნივერსიტეტის გერმანული ენის კათედრის ლაბორანტად. თითქოს ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც ეს ბერტას სურდა... ასე გავიდა ქორწინებიდან ერთი თვე, ბერტა თავის ძველებურ პაპისეულ კოშკში ახლა სულ მარტო იყო. ომმა იმდენი თავსატეხი გაუჩინა ხალხს, რომ არავის ეცალა ბერტასათვის, თითქოს არც მისი გათხოვებით დაინტერესებულან მეზობლები, მაგრამ არა, როგორ არა, ბერტას ერთ მეზობელს, ნავთის გამყიდველ ჰასანას გაუჩნდა ეჭვი: „ეს ჩვენი ბერტა თუ გათხოვდა, სიძე სად არისო“ — მერე ეს ეჭვი მეზობლებს გადაედო და მთელს უბანში აგორდა.

ჰასანა ვარდისუბნის ქუჩის ნავთის წერტში გამყიდველად მუშაობდა. ეს წერტი კერძო დუქანივით იყო. უფროსი წელიწადში ერთხელ თუ მოაკითხავდა. იმ ერთხელაც უფროსი იმიტომ მოდიოდა, რომ ჰასანასათვის შეწერილი ქრთამი გამო-

ერთმია, შემოვიდოდა, გაიღიმებდა, ჰასანა ჯიბეში „კუთვნილ თანხას“ ჩაუღებდა და „ღირექტორი“ კმაყოფილი გაბრუნდებოდა, იყო ჰასანა დუქანში არხეინად, ნავთს მამასისხლად ყიდდა და არავინ იყო გამკითხავი.

წითურ, ყვითელლაბაბიან, ჩოფურა ჰასანას პირისახე პანტის ჩირივით დაქმუჭნოდა. თითო-ოროლა ღერი თეთრი წვერი ყვითელ პირისახეზე თეთრზოლად გასდევდა და ამიტომაც „თხისწვერა“ შეარქვეს უბნის ბიჭებმა. ვერცხლისფიგურებიანი სარტყელი ერთყა წელზე, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ოქროს ბეჭედი ეკეთა, თავზე ფოჩებიანი წოწოლა ქუდი ეხურა. გაუგებარი თათრულ-ქართული სიტყვებით ლაპარაკობდა, მაგრამ მყიდველს სათქმელს აგებინებდა და ეს არეული მეტყველება ფულის წაცინცვლაში ეხმარებოდა კიდევ: თუ ვინმესთან რამე შეეშლებოდა და მომჩივანი ხურდის გამო გამოედევებოდა, ეტყოდა, „მაცა, რალა, აკი ვითხარი გერგება-მეთქი“ და რალაცნაირად აღმუვლდებოდა... გაბრაზებულნი, ლაპარაკის დროს ყვითლად ჩაეანგებულ, ცხენივით გრძელ და ფართო კბილებს გამოაჩენდა და ქუჩურად აგინებდა ვილაც ნავთის მომტანს: ნახევარს ქუჩაში ჰყიდისო. ომის დროს ნავთის უკმარისობით ყველაზე მეტად ისევ ჰასანამ მოითბო ხელი. ნავთის ვაჭარს შვიდი შვილი ჰყავდა და ბერტას სახლის გვერდით ერთ საცოდავ სარდაფში ცხოვრობდა. რამდენჯერმე აძლიეს ბინა საბურთალოზე, მაგრამ აქაურობას არ სცილდებოდა. ნაპარავი ფულით გადიდგულეებული ჰასანა იქადნიდა, მე ამ უბანში დავიბადე და აქვე უნდა მომცეთ ბინაო.

სწორედ ამ ჰასანას გადაეწყვიტა, ანდრონიკაშვილების ეს ძველებური სახლი თვითონ ჩაეგდო ხელში. რაიკომში მიტანილი განცხადებაც მისი ნახელავი აღმოჩნდა.

ჰასანა იმ დილით ბერტას მიადგა და, პირდაპირ უთხრა:

— შენზე ამბობენ, რალაცა ჩააწყო, რალა, მართალია? — ცხენის კბილები გამოაჩინა და ცხენივით ჩაიხვიხვინა, — აბა, სად არის ის შენი ქმარი, ერთხელ მაინც რატომ არ გამოჩნდა, პა!

ჰასანმა ნიშნისმოგებით მარჯვენა ხელი ჰაერში აატრიალა, მერე ისევ ჩაიხვიხვინა და იქაურობას ისე გაეცალა რომ პასუხსაც აღარ დაუცადა.

ბერტას თავზარი დასცა ჰასანას ამ მოულოდნელმა სტუმ-



რობამ, კაბა გადაიკცა და პირდაპირ რაიკომს მიადგა, უნდოდა ეს ამბავი ლაშასათვის ეცნობებინა. ლაშა რაიკომში არ დახვდა — დილიდანვე აქლოშინებული დარბოდა, ორჯონიძის რაიონის ფაბრიკა-ქარხნებსა და საწარმო-დაწესებულებების თავშესაფრებს ამოწმებდა. წინა დღეს ფაშისტებმა თბილისის გარეუბანში პირველად ჩამოაგდეს ყუმბარა, და ახლა, დილიდანვე, ქალაქკომისა და რაიკომის თანამშრომლები, მათ შორის ლაშაც, თავშესაფრების შემოწმებაზე იყვნენ გამოსულნი. ამიტომაც ვერ ნახა ბერტამ იმ დღეს ლაშა.

ბერტას მეზობელი ჰასანა ათასგვარ ჭორს ავრცელებდა ნავთის რიგში მდგარ დედაკაცებს შორის; ჰიტლერს მოსკოვი აუღიაო...

— ტყუილია, — წამოიყვირა რომელიღაც ბავშვმა, — სტალინს ვერ მოერევიან.

შეცბუნდა ამ ხმაზე ჰასანა, მაგრამ უკან არ დაიხია:

— წუხელის მთლად მიწასთან გაუსწორებია ჰიტლერს ლენინგრადი. სამ დღეში თბილისს აიღებენო. ტუაფსედან წამოსული გერმანელების ჯარი ლიხის მთას მოდგომია, — ჭორების ცეცხლზე ნავთს ასხამდა მენავთე ჰასანა და გამკითხავი არავინ იყო. შიშით, სიცივით, შიმშილით შეწუხებული ნავთის რიგში ჩამდგარი მოხუცები და ბავშვები ზიზლით უსმენდნენ გაბოროტებულ ჰასანას.

მეორე დღეს, შვიდ ნოემბერს, დილის ცხრა საათზე, რადიოში გაისმა ნაცნობი დიქტორის ხმა: „ლაპარაკობს მოსკოვი ჩვენი მიკროფონები წითელ მოედანზე დგას. უსმინეთ წითელ მოედანს!“

და მთავარსარდალმა დაიწყო სიტყვა — ჩვეული დინჯი ხმით...

ხალხს იმედი, რწმენა ჩაუსახა სტალინის სიტყვამ, ეს იყო პირველი სხივი იმედისა, ზამთრის ყინვებისაგან გათოშილი რუსეთის თვალუწვდენელი ტრამალები რომ გაათბო და სხივი კავკასიის მწვერვალებსაც მიაწვდინა. იმავე დღეს მოსკოვთან შეტევაზე გადავიდა საბჭოთა ჯარი. ფაშისტებმა პირველი სერიოზული დამარცხება იწვნის.

რაიკომში ცნობა მოვიდა, რომ ვარდისუბნის ქუჩაზე მდებარე ნავთის წერტში დიდი უწესრიგობაა, რიგში მდგარი ხალხი ამ დილით ხელკეტებით დაერივნენო ერთმანეთსო.

საჩივრის შესამოწმებლად ლაშა გაგზავნეს. მივიდა ლაშა და აყაყანდა ჰასანას ქორვაჭრობისა და თაღლითობის გამო აღელვებულნი ხალხი. სიტყვას არ აცლიდნენ ერთმანეთს.

ლაშა ხალხს აშოშმინებდა, მე იმიტომ მოვედი, რომ ეს საკითხი გავარკვიო, ყველაფერს გამოვიძიებო...

ლაშამ ჰასანა და ორი მოხუცებული პენსიონერი რაიკომში გაიყვლია და საქმის გამოძიებას შეუდგნენ. გამოირკვა, რომ ჰასანა თურმე თურქეთის მოქალაქე ყოფილა და თბილისს ჩაუწერლად შეხიზნულა. ნავთის წერტის დირექტორთან მისი საექვეო ურთიერთობაც დადასტურდა. დირექტორი მოხსნეს, ხოლო ჰასანა ცოლ-შვილიანად გაასახლეს თბილისიდან. ასე დასრულდა ეს საქმე.

რაიკომში ახლა ლაშას და ბერტას საქმის თაობაზე შესული სიგნალის შემოწმება დაიწყო. იმ დღეს ბერტა უნივერსიტეტის პარტკომში დაიბარეს და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. ბერტა ჯერ დუმდა, მერე, თითქოს ვიღაცამ უკარნახაო, ასე მოახსენა პარტკომის მდივანს:

— ქორწინების ქაღალდში ხომ ლაშა ჩხეიძე წერია. ლაშას თქვენც კარგად იცნობთ, რაიკომში მუშაობს, ჰკითხეთ მას და, რასაც იტყვის, მართალიც ის იქნება.

მეტი არაფერი უთქვამს, ადგა და დატოვა მდივანის ოთახი. ბერტამ უმაღლვე რაიკომს მიაშურა, ლაშას წინადადება მისცა ხვალვე ჩვენთან უნდა გადმოხვიდე საცხოვრებლადო, ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ ჩვენ „კანონიერი ცოლ-ქმარი“ ვართ, ბოლო უნდა მოეღოს ამ მითქმა-მოთქმას, ასე რომ, ხვალ საღამოს შინ გელოდებიო.

გვიან ღამე იყო, ლაშა „ანდრონიკაშვილების კოშკს“ რომ მიდგა, კარზე ფრთხილად დააკაკუნა... სავარძელზე წამოწოლილი ბერტა შეშინებული წამოვარდა, გააღო კარი და შეკრთა, თითქოს არ ელოდა ასეთ „სტუმარს“. ხმა არ ამოუღია, უბრად შებრუნდა ოთახში, ლაშა დაფეთებულივით აქეთ-იქით აცეცებდა თვალს, თავი ვერ დაემორჩილებინა. დაბოღმილმა ამის თქმალა მოიხერხა: — აჰა, მოვედი, რაკი ეს შენი სურვილი იყო: — ჩემი სურვილი? — გაიოცა ბერტამ. ვიღაცამ კარზე დააკაკუნა, მეზობლის ქალიშვილი აღმოჩნდა. ბერტას დიდად ეამა ლილის მოსვლა.

— გაიცანით, ჩემი ქმარიაო, — წარმოუდგინა ლაშა.

— ლაშა ჩხეიძე, — ჩაილულლულა ვაჟმა და ხელი გაუწო-  
და ქალიშვილს. — როცა მეზობლის ქალიშვილი წავიდა, ბერ-  
ტა რალაცნაირად შიშმა შეიპყრო:

— ახლა წადი, წადი ლაშა შინ, ლილი ისეთი ენაპარტალაა,  
რომ ხვალ მთელ თბილისს მოსდებს ჩვენს ამბავს.

ბერტას ტირილი აუვარდა. ლაშა დაიბნა. მერე ადგა და  
წავიდა. გამომშტილობებისას ბერტამ უთხრა, ხვალ ისევ გელო-  
დებიო.

მარტო დარჩენილი ბერტა ცახცახმა აიტანა, ციებიანივით  
კანკალებდა. ტანთ გაიხადა, დაწვა თბილი ლოგინი ესია-  
მოვნა, გათბა, მაგრამ დაძინებით მაინც ვერ დაეძინა. მთე-  
ლი ღამე ტანჯვაში გაატარა. დილით ადრე ის მეზობელი ქალი-  
შვილი ისევ შემოქაჟანდა. ლაშა მოიკითხა, წავიდაო, მოახსენა  
ბერტამ; სტუმარმა გაიკვირვა, ასე ადრე როგორ წავიდაო.  
თქვენი ქმარი თურმე რაიკომში მუშაობს, სათხოვარი მქონდა,  
აშაღამ აუცილებლად შემოვივლიო და გავიდა ოთახიდან.

გაფითრებული და დაბნეული ბერტა იდგა შუა ოთახში და  
გულში ამბობდა: „ეს ლილი რალა ჭირად შემომიჩნდაო, ვინ-  
მესაგან მოგზავნილი ხომ არ არისო. იმდენი ჭუჭრუტანა აქვს  
ჩვენს საქმეს, რომ უთუოდ გამომეღავენდება და პასუხისგება-  
ში მიმცემენ. მარტო მე კი არა, ლაშასაც არ დაინდობენ, ლა-  
შას, ამდენი მსხვერპლი რომ გაიღო ჩემი გულისთვის; არა, ეს  
საქმე უფრო ღრმად უნდა შეინიღბოს... შეინიღბოს თუ ფარ-  
და უნდა აეხადოს?“ ფიქრები არ ასვენებდა ბერტას, გულს  
ეჭვები უღრღნიდა. მერე დილას ისევ მიადგა რაიკომში ბერტა  
ლაშას და გამოართვა პასპორტი, სადაც ქორწინება იყო აღ-  
ნიშნული. ქორწინების აქტი და ლაშას პასპორტი სახლმართვე-  
ლობაში წარადგინა და მოითხოვა, ლაშა თავისი ძველი სა-  
ცხოვრებლიდან ამოწერეთ და ჩემთან ჩაწერეთ, ის ხომ ქმა-  
რია ჩემიო.

იმ საღამოს ისევ მოაკითხა ლაშამ ბერტას, ივანშმა და ისევ  
გვიან დაბრუნდა შინ. დედა ტანთგაუხდელი ელოდებოდა  
შვილს. მაკას იმ დღესვე უთხრეს, შენი შვილი საბინაო დავთ-  
რიდან ამოეწერაო. დედას არ ესაამოვნა. თუ ეს ასე გინდოდა,  
რატომ მამის სიცოცხლეში არ გააკეთე, რად გაატანე უსაშვე-  
ლო დარდი მამაშენსო.



ბაქოში საპილოტო კურსებზე გაწვეული ზურაბისა არაფერი ისმოდა. მაკა ძალიან დარდობდა. იმ დღეს გაზეთ „კომუნისტში“, პირველ გვერდზე, საინფორმაციო ბიუროს ცნობასთან ერთად, ბრძანებულებაც გამოქვეყნდა: სამხედრო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის მფრინავ ზურაბ ჩხეიძის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. ბერტას მთელი ღამე არ ეძინა სიხარულისაგან. მას უკვე იმედი მიეცა, მალე ზურაბის წერილსაც მივიღებ და ჩემს ყოყმანსა და ეჭვსაც ბოლო მოვღებო. მაგრამ რამდენიმე თვე გავიდა და ზურაბის წერილი ჯერ არსად ჩანდა.

... იმ დღეს ცისიამ ზურაბის ბარათი აჩვენა ბერტას: „სულზე უტკბესო“.... ასე იწყებოდა წერილი. ამოიკითხა თუ არა ეს სიტყვები, ბერტამ გველნაკბენივით მაგიდაზე დააგდო ბარათი. ცისიამ გაკვირვებით შეხედა და ბერტას თვალებში საოცარი ზიზღი ამოიკითხა. ამან უფრო გააცეცხლა ცისია. მას უნდოდა თავისი გუმანი შეემოწმებინა და ხელში შეაჩეჩა ბერტას ზურაბის წერილი. ბერტამ აღარ იცოდა რა ექნა, წერილი ბოლომდე წაეკითხა თუ უკმეზი სიტყვით გამასპინძლებოდა ცისიას... ბოლოს მაინც სძლია თავს და წერილის კითხვას შეუდგა: „სულზე უტკბესო! — ისევ ამოიკითხა და განაგრძო კითხვა.— ალბათ გაზეთებიდან გაიგებდი, რომ მე ლენინის ორდენით დამაჯილდოვეს... თუ ამ ჯოჯოხეთს გაუძეელი ეს შენმა სიყვარულმა შემაძლებინა, ამ სიყვარულმა მომცა გაუგონარი ძალა და გამბედაობა“... შეწყვიტა კითხვა, მიუგდო ბარათი ცისიას და შესოლილივით გავარდა გარეთ. ის დღე იყო და ის დღე, ბერტამ გულიდან ერთიანად ამოიღო ზურაბი. ახლა ლაშას სახმილი მოეკიდა გულს, ახლა ლაშაზეც ეჭვიანობდა...

მთლად გამოიცვალა ეს ცქრილა გოგონა. საშინელი ეჭვი ღრღნიდა მის გულს.

იმ საღამოსაც დაიგვიანა ლაშამ, ისევ გაებუტა ბერტა, მაგრამ ისევ მალე შერიგდნენ და ივახშმეს. შუაღამე გადასული იყო, როცა ლაშა ადგა და შინ წასვლა დააპირა. ასე გვიან ვერ გაგიშვებო, ევედრებოდა ბერტა, მაგრამ ლაშა შინ მიიწევდა, საბუთად ის მოჰყავდა, რომ დედა მარტოა, ყოველ ღამე ზის, მელოდება და ტირისო. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქ-

რა, ქალიშვილმა იცრუა, ამდამ განგაში უნდა გამოცხადდეს, იქნებ გზაში მოგისწროს და ვერასგზით ვერ გაგიშვებო, ოთახში გაგიშლი ლოგინს და დაწეკიო.

გაუს უკვირდა, ასე რად მაძალებს დარჩენასო, მერე დაჰყვა ქალის ნებას, მაგრამ ის ღამე ორივემ თეთრად გაათენა, დილით ლაშა ადრე ადგა და რაიკომს მიაშურა.

თბილისს კანტიკუნტად კვლავ გადაუფრენდნენ ხოლმე მტრის თვითმფრინავები, ღამე ატყდებოდა განგაში და მთელი ქალაქი ფეხზე იდგა. რაიკომს ათასი თავსატეხი საქმე ჰქონდა: ფრონტისათვის ფულისა და საჩუქრების შეგროვება, მიტინგები, მერე ფრონტზე გასაწვევთა ახალახალი ნაკადის მომზადება და გამგზავრება და, ვინ მოთვლის, რა არა... მართალია, ლაშას ხშირად გული უმტყუნებდა და გზად მიმავალს უადგილო ადგილას შეაყენებდა ხოლმე, ვიდრე შეტევა არ გადაუვლიდა, მაგრამ მაინც თავდაუზოგავად მუშაობდა, ძალღონეს არ იშურებდა. იმ დღესაც სადღაც ეჩქარებოდა.

ლაშა რომ წავიდა, მაშინლა დაეძინა ბერტას. საშინელი სიზმარი ნახა: ოთახში ვიღაც შეიარაღებულმა კაცმა შემოალაჯა დაუკითხავად და მოსაკლავად გამოეკიდა. შეშინებული ქალიშვილი ერთი ოთახიდან მეორეში გავარდა, კაცი დაედევნა და ის იყო ხიშტი მოუღირა, რომ ბერტამაც კივილი მორთო. ამასობაში გაღვიძა კიდეც. საშინელ გუნებაზე დადგა, ტირილი აუტყდა, დიდხანს ტიროდა, მერე ადგა, მეორე ოთახში გავიდა და ლაშას საწოლის ალაგებას შეუდგა. ხელით შეეხო თუ არა ლოგინს, მამაკაცის სხეულის უჩვეულო სურნელი შეიგრძნო და ცეცხლად მოედო. ბერტა ჰკოცნიდა ლოგინს... ტიროდა... დიდხანს ტიროდა... ცრემლით დააღბო ლოგინი, მერე ტანთ გაიხადა, დაწვა და ისე განაგრძო მწარე მოთქმა.

მაცდური გზებით არასოდეს მივილია. მე გულით მიყვარდა ზურაბი, ის კი თურმე თვალთმაქცობდა. ახლა გაიხსნა რთული ხლართი, ნამდვილი სიყვარულით, თურმე, ლაშას ვყვარებივარ... ზურაბის გრძნობა კი ყალბი ყოფილა. შემინდოს ლაშამ, რაც მე მას გული ვატყინე...

ამ საღამოსაც გვიან დაბრუნდა ლაშა. ბერტას ნამტირალევე თვალებს რომ შეხედა, შეცბა, არაფერი უკითხავს, ვახშმისათვისაც პირი არ დაუქარებია, შინ ვიყავი და დედასთან ვივახშმეო, შეუძლოდა ვარო, მოიმიზეზა და დაწვა, მაგრამ არ დაეძინა.

შუალამე გადასული იყო, ლაშას ბერტას ტირილი და ხმა-  
მალალი ზღუქუნე რომ შემოესმა. იფიქრა ავდგები და მოვე-  
ფერებო, მაგრამ ვერ გაბედა, არა და, არ დაეძინა. მთელი ღამე  
თეთრად გაათენა, უთენია ადგა და წერილი დაწერა: „ბერტა  
მე არ მელოდო. ვერ მოვალ, ვხედავ რაღაც შავი ღრუბელი  
გროვდება ჩვენს თავზე, არ მინდა ვინმეს ტრაგედიის მიზეზი  
ვიყო, საიდუმლო ეჭვები მტანჯავს და უნდა მოვშორდე აქაუ-  
რობას. გუშინ დედამაც შემატყო, არეულად რომ ვლაპარაკობ-  
დი და მთლად გადაირია, არა, მეტი აღარ შემიძლია. შენ,  
ძვირფასო, ბრმა იყავი და ბრმად დარჩი. მეყო რაც ვიტანჯე,  
აღარ მელოდო, ლაშა“.

მთელი ღამის უძინარი ბერტა გვიან ადგა. იმ ოთახში შე-  
ვიდა, სადაც ლაშას ეძინა, მაგიდაზე წერილი დაინახა, წაიკი-  
თხა და გაშეშდა, კიდევ გადაიკითხა, საჩქაროდ ჩაიცვა და რაი-  
კომისაკენ გაიქცა. მთლად გაფითრებული და აცახცახებული  
მიადგა რაიკომს. ლაშა სამსახურში არ იყო, გვერდით, მეორე  
ოთახში შეიხედა და ის კაცი დახვდა, ლაშასა და ბერტას სა-  
კითხს რომ ირკვევდა. კაცი მოკრძალებით მიესალმა ბერტას  
და ასე აფორიაქებული რომ ნახა, ჰკითხა, რა მოხდა, რამ ავა-  
ლელვა ასეო. მერე მოეფერა, დააშოშმინა და უთხრა, ლაშა  
ობიექტზე წავიდა შესამოწმებლად, მცხეთის ქუჩაზეო. ბერტა  
უსიტყვოდ გამოვიდა რაიკომიდან და მცხეთის ქუჩისაკენ გაე-  
შურა. როგორც იქნა, მიაგნო ლაშას, მკლავში ხელი გამოსდო  
და შინისაკენ წამოუძღვა. აფორიაქებულნი შევიდნენ სახლში.  
დასხდნენ თუ არა, ბერტამ ჩურჩულით წარმოთქვა გულისნა-  
დები:

— მას შემდეგ, რაც ცისიას წერილი წავიკითხე, საშინელი  
კოშმარული ღამეები დაიწყო ჩემთვის. ჩავთვლემდი თუ არა,  
შენ და ზურაბი გამომეცხადებოდით, ჩემ წინ სატევრებით  
ეკინკლავებოდით ერთმანეთს. სატევრიდან ანასხლეთი ნაპერწ-  
კლები მთელ ოთახს ანათებდა. მერე მე მანდილს ჩავაგდებდი  
თქვენს შორის და მოლანდებაც ქრებოდა. მეგონა, ის მიყვარ-  
და... ვგრძნობდი, შენ რომ ფარულად იტანჯებოდი ჩემი სიყვა-  
რულით... ვგრძნობდი, მაგრამ ვერ ვხედავდი, შენთვის გამემ-  
ხილა. თან საიდუმლო ხმა ჩამძახოდა, არ უღალატო, არ უღა-  
ლატო ომში წასულ ვაჟკაცსო. მე რა ვიცოდი, რომ ომში წა-  
სულ ვაჟკაცს თურმე დიდხანია უღალატია ჩემთვის, ჩემი

სულელური სიყვარულისათვის. მას თურმე ცისია ელო-  
დება...

ცისიას სახელი ბერტამ რალაცნაირი ზიზლით წარმოთქვა.  
ბავშვივით ტიქტიკებდა ბერტა. მერე რუსთაველის პროს-  
პექტზე გათამაშებული სცენა გაიხსენა და ლაშას ჰკითხა, პირ-  
ველად მე ხომ არ შევცოდე მისი სიყვარულის წინაშეო.

ლაშას უნდოდა ეთქვა, შენ იმას არასოდეს ჰყვარებიხარო,  
მაგრამ ამის თქმა ვერ გაბედა და სულ სხვა რამ თქვა: ჩემი  
ძმის წინაშე შენც მართალი ხარ და მეც, ჩვენ ჩვენი გულის  
კარნახს დავუგდოთ ყური, რასაც გული გვიკარნახებს, ჩვენი  
გონება იმას ურჩობას ნუ გაუწევსო.

— შენ შენი რაინდული საქციელით თვალი ამიხილე და  
ახლა ნათლად ვხედავ, რომ შენი სიყვარული მთის ანკარა  
წყაროსავით წმინდა და აუმღერეველია. ნუთუ ქვა ვიყავი,  
რკინა ვიყავი, რომ ვერ ვიგრძენი შენი ტანჯვა... მაგრამ ახლა  
ხომ შენ ჩემი ხარ და მე შენი, ახლა ხომ ბედნიერი ვარ. —  
თქვა ქალმა და ვაჟს ხელი მხრებზე შემოაქცლო.



იმ ღამეს ცისიასაც თვალი არ მოუხუჭავს. მეათასედ კი-  
თხულობდა ბარათს: „ისე, კაცმა რომ თქვას, ნეტავ როდის  
დასრულდება ეს უსაშველო ომი, როდის გავივლით ძველე-  
ბურად რუსთაველის პროსპექტზე...“

რუსთაველის პროსპექტის მოგონებამ ცისიას ბერტა მოა-  
გონა: „ნეტა სად არის ახლა ბერტა?“

„მაინც მეცოდება ბერტა, ხომ არ იცი, რა ბედი ეწია“,  
იწერებოდა ზურაბი. სატრფოს წერილში ბერტას სახელის  
ხსენება ცისიამ შეურაცხოფად მიიღო. მთელი ღამე ფიქრობ-  
და, როგორ გადაეხადა სამაგიერო ბერტასათვის, ზურაბის სა-  
ყვარულში მოქიშპეობისათვის.



იმ დღეს, საიერიშოდ, გაფრენის წინ, მფრინავმა ჩხეიძემ  
ბარათი მიიღო. დახედა თუ არა კონვერტს, იცნო ცისიას ხელი.  
ცისია იწერებოდა: „ჩემო ზურაბი უზომოდ გავიხარე შენი ბა-  
რათით. მე შენი წერილი ბერტას ვაჩვენე. რაკი შენი ხელი

იცნო, მან გველნაკბენივით უკანვე მომიგდო წერილი. ან რა პირით უნდა წაეკითხა. ბერტამ გუშინ ოფიციალურად გადაიყვანა შენი ძმა თავის ბინაზე და ქმრად გამოაცხადა. აქამდის კი ლაშა ქვეყანას უმტკიცებდა, ბერტასთან ჩემი ძმის მაგივრად მოვაწერე ხელიო. ამას ლაშა და ბერტა განგებ ავრცელებდნენ, რომ მე დარდით ელდა დამცემოდა. მაგრამ მე შენა მუდამ მჭეროდა და ამ ჭორს გულს არ ვაკარებდი. შენ ხომ ომის ჯოჯოხეთში ხარ და, როგორც მწერ, ომს ჩემი სიყვარული გამსუბუქებს. მე აქ გულს მისერავდნენ, შხამს აწვეთებდნენ ჩვენს გულწრფელ სიყვარულს და ამის მოთავე შენი ძმა იყო. ახლა არა სცხვენია? ამ ამბავმა მამაშენის სიცოცხლე შეიწირა — ბერტასა და ლაშას გამო რაიკომში დაიბარეს და იმავე საღამოს გული გაუსკდა“...

ცისია მწარე სიტყვებით ლანძღავდა ბერტასა და ლაშას, განსაკუთრებით ბერტას აგინებდა, ზურაბს ბერტას წინააღმდეგ ამხედრებდა, ამით უნდოდა გაეგო, რა გავლენას მოახდენდა ეს ზურაბზე და საბოლოოდ გაექრო ექვი, ჯერ კიდევ რომ ბოგინობდა ცისიას გულში.

ზურაბს მამის სიკვდილმა თავზარი დასცა, მეორე მხრით, ძმის საქციელმა გადარია. არ იცოდა, როგორ შეეფასებინა მისი მოქმედება. ამ ეჭვმა მწარედ გაკაწრა ზურაბის გული. გასჭრა ცისიას განზრახვამ — ამოეკვეთა ზურაბის გულიდან ბერტას სახელი. ეჭვით დასნეულებული ქალიშვილი ძმებს შორის შფოთისა და ჩხუბის ჩამოგდებასაც არ მოერიდა.

აღშფოთებულმა ზურაბმა თავი ვერ შეიკავა და სასწრაფოდ მისწერა ბარათი ძმას. ჯერ მამის გამო უთვლიდა საყვედურს: „რა, მე ღირსად არ ჩამთვალეთ მამის ამბავი შეგეტყობინებინათ?“ მერე შეფარული ბრაზით წერდა: „ჩვენ აქ სისხლსა ვღვრით და თქვენ მანდ ქორწილი გაგიჩაღებიათო..“

ძმის ბარათი რომ მიიღო, ლაშას გული შეუღონდა. ამგვარ რამეს არ მოელოდა ძმისაგან. ეწყინა, მთელი კვირა ბორგავდა. ძალიან გამოიცივალა. ბერტამ ძალით წაიყვანა ექიმთან. ექიმებმა ურჩიეს: ერთი თვით დაასვენეთო, გულის მანკს ახლა სტენოკარდიული შეტევები დამატებიაო.



ლაშა გულის მანკით იყო დაავადებული, სწორედ ამ მძიმე დაავადების გამო არ გაიწვიეს ჯარში, ფრონტი ხომ ფრონტი იყო, მაგრამ არც ზურგი იყო ნაკლებ დღეში. მთელი საბჭოთა ხალხი დღესა და ღამეს ასწორებდა შრომაში. პარტიული ორგანიზაციებიც ხომ დღედაღამე მუშაობდნენ. არც ლაშას ჰქონდა მოსვენება...

1942 წელი მიილია. სტალინგრადში დამარცხებული გერმანელები კავკასიას მოეტანენ, ცდილობდნენ კავკასიის მთავარი ქედის გასწვრივ წინ წამოწეულიყვნენ. ორმოცდაორი წლის ზაფხულზე კიდევ მოახერხეს ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილებზე გადმოქრა. მტერი სოხუმის მიმართულებით გვიტევდა, ბომბავდა სოჭს, სოხუმს. მტრის თვითმფრინავები თბილისის ცაზე დაფრინავდნენ. კავკასიის მისადგომებთან მიწას კვამლი ასდიოდა, იწვოდა ბელლები და საწყობები. მთიელები პირუტყვს დაბლა, ბარისაკენ მოერეკებოდნენ, ბლარდა დამშეული საქონელი. მთელი კავკასია ფეხზე დადგა. თავდაცვის კომიტეტმა საგანგებო ღონისძიებები დასახა თბილისისა და მთლიანად კავკასიის დასაცავად. კავკასიის ფრონტზე თითქმის ყოველ კვირას იგზავნებოდა თბილისიდან მუშებისა და ინტელიგენციისაგან შემდგარი დელეგაციები. ერთ დელეგაციას ლაშაც გააყოლეს, მაგრამ სვანეთის გადასასვლელზე გაცივდა და უკანვე დააბრუნეს. მთელი თვე იწვა. სწორედ მაშინ შეეძინათ ბერტასა და ლაშას ვაჟიშვილი. ბიჭს სახელად ბაბუას პატივსაცემად პაპუნა დაარქვეს. ლაშა მომჯობინდა და ისევ შეუდგა რაიკომში მუშაობას. გაჭირდა ცხოვრება. ლაშამ გადაწყვიტა ძუძუმწოვარა ბავშვი და ბერტა სოფელში გაეგზავნა.

მამის სიკვდილის შემდეგ პენსიაზე გასული დედა მეტწილად როს სოფელში ატარებდა. მაკას მამისეული პატარა ოდასახლი ედგა. და მცირე ყანა და ვენახიც ჰქონდა. სახლ-კარს უვლიდა მგლოვიარე ქვრივი. მათი სოფელი ზესტაფონის რაიონში გახლდათ, ზედ დაბასთან ახლო. მიწა მწირი იყო და მაინცდამაინც შეძლებულად არ ცხოვრობდნენ ამ სოფელში, მაგრამ ვისაც ვენახი ჰქონდა, იმდენი ღვინო მოჰყავდა, რომ მისი შემოსავლით სამეგრელოში სიმინდსაც ყიდულობდა და შინ დასალევდაც ჰყოფნიდა. ომის იმ მძიმე წლებში სოფელი

მაინც უფრო ღონიერი იყო, ვიდრე ქალაქი. მაკას ვენახსაც კარგი პირი უჩანდა და სიმინდის ყანასაც. ერთი მეწველი თხაც ჰყავდა. ამიტომც მისწერა შვილს, ჩამოიყვანე ბერტა და პაპუნაო.

შაბათ საღამოს ფოთის მატარებლით ჩაიყვანა ლაშამ მეუღლე და ბავშვი. სოფელში სულ ოცი კომლი იყო. არცერთ ოჯახში მამაკაცი არ ჰქაჭანებდა. ბებრები დახოცილიყვნენ, ჯანმრთელები კი ფრონტზე იბრძოდნენ. ყველგან, კოლექტივის ყანაში თუ საკარმიდამო ნაკვეთებზე, ქალები და მცირეწლოვანი ბავშვები ხნავდნენ, თესავდნენ, თოხნიდნენ, ვენახსაც ისინი უვლიდნენ... მიძიმე სურათი წარმოუდგა ლაშას, დედაც შრომისაგან მთლად გაღუული ეჩვენა. მაინც სოფელი ამჯობინა ქალაქს. ორშაბათს ცოლ-შვილი დატოვა და სამსახურს მიაშურა.

...იმ დღით ცისიას ზურაბის ახალი ბარათი მიუტანა ფოსტალიონმა. ქალიშვილმა დახედა ჯარისკაცის სამკუთხა ბარათს და გული სიხარულით შეუჩქროლდა, უმალ შეიცნო ზურაბის ხელი. წერილი გულში ჩაიხუტა ცისიამ, იქვე მაგიდას მიუჯდა და კითხვას შეუდგა: „შენ და თბილისი მომენატრეთ, — სახეზე ღიმილმა გადაუარა ცისიას, თვალები მოიფშვნიტა ახლადგაღვიძებულმა, ლოყებზე ჩამოშლილი კულულები გაისწორა და ისევ განაგრძნო კითხვა, — გუშინ ახალი მარკის თვითმფრინავი გადმომცეს და ბავშვივით გავიხარე; იგი უფრო სწრაფიც არის და უფრო მოხერხებულიც. ერთბაშად ასეთი ახალი თვითმფრინავები მიიღო მთელმა ჩვენმა შენაერთმა. ჰო, რა ზღაპრული განსხვავებაა, ადრე გვიჭირდა, მტერი გვჯობნიდა, ახლა კი ტექნიკა თავზე საყრელად გვაქვს და ვითარებაც ერთბაშად შეიცვალა. გერმანელების ქებული „მესერშმიტები“, ეს ბებერი ძეგლები, ახლა ისე ადვილად ვეღარ დათარეშობენ ცაში. ჰო, ნეტავ, ახლა ერთი წუთით გადმომაფრინა ჩემი ახალი თვითმფრინავით თბილისში, შენთან ერთი საათით რუსთაველის პროსპექტზე რომ გავიარო და დავტკბე თბილისური შემოდგომის სურნელით. ალბათ ახლა მანდ ჰადრის ხეები ოქროსფრად ბზინავს. აქაც თბილი შემოდგომაა. მოლზე პირაღმა ვწევარ და ღამის იღუმალეებით მოციმციმე ცას შევცქერაი. ბავ-

შვობიდანვე მუდამ ცას შევცივინებდი და ვარსკვლავებს ვითვლიდი. ამ ურიცხვ ვარსკვლავებში ერთი ავიჩინე და ჩემად მივიჩინე. ის სხვებზე ნათელია და თვალეზობრივია... რა ჰქვია, არ ვიცი, ასტრონომიის ცოდნა არ მეყო მისი სახელის მოსაგონებლად. მე მას შენი სახელი დავარქვი, აქედან ხელს უქნევ და ვეფერები.

ცისიაო, ჩემო ცისიავ! ის ვარსკვლავი ხანდახან უფრო გასხივოსნდება ხოლმე, ციმციმებს და მიცინის... ასე მგონია, ჩემმა მუდარამ მასთან მიაღწია და შეისმინა... ის ვარსკვლავი შენა ხარ, ცისიავ... შენც ხომ ისე შორსა ხარ, როგორც ის, მაგრამ მე მაინც ახლო მგონიხარ, მგონია, ზედ თავზე დამციმციმებ...

ქალაქის გარეუბანი, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, მცხეთას მაგონებს. გახსოვს, 1940 წელს ფეხით რომ ავედით ჯვარზე? რა მშვენივრად მოჩანდა იქიდან მცხეთის მიდამოები, გარშემო მთები, ორწოხებში გართხმული მტკვარი და არაგვი... აქაც მთებია. ორწოხებში მოქცეულ ამ პატარა ქალაქს მდინარე ორ ნაწილად ჰყოფს. მთაზე, მართალია, ჯვრის მონასტერი არა დგას, მაგრამ ამ დილას რომ გადავუფრინე, მთის წვერზე ქონგურებჩამოშლილი ციხეგალავანი შევნიშნე. თუ დრო და საშუალება მექნა, აუცილებლად მოვიწახულებ და ჩემს დღიურებში ჩავიწერ, თუ რამე ღირსსახსოვარი ამოვიკითხე იმ ციხე-ქონგურებში.

ამ ბარათს ნაჩქარევად გწერ. ერთი თვეა შენთვის წერილი არ მომიწერია. ალბათ იდარდებდი. საქმე ის იყო, რომ ამ ერთი თვის წინათ იძულებული გავხდი ჩემი დაზიანებული თვითმფრინავიდან პარაშუტით მტრის ზურგში დაეშვებულ-ყავი. მერე ტყვედ ჩამიგდეს იმ ძაღლებმა. ტყვედ რომ ჩავვარდი და დაკითხვა დამიწყეს, გერმანულად ვაძლევდი პასუხს: აი, სად გამომადლა ბერტასთან ნასწავლი გერმანული. ნეტავ გენახა მათი უცნაური სახეები, გაკვირვებით რომ შემომტყე-როდნენ“.

ბერტას ხსენება არ ესიამოვნა ცისიას...:

„—რუსო, სად ისწავლე ასე კარგად გერმანული? — მკითხეს ფრიცებმა. რუსი არ ვარ-მეთქი, ვუპასუხე. აბა რუსებში რა გინდოდაო. მე სახელდახელოდ მოვიფიქრე და ასე ვუპასუხე: პოლონელი გერმანელი ვარ, ტყვედ ჩავვარდი და როცა

დასაბომბავად გამომიწვევს, ვისარგებლე ამით, თვითმფრინავი მე თვითონ დავაზიანე და პარაშუტით გადმოვხტი-მეთქი. მერე, თუ გერმანელი ხარ, რას გარბოდით. დაეჭვდნენ ფრიცები: უცებ მომეჩვენა, რომ რუსების ტერიტორიაზე მოვხვდი და იმიტომ გავრბოდი-მეთქი. რასაკვირველია, არ დამიჭერეს, მაგრამ ერთგვარი შეღავათი მომცეს ტყვეთა შორის. ამ შეღავათით ვისარგებლე და გამოვიქეცი, უსიერ ტყეს დავადექი, ორი დღე და ღამე ვიარე და ჩვენებთან მივალწვი“...

1944 წლის გაზაფხულზე ზურაბი მტრის საზენიტო არტილერიის ცეცხლში მოემწყვდა, ძლივს გაარღვია ცეცხლის ქარიშხალი, მაგრამ ფეხში დაიჭრა, თვითმფრინავიც დაზიანდა. დაჭრილი ფეხით ძლივს დასვა დაზიანებული თვითმფრინავი აეროდრომზე, სისხლიდან იცლებოდა. სასწრაფო დახმარება იქვე, აეროდრომზე აღმოუჩინეს.

მთელი სამი თვე ჰოსპიტალში გაატარა.

წევს ჰოსპიტალში ზურაბი და თავისი დაზიანებული თვითმფრინავი ელანდება. ახლა რა დროს ავადყმოფობაა! თითქოს აეროდრომზე უხმობს თვითმრინავი. აი, ჩართო კიდევ ძრავა. თუხთუხებს, ძიგძიგებს, ქშინავს მანქანა. ბრძანებასა და ცაში აფრენას ელოდება, რომ მტრის ბანაკს ბომბების სეტყვა დააყაროს. მოლანდება გაქრა და ისევ ჩასთვლიმა. ზურაბს ახლა ცისია მოუხმობს, ხელს უქნევს, ვითომ წალვერში არიან და ბუნების წიაღში ნებივრობენ. ზურაბი თითქოს ცისიას ელაპარაკება.

„აქ, როგორც წალვერში, ადრეულ გაზაფხულზე წარამარა იცვლება ამინდი. დილით მზე რომ გაგათბობს, სულის მოთქმასაც ვერ მოასწრებ და ისე წამოუშენს წვიმა, მერე ისევ მზე გამოაქყიტებს და აყვავებული აკაციები და იასამნები საუცხოო სურნელებას აფრქვევენ. ვინ ვნახე ჰოსპიტალში, იცი? ბიჭიკო, ის შენი მოტრფიალე ბიჭიკო. მძიმედ დაჭრილი მოიყვანეს. ძლივს სუნთქავდა. სიცხიანი ბოდავდა, შემეცოდა, სასთუმალთან დავუჭექი და მოვეფერე. თვალი გაახილა და შემომხედა. არ ვიცი, მიცნო თუ არა, თვალეები ცრემლებით აევსო. მე მგონია, მიცნო, ოღონდ ხმის გაღება ვერ შეძლო. მერე არაფერი მსმენია. მე რომ გამომწერეს, ის აქ აღარ იყო. მითხრეს, ღრმა ზურგში გადაიყვანესო. ნეტავ გადარჩა თუ არა?“

ცისიავ! ეს ორი თვეა შენგან წერილი არ მიმიღია. რას მი-

ვაწერო შენი ღუმელი? პოლკის მისამართით მოსულ წერილს აქ გადმომიგზავნიდნენ, ჰოსპიტალში, თუ ამათ არ აურიეს კვალი ჩემს მისამართს. ან, ვაითუ შენს გულში გაცივდა ჩირაღდანვიით ანთებული ჩემი სიყვარული! თუ ეს ასეა, ნუ დამიმაღავ, ჩვენ ხომ ერთმანეთისათვის დაფარული არაფერი გვქონია... ჩემი ავადმყოფობა იმდენად არ მაწუხებს, რამდენადაც შენზე ფიქრი და სადარდელი... მე შენი მჭერა... თენდება და ჩემს პალატაში შუქივით შემოდის იმედი...”

წევს ზურაბი და ნატრობს, როგორმე მალე დაბრუნდეს, ცისიას ღამესავით შავ თვალებში ამოიკითხოს მწუხარება თუ სიხარული. ვინ იცის, რა არ გადახდა ამ ომში ცისიას. ზურაბს უზომოდ მოუხდა მისი ალერსი, მისი მოფერება. რა ღრმად აღიბეჭდა მის გონებაში სანაპიროზე გატარებული ღამე. ერთხელ კიდევ უნდა დატკბეს ცისიას უძირო და სევდიანი თვალების ცქერით, მის ბაგეთა ბადავით დათვრეს. მეტი სანატრელი არაფერი აქვს ახლა ჯარისკაცს.

ზურაბს ახლა ის ღლე მოაგონდა, წყნეთის ქუჩაზე მას და ცისიას ბიჭიკო რომ აეკიდათ. ბიჭიკო ერთი თავზებულაღებულნი ავარა იყო. ლექციაზე თვეში ერთხელ გამოჩნდებოდა და მაშინაც აურზაური შექმნდა ჯგუფში. ამ დებალმა, ჯუჯა, ჩოფურა ბიჭიკომ ცისია ამოირჩია ჯგუფში და სიყვარული გამოუცხადა, ცისია ახლოს არ იკარებდა, ბიჭიკო კი ლექციებზე მარტო იმისათვის დადიოდა, რომ შეხვედრის ადგილი დაენიშნა ცისიასათვის. ცისიას კი ჭირივით სძულდა თავხედი ბიჭი, მთელმა ჯგუფმა ცისია ბიჭიკოს სატრფოდ გამოაცხადა, სტუდენტები თავს ირთობდნენ ამით, ცისია კი ბრაზობდა. ასე გადიოდა ღლეები.

და აი ბიჭიკომ გაიგო, რომ თურმე ზურაბი დაჰყვება ცისიას. გაიგო და ერთ ღლეს დაუდარაჯდა. წყნეთის ქუჩაზე მიმავალთ წინ გადაუდგა და უტიფრად მიახალა ზურაბს: „ეს ქალიშვილი მე მიყვარს... მთელმა ჯგუფმა იცის... შენ თუ მასთან მეორედ დაგინახე, ცემა არ აგცდება“... გულზვიადმა და ზორბა ზურაბმა იუკადრისა ეს შეუურაცხოფა და უმაღვე, ვიდრე ბიჭიკო თითქმის ცისიასაკენ იშვერდა. სილა გააწნა თავხედს. ბიჭიკომ საპასუხოდ თავი ცხვირ-პირში ატაკა. ზურაბს ცხვირიდან თქრიალით წასკდა სისხლი, მაგრამ არ დაიბნა და მეორედ ისე ძლიერად გაარტყა, რომ ბიჭიკოს ხუთივე თითის ანა-

ბეჭდი დაეტყო სახეზე. გახელებული რაყიფი ქვეს წაებოტინა, მაგრამ ზურაბმა დაასწრო და ძირს დახრილს ისეთი ძალით ამოჰკრა პანღური, რომ ყირა გააკეთებინა. ბიჭიკო გონწასული დაეცა. იყვირა ცისიამ. „ეს რა ჰქენი, ზურაბ, კაცი მოჰკალი“? ქალიშვილმა სახეზე ხელები აიფარა. ზურაბი ვერ მიხვდა, ეს თანაგრძნობა იყო თუ შიში. ამასობაში მილიციაც მოვიდა, სისხლსა და ოფლში ამოგანგლული ბიჭიკო, ზურაბი და ცისია მილიციაში მიიყვანეს. დაკითხვის ოქმი შეადგინეს. ცისია შინ გამოუშვეს, ბიჭიკოსა და ზურაბს კი საკანში უკრეს თავი. ცისიას გამო წაჩხუბებული რაინდები ორი დღე-ღამე ჰყავდათ გამომწყვდეული.

ამას იხსენებდა ზურაბი და ეღიმებოდა. ასე, ჩხუბში გამარჯვებით მოიპოვა ცისიას სიყვარული. ეს ომიც ხომ თავდება, მტერი გარბის. მალე ბერლინის თავზე წითელი დროშა აფრიალდება, ამ ომში გამარჯვებული ზურაბი შინ უვნებლად დაბრუნდება და ეღირსება ისევ მოეფეროს ცისიას, მოუთხროს, თუ რა გადახდა ქარცეცხლიან დღეებში. უცებ ძმისთვის გაგზავნილი ბარათი მოაგონდა და გული შეუკრთა. ამ ბარათის მოგონება გულღვიძლს უთუთქავდა: „ჩემი ცისია სიყვარულით მიმიღებს და მომეფერება, მაგრამ ძმა და დედა? ისინი როგორღა შემხვდებიან, როგორ მიმიღებენ?“ ის წყეული ბარათი უფორიაქებდა სულს ჰოსპიტალში მწოლარე ჯარისკაცს, ეძებდა თავისი საქციელის გამართლებას.

დეკემბრის პირველ რიცხვებში ზურაბი ჰოსპიტლიდან გამოწერეს და კვლავ დაუბრუნდა თავის შენაერთს. გული თვითმფრინავისაკენ მიუწევდა, ფრონტული ცხოვრება მონატრებოდა... ვერც ფრონტზე მალე დუბრუნების სურვილს იოკებდა და ვერც ცისიაზე ფიქრებს იშორებდა. აისრულა წადილი — კვლავ ბრძოლის ველს მიაშურა. აქაც გამონახა დრო, მიუჯდა მაგიდას და ისევ ცისიას შეეხმინა შორეულ თბილისში: „ახლა აქ ზამთარია, მთა-ბარი თოვლის სამოსელშია გახვეული, სუსხი ძვალ-რბილში ატანს, როგორც კი მარტო დავრჩები, რაღაც უსაშველო დარდი შემომასწვება ხოლმე გულზე. მერე შენ მომაგონდები და იმედის ნაპერწკალი გამიელვებს... რა ბედნიერი ვიყავი შენს გვერდით! მაშინ დუმილსაც კი სხვა აზრი ჰქონდა. ახლა კი დუმილისა და მარტოობის ჟამს, გულში ეჭვი იღვიძებს და საშინელი ფიქრები ამეშლება ხოლმე, მერე ამ ფიქ-

რებიდან უეცრად ატეხილ განგაშს გამოვყავარ... და ისევ მტერ-  
თა რისხვა ვხდები, როგორც მანამდე ვიყავი. საბრძოლო გაფ-  
რენის შემდეგ ისევ ეუბრუნდები ჩემს მხედრულ ბინას და ისევ  
ღუმილი და მარტობა დამეუფლება. გახსოვს ჭოლა ლომთა-  
თიძის მოთხრობა „ღუმილი?“ ჭოლა ამტკიცებს, რომ სიტყვას  
ესე არ ძალუძს ადამიანთა სულის საიდუმლოებათა გამომ-  
ქლავება, როგორც ღუმელს, რომ გამიჯნურებულნი ღუმილით  
უფრო გამოთქვამენ თავიანთ ზრახვებს, ვიდრე სიტყვით. გახ-  
სოვს, ერთად რომ ვისხედით სანაპიროზე? მე შენს ღამესავით  
შავ და ღრმა თვალებში ჩავიხედავდი და უმაღვე ამოვიკითხავ-  
დი ხოლმე, რასაც ფიქრობდი. ახლა რა ვქნა, შენ რომ ცხრა  
მთას იქით მეგულები? რით მოგაწვდინო ჩემი ფიქრი და აზრი,  
თუ არა სიტყვით.

ეს სისხლიანი ომი რომ დამთავრდება, ჩვენ კვლავ ერთად  
შევიყრებით. თუ ამ ქარიშხალს გადავურჩი, ისევ მოვალ,  
გვერდით დაგიჯდები და ღუმილით გესაუბრები, არას გეტყვი,  
ისე მიგახვედრებ გულის ნადებს. ახლა კი შენზე ოცნებით  
ვცოცხლობ.

მართლა, შენი დისერტაციის საქმე როგორ მიდის? ისე არ  
გამოვიდეს, რომ მე, ომიდან დაბრუნებულმა, ჩქარა მოვიპო-  
ვო სამეცნიერო ხარისხი, ვიდრე შენ და შენმა ამხანაგებმა.  
ნუთუ ვერ მიახრჩვეთ ეს ასორმოცვერდიანი ნაშრომი? თუმ-  
ცა ბ-ნ ერეკლესთან ასე ადვილად ვერ გახვალთ ფონს.

მომილოცე, მაიორობა მივიღე. დღეს საზეიმო ვითარებაში  
გამომიცხადეს ეს წოდება. ახლა აეროდრომზე, მიწურში, სა-  
მორიგეო ოთახში გაზეთგადაფარებულ მაგიდას ოთხნი ვუს-  
ხედვართ და გამარჯვების საღმეგრძელოს ვსვამთ. ვზივარ ახ-  
ლა ჩემს ძმაკაცებში და თბილისის ამბებს მოვუთხრობ. ამ  
დროს განგაშის ხმა გაისმის და ჩვენც თვითმფრინავებისაკენ  
გავრბივართ.

შენ იცი, რომ გერმანიაში არასოდეს მიცხოვრია, მაგრამ  
გერმანელებს წიგნების მიხედვით ვიცნობდი, ღმერთო ჩემო,  
რა გამრჯე და ბატოსანი ადამიანები იყვნენ ისინი ესენი კი  
მხეცები არიან. ჰიტლერმა შეშალა ეს ხალხი...

ჩვენს აეროდრომზე ორი ექთანია — ერთი ქერათმიანი ბერ-  
ტას ჰგავს, მეორე — შავთვალა, ხობბისფერი... შენ მიგამგვა-  
ნე, გუშინ ჯიქურად მივეჭერი და ვუყურე: „ცისია, ცისია, ეს

შენა ხარ-მეთქი“. გადირია ქალიშვილი, გიჟი ვეგონე, დიახ, მე გიჟი ვარ, შენი სიყვარულისაგან გახელბული. შენი და მამულის სიყვარული მიფარავს მე ამ უსაშველო ომში. გამიჯნურებულ გულს წინ ვერაფერი აღუდგება...

როდესაც მტრის დასამბობმად ცაში დაექრია, ასე მგონია, აქ კი არ ვიბრძოდე, თბილისის მახლობლად დავფრინავდე და საქართველოს დედაქალაქს ვუგერიებდე მომხდურს. და ეს ხომ მართლაც ასეა: აქ, უკრაინის ველზე თავს ვესხმი მტერს, რომელსაც უნდა გადათელოს საქართველო და მთელი საბჭოეთიც. დიახ, ომში გაჭრილი ყოველი ქართველი ახლა საქართველოსაც იცავს და დიად საბჭოეთსაც. არსად არ არის ისეთი მტკიცე ძმობა და მეგობრობა, როგორც ფრონტზე... ასე რომ არ იყოს, ვერაფერს გავხდებოდით. ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შენი წერილი რომ მივიღე, ისეთ გუნებაზე დავდექი, რომ მეგონა ჩემზე ბედნიერი კაცი არავინ იყო მთელ ქვეყანაზე. მზად ვიყავი მეყვირა: „მე მას ვუყვარვარ, ის მე მელოდება“. მელოდე, ჩემო ძვირფასო ცისიავ! ეს ომი მალე დამთავრდება, მე მალე მოვალ, გამარჯვებული მოვალ“.



ცისიამ დაასრულა ასპირანტურის კურსი და ინგლისური ენის პრაქტიკუმები მიანდო პროფესორმა ერეკლე ტატიშვილმა. ახალბედა ასისტენტი დღე და ღამეს ასწორებდა, საქმეს ერთგულად ემსახურებოდა. სხვანაირად ვერც მოიქცეოდა მკაცრი და მომთხოვნი მეცნიერი ხელმძღვანელის მოწაფე. აგერ ორი წელი გავიდა ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, მაგრამ დისერტაციის წარდგენა ჯერაც ვერ გაეხდა ცისიას: თავაულებლივ მუშაობდა თემაზე.

ომი იყო, მაგრამ უნივერსიტეტში ყველაფერი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა. დეკანები, პრორექტორები, თვით რექტორიც წარამარა იცვლებოდნენ, მაგრამ სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა საათივით იყო აწყობილი. ყველაფერში ჩანდა მისი დამაარსებლის — ივანე ჯავახიშვილის ტრადიციის ძალა და შეუღებლობა. თუ სადმე შეფერხება ან ოციანი წლების უნივერსიტეტის ტრადიციიდან გადახვევა იჩენდა თავს,



უმაღ ხმას იმალლებდნენ: ბატონ ივანეს დროს ასე იყო, ბატონი ივანე ასე ბრძანებდაო!

ამ ტრადიციების ერთგული ერეკლე ტატიშვილი ძალზე ბევრს მოითხოვდა ასპირანტებისაგან. ბევრს მოითხოვდა და თვითონაც დიდ ცოდნას აძლევდა ახალგაზრდებს. ტატიშვილის სიტყვა კანონი იყო. ეს კარგად იცოდა მისმა ყოველმა ასპირანტმა. ამიტომაც ასე გაუძნელდა და გაუგრძელდა ცისიას ნაშრომის წარდგენა.

იმ დღესაც ცისია დილის ცხრა საათიდან უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკთა დარბაზში მუშაობდა, ინგლისურ და ქართულ ტექსტებს ერთმანეთს ადარებდა. საქმეს ის ართულებდა, რომ სწორედ იმ დღებში, „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა შექსპირის „ჰამლეტის“ ახალი თარგმანის რამდენიმე თავი. ამან ბევრი სადავო და თავსატეხი საკითხი გაუჩინა დისერტანტს. ახლა ის ამ ახალ თარგმანს ჩაკიკიტებდა, ივანე მაჩაბლის თარგმანებსაც ადარებდა და დედანსაც. მას დისერტაციის ახალი თავი უნდა წარედგინა ხელმძღვანელისათვის. ეს თავი ივანე მაჩაბლის თარგმანისა და ახალი თარგმანის შედარებით ანალიზს გულისხმობდა. დისერტანტი ამ ნაწილს წერდა. ის იმ მოსაზრებას გამოთქვამდა, რომ ივანე მაჩაბლის თარგმანი უფრო ახლოა ორიგინალთან და მწერლის სტილთან, ვიდრე ახალი თარგმანი, თუმცა ახალ თარგმანში ზოგი უზუსტობა გასწორებულია; ახალ თარგმანში მოდერნიზებულია გმირის სამეტყველო ენა და სტილი, ეს მოდერნიზმი ერთგვარად არღვევს ორიგინალის კლასიკურ სტილს და სიტყვათა წყობას, ახალგაზრდა მეცნიერი ამის მიხედვით ყოველ ფრაზას, ყოველ სიტყვას სწონიდა, ყოველ დებულებასა და დასკვნას აზუსტებდა...

ცისიამ სადისერტაციო შრომის წარდგენის ყველა ვადა დაარღვია და ახლა ჩქარობდა, დღე-ღამეს ასწორებდა, ვერა და ვერ დაუსვა საბოლოო წერტილი ნაშრომს, ომში წასული მიჯნური რომ სწერდა: ეს ომი მგონი მალე დამთავრდეს, მაგრამ შენი შრომის დამთავრებას კი ბოლო არ უჩანსო, ცისია მის წინაშე ბარათით თავს იმართლებდა, ზომ იცი, ჩვენი ხელმძღვანელი როგორი მომთხოვნიაო. რას ჰგავს ეს, ჩვენი ბიჭები ამ უსაშველო ომს ბოლოს უღებენ, მე კი ამ პაწაწინა შრომას ვერ მოვრეუღვარო.

1944 წლის შემოდგომაზე ლაშა ისევ ცუდად შეიქნა. მთელი თვე იწვა. მერე გამომჯობინდა, მაგრამ სამსახურში გასვლის ნება არ მისცეს ექიმებმა. ახლა, საავადმყოფოდან გამოწერილი, შინ, ტახტზე წამოწოლილიყო, ბერტას კალთაზე ედო თავი და ძველ ამბებს იგონებდა:

— ჩემო ბერტა, მე შენზე ისე დავიწერე ჭვარი, რომ სიყვარულის გამოცხადება ვერ მოვასწარი, შენ პატარაობიდანვე, ტახტადებულებით ზურაბი აირჩიე მეგობრად. ამიტომ იძულებული გავხდი გულში ჩამეკლა შენდამი ჩემი სიყვარული. გახსოვს, მე და ზურაბი შენსას ვცხოვრობდით. შეიდი წლისა რომ შევსრულდით, სკოლაში მიგვაბარეს მშობლებმა. კლასში რომ შევედით, შენ ზურაბს ჩაავლე ხელი და ერთ მერხზე დასკუბდით. მე კლასის დამრიგებელმა სულ ბოლო მერხზე დამსვა, ვილაც ქერათმიან გოგონასთან: ბედმა სულ ბოლოში ყოფნა მარგუნა. შინიდან სკოლაში მივდიოდით, თუ სკოლიდან უკან ვბრუნდებოდით, შენ მუდამ ზურაბს ეტიკტიკებოდი, მე ერთ სიტყვასაც არ გადმომიგდებდი. თუ საუბარში ჩავერეოდი, მიჯავრდებოდი, გაგვეცალე, ხომ ხედავ ვსაუბრობთო. მეცხრე კლასში ვიყავი, ზურაბი ჩვენს თანაკლასელ გოგონას — სეხნიაშვილს აეკიდა. შენ ამის გამო გაებუტე და იძულებული იყავი ჩემთან ერთად წამოსულიყავი. მე ვხარობდი შენი სიახლოვით, ზეცას ვეწიე იმით, რომ ჩვენ მარტო დავრჩით. ეს მდგომარეობა ერთ კვირას გაგრძელდა, ყველაზე ბედნიერი დღეები ეს იყო ჩემს ბავშვობაში, შეგეჩვიე, გაგითამამდი და ერთხელ შენს ქერა თმას მივწვდი, ჩემკენ მოვზიდე, შენ გამიწყერი და სილა გამაწანი, გახსოვს?

— მახსოვს, — შეესიტყვა ბერტა და თავზე ნაზად გადაუსვა ხელი.

— ჰოდა, ახლაც მეწვის მე ეს მარცხენა ლოყა. არა, კი არ მეტკინა, მეწყინა და გულში სამუდამოდ ჩამრჩა ეს წყენა. მერე ზურაბი სეხნიაშვილის ასულს გაებუტა და ისევ შენ დაიბრუნე. გახსოვს? მეთექვსმეტეებმა თქვენ შეყვარებულებად გამოგაცხადეს. იმ დღეს ჩემს პირში ლუკმა არ ჩასულა. რაც უფრო მიიწევდი შენ ზურაბისაკენ, მით უფრო მიკვდებოდა გული.

— მე ეს არ მიგრძენია, ძვირფასო! — სიყვარულით უთნრა ბერტამ და შუბლზე აკოცა ავადმყოფს.

— მერე, — განაგრძო ლაშამ, — სკოლა დავამთავრეთ და მე და შენ ერთ ფაკულტეტზე მოვხვდით, ზურაბი კი ინგლისურზე მოეწყო. შენ ისევ მისკენ მიიწვედი, მერე ჩვენ ოთხნი გავხდით: მე, შენ, ზურაბი და პროფესორის ქალიშვილი ცისია. შენ შეატყე, ცისია რომ შეუყვარდა ზურაბს და ისევ გაებუტე-გახსოვს?

— მახსოვს, — და ისე ამოიოხრა ბერტამ, თითქოს გულიც თან ამოატანაო, — ჰე, ჩემო ლაშა, რა ვიცოდი მე სულელმა, რომ შენ ასე გიყვარდი, თორემ ალბათ ჩემი საქმე ასე არ დაიბლანდებოდა.

ავადმყოფი დინჯად ლაპარაკობდა, წყნარი და ალერსიანი ხმა ჰქონდა: — ზურაბი ცისიათი იყო გატაცებული და ჩვენთვის ველარ იცლიდა. მე და შენ ერთად ვიყავით კურსზე და შინისაკენაც ერთი გზა გვქონდა. მე უზომო სიხარულს განვიცდიდი შენს გვერდით. შენ ზურაბზე იყავი გაჭავრებული. ლე-ლავდი, მე გამშვიდებდი, მერე ვღუმიდით... ერთხელ განვიზრახე მეთქვა, ძვირფასო ბერტა, მიყვარხარ, უზომოდ მიყვარხარ და უშენოდ გაძლება არ შემიძლია-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე ძმისა და შენი შიშით. თუმცა მე უკვე ვიცოდი, რომ ჩემს ძმას ცისია უყვარდა, სხვაზე არავისზე ფიქრობდა, მაგრამ, რაკი შენ გჯეროდა მისი სიყვარული, ვერ ჩავერიე თქვენს საქმეში. ჩემთვის ხელსაყრელი ვითარება ვერა და ვერ გამოვიყენე: — ვერც ჩემს ძმას გავუბედე — ბერტა მიყვარს-მეთქი და ვერც შენ გაგიმხილე.

ავადმყოფს ხველა აუვარდა. დაღლილს ჭირის ოფლმა დაასხა. ბერტამ ჯიბიდან პატარა, აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოსწმინდა ჯანღონეგამოლეულ ლაშას. ხედავდა, რომ ლაშა დაიღალა ლაპარაკით, მაგრამ ახლა იმდენად ბედნიერი იყო მონათხრობით, რომ უნებურად აღმოხდა:

— მერე, მერე?...

— ჰო, იმას ვამბობდი, უიღბლო ვიყავი და გაუბედავი. სულ მალე შერიგდნენ ცისია და ზურაბი. ზურაბი, მე, შენ და ცისია ისევ ერთად ვიყავით, შენ ისევ ზურაბს ელაციცებოდი. ამის გამო ცისია ეჭვიანობდა, მე ვამშვიდებდი და უფრო ვულვივებდი ჩემი ძმისადმი სიყვარულს, რომ ამით შენი სიყვარუ-

ლის მონაწილე ზურაბი ჩამომეცილებინა ჩემს უიღბლო გზაზე. დიდხანს გრძელდებოდა ეს მტანჯავი გზა და რაც უფრო ეძალებოდი ზურაბს, მით უფრო მიკვდებოდა გული, მით უფრო ცისიაც ბრაზობდა და მე ისევ იმის იმედით ვცხოვრობდი, დღეს იქნება თუ ხვალ, ყოველივე ამას ბოლო მოეღება-მეთქი. ჩემი ძმა მარწმუნებდა, სულ მალე მოვაწერ ხელს ცისიასთანო. მაშინ მე სიყვარულს გამოგიცხადებდი და დანარჩენი შენზე, შენს პასუხზე იქნებოდა დამოკიდებული, ასე ვფიქრობდი იმ ბოლო დროს, როცა შენ მთელი კვირით სადღაც გადაიკარგე. მერე კი ომიც გამოცხადდა... მერე... ჰო, მახსოვს ის საშინელი დღე, შენ რომ მოხვედი ჩვენსას და ჩემი თანდასწრებით ხელისმოწერა სთხოვე ზურაბს.

ლაშას გულისძგერამ უმატა, ბერტას კი ტირილი აუვარდა. ეს მძიმე სურათი რომ გაენელებინა, ლაშამ საუბარი სულ სხვა საგანზე გადაიტანა: საწერი მაგიდიდან „ლიტურატურული გაზეთი“ აიღო. გაზეთში სიმონ ჩიქოვანის პოემა — „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ იყო დაბეჭდილი და მის კითხვას შეუდგა. დიდხანს კითხულობდა.

— იცი, ბერტა, მე ამ პოემის ნათლობის მონაწილე ვარ.

— როგორ ნათლობისა?

— პოეტმა ეს პოემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა. თუ გახსოვს, მე მაშინ დეკანის თანაშემწედ ვმუშაობდი. ჰოდა, მეც დავესწარი ამ პირველ კითხვას. მახსოვს, ბატონი სიმონი კითხვის დროს ძალზე დელავდა, სულ მცირე ნაწილი წაიკითხა, შეჩერდა და შეგვეკითხა, განვაგრძო თუ არაო. ალბათ ამოწმებდა, რაც წავიკითხე, მოეწონათ თუ არაო; — განაგრძეთო, ერთხმად უპასუხა აუდიტორიამ. თერთმეტ საათზე დავიშალენით. პოემამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ავტორის მინაწერი. სწორედ ასე იყო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატში. სიმონ ჩიქოვანმა თავისი ახალი პოემა — „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ — წაიკითხა. 1942 წლის დეკემბერი იყო. უნივერსიტეტი არ თბებოდა, მაგრამ სწავლა არ შეწყვეტილა: სიმონ ჩიქოვანმა მთხოვა (მაშინ მე ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას ვასრულებდი) ვიწრო წრეში, მარ-

ტო დავით გურამიშვილის სპეციალისტთა წრეში, წავიკითხავო ჩემს ახალ პოემას, პირველი ჭაშნიკი უნივერსიტეტში მიწადა გავსინჯოთო. ჩვენ, რასაკვირველია, დავთანხმდით. იმ სალამოზე სიმონ ჩიქოვანს მისი განუყრელი მეგობარი მწერლები — ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია და ლევან ასათიანი მოჰყვნენ. დეკანატი დავხვდით: კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, დიმიტრი უზნაძე, მე და კიდევ რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელი. იმ სალამოს მაშინდელი ახალკურსდამთავრებული, ამჟამად ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე (სამეურნეო დარგში) ლაშა ჩხეიძე ესწრებოდა, რამდენიმე დღის შემდეგ სწორედ ამ თანამდებობიდან გადაიყვანეს ის პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომში...



დადგა 1945 წლის იანვარი. ჩვენი ჯარი ბერლინს მიადგა. ხალხის რისხვა დაატყდა თავს რაიხსტაგს, საიდანაც გაყოყოჩებული პიტლერი მსოფლიოს დაპყრობით ემუქრებოდა. დაუცხრომელი ცეცხლის ალი ბობოქრობდა ბერლინის თავზე. ბერლინის ოპერაციაში თავი გამოიჩინა ზურაბ ჩხეიძემ, გამარჯვების სიმღერა ცაში აიტანა მისმა თვითმფრინავმა. უშიშარი მფრინავი მეორე ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

პიტლერის ურდო სულს დაფავდა, მაგრამ, რაც უფრო ახლოვდებოდა ფაშიზმის დასასრული, მათ უფრო ბოროტი და დაუნდობელი ხდებოდა მტერი. გერმანიის სამხედრო ქარხნები ახალი გამანადგურებელი იარაღის შექმნაზე მუშაობდნენ. გაცოფებული მტერი მაინც იღრინებოდა, ომის გრიგალი ისევ ბობოქრობდა.

უძილო ღამეები გადაება ერთიმეორეს: ახლა ყველგან, ფრონტზე თუ ზურგში, ქარხნებსა, ლაბორატორიებსა, ფაბრიკებსა თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე გმირულად შრომობდნენ და იბრძოდნენ საბჭოთა ადამიანები. ახლო იყო ფაშიზმის დასასრული. მთელი დღის მუშაობით დაქანცული ცისია უნივერსიტეტიდან ბრუნდებოდა, მოაბიჯებდა წყნეთის ქუჩაზე და ნატრობდა, ნეტავ მალე დასრულდეს ეს ომი და ზურაბი შინ მშვიდობით დამიბრუნდესო. ამ ფიქრებში გალია სახლამ-

დე დარჩენილი. მოკლე გზა. კარი გააღო თუ არა, უმცროსმა დამ ახარა, წერილი მოგივიდაო. ცისიამ წერილი გულში ჩაიხუტა, ორჯერ აკოცა და კითხვას შეუდგა. ზურაბი სწერდა: „ქვემეხების გრიალში, ტყვიამფრქვევის კაქანში გწერ ამ წერილს ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ადამიანი ასეთ ჯოჯოხეთში წერილების საწერად მოიცილიდა, მაგრამ ფრონტზე ისე შევეჩვიე ყოველივეს, რაც აქ ხდება, რომ არაფერია მესმის, არაფერს ვგრძნობ, გარდა შენზე ფიქრებისა. ტყვიების სეტყვაში შენი სახე მიდგას თვალწინ. გწერ წერილს, ამით სულიერადაც ვისვენებ და ფიზიკურადაც. ახალი ენერგიით ვივსები და მზადა ვარ ასმაგი გაშმაგებით ვეკვეთო მტერს. აქ წამდაუწყებ ეცემიან ადამიანები, იხოცებიან... მაგრამ ჩვენი მეომრები მაინც ხვალისდელ დღეზე ფიქრობენ, სწამთ, რომ, დღეს იქნება თუ ხვალ, გაიმარჯვებენ, შინ დაბრუნდებიან. დიახ, ჩვენ დავბრუნდებით... როცა ადამიანის გულს რწმენა და სიყვარული ათბობს, იმაზე ბედნიერი არავინ არის ამ ქვეყანაზე.

ჩემი აეროდრომი თოვლის სამოსშია გახვეული. მარტო ასაფრენი მოედანია გადახვეტილი, მაგრამ რად გინდა, ისევ მოდის ბარაქიანი თოვლი და ჯარისკაცები მოედნის ხვეტას ვერ აუღიან. დედამიწა თეთრად ქათქათებს და მე ჩემთვის ვჩურჩულებ გალაკტიონის ლექსს:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის  
ქალწულებივით ხიდიდან ფენა,  
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის  
და სიყვარულის ასე მოთმენა...

როგორმე ამ ცეცხლს თუ გადავურჩი, მე მოვალ, შენს კალთაში თავს ჩავრგავ და ისევ წაგიკითხავ გალაკტიონის „თოვლს“... ჩვენი აეროდრომი ერთი დიდი მთის ძირას მდებარეობს. ხომ გახსოვს ჩვენი ბაკურიანი. ჰოდა, ბაკურიანი წარმოიდგინე, მერე გამოყევი ბორჯომისაკენ გზას და ფიქრით წალვერში ჩამოდი, მთების ორწონებში ჩაჭვდილ წალვერში. სწორედ წალვერს მოგაგონებს ჩვენი აეროდრომი. შენ ხომ მთები და მთასვლელობა გიყვარდა. მალე მორჩება ეს ომი, შინ დავბრუნდები, ავიკიდებთ სამგზავრო ჩანთებს და

გავუყვებით სვანეთის გზას. შენ ხომ მუდამ ოცნებობდი, ერთად გვემოგზაურა სვანეთში. მორჩება ომი და საწადელს აგისრულე, შენი ზურაბი“.

ბერტა ისევ ეფერებოდა ავადმყოფ ქმარს, ლაშა ისევ ჰყვებოდა წარსულის ამბებს და ამით იხშობდა ტკივილებს. ბერტა უბედნიერესად რაცხდა თავს, ოღონდ ახლა ის აღონებდა, რომ მძიმედ იყო ლაშა ავად. გაფითრებულ ლაშას თვალებში ჩახედდა და შეამჩნია, როგორ უთრთოდა წამწამები... ბერტა ვერ მალავდა შეშფოთებას, ავის მომასწავებელი წინათგრძნობა არ ასვენებდა. ლაშამ ეს შეამჩნია და შეეცადა ღიმილით გაეფანტა ქალის ეჭვები. ვაჟმა გამოღებულ ფანჯარას გახედდა. ფანჯრიდან მთაწმინდა მოჩანდა. მზე ჩადიოდა და მამადავითის მწვერვალს მისი უკანასკნელი სხივები ეფინებოდა. ლაშამ იგრძნო, რომ ცუდად შეიქნა, მაგრამ არ შეიმჩნია. მერე ბერტას მოუბრუნდა და უთხრა:

— ჩემო ბერტა, გული მეუბნება, რომ მალე მოკვდები.

— რა გჭირს სასიკვდილო, ძვირფასო, — მოეფერა ბერტა და ნაზად გადაუსვა ხელი თავზე, — ეჭიმებმა ხომ თქვეს, მალე სამსახურში გასვლის ნებას მივცემთო.

— არა, ჩემო ბერტა, ეჭიმებზე უკეთ მე ვიცი ჩემი გულის ამბავი. ეს გული ალბათ უფრო დიდხანს გაძლებდა, ეს ოხერა ომი რომ არ ამტყდარიყო, ომმა ჩემისთანა ჭირიანები კი არა, ლომებივით გაეკაცები შეიწირა. ომმა დიდი დაძაბვა მოითხოვა ნებისყოფისა, მეც მეყო ნებისყოფა, მაგრამ გულმა მიღალატა და სხეული დამიძაბუნა. სულის სიმტკიცე კი ისევ შემომრჩა და ფხიზელი გონებით გეუბნები: ახლა, როცა შენ ჩემს გვერდით მეგულეები, როცა აგერ ფეხზე დგას და დარბის ჩემი და შენი სისხლი და ხორცი — ჩვენი პაპუნა, ახლა, როცა მტერი ჩვენს საზღვრებს იქით გაერეკეთ, არაფრის დარდი არ მიმყვება და სიკვდილიც იოლი მეჩვენება. თავი არასოდეს დამიზოგავს მამულისათვის, ხალხისათვის, უპატიოსნო საქმეში არასოდეს გავრეულვარ და სინდისი წმინდა მაქვს ყველას წინაშე. ერთადერთი, რაც სასინანულოდ დამრჩა, ის არის, რომ ჩემი გულწრფელობა ბევრს არ სჯეროდა. ჭერ იყო და შენ არ გეს-

მოდა ჩემი გულისთქმა, მერე იყო და, ჩემმა ძმამ, ჩემმა ერთადერთმა ღვიძლმა ძმამაც არ დამინდო და სამშობლოს ფალატი დამწამა...

შეშინებულმა ბერტამ შუბლზე ხელი დაადო, სიცხე ხომ არა აქვსო. და როცა მის ცივი ოფლით დაცვიარულ შუბლს შეეხო, ამის თქმალა მოახერხა:

— რას ამბობ, ძვირფასო, რომელ დალატზე ლაპარაკობ...

ბერტამ არა იცოდა რა ზურაბის წერილისა. ლაშას ეს წერილი მულამ პარტიულ ბილეთში ჰქონდა ჩადებული და უბის ჯიბით ატარებდა.

— დიახ დიახ, — გაიმეორა ისევ ყრუ ხმით ლაშამ, — ჩემმა ძმამ არ დამინდო და სხვები დამინდობდნენ? იმასაც ამბობდნენ, ვითომ ფრონტისათვის თავი ამერიდებინოს.. ჩემი ავადმყოფი გულისა არავის ესმოდა...

ლაშამ თვალები დახუჭა. დიდხანს იყო ასე თავალებდახუჭული. მერე ხეელა აუტყდა. ბერტამ რაღაც წვეთები დაალეგინა. უცებ ხროტინი დაიწყო ავადმყოფმა იკივლა ბერტამ და „სასწრაფო“ გამოიძახა. მაგრამ ვიღაც მეზობლები მოვიდოდნენ და სასწრაფო მანქანაც გამოჩნდებოდა, ლაშა უკვე აღარ სუნთქავდა.

დიდი გლოვით დაიტირგნ და დამარხეს ლაშა.

ძმის სიკვდილი ფრონტზე შეატყობინეს ზურაბს. თავზარი თაკცა: ახლა მიხვდა. თუ რა უზომოდ ატკინა გული საყვარელ ძმას იმ ბარათით. წამოსვლა არ შეეძლო, დაკრძალვას ვერ დაესწრებოდა. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენმა ჯარმა ბერლინის დაბომბვა დაიწყო და ახლანდელი მფრინავი ფასდაუდებელი იყო ფრონტისათვის. დეპეშის გამოგზავნა ვერ გაბედა, ასე უნახავად და უსიტყვოდ თვითმფრინავის კაბინაში დაიტირა ძმა...

იმ ლამეს ზურაბმა საშინელი სიზმარი წახა: ვითომ ძმა გამოეცხადა. ლაშას წვერი მოეშვა და პირველად ვერ იცნო, ვინა ხარო, ჰკითხა. წვერიანი მოლანდება სასთუმალთან ჩამოუჯდა და საყვედურით სავსე თვალები მიიპყრო. იცნო ძმა. ზურაბი წამოხტა, ხელები გაშალა, რომ გადახვეოდა დიდხანს უნახავ ლაშას. მოლანდება გაქრა, მერე ისევ გამოჩნდა, ზედ ტახტზე ახტა და იქიდან უყვირა ზურაბს: „შენ ის გირჩევნია, გულწრფელად მოინანიო დანაშაული, ვიდრე თავს გაგაგდებინო“



ნებდე“. და მახვილი იშიშვლა წვერიანმა: „რად გამიმეტე იმ შენი ბარათით ასე სასტიკად?“ „რომელი ბარათით?“ — კითხვა შეუბრუნა ძმამ. „ჰმ, არც კი ახსოვს — ჩაიქირქილა წვეროსანმა, — თუ გიყვარდა, მაშინ იმდენი ვაჟკაცობა რატომ არ გამოიჩინე და ხელი არ გაუწოდე განსაცდელის ემს იმ ქალიშვილს? ახლა მაინც თქვი, ვინ გიყვარდა, ცისია თუ ბერტა?“ „ცისია, ცისია,“ — იყვირა ზურაბმა და მოლანდებაც გაჭრა.

მთლად დაიტანჯა ბერტა, ჩასთვლემდა თუ არა, ლაშა ეზმანებოდა. მღვიძარს ყოველი ნივთი, ყოველი საგანი მის სახელს აგონებდა, მთელი დღე მოთქვამდა შინ მარტო დარჩენილი, სასაფლაოზე ხმამალალი ტირილი ერიდებოდა და შინ იკლავდა გულის დარდს. უნივერსიტეტიდან აკითხავდნენ მეგობრები, ცდილობდნენ დარდი გაექარვებინათ, მაგრამ ამაოდ, რაც დღე გადიოდა, მით უფრო ღრმად რევდა ხელს დარდი და ვარამი.

იმ დღეს ბარნოვის აღმართზე ამოდიოდა სასაფლაოდან დაბრუნებული, ქუჩის დასაწყისში ყმაწვილ კაცს შეეჩეხა. უცბად იყვირა, ლაშაო. ის კაცი მობრუნდა და ქალისაკენ გაიხედა მალე ბერტა გონს მოვიდა და ლასლასით ძლივს ააღწია სახლამდე. შევიდა თუ არა შინ, ხმამალლა მორთო ტირილი. მთელი საღამო ტიროდა. მეორე დღეს უთენია სასაფლაოს მიაშურა... ბერტა ლოგინად ჩავარდა და მთელი თვე იავადმყოფა. ერთ დღეს შუა აზიიდან ბიძაშვილი ესტუმრა. ასე უმწეოდ რომ ნახა ქალი, შეწუხდა და შეეხვეწა, ერთი თვით მაინც გაეცალე აქაურობასო. ბოლოს თვითონაც იფიქრა ბერტამ, დღეს თუ ხვალ ომი დამთავრდება, ის დაბრუნდება (ფიქრშიც კი არ ახსენა ზურაბის სახელი) და ძმისწულის ნახვას მოინდომებს, მე კი ვერ ავიტან მაზლის ნახვასო და გადაწყვიტა ტაშკენტში გაპყოლოდა ბიძაშვილს.

თბილისის ცაზე აიჭრა თვითმფრინავი და გეზი ტაშკენტი-საკენ აიღო, ჯერ კიდევ თბილისის გარეუბანს დაჰყურებდნენ მგზავრები, როცა ბერტამ საშინელი ტკივილები იგრძნო მუცლის არეში. ჯერ ითმენდა და ხმას არ იღებდა, მერე კი, როცა უფრო და უფრო უმატა ტკივილებმა და კრუნჩხვებიც დაემატა, ვერ მოითმინა, იყვირა ვკვდებო და მუცელზე იტაცა ხელი. ბიძაშვილი მიეშველა. ბორტგამცილებელიც მივარდა, ხელი მოხვია, მოეფერა... მთლად ჭირის ოფლში ცურავდა ბერტა. სათ-

ბურები დაადეს, უფრო შეუტია ტკივილებმა. კრუნჩხვებს ღებინება დაემატა. პილოტმა რადიოგრამა გადასცა და სასწრაფო დახმარება დაახვედრეს თვითმფრინავს. სასწრაფოს ექიმმა მაშინვე დასვა დიაგნოზი — ბრმა ნაწლავის შეტევებიანო. საკაცით ჩამოიყვანეს და სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანეს. მორიგე ქირურგმაც დიაგნოზი დაადასტურა. სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ დაგვიანებული აღმოჩნდა. ბერტა მთელი სამი დღე ებრძოდა სიკვდილს ტაშკენტის საავადმყოფოში, მეოთხე დღეს კი წვალებით აღმოხდა სული.

ბერტას ბიძაშვილმა სასწრაფოდ დეპეშა გამოაგზავნა თბილისში. მაკამ სამი ნათესავი გაიყოლია და თბილისის აეროდრომზე გაჩნდა. ტაშკენტში ფრენა არ არისო, გამოაცხადეს. შეწუხდა დედამთილი, თავში ხელები წაიშინა და ტირილი დაიწყო. ამშვიდებდნენ, მაგრამ თავი ვერ დაიმორჩილა. თვითმფრინავი მესამე დღეს გაფრინდა. ამასობაში ბიძაშვილებმა დაკრძალეს ბერტა. მაკა მთლად გადაირია, გადაწყვიტა რძალი გადმოესვენებინა და შვილის გვერდით დაეკრძალა ვაკის სასაფლაოზე, ბიძაშვილები გაჯიქდნენ, ჩვენ ჩვენი წესით მშობლების გვერდით დავეკრძალეთ, ახლა უკვე გვიან არის და არც გადასვენება მოხერხდებაო. გულმოკლულმა და გამწარებულმა მაკამ ხელი ჩაავლო შვილიშვილს და გადმოფრინდა თბილისში.

\* \*

ომი დამთავრდა. გამარჯვებული ჯარისკაცი შინისაკენ მოისწრაფოდა. ამჯერად სამგზავრო თვითმფრინავით მოფრინავდა თბილისისაკენ. როგორ შეეყრება დედა, როგორ დახვდება ცისია? უცბად ლაშა გაახსენდა და ერთხელ კიდევ ჩაწყდა გულის ძარღვი, ვაითუ მეც მიმიძღვის წილი მის სიკვდილშიო. ამ აზრმა ჩაუმწარა სიხარული. რა პირით შეხვდეს დედას? უცბად ფიქრი ცისიაზე გადაიტანა, თვალწინ წარმოუდგა მისი მაყვალავით შავი თვალები და უცბად გული შეუკრთა. ვაითუ ცისიამაც გაიგო იმ ბარათის არსებობაო. „არა, ცისიას არავითარი საბუთი არა აქვს უკმაყოფილო იყოს ჩემით“, გაიფიქრა ეს და გულზე მოეშვა.

აეროდრომზე ზეიმით შეხვდნენ ომიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ჯარისკაცებს. მიტინგზე სიტყვა ზურაბმაც წარმო-

თქვა. აღღვებული და მთლად აფორიაქებული მიადგა მამი-  
სეულ სახლს. კარი გაიღო და დედა შემოეგება. დიდხანს, დიდ-  
ხანს ჰკოცნიდნენ შვილი და დედა ერთმანეთს. ეხვეოდნენ,  
ჰკოცნიდნენ და ტიროდნენ... ეს მწუხარების ტირილიც იყო  
და სიხარულისაც. ტირილით გული რომ იჯერეს, იქვე ტახტზე  
ჩამოსხდნენ. ზურაბმა ოთახში ბავშვი შენიშნა: — ეს ბავშვი-  
ვი ვისიანო, იკითხა. დედას ისევ ცრემლი მოერია, ძლივს წარ-  
მოთქვა: — ლაშასია, იმ უბედური ლაშასიო, და ისევ ატირდა  
დედა-შვილი. ზურაბი ბავშვს მოეხვია და კოცნა დაუწყაო. მერე  
ბერტა მოიკითხა. ისევ ატირდა დედა, დაწვრილებით მოუთხ-  
რო, რაც გადახდა იმ უბედურს. სადღაც გულის ერთი ძარღვა  
ჩასწყდა ზურაბს. ახლა ცისიას მოკითხვა მოისურვა, მაგრამ  
თითქოს ბავშვისა შერცხვაო და სიტყვა ყელში გაეჩხირა. ამ  
დროს დედამ წერილი გაუწოდა და უთხრა, მე ამ ჩემი დასამი-  
წებელი ხელებით ამოვიღე ეს ბარათი ლაშას გულის ჯიბიდან,  
წავიკითხე და ელდა მეცაო, მერე გადავმალე, არ მინდოდა  
ბერტას ენახაო, და მოთქმით გადააწოდა შვილს ბარათი. შვი-  
ლი გაოცებული მიაშტერდა დედას. მთლად დაბერებული და  
გატეხილი, ძაძვებით მოსილი ქალი იდგა შვილის წინაშე. ზუ-  
რაბს სიზმარი გაახსენდა: სწორედ ის არის, სიზმარში რომ გა-  
მომეცხადაო...

ზურაბი უსიტყვოდ ადგა, ბარათი ჯიბეში ჩაიღო, მალე  
მოვალო, სიტყვა დააგდო და შინიდან გავიდა. გულისჯიბეს  
კი არა, გულ-ღვიძლს უწვავდა ეს ბარათი. გონებაარეულმა არ  
იცოდა რა ექნა ..



იჭდა ახლა თავის ოთახში სამოცდათხუთმეტ წელს მიღ-  
წეული ბებიის მკა, იჭდა შავი ძაძვებით მოსილი, ჩაფიქრებული  
ბედის ასე საოცრად უკულმართ ცვალებადობაზე.

იჭდა სევდიანი მოხუცი, უაზროდ გაჰყურებდა სივრცეს.  
საზრუნავი თითქოს გამოლეოდა... ცრემლით სავსე თვალები  
მჯილით მოიწმინდა და უცბად გაუნათდა გონება: აგერ, შვი-  
ლიშვილი პაპუნა ლაშას სიცოცხლის გამგრძელებელი, ბებიის  
იმედი და რწმენა, მერედა, საფლავსაც ხომ უნდა ზრუნვა და  
პატრონობა... მოხუცი ყოველდღე დადიოდა სასაფლაოზე. ხან  
შვილის საფლავს აცლიდა ბალახს, ხანაც ქმრისას. ვარდებსაც

რწყავდა. რა გამოუღევედა საზრუნავს ცოცხლად დარჩენილ ადამიანს და მაკა მასწავლებელიც შვილიშვილის მოფერებაში კლავდა დარჩენილ დღეებს. ევედრებოდა ქვეყნის გამჩენს: „შენ დამიფარე ჩემი ოჯახის იმედი, ჩემი პაპუნა. ჩემ ოჯახს ნუ მოუშლი სახელსა და სახსენებელს. ჩემს ბედში მყოფმა ყველა დედამ იცის, თუ რა მწარეა ომი, რომელმაც ოჯახი დამიქცია: შენ ააცდინე ჩემი ხვედრი ყველა დედას...“

ასე ევედრება ყოველდღე ბედდამწვარი მოხუცი მაკა მასწავლებელი ქვეყნის გამგებელს.

## ბ ე რ ტ ა

ბერტა შტეინი ეს გერმანელი ქალიშვილი იენის უნივერსიტეტიდან სამეცნიერო კვალიფიკაციის მოსაპოვებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოაღვინეს. მას სადისერტაციო თემად აღებული ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიას ადრეული შემოქმედება. მწერლის მიერ ბერლინის უნივერსიტეტში განსწავლის პერიოდში გერმანულად გამოქვეყნებული ნაწარმოებები ბერტას დიდი რუდუნებით მოეძია და შეესწავლა. ახლა განზრახული ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიას ქართულად გამოქვეყნებული ადრეულ ნაწარმოებთა შესწავლა, და ასე, გერმანული და ქართული პირველწყაროთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე სადისერტაციო შრომის დაწერა. ამ მიზნით იგი ჩვენს კათედრას — ქართულ საბჭოთა ლიტერატურის კათედრას მიამაგრეს. ჩვენმა კათედრამ გულთბილად მიიღო სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი ეს უცხოელი და პატივისცემა დაუდასტურა ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ ქალიშვილს. მას ხელმძღვანელი გამოუყო და მთელი სამი წელი ჩვენთან გაატარა. პირველი ჩვენი დიალოგიც მაშინ შედგა.

— მე, დედა და ბებია ბერლინში ვცხოვრობდით. დედა საავადმყოფოში მუშაობდა ექთნად, მე ბებიასთან მტოვებდა სრულიად ჩვილს. თუმცა სულ ერთი ოთახი იყო ჩვენი ბინა, მაგრამ ისეთი სუფთა და კრიალა, შიგ თითქოს მზე იდგაო ამ მუდამ მოღუშულ ქალაქში. დედა სულ 25 წლისა იყო რომ დაქვრივდა. ეს ის დრო იყო ჰიტლერმა რომ ქვეყნების დაპყრობას მიჰყო ხელი, 1940 წელს პირველად ინგლისელებმა დაბომბეს ჩვენი ქალაქი. ჩვენი სახლიც დაზიანდა. მე და ბებია ძლივს გადავეურჩით ჩამონგრეულ ქერს. მერე ის იყო, ომი დაიწყო თქვენების წინააღმდეგ. დედა შორეულ საველე ჰოსპიტალში გაიწვიეს, მალე ბებიაც გარდაიცვალა. მე 6 წლისა მამიდაჩემთან ვათევდი ღამეს... 1945 წელს, 11 წლისა რომ შეესრულდი, მამიდასთან, ქარხანაში დავიწყე მუშაობა. სწორედ

იმ წელს, მარტის თვეში, ის სახლი, სადაც მამიდაჩემი ცხოვრობდა ბომბმა ნამსხვრევებად აქცია. სიკვდილს გადარჩენილს, ვილაც წითელ არმიელმა მომკიდა ხელი, ნანგრევებიდან ამომიყვანა და სამშვიდობოს გამოიყვანა. იქ ბავშვებს პური დაგვირიგეს, უპატრონოდ დატოვებულ სახლში მოგვათავსეს... ის კეთილი ჭარისკაცი ქართველი აღმოჩნდა. გამიღიმა, გამეხუმრა, მისამართი ღომცა თუ როდისმე ჩვენს მხარეში მოხვდეთ, მომიწახულო. მე იმ უსაშველო ომში დედაც დავკარგე და მამიდაც. მერე, როცა დემოკრატიული გერმანია გამოცხადდა, მე იენაში ომში დაღუპულთა შვილების თავშესაფარში მომათავსეს, საშუალო სასწავლებელი რომ დავასრულე, უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩამრიცხეს, სტიპენდია დამინიშნეს და საერთო საცხოვრებელში ბინა მომცეს. უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრე და ახლა ასპირანტურაში ჩამრიცხეს...

აქ შეჩერდა. დაკვირვებით შემომჩაჩერდა, შემამოწმა, მისმენს თუ ირავ. მე ამით ვისარგებლე და ვკითხე — მაინც როდის დაგებადათ სურვილი, მისწრაფება ქართული მწერლობის შესასწავლად?

სახეზე ღიმილი გადაეფინა, ცისფერი თვალები დაახამხამა და დინჯად დაიწყო:

— იცით რა, მე ბავშვობიდანვე ბევრს ვკითხულობდი, მართოდ შთენილმა წიგნები გავიხადე ჩემს განუყრელ მეგობრად. დღეებს ბიბლიოთეკებში ვალამებდი. განსაკუთრებით მაინტერესებდა კავკასია: გაგონილი მქონდა სტალინი, რომელმაც ჰიტლერი დაამარცხა, კავკასიელიაო. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ იგი ქართველი იყო. ეს მერე გავიგე, როცა ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წავაწყდი კონსტანტინე გამსახურდიას ეთნოგრაფიულ ნარკვევს საქართველოს შესახებ. მე ერთბაშად გამიტაცა საქართველოს ისტორიამ, ჩემი გადამრჩენელი, იმ კეთილი ჭარისკაცის ქვეყანამ. გადავწყვიტე მომეძია საქართველოს შესახებ მასალები ენციკლოპედიებსა და ჟურნალ-გაზეთებში. ერთ ჟურნალში ისევ გამსახურდიას ნოველას „ფოტოგრაფს“ წავაწყდი, სულის მოუთქმელად წავიკითხე. მე რუსულ ენას ვსწავლობდი უნივერსიტეტში და კარგადაც მქონდა დაუფლებული. ახლა რუსულ გამოცემებში დავუწყე ძებნა კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებს. რუსულად დაბეჭდილი რაც ვიპოვე, ძალიან მომეწონა, ჩემს მეც-

ნიერ ხელმძღვანელსაც წაეკითხე და ვთხოვე ჩემთვის საკვალი ფიქაცო თემად კონსტანტინე გამსახურდია დაემტკიცებიათ. ამასობაში გავიგე, რომ იენის უნივერსიტეტს ხელშეკრულება დაედო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ასპირანტების სამეცნიერო მივლინებით გაცვლა-გამოცვლის თაობაზე. მეც დაუყოვნებლივ მივმართე იენის უნივერსიტეტის რექტორს, მისი კეთილი ნებით გამოვეყვი კონსტანტინე გამსახურდიას კვალს და ასე აღმოვჩინდი თქვენთან.

ესა თქვა და რუსულად დაწერილი იმ ქართველი ჯარისკაცის სახელი, გვარი, მამის სახელი და მისამართი დამიდო მაგიდაზე და მთხოვა დაეხმარებოდით მის მოძებნაში...

სულ ადვილად მივაგენით იმ კეთილი ქართველი ჯარისკაცის კვალს. იგი აღმოჩნდა ქიათურელი გიორგი ბუხრიკიძე. ბუხრიკიძე ცალ-შვილიანი იყო, ჯარში რომ დაიწვიეს, ორი ბიჭის მამა. კავკასიიდან ბერლინამდე ავტომატით სდია მტერს და აი, სწორედ, ფაშისტური ბერლინი რომ დაეცა, მაშინ შეხვდა ბერტას...

გიორგი ბუხრიკიძის ოჯახმა დიდი სიყვარულით მიიწვია ქიათურაში მის მიერ სიკვდილს გადაარჩენილი ეს ჩვენი ასპირანტი...

სამი წელი სწავლობდა და ეცნობოდა იგი არა მარტო გამსახურდიას შემოქმედებას, არამედ დღედაღამ ებრძოდა და ეუფლებოდა ქართულ ენას, ამავე მიზნით მოგზაურობდა ქართულ სოფლებსა და დაბა-ქალაქებში. ზაფხულის არდადეგებს ბუხრიკიძეების ოჯახში ატარებდა. ბუხრიკიძეების უფროსი ვაჟი, გავი ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მუშაობდა ინჟინერ-მექანიკოსად. სწორედ იმ ზაფხულს, შვებულებაში მყოფი, ბერტასთან ერთად მოგზაურობდა, საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს აცნობდა სტუმარს. ადამიანებს არაფერი ისე არ აახლოვებს, როგორც მოგზაურობანი. ასე დაუახლოვდა და შეუყვარდა ეს შავტუხა ბიჭი ქერა ბერტას. იმ დღეს სოფლის შარაგზა გადალახეს და ხეცს მიაღდგენ.

ვაჟმა ხელი ჩამოართვა. შეხედა და უკუდგა, თითქოს ელდა ეცაო. ქერათმიანმა გოგონამ ღიმილი შემოაფრქვია. ვაჟს ტრფობის ალი მოედო. შეეცადა სტუმრისთვის საამო რამ ეთქვა, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა, სიტყვა ვერ დასძრა. ბოლოს ძლივს წარმოთქვა — წავიდეთ. შეყვანენ ხეივანს, ნისლით დაბუ-

რულს. უცბად მთიდან ნიავმა დაუბერა და თვალწინ აიკრიფა მდინარის პირას დაწოლილი შავი ნისლი. აკიაფდნენ მობიბინე ბალახსა და ფერად-ფერად ყვავილებზე ზედ დაკიდული დილის ნამივით მარგალიტები, ტურფად გალობდნენ შაშვები, ჭიკჭიკებდნენ ჩიტები... ბუნებისაგან გაბრუებული სტუმარ-მასპინძელი ღუმილით მიაბიჯებდნენ წინ. საით? თავად არ იცის ქალმა, საით ეპატიუება ვაჟი. წამოეპარათ ვნებათა ღელვა, ძახილი ესმით ვნებისა. შეჩერდნენ. ქალმა მორცხვად შეხედა ვაჟს, ისევ ენა დაებზა ვაჟს. რით დაიწყოს? რა უთხრას, საუბარი როგორ გაებას? კვლავ ღუმილი ჩამოვარდა. ამ დროს გრიალი გაისმა. ცაზე მობორიალე ძერას თოფი ესროლა მონადირემ. ძერა მათ გვერდით დაეცა, მიწას კორტნიდა მომაკვდავი. სულმოუთქმელად მივარდა ქერათმიანი ქალი და ხელთ აიყვანა ტყიური. სისხლი სდიოდა ძერას, ქალიშვილი ეფერებოდა და ხელი წითლად ეღებებოდა.

ვაჟმა გაიღო ხმა:

— რაც წიწილები გვყავდა, სულ მოგვტაცა მაგ ვერაგმა. მამა მთელი კვირა ყარაულობს და აი, მოუღო ბოლო სოფლის წიწილების მომტაცებელსა.

— წიწილები? მაგრამ ამასაც ხომ უნდა ჭამა და საზრდო... ბოროტი ყოფილხართ.

— როგორ თუ ბოროტი, მტერი, რომ მოვკლა განა ეს ბოროტებაა. სოფელს ემტერებოდა ძერა. ამ სოფელში თოფი მარტო მამაჩემს აქვს. მთელი თვეა დარაჯობს ამ ძერას, წიწილების მტერს, მამაჩემმა იმარჯვა და სოფელს ერთი მტერი მოაცილა. სოფელი მარჯვენას დაულოცავს მამას, განთქმულ მონადირეს, შენ კი ჯავრობ, ჩემო კეთილო სტუმარო.

სიტყვა კეთილს თითქოს გულის ვარამი თან ამოატანაო ვაჟმა.

— არა, შენ ბუნების კარი სიყვარულისთვის დაგიკეტია. ეს ძერაც ხომ ბუნების დანაბადია, მისი მოკვლა ცოდვა-ბრალეა:

— არა, ჩვენ სიყვარულიც ვიცით. გული გულისთვის მუდამ მზადა გვაქვს. გული მისცეს გულისთვის — ეს ქართველების ეროვნული კოდექსია. ოღონდ მტერს რომ მტრულად დაუხვდეთ — ეს ბუნების განაჩენია. შორს რათ მივდივართ. სულ ოცდაათი წლის წინათ ჩვენ მტრები ვიყავით. ერი ერს კლავდა



და არ უჩანდა ბოლო სიძულვილს... ვიკვებნიდით, ვის რამდენი მოეკლა, ოცი ორმოცი... რუსი, ქართველი თუ გერმანელი. იმ დროს ხომ კაცს მართო კაცისკვლა ჰქონდა მიზნად. შენ ახლა მოკლულ ძერას დასტირი, ხოლო ომში უმოწყალოდ დახოცილთა, უსაფლავოდ მიტოვებულთა რიცხვს სათვალავი არა აქვს. მათ ლემს სწიწნიდნენ სვავნი, ორბნი და ძერანი... აი, ეს შენგან დატირებული ძერა ლემის მოყვარული რომ არის, მიტომაც არ მიყვარს... მძულს მე ძერანი და სვავნი, სამაგიეროდ მიყვარს ბულბული, გუგული, შაშვი და მტრედი. თვით მონადირე მამაჩემი არასოდეს იმეტებს მათ სასიკვდილოდ. მომწონს არწივი, სხვის მოკლულს არ ჭამს, თავად ნადირობს და ლალობს თავისივე ნანადირევით. ამით ამაყოფს არწივი — ფრინველთა მეფე...

მოულოდნელად ქალმა მოუქრა, მე შენთვის სიყვარული რომ გამოემეცხადებია, თუ შემიყვარებდიო.

— არა.

— იმიტომ რომ გერმანელი ვარ?

— არა, გერმანელობა აქ არაფერ შუაშია.

— მაშ რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ ჩვენი სტუმარი ხართ. სოფლის ადათ-წესის დალატი არ შემიძლია...

ისევე გავარდა თოფი, ვაჟის მამა თავზე წამოადგათ.

გერმანიაში რომ დაბრუნდა, ჩვენთან შესრულებული საკვალ-ლიფიკაციო შრომა იენის სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა და წარმატებით დაიცვა. მუშაობა დაიწყო, მაგრამ საქმეს გული ვერ დაუდო ამ უალრესად შრომისმოყვარე და საოცარი შინაგანი დისციპლინით აღზრდილმა ქალიშვილმა. გული ჭიათურისაკენ ეძახდა, ბაწარივით გაბმულ მიმორწერას შეყვარებულთა დაქორწინება მოჰყვებოდა. ასეა, სტუმარ-მასპინძლობით დაიწყო და ცოლ-ქმრობით დასრულდა. ის ღრადდეგებიც ჭიათურაში გაატარა, მერე აიყოლია გივი და სამუშაოდ იენაში დაბრუნდნენ, საბოლოოდ ბერლინში კი დაიდევს ბინა. ზაფხულობით საქართველოში ჩამოდიან. ყოველ ჩამოსვლისას ჩვენს კათედრას ესტუმრება ხოლმე. ასე იყო ეს წელსაც. დიდხანს გვესაუბრა, ბევრი რამ გვიამბო:

— ამ ბოლო წლებში ძალზე ბევრს ვთარგმნი. პირველად ჩემს საყვარელ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას შეგბე-

დე. ვთარგმნე მისი ოთხი ნოველა: „შეხვედრა მკვდართან“, „ტაბუ“, „ქოსა გახუ“ და „ქალის რძე“. მოიწონეს, დამიბეჭდეს.

ეს თქვა და გადმოშვა კონსტანტინე გამსახურდიას გერმანულად გამოცემული ნოველების კრებული.

— ამის შემდეგ გავთამამდი და ვთარგმნე ბატონი კონსტანტინეს „ხოგაის მინდია“. ასე მგონია, კონსტანტინე გამსახურდია წმინდა წყლის ევროპელი მწერალია, ევროპიელი აზროვნების გლობალური მასშტაბითაც და წერის მანერითაც. თუმცა თემატიკა უაღრესად ქართულია, ქართული წარმართული, მითოსურ ძირებთან ზიარებული. მითოლოგიურ წიაღში წარმოშობილი პირველყოფილი ხალხური სიბრძნის გვირგვინია „ხოგაის მინდია“. კონსტანტინე გამსახურდიას ღვთაებრივი ნიჭის ნაყოფით, „ხოგაის მინდიასაგან“ შთაგონებული, მეც ბატონ კონსტანტინეს კვალს გავყევი და ვაქვას მივადექი. პირდაპირ დედნიდან ვთარგმნე ვაქვას რამდენიმე მოთხრობა.

— როგორ, ასე კარგად დაეუფლეთ ქართულ!

მე ვიცოდი, რომ ის ქართველ მწერლებს რუსულის მეშვეობით თარგმნიდა — რუსული ზედმიწევნით კარგად იცოდა, უცბად მომიჭრა.

— კი, ჩემი ჭიათურისა და მეუღლის წყალობით კარგად დავეუფლე ქართულს, ენათა შორის მშვენიერ ენას, ან როგორც კონსტანტინე ბრძანებს — ღმერთების ენას. ჩვენს ოჯახში ყველა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთსა და „კომუნისტს“ ვიღებთ, საკმაოდ ვართ ინფორმირებული იმით, რაც საქართველოში ხდება... გივის ბიძაშვილმა შალვამ, ახლა იგი გამოცემლობა „ნაკადულში“ მუშაობს, შარშან „ნაკადულის“ მიერ გამოცემული ვაქვას მოთხრობები გამოგვიგზავნა, მთელი ოჯახი ვეჭიბრებოდით ამ კრებულის კითხვაში, სხვათა შორის, ჩვენმა შვილებმა დიდებულად იციან ქართული, ისინი ყოველ არდადეგებს „ჩემს“ ჭიათურაში ატარებენ.

„ჩემს“ საგანგებოდ გაუსვა ხაზი.

— ჰოდა იმას მოგახსენებდით, ვაჟა-ფშაველა ახალი საოცრება აღმოჩნდა ჩემთვის. მე მისი „მთის წყარო“, „მთანი მაღალნი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“ რომ წავიკითხე — მთელი ის ღღეები გაბრუებული დავდიოდი. ღამითაც, ძილში ვაქვას სამყარო მამობდებდა. მანამ ვერ მოვისვენე, სანამ არ ვთარგმნე

ეს მოთხრობები. მე ხომ აქ, თქვენთან, ასპირანტად ყოფნისას, ორჯერ ვიყავი „ვაჟაობის“ მონაწილე. ორივეჯერ მოვიხიბლე მისი ადგილის დედიტ. ამ მოთხრობების წაკითხვისა და თარგმნის შემდეგ უცნაურმა განცვიფრებამ შემიპყრო და ვირწმუნე. ვაჟა და ბუნება ერთიანი ცოცხალი არსებაა. ვაჟა თავად პირველყოფილი ბუნებაა. ბუნება კი ვაჟას შემოქმედებაშია განსხეულებული. ვაჟას მოთხრობები თითქოს ბავშვებისათვის არის დაწერილი, მაგრამ თავისი ფილოსოფიით, ბუნების ენის საიდუმლოებით, ისინი უთუოდ უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურაში. აქ რომ ზღვარი გავავლოთ „საყმაწვილოსა“ და „დიდებისათვის“ დაწერილ მოთხრობებს შორის, ცოდვას ჩავიდენდით. არა! ია, წიფელა, შველი, არწივი, წყარო თუ მთანი მაღალნი — მეტაფორებია, ფილოსოფიურ-მხატვრული მეტაფორები. მთანი მაღალნი დგანან და ელოდებიან და ამ ლოდინს არა აქვს ბოლო, დასასრული, ისე, როგორც ღვთაებას. მთა აქ ქვეყნის უსასრულობის მეტაფორაა, ისევე გამოუცნობი და უსასრულო ვით ღვთაება... ვაჟა საქართველოს ქედმოუხრელი და დაუმონავი მთების ძუძუნაწოვი და ნაზარდი რაინდია. ვაჟას სული უსასრულო სევდას არ გამოუღრნავს, თუმცა ქვეყნის ბედი ამის საბაბს იძლეოდა. ხომ ცნობილია, მსოფლიო სევდის გამომხატველი მწერლობა კაცობრიობის დიდი იმედების მსხვრევამ წარმოშვა? საფრანგეთის რევოლუციის დამარცხებამ გამოიწვია შატობრიანისა და ბაირონის სევდა. ჰარიზის კომუნის დამარცხებამ კი დეკადენტობის ნაირსახეობა დაბადა, ხოლო პირველ მსოფლიო ომს მოჰყვა იმედგაცრუებული ახალგაზრდობის საპროტესტო მოძრაობა. სხვათა შორის, ამის კვალი თვით, ჩემთვის უღარესად საყვარელი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას ადრინდელ შემოქმედებაში გვაქვს. ვაჟა ცალკე თემაა — მისი გმირები მთებივით შეუღრეკელნი არიან, გაუზზარავი და მთლიანი, ამაყად იბრძვიან და ელოდებიან, უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულნიც კი მომავლის რწმენით მიდიან იმ ქვეყანაში. იქიდან გვიმზერენ და ელოდებიან მომავალს, ელოდებიან სიზმრების გაცხადებას. ვაჟა-ფშაველა ამ მხრივ საკაცობრიო ჰუმანიზმის მედროშეა. მთელი მისი შემოქმედება შინაგანად თავისუფალი ადამიანის აპოლოგიაა...

საოცარი გატაცებით ლაპარაკობდა ეს გერმანელი ქალი ვა-

ეაზე, ქართულ მწერლობაზე, მთლად საქართველოზე. მე სიამაყით და მოწიწებით ვუსმენდი მის აღგზნებულ საუბარს. უცებ, უცერემონიოდ ვკითხე:

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, ეს შესანიშნავი ვაჟი რომ მოგვტაცეთ და გერმანიაში გადაასახლეთ“, ამაზე რას იტყვიო?

— ეს ბედის ამბავია.

უეცრად მომიჭრა. მერე, უფრო ვრცლად განმარტა.

— ამ ბედით უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ არც გივი და ქართველები უნდა იყოთ უკმაყოფილო ამით. ერთი „წავართვით“, როგორც ამბობენ, „პატარა საქართველოს“, სამაგიეროდ უკვე სამი შევმატე: მე, გერმანელი-ქართველი გავხდი, და ჩემი ორი ბიჭი, ორი ქართველი, რომელიც გერმანიაში იზრდება. ის ჩემი ორი ბიჭი, ვინ იცის კიდევ რამდენს შემატებს ქართულ ჯიშს. ქართველი თუ ქართულ საქმეს აკეთებს, და ამით საქართველოს ემსახურება, სულ ერთია სად იცხოვრებს იგი: ბერლინში, რომში, ლონდონსა თუ ჩიკაგოში...

— არა, ეს მთლად ასე არ უნდა იყოს, — შევეპასუხე მე.

— მაინც რატომ? — კითხვა შემომიბრუნა.

— იმიტომ, — ვუპასუხე მე, — თუ ასე, თითო-თითოდ თუ ორ-ორად დავტოვებთ საქართველოს, მაშინ ვიღამ უპატრონოს ჩვენს მიწა-წყალს?

— ვიცი, ვიცი, — არ გამაგრძელებია სიტყვა. — იმის თქმა გინდათ, რომ ამ ულამაზეს საქართველოს სხვები დაეპატრონება, არა? — ეს ამაო შიშია. მართალია საქართველო საოცარი ქვეყანაა, არა მარტო ცამდე აზიდული მთებითა და ატეხილი ქალებით, კლდიდან გადმოვარდნილი გიჟმაჟი მდინარეებით, არამედ უპირველესად ყოვლისა კეთილი ნების ადამიანებით, საოცრად გულთბილი და კეთილმოსუნე, სტუმართმოყვარე ხალხით. აქ ერთბაშად მშობლიური გრძნობა გეუფლებათ და მერე უკვე ძნელია განშორდე მას. შინ მიბრუნებულს სულ მუდამ ის გრძნობა გეუფლებათ, რომ კვლავ ესტუმროთ მას. ასე შევიყვარე მე საქართველო და გავხდი თქვენი რძალი. ახლა შორეულ ბერლინში ისევ საქართველოს მსახური ვარ მთელი ჩემი ოჯახით. ვთარგმნი საქართველოს სულის მონაწურს — ქართულ წიგნებს და მთელ ჩემს ხალხს მინდა ჩავაგონო საქართველოს სიყვარული. ამ საქმეში მე გვერდით მიდგას თავი-

სი ქართულით ჩემი ქმარი. და, ასე მსურს ხიდი გაიდოს ამ ორ ქვეყანას შორის, ამავე მიზნით ბერლინის ერთ სახლში ბუდე დავუდე ჩემს ქართველ ბიჭებს, ისინი ყოველ ზაფხულსა და გაზაფხულს მერცხლებივით გადმოფრინდებიან საქართველოში, მამულეთში, მერე ისევ ბერლინს დაუბრუნდებიან, რომ დედულეთში ამრავლონ ძმობა და მეგობრობა, მოყვარეობა და სულით ნათესაობა. თქვენ; ქართველებს, რატომღაც გეშინიათ ასეთი პრაქტიკული ნაბიჯისა და გავიწყდებათ, რომ თქვენს წინაპრებს პეტრიწონსა და ათონში, იერუსალიმსა და იტალიაში დაუდგიათ მუდმივი ბინა, იქ უცხოვრიათ, უმოღვაწეხართ და უმუშავეხართ დიდი საქართველოსათვის. ზოგიერთ თქვენთაგანს ვიწრო ორღობეებით შემოუფარგლავს საქართველოს საქმენი და მომავალი. არა, უფრო თამამად უნდა გახვიდეთ ფართო არენაზე. საერთაშორისო კონტაქტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს კი არ აუძლურებს საქართველოს, არამედ აძლიერებს, ჩემი მაგალითი ავიღოთ. თუ ამას თავის ქებათ არ ჩამომართმევთ, გეტყვით პირდაპირ. ჩვენი ოჯახი ერთგვარი საელჩოა საქართველოსი. მე ბევრი მეგობრები მყვანან: ახალგაზრდა მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები, ქართული ენისა და ისტორიის შესწავლით დაინტერესებულნი, ადრე, ქართული ლიტერატურის სპეცსემინარს ვუძღვებოდი იენის უნივერსიტეტში. ჩემი რჩევით ბევრი გერმანელი სტუმრებია საქართველოს. ზოგი მათგანის მიერ დაწერილი ქებათაქება თბილისისა, მცხეთისა, ვანის ახალი გათხრებისა თუ მსოფლიოში უნიკალური „ყინწვისის ანგელოზისა“ — გერმანელ მკითხველებს აუტაცნიათ. რასაკვირველია, ამათში გარეულა გულღვარძლიანი მოგზაური ჟურნალისტებიც. არ დაგიძალავთ და გეტყვით, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა ერთი ჟურნალისტი, ვინმე ჰანც ბეკერი, საშინელი რევანშისტული სულით მოწამლული. ჩვენ განვიზრახეთ მისი „მონათვლა“ და ვურჩიეთ საქართველოში გამგზავრებულიყო ტურისტად. თურმე თვითონაც ჰქონია ამის სურვილი და სულ მალე გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში ტურისტად. ჩვენ სავიზიტო ბარათი გამოვატანეთ გივის ბიძაშვილთან, შალვასთან. თბილისში მოხვედრილ ამ ტურისტს შალვა უხვად გაუმასპინძლდა. საქართველოდან დაბრუნებულმა კი საშინელი პასკვილი გამოაქვეყნა ჩვენს ქვეყანაზე... ნარკვევში ნათლად ვლინდება მწერლისა

თუ ჟურნალისტის პოზიცია — სული მისი ლაქიანია თუ ულაქო, შურიანი თუ კეთილის მოსურნე, თვალი მისი პატიოსანია თუ ბოროტად მზირალი. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ის გერმანელი ჟურნალისტი დაბრუნდა თუ არა, ჩვენთან მოვიდა, გაგაზიარა თავისი შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში მოგზაურობაზე, ცალკე გამოყო საქართველო, ეს მხარე ჩემთვის აღმოჩენა იყო, განსაკუთრებით აქო ქართული სტუმართმომყვარობა... ამის შემდეგ, რაც ის ასე აღფრთოვანებით გვიყვებოდა საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებაზე, ბატონი შალვას ოჯახზე, სტუმარ-მასპინძლობაზე, — როგორ ვიფიქრებდი, ეს კისერჩამძვრალი, ქერა — თმაგაპოხილი კაცი, კაცი კი არა, არაკაცი, ასე აუგად მოიხსენიებდა საქართველოს, ქართული სტუმარ-მასპინძლობის შნოსა და ლაზათს მასხრად აიგდებდა? ვერ წარმოგვედგინა. მაინც, როგორ გამოეთიშა ეგზომ სიძულვილით დაბოღმილი ეს გულბილწი რეპორტიორი საქართველოს ბუნებისა და ადამიანების სილამაზესა და ჰარმონიას, რომ მხოლოდ მანკიერებანი დაინახა და ამით უზომოდ გაიხარა. მანკიერებას სად არ იპოვი, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს სულით მართალი და გულით წრფელი ვიყოთ ქვეყნის ავკარგზე წერაში. უცხოელის თვალთ დანახულა შთაბეჭდილებებში იქნებ მანკიერების ჩვენებაც იყოს საჭირო. მაგრამ აქ პოზიციაა მთავარი. საუბედუროდ ზოგი ადამიანის სულში ისე გამჭდარა სიძულვილის გრძნობა, რომ კაცმა არ იცის, როდის და რა პირობებში გაიღვიძებს იგი. ავი განზრახვით „მოგზაურზე“ საშიში არაფერია, სიძულვილი დაუნდობლად ანგრევს ყოველივე იმას, რაც აერთებს ადამიანებს, ერებს, ტომებს, მეზობლებს... მოგზაურების აღმწერი ვალდებულია მისხალ-მისხალ სწონიდეს სიტყვას. დაკვირვებით სწავლობდეს ერის, ტომების ადათ-წესებს. რასაკვირველია, ავს ავი უნდა დაერქვას სახელად, კარგს—კარგი, მაგრამ არასოდეს ერის ზნეობრივი კოდექსის ზღურბლს არ უნდა გადააბიჯოს.

ამ უსინდისო ჟურნალისტისაგან გაღიზიანებულმა გადავწყვიტე ვთარგმნო ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“. ვაჟა კაი ყმის, სტუმარ-მასპინძლობის, ჰუმანიზმის მეაბჯრეა. მე მინდა, თუ ეს განგებამ შემძლება, გერმანელ მკითხველთა გულში ავანთო ვაჟას სულში დანთებული სანთლები — „ენთება ცეცხლი მათ გვერდით, მკრთალადა ბეჟუტავს მთაზედა; იმათ ჰმასპინძლობს

აღაზა, ჭიხვის მწვადს უწვავს ალზედა. ვაეკაცობისას ამბობენ ერთურთის დანდობისასა, სტუმარ-მასპინძლის წესზედა ცნობის და დამბობისასა“...

მე ასე მგონია, მხატვრული ნაწარმოები საინტერესოა ავტორის ჩანაფიქრის იდუმალებით. „საიდუმლოს“ ბოლომდე ამოცნობა მკითხველს უნდა მიანდო. ნაწარმოები მით უფრო მიმზიდველია, რაც უფრო ღრმაა ქვეცნობიერი საიდუმლოება. ვაეას სულის საიდუმლოებაც აქ უნდა ვეძიოთ...

ღიახ, არის გერმანიაში ბერტას ქართული ოჯახი, მაღალო სულითა და მორალით, სადაც ჩაუქრობელ ლამპრად ანთია ძმობისა და მეგობრობის სანთლები. ქალბატონი ბერტა განაგრძობს ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას. ზრდის ორ ქართველ ვაეკაცს, ქმართან ერთად ბევრს თარგმნის ქართულიდან გერმანულად. ამით საქართველოს განადიდებს. ისევე არ წყვეტს კაეშირს ჩვენს კათედრასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოსთან, ქმრის ადგილის დედასთან — ჭიათურასთან.

## სამშობლო, დედის ქუჩა...

ნიკო თორელი 1921 წელს მენშევიკების ამაღას გაჰყვა, როგორც იმ საგანგებო რაზმის წევრი, მენშევიკების მიერ გატანილი განძის დაცვა რომ ევალებოდა. მას შემდეგ, რაც მენშევიკების მთავრობამ პარიზთან ახლოს სოფელ ლევილში 1922 წელს მამული და ორსართულიანი სახლი შეიძინა, ამ სახლში თორელს ექვთიმე თაყაიშვილის, დიდი ქართველის, საქართველოდან გატანილი განძის, ამ დიდი ეროვნული საუნჯის მცველისა და პატრონის გვერდით ერთი ოთახი უბოძეს. ფრანგულ სოფელ ლევილში — ამ ქართულ კოლონიაში, ახალგაზრდა და მოხდენილი ნიკო თორელი ყველას ყურადღებას იქცევდა. არც პარიზელი ქალიშვილები იყვნენ გულგრილნი მის მიმართ. როცა სამშობლოში დაბრუნების იმედი გადაიწურა და სამსახურიდანაც დაითხოვეს, 1925 წელს, ნიკომ პარიზელ მდიდარ, მაგრამ მასზე დიდად უფროს ქალზე დაიწერა ჯვარი...

დრო გადიოდა. დაცხრა ახალგაზრდობის ვნებანი, არც ძე ეყოლა და არც ასული თორელთა გვარის გამგრძელებელი. მობეზრდა ეს ხნიერი ცოლიც და არ იცოდა რა გზას დადგომოდა. სწორედ ამ დროს ჰიტლერმა ომის ხანძარში გაახვია მთელი ევროპა, მალე საფრანგეთიც დაიპყრო. სულ მალე თავი იჩინა ფრანგულმა პატრიოტიზმმა და შეიქმნა „მებრძოლი საფრანგეთის ეროვნული კომიტეტი“, ამის გვერდით გაჩნდა საბჭოთა ტყვეების კომიტეტი. მათ შორის იყვნენ ქართველი ტყვე ჯარისკაცებიც, რომლებიც თორელმა ექვთიმე თაყაიშვილის მეშვეობით გაიცნო და სულ მალე დაუმეგობრდა მათ. ყოველდღე საქართველოზე და თბილისზე იყო საუბარი. ამ შეხვედრებმა მიძინებული ტკივილი განუახლეს თორელს. ახლა ყოველ ღამე სიზმრებში ხედავდა ხან თბილისს, ხანაც მამისეულ კერას მესხეთში. მოსვენებას უკარგავდა ფიქრებად ამოზიდული მესხეთის ალუბლების ღიმილი და ტირიფების შრიალი, მესხეთის ძველის-ძველი ციხე-კოშები და მონასტრები, თო-



რელთა წყაროს წყალი.. ახლა მიხვდა, რად უხაროდა ამ ტყვე, ქართველ ჯარისკაცებთან შეხვედრა. რარიგ ამშვენებდა ამ ქართველ ჯარისკაცებს ეს ფანტიკური სიყვარული მამული-სადმი!

„არა, უბედურია მამულს მოწყვეტილი კაცი“ — ოხვრით აღმოხდა იმ დღეს თორელს. აბა, ვის გაუხარია სამშობლოს გარეთ. შენი სამშობლოს გარეთ ყველაფერი მოჩვენება და მოსაწყენია. „სამშობლო, დედის ძუძუ არ გაიცვლების სხვაზედა“ — რა გულდამწვარად ამბობდნენ გუშინ ის ქართველი ჯარისკაცები. მოაგონდა იმ დღეს ტყვე ჯარისკაცის, ყველაზე ახალგაზრდა ყმაწვილკაცის ნათქვამი სიტყვები:

— არა, სხვა საქართველო არსად არის. ის ერთადერთი საფიცარია ჩვენი, ჩვენს საქართველოში მზეც სხვანაირად ამოდის და მთვარეც სხვანაირად ანათებს. იქ ცაც საარაკოა და ბარიც, მთაც და მინდორ-ველიც. მთაწმინდიდან თბილისის ერთ გადახედვას არ გავცვლიდი მთლად ამ დიდებულ პარიზზე. ერთ დღესაც არ ვიცოცხლებდი, რომ არ მქონდეს სამშობლოში დაბრუნების იმედი. დედაო საქართველო, შენ მოგვეც ძალა და გამძლეობა, ვიდრე კვლავ გიხილავდეთ.

სამშობლო თბილი და უშორესი, თავისკენ ეძახდა ახლა თორელსაც, მაგრამ იჭვი ღრღნიდა მის სულს — იქნებ საქმშობლოში დაბრუნებისთვის ზრუნვა დააგვიანა. იქნებ ახლა ამაზე ფიქრი და ოცნება ამაოა. ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო, მწარედ აღმოხდა თორელს. არა, სამშობლო მიმიღებს და მამატიებს ჩემს ყმაწვილურ ცოდვას, რამეთუ სრულად არ მქონდა შეცნობილი, რა არის მამული. მომიტევებს მე ჩემი საქართველო. და ისევ თვალწინ დაუდგა ლურჯი მტკვარი და თეთრი ვარძია. მთლად გამოცვალეს თორელი ამ ტყვე ქართველმა ჯარისკაცებმა, განუახლეს ძველი იარა მშობლიურ ქვეყნისა. სამშობლოზე ფიქრმა და მწუხარებამ იგი განუყრელად დააძმობილა ამ ქართველ ტყვე ჯარისკაცებთან. და ელოდა წამითი წამით რამე სასწაულს.

— არაა როგორაა რომ ეს ტყვე ქართველები ისევ ტყვიას უშვერენ მკერდს და ლომივით იბრძვიან ჰიტლერელების წინააღმდეგ ამ უცხო ქვეყანაში, რომ იქ, სამშობლოში, საქართველოში, დაბრუნების უფლება დაიმსახურონ. მე, რა მო-

მივიდა, რატომ უნდა ვიყო სხვაზე ნაკლები ქართველი? — ეკითხებოდა თავის თავს.

საბჭოთა არმია ძლევამოსილად წინ მიიწევდა და ბერლინს უახლოვდებოდა. ახლა ყოველ პატრიოტ ფრანგს სტალინის სახელი პირზე ეკერა...

მეორე დღეს სოფელ ლევილს ეწვია და ექვთიმე თაყაიშვილი მოიკითხა. თორელმა საბოლოოდ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება და რჩევისათვის ახლა სწორედ ამ დიდ ქართველთან მიდიოდა. აქ გაიგო, რომ საფრანგეთის დე გოლის მთავრობას საქართველოსათვის დაუბრუნებია ის ეროვნული საუნჯე, რომლის მცველი ერთ დროს თორელიც იყო და თვით ბატონი ექვთიმეც ამ განძთან ერთად გამგზავრებულა სამშობლოში. ამ ამბის შემცნეს თავბრუ დაეხვა. გონს რომ მოეგო და საქმის ვითარებაში გაერკვია, მტკიცედ გადაწყვიტა ბატონ ექვთიმეს გზას გაჰყოლოდა, საქართველოში დაბრუნებულიყო, რადაც უნდა დაჟდომოდა.

ლევილში ექვთიმეს ერთგული მეგობარი გიორგი გეგელია ევულებოდა. სწორედ მას მიადგა და თავის გადაწყვეტილება სამშობლოში დაბრუნების შესახებ გაანდო. გიორგი გეგელია საბჭოთა ტყვე პარტიზანელების მეთაური იყო და ლომივით იბრძოდა ფრანგი პატრიოტების გვერდით, პიტლერების წინააღმდეგ და ახლა დიდი ნდობით სარგებლობდა საბჭოთა წარმომადგენლობაში. გეგელიამ მოუწონა განზრახვა თორელს და თან დასძინა, ჩვენებიდან სხვებიც ემზადებიან სამშობლოში დასაბრუნებლად და ამის თაობაზე განცხადებებიც შეიტანეს საბჭოთა საელჩოშიო. გუშინ საქართველოდან მოვლინებული კაცი ჩამოვიდა, ქართველ ემიგრანტებთან მოსალაპარაკებლად, თუ გინდა მოდი ხვალ და მე შეგახვედრებ იმ კაცსო.

სიხარულით ცას ეწია თორელი. შეთანხმდნენ, ხვალ საბჭოთა საელჩოში შეხვედროდნენ ერთმანეთს. სამშობლო სიზმარივით მდევარი შინ უხმობდა და თორელიც ჩქარობდა.

ქართველების კოლონია პარიზიდან 28 კილომეტრის მოშორებით იყო, თორელი გეგელიას დაცილდა თუ არა, იქვე ტაქსში ჩაჯდა. სოფელს ორი კილომეტრით არ იყვნენ გაცილებულნი, მძღოლმა მანქანა ავტობუსთან დაჯახების შიშით ერთბაშად ისე დაამუხრუჭა, რომ ელვის სისწრაფით მანქანის კარი გაიღო და თორელი შუა ასფალტზე მოისროლა, უკანიდან მო-

მავალმა მანქანამ კი ზედ გადაურა. სულთმობრძავი თორელი საავადმყოფოში მიიყვანეს. მთელ ღამეს აგონიაში მყოფ თორელს სამშობლო აბოდებდა. მამა ეძახდა, უსაყვედურებდა, შ.ნ უნმობდა. მე თუ არ გეცოდები, დედა მაინც გეცოდებოდეს, უპატრონოდ მიტოვებული, ჩვენ ხომ შენს მეტი არავინ გყავდა. რად დაგვაგდეო ასე უპატრონოდ. ახლა დედა დაუდგა თვალწინ, დედა ევედრებოდა, რა დაგრჩენიაო უცხოეთში, ნუ დაივიწყებ შენი ადგილის დედას...

— არა, ახლა კი ნამდვილად მოვალ დედი, მელოდეთ. უსათუოდ მოვალ. მესმის თქვენი ძახილი ჩემო კეთილებო, ძმებო, მეზობლებო, ჩემო მესხეთო, ცაო ქართულო, ზურმუხტო მთებო! შენ დედა ჩემო და მამა ჩემო, შენც სამშობლო ჩემო, ვიცი მაპატიებთ და მიმიღებთ მამულის სიყვარულით გატანჯულ შვილს. იცოდეთ, რომ მე მამულისათვის არასოდეს მიღალატია, მე პირნათელი და ხელნათელი დაგიბრუნდებით... რა ძნელი ყოფილა უსამშობლოდ ყოფნა!

ესა თქვა და სახეზე ღიმილი გადაეფინა.

ახლა ახალმა მოლანდებამ გამოანათა. ეს ხათუნა იყო, თბილისელი ხათუნა. ნიკა და ხათუნა ერთად სწავლობდნენ თბილისში, ერთ მერხზე ისხდნენ და სიყვარული სწვავდათ წრფელი. შემდეგ ბედმა ასე უკულმართად გაჰყარა ისინი. სწორედ ხათუნა გამოეცხადა ახლა სიკვდილის წინ თორელს. მოეფერა მომაკვდავს, თან უსაყვედურა: რად ჩაქრაო შენს სულში ჩემი სხივი სიყვარულისა, სიწმინდე და სიფაქიზე სიყმაწვილის დღეებისა. როგორ გამცვალე ვიღაც გადამთიელზე. ჩემს გულში კი ისევ ღვივის ის წმინდა სიყვარული, ამ სიყვარულში დავბერდი კიდევ... ეს ოხერი გული ისევ შენს მოლოდინშია. ო, რა ბედნიერება და დღესასწაული იქნება, ერთხელ კიდევ რომ გიხილო თუნდაც შორიდან. ჩვენს საფიცარ მამულში — ეს თქვა და გაქრა მოლანდება. თორელს გული ვარამით აევსო და მოჩვენება ყრმობის დღეებისა სულს უმღვრევდა, გულს უთუთქავდა... ისევ გუგუნებენ ორბისა და არწივის საბუდარი ლურჯი მთები მესხეთის, ესმის ხმაური მტკვარის, ვარძიასთან ჟღერტულებენ ვერხვები... ესმის, ესმის, ეს სიმღერაა საქართველოსი აჰა, მოვდივარ, აი მოვდივარ და... ვჩვენება, რომ უკვე თბილისის აეროდრომზეა, პირქვე მიწაზე დაემხო, პატარა ბავშვივით აზლუქუნდა, მთლად ცრემლით დააღბო

მიწა ქართული, სამგზის ეამბორა, მერე ხელები ზეაღმართა და მოთქმით წარმოთქვა: მადლობა ღმერთო, რომ მეღირსა კვლავ უენი ნახვა ღვიძლო დედაო, მიწავ მშობელო... ადგა, წელში გაიმართა და ხედავს მისკენ მორბის ხათუნა, თმაშე-ვერცხლილი, თეთრ კაბაში გამოწყობილი ქართული ვარდებით ხელში... თორელმა სცადა ხელები გაეშალა და გადახვეოდა სასურველ არსებას, მაგრამ ამოდ...

გამთენიისას მამულის ძახილში და თბილ და უშორეს ლან-დებთან დიალოგში გათავდა აგონიაში მყოფი თორელი...

მეორე დღეს ამოდ ელოდა გეგელია თორელს პარიზის საბჭოთა საელჩოში...

თორელის გვამი სოფელ ლევილში, ქართველთა საძვლე-ში, ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლის გვერდით მიაბარეს ქარ-თველების მამასისხლად ნაყიდ მიწას; საფლავის ფიქალზე წააწერეს, „სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვა-ზედა...“

## „საქართველოდან“ დანახული ზღვა და ხმელეთი

ეს იყო 1957 წლის ივნისში. თბილისის აეროპორტზე სამ-  
ნი ვიყავით. სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი და მე. სამივეს  
ერთი გზა გვექონდა, გზა შორეული...

არის მოგზაურობა, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში დიდ  
კვალს სტოვებს, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს, და ეს  
შთაბეჭდილება მას მუდამ თან დაჰყვება, როგორც კარგი მო-  
გონება ადამიანის თვალით ნახულისა. ასეთი იყო ჩვენი მოგზა-  
ურობაც ევროპის გარშემო გემით — „საქართველო“. ხომალდ-  
ზე 850 საბჭოთა ადამიანი: მეცნიერი, მწერალი, ექიმი, პედა-  
გოგი, მუშა თუ კოლმეურნე ვიყავით; სხვადასხვა პროფესიის,  
მაგრამ ერთი მიზნით და ერთი განზრახვით გემის კაიუტებში  
თავმოყრილი საბჭოთა ადამიანები, რომელთაც გვსურდა ჩვე-  
ნი საკუთარი თვალთ გვენახა საზღვარგარეთული ქალაქები,  
გავცნობოდით მათ ცხოვრებას, ისტორიულ წარსულს, არქი-  
ტექტურულ ძეგლებს თუ ფერწერის ხელოვნების უკვდავ ნი-  
მუშებს. თვალთ გვენახა ის, რაც წიგნში ამოგვიკითხავს და  
გაგვიგონია.

ლენინგრადში — ოქტომბრის რევოლუციის ამ აკვანში, სა-  
ბჭოთა ტურისტები, — ქართველი ტურისტების ერთი ჯგუფი,  
10 ივნისს ჩავედით. ჩვენი გემი ბალტიის ყურეში იდგა.  
ლენინგრადელები თავისი საყვარელი ქალაქის 250 წლის-  
თავის იუბილესათვის ემზადებოდნენ. ქალაქის უმთავრესი  
შენობები, ისტორიული არქიტექტურული ნაგებობანი რემონ-  
ტის შემდეგ ხარაჩოებისაგან თავისუფლდებოდა. ასუფთავებ-  
დნენ ლენინგრადის ფართო, ლარივით ქუჩებს, საზეიმო გან-  
წყობილება სუფევდა საბჭოთა კავშირის ამ უდიდეს და უბრ-  
წყინვალეს ქალაქში — ლენინგრადში. გემი ლენინგრადიდან 12  
ივნისს გადიოდა. ქართველი ტურისტების განკარგულებაში  
ორი დღე იყო, რათა ერთხელ კიდევ დაგვეთვალიერებინა  
ლენინგრადის ისტორიული ადგილები და მისი ხელოვნების

უდიდესი ძეგლები. ჩვენ ვიყავით სმოლნში, ვნახეთ ის ოთახი, სადაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში მუშაობდა და ხელმძღვანელობდა საყოველთაო-სახალხო აჯანყებას დიდი ლენინი. ვნახეთ ლენინის მუზეუმი, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს ჩვენი პარტიის, მისი დიდი ბელადის ლენინის, მისი თანამებრძოლების რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. დავათვალიერეთ ცნობილი ისტორიული შენობა — თავრიზის სასახლე. ეს ერთი უდიდესი დარბაზთაგანია, რომელიც კი ჩვენ გვინახავს ევროპის დიდსა თუ პატარა ქალაქებში. რუსეთის იმპერიის ამ სააქტო დარბაზში ილია ჭავჭავაძემ 1906 წელს საჯაროდ ხმა აღიმადლა თვითმპყრობელობის კანონის წინააღმდეგ, ადამიანის მკვლელობის, ჩამოხრჩობის წინააღმდეგ. ეს იყო 1905 წლის რევოლუციის მქუხარე დღეების მომდევნო წელი. საქართველოს უდიდესმა შვილმა, ილია ჭავჭავაძემ, თავისი მებრძოლი ხმა თავისუფლებისათვის თავდადებულთა ხმას შეუერთა, მაგრამ ვაი რომ თვით ილია ჭავჭავაძეს ერთი წლის შემდეგ ყაჩაღურად გული გაუგმირეს!..

ლენინგრადში ჩვენ დავათვალიერეთ პეტრე I-ის სასახლე ნევისპირა ბაღში და ნევისგაღმა ხის ის პატარა სახლი, რომელიც პეტრე I-ს ეკუთვნოდა და, საზოგადოდ, პეტერბურგში პირველი სახლი იყო. ვათვალიერებდით ამ პატარა სახლს და გაოცებულები ვიყავით: რა უბრალოდ ცხოვრობდა თურმე ეს ბუმბერაზი ისტორიული პიროვნება ამ პატარა სახლში, რომლის სიმაღლე ორ მეტრსაც არ უდრის...

დავათვალიერეთ ლენინგრადის ცნობილი ხელოვნების მუზეუმი, „ერმიტაჟი“, რომელიც თავისი უხვი ექსპონატებით, ხელოვნების უკვდავი ნიმუშებით მსოფლიოს არც ერთ დიდ მუზეუმს არ ჩამოუვარდება...

ამ ახალი შთაბეჭდილებებით გაცოცხლებული ლენინგრადი თავისი ისტორიული შესანიშნავი ადგილებით და ძეგლებით კვლავ აღსდგა ჩვენს ცნობიერებაში, თითქოს ეს იყო წინასწარ მომზადება ტურისტებისა ევროპის ქვეყნების სანახავად.

12 ივნისს, ღამის 12 საათზე, გემი „საქართველო“ („გრუზია“) ნევიდან, ბალტიის ყურეთი, ბალტიის ზღვაში შეცურდა, კურსი ჰელსინკისაკენ აიღო. ფინეთის დედაქალაქში, ჰელსინკიში, ჩვენ ჩავედით მეორე დღეს, დღის ორ საათზე. ჩვენს და-

სახვედრად მრავალი ფინელი მოსულიყო. ისინი მოგვეგებნენ ხელების ქნევით, ხმამაღალი შეძახილებით, ტაშით. გემი გაჩერდა. რვაას ორმოცდაათმა საბჭოთა ტურისტებმა ფინეთს მიწაზე დაადგა ფეხი. სახელდახელო სიმღერები და ცეკვები გაიმართა. ეს იყო ჩვენი მოგზაურობის პირველი გულთბილი შეხვედრა მასპინძლებთან ევროპაში.

ერთი საათის შემდეგ ჩვენთვის დანიშნული სპეციალური ავტობუსებით ქალაქის დათვალიერებას შევეუდგეთ. ვნახეთ ჰელსინკის სტადიონი, იგი 50 ათას მაყურებელს იტევს. ამ სტადიონზე 1956 წელს ოლიმპიური მსოფლიო შეჯიბრება გაიმართა. იგი ერთი ულამაზესი სტადიონთაგანია მსოფლიოში, ცამდე აზიდული დიდი სვეტებიანი კოშკით. კოშკის სიმაღლე 72 მეტრია, აქედან თითქმის მთელი ფინეთი მოჩანს. ვნახეთ მემანქანე ბლუმკვისტის სახლი, სადაც 1917 წელს, დიდი ოქტომბრის წინა დღეებში ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა. დაწვრილებით დავათვალიერეთ სეიმის შენობა: მისაღები, სხდომათა დარბაზი, სეიმის ეს შენობა, რომელიც საინტერესო არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს, 1926 წელს აუშენებიათ.

ფინეთი შედარებით პატარა ქვეყანაა, მისი დედაქალაქი ჰელსინკი 4 საუკუნისაა. ქალაქი შედგება ძველი და ახალი ნაწილისაგან. ახალი ქალაქის ნაწილში უმთავრესად გვხვდება სამსართულიანი ლამაზი შენობები და ნაგებობანი. როგორც ეს ზღვისპირა ქალაქებისათვის არის დამახასიათებელი, ჰელსინკიც განსაკუთრებული სისუფთავითა და სიფაქიზით გამოირჩევა. ჩვენ ევროპაში 11 ქალაქი ვნახეთ და უნდა ვთქვათ, რომ ასე სუფთად მოვლილი ქუჩები, სკვერები და მოედნები არსად გვინახავს. ჰელსინკში ვესტუმრეთ უმაღლეს სასწავლებლებს, საშუალო სკოლებს, საღამოს კი ე. წ. ამერიკული ატრაქციონის სანახავად მიგვაწვიეს. პირველად აქ ვიგრძენით ბურჟუაზიული ყოფის, მორალის, ცხოვრებისა და გართობის დამახასიათებელი ნიმუშები. ბევრი რამ იყო მასში საინტერესო და მოსაწონი, მაგრამ ბევრი ისეთი რამეც ვნახეთ, რაც კაპიტალისტური ცხოვრების მორალს ახასიათებს. ატრაქციონის ერთ შენობაში, რომელსაც „ტირს“ უწოდობენ, ასეთი სურათი ვიხილეთ: შედიხართ საკმაოდ მოზრდილ დარბაზში, სადაც 100-150 კაცი დაეტევა. დარბაზის პირდაპირ კედელზე ორი დიდი ბაღეა დაკიდებული. ორივე ბაღეში ულამაზესი შიშველი ქა-

ლები ისხდნენ. ბადეს უერთდება გრძელი მავთული, რომლის ბოლოზე სასროლი სანიშნო აქვს გაკეთებული. შემსვლელები იღებენ ბილეთს და თოფით ესვრიან ამ სანიშნოს: თუ ნიშანში მოახვედრეთ, ბადე იხსნება და ერთ-ერთი ულამაზესი ქალი ქვევით, აუზში ვარდება; „მოგება“ მსროლელს რჩება, და თუ ააცდინეთ, შემოსავალი იმ შიშველი ქალისაა, რომელიც ამ ბადეში ზის. „გასართობში“ ჩვენ დავინახეთ კაპიტალისტური ცხოვრების დამაფიქრებელი დეტალი. ამ ორ ულამაზეს ასულს, რომელთაც ბუნებისაგან ყველაფერი ჰქონდა მინიჭებული, საკუთარი სხეული თუ სილამაზე შემოსავლის წყაროდ გაუხდია. მსგავს სურათს ბურჟუაზიულ ქვეყნებში ხშირად წააწყდებით.

აქვე ვნახეთ ამერიკული ატრაქციონი ანუ ჩვეულებრივი ცირკის ნომრები. ჩვენი ატრაქციონისაგან განსხვავებით ამ ნომრების შემსრულებლებს არავითარი გარანტია სიცოხლის დაცვისა არა აქვთ. ე. წ. „დასაცავ ბადეებს“ ამერიკელები არ ხმარობენ. ცამდე აზიდულ ძელზე, რომელსაც თვალს ძლივს მიაწვდენდით, ორი ვაჟი და ქალი იყო დაკიდებული. დიდის ოსტატობით ასრულებდნენ ისინი ნომრებს, მაგრამ საშინელი შიშის გრძნობა გვიპყრობდა: საკმარისია ეს ადამიანები მოწყდნენ ძელს, და მათი სიცოცხლეც იქვე დასრულდება. აქ სხვა გასართობიც ვნახეთ: „მოგზაურობა სამოთხეში მანქანებით“, „სიცილის ოთახი“, „საიდუმლო სერობა“ და სხვ. გვიან სადამომდე დავრჩით ჰელსინკის ამალღებულ გორაკზე, სადაც ეს ამერიკული სანახაობანია გამართული.

ლამის 12 საათზე ჩვენმა გემმა კურსი ბელგიისაკენ აიღო. 4 დღე მთავრდებოდა გემი ტალღებს. ლურჯად მოლივლივე ეს ვეებერთელა თვალუწვდენელი ველი არ თავდებოდა. 4 დღე გავტყუროდით ჰოლანდიის, შვედეთის, დანიის სანაპიროებს. წინა ტურისტული გეგმისაგან განსხვავებით, ჩვენ არ გაგვივლია არც შვეიცარიისა და არც ჰოლანდიისაში. მეოთხე დღეს, დილით, დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ვიყავით, ნავსადგურ კილში შევჩერდით. აქედან იწყება ცნობილი კილის არხი, რომლის სიგრძე 98 კილომეტრს უდრის, ხოლო სიგანე 105 მეტრამდე აღწევს. საუცხოო სანახაობაა (არხი აერთიანებს ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვებს). კილის არხი ისე პატარა მოჩანს, რომ უნებლიეთ გავიფიქრეთ — ჩვენებურ, მოზრდილ



მდინარეებს არ აღემატებაო. არხს მარჯვნივ და მარცხნივ გასდევს გოთური სტილით ნაგები გერმანელთა საცხოვრებელი სახლები, ლამაზად მოვლილი ეზოებითა და ბაღ-ვენახებით. რამდენიმე ადგილას გემის ანძაზე მაღალ, ნაპირებს შორის გაჭიმულ რკინის ვეებერთელა ხიდებქვეშ გავცურეთ. ერთ-ერთ ასეთ დიდ ხიდზე გასვლის დროს დასავლეთ გერმანიის ომის გამჩალებლებმა თავზე გადმოგვაყარეს პროვოკაციული ხასიათის პროკლამაციები. ეს იყო პირველი პროკლამაციები, რომლითაც შეხვდა ბურჟუაზიული ევროპა ჩვენს გემს. კილის არხიდან გავდიოდით, როდესაც ერთმა გერმანელმა პოლიციელმა მუცელზე ხელის მიდებით გვანიშნა: დამთავრდა თქვენი მშვიდობიანი მოგზაურობა, ჩრდილოეთის ზღვაში შეხვალთ და ნახავთ, რა დღე დაადგებათ თქვენს მუცლებსო. ჩრდილოეთის ზღვამ გერმანელი პოლიციელის ეს მუქარა თითქოს გაამართლა. ცუდი დღე დაადგა ჩვენს ტურისტებს. 20 ივლისს დღის 12 საათზე უკვე გავცურეთ ჩრდილოეთის ზღვა და შევედით მდინარე შელდაში. შევედით და ერთბაშად შეწყდა ჩრდილოეთის ზღვის დელვა. მდინარე შელდას შესასვლელთან შემოგვხვდა ბელგიელი ლოცმანი, რომელმაც ჩვენი გემი შეიყვანა ნავსადგურ ანტვერპენში.

9 საათზე ანტვერპენში ვიყავით.

ანტვერპენი სიდიდით ბელგიის მეორე ქალაქია და ერთ-ერთი უდიდესი პორტი მსოფლიოში. ანტვერპენი პირველად მოხსენებულია მეშვიდე საუკუნეში. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროს (15-17 საუკუნე) ანტვერპენი სავაჭრო ცენტრად იქცა ევროპაში. ამავე საუკუნეებში იგი იყო მხატვრული შემოქმედების დიდი ცენტრი ფლანდრიისა. იგი ახლაც მთელ მსოფლიოში ცნობილია ძველი ფლამანდური ხელოვნების ნიმუშებით.

ანტვერპენიდან ჩვენ გავემგზავრეთ ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში. ისე, რომ ანტვერპენის დათვალიერება დაბრუნებისათვის გადავდეთ. ანტვერპენი ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელთან შეერთებულია რკინიგზით, ვანმელბერგის არხით და დიდი საავტომობილო გზით. ჩვენ ავტობუსებით გავემგზავრეთ. გზად ბრენდონკის საკონცენტრაციო ბანაკი გავიარეთ, სადაც გერმანელები ხვრეტდნენ მეორე მსოფლიო ომის წლებში პატრიოტ ბელგიელებს. ეს მოედანი გარშემოვლებულია დიდი

რკინის მავთულებით (ფართობი 110 მეტრის მოცულობისა) და მუზეუმის მსგავსადაა დაცული, როგორც ჰიტლერული ბოროტ-მოქმედების ნაკვალევი. ბრიუსელისაკენ მიმავალმა ტურისტებმა გზად გავიარეთ ის ადგილი, სადაც 1958 წელს მოეწყო დიდი საერთაშორისო უნივერსალური გამოფენა, რომელიც თავისი მასშტაბით პირველი იყო 1939 წელს ნიუ-იორკში მოწყობილი გააოფენის შემდეგ. ჩვენ ვნახეთ ამერიკელების, ინგლისელების, ფრანგებისა და საბჭოთა კავშირის პავილიონების პირველი კონტურები (საბჭოთა გამოფენის ტერიტორია ამერიკის ტერიტორიის პირისპირაა), ოღონდ იმ დღეს, როდესაც ჩვენ გავიარეთ, აქ მუშაობა არ წარმოებდა. მთელ ბელგიაში გამოცხადებული იყო მუშა-მშენებლების გაფიცვა. ისინი მოითხოვდნენ პირობების გაუმჯობესებას, ხელფასის გადიდებას. თვით ქ. ბრიუსელში წავაწყდით ქუჩაში თავმოყრილ გაფიცულ მუშებს, რომელთაც შრომის მინისტრი და მშენებელთა დირექტორი სიტყვებით მიმართავდნენ.

გზად, ბრენდონკის მახლობლად, ვნახეთ დიდი ქანდაკება კონსტანტინ მენიეს რომელსაც ჰქვია „შრომა“. ეს სკულპტურა 1905 წელს არის შესრულებული.

მენიემ, ბელგიური ხელოვნების გამოჩენილმა წარმომადგენელმა, საზოგადოდ პროლეტარიატის ბრძოლასა და შრომას მიუძღვნა თავისი უკვდავი ქანდაკებანი.

11 საათზე ჩვენ ბრიუსელში ვიყავი. ბრიუსელი, გვიხსნის გიდი, პირველად ისტორიაში მოხსენებულია მე-8 საუკუნეში. მე-11 საუკუნეში კი ბრიუსელი დიდი სავაჭრო ცენტრი ხდება. მე-16 საუკუნისათვის ბრიუსელი იყო დედაქალაქი ნიდერლანდებისა, რომლებიც დიდხანს იმყოფებოდნენ ჯერ ესპანეთის, შემდეგ ავსტრიის სახელმწიფოს ბატონობის ქვეშ. მხოლოდ 1830 წელს ხდება ბრიუსელი დამოუკიდებელი სამეფო ქალაქი ბელგიისა. ქალაქის ცენტრში ჩვენ ვნახეთ დიდი მოედანი, ქალაქის რატუშა აშენებულია მე-15 საუკუნეში, რომელსაც აქვს დამახასიათებელი გოთური ფასადი და დიდი კოშკი. ეს კოშკი 96 მეტრი სიმაღლისაა, მასზე დგას წმ. მოშელის ქანდაკება 5 მეტრი სიმაღლისა. ბრიუსელში დავათვალიერეთ აგრეთვე კომუნალური მუზეუმი, რომელსაც მე-17 საუკუნის არქიტექტურული ძეგლები ამშვენებს. სენას მარცხენა მხარეს ვნახეთ მეფის სასახლე და პარლამენტი. დავა-

თვალთვრებით ხელოვნების, ეთნოგრაფიული მუზეუმები, ბირჟის სასახლე, წმინდა მოშელის ტაძარი. ვნახეთ უცნობი ჯარისკაცის საფლავი. „მეფის სასახლის პარკშია“ აგრეთვე ბიუსტი პეტრე დიდისა. იგი აუგიათ 1717 წელს პეტრე პირველის ბრიუსელში ყოფნის აღსანიშნავად. საღამო ხანს უკან დაბრუნდით ანტვერპენისაკენ, ამჟამად უკვე სუავენის ტყის მიმართულებით, ტერვიურენის ხეივნის გავლით გზად უნდა გვენახა ქალაქი მალინი. ამ ქალაქში ვნახეთ რატუშა და წმ. რომბოს ტაძარი 97 მეტრის სიმაღლისა. ტაძრის სამრეკლოზე 49 ხარი რეკდა. ესაა ცნობილი მალინის ხარები (გზად გამოვიარეთ საგაზაფხულო რეზიდენცია რუბენსისა). წმ. რომბოს სადინასტიო ტაძარი აშენებულია მე-12-13 საუკუნის დასაწყისში. აქ ჩვენი ტურისტების პატივსაცემად ტრადიციული მალინის ხარების რეკვა-სიმღერა მოვისმინეთ. როგორც აგვიხსნეს, უკრავდა 75 წლის მათია ვან დე გენი. მათი საგვარეულოს ხელთ ყოფილა ეს პროფესია შთამომავლობით გადმოსული. ექსტაზში შესული ეს ბერიკაცი თავდავიწყებით რეკდა ხარებს. ჯერ წვრილ ხმაზე პატარა ხარების რიგი აწრიალდა, შემდეგ მას მსხვილი ხარების გუგუნე აჰყვა, უფრო გვიან უფრო ბოხი ბანები აგუგუნდნენ და მე უნებლიეთ მომაგონდა კ. გამსახურდიას ცნობილი ნოველა „ხარების გრიგალში“.

მეორე დღეს ქალაქი ანტვერპენი დავათვალიერეთ. აქ ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრო მე-15 საუკუნის სვეტებიანმა წმ. ქალწულის დიდებულმა ტაძარმა. ანტვერპენი განსაკუთრებით მდიდარია ხელოვნების ძეგლებით. იგი მსოფლიოში მესამე პორტია, ლონდონის და ჰამბურგის შემდეგ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩვენზე მაინც რუბენსის სახლმა მოახდინა. ორი სახლია აქ ერთმანეთს მიდგმული დიდი ეზოთი. ერთ-ერთ მათგანში გარდაიცვალა რუბენსი 1640 წ. 30 მაისს (ახლა ამ ქუჩას რუბენსის ქუჩა ჰქვია). ეზო შემკობილია დიდი ქანდაკებებით, მაღალი გემოვნების რუბენსის პორტრეტებით, რომლებიც შესრულებულია მისი მოწაფეების მიერ. აქ ნახავთ ვან დეიკის, იორდანის, სნეიდერის და სხვათა მიერ შესრულებულ პორტრეტებს და სურათებს. რუბენსი, როგორც ცნობილია, ახალგაზრდობისას ერთ ხანს ცხოვრობდა იტალიაში. შემდეგ მუდმივად დამკვიდრდა სამშობლოში, ანტვერპენში, და აქ შექმნა ყველაფერი ის, რაც უკავშირდება ამ უკვდავი ხელოვანის უკვდავ სახელს.

ფლამანდიელი ფერწერის ოსტატის რუბენსის სურათები მთელი მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებსა და სასახლეებს ამშვენებენ. ჩვენ გვქონდა ბედნიერება გვენახა მისი სურათები: ლენინგრადის ერმიტაჟში, პარიზის ლუვერში, იტალიისა და საბერძნეთის მუზეუმებში, მაგრამ ყველაზე წარუშლელია ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენზე მოახდინა იმ სახლის ნახვამ, სადაც იწერებოდა ფერწერის ეს უკვდავი ნიმუშები. ამ სახლში ყველაფერი აღდგენილია ისე, როგორც მაშინ ცხოვრობდა ეს დიდი მხატვარი და მისი მეორე ცოლი ელენე ფოურმენი, რომლის მისეკვით გამოსახა მან მრავალრიცხოვან ქალთა გალერეა თავის უკვდავ სურათებში.

ანტვერპენიდან გამოვედით 22 ივლისს, დღის 11 საათზე. პორტიდან ბელგიელებმა გულთბილად გამოგვაცილეს. მდ. შელდის შესართავით ისევ ბელგიის ტერიტორიულ წყლებში გამოვედით და კურსი საფრანგეთისაკენ ავიღეთ. ჰოლანდიის სანაპიროების შემდეგ პა-დე-კალეში შევედით, საიდანაც შეუიარაღებელი თვალითაც ვარჩევთ ინგლისის სანაპიროებს (ქალაქი დუვერიც მოჩანდა). ეს ადგილი ლა-მანშის სრუტის ყველაზე ვიწრო ყელია, სადაც ზღვა ინგლისისა და საფრანგეთის მიწას ჰყოფს. მათ შორის მანძილი 32 კმ-ია. სწორედ ეს ადგილი გადალახა ინგლისელმა კოკლმა გენიოსმა, რომანტიკული აღზნებისა და სულის განუმეორებელმა მხატვარმა ბაირონმა ცურვით. უკვე დამდებოდა, როდესაც პა-დე-კალეს გავცილდით და საფრანგეთის ტერიტორიულ წყლებში შევცურდით.

23 ივნისს, დღის 6 საათზე საფრანგეთის ნავსადგურ ჰავრში ვიყავით. ეს-ეს იყო თენდებოდა, პორტში მუშები და პოლიციის მოხელეები გამოჩნდნენ. რამდენიმე წუთი და ჩვენს გემს შეუერთეს ხიდი, რომლის გვირაბში 850 ტურისტის 15 წუთში გავიდა. ჰავრიდან სპეციალური მატარებლით პარიზისაკენ გავემართეთ. ჩვენს თვალწინ გადაიშალა საფრანგეთის ბუნება, და როგორ ჰგავდა იგი საქართველოს თავისი გორაკებით, ხშირი ტყეებითა და ბუჩქნარებით, სიმინდის ყანებით (რომელსაც ხშირად პურის ყანები სცვლიდა), ბალ-ვენახებითა და წყალუხვი მდინარეებით; განსაკუთრებით ვენახებმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ხშირ დაბლარს სცვლიდა მაღლარი, გურიისა და სამეგრელოს ადესისა თუ იზაბელას ჯიშის მავ-

ვარი. სამ საათს მიჰქროდა ჰავრიდან პარიზამდე ჩქარი მატარებელი. სენა გადავლახეთ და ჩვენი მატარებელი გაჩერდა პარიზის ვაგზალ სენ-ლაზარეში. წმ. ლაზარეს სადგურში გარს შემოგვეხვივნენ სტუმართმოყვარე პარიზელები. ხელების ქნევით, ვაშის ძახილით, ფოტოაპარატებით მიგვაცილეს ავტობუსამდე. აი, 850 საბჭოთა ტურისტი უკვე პარიზის ქუჩებში ვართ. ჩვენი ჯგუფი, — მე-18 ჯგუფი, — პარიზის ერთ-ერთ ცენტრალურ სასტუმროში, პეტრე პირველის (სერბიელი პეტრე პირველის) სასტუმროში მოათავსეს. რამდენიმე წუთის შემდეგ საბჭოთა ტურისტები პარიზის დათვალიერებას შევუდექით.

პარიზი მდინარე სენის დაბლობზე მდებარეობს. იგი 2000 წლის წინ დაუარსებიათ რომაელებს და მათვე უწოდებიათ ამ ქალაქისათვის ლუტეცია. რომაელების დროს ეს ქალაქი არ იყო დიდი ცენტრი, მას მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც დიდი მნიშვნელობის გზების გზაჯვარედინზე მდებარეს. ამ გარემოებამ განსაზღვრა მისი აღორძინებაც. რომაელებს ქალაქი ლუტეცია სენის მარცხენა ნაპირზე დაუარსებიათ და ეს ქალაქიც დიდხანს სენის მარცხენა მხარეზე შენდებოდა (მისი მარჯვენა ნაწილი კი დაფარული იყო გაუვალი ჭაობებით). მესამე საუკუნიდან უკვე დაიწყო მისი მარჯვენა მხარის მშენებლობა და ამავე საუკუნეში პარიზმა მიიღო თავისი დღევანდელი სახელწოდება — პარიზი (ეს სახელწოდება პარიზს ამ დაბაში მცხოვრებმა გალებმა მისცეს). ხოლო იმ დროს, როდესაც ხალხთა დიდი ადგილგადანაცვლება დაიწყო დასავლეთისაკენ, გერმანელთა ტომები მდ. რაინზე გადავიდნენ და გალიაშიც შეიჭრნენ (გალებთა ტომმა თავი შეაფარა ციხე-სიმაგრეს, რომელიც მდ. სენის მარცხენა მხარეს მდებარეობდა). მეათე საუკუნიდან ქალაქი კვლავ იწყებს აღორძინებას და უბრალო დაბიდან იქცევა დედაქალაქად. მე-13 საუკუნეში პარიზი უკვე დიდი ქალაქის სახელს ღებულობს. დღევანდელი სახე პარიზმა მიიღო სულ ასიოდე წლის წინათ, ნაპოლეონ მესამემ ქალაქის ქუჩები და მოედნები განსაზღვრული წესით ააშენებინა. ამის შედეგად ძველი შენობები დაინგრა და მან მიიღო დიდი ქალაქის სახე, ქალაქისა, რომელიც ახლა მთელ მსოფლიოს ანცვიფრებს თავისი სილამაზით, სიცოცხლისუნარიანობით, არქიტექტურული ძეგლებით, დიდი რევო-

ლუციური ტრადიციებით, ხელოვნებისა და მწერლობის უკუ-  
დავი სახელებით. პარიზი ჩვენთვის, როგორც ვლადიმერ ილიას  
ძე ლენინი ამბობდა, არის დაუმსხვრეველი გმირობის სიმბო-  
ლო კომუნიზმისა. პარიზი ეს არის ქალაქი, სადაც ცხოვრობდა  
და მუშაობდა ვოლტერი, ჟან ჟაკ რუსო, ვიქტორ ჰიუგო, ბალ-  
ზაკი... მაგრამ ვინ ჩამოსთვლის მათ სახელებს...

მე-18 საუკუნის პარიზი გახდა მთელს მსოფლიოში ლიტე-  
რატურისა და ხელოვნების ცენტრი, ხოლო მე-18 საუკუნის  
ბოლოსათვის პარიზი უკვე იყო საერთაშორისო მუშათა მოძ-  
რაობის პოლიტიკური ცენტრი. ამ პერიოდის პარიზი არის  
თავშესაფარი და მოწინავე სკოლა ყველა ქვეყნის რევოლუცი-  
ონერისა, თავისუფლების საქმისათვის თავშეწირული ყველა  
მებრძოლისა.

პარიზი კომუნარების სამშობლო... აქ, პარიზში, ცხოვრობ-  
და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი კარლ მარქსი 1843—  
1855 წლებში. აქ 1844 წელს შეხვდნენ მარქსი და ენგელსი  
ერთმანეთს. აქ ჩაეყარა საფუძველი მათ მეგობრობას. აქ  
1871 წელს აღმართა პირველად პარიზელმა პროლეტარიატმა  
დროშა კომუნიზმისა. პარიზელი კომუნარების ბრძოლამ მთე-  
ლი მსოფლიო შესძრა. კომუნარების საბრძოლო ყიჟინამ სა-  
ქართველოშიაც შეაღწია, და როდესაც კომუნარების საქმე  
ქვეყნის „მხსნელად“ მოვლინებულ რეაქციის ძალებმა სისხლ-  
ში ჩაახრჩვეს, ი. ჭავჭავაძე საქართველოდან კომუნის დაცე-  
მის დღეს მღელვარე ლექსით გამოეხმაურა:

ტვირთმიმე და მაშვრალთ მხსნელი  
დიდი დროშა დაიშალა...  
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ  
იგი დროშა დასცა დაბლა...

კვლავ შეფერხდა ისტორია;  
განახლების შესდგნენ ძაღნი,  
და კვლავ დღესასწაულობენ  
გამარჯვებულნი მტარვალნი.

ასე წერდა დიდი ილია.

მაგრამ პარიზი არა მარტო წარსული რევოლუციური ტრა-  
დიციებით ცოცხლობს ჩვენს წარმოდგენაში და გვანტერე-  
სებს, არამედ მისი თანამედროვე მდგომარეობით და უკეთესი

მომავლით. და აი, ამ ქალაქში მოვხვდით ჩვენ. პირველი, რითაც მან დაგვიპყრო, ეს არის ის მონუმენტური სილამაზე და ამავე დროს დიდი სისადავე, რომლითაც ბრწყინავენ ქალაქის შენობები, მისი ქუჩები და მოედნები. ჩვენ მოგვხიბლეს გულ-ლია და მხიარულმა პარიზელებმა, რომელთაც უმაღლვე გულწრფელად და სიხარულით მიგვიღეს. ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს ამ ქალაქში არაერთხელ ვყოფილიყოთ, დიდხანს გვეცხოვროს და ახლა შინაურთა და ახლობელთა შორის ვიმყოფებოდეთ.

პეტრე პირველის სასტუმრო, სადაც ჩვენ დავბინავდით, ამავე სახელწოდების ქუჩაზე მდებარეობს და იგი უშუალოდ უერთდება პარიზის სახელგანთქმულ დიდ ქუჩას, რომელსაც ელისიეს ველი ჰქვია. კალმით აუწერელია ეს ცნობილი, მწვანეში ჩაფლული, ფართო და ლამაზი ქუჩა. ის ბევრჯერ უფრო განიერი, გრძელი და თვალუწვდენელია, ვიდრე ჩვეულებრივ შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს. ელისიეს ველი ისეა დაფარული მალაზიებიდან გამოტანილი ნაირ-ნაირი საქონლითა და მანქანებით, როგორც ვარსკვლავებით. ნაწილი მანქანებისა ქუჩის მარჯვენა და მარცხენა მხარეს სასიარულო ტროტუარების გასწვრივ სამ თუ ოთხ რიგად დგას. ამ მანქანებს შუა კი ქუჩაში შეუჩერებელი მოძრაობაა მოზღვავებული მანქანებისა. პეტრე პირველის ქუჩის შემდეგ ჩვენ ერთბაშად ამ ქუჩაზე მოვხვდით. ეს იყო პირველი თავისუფალი გასეირნება საღი-ლის წინ.

ვისადილეთ, კარგად გავვიმასპინძლდნენ. ჩვენს სუფრას ამშვენებდა რამდენიმე მარკის, საამო სურნელებისა და შესანიშნავი გემოს მქონე ფრანგული ღვინო. მათ შორის სახელგანთქმული „ბორდოც“. დავლიეთ ქებული ვიშის მინერალური წყალიც. ქართველი კაცი მათზე ვერ იტყვის აუგს. ოღონდ ჩვენებურ ქართულ ღვინოს არც ერთი ჩვენს მიერ გასინჯული ფრანგული ღვინო არა სჯობდა. ვერც ვიშის მინერალური წყალი შეედრებოდა ბორჯომის მინერალურ წყალს. წინასწარ გათვალისწინებული გეგმით ქალაქის დათვალიერებას შევუდექით. პირველად გვაჩვენებს ინვალიდების ეკლესია, (სადაც დასაფლავებულია ნაპოლეონ ბონაპარტე), ან როგორც მას ეძახიან, ინვალიდების სასახლე და ნაპოლეონის სასაფლაო. ლუდოვიკო მეოთხემეტის მიერ 1679 წელს აგებული ეს შენობა

განკუთვნილი იყო ინვალიდთა თავშესაფარისათვის (სამხედრო ინვალიდთა თავისებური სამხედრო ნონასტერი იყო იგი). მეფემ გადაწყვიტა, დაახლოებით 7 ათასი კაცისათვის მოეწყოთ აქ დამხმარე შენობები, სადაც ჯარში ნამსახური ინვალიდები იცხოვრებდნენ და მიიღებდნენ ნაქერ პურს. 1706 წელს არქიტექტორმა მანსარმა დააშენა დიდი მონუმენტური გუმბათი, რის შემდეგ მეფემ გადაწყვიტა, იქ გადაეტანა ბურბონების დინასტიის საძვალე, მაგრამ ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა.

რევოლუციის დროს ეს მონასტერი სამხედრო პანთეონად იქცა. 1840 წლის 15 დეკემბერს ამ პანთეონში, თანაშემად ანდერძისა, გადმოსვენებული იქნა ნაპოლეონ I, რომელიც დასაფლავებული იყო წმ. ელენეს კუჩქულზე. საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ I-ის საფლავი ვანსაკუთრებული არქიტექტურული ნაგებობისაა. მონასტრის ცენტრში, სადაც საოცარი მოწყენილობა სუფევს, ოდნავად განათებულ, ექვსი მეტრის სიღრმეზე ფართოდ ჩაჭრილ აკლდამაში, მარმარილოს კედლებს შუა დგას სარკოფაგი ნაპოლეონისა მოხუცებულნი კაცი, რომელიც განგვიმარტავდა ამ მონასტრის ისტორიას, დადის გზნებით ჰყვებოდა ნაპოლეონის საგმირო საქმეებს და მისი გადმოსვენების ცერემონიალის ისტორიას. სევდანარევი კილოთი ამბობს მოხუცებული გიდი: — აი, შეხედეთ, აქ წევს საფრანგეთის ლომი ექვს კუბოში. პირველი არის თუნუქის კუბო, მას მოსდევს წითელი ხის, მერე ორი ტყვიის კუბო, შემდეგ შავი ხისა და ბოლოს მუხისა და ყველაფერი ეს მთავრდება ამ მარმარილოს დიდი სარკოფაგით. ლურჯი გრანიტისაგან გამოჭრილ ამ სარკოფაგს რუსეთის რომანოვების დინასტიის საჩუქარს ეძახის ეს ბერიკაცი. სარკოფაგი მთავრდება მარმარილოს ფიგურებით, რომელიც სიმბოლურად გვანიშნებს ნაპოლეონის მოგებულ დიდ ბრძოლებზე. აქვე მინის ყუთის ქვეშ მოთავსებულია სამეუთხოვანი ქუდი იმპერატორისა და ჯვარი ჯაჭვით, რომელიც მას აჩუქეს პარიზში, გვირგვინის კურთხევის დღეს. ჩვენი ყურადღება მიიქცია ნაპოლეონის დაშნამ და ქუდმა, რომელსაც აუსტერლიცში ბრძოლების დროს ატარებდა და ეხურა იმპერატორს. ამავე დარბაზში დასაფლავებულია მარშალი ფოში. ლუდოვიკო მეოთხემეტის მარშლები: ვობანი და ტიურენი. აქვეა დაკრძალული ნაპო-



ლეონის შვილი ნაპოლეონ II—რომის მეფე. ლუდოვიკო მე-  
 თოთხმეტის დროს ეს ეკლესია ქალაქგარეთ იყო, ახლა კ,   
 ალექსანდრე III-ის ხიდის მარცხენა მხარეს, თითქმის ქალაქის   
 ცენტრშია. ინვალიდების ეკლესიიდან გავემართეთ დიდი ადა-  
 მიაწების პანთეონისაკენ ლათინურ კვარტალში. ეს დიდი შე-  
 ნობა აღმართულია ლუქსემბურგის სასახლის ახლოს. მას „ღმერ-  
 თების პანთეონს“ — დიდ ადამიანთა აკლდამას ეძახიან. შედი-  
 ხართ საფრანგეთის გამოჩენილი ფილოსოფოსებისა და მწერ-  
 ლების სასუფეველში და ერთბაშად ისეთი გრძნობა გიპყრობთ,   
 თითქოს სხვა სამყაროში მოხვდით. ამ შთაბეჭდილებას ისიც   
 აძლიერებს, რომ აქ კიდევ უფრო ნაკლებია სინათლე. რაღაც   
 ფანტასტიური საიდუმლოებით მოცული სიწყნარე სუფევს   
 ირგვლივ. ადამიანები ჩურჩულით მიმართავენ ერთმანეთს.   
 ქუდმოხდილნი, მოწიწებით და პატივისცემით მიაბიჯებდნენ   
 ამ ვეებერთელა შენობის სიღრმეში, სადაც მარჯვნივ და მარ-  
 ცხნივ, ცალ-ცალკე, გამოქვაბულის მსგავს სიღრმეში დაკრძა-  
 ლულია კაცობრიობის კულტურის და აზროვნების უდიდესი   
 ტიტანები ჟან-ჟაკ რუსო, ვოლტერი, სადი კარნო, ლაზარ კარ-  
 ნო, ვიქტორ ჰიუგო, ემილ ზოლა, ჟან ჟორესი და აგრეთვე ამ   
 პანთეონის არქიტექტორი სუფლო. ეს პანთეონი დაუმთავრე-  
 ბიათ 1789 წელს, ხოლო იგი ლუდოვიკო XV-ის დროს, 1758   
 წელს დაუწყიათ. რევოლუციამდე ეს შენობა ხან პანთეონი   
 იყო, ხან ეკლესია, რომელიც იწოდებოდა დიდების ტაძრად,   
 მხოლოდ 1885 წელს, ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალების შემ-  
 დეგ, საბოლოოდ დაერქვა მას პანთეონი დიდი ადამიანებისა.   
 პანთეონის შესასვლელში აღმართულ ძეგლს აწერია: „თავი-  
 სუფალი სიცოცხლე ან სიკვდილი“; ჟან-ჟაკ რუსოს აკლდამას   
 კი — „აქ განისვენებს სიმართლისა და ბუნების კაცი“.

საფრანგეთის დიდი ადამიანების ამ პანთეონიდან, რომელიც   
 ხალხს უდიდესი მადლიერების გრძნობის გამოსახატავად მისი   
 სახელოვანი შვილების სავანედ მიუჩნევიან, პატივისცემისა   
 და მოწიწების გრძნობით აღვსილნი გამოვედით. ეს განწყობი-  
 ლება თან მიგვყვა ხუროთმოძღვრული უდიდესი ძეგლის   
 ნოტრ-დამის კარებამდე, — ჩვენს წარმოდგენაში იგი ცოცხ-  
 ლობდა ვ. ჰიუგოს ცნობილი რომანით, ქვაზიმოდოს ტრაგი-  
 კული თავგადასავლით. ჩვენს წარმოდგენაში იგი აღდგა აგ-  
 რეთვე ამავე რომანის მიხედვით შექმნილ კინოფილმით. მაგ-

რამ ყველა ამ წარმოდგენას ცოცხლად ნახულმა ნოტრ-დამმა მრავალგზის გადააჭარბა, სულ სხვაგვარად წარმოდგა იგი ჩვენს წინაშე. როდესაც მის დარბაზში 850 კაცი შევედით, ოდნავადაც ვერ დაეტყო, ეს მაშინ, როდესაც ხუთი ამდენი ხალხი თვით ტაძარში დაგვხვდა. ჩვენ მოვხვდით საეკლესიო დღესასწაულის დღეს. ეს იყო საბავშვო-საეკლესიო დღესასწაული, რომელიც ყოველ წელს იმართება აქ ივნისში და რომელსაც 12 წლის ბავშვების ზიარების დღეს უწოდებენ: თეთრ ტანისამოსში გამოწყობილ სალიტანიოდ გამოსულ ბავშვებს უკან მიჰყვებოდნენ კარდინალი და მისი მოსაყდრენი. ისინი გარს უვლიდნენ ამ ვეებერთელა ტაძარს და ლოცულობდნენ.

ჩვენ დაწვრილებით დავათვალიერეთ ეს გოთური ზუროთ-მოძღვრული ხელოვნების იშვიათი ძეგლი, ტაძარი, რომლის შესახებ ჰიუგო წერდა: „ეს რაღაც გასაოცარი ქვების სიმფონიაა, უდიდესი შემოქმედება ადამიანებისა და ხალხისა, ერთიანი და რთული, მსგავსად ილიადასი და რომანსეროსი, რომელთანაც მას ნათესაობა აქვს, საიდუმლო რეზულტატი შეერთებისა, ყველა ძალის, მთელი ეპოქისა, საიდანაც თვითეულ ქვეყნებში ბრწყინავს ფანტაზიით შექმნილი, მუშების ხელით გამოთლილი დიდი ხელოვნის განსაზღვრული მიზნით აშენებული მონუმენტური შენობა“... აქ აგვიხსნეს, რომ ისე, როგორც ყველა პატარა და დიდი მონასტერი, ნოტრ-დამიც აშენებულია იმ ადგილზე, სადაც იყო რომის წარმართული ტაძრები, როგორც რეაქცია ქრისტიანობისა წარმართობის წინააღმდეგ. მე-18 საუკუნეში, ფუნდამენტის გათხრისას იპოვეს იუპიტერის სამლოცველოს ნამსხვრევები, რომელიც იდგა ამ ადგილას. ნოტრ-დამი თითქმის ყველაზე უძველესი გოთური სტილის ტაძარია მსოფლიოში. მისი აშენება დაუწყიათ 1163 წელს და გაგრძელებულა 150 წელი. როდესაც ნოტრ-დამის გეგმას საფუძველი ჩაეყარა, ამ ქალაქში მცხოვრებთა რიცხვი 50 ათასს არ აღემატებოდა და გასაკვირიაო, — ამბობს გიდი, — რომ ასეთმა უპრეტენზიო ქალაქმა ააშენა ასეთი მონუმენტური შენობა, სადაც 9000 კაცი თავსდება. მაგრამ ეს გასაგებია გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალო საუკუნეების ქალაქებს აკლდათ მოედნები, კეთილმოწყობილი ქუჩები, არ იყო გასართობები. სოციალური ცხოვრების ერთადერთ ცენტრს ქალაქისა ეკლესიები და მონასტრები წარმოადგენდა.

აქ წარმოებდა საეკლესიო მღვდელმსახურება; აქ ხვდებოდა ერთმანეთს სხვადასხვა კორპორაციები, ეწყობოდა კამათი ხელოვნებისა და მწერლობის საკითხებზე, აქვე იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები მისტერიების სახით, აქვე ხდებოდა ჯვრისწერა, ლხინი და ქორწილი. ეკლესიები და მონასტრები იყო მაშინ განათლების, წერა-კითხვის კერა. პროფესორები იყვნენ განსწავლული ფილოლოგები, სტუდენტები კი სემინარისტები. მე-18 საუკუნეში წარმოიშვა უთანხმოება საეკლესიო მსახურთა და პროფესორთა შორის. ამ უკანასკნელებმა დასტოვეს მონასტერი და პროტესტის ნიშნად დააარსეს სენის მარცხენა მხარეს სასწავლო ცენტრი, ე. წ. ლათინური კვარტალი. ნოტრ-დამში იქორწინა მარია სტიუარტმა, აქ მოხდა გვირგვინის კურთხევა ნაპოლეონისა, და სხვა მრავალი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია დაკავშირებული ამ ტაძართანო, — გვიამბობს ჩვენი გიდი.

ნოტრ-დამის პირდაპირ, სენის მარცხენა მხარეს, ჩამწკრივებულია ბუკინისტების პატარა მაღაზიები. ვისაც ახსოვს ძველი ალექსანდროვის ბაღის გასწვრივ ქართული ბუკინისტები, ის ადვილად წარმოიდგენს პარიზელ ბუკინისტებს და მათ „მაღაზიებს“. ჩვენ ვიყავით და ვნახეთ ბუკინისტების ეს მაღაზიები, სავსე ძველი წიგნებით. ეს არის პატარა ქობმანები, სადაც ძლივს მოძრაობს ბუკინისტი-გამყიდველი. ჩვენ დიდხანს, დიდხანს ვფურცლავდით მრავალ ძვირფას და საუკეთესო უძველეს გამოცემებს.

ამით დამთავრდა პარიზის პირველი დღე.

მეორე დღეს დილიდანვე შევუდექით ლუვრის დათვალიერებას. ძნელია, კაცმა აღწეროს ეს სიმდიდრე ხელოვნების ნიმუშებისა, ეს სიდიადე და მრავალფეროვნება კაცობრიობის მიერ შექმნილი უკვდავი ძეგლებისა, მით უმეტეს, ძნელია ამის გაკეთება თვალის ერთი გადაკვრით. თუმცა ჩვენი ექსკურსია ლუვრში რვა საათს გრძელდებოდა, მაგრამ აქ ნანახის ვადმოცემა შთაბეჭდილებათა დღიურის მიხედვით, იმ ჩანაწერებით, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით, წარმოუდგენელია. მაგრამ მარნც უნდა ვთქვა ლუვრის შესახებ რამდენიმე სიტყვა, რადგან პარიზის ღირსშესანიშნავ ადგილებს შორის ეს ყველაზე საოცარი და უბრწყინვალესი რამ არის. მისი წარმოშობა ასე განგვიმარტეს: 1200 წელს მეფე ფილიპე ავეუსტმა პარიზის გარ-

შემო ააგო გალავანი. ლუერის ციხე-სიმაგრის მთავარი ხაზი-სა და საგუშაგოთა სისტემის განსამტკიცებლად მის უკანა მხარეზეც ააშენა დიდი კოშკი. მომდევნო მეფეებმა ამ კოშკის გარშემო ააშენეს თავიანთი სასახლეები, რომელიც თავის მხრივ მე-16 საუკუნეში ფრანსუა პირველმა და მისმა შვილმა ანრი II-მ გადააკეთეს. და ასე, მეფეებმა შთამომავლობით გააგრძელეს ლუერის გაფართოება შენობათა მიშენების გზით. მხოლოდ ლუდოვიკო XIV-მ მიაშენა მას კოლონადა და მთავარი ფასადი. ლუდოვიკო XIV-ის მეფობამდე ლუერი რჩებოდა მეფეთა მთავარ სასახლედ. ამ უკანასკნელმა კი თავისი რეზიდენცია გადაიტანა ვერსალში და დაცარიელებული ლუერი დაუთმო მხატვრებს, სკულპტორებს, შემოქმედ ადამიანებს. მათ ჰქონდათ უფლება, ეცხოვრათ ამ სასახლეში ერთის პირობით: ემუშავნათ თავიანთი პროფესიის მიხედვით და წელიწადში ერთხელ ვალდებული იყვნენ ეჩვენებინათ თავისი ნაწარმოებები ხალხისათვის. პირველ ასეთ სახალხო დათვალიერებას ადგილი ჰქონდა აპოლონის სალონში და ამიტომაც ფრანგულ ენაზე ეს გამოფენა იწოდებოდა სალონად.

ძველი სასახლე წარმოადგენდა ფართოფოიან ოთხკუთხოვან სასახლეს. ამის მიხედვით დასავლეთისაკენ გაშვერილი იყო ორი ფლანგი. ერთი ნაწილი ამ ფლანგისა 1871 წელს დაიწვა, რომელიც აშენდა მე-16 საუკუნეში ეკატერინე მედიჩის მეფობის დროს. მეორე გალერეა კი მე-19 საუკუნეში ნაპოლეონ პირველმა და მესამემ ააშენეს. 1789 წელს, საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს, ლუდოვიკო XVI და მარია ანტუანეტა გადაყვანილ იქნენ ამ სასახლეში; საიდანაც გაქცევა სცადეს საზღვარგარეთ. მაგრამ უშედეგოდ. 1791 წელს რევოლუციონერების მიერ შტურმით იქნა აღებული სასახლე და გამოცხადდა რესპუბლიკა. ნაციონალურმა კონვენტმა, რომელმაც აქ გამართა სხდომა, დაადგინა და გამოსცა დეკრეტი, რომ ლუერი გამოცხადებულიყო მუზეუმად. ამგვარად, მე-17 საუკუნის პირველ ნახევრამდე ლუერი იყო რეზიდენცია ფრანგი მეფეებისა, ხოლო 1793 წლიდან გახდა ნაციონალური მხატვრული მუზეუმი. მის ექვს განყოფილებას, სადაც მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნების ნიმუშებია მოთავსებული, როგორც ვოქვით, რვა საათი ვათვალთვალავთ, ჯერ იყო და თავისუფლად გაგვიშვეს, რათა დამოუკიდებლად,

ჩვენი თვალთ გვენახა, სხვისი ჩარევის გარეშე განგვეცადა ხელოვნების მშვენიერებანი და საკუთარი აზრი გამოგვეტანა მათ შესახებ. ორი საათის შემდეგ კი ისევ დავბრუნდით ლუერის შესასვლელთან და დაიწყო ექსკურსია, რომელიც ოთხ საათს გრძელდებოდა. ოთხი საათის განმავლობაში თითქმის 7 კილომეტრი გზა გავიარეთ და უთვალავი ნიმუშები ხელოვნებისა ვნახეთ. აქედანაც ადვილად წარმოიდგენთ, რის ჩანიშვნას მოასწრებდა ასეთ პირობებში ტურისტი, ვინც უნდა ყოფილიყო იგი.

გამოფენის დარბაზები ფართო, მაღალჭერიანი დიდი ოთახებისაგან შედგება და თვითეულ დარბაზს, თვითეულ ოთახს თავისებური ექსპოზიცია აქვს. ხელოვნების ყოველი უკვდავი ნიმუში, ყოველი ნახატი, ყოველი სურათი, ყოველი ექსპონატი ისე ოსტატურადაა განლაგებული დარბაზებში, რომ თვალის ერთი შევლებითაც ადვილად ასათვისებელი ხდება. ოღონდ იმდენად ბევრია ყველაფერი ეს, ისე დაუსრულებლივ გრძელდება ეს დარბაზები, სართულები და დერეფნები, რომ რამდენიმე საათის შემდეგ უკვე ძნელი ხდება შენი ადგილი მონახო ამ დარბაზებში და შენი დამოკიდებულება ამ ნივთებისადმი წარმოიდგინო. ეს დაუსრულებელ უნაპირო ზღვასა ჰგავს კარგი მცურავისათვისაც, მხარგაუწვდენელს, დამლელსა და ძნელად დასამორჩილებელს. აქ მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ უამრავია ექსკურსანტთა რიცხვი. გამოფენის დამთვალეირებელთა სიმრავლე, დაუსრულებელი დინება ჯგუფებად დაყოფილი ექსკურსანტებისა სამხრეთ ქალაქების ხმაურიან ხალხით სავსე ქუჩებს უფრო მოგაგონებს, ვიდრე აკადემიურ გარემოსათვის საჭირო მყუდროებას.

ესეც უშლის ხელს შთაბეჭდილებათა ათვისებას; მაგრამ ლუერის გიდების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მაინც ახერხებენ ერთგვარად დააოკონ ეს ზღვა ხალხი. ტურისტებს, დამთვალეირებლებს ჰყოფენ ჯგუფებად. ყოველ ჯგუფში 100—150 კაცია. ჯგუფები მოძრაობენ სხვადასხვა მიმართულებით ისე, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ, მაგრამ მაინც შეუძლებელი ხდება ყველაფერი ეს, რაც 7 კმ-ის მანძილზეა გაჭიმული, ქანდაკების თუ ფერწერის ოსტატების უღვეველი ექსპონატები დაათვალეიროს, ნახოს და ღრმად განიცადოს ადამიანმა. ამიტომ გიდი ყველაზე მნიშვნელოვან, წინასწარ

მოფიქრებულ ადგილებზე მიაპყრობს ტურისტის ყურადღებას. აი, შედგა გიდი, მის გარშემო შეიკრა წრე. ისმის ქადაგად დამდგარი გიდის ხმამალალი საუბარი, ბლოკნოტების დაუსრულებელი შრიალი, კალმების წრიბინი... ასე გრძელდება დაუსრულებელი მთელი დღე. ასეთ მდგომარეობაში მოხვედრილი ტურისტი შეუძლებელია არ გადაიღალოს, მაგრამ იმდენად დიდია ინტერესი, ისეთი მრავალფეროვანია შთაბეჭდილებანი, იმდენად მომხიბვლელია ფუნჯის ოსტატების ფერთა სიუხვე და, რაც მთავარია, იმდენად ახლობელია ადამიანის სულიერ სამყაროსთან ყველაფერი ეს, რომ თქვენ მაინც აქედან დამშვიდებული, სულიერად კმაყოფილი და ამაღლებული გამოდინართ. ასეთია ძალა დიდ შემოქმედთა... დიდ ოსტატთა და ჭეშმარიტ ხელოვანთა... ეს ძალა ჩვენ განვიცადეთ არა მარტო აქ, ასე იყო ეს ერმიტაჟში, ასე იყო ეს რომის მუზეუმის დათვალიერებისას.

ლუერის კარებში შედიხართ თუ არა, უმაღვე შესავალ კოლონადის ქანდაკებათა მწკრივი იპყრობს თქვენს ყურადღებას. დადიხართ რა ამ ქანდაკებათა ალეაში, მეორე სართულის ასასველელ კიბეებთან თქვენ შემოგეგებებთ ცნობილი ქანდაკება ნიკეა სამოფრაკიელისა. ეს უცნაური ნაწარმოები უცნობი სკულპტორისა ჩვენს ერამდე მესამე საუკუნეს განეკუთვნება, — ასე გვითხრა ფრანგმა გიდმა, რომელიც უკვე 40 წელია თავის პროფესიას ემსახურება (იგი 60 წელს გადაცილებული სანდომიანი სახის ფრანგია). ნიკეა, ან როგორც მას ეძახიან, გამარჯვება სამოფრაკიისა, უპოვნიათ გათხრების დროს 1863 წელს სამოფრაკიის პატარა კუნძულზე ბერძნულ არქიპელაგში. ეს წარმოადგენს საშუალო ზომის ფიგურას, რომელშიაც გამოსახულია მფრინავი ქალი ფრთებითა და ზურგით (ქანდაკებას თავი და ხელი არა აქვს, დროთა ვითარებას თავისი კვალი დაუმჩნევია მისთვის). ეს დასახიჩრებული ქანდაკება დად, მონუმენტურ შთაბეჭდილებას სტოვებს; თითქოს გასაფრენად მომზადებული ქალი დგას თქვენს წინაშე, რომლის ფრთები ძლიერი ქარიშხლისაგან ირხევა. ეს საზღვაო გამარჯვების სიმბოლოდ არის აღიარებული, ხოლო ის ხელი, რომელიც ამხანად ქანდაკებას მოგლეჯილი აქვს, ნაპოვნიო, — დაბეჭითებით ირწმუნება გიდი (საბერძნეთშიაც იგივე გვითხრა გიდმა).

ისევ უკან გავბრუნდით. ექსკურსიის ხელმძღვანელმა პირველი სართულით კვლავ ქანდაკებათა ხეივანში გაგვატარა. გაჩერდა გიდი და დაიწყო ახსნა: — ჩვენ წინ დგას ხელოვნების მარად ცოცხალი, მარად მიუღწეველი სიდიადის ნაწარმოები აფროდიტა, ან როგორც მას უწოდებდნენ, ვენერა მილოსელი. ეს უკვდავი ნიმუში ხელოვნებისა შემთხვევით უპოვნია ბერძენ გლახს. ჩვენს ერამდე მესამე საუკუნეში ეს ძეგლი თურქ დამპყრობელთ წარუტაციათ, შემდეგ იგი ხელთ ჩავარდნით ხელოვნების მოყვარულთ და ახლა აქ ჩვენს შესანიშნავ მუზეუმში დგასო, ეს სიმღერა, უკვდავი სიმღერა სილამაზისა და მშვენიერებისაო. ვენერა მილოსელი (რომელსაც ერთი ხელი აღარა აქვს), ჩვენ წინ იდგა როგორც ცოცხალი, ხორც-შესხმული არსება, გინდათ ხელით შეეხოთ და გაპოესაუბროთ მას. კლასიკური ბერძნული ცხვირით, სწორკუთხოვანი მოგრძო სახის ნაკვთებით, ქალური მომხიბვლელობით, ტანის გასაოცარი პროპორციით წყნარი გამონედვითა და სიმშვიდით ერთბაშად გიპყრობთ ხელოვნების ეს უკვდავი ნიმუში... აქვე ვნახეთ მიქელ-ანჯელოს მონები, მონა ლიზა. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ხელოვნებაში და ლიტერატურაში ცნობილი ლეონარდო და-ვინჩის ჯიოკონდამ. ეს პატარა ზომის ხელოვნების ნიმუში განსაკუთრებით გამოირჩევა ლუვრის მდიდარ კოლექციაში. დგას ახალგაზრდა ქალი, მწვანე მთების ფონზე, ოდნავ გაღიმებული. როცა ამ სურათს უყურებ, ნამდვილად ცოცხალი არსებააო, იტყვი. რაღაც ჯადოსნური ძალა და დამატყვევებელი იერი აქვს და, აკი გვითხრა თვითონ გიღმა, ერთ-ერთმა მნახველმა დიდხანს უყურა მას, ისე დაიპყრო მისმა თვალთა გამოხედვამ, რომ ინსტინქტურად ხელით შეეხო მის თვალებს, ამოეკორტნა უნდოდანო. მას ახლაც აჩნია იმ თითის კვალიო, — გვანიშნებს გიდი.

ჩვენ აქ ვნახეთ დელაკრუას უკვდავი ნიმუშები, ტიციანისა, ლეონარდო და-ვინჩისა, დავითისა, რაფაელისა, რუბენსის მედიჩების მთელი ჯგუფი და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ...

ამავე საღამოს გავემგზავრეთ ვერსალში. ქალაქი პარიზიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. (იგი 18—20 კილომეტრით პარიზიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს). ლუვრის შემდეგ ეს იყო მეფეთა რეზიდენცია. მე-17 საუკუნის დასაწყისში ვერსალი იყო პატარა სოფელი. 1627 წელს ვერსალი

იყიდა ლუდოვიკო მეცამეტემ. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო მისი მშენებლობა, რომელიც იქცა დიდ არქიტექტურულ ნაგებობად. ცენტრალური ადგილი ამ ნაგებობაში უჭირავს მეფეთა სასახლეს, რომელსაც გარს არტყია დიდი პარკი. იგი შეუქმნია მებაღე-არქიტექტორს ა. ლენოტრის. ჩვენ დაწვრილებით დავათვალიერეთ ეს საოცრად მოხატული მეფის დარბაზები, რომელთაც სხვადასხვა სახელწოდება აქვთ: მშვიდობის დარბაზი, სხდომის დარბაზი, ლუდოვიკო XVI-ის დარბაზები, მარიამ ანტუანეტას დარბაზი. აქვე ვნახეთ სასახლის სარკიანი დარბაზი, სადაც 1919 წლის 28 ივლისს ხელი მოაწერეს ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებას გერმანიაზე გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლუდოვიკო XIV-ის დარბაზმა, რომელშიაც ნამყოფია ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი სულხან-საბა ორბელიანი. ჩვენს წარმოდგენაში გაიელვა დიპლომატიური მისიით აქ ჩამოსულმა და რომზე გავლით სამშობლოში დაბრუნებულმა სულხან-საბა ორბელიანმა და მისმა წიგნმა „მოგზაურობა ევროპის გარშემო“. ვერსალის დათვალიერება გვიან სადამოს დავამთავრეთ. კვლავ პარიზისაკენ გამოვწიეთ. დიდი საავტომობილო გზით გამოვიარეთ ცხენთასაშენი, დიდი გვირაბი, ბულონის ტყე. ბულონის ტყეს თან მოსდევს შეძლებულთა კვარტალი, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა მთელ პარიზში. გავიარეთ ის ადგილი, სადაც ბასტილია იდგა. იგი აშენებულია XIV საუკუნეში, რომელიც ადრე წარმოადგენდა ქალაქის ერთ-ერთ სიმაგრეს. ლუერის ციხე-სიმაგრეთა სისტემის დამთავრების შემდეგ ბასტილია გადააქციეს საპატიმროდ. 1789 წლის 14 ივნისს ციხე აღებული იქნა შტურმით რევოლუციონერი პარიზელების მიერ. მოსპო რა ბასტილიის ციხე, ხალხმა ნაციონალურ დღესასწაულად გამოაცხადა ეს დღე. აქვე არის კოლონა 52 მეტრიანი ობელისკი, რომელიც აგებულია უფრო გვიან, 1830 წელს. იგი ააგო ხალხმა დაღუპულ პარიზელ რევოლუციონერთა უკვდავსაყოფად.

მესამე დღეს დილიდანვე შევუდგექით პერ ლაშეზის სასაფლაოს დათვალიერებას. ეს სასაფლაო საგაზაფხულო აგარაკი ყოფილა წინათ. იგი 1621 წელს იეზუიტებს უყიდიათ. 1767 წელს განუდევნიათ აქედან იეზუიტები. 1803 წელს პარიზელებს შეუსყიდიათ ეს ადგილი. აქ მის კედელთან, 1871 წელს



პარიზის კომუნარებმა ბრძოლა გაუმართეს რეაქციის ძალებს. 27 მაისს ვერსალის სამხედრო არტილერიის ნაწილებმა დაამსხვრიეს სასაფლაოს კედლები, შეიჭრნენ ბარიკადების განლაგებაში და მთელი ღამე გრძელდებოდა სისხლიანი დევნა კომუნარებისა. მეორე დღეს ცოცხლად გადარჩენილი 147 კომუნარი დახვრეტილ იქნა. ამ სასაფლაოს ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლებს კომუნარების კედელი ჰქვია. ჩვენმა ექსკურსანტებმა კომუნარების წმინდა სისხლით მორწყული ეს კედელი ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს. კომუნარების კედლებიდან ცოტა მოშორებით დაკრძალულია ანრი ბარბიუსი, პოლ ვიან კუტიურე. ქართველების ჭკუფი ცალკე დავრჩით. დიდხანს ვათვალისწინებდით სასაფლაოს. მდუმარედ დავცქეროდით აქ დაკრძალულ დიდ ადამიანების საფლავებს. აქ არიან დაკრძალული ლიტერატურისა და ხელოვნების საყოველთაოდ ცნობილი ბუმბერაზები: შოპენი, ბომარშე, მოლიერი, ლაფონტენი, მიუსე, როსინი, ბალზაკი, ბიზე და მრავალი სხვა.

გავემგზავრეთ ე. წ. წმინდა გულის ბაზილიკის სანახავად. ეს პარიზის ყველაზე ამალღებული ადგილია, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს მთელი პარიზი. იგი მოგვაგონებს ჩვენს მამადავითს, მაგრამ ვერ შეედრება მამადავითს სილამაზითა და სიდიადით. აქედან ავტობუსებით ძირს დავეშვიტ. გამოვიარეთ ლენინგრადის და სტალინგრადის ქუჩა, ჩავუარეთ პარლამენტის შენობას, დიდ კარლოსა და შაიოს სასახლეს. ჩამოვედით სენას პატარა ნავსადგურთან, რომელსაც სოლფერინოს ეძახიან.

მდინარე სენაზე გასეირნება ყველაზე დასამახსოვრებელი იყო მთელს ჩვენს მოგზაურობაში. 850 კაცი ავედით გემზე, რომელსაც „ბატო გუშ“ ერქვა, იგი ჩვენს გემთან, „საქართველოსთან“ შედარებით პატარა იყო. კურსი სენას მიმართულებით ავიღეთ. გავიარეთ „სამეფოს“, კარუსელის ხიდი, მარცხნივ ჩავუარეთ ლუვრს, მარჯვნივ დავტოვეთ ხელოვნების მთავარი ქუჩა, აკადემიის შენობა, აკადემიისა, რომელშიაც მუდმივად მხოლოდ 40 კაცს ირჩევენ (და როდესაც გამოაკლდება ვინმე, კვლავ ივსება, ისე, რომ დაკანონებული რიცხვი ორმოცი არ იცვლება). გავიარეთ „ახალი ხიდი“, ეს ყველაზე ძველი ხილია სენაზე აგებულ ხიდებს შორის (350 წლის წინათ არის იგი აშენებული) და მას მაინც „ახალ ხიდს“ ეძახიან, გავიარეთ;

ავრეთვე, ჰენრიხ მეოთხის ხიდი, უკან მოვიტოვეთ ლათინური კვარტალი. მარჯვნივ გამოჩნდა სასამართლოს სასახლე. ეს იყო საფუძველი პარიზის მეფეთა სასახლისა, როდესაც რომაელებმა აქ ქალაქი დააარსეს. ამ ადგილას ააშენეს სწორედ ის კოშკი, რომელიც რომის იმპერატორის რეზიდენცია იყო. ეს კოშკი სიმბოლოა რომაელების უძლევლობისა. ამავე მიზეზით, როდესაც ქლოდვიგმა — ფრანკთა მეფემ პარიზი გაიხადა თავის დედაქალაქად, ამ ადგილას ააშენა თავისი სასახლე (ამ შენობიდან არაფერი დარჩენილა). მე-13-14 საუკუნეებში საფრანგეთის მეფემ საგუშაგოდ აქცია ეს ადგილი. ხოლო ახალ შენობას საფუძველი ლუდოვიკო XIV-მ ჩაუყარა მე-14 საუკუნემდე ეს სასახლე იყო მთავარი რეზიდენცია საფრანგეთის მეფეებისა. როდესაც მეფე ლუვრში გადავიდა, სასახლე გახდა პარიზის პარლამენტის სამფლობელო. რევოლუციამდელ საფრანგეთში პარლამენტი იყო უმაღლესი საფეხური, ინსტანცია სასამართლოსი. იქ რევოლუციური ტრიბუნალი მოქმედებდა. აქვე იყო ციხე რევოლუციონერებისა, სადაც ორი თვე იჯდა ლუდოვიკო XVI და დედოფალი მარია ანტუანეტა (ისინი აქედან გაიყვანეს და თავი მოკვეთეს თანხმობის მოედანზე). გემმა ადგილი გადაინაცვლა და გამოჩნდა თანხმობის მოედანი. ამ მოედანთან მჭიდროდაა დაკავშირებული 1789—94 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დღეების ხსოვნა. აქვე დასაჯეს სიკვდილით შარლოტა კორდე — მარატის მკვლელი. მოედნის ცენტრში დგას მე-13 საუკუნის ობელისკი. ეს ობელისკი ჩამოტანილია ეგვიპტიდან. მასზე იეროგლიფებით აღწერილია გამარჯვებანი ეგვიპტის მეფის რამზეს მეორისა. გამოჩნდა იმპერატორ ნაპოლეონ I-ის დიდების სიმბოლო — „არკალის კოშკი“. გავიარეთ ალექსანდრე მესამის ხიდი. ეს ყველაზე დიდი და ახალი ხილია მდინარე სენაზე, რომელიც რუსეთს თავისი ხარჯებით აუგია. ჩავუარეთ ინვალიდების ხიდი, ამერიკელების ეკლესიას. ჩავუარეთ თანამედროვე ხელოვანთა მუზეუმს, რახმანიოვის სახელობის კონსერვატორიას. სენის მარცხენა მხარეს გამოჩნდა 300 მეტრის სიმაღლის ეიფელის კოშკი. (იგი აგებულია 1889 წელს, ინჟინერ ეიფელის მიერ.) — ეს შესანიშნავი კოშკი ბევრი ადამიანის უბედურების მოწმე არისო, — გვიამბობს ფრანგი გიდი, რომელიც ჩვენს გემზე იმყოფება. — ამ კოშკზე აღიან ლიფ-

ტით ქალები, ახალგაზრდა ვაჟები, ზოგი სიყვარულისაგან გაწ-  
ბილებული, ზოგიც სიდუხჭკირისაგან თავმოებეზრებული ეცემა  
ძირს. უნუგეშო ცხოვრებისაგან გზადახშულნი თვითმკვლელო-  
ბით ამთავრებენო სიცოცხლეს. მართალია, თავისებური სილა-  
მაზისაა ვიფელის კოშკი, მაგრამ როგორღაც განყენებული —  
„ცისა და მიწას შუა გახირული“. ჩვენმა დიდმა მგოსანმა აკაკი  
წკრიეთელმა სწორედ შენიშნა ეს მომენტი ლექსში „ვიფელის  
კოშკზე“:

მაღალ კოშკზე ცის მახლობლად,  
ვიფელის მწვერვალზედა,  
როცა ყველა დამავიწყდა:  
ცოლი, შვილი, მამა, დედა, —

ატანილი შიშისაგან  
მხოლოდ პარიზს დავეურბდო,  
მაგრამ იმ დროს მე იქიდან  
ველარაფერს კი ვერ ვკრებდო.

სახლები ჩნდნენ სოკოებად, —  
არშეიებად ქუჩა ყველა  
და ზედ ხალხი დადიოდა  
ისე, როგორც ქიანჭველა!

რაღაც ლანდალ წარმომიდგა  
ქალაქი და ტურთა მხარე,  
ველარავეინ გავარჩიე, —  
ვერც მტერი და ვერც მოყვარე,

და მაშინ ვთქვი: ნუთუ ისიც,  
ვინც ხანდახან ხალხს შორდება  
და სულ მალლა, მალლა მიდის,  
ორთა შუა გახირდება?

რა თქმა უნდა, რომ დაკარგავს  
ხალხზე ის სწორ-მხედველობას  
და სიმართლით ვერ გაარჩევს  
სიკარგეს და საძაგლობას...

სრული ორი საათი ვსეირნობდით ამ გემით მდ. სე-  
ნაზე. ერთხელ კიდევ ჩაეუარეთ მის შესანიშნავ ქუჩებს, მოედ-  
ნებს, სასახლეებს, ხელოვნების უდიდეს ძეგლებს.

დღის ორ საათზე, ექსკურსიის შემდეგ, ჩვენ კვლავ შევეუ-

დექით პარიზის ქუჩების დათვალიერებას. თავისუფლად დაედვიოდით ცალ-ცალკე და წყვილ-წყვილად. შევდიოდით მალაზიებში, ვისეირნეთ პარიზის მეტროთი. პარიზის მეტრო ერთი უძველესი მეტროთაგანია (მისი პირველი ხაზი 1900 წელს გაიყვანეს). ის ვერ ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც მოსკოვის მეტრო. მას არც აქვს პრეტენზია, რომ ნაგებობათა არქიტექტურული გაფორმების განსაკუთრებულ ნიმუშად მიიჩნიონ. იგი უბრალო და მარტივია. ისევე, როგორც პარიზის ქუჩებში, მეტროშიაც ტევა არ იყო. დიდხანს, საღამოს 8 საათამდე დავდიოდით პარიზის ქუჩებში. ბევრი რამ ვნახეთ აქ საინტერესო და დასამახსოვრებელი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რაც დიდებულია ამ ქალაქში, რასაც განსაკუთრებული არქიტექტურული ღირსება გააჩნია, კლასიკურ ხანას განეკუთვნება. პარიზში ჩვენ გვაჩვენეს ახალი ნაგებობანიც, მოდერნისტული შენობები, და უნდა ვთქვა, რომ ისინი ოდნავადაც ვერ შეედრებიან არქიტექტურის საუკეთესო მიღწევებს. მაგალითად, პარიზის ახალ უბნებში ჩვენ არაფერი გვინახავს მოსკოვის გორკის ქუჩის მსგავსი. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ პარიზში კვლავ უბრუნდებიან ხელოვნების კლასიკურ სტილს. პარიზელ სპეციალისტებსა და მოქალაქეებს განსაკუთრებით უყვართ ეს კლასიკური ხელოვნების ნიმუშებით, თავს ევლებიან და უფრთხილდებიან მას. არც ის იყო შემთხვევითი, როდესაც ჩვენ ლუვრში ვიკითხეთ, სად იქნება პიკასო გამოფენილი-თქო. ამ თანამედროვე მოდერნისტული ხელოვნების უდიდეს წარმომადგენელზე გვითხრეს, ის სხვაგან მოიკითხეთ, ლუდის ბარში ან ყავახანებშიო. ფრანგი გიდის ამ ირონიაში ნათლად იყო გამოხატული სიყვარული კლასიკური ხელოვნებისადმი და მოწიწება მის მიმართ. რასაკვირველია, პიკასოს პატივს სცემენ, დიდადაც აფასებენ მას თავყვანისმცემელთა წრე, პატივისმცემელთა ჯგუფი ჰყავს საფრანგეთშიც, სხვაგანაც, მაგრამ როცა საკითხი დგება კლასიკურისა და მოდერნისტულის შეფარდებისა თუ შედარებისა, თვით საფრანგეთში დიდი უმრავლესობა ადამიანებისა გულწრფელი მომხრეა რეალიზმის და რომანტიზმის საუკეთესო ტრადიციებისა. თვით ცხოვრებამ დაადასტურა, რომ კლასიკური ხელოვნების გზა უკვდავია. მისი განვითარება და გავრცელება, მისი ამაღლება და გამდიდრება — აი, ახალი გზა ხელოვნებისა. და ის, რაც რეალიზმის წინააღმდეგ გამოდის, ის რაც რევოლუციუ-

რი რომანტიზმის წინააღმდეგ გამოდის, ის თვით მოდერნისტულ ხელოვნებაშია სუსტი და უძლური. მოდერნისტული ხელოვნების სწორედ ის ძეგლებია ძლიერი და კარგი, რომელთაც რომანტიზმისა და რეალიზმის ფუნჯი მოხვედრია. რაც მისგან დაცილებულია, ის ვერ განვითარებულა, ვერ დამკვიდრებულა ხელოვნებაში. ასეთია შთაბეჭდილება, რომელსაც თქვენ დღეს იღებთ ფრანგული თანამედროვე ხელოვნების გაცნობის დროს. მოდერნისტების ისეთი წარმომადგენელი, როგორც არის ბოდლერი, საფრანგეთში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს. პატივს სცემენ ვერლენსა და მალარმესაც, მაგრამ უმთავრესად მათს შემოქმედებაში იმას ხედავენ, რაც მოწინავე, ძლიერია და ეს ძლიერი და მოწინავე, ბოლოს და ბოლოს, რომანტიზმის თუ რეალიზმის ფარგლებში რჩება. და ამიტომაც მას, რაც ამ სკოლის ეპიგონური განვითარების შედეგს წარმოადგენს, მწერლობაში და ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი არსად დაუმკვიდრებია. დღეს თვით ბურჟუაზიული მოწინავე ხელოვნების წარმომადგენელთა შემოქმედებაში დეკადენტიზმის განვითარება კი არ იგრძნობა, არამედ მისი ცუდი და სუსტი მხარეების უკუგდება, განვითარება რეალისტური და რომანტიკული კლასიკური ტრადიციებისა, მაგრამ განვითარება ახლებურად, თავისებურად, ოსტატურად, პროფესიონალურად. ასეთი იყო ის პირველი შთაბეჭდილებანი, რაც საფრანგეთის უძველეს ცენტრში მივიღეთ.

სალამოს 8 საათია. სპეციალური მატარებლით პარიზიდან კურსი კვლავ ჰავრისკენ ავიღეთ.

ჰავრიდან ნეაპოლამდე ექვსი დღე შეუსვენებლივ მივდიოდით გემით. რამდენიმე ზღვა გადავცურეთ, რამდენიმე ყურე გადავლახეთ. ამ ექვს დღეში ორი ისეთი დღე შეგვხვდა, რომელიც მთელს ამ საინტერესო მოგზაურობაში უსიამოვნო მოგონებად დაგვრჩა. ეს უსიამოვნება ზღვის ძლიერი ღელვით იყო გამოწვეული. დილით ქალაქ ნეაპოლს მივაღიქით. მზიანს დღე იყო. დილიდანვე ისე ცხელოდა, რომ სუნთქვა ჭირდა, მაგრამ იტალიელები მაინც სიცილით, ხელის ქნევით შემოგვეგებნენ. აქ გავიგეთ, პარიზში ორი დღის წინათ წარმოუდგენელი სიცხე ყოფილა. რამდენიმე პარიზელისათვის მზეს დაუკრავს და მძიმე ავად გამხდარა. პარიზიდან კი გამოვასწარით ამ სიცხეებს, მაგრამ იგი ნეაპოლში დაგვხვდა.

2 ივლისს დილის 8 საათიდან ავტობუსებით შევეუდექით ნეაპოლის დათვალიერებას. ნეაპოლი ძველ ბერძნებს ჩვენს ერამდე მეოთხე საუკუნეში დაუარსებიათ, ხოლო 290 წელს (ჩვენს ერამდე) ეს ქალაქი რომაელებს დაუპყრიათ და მე-5 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე იგი უმთავრესად ბიზანტიელების ხელში იყო, არც ნორმანდიის, ესპანეთისა და საფრანგეთის ბატონობაც დაჰკლებია მას. მხოლოდ 1860 წელს იტალიის სახალხო გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის — გარბალდის წინამძღოლობით ჩატარებული სახელოვანი ბრძოლების შედეგად გაათავისუფლდა იგი უცხოელ დამპყრობელთაგან. ჩვენ გავიარეთ გარბალდის მოედანი და ავტობუსებიდან ამ მოედანზე აღმართულ იტალიის სახალხო გმირის დიდი ძეგლს თვალი შევავლეთ. ამ აღამიანმა, — გვიამბობს გიდი, — რევოლუციური გამბედაობით, იტალიის ხალხის მხარდაჭერით გაათავისუფლდა ნეაპოლიც და მთელი იტალიაც.

ნეაპოლი, მისი ვიწრო პატარა ქუჩები, ზღვის სანაპირო, ძველისძველი სახლები (რომელთაგან ბევრს ჩამონგრეული აქვს კედლები), მისი უძველესი ციხე-სიმაგრეები, მე-13-14 საუკუნეებში აშენებული ტაძრები და მონასტრები ამ ქალაქის დიდ ისტორიულ წარსულზე მეტყველებენ.

ქალაქი ზღვიდან თანდათანობით მალღდება (ამ მხრივ იგი გვაგონებს ჩვენი შავი ზღვის სანაპირო ქალაქს — სოხუმს) და რაც უფრო შორს იჭრება ავტობუსი ამ ამალღებული ადგილებისაკენ, მით უფრო ლამაზი მოჩანს ნეაპოლი. როდესაც ნაძვნარისა და ფიჭვნარის მასივით დამშვენებულ მაღალ გორაკზე ავედით, ტირენის ზღვა, ნეაპოლის ყურით ხელისგულივით უპოჩნდა, ისევ ძირს დავეშვით და სორენტოსაკენ გავწიეთ. ექსკურსანტების ჯგუფი ორ ნაწილად გაჰყვეს. ნაწილი ტურისტებისა პომპეისაკენ გაემგზავრა, მეორე ნახევარი, რომელშიაც 21 ქართველი ტურისტი იყო, სორენტოსაკენ წავედით.

ქალაქ ნეაპოლს გავცილდით. დიდ საავტომობილო გზატკეცილზე გავედით თუ არა, ყოველ ჩვენს ავტომობილს გზის საბაჟო მოსთხოვეს: აქ ასეაო, — გვიხსნის გიდი, — ეს გზები კერძო პირს ეკუთვნის და ყოველ კაცი, რომელიც აქ გაივლის — ფეხით, ცხენით, თუ ავტომობილით, ფულს უხდის ამ კერძო მესაკუთრესო. გზა სორენტოსაკენ ნეაპოლის ვაკობით დაიწყო. აქედან კარგად მოჩანდა ნეაპოლისაგან ათი კილომეტრით და-

ცილებული მუდმივ მოქმედი ვულკანი ვეზუვი (მას უკანასკნელად 1844 წელს ამოუხეთქავს, დაუნგრევია პატარა ქალაქი სან სებასტიანო). ნეაპოლის ყურის გასწვრივ აღმართულ გორაკებზე სიმინდის, ვაზნარის, მანდარინების, ფორთოხლების ბაღები და ყანები სცვლიან ერთმანეთს. ვიდრე სორენტოში მივდიოდით, ამ ამალეებულ გორაკებით, რამდენიმე დასასვენებელი ადგილი, სოფელი და დაბა გავიარეთ. ყველაზე უფრო საინტერესო იყო მე-17 საუკუნის პატარა დაბა ვიკო კუენო, რომელიც იმპერატორების დასასვენებელი ადგილი ყოფილა.

შევედით სორენტოში. ზღვის პირად მდებარე ამ პატარა ქალაქს ულამაზესი მდებარეობა აქვს. თვითონ ქალაქი მაღლობზეა გაშენებული. ქვევით, ძალზე დაბლა, სორენტოს ყურეა გაშლილი. ეს ერთი უბრწყინვალესი ყურეთაგანია მსოფლიოში. აეტობუსი გაჩერდა და ოთხასი საბჭოთა ტურისტი სორენტოს ამ მაღლობიდან ზღვის სანაპირო პლაჟისაკენ დაეშვა ბილიკებით. საბჭოთა ტურისტებმა იბანავეს ამ შესანიშნავ ყურეში. ლურჯად ლივლივებდა ზღვა. ადამიანის სახე, როგორც სარკე, ისე ირეკლებოდა მის ზედაპირზე. ლურჯად მოლივლივე ზღვა იმდენად გამჭვირვალე იყო, რომ მის სიღრმეში ყოველი კენჭი და ქვაც კი მოჩანდა. იტალიური მზის მცსუნვარების ძალა სორენტოშიაც შემოგვყვა. აქაც ჭირდა სუნთქვა. პლაჟზე, სორენტოს სანაპიროზე კი გრილოდა. ამიტომაც საბჭოთა ტურისტებმა გეგმით გათვალისწინებულ დროს გადააქარბეს, ადვილად ვერ მოსცილდნენ ამ საამო ადგილს. გიდები გვაჩქარებენ და ტურისტებმაც დავტოვეთ ლურჯი ზღვა და არც ისე მოწყობილი პლაჟიც. ქალაქ სორენტოს დათვალიერებას შევუდექით. გვაჩვენეს ტორკვატო ტასოს მონდანი და ძეგლი. გვიჩვენეს ადგილი, სადაც ცხოვრობდა მაქსიმ გორკი. აქ ყველაფერი ბრწყინავს, ქუჩებზე, მოედნებზე, სახლის ეზოებშიაც კი იმდენი ფორთოხალი და მანდარინის ხეა, რომ ეს სუბტროპიკების ბაღს უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ ქალაქს. გასაოცარია, ივლისია და ფორთოხლები უკვე ყვითლად ლივლივებდნენ. დამწიფებული ნაყოფი ისე გამომწვევად გვეპატიებება, რომ თვალს ვერ ვაცილებთ. იტალიაში თურმე მთელი წლის განმავლობაში, წლის-ყოველ დროშია ფორთოხლის ნაყოფი. დღის 2 საათზე ვისადილეთ ნეაპოლისაგან დაშორებულ ამ პატარა ქალაქში, სორენტოში, რომელიც განსაკუთ-

რებით დაამახსოვრდა ტურისტებს. სოხუმის მთის გორაკისაგან განსხვავებით, სორენტოს ეს ამალელებელი ადგილი ზღვას აკრავს. „ოთელ ლა ტერაცას“ რესტორანი, სადაც ჩვენ ვისადილეთ, ზღვისპირა სალ კლდეებზეა გაშენებული. აქედან ხელისგულივით მოჩანს მთელი ეს ყურე, სორენტოს ყურე. რესტორანის გვერდით, მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც ვიწრო საცალფეხო ბილიკებია. ამ ბილიკებით ეშვებიან საბანაო პლაჟზე იტალიელები, აქედან ნათლად მოჩანს ლამაზი იტალიელი ქალიშვილები და ვაჟები, ქალები და მამაკაცები, ზღვაში მობანავენ, თუ ზღვიდან ამომავალნი.

სორენტოდან კურსი პომპეისაკენ ავიღეთ. პომპეი, ეს ანტიკური ქალაქი ფერფლად იქცა 79 წელს ვეზუვის ლავისაგან. შემდეგ თითქმის დავიწყებას მიეცა ეს ქალაქი. ასე ტრაგიკულად დაღუპულა მისი მცხოვრებნი, ქალაქი, რომელიც ერთ დროს მთელ მსოფლიოში ქებული და ცნობილი იყო. ეს დავიწყებული ქალაქი 1594 წელს უბრალო შემთხვევამ აღმოაჩინა. იტალიელი გლეხები მიწის ხენისას წააწყდნენ ქალაქის ნანგრევებს. 1748 წელს დაიწყო გათხრები ამ ძველთაძველი ქალაქის პომპეის აღმოსაჩენად. გათხრები ახლაც გრძელდება, მაგრამ ის, რაც გათხრილი და აღმოჩენილია, უდიდეს გაკვირვებას იწვევს და თან ამტკიცებს, რომ ამ დროს, ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის დასაწყისში პომპეიში დიდად განვითარებული ყოფილა კულტურა. აღმოჩენილ ქალაქში შედიხართ ფართო ხეივანით, რომელიც უფრო ბაღში შესასვლელს მოგაგონებთ, ვიდრე ქალაქს. ეს შესასვლელი უმაღლე იცვლება მოტიტველებული დიდი ტერიტორიით, სადაც ჩონჩხებივით აღმართულია ქალაქ პომპეის ნამსხვრევები, მისი კონტურები. ვიდრე ქალაქის დათვალიერებას შევუდგებოდით ვიწრო გზებით და ბილიკებით, გვაჩვენეს პატარა მუზეუმი, რომელიც შეუქმნიათ ამ ქალაქის ტერიტორიაზე. აქ თავი მოუყრიათ გათხრების დროს აღმოჩენილი უძვირფასესი ნივთებისათვის. აქ თქვენ ნახავთ ადამიანების სხეულებს, რომლებიც თაბაშირით აღუდგენიათ იმ სახით, როგორადაც დაიღუპნენ ისინი (ზოგი პირქვე დამხობილი, ზოგი ტიტველი, აბანოში ბანაობის დროს). აქვე ნახავთ ხელოვნების, ოქრომჭედლობის გასაოცარ ნიმუშებს, აქვეა ქანდაკების, ხუროთმოძღვრების მთლიანი ძეგლი თუ ნამსხვრევი. გამოფენილია პურის ნაჭერი, თუ ხორბლის



თესლი, ქსოვილის, ფულის ნიმუშები. მუზეუმი კარგად დავათვალიერეთ და დავრწმუნდით, რა განვითარებული და დიდად კულტურული ქალაქი ყოფილა პომპეი. ამის შემდეგ ქალაქის დათვალიერებას შევუდექით. ქალაქი მკაცრი გეგმით არის აშენებული. აღმოჩენილ ქალაქში ორი დიდი პროსპექტია, სხვა კი ვიწრო ქუჩები, იმდენად ვიწრო, რომ ახლაც ამ აღდგენილ ქუჩებში ორი სამი კაცი თუ გაივლის ერთად. ჩვენ გვაჩვენეს თითქმის მთლიანად გადარჩენილი რომის ფორუმი, იუპიტერისა და აპოლონის ტაძარი, ამფითეატრი 20 ათასი მაყურებლისათვის, მისი პირვანდელი აღდგენილი სახით კომედის და დრამის თეატრი. ვნახეთ პომპეის სასამართლო დარბაზი (რომლის შინაგანი სახე თითქმის მთლიანად აღდგენილია), ჰერკულესის ტაძარი, სტადიონი, მოედანი, აბანოები რამდენიმე ტიპისა თითქმის მთლიანი სახითაა, ზოგი მათგანი აღდგენილი, რომლებიც ზედმიწევნით მოგვაგონებს თბილისის აბანოებს. დიდხანს, დიდხანს დავდიოდით ამ ძველთაძველ ქალაქში, რომელიც ახლა ასე უკაცრიელი, უსიცოცხლო და სამუზეუმო მნიშვნელობისაა მხოლოდ.

გვიან საღამოს დავბრუნდით ნეაპოლში. ღამე ისევ გემზე გავათიეთ. მეორე დღეს კაპრიში წავედით. ეს პატარა კუნძული ულამაზესი ადგილია ალბათ მთელ მსოფლიოში.

საათ-ნახევარი მიცურავდა პატარა გემი. ამ პატარა გემიდან ნაევებში გადმოგვსვეს. ნაევებით კაპრის კუნძულს შემოვუარეთ და იმ ზღვის პატარა გამოქვაბულში მივედით, რომელიც მთელს მსოფლიოში ცნობილია ცისფერი გამოქვაბულის სახელით. როცა გამოქვაბულს მივუახლოვდით, ნაევებიდან ისევ სხვა, უფრო პატარა ნაევებში გადაგვსვეს სამ-სამი კაცი. ეს პატარა ნავი თავისუფლად მჯდომარე მგზავრს გამოქვაბულში ვერ შეიყვანს. მენავემ გვიბრძანა: — ფსკერზე დაწექითო და ჩვენ სამივენი განვერთხეთ ნავის ფსკერს. გამოქვაბულში როცა წელი გავმართეთ, ჩვენს წინ ზღაპრული სურათი გადაიშალა: იისფერი, ცისფერი, გასაოცრად ლურჯად მოლივლივე ზღვა. შიგ გამოქვაბულში, პატარა მოედნის მსგავს მღვიმეში, მე პირველად ვნახე ფერების ამგვარი შეხამება ზღვისა, ეგზომ გამჭვირვალე და საოცარი. უკანვე გამოვბრუნდით, ისევ გადაგვსხეს დიდ ნაევებში და კვლავ კუნძულ კაპრის სადგურს დავუბრუნდით.

კუნძული კაპრი ათი კვ. კილომეტრის მოცულობის მოედანს წარმოადგენს. ეს ამალღებული კუნძული ზღვის დონიდან 585 მეტრითაა დაცილებული. ამ კუნძულზეა თვით ქ. კაპრი, სადაც 4.000 მცხოვრებია. გიდი გვიხსნის, ამ კუნძულზე განსაკუთრებული ჰავაა, მსოფლიოში ასეთი ზომიერი ზამთარი და ზაფხული, გაზაფხული და შემოდგომა არსად იცისო. სად არისო, — გამოძწევად გვეკითხება ეს იტალიელი, — მეორე ასეთი მხარე, სადაც მუდამ თბილი და ზომიერი ჰაერი იყოსო. ამ მხრივ ეს აგარაკი მთელ მსოფლიოში პირველიაო. ძნელია, არ დაეთაიხშო მას. აქ ცხოვრობდა მ. გორკი 1906 წლიდან 1913 წლამდე, 1908—1910 წ. წ. მ. გორკის აქ ორჯერ ესტუმრა ვ. ი. ლენინი.

ქ. კაპრს ქვევით ზღვისპირა პატარა მოედანი აკრავს, პატარა დუქნებითა და სავაქრო ფარდულებით. ივლისის პირველ რიცხვებში ამ ფარდულებში უხვად იყო ფორთოხალი, ლედვი, ძხხალი და ატამი. ძართალია, ტურისტების ბიუჯეტი ძალზე გახსაზღვრულია, მაგრამ ისეთი გასაოცარი მიძხიდველობა აქონდა ამ ფარდულეას, რომ ჩვენი ბიუჯეტის ერთი ნაწილი მას შეეწირა. ამ სტრიქონების ავტორს, ალიათ, არასოდეს არ დაავიწყდება ის სიტკბოება, რომელიც აქ ნაყიდ ფორთოხალს, ლედვს და ატამს აქონდა. ქვედა ქალაქში არის ფუნიკულიორის სადგური, რომლითაც ჩვენ ზევით, ქალაქ კაპრში ავედით. თავისი სილამაზით ეს ფუნიკულიორი თბილისის ფუნიკულიორს არა სჯობია, მაგრამ მას თავისი განსაკუთრებული მიმზიდველობა მაინც აქვს. ადინხარ ამ ფუნიკულიორზე ტრამპავით (რომელიც უფრო პრიმიტიული ჩანს, ვიდრე ჩვენი) და თქვენს ყურადღებას იპყრობს მარჯვნივ და მარცხნივ შეფენილ მანდარინისა და ფორთოხლის ბუჩქები. ზევით რომ ავედით, ჩვენს თვალწინ გადაიშალა ძალზე ვიწრო ქუჩები, საკმაოდ მაღალი შენობებით, ლამაზი აგარაკებით. ეს შენობები და სახლები, — გვიხსნის გიდი, უმთავრესად ახლა ამერიკელებს ეკუთვნისო (ამერიკელ მილიონერებს შეუსყიდიათ იგი). მართლაც, ქუჩაში ბლომად გვხვდებიან ამერიკელი მამაკაცები ჭოხით ხელში, ტრუსებიტა და მაისურებით, ქალებიც, აგრეთვე, ნახევრად ტიტველნი, ისინი უმაღვე გამოირჩევიან იტალიელებისაგან, რომლებიც უფრო ნაზი და კაცთმოყვარენი ჩანან. რამდენიმე საათს ვათვალიერებდით ქ. კაპრს, ვნახეთ ის სახლი, სა-

დაც გორკი ცხოვრობდა (ახლა იქ დიდი რესტორანია, თვით სახლში კი ამერიკელები ცხოვრობენ). შემდეგ ისევ ძირს დავეშვით. ჩავსხედით პატარა გემში და კურსი კვლავ ნეაპოლისაკენ ავიღეთ. გემი საესე იყო საბჭოთა ტურისტებით და იტალიელებით. უკრავდნენ საბჭოთა ტურისტები, რუსულსა და უკრაინულს იტალიურ სიმღერებს უწყობდნენ. ჩვენს ტურისტებს შესანიშნავი კულტმუშაკები ახლდათ. მათ არაერთხელ გვასახელეს თავიანთი ვირტუოზული ნიჭით და საქმის ორგანიზაციით. ახლაც თავი გამოიჩინეს. იტალიელების დიდი ჯგუფი შეუერთდა ჩვენს ტურისტულ ჯგუფს და სიმღერები გაჩაღდა. იტალიელებთან ერთად ვიმღერეთ „სანტა ლუჩია“. სიმღერებს ტაში, ხელის ჩამორთმევა და მეგობრული გრძნობების გამომჟღავნება მოჰყვა. გემი ინტერნაციონალური ძმობის ბანაკს დაემსგავსა. ყველაფერი ეს სიმღერამ შესძლო. იტალიელები განცვიფრებულნი იყვნენ საბჭოთა ტურისტების მიერ შესრულებული იტალიური სიმღერებით. იტალიელმა მგზავრებმაც რამდენიმე რუსული სიმღერა შეასრულეს. ასეთი საზეიმო განწყობილებით დავბრუნდით ნეაპოლში.

სალამოს ბინდი დაეშვა. ზღვის ნიავე გვესალბუნება. იტალიის მცხუნვარე მზე აღარ გვაწუხებს. როდესაც ნეაპოლში შედიხარ, არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მიიპყროს ნავმისადგომზე აღმართულმა ვენერას ქანდაკებამ, რომელიც ტიპიურ იტალიელ ქალს განასახიერებს. ქანდაკებას ხელი წინ გაუშვერია, თითქოს გზას ულოცავსო ნეაპოლის ყურედან გამსვლელს და მომსვლელს. ეს ულამაზესი იტალიელი ქალიშვილის გამოსახულება კვლავ შემოგვეგება საბჭოთა ტურისტებს კაპრიდან ნეაპოლში დაბრუნებისას. ჩვენს გემზე ერთი ქართველი ტურისტის გვერდით იტალიელი ლამაზი ქალიშვილი იჯდა. როგორ ჰგავდა ეს გოგონა ამ ქანდაკებას, და მერე ვინ მოსთვლის რამდენი შემოგვხვდა იტალიაში ეს ბრინჯაოს თუ ხორბლისფერი პირმშვენიერი ლამაზი ქალიშვილები...

იტალიის დათვალიერება საბჭოთა ტურისტებმა ქალაქ რომის ნახვით დავასრულეთ.

ქალაქი რომი ჩვენს გონებაში ცოცხლობდა თავისი დიდი სიძველეებით, ძველი კულტურით, იტალიელი ხალხის სტუმართმოყვარეობით, და ეს წარმოდგენანი, წიგნში ამოკითხული თუ გაგონილი, უფრო ხეავრიელი გახდა რომის ნახვისა და და-

თვალეირების დროს. რომი, მართლაც, ქალაქი — მუზეუმიცა, მუზეუმი უკვდავ ხელოვანთა, შემოქმედი იტალიელი ხალხისა.

ნეაპოლიდან მატარებლით წამოსულებმა, როდესაც იტალიის ერთ-ერთ დიდ სადგურში შევდიოდით, მის გარეუბნებში ვნახეთ ძველი შენობების ნანგრევები, პატარა ქოხმახები, ღარიბულად ჩაცმული ადამიანების სილუეტები. აშკარად ჩანდა კაპიტალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სოციალური კონტრასტი. რომის სადგურში შევედით და ჩვენს წინ სხვა სურათი გადაიშალა; გარეგნულად მდიდრული რეკლამა მონუმენტური, თანამედროვე ბურჟუაზიული ქალაქისა.

ავტობუსებში ჩავსვეს თუ არა, გიღმა, რომელიც რუსულად მაინცდამაინც კარგად ვერ ლაპარაკობდა, რომის ისტორიის მოყოლა დაიწყო. ქალაქი რომი 754 წელს გაშენდაო ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მეხუთე საუკუნიდან ვიდრე პირველ საუკუნემდე (ჩვენ წელთაღრიცხვამდე) რომი იყო ცენტრი რომაელების რესპუბლიკისა, ხოლო პირველ საუკუნიდან (ჩვენ წელთაღრიცხვის) მეხუთე საუკუნემდე იგი გახდა ცენტრი რომის იმპერიისა და სწორედ ამ ხანებში შეიქმნა რომი — უდიდესი ქალაქი ძველი მსოფლიოსი და დღემდე ინახავსო იგი ამ მაღალ სახელს კლასიკური ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრებისა. შევუდექით ქალაქის დათვალეირებას. გზადაგზა გვაჩვენებენ ხუროთმოძღვრების ძველ ძეგლებს. აი, აკვედუკ კლავდიუსის მონუმენტური შენობა, პირველი საუკუნის შენობა. აგერ, — გვაჩვენებს გიდი, — გიგანტური ამფითეატრი ფლავიუსის კოლიზეუმი, რომელიც აშენებულია 78—80 წლებში და სადაც გლადიატორების ბრძოლა იმართებოდა. აი, ის ადგილიც (კოტა მოცილებით ძველი ფორუმისაგან), სადაც გამოდიოდა სიტყვით იულიუს ცეზარი. ავტობუსები გაჩერდა. ჩვენ ძირს ჩამოგვსვეს და შეგვიყვანეს რკინის ფართო კარებით დიდ შენობაში, რომელსაც ჰქვია „ღმერთების ტაძარი“. ეს გასაოცარი პანთეონი პირველ საუკუნეში აუშენებიათ. ამის შესახებ გოეთე ამბობდა: მე ვხედავ, რომ რომი აშენებდა ძეგლებს საუკუნეებისათვის, — და მართლაც საუკუნეების ქარიშხალს გადაუვლია ამ დიდ ტაძრის თავზე, მაგრამ ის კვლავ შეურყეველი დგას. ღმერთების პანთეონი წარმოადგენს ცილინდრისებურ მკვერივ კედლებისაგან აგებულ დიდ შენობას. ექვსი ღმერთის ამ სავანეს არც ერთი ფანჯარა არა აქვს, ზევიდან დატოვებუ-

და ღია ადგილიდან შემოდის სინათლე, ეცემა ცენტრს და იფანტება მთელს სივრცეში. პანთეონში დაკრძალულია იტალიის მეფეები. აქვეა დასაფლავებული იტალიის გენიალური მხატვარი რაფაელი, მხატვარი, რომელმაც მხოლოდ 37 წელი იცხოვრა, მაგრამ თავისი გენით სამუდამოდ უკვდავყო თავისი სახელი.

სიტყვა, სუნთქვა ჭირს, მაგრამ რომაული ცივი წყაროს წყლებით ვიგრილებთ გულს. რომის ქუჩებში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ამ წყაროებს. ამ გარემოებას სულხან-საბა ორბელიანმა ყურადღება მიაქცია და თავის მოგზაურობაში ჩაწერა: „რომისა ეს უფრო გამიკვირდა: აუარებელი წყაროები გამოდის ზედიზედ შუკათა შინა, გინდ სასახლეებში, ან საყდრებში, ან ბაზრებში, საკვირველია“. ტურისტთა ჯგუფი კვლავ ჩაგვსვენს ავტობუსში და ახლა ვატიკანისაკენ გავემგზავრეთ. გიდი ხელით გვანიშნებს აქედან იწყებაო ქ. ვატიკანი. ეს ქალაქიო ქალაქში, სახელმწიფო სახელმწიფოში. ეს ტრამვაი, ეს ავტობუსი, ეს ქუჩები, ეს მალაზიები ვატიკანის გამგებლობაში შედისო. მიგვაყენეს ვატიკანის კარებს. ვეებერთელა ლიფტებით აგვიყვანეს მეორე სართულზე. დაიწყო ექსკურსია ვატიკანის მუზეუმში, გიდი გვიხსნის — აი, „ელინური სკოლა“, „ლაოკოონი“, რომელიც ძველ ბერძნულ ლეგენდაზეა აგებული. აგერ ბერძნული ჰერკულესის სკულპტურა (ორიგინალი), ციცერონი, იულიუს ცეზარის სკულპტურა (სიკვდილის წინა დღეებში ნაპოლეონს უჩუქნია იგი პაპისთვის). დარბაზს დარბაზი სცვლის, ხელოვნების ნიმუშს ხელოვნების ნიმუში, კაცობრიობის გენიის საუკეთესო ქმნილებათა ეს გასაოცარი ექსპონატები. აი, მიქელ-ანჯელოს მიერ მოხატული დარბაზები. რაფაელის, ლეონარდო და ვინჩის, ტიციანის... და ასე ერთმანეთს სცვლის უდიდეს კლასიკოსთა ფუნჯით თუ საჭრეთელით ამოკრილი, სულჩადგმული, ხორცშესხმული, უკვდავი ნიმუშები ხელოვნებისა. დიდხანს ვათვალიერებდით ამ შესანიშნავ მუზეუმს, ვნახეთ მისი უდიდესი საუნჯენი... აქედან გამოვედით და შეგვიყვანეს აღორძინების ეპოქის ძეგლის სანახავეად, — წმინდა პეტრეს ტაძრის დიდ დარბაზში. ეს, მართლაც, ხელოვნების უდიდესი ძეგლია. გიდი განგვიმარტავს, რომ მსოფლიოში ამაზე დიდი ტაძარი არ არსებობსო. წმ. პეტ-

რეს ეს ტაძარი ვეებერთელაა, უფრო დიდი ვიდრე ნოტრ-დამია, და უფრო მონუმენტური, ვიდრე ეს შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა. აი, ჩვენს წინ დგას წმ. პეტრეს ბრინჯაოს ქანდაკება. ეს პაპის სადღესასწაულო ცერემონიების ყველაზე დიდი საგანია. მილიონობით კათოლიკე მოდის და დაჩოქილი კოცნის წმ. პეტრეს ამ მარმარილოს ცივ ქანდაკებას. აქვე არის „დატირება ქრისტესი“, შესანიშნავი ნაწარმოები 23 წლის მიქელ-ანჯელოსი...

დარბაზიდან გარეთ გამოვედით. პაპანაქება სიცხე იდგა. წმ. პეტრეს მოედანი ხალხით იყო სავსე. ზარმა თორმეტჯერ დარეკა და ვატიკანის მაღალ შენობიდან მესამე სართულზე ფანჯარა გაიღო. გამოჩნდა პაპი — პიუს მეთორმეტე. 82 წლის ეს მიხრწნილი მოციქული ღმერთისა ამ ქვეყანაზე სიტყვით მიმართავდა შეყრილ კათოლიკეებს. რამდენიმე სიტყვა თქვა მან: „ღმერთი იყოს მფარველი და დამცველი თქვენი“. მის მიკნავებულ ხმას ვერავინ გაიგებდა ამ მაღალ შენობიდან, რომ პაპი ცივილიზაციის თანამედროვე მიღწევას: მიკროფონსა და რადიოს არ იყენებდეს.

დავამთავრეთ დათვალიერება და მართლაც, დავრწმუნდით, რომ ვატიკანი სახელმწიფოა სახელმწიფოში თავისი ჯარისკაცებით, თავისი მცველებით, თავისი საკუთარი მუზეუმით, ეკლესიით, მონასტერით, მსახურებით. მაგრამ ეს განმარტებას მოითხოვს. როდესაც ჩვენ წმ. პეტრეს ტაძარში შევდიოდით, გაგვაფრთხილეს, მამაკაცები კოსტიუმებში უნდა იყვნენ გამოწყობილი, ჰალსტუხებით და სოლიდურ ფორმაში, ქალები კი გრძელსახელოებიან ტანსაცმელში. საბჭოთა ტურისტებმა ეს მოთხოვნა შეასრულეს, მაგრამ ჩვენს შორის აღმოჩნდა ერთი ქალი, რომელსაც გრძელსახელოებიანი კაბა არ ჰქონდა და მკლავები მოუჩანდა. პეტრეს ტაძრის შესასვლელ კარებთან ჯარისკაცმა იგი შეაჩერა, არ შეუშვა... სწორედ ამ დროს მოდიოდა ამერიკელი, რომელსაც მოკლე შარვალი ეცვა და ხელში ჯოხი ეჭირა, გვერდით ახლდა ქალი, თითქმის ასეთსავე „ფორმაში“ გამოწყობილი. ვატიკანელ ჯარისკაცს ხმა არ ამოუღია, ზედაც არ შეუხედავს, თითქოს ვერ დაინახაო. ამერიკელმა დაუკიობხავად შეალაჯა, და როდესაც ჩვენ გიდს ვკითხეთ, რაში იყო საქმე, მან გვაპასუხა:

— ეს ამერიკელია, ამერიკელისათვის კი ჩვენში კანონი არ

არსებობს, — სევდანარევი ხმით დაუმატა მან, — ისინი უხეშად ბატონობენ ჩვენზე.

ეს ბატონკაცები ჩვენ ვნახეთ არა მარტო იტალიაში, ასე ყოყლოჩინა მამალივით გაფხორილნი და უკმეხნი, არამედ საბერძნეთშიაც, თურქეთშიაც. მაგალითად სტამბოლში იგივე სურათს წავაწყდით. ერთ-ერთ მეჩეთში საბჭოთა ტურისტები შეგვიყვანეს. განგვიმარტეს, რომ ამ შესასვლელი ბილიკის იქით, დაფენილ ნოხებზე, ფეხსაცმლით გავლა არ შეიძლებაო, ვისაც სურს მასზე გავლა, ფეხთ უნდა გაიხადოსო. მაგრამ ჩვენ შევნიშნეთ რამდენიმე კაცი, რომლებიც ფეხსაცმლით დადიოდა თურქი მოლების გაფენილ ხალიჩაზე. ვიკითხეთ, — ისინი ამერიკელები აღმოჩნდნენ.

ორი დღე დავყავით იტალიაში — მსოფლიოს უდიდესი ოსტატების: მიქელ-ანჯელოს, რაფაელის, ტიციანის, ლეონარდო და ვინჩის და სხვათა სამფლობელოში, მათი სულიერი სამყაროს გარემოცვაში. ბევრი რამ ვნახეთ ხელოვნების ამ ზღაპრულ მუზეუმებში საინტერესო და საოცარი. საქართველოს გარდა არსად არ გვინახავს ასეთი ლურჯი ცა, ასევე ლურჯი ზღვა და ხავერდოვანი მოლით მოსილი მიწა, და მე ვირწმუნე, თუ რამდენად მართალი იყო ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი სულხან-საბა ორბელიანი, როცა იგი აღტაცებული წერდა: „დამიჯერეთ, რომ ასეთია, 100 წელს სულ იაროს კაცმა, მისსა საკვირველებას ვერც გაუვიდეს, ვერ დაასრულოს“.

ნეაპოლიდან კურსი სამხრეთისაკენ ავიღეთ.

ნეაპოლიდან საბერძნეთამდე გემი თითქმის ორი დღე მცურავდა ტირენის ზღვით, სიცილიისა და ბისკაის ყურით, იონიის ზღვით, გავიარეთ საკმაოდ გრძელი გზა. ჩაუარეთ კვიპროსის კუნძულს, ხოლო ხმელთაშუა ზღვით საბერძნეთის ნაპირებს და მივადექით პირეის.

პირეი ძველთაძველი ნავსადგურია. დღევანდელ საბერძნეთში მოსახლეობის რაოდენობით მესამე ქალაქია. საბერძნეთს ამ ნავსადგურით აქვს კავშირი აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებთან. უკვე მე-5 საუკუნეში (ჩვენს ერამდე) პირეი იყო დიდი სამხედრო და სავაჭრო ცენტრი. ეს ძველი პირეი 431-34 წლებში დაუნგრევიათ ერთ-ერთი თავდასხმის დროს, ხოლო საბოლოოდ მისი ციხე-სიმაგრენი შეუშუსრაეს რომის მხედართმთავარს სულოის 86 წელს ჩვენს წელთაღრი-

ცხამდე. თურქთა ბატონობის წლებში ქალაქი უფრო დაეცა. მხოლოდ მე-19 საუკუნიდან, როდესაც საბერძნეთი გათავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან, იგი კვლავ გახდა მნიშვნელოვანი პორტი საბერძნეთისა. აი, ამ ნავსადგურში მივედით ჩვენ 7 ივლისს დილის 5 საათზე. 7 საათზე გემიდან ჩამოვედით და ავტობუსში ჩასასხდომად გავემართეთ. აღრიანი დილაა, მარამ ისე ცხელა, რომ სუნთქვა ჭირს. ბერძენი გიდეები იმით გვანუგეშებენ, რომ ასეთი სიცხე ჩვეულებრივიაო საბერძნეთში, ნუ შეგეშინდებათ, მალე შეეგუებითო. მზე აქ უფრო ძლიერ აცხუნებდა, ვიდრე იტალიაში და საბერძნეთის ამ უძველეს ქალაქს — პირეის თავისუფლად და დამშვიდებით ვერ ვათვალისწინებთ საბჭოთა ტურისტები. ავტობუსებით გავემართეთ ათენისაკენ. ათენი თითქოს ზედვე მიდგმულია პირეისთან. იგი პირეის პორტიდან 8 კილომეტრითაა დაშორებული. მთელი ეს გზა ათენამდე შეერთებულია საავტომობილო მაგისტრალით, სანაოსნო ზღვით და ქუჩებითაც. ჩვენმა ექსკურსიამ დანიშნულებისამებრ კურსი აიღო აკროპოლისაკენ, მსოფლიოში ამ ყველაზე უძველესი და განთქმული მარმარილოს ქვის გორისაკენ.

ძველი ბერძნული ტაძრებითა და ხელოვნების ძეგლებით სახელგანთქმული ათენი ერთ-ერთი უძველესი ბერძნული ქალაქია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საბერძნეთის ანტიკური კულტურის შექმნის საქმეში. საშუალო საუკუნეებში ათენი იყო მცირემოსახლეობიანი დაბა, რომელიც შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში, შემდეგ კი თურქეთის სამფლობელოში. ათენის როლი, როგორც კულტურული და პოლიტიკური ცენტრისა, კვლავ განახლდა მას შემდეგ, როდესაც ბერძნების გამირულმა ბრძოლამ ნაციონალური გათავისუფლებისათვის თურქ დამპყრობლების წინააღმდეგ 1821—1827 წლებში თავის მზარდ განვითარებას მიაღწია. 1833 წელს ათენი ხდება საბერძნეთის სახელმწიფო დედაქალაქი. ათენმა შემოინახა ძველი ბერძნული კულტურის ბევრი საინტერესო ძეგლი, მათ შორის, როგორც ვთქვით, ყველაზე უფრო საინტერესოა ძველთაძველი თავდასაცავი კედლები აკროპოლისისა, რაც ჩვენს ენაზე ნიშნავს — ქალაქის ზედს.

აი, ჩვენ ავდივართ ამ გორაკზე საფეხურებით და უცბად მოვხვდით აკროპოლისის ცენტრში. ეს ქალაქი, ქრისტეს წინ მე-



ორე საუკუნეში აგებული, მე-17 საუკუნეში დაანგრის თურქებმა. აკროპოლი, სიმაგრე ქალაქისა, თურქი ბარბაროსების უხეშმა იარაღმა იმდენად დაასახიჩრა, რომ მან თავისი უშუალო დანიშნულება დაკარგა. ახლაც ამ ნანგრევების ყორეში, გასუფთავებულ და დაცულ მუზეუმებში მაინც იგრძნობა სიდიადე ამ ძველი ბერძნული ქალაქისა. აი, ჩვენ ვდგავართ ფილოსოფოს სოკრატეს მოედანზე, პართენონის კოლონების წინ. ეს არის კედლები, რომელსაც ალბათ დიდი ბერძენი ფილოსოფოსისა და მწერლის სოფოკლეს ხელი შეჰხვებია. ათენის აკროპოლის შესახებ ტომები დაწერილა და კიდევ დაიწერება. აი, ესეც აკროპოლის კედლები, რომელთა სიმაღლე 50 მეტრს შეადგენს და რომელიც მთლიანად მარმარილოსაგან შედგება, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია პართენონის კოლონები ათენი-პალადის ტაძარი, ეს ქალღმერთია, მფარველი ქალაქისა, ამავე სახელით რომ იხსენება... 280 წელს ჩვენს ერამდე აკროპოლი პირველად დაანგრის ირანელებმა და დაიკავეს ათენი. შემდეგ ათენის აღორძინების წლებში ძველი ბერძნების მიერ აკროპოლი კვლავ იქნა აღდგენილი, რომელიც უფრო დამშვენებული იქნა მარმარილოს სვეტებიანი კედლებით და უამრავი სკულპტურული ძეგლებით. მათ შორის ახლა გადარჩენილია პატარა ტაძარი ნიკია აპტეროს (უფროთა გამარჯვება). ვარაუდობენ, რომ ის აშენებულია მე-5 საუკ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე. პართენონის პირისპირ დგას უფრო პატარა ტაძარი ერეპთეიონი მე-5 საუკ. ბოლო წლებისა (ჩვენ ერამდე). აკროპოლის მარჯვენა მხარეს, ქვევით არის თეატრი დიონისესი და ოდისეისა, ეგრეთწოდებული საკონცერტო დარბაზი იროდა ატიკა. აკროპოლიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით დგას ძველთაძველი ტაძარი. ოლიმპიელი ზევსის ეს ტაძარი 138 წელს დაუშთავრებიათ (ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ზევსის (იუპიტერის) ტაძრის კოლონებიდან მხოლოდ რამდენიმე გადარჩენილა (106 სვეტზე ყოფილა ეს ტაძარი შემდგარი).

დავათვალიერეთ ბერძნების ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი. ეს შედარებით პატარა შენობა ხელოვნების ძვირფას ნიმუშებს ინახავს. აქ არის ბარელიეფები, მარმარილოს ქვაზე გამოკვეთილი, ზევსის, პოსეიდონის; კლასიკური ეპოქის ნიმუშები, სტატუები, ძველი წარმართული კულტებზე

მათ შორის ერთი თხისა ქვისაგან გამოკვეთილი. საბერძნეთში გვაჩვენეს თანამედროვე ათენის დამახასიათებელი ნიმუშებიც.

ავტობუსებით ჩავუარეთ უნივერსიტეტის, აკადემიის, ნაციონალური ბიბლიოთეკის შენობებს, თანამედროვე სტადიონს. ეს ახალი დროის შენობები ლამაზია და თავისებური.

ერთი დღე ვიყავით ჩვენ საბერძნეთში, პირეასა და ათენში (და ამ ერთ დღეს ძლივს გავუძელით სიცხესა და პაპანაქებას). ხელოვნების ეს უდიდესი ძეგლები თავისი შორეული ბრწყინვალეობით იმდენად გვიზიდავდა, რომ ჩვენ მზად ვიყავით დაწვრილებით დაგვეთვალიერებინა და აგვეწერა ყოველივე ეს, მაგრამ დიდი სიცხე ამის საშუალებას გვართმევდა.

დღის სამ საათზე ვისადილეთ რესტორან „ავეროვოში“. ეს იყო ყველაზე უფრო ხანგრძლივი სადილობა ჩვენს მგზავრობაში. სადილს თან ახლდა კონცერტი. ლამაზმა ბერძენმა ქალმა, მაყვალივით შავთვალეებიანმა და ტანწერწეტამ შესანიშნავი სიმღერები შეასრულა. მისგან მოხიბლული ჩვენი ტურისტები დიდხანს უკრავდნენ ტაშს, ისიც ჩვენს ტურისტებს შორიდან ამბორს უგზავნიდა, ახლო მიდიოდა მათთან და მიესალმებოდა. ბერძენი ქალი შესცვალა მომღერალმა ვაქმა, ასევე ლამაზმა და მშვენიერი ხმისამ, ხოლო შესანიშნავი ბერძნული სიმღერები — საბჭოთა სიმღერებმა. მთელი ეს 850 კაცი დიდ რესტორანში ბერძნული შესანიშნავი ღვინით შუბლგახურებული მიესალმებოდა ბერძენ მომღერლებსა და გიდებს. ეს სადილი გადაიქცა ძმობის და მეგობრობის კონცერტად.

სალამო ხანი იყო, როდესაც ჩვენი ავტობუსები პლაჟისაკენ გაემართნენ. დაახლოებით ნახევარ საათს მივდიოდით ავტობუსებით და ჩვენ ჩამოგვსვეს ქალაქგარეთ ზღვის ნაპირას. ეს ფრიალ მოხერხებული საბანაო ადგილი იყო იმათთვისაც, ვინც ცურვა არ იცოდა. (ასი, ორასი მეტრის სიგრძეზე ზღვის სიღრმე მეტრ-ნახევარს აღარ აღემატებოდა). ზღვით გაგრილებულნი, სალამოს ისევ ათენისაკენ დავბრუნდით. სალამოს უფრო ლამაზი იყო ათენიც და პირეიც. თუ დღისით დიდი სიცხის გამო კაცის ქაჭანება არ იყო ქუჩებში, ახლა აუარებელი ხალხი ირეოდა, რესტორნებსა და სასადილოებში, პარკებსა და ბაღებში ტყეა არ იყო, სიცილ-ხარხარი და ბერძნული სიმღერა აყრუებდა იქაურობას. ღამის 12 საათზე დავტოვეთ პირეი და კლრსი ავიღეთ თურქეთისაკენ.

ხმელთაშუა ზღვა სწრაფად გავცურეთ. გამოვედით ეგეოსის ზღვაში. რამდენადაც მშვიდი, ნაზი და ცისფერი იყო ხმელთაშუა ზღვა, იმდენად მრისხანე, მშფოთვარე და მღვრიე აღმოჩნდა ეგეოსის ზღვა. მთელი მეორე დღე ვიარეთ ეგეოსის ზღვით და მისი სრუტით გავედით მარმარილოს ზღვაში, მივაღექით სტამბოლს. ბოსფორის სრუტით შევედით ჩვენს შავ ზღვაში და საქართველოს სურნელებაც შემოგვეგება თითქოს.

უკვე 25 დღეა ვმოგზაურობთ ხმელეთით და ზღვით. გადავლახეთ ფინეთის ყურე, ბალტიის ზღვა, კილის არხი, ჩრდილოეთის ზღვა, პა-დე-კალეს სრუტე, ლამანში, ატლანტის ოკეანე, ბისკაის ყურე, გიბრალტარის სრუტე, ხმელთაშუა ზღვა, პირინეისა და მესენის ყურე, ეგეოსის ზღვა და აი, დარდანელის ყელით, მარმარილოს ზღვით სტამბოლს მივაღექით. უკვე შვიდი ზღვა, ოკეანე, ყურე და არხი გადავლახეთ, მაგრამ ისე დიდია ინტერესი ქვეყნების ნახვისა და იმდენად საინტერესოა შთაბეჭდილებანი, რომ ტურისტებს დალლა არ ეტყობათ.

დარდანელის შესავალი განსაკუთრებით ლამაზია. ეს ვიწრო შესასვლელი კილის არხზე უფრო დიდია, თანაც ლამაზი, ბუნებრივი და მოხერხებულია დარდანელის ყურე, თურქეთისათვის, მართლაც, რომ ადვილია თავის დაცვა ამ ბუნებრივი საშუალებით. დარდანელის სრუტეს მარჯვნივ და მარცხნივ მწვანით შემოსილი გორაკები ამშვენებენ. საბერძნეთის ხრიოკ მთებს აქ მწვანით შემოსილი ლამაზი მთები სცვლიან. სულ სხვა ლანდშაფტია, სხვა ბუნება.

სტამბოლში დილის 7 სათზე მოვედით.

სტამბოლი დაარსებულია 326 წელს ჩვენს ერამდე, რომის იმპერატორმა, კონსტანტინე დიდმა, ძველი ბერძნული კოლონიის საფუძველზე ააგო დიდი ქალაქი, რომელიც 1453 წლამდე კონსტანტინეპოლად იწოდებოდა. 1453 წელს კონსტანტინეპოლი დაპყრობილ იქნა თურქეთის სულთანის მოჰამედ მეორის არმიის მიერ, რომელმაც კონსტანტინეპოლს სახელი შეუცვალა და სტამბოლი უწოდა. აი, ამ ქალაქში მოვედით ჩვენ 9 ივლისს დილით. შევუდექით ქალაქის დათვალიერებას. პირველ ყოვლისა, დაგვათვალიერებინეს ბიზანტიის პერიოდის ძეგლები. მოედანზე, რომელსაც ახლა ჰქვია ატმეიდანი, წინათ იყო ჰიპოდრომი. ეს იყო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი ბიზანტიისა. ძველად ეს მოედანი ანუ ჰიპო-

დროში გარშემორტყმული იყო მაღალი ამფითეატრით, სადაც ასი ათასამდე მაყურებელი ეტეოდა. ამ მოედნისაგან სულ ცოტაოდენი დაცილებით არის ძველთაძველი ტაძარი, რომელსაც აია-სოფია ჰქვია. ე. წ. წმინდა სოფიის ტაძარი, აშენებულია 532-537 წლებში ბიზანტიელი არქიტექტორების ანთემი ტრალესელისა და ისიდორე მილეთელის მიერ. ეს არის ერთ-ერთი დიდი მონუმენტური ტაძარი, ბიზანტიური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში. ბიზანტიის დაცემის შემდეგ, როდესაც იგი ხელთ იგდო თურქეთმა, ეს მონასტერი გადააქციეს მეჩეთად და ამის მიხედვით სახე შეუცვლიათ მისთვის. შიგნით რაც მოზაიკები, ფრესკები იყო, წაუშლიათ, უფრო სწორად, დაუფარავთ. შემდეგ იგი მუზეუმად გადაუქცევიათ და ეს ფრესკები ზოგან აღუდგენიათ. ათათურქს იგი სახელმწიფო მუზეუმად გამოუცხადებია. დარბაზში სვეტებიანი კედელი ღრმად ამოხრულია. გიდი გვიხსნის, რომ ეს წმ. გიორგის ნამყოფი ადგილია. ამ სვეტზე მას თითი დაუდვია და შემდეგ ხალხში ლეგენდად გადასულა, ვინც აქ თითს დაადებს, ის ბედნიერი იქნებოდა. შემდეგ ჩვენ გვანახეს სულთნების მიერ აშენებული მეჩეთები, მათ შორის ყველაზე უფრო საინტერესო იყო სულთან აჰმედის მეჩეთი, რომელსაც ცისფერ მეჩეთს ეძახიან. იგი აშენებულია 1609—1617 წლებში. გიდი გვიხსნის, რომ ეს ყველაზე უფრო საინტერესო მეჩეთიაო მუსულმანურ სამყაროში. მას ექვსი მინარეთი აქვს. წინათ მოლები გაჰყიოდნენ ექვსივე მინარეთიდან. ახლა (რადიოფიციერებულა მთელი ეს მეჩეთი და რადიოჩანაწერის მიხედვით უხმობენ მოლები მლოცველთ.) მათ მაგიერ რადიო გაჰყვირისო, ცოტათი უკმაყოფილო ამბობს თურქი გიდი. გვაჩვენეს სხვა მეჩეთებიც. საზოგადოდ, სტამბოლი ორ ნაწილად იყოფა, — ერთია ძველი სტამბოლი, სადაც ბიზანტიური ძეგლები და მეჩეთების უმრავლესობაა მოთავსებული, მეორე — უფრო ახალი, მე-19 საუკუნის სტამბოლი. ძველი ქალაქის დათვალიერების დროს ნათლად წარმოგვიდგა თუ რა სიღარიბეში და სიღუბნეში ცხოვრობს თურქი მშრომელი ხალხი. სტამბოლში ჩვენ მუსულმანური რელიგიური დღესასწაულის — ბაირამობის დღეს მოვხვდით. მოსახლეობა სტამბოლის გარეთ იყო გამოფენილი. და აი, ამ ძველი სტამბოლის ჭუჭყიან ქუჩებში, დუქნების წინ, დახეულ-დაგლეჯილ ტანისამოსში თურქი მშრომელები ქა-

ღალღადაფარებულ მაგიდაზე დაყრილ საკმელს ქამდნენ. ქუჩებსაც, მაღაზიებსაც, ხალხსაც აშკარად ეტყობოდა სიღარიბის კვალი. ჩვენ გვაჩვენეს სტამბოლის ეს მეორე ნაწილიც: მაღალი შენობებით, ლამაზი ქუჩებით, მდიდარი მაღაზიებით.

სამ საათზე დავბრუნდით და გემში ვისადილეთ. ერთი საათის შემდეგ ბოსფორის დასათვალეიერებლად წავედით. ბოსფორი შავ ზღვასა და მარმარილოს ზღვას ვიწრო ყელით აერთებს. სტამბოლის სანაპირო საკმაოდ გრძელია. ის თითქმის ბოსფორის სიგრძეს გასდევს. ბოსფორის სიგრძე კი 30 კილომეტრს უდრის, სიგანე 3,7 კილომეტრს. დასავლეთი სანაპირო ბოსფორის არხისა ევროპულია, აღმოსავლეთი ნაპირი—აზიური. ორივე მხარეს გაშენებულია თურქული სოფლები და ქალაქები. ჩვენ ვნახეთ ყურე „ოქროს რქა“, საბჭოთა კავშირის საკონსულო, ევროპული ნაწილის სანაპირო, ყველაფერი ეს საინტერესო და მიმზიდველი იყო... საღამოს სტამბოლიდან გამოვედით და კურსი რუმინეთისაკენ ავიღეთ, კონსტანცისაკენ. კონსტანცაში 10 ივლისს დღის 4 საათზე ჩავედით. ეს იყო მთელ ჩვენს მოგზაურობაში პირველი ქალაქი, სადაც ჩვენთვის პასპორტი არავის მოუთხოვია. გემიდან ჩამოვედით და თავისუფლად ვსეირნობდით. ჩვენ ვათვალეიერებთ ქუჩებს, მოედნებს, შენობებს. ამ ქალაქს ეტყობა ბერძნების, ბიზანტიელების და თურქების ბატონობის კვალი. ამაზე მეტყველებენ ციხესიმაგრეები, ტაძრები და სხვა ნაგებობანი. ქალაქის ცენტრში, პატარა მოედანზე დგას რომაელი პოეტის ოვიდიუს ნაზონუსის (იგი აქ გარდაიცვალა, გადასახლებაში) დიდი ძეგლი. მოედანსაც ოვიდიუსის მოედანი ჰქვია, ჩამოვედით თუ არა ამ ქალაქში, აქ შეკრებილ ხალხმრავალ მიტინგზე ჩვენ სიტყვით მოგვმართა ქალაქ კონსტანცას თავმჯდომარემ, რომელსაც საპასუხო სიტყვა უთხრა გემის კაპიტანმა ვლადიმერ ჩერნოვმა. ეს იყო მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობით გამთბარი, ძმობის ჭეშმარიტი დემონსტრაცია. მეორე დღეს ჩვენ უკვე ოდესაში ვიყავით, ჩვენს საბჭოთა ქალაქში, საიდანაც ტურისტები მშობლიურ ქალაქებში გაემგზავრნენ. ჩვენ, ქართველმა ტურისტებმა, ჩვენს ქალაქს, საყვარელ თბილისს მოვაშურეთ.

26 დღე ვმოგზაურობდით ზღვითა და ხმელეთით. ბევრი რამ ვნახეთ საინტერესო, საუცხოო, ძვირფასი განძეული კულტურისა, ხელოვნებისა, მწერლობისა, საზოგადოებრივი ცხოვ-

რებისა; ბევრი რამ, რომელსაც წიგნით, ნაამბობით ვერასოდეს გაიგებ და მიხვდები. შთაბეჭდილებანი ჩვენი მდიდარი იყო, მომხიბლავი და დაუვიწყარი. მაგრამ, როდესაც სამშობლოში დაებრუნდით, ჩვენი ქვეყნის ჰაერი ვისუნთქეთ, ჩვენი თბილისი ვნახეთ, პირადად ამ სტრიქონების ავტორმა გულწრფელად ჩაწერა შთაბეჭდილებათა ბლოკნოტში — პარიზი უმშვენიერესი ქალაქია, რომიც საუცხოოა და ათენიც, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და საყვარელი ჩემი ქვეყანაა, ჩემი თბილისი, ჩვენი საქართველო. ვერც ერთ ქვეყანაზე და ვერც ერო ქალაქზე ვერ გავცვლი მას.

## რამდენიმე დღე პოლონეთში

იმ ზაფხულს მოსკოვში ყოფნისას შემთავაზეს მონაწილეობა მიმედლო მწერალთა კავშირის დელეგაციაში, რომელიც პოლონეთში იმოგზაურებდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მწერალთა შორის კონტაქტების დასამყარებლად. ეს წინადადება სიამოვნებით მივიღე მით უმეტეს იმიტომ, რომ საქართველოს დიდი ხანია ურთიერთობა აქვს პოლონეთთან. ისტორიულად ეს ურთიერთობა სწორედ ქართველ და პოლონელ მწერლების ძმობითა და მეგობრობით არის განმტკიცებული, ქართველი და პოლონელი ხალხის უკეთესი მერმისისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის მაღალი იდეალებით გაცისკროვნებული. და ამ ისტორიულ ურთიერთობას ქართველთა და პოლონელთა შორის თავისი არსებობა არასოდეს შეუწყვეტია, ხოლო განსაკუთრებით კი დიდი სამამულო ომის შემდეგ ახალი ძალით იფეთქა. საკმარისია მოვიგონოთ, რომ 1960 წელს ვარშავაში პოლონელმა მწერლებმა გამოსცეს ქართული პოეზიის ანთოლოგია და ამით დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოხატული ქართული პოეზიისა და ქართველი ხალხისადმი. ამ კრებულში, უშუალო, ბუნებრივი და გულწრფელი გრძნობებით არიან დაკავშირებულნი ქართველი და პოლონელი პოეტები. ამ სიყვარულში ქართველები როდი ჩამორჩებიან თავიანთ პოლონელ ძმებს — თბილისში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა პოლონელი მწერლობის ანთოლოგია. აქ თავმოყრილია კლასიკური და თანამედროვე პოლონური მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. ეს ფაქტი მე ერთხელ კიდევ მაძლევდა საბაბს გულმხურვალედ მიმედლო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის მწერალთა იმ დელეგაციაში, რომელიც პოლონეთში უნდა გამგზავრებულიყო. დიან, ქართულ მწერლობის წარმომადგენელს ჰქონდა სათქმელიცა და საბუთიც მწერლებს შორის ურთიერთობისა და კონტაქტის გასაფართოებელი თუ დასამყარებელი. ამ გარემოებამ ცოტა როლი როდი შეასრულა საერთოდ ჩვენს მოგზაურობაში და ამ გადა-

23. ს. კილაია

წყვეტილების მიღებაშიაც. მაგრამ იმ ზაფხულს ეს მოგზაურობა გადაიდო და აი, მოულოდნელად, მომივიდა ცნობა, სასწრაფოდ გავმზადებულიყავი პოლონეთში გასამგზავრებლად.

ეს იყო 1961 წლის დეკემბერი. 4 დეკემბერს დილით მოსკოვის აეროდრომს მოწყდა თვითმფრინავი „ილ 18“ და 2 საათსა და 20 წუთის შემდეგ ჩვენ აღმოვჩნდით ვარშავის აეროდრომზე. აქ დიდი პატივით დაგვხვდენ, პოლონელი ამხანაგების ჯგუფს პოლონეთის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი პირი მამილოვსკი მეთაურობდა. ეს ჩვენთვის საკმაოდ ცნობილი გვარი აღმოჩნდა; იგი სამამულო ომის მონაწილეა, საბჭოთა ჯარის ნაწილებთან და პარტიზანებთან ერთად იბრძოდა პოლონეთის განთავისუფლებისათვის. მისი ძმა კი საბჭოთა კავშირში მუშაობს, ქალაქ ლვოვში. წინასწარი საპასპორტო შემოწმებისა და საბუთების გასინჯვის შემდეგ მანქანებში ჩავსხედით და ქალაქის ცენტრისაკენ გამოვსწიეთ. აქ ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ სასტუმროში — „ბრისტოლში“ დავბინავდით. ჩვენი დელეგაცია ხუთი კაცისაგან შედგებოდა — უკრაინელი პროზაიკოსი ვ. კაზაჩენკო (მეთაური ჩვენი დელეგაციისა), რუსი მწერლები ს. ვასილიევი, ბ. სლუცკი, ლიტველი — თეოფილის ტილივიზისი და მე, ამ მოგონების ავტორი.

სასტუმროში ერთ ოთახში მოვხვდით მე და თეოფილის ტილივიზისი, ლიტველი პოეტი და პროზაიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ლიტვიის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უაღრესად კეთილი კაცი; ჩვენი ერთად ყოფნა საინტერესო იყო იმიტომ, რომ ძველად ლიტვა პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდა, მის ერთ-ერთ გუბერნიად ითვლებოდა. მაშინ პილსუდსკი იყო პოლონეთის პრეზიდენტი. თავად პილსუდსკი ლიტველი ყოფილა წარმოშობით. მან ბურჟუაზიული პოლონეთი გააერთიანა და ერთი ძლიერი სახელმწიფო შექმნა, მაგრამ, როგორც თეოფილისი მიამბობს, დიდი ბედნიერება ლიტველი ხალხისათვის მას არ მოუტანია. სიკვდილის წინ მან ანდერძად დასტოვა — მისი სხეული კრაკოვში დაესაფლავებიათ, მეფეთა საგვარეულო საფლავში, ხოლო გული კი ვილნიუსში, დედამისის საძვლეში. ვარდაცვლილ პრეზიდენტს ეს ანდერძი შეუსრულეს და აი, ამ ამბის გამო მიყვება ტილივიზისი პოლონეთისა და ლიტველი ხალხის ურთიერთობის ისტორიას. ეს მოთხრობა საკმაოდ საინტერესოა და შთამბეჭდავი, ბევრ რამის



მასწავლებელი ხალხთა ურთიერთობაში იმ ძველსა და შავ-  
ნელ დროში, როდესაც ხალხებს შორის ძმობას და მეგობრო-  
ბას ხშირად გაღესილი ხმალი და ყუმბარა უთხრიდა საფუძ-  
ველს.

სასტუმრო „ბრისტოლი“ ერთ-ერთი ძველი სასტუმროა. იგი  
აუშენებია ცნობილ პიანისტ პადერევესკის და მთლიანად თურ-  
მე მას ეკუთვნოდა, აქ მართავდა იგი კონცერტებს, აქ იღებ-  
და იგი თავის მეგობრებსა და აქ იყრიდნენ თავს მაშინდელი  
ცნობილი მუსიკოსები და სასოგადო მოღვაწენი მრავალი ქვეყ-  
ნისა. 1904 წლიდან სასტუმრო პრეზიდენტ პილსუდსკის გამ-  
გებლობაში გადასულა. ამჟამად ის დემოკრატიული პოლონე-  
თის საკუთრებაა; აქ პოლონეთში ჩამოსული უცხოელები არიან  
უმთავრესად თავმოყრილი. საღამოს 10 საათზე დავბინავდით  
ამ სასტუმროში. დავრსვენეთ, ვივარშმეთ და შევუდექით ქალა-  
ქის დათვალიერებას. ღამით მშვენიერი სანახავი იყო პოლო-  
ნეთის დედაქალაქი — ვარშავა. პირველმა შთაბეჭდილებამ  
ყველა ჩვენთაგანი მოხიბლა...

მეორე დღეს დილიდანვე კვლავ ქალაქის დათვალიერებას  
შევუდექით. სასტუმრო „ბრისტოლის“ გვერდით დგას ძეგლი  
პოლონელი ხალხის დიდი შვილის — მიცკევიჩისა. ძეგლი 1894  
წელს აუგიათ, ხოლო 1944 წელს მისი აღდგენა მოუხდათ, რა-  
დგან გერმანელებმა გაანადგურეს. მიცკევიჩის ძეგლი ბრწყინ-  
ვალე ნიმუშია ხელოვნებისა. მთელის ტანით დგას მიცკევიჩი  
და სევდიანი თვალებით გაჰყურებს თავის საყვარელ სამშობ-  
ლოს. პოლონეთს არა ჰყავს მიცკევიჩზე უფრო დიდი შვილი  
და ამიტომ, შეიძლება ითქვას, მთელ პოლონეთში მისი ნამდვი-  
ლი კულტია, ყველა ქალაქში ნახავთ მის ძეგლს, მისი სახე-  
ლობის ქუჩას თუ დაწესებულებას. ფაშისტ ბარბაროსებს არა  
მარტო მიცკევიჩის ძეგლი დაუნგრევიათ, მთელი ვარშავაც  
ნანგრევებად უქცევიათ. ახლა, ყველა ქუჩა, ყველა სახლი აღ-  
დგენილია იმავე სახით, იმავე ფორმით, როგორადაც იყო გა-  
შენებული ძველად. პოლონელები ამ მხრივ დიდი პატრიოტე-  
ბი არიან თავიანთი წარსულისა. ამავე დროს თქვენ ყურადღე-  
ბას მიიპყრობს ყოველ ქუჩაზე, თითქმის ყოველ ათ მეტრზე  
წარწერა: აქ დახვრიტეს გერმანელებმა ამდენი და ამდენი პო-  
ლონელიო. ეს ადგილები გარშემორტყმულია რკინის პატარა  
მოაჯირით და აქ ყოველთვის ცოცხალი ყვავილები ყრია.

ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით ნაკვალევს გერმანელ ფაშისტებისა და ერთხელ კიდევ დარწმუნდებით, თუ რა დაუნდობელი ყოფილან ისინი პოლონელების მიმართ და რა მძაფრად გაუსწორებიათ ანგარიში მათთვის. პოლონელებთან საუბარში, მათთან ურთიერთობაში, ნათელი ხდება, თუ რა მძიმე კრილობა მიაყენა ფაშიზმმა პოლონელ ხალხს და რა დიდი სიძულვილი დაბადა მათში ფაშისტურმა რეჟიმმა.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც უცხოელს დარჩება პოლონეთიდან საუბრის შემდეგ, ეს ის არის, რომ თქვენ ნათლად გრძნობთ იმ მხურვალე პატრიოტიზმს, რომელიც ყოველ პოლონელ კაცში ანთია. პოლონელი ამაყია, დიდი ფანატიკოსი და მოყვარული თავისი ისტორიისა, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების, ყოველი პოლონელი ამაყობს თავისი წარსულით, ერის ვაჟკაცური, პატრიოტული შემართებით, თავისი დიდი კულტურითა და ქედმოუხრელობით.

პოლონეთში დიდია გავლენა, ახლაც კი, კათოლიკური ეკლესიისა. ვარშავასა და სხვა ქალაქებში, ასევე, სოფლებში ყველგან შეხვდებით კათოლიკურ ეკლესიებს, სადაც დღენიადაგ წირვა-ლოცვაა.

სასტუმრო „ბრისტოლის“ მეორე გვერდით შოპენის დიდი ძეგლია, აქვე პოლონურ ეკლესიაში შოპენის გულია შენახული. სამი წლის წინათ პარიზში ყოფნის დროს მე ვნახე პარიზის ცნობილ სასაფლაოზე კომუნარების კედელთან ახლოს პატარა საფლავზე ბიუსტი შოპენისა. პოლონელებს ცხედარი შოპენისა პარიზში დაუკრძალავთ, მისი მხურვალე გული კი სამშობლოში წამოუღიათ. ჰიტლერელებს ვარშავის ოკუპაციის ბატონობის დროს განუზრახავთ მოენახათ შოპენის გული, მაგრამ მანამდის იგი გადაუმალავთ პოლონელ პატრიოტებს. რამდენიმე ექვმიტანილი პოლონელი დაუპატიმრებიათ კიდევც, მაგრამ მისი პოვნა ვერ მოუხერხებიათ. როდესაც ჩვენ ეს ეკლესია-მუზეუმი დავათვალიერეთ, დიდის გულმხურვალეობით გვიყვებოდნენ პოლონელ პატრიოტთა ამ გმირობას.

ვარშავა დიდი ევროპული ქალაქია, განლაგებული მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე. უმთავრესად კი მის მარჯვენა სანაპიროზე. მარცხენა მხარეზე გაშენებულ ქალაქს ახლა დამოუკიდებელი სახელი აქვს. ქალაქის ეს ორი ნაწილი დიდი ხიდით არის დაკავშირებული. ვარშაველების მოგონებაში ეს

ხიდი უკავშირდება სამამულო ომის მეტად მძიმე დღეებს. საბჭოთა არმია ქალაქ ვარშავას მიუახლოვდა, მასთან ერთად იყო პოლონელების არმია პარტიზანებისა და თავისუფლებისმოყვარე პოლონელებისაგან შემდგარი. ქალაქ ვარშავაში პოლონელებმა აჯანყება მოაწყვეს ფაშისტების წინააღმდეგ. ფაშისტებმა სასტიკი შური იძიეს აჯანყებულებზე, ქალაქი თითქმის მთლიანად დაანგრის, ხოლო შეთქმულები სასტიკად აწამეს. სისხლში ჩამხრჩვალ აჯანყებული ვარშავა იხსნა საბჭოთა არმიამ. ფაშისტური მონობის ტრაგიკული კვალი ახლაც ამჩნევია ქალაქს. განსაკუთრებით შემადრწუნებელია ომამდელი ვარშავის ე. წ. ებრაელების უბანი, ამ რაიონში თავმოყრილი იყო ღარიბი ებრაელი მოსახლეობა. როდესაც ვარშავა ჰიტლერელებმა დაიპყრეს, სასტიკად გაუსწორდნენ ვარშაველ ებრაელებს. მაშინ ქალაქში 600 ათასამდე ებრაელი ცხოვრობდა, ე. ი. ქალაქის მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი. და აი, ფაშისტებმა ეს ებრაელები ერთად შეყარეს გეტოს რაიონში, გარს შემოავლეს მავთულის ხლართი, ქალაქისაგან გამოაცალკევეს და სასტიკი რეჟიმი დაუნიშნეს მათ. ყოველ ებრაელს ზურგზე წარწერა ჰქონდა — „ებრაელი“. გერმანელ ფაშისტებს ყოველ საღამოს გამოჰყავდათ ამ რაიონიდან ებრაელები და ხვრეტდნენ. ასე, თანდათანობით სპობდნენ ებრაელებს ვარშავაში. განწირულმა ებრაელთა უბანმა აჯანყება მოაწყო. ფაშისტმა მხეცებმა ერთბაშად მოსპეს და გაანადგურეს ეს უბანი: ებრაელების გვამებმა დაფარა ნაცარტუტად ქცეული რაიონი. ფაშისტების განადგურების შემდეგ აქ დიდი ძეგლი აღუმართავთ. ერთ მხარეზე გამოხატულია აჯანყების სურათი, მეორე მხარეზე მოხუცი ებრაელები, ფეხშიშველი ბავშვები, გამხდარნი და დამშეულნი. ეს ქვა სიმბოლურად განასახიერებს ომის იმ საშინელ სურათებს. ძნელია კაცმა ეს უბანი მღელვარებისა და აღშფოთების გარეშე დაათვალიეროს.

ქალაქი ვარშავა თითქმის ახლად გაშენებული ქალაქია. აქ კვლავ აღუდგენიათ ძველი ძეგლები, ძველი ხელოვნების ნიმუშები, დარბაზები და სახლები. ზოგი კი ნახევრად დანგრეულია, ზოგი კი მთლიანად. ჩვენ ვნახეთ ვარშავის უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, ისინი ერთ ქუჩაზე არიან გვერდით. ეს შენობაც ახლად აღდგენილია. უნივერსიტეტის შენობა ექვსი თუ შვიდი კორპუსისაგან შედგება. ყოველი

კორპუსი სამ-ოთხ სართულიანი შენობაა და აქ მოთავსებულია უნივერსიტეტის ფაკულტეტები. მთლიანად ეს კორპუსები ერთ დიდ ანსამბლს ქმნიან ცალკე დიდი ეზოთი და მშვენიერი ხეივნით. უნივერსიტეტისა და აკადემიის შენობის წიწ ალმართულია კოპერნიკის ძეგლი, იგი ზის და მას მარცხენა ხელში გლობუსი უკავია, მარჯვენათი კი — საზომი, სახაზავი. ჩვენ კოპერნიკის თითქმის ასეთი ძეგლი კრაკოვშიაც ვნახეთ. ოღონდ უფრო პატარა ზომისა.

ქალაქ ვარშავაში, აგრეთვე, ჩვენ დავათვალიერეთ ის ყოფილი უნივერსიტეტი, სადაც კოპერნიკი სწავლობდა. ეს ვარშავის ერთ-ერთი უძველესი, პატარა სარკმელებიანი შენობაა, პატარა ეზოთი და წინ საცხოვრებელი ოთახებით. ეს შენობა დაცულია იმავე სახით, როგორც იყო კოპერნიკის დროს.

ქალაქ ვარშავას არა აქვს ერთი ცენტრალური ქუჩა, მაგალითად ისეთი, როგორც თბილისს — რუსთაველი. არსებითად იგი ორი უბანიდან შედგება — ძველი და ახალი. ახალი უბნები, ახალი ქუჩები უფრო ფართოა, ევროპული, ახალი აგებული სახლებიც მოდერნიზებული სტილისაა. ვარშავაში საბჭოთა კავშირის მიერ აშენებული კულტურის სასახლეა. ამ 25 სართულიან სასახლეში ორი დიდი თეატრია, რამდენიმე დარბაზი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, საცხოვრებელი ოთახები და დაწესებულებები. ამ კულტურის სასახლის გასწვრივ დიდი პარკები და ხეივნებია. და ეს უთუოდ ქმნის ახალი ვარშავის ცენტრალური ქუჩის დიდ ანსამბლს.

ქალაქ ვარშავაში თავმოყრილია ყველა ცენტრალური დაწესებულება, მათ შორის მუშათა რევოლუციური პარტიის ექვსსართულიანი დიდი შენობა გამოირჩევა და მონუმენტალურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ვარშავაში რამდენიმე დრამატული თეატრია: მათ შორის ორი საოპერო. ჩვენ საგანგებოდ გვაჩვენეს სტუდენტების ახალგაზრდული თეატრი, ის სულ 250 მაყურებელს იტევს. აქ სულ რამდენიმე მსახიობია. განასახიერებენ პატარა სკეტჩებს, ოპერეტის და დრამატიული პიესების ცალკე ეპიზოდებს. და ასე იქმნება ერთიანი სურათი სხვადასხვა ენარისა, რომელსაც უმთავრესად იუმორისტულ-სატირული ხასიათი აქვს. მაყურებელიც თავიდან ბოლომდე დაძაბული უსმენს იმ წმირ გადასვლებს ფორმებისა და ენარებისა, რომლებიც ერთ იდეთ გაერთიანებულ სპექტაკლს ახასიათებს.

ეს მეტად საინტერესო ძიებაა და მიაჩნიათ, რომ შეიძლება ამან შეცვალოს ძველი კლასიკური ფორმები ოპერისა და დრამისა. ეს მოხდება თუ არა, ძნელი სარწმუნოა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ახალგაზრდა კოლექტივი, რომელსაც ჩვენი მეგობარი მწერალი და დრამატურგი, თბილისში ნამყოფი ფენიციკი მეთაურობს, გამსჭვალულია დიდი ენთუზიაზმით. უნდა ვთქვათ, რომ ვარშავაში ეს პატარა კოლექტივი ისეთი პოპულარობით სარგებლობს, რომ აქ ვერასოდეს ბილეთს ვერ იშოვით. ჩვენი პოლონელი მეგობარი, რომელიც თბილისშია ნამყოფი და რომელიც კარგად იცნობს თბილისსა და მის მაცურებელს და აღტაცებულია ჩვენი დედაქალაქით, ოცნებობს, რომ თავისი კოლექტივით ჩამოვიდეს აქ, ჩვენ დედაქალაქში — თბილისში.

ვარშავაში დავათვალიერეთ რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენა, რომელიც ახალი პოლონეთის 15 წლისთავს მიეძღვნა. ნაციონალურ გალერეაში მოწყობილი ეს გამოფენა მეტად საინტერესოა. აქ წარმოდგენილი იყო თანამედროვე მხატვრების ნაუმშევრები, განსაკუთრებით სჭარბობდა აბსტრაქციონული მხატვრობა. ყველაზე ნიჭიერთ მოუხერხებიათ ასეთ განყენებულ ფერწერისა და ქანდაკების ფორმაში გარკვეული აზრი წარმოეჩინათ, ზოგი იმათთაგანი „ლურსმული ფორმისაა“, ე. ი. ლურსმნებისაგან შექმნილი ფერწერის სურათი, რომელსაც თუ ძლიერ არ დააკვირდი, თვით ფორმასაც ვერ დაადგენ ამ „ლურსმების ჯირითში“. ზოგს ხეები თავისებური გაუჩერკნია ისე უფორმო, ისე უსახო, რომ ძნელია კაცმა აქედან რამე აზრი გამოიტანოს ან „ემოციური სიტკბოება“ მიიღოს. მაგრამ მაინც, როგორც ვთქვით, აქ არის ზოგიერთი საინტერესო ძიება, რომელსაც უთუოდ აქვს ჭეშმარიტი ხელოვნების უფლება მოპოვებული. ეს გარემოება ერთხელ კიდევ იმას ამტკიცებს, რომ თავისთავად რომელიმე მიმართულება კი არ აძლევს ხელოვნანს ნიჭს, არამედ ნიჭი აძლევს მიმართულებას ძალას და უფლებას არსებობდეს ესა თუ ის სკოლა, ხოლო ნიჭიერად შექმნილი ნაწარმოები, რა მიმართულებისაც არ უნდა იყოს იგი, მაინც ბრწყინავს და საინტერესოა. ასეთი სურათები აქ ცოტა როდი იყო. ამიტომ არ არის შემთხვევით, რომ თვით შესასვლელ ეზოში დიდი ქანდაკება, გამარჯვების სიმბოლო დგას და ყველაზე უფრო სანიმუშოა ამ გამოფენაში, — იგი შესრულებულია აბსტრაქციონისტი მხატვრის მიერ. ამ გამო-

ფენაში არის კლასიკური ფორმები, კლასიკური ნიმუშები; თანამედროვე რეალისტი მხატვრებისა. როდესაც ჩვენ ამ გამოფენას ვათვალიერებდით, შეგვეგება ერთი მხატვარი მოქანდაკე, რომელსაც რამდენაზე ბიუსტი და სურათი ჰქონდა გამოფენილი. რუსულად გვარიანად ლაპარაკობდა და შემოგვიჩივლა: აი, ხომ ხედავთ რა ამბავია ჩვენს მხატვრობაში. ესე იგი; იგი საყვედურობდა აბსტრაქციონიზმის გაბატონებას პოლონურ ხელოვნებაში. შემდეგ გვაჩვენა თავისი სურათები და გვითხრა: მოგწონთ ეს სურათები და ქანდაკება? ჩვენ მართლაც მოგვეწონა მისი ნამუშევარი და შევაქეთ იგი. სევდიანი თვალებით შემოგვაცქერდა და გვითხრა: ამოდ მექომაგებით, მე ახლა ყველაზე ჩამოჩენილ კაცად, პრიმიტივისტად მთვლიანო. მაგრამ ჩვენს გაცეხებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იმავე საღამოს ერთ კინოთეატრში ნაჩვენები იყო ეს გამოფენა და ცენტრალური ადგილი სწორედ ამ რეალისტ მხატვრის ნამუშევარს ეჭირა. ნათელია, თუ როგორ უჭერს მხარს პოლონეთის საზოგადოებრივობა რეალიზმს მწერლობასა და ხელოვნებაში.

პოლონეთში იმჟამად საერთოდ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე თავისებური დამოკიდებულება ჰქონდათ. ეს თავისებურება ყველგან იგრძნობოდა მუხეუმების დათვალიერების თუ, მწერლობისა და ხელოვნების მოღვაწეებთან შეხვედრის დროს. მეტი თავისუფლება აზრისა და ფანტაზიის — ამ ნიადაგზე სასტიკად ებრძვიან წინასწარ დადგენილ სქემებს, გაბატონებულ კანონებს. ამისდა მიუხედავად თავისუფლება აზრისა და გაბედური ძიება ფორმებისა უთუოდ საინტერესოა და არ შეიძლება ამით არ დაინტერესდეს კაცი.

ჩვენ, პოლონელ მწერლებს რამდენჯერ შევხვდით.

ჩავედით თუ არა პოლონეთში, იმავე საღამოს მოგვიწყვეს მწერალთა კავშირში დიდი მიღება. მწერალთა კავშირის მდივანი პუტრამენტი, რომელმაც მოაწყო ეს პირველი მიღება, საბჭოთა კავშირში ნამყოფია, მთელი სამამულო წლები მან უკრაინასა და მოსკოვში გაატარა. ის კარგად იცნობს საბჭოთა მწერლობას და შესანიშნავად ლაპარაკობს რუსულად. მან მიღებაზე ვრცელი სიტყვით მოგვმართა და საბჭოთა მწერლობის სადღეგრძელო შესვა. შემდეგ ცხარე ლიტერატურული საუბარი და კამათი გაიმართა. ახლა ძნელია დაწვრილებით აღვადგინოთ ამ საუბრის შინაარსი, მაგრამ ერთი კი ნათლად დამა-

მახსოვრდა: პოლონელი მწერლები იმ აზრისა იყვნენ, რომ ახალმა დემოკრატიულმა პოლონეთმა სოციალისტური ქვეყნების ბანაკში „პოლონეთის კულტურული დამოუკიდებლობა“ უნდა შეინარჩუნოს. მწერლები ამ გარემოებას ხაზს უსვამდნენ ჩვენთან კამათსა და დავაში და შემდეგ ამის მიხედვით გვიხსნიდნენ იმას, თუ რა ახალი ნაწარმოებები შეიქმნა პოლონეთში სოფლისა და ქალაქის ცხოვრების თემებზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენთვის კონკრეტული თემა არ არის საინტერესო. ჩვენ ადამიანი მისი ზოგადი ხასიათებისა და თვისებებით გვაინტერესებს, სადაც არ უნდა შრომობდეს და ცხოვრობდეს...

პოლონეთში ჩვენ რამდენიმე კინოსურათიც ვნახეთ. აქაც სხვადასხვა მიმართულება და სხვადასხვა პრინციპი ეჯიბრება ერთმანეთს. ამ შეჯიბრში არის ძიების კვალიც. ერთი სიტყვით, პოლონეთის მწერლობასა და ხელოვნებას მეტად თავისებური გზა აქვს არჩეული და ამ გზაზე ცოტა როდია შეცდომები და ნაკლოვანებანი, მაგრამ უფრო მეტია წარმატებანი და წინსვლა. და უნდა ვთქვათ, რომ აქ ისინი მეტ შემთხვევაში რეალიზმის თავისებურ გაგებას უკავშირებენ თავიანთ წარმატებებს.

დამახასიათებელია ერთი ფაქტი. როდესაც ჩვენ პოლონეთში ჩავედით, სწორედ იმ დღეებში მოწვეულ იქნა პოლონეთის მწერლების ყრილობა. ამ ყრილობაზე ჩვენ რატომღაც არ მიგვიწვიეს, თუმცა ჩვენ მიწვევას მოველოდით. შემდეგ კი გავიგეთ, რომ ყრილობას წმინდა ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა. სამაგიეროდ, გამომგზავრების წინ მწერალთა კავშირში მოგვიწყვეს დიდი და საინტერესო მიღება მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ივანევიჩის მეთაურობით. ეს იყო ნამდვილი მეგობრული შეხვედრა, პროფესიონალური საუბარი და კამათი ლიტერატურის საკითხებზე, მაგრამ კამათს არც აქ მიუღია მწვავე ხასიათი და ყველა თავის საკუთარ შეხედულებას თავისუფლად გამოსთქვამდა. შეხვედრა მოგვიწყვეს მწერალთა კავშირის შენობაში. ეს შენობა ახლახან მიუღია პოლონეთის მწერალთა კავშირს; ვარშავის ცენტრალურ ქუჩაზე, ეს ოთხსართულიანი შენობა მთლიანად მწერალთა კავშირს უჭირავს. აქვეა დიდი წიგნთსაცავი ბიბლიოთეკა, ქვევით მწერალთა კავშირის წევრებისათვის რესტორანია და რამდენიმე დიდი დარბაზი სხდომებისა. ამ მხრივ უთუოდ კარგი პირობები აქვთ მათ შეხვედრებისა და მუშაობისათვის.

შეხვედრის დროს ბევრი საკითხი შეეხებოდა იმ ურთიერთობებს, რომელიც ისტორიულად არსებობს ცალკეულ ერებს შორის. პირადად ამ სტრიქონების ავტორს საშუალება მიეცა ვრცლად ესაუბრა პოლონელ მეგობრებთან პოლონელი და ქართველი მწერლების ურთიერთობის ისტორიის შესახებ. ჩვენ გვიან ღამით დავბრუნდით სასტუმროში.

ღამის მყუდროებაში ფანჯრიდან გავყურებ ვარშავას და ერთბაშად ცოცხლდება ჩვენი დიდებული მამულიშვილის, ქართული რეალიზმის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის მოგონება. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, როდესაც გიორგი ერისთავი ვარშავაში ცხოვრობდა, ის უკვე ქართულ რომანტიზმს ზიარებული პოეტი იყო. და აქ, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე გადასახლებაში ყოფნის დროს რომანტიკული ხასიათის ლექსებს წერდა. მისი რამდენიმე ლექსი, პოლონელი ქალიშვილის ნატალისადმი მიძღვნილი, სწორედ თავისი რომანტიკული პათოსითა და ინტონაციებით გვხიბლავს. აქ, პოლონეთში ცხოვრების დროს, გიორგი ერისთავი, როგორც ჩანს, კარგად გაეცნო მაშინდელ პოლონურ ლიტერატურას, უდიდეს კლასიკოსს მიცკევიჩს, თარგმნა მისი ლექსები. აქ იგრძნო მან ყველაზე მწვავედ თავისი სამშობლოს ეროვნული ტკივილები, თავისი ქვეყნის უუფლებობა და ცარიტული რუსეთის მძიმე კლანჭები. იგივე კლანჭები ჰქონდა ჩასობილი პოლონეთს და ამიტომ სამღურავი ბედისა და ქვეყნისა ერთი ქონდათ ქართველ და პოლონელ მწერლებს იმ წლებში. შეთქმულებების ასალაგმავად პოლონელებს თბილისში ასახლებდნენ, ხოლო ქართველებს — პოლონეთში და ასე ებრძოდა ცარიზმი მათ პატრიოტულ გრძობებსა და განწყობილებებს.

გიორგი ერისთავი აქ, პოლონეთში, ვარშავასა და ვილნიუსში იოხებდა გულს და მწარედ მოსთქვამდა თავისი სამშობლოს ბედზე, ეს ადრინდელი ლექსები, რომანტიზმის ღრმა ჭრილობით არის აღბეჭდილი მის პოეტურ სულში. ხოლო როდესაც გიორგი ერისთავი საქართველოში დაბრუნდა, ერთბაშად დრამატულ ეანრს მოკიდა ხელი და გახდა მეთაური და დამწყები ქართული რეალიზმისა, დამაარსებელი ქართული პირველი ეურნალისა და პირველი თეატრისა. სამშობლოზე ფიქრში მას, პოლონეთში, ღამეები უთენებია, პოლონური მწერლებისა და მეგობრების რჩევა და დარიგებაც მოუსმე-



ნია... უფრო მოგვიანებით ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში სწავლისას შიო არაგვისპირელი სხვა ქართველებთან ერთად აარსებს „საქართველოს განთავისფლების ლიგას“ (1893 წ.). იგი აქედან უტევდა ცარიზმს.

ასე, იმ დამით, ფიქრი ფიქრს გადაება, ვარშავის უძველეს სასტუმროში.

ვარშავიდან კრაკოვს გავემგზავრეთ. კრაკოვი ისეა ვარშავიდან დაშორებული, როგორც ფოთი თბილისიდან. უნდა ვთქვათ, რომ ვარშავის შემდეგ ეს პირველი ქალაქი იყო, რომელმაც არანაკლებ მოგვხიბლა, ვიდრე ვარშავამ. კრაკოვი ძველებური ევროპული ქალაქია, სწორი და ვიწრო ქუჩებით, ლამაზი, სამსართულიანი სახლებით... ერთ მხარეს მას ვეებერთელა ბაღი აკრავს, ხოლო მეორე მხარე კი თავდება პატარა გორაკით, სადაც მდებარეობს ისტორიული ვაბელი — პოლონელი მეფეებისა და საეკლესიო მოღვაწეების საძვლე.

ჩვენ კრაკოვში სურპრიზი დაგვხვდა. მთელი ქალაქი თოვლით იყო გადაპენტილი და დილით ადრე გათენებისას ჩამოსულებმა პირველმა გაეთლეთ ეს თეთრად აელვარებული თოვლი. ჩვენი სასტუმრო სადგურიდან სულ ახლო იყო. ორსაათიანი დასვენების შემდეგ ქალაქის დათვალეირებას შევუდექით. უპირველეს ყოვლისა, ვაბელი გვაჩვენეს, რომელიც დაუარსებიათ 1552 წელს, მეფე ზიგმუნდის მეფობის დროს. საიდუმლო გვირავით შევდივართ რეზიდენციის ეზოში. ეზო საკმაო ფართოა, გარშემოვლებული დამხმარე შენობებით, რომელთაც დიდი აივნები აქვთ. ამ აივნებზე თურმე მუსიკა უკრავდა, ეზოში კი — ცეკვა-თამაში იმართებოდა. სწორედ აქ ცეკვავენ პოლონურ ტემპერამენტთან „კრაკოვიაკს“. ალბათ, სახელწოდება ქალაქ კრაკოვს დაუკავშირდა. მთელი დღე ვათვალეირებდით დარბაზებს; სადაც იმართებოდა სენატის სხდომები, სეიმის თათბირები, სადაც მეფე სხვადასხვა ქვეყნის ელჩებს იღებდა. სრულდებოდა საეკლესიო ცერემონიები. აქვეა გამოფენილი სურათები მეფეებისა, მათ შთამომავალთა, შვილებისა და შვილიშვილებისა, მდიდრული ავეჯი, ხელოვნების უკვდავი ნიმუშები, უდიდესი სულიერი საუნჯენი და სიმდიდრენი პოლონელი ერისა... საგამოფენო დარბაზების დათვალეირების შემდეგ ჩამოგვიყვანეს ქვედა დარბაზებში, სადაც სარკოფაგებში განისვენებენ მეფეები, მრისხანე-

ნი და დამპყრობელნი, ლმობიერნი და ხელმოცარულნი, ძლიერნი და მხდალნი, ბოროტნი და კეთილნი... აქვე, ამ მეფეების გვერდით, გამოცალკეევებით, ბინა დაუდვიათ პოლონელი ხალხის ორი დიდი შვილისათვის — ადამ მიცკევიჩისა და იულიუს სლოვაკისათვის. მართლაც, გრანდიოზული იყო შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენ ვაბელის დათვალეირებით მივიღეთ.

9 დეკემბერს ჩვენი ჯგუფი გაემგზავრა ოსვენციმის დასათვალეირებლად. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ის ჯოჯოხეთი, რომელიც გერმანელ ფაშისტებს მოუწყევიათ. ასეთი შემზარავი არაფერი მინახავს და გამიგონია ადამიანების მიერ ადამიანთა გასაყლელად გამოგონილი. როგორც აქ გადმოგვცეს, მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერელთა მიერ ევროპის დაპყრობილ ტერიტორიაზე მოწყობილ ბანაკთა შორის ოსვენციმი ყველაზე დიდი იყო და ყველაზე საშინელი ადამიანის გასანადგურებლად გამოგონილი. ჩვენ აქ ვნახეთ თვით გერმანელების მიერ ბოროტების კვალის დასაფარავად აფეთქებული საგაზო კამერები და დასაწვავად გამზადებული კრემატორიები. ოსვენციმის ტრაგედია რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისია ითქვას, რომ ამ ბანაკში წამებით დახოცილ ადამიანთა რაოდენობა მრავალი მილიონია.

ომამდე ოსვენციმი პოლონეთის პატარა დაბა იყო, თორმეტიოდე ათასი მცხოვრებით. კრაკოვიდან იგი დაშორებულია 50 კილომეტრით. ვარშავიდან კი 286, ხოლო ბერლინიდან 500 კილომეტრამდე. ეს ჩავარდნილი, ვაკეჭაობიანი ადგილებითა და უვარგისი წყლებით ადამიანისათვის საცხოვრებლად მეტად ცუდია და ეს ვეებერთელა ტერიტორიაც ამიტომ იყო ასე მცირედ დასახლებული. ჰიტლერელებს განგებ შეუჩრჩევიათ მიუვალი, ჭაობიანი, ხალხისაგან დაცილებული ადგილი, ესესელების ბოროტ საქმეთა კვალის დასაფარავად. აქედან პოლონელი მოსახლეობა მთლიანად გაუსახლებიათ, მისი ვეებერთელა ტერიტორია შემოურავავათ და სპეციალურად რკინიგზით დაუკავშირებიათ დიდი ქალაქების ცენტრებთან. აქ მოყავდათ ტყეები თითქმის ყველა ქალაქიდან, რომლებიც მაშინ ჰიტლერელებმა დაიპყრეს, მოყავდათ და აწამებდნენ აქ. ფაშისტებს შემოდებული ჰქონდათ სპეციალური, რასობრივი, ნაციონალური შერჩევა ტყეებისა. პირველ რიგში ისინი ანადგურებდნენ ებრაელებს, მერე — პოლონელებს, ბოშებს, საბ-

ქოთა ადამიანებს... მათ ბოროტ ნაკვალევს ყველგან ხედავთ... რკინიგზით ჩამოყვანილი ათასობით ტყვეს პირველსავე სადგურ-რიდან არჩევდნენ ჯანმრთელობის მიხედვით. გადასარჩევ პუნქტს ფაშისტები არქმევდნენ „აბანოს“, თითქოს ეს დეზინფექციური საშუალება იყო ტყვეებისათვის, ნამდვილად კი ეს იყო „დეზინფექციური საშუალება“ ადამიანების განადგურებისა. ესეისელი ექიმები უბრალო შეხედვით, გარეგანი ნიშნებით: მოხუცებს, ბავშვებს, ავადმყოფებს, ორსულ ქალებს, გადაარჩევდნენ ერთ მხარეს, ხოლო ფიზიკურად ძლიერებს — მეორე მხარეს. იმათ, ვისაც, მათი აზრით, ფიზიკური შრომა შეეძლოთ, ბანაკში აგზავნიდნენ სამუშაოდ, ხოლო ინვალიდებს, ბავშვებს და ორსულ ქალებს... „აბანოში“, — გაზიან კამერაში, სადაც ახრჩობდნენ. შემდეგ ყრიდნენ სპეციალურ კრემატორიებში და წვავდნენ... მუზეუმად გადაქცეულ ამ ბანაკში ორი დიდი დარბაზია საესე ტყვეებისაგან ჩამორთმეული ნივთებით: ჩემოდნებით, პირსაპარსი მოწყობილობით, სათვალეებით, ფეხსაცმლებით, ტანისამოსით. ეს ის ნივთებია, რომლს გატანა გერმანელებმა ვერ მოახერხეს, როცა საბჭოთა არმია ანთავისუფლებდა ამ ადგილს. ამ ჩემოდნებს აწერია ზოგს ოდესა, ზოგს მოსკოვი, ზოგს პრაღა, ზოგს ვარშავა... რამდენიმე დარბაზი საესეა ადამის თმებით. დახოცილ ადამიანებს გერმანელები თმას პარსავდნენ, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს. პირველ დამზადებას ამ თმებისას იქვე ახდენდნენ, შემდეგ აგზავნიდნენ გერმანიის ცენტრალურ ქალაქებში და მისგან სპეციალურად ქეჩებს ქსოვდნენ. ჩვენ ვნახეთ სურათები იმ ტყვეებისა, რომლებიც გამზადებულნი იყვნენ დასახოცად: დასუსტებულნი, დაუძლურებულნი, მომაკვდავნი. ვნახეთ ის ადგილი, სადაც ტყვეებს ხვრეტდნენ, მეორე კორპუსის გვერდით აღმართული ეს კედელი — ტყვეებისაგან დაცხრილული, შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს. არ შეიძლება ვინც ამას ნახავს, არ განიმსჭვალოს გერმანელი ფაშისტებისადმი ზიზღით. გამოსასვლელ კართან აღმართულია დიდი ბოძი, სადაც დემოკრატიული პოლონეთის უმაღლეს სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოახრჩვეს ამ კონცლაგერის უფროსი — ჰესი. ჩვენ გვაჩვენებს ამ ჯალათი კაცის ხელით დაწერილი ჩვენებანი და ავტობიოგრაფია...

ქრაკოვში, ქალაქის ცენტრში აღმართულია დიდი ეკლესია

შარიაშის სახელობისა — მარიატყი. ის საყურადღებოა იმით, რომ ამ მონასტრის შიგნით მოთავსებულია მოქანდაკე სტეფანის დიდი სკულპტურული ანსამბლი, რომელიც რამდენიმე კარიანია. კარების შიგნით არის საეკლესიო მოღვაწეების სკულპტურული ფიგურები. ეს შესანიშნავი ძეგლი გერმანელებს გაუტანიათ. მაგრამ წითელი არმიის მიერ ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ მოუნახავთ და უკან ჩამოუტანიათ.

ამავე საღამოს ბროსლაჟში გავემგზავრეთ. ჩვენ დელეგაციას თან ახლდა პოლონელი ქალი ნინა პანინა, მკვირცხლი, განათლებული, ენამკვიერი. მთელი გზა გვიყვებოდა თავის მძიმე თავგადასავალს — მას ომის მთელ პერიოდში ერთ პოლონელ სოფელში გადაუმალავს ცნობილი მევიოლინე, ამეამად მისი მეუღლე. ნინამ გვიამბო, ყოველ საღამოს თუ როგორ იჭერდნენ მის მეზობლებსა და ახლობლებს და საჯაროდ ხვრეტდნენ იქვე, ქუჩებში.

პოლონელები ტრადიციის ხალხია. ნინას ოჯახიც მეტად ტრადიციული ყოფილა. ამ ტრადიციის მიხედვით ქალის ავტორიტეტი ოჯახში განსაკუთრებით დიდია. ქალი ოჯახის ბატონი და უფროსია. ბავშვის აღზრდა, ოჯახში წესრიგი და სტუმრის მიღება, ყველაფერი ეს ქალს აბარია. პოლონეთში ქალიშვილს, ვიდრე ის გათხოვდებოდეს, დედის გარეშე ერთი ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია.

მეორე დილით ჩვენ ქალაქ ბროსლაჟში ვიყავით. წვიმიანი დღე დაგვხვდა. მთელი დღე გადაუღებლივ წვიმდა და ისედაც მოღუშულ ქალაქს სიხარულისა და სიცოცხლის ელფერი არ ემჩნეოდა, მხოლოდ მანქანების მოძრაობა და ხმაური გვიცოცხლებდა ამ სიჩუმესა და მოწყენილობას. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს-ეს არის ომი დამთავრებულა და მისი შიში ჯერ კიდევ ქალაქში დაძრწის. ჩვენ მანქანით შემოვიარეთ მთელი ქალაქი. მძლოლი აღმოჩნდა პოლონელი, ახალგაზრდა ჭაბუკი, რომელიც თურმე საფრანგეთში იზრდებოდა და მშობლიური ენა დავიწყებული ჰქონდა. იგი ჩვენ თარჯიმანთან, ნინა პანინასთან ფრანგულად ლაპარაკობდა. ჩვენ გვაჩვენეს ადგილები, რომელიც ახლაც უკაცურია, წინათ კი მჭიდროდ დასახლებული ყოფილა. გერმანელები ყოველი მტკაველი მიწისთვის იბრძოდნენ, მაგრამ საბჭოთა არმიამ და პოლონეთის ნაწილებ-

მა გატეხეს ფაშისტები და ქალაქი გაანთავისუფლეს, პოლონეთის მიწა-წყალი და ქალაქი პოლონეთს დაუბრუნეს.

გეგმით ბროსლავში ერთი დღე უნდა დავრჩენილიყავით. საღამოსთვის ბილეთი აღებული იყო და ჩვენ უკვე განწყობილი ვიყავით დაგვეტოვებია ეს წვიმიანი მოღუშული ქალაქი. მაგრამ მოხდა სულ მოულოდნელი ამბავი. ჩვენს გამცილებელს, ნინა პანინას მატარებლის გამგზავრების საათი შეეშალა და, როცა სადგურზე გავედით, მატარებელი უკვე წასული იყო. ისევ დავბრუნდით სასტუმრო „ინტურისტში“. მიგვიპატიეხ ერთი ახალგაზრდა უცოლო კაცის სახლში. აქ სამი პოლონელი მწერალი დაგვხვდა. ეს ოთახი იყო სულ პატარა, ალბათ 6 თუ 8 კვადრატული მეტრისა. მაგრამ ეს ფართობი მეტად ნიჭიერად იყო გამოყენებული სახლის პატრონის მიერ. გარშემო წიგნის თაროებია ძირიდან ჰერამდე. ერთი საწოლი, ერთი პატარა მრგვალი მაგიდა და წიგნები, წიგნები და სურათები. აქ იყო სურათები თანამედროვე მხატვრებისა, აბსტრაქციონისტებისა, საუკეთესო ჭურჭელი. გულთბილად დაგვხვდნენ, როგორც ევროპელებმა იციან, ისე, ერთი ბოთლი ბულგარული ღვინო, ტკბილეული და ყავა. ჩვენი საუბარი გვიან დამთავრდა. შუალამე გადაცილებული იყო, როდესაც დავიშალენით. საუბარი მეტად გულთბილი იყო, შეეხებოდა ლიტერატურას, მოსკოვს, ვარშავასა და თბილისს. ერთი იმათაგანი თბილისში ნამყოფი იყო. სასტუმროში რომ დავბრუნდით, უკვე გამგზავრების დრო იყო და ჩვენც ერთი საათის შემდეგ ქალაქი ბროსლავი დავტოვეთ. ტკბილი მოგონება სამ პოლონელ ახალგაზრდა მწერალთან თან გაგვეყვა.



აი უკვე ერთი კვირაა, რაც პოლონეთში ვიმყოფებით. აქედან სამი დღე ვარშავაში დავყავით. ორი დღე — კრაკოვში; ორი დღეც — ბროსლავში და ახლა ბალტიის ზღვისპირას პოლონურ ქალაქ სოპოტში ვართ.

სოპოტი ერთი უმშვენიერესი და ულამაზესი წავსადგურია; ყურე, რომელსაც გარს არტყია პატარა მთები. თავისი მდებარეობით ეს ფიჭვნარი მთებით ჩვენს მწვანე კონცხს გვაგონებს, ამ პატარა ქალაქში შესანიშნავი სასტუმროა „ორბისი“<sup>1</sup>

რომელიც ზღვას გადაჰყურებს. ეს ძველებური სახლია, კარგად მოწყობილი და ზღვაში შეცურებულ გემსა ჰგავს, განსაკუთრებით საინტერესოა პირველი საართული, სადაც რესტორანი და კაფეა მოწყობილი. ჩვენ სწორედ ამ სასტუმროში გაჩერდით.

ამ სანაპიროს ქალაქები ისტორიულად ცნობილი რაიონია, ე. წ. დანცინგის კორიდორი, გერმანიისა და პოლონეთის კომფლიქტის მუდმივი ცენტრი. იგი ვულკანივით მოქმედებდა დროდადრო, ჯერ კიდევ მე-12 საუკუნის ბოლოს აქ პოლონეთის მიწა-წყალზე გერმანელებს დაუდვიათ საკუთარი ბინა ცნობილი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. ისტორიული ციხე სოპოტიდან 60 კილომეტრითაა დაშორებული. პირველ ყოვლისა ჩვენ მის სანახავად გავეშურეთ. სოპოტიდან „ელექტროჩატი“ გდანსკში ჩავედით. გდანსკში მანქანით „ციხე სიმაგრისაკენ“ გავსწიეთ.

ციხე-ქალაქი მალბურგი 1272 წელს აუშენებიათ იტალიელ ხელოსნებს. ეს ციხე-სიმაგრე ორიგინალურ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს. გერმანელებისაგან შემდგარი, სასულიერო პირთა დიდი ჯგუფი, ჯვაროსნულ ომის აღმით აქ დაბანაკებულა 1500 წლის წინათ. მე-14 საუკუნეში, პოლონეთის მეფეს იოგალეს (ეს მეფე წარმოშობით ლიტველი ყოფილა და მაშინ ლიტვა პოლონეთთან შეუერთებიათ), ციხე-სიმაგრე შეისყიდა ჯვაროსნებისგან. შემდეგ ის კვლავ წაურთმევიათ პოლონეთისათვის... 1945 წელს საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ეს ციხე-სიმაგრე. ეხლა იგი მუზეუმი. მიმდინარეობს მისი აღდგენა იმ სახით, როგორც იყო ძველად: ცალკე საცხოვრებელი ბინებით, სასტუმროთი, სასადილო დარბაზით, სამზარეულოთი და სხვა მოწყობილობით.

გვიან საღამოს დავბრუნდით სოპოტში, „ორბისის“ სასტუმროში, თოვდა გადაუღებლივ. ღამის სიჩუმეს ბალტიის ზღვის ხმაური არღვევდა, არწივების ფრთების ტკაცუნს ჰგავდა ღელვა ზღვისა.

მეორე დილით 7 საათზე ავდექით, კვლავ გადაუღებლივ თოვდა. ეს პატარა ქალაქი ყელამდე ავსილი იყო თოვლით.

მეორე დღეს დავათვალიერეთ ქალაქი გდანსკი. ეს საკმაოდ დიდი ქალაქია. ქალაქს რომ აკვირდებით, თვალში გეცემათ არქიტექტურული სიჭრელე: გერმანული, გოთური სტილი და

პოლონური — ერთმანეთშია აღრეული. მეორე მსოფლიო ომის დროს ქალაქი დანგრეულა.

ერთ კვირიანი მოგზაურობის შემდეგ ჩვენ ისევ ვარშავაში დავბრუნდით და კვლავ სამი დღე დავყავით ამ შესანიშნავ ქალაქში, კვლავ მიგვიწვიეს მწერლებმა რედაქციებში, მწერალთა კავშირში, კვლავ შეხვედრები და საუბრები...

პოლონეთიდან რომ დავბრუნდი, ვერ მოვახერხე ჩემს ჩანაწერზე მუშაობა და მიღებულ შთაბეჭდილებათა აღდგენა. იმჟამად ახალ წიგნზე ვმუშაობდი, რედაქცია მაჩქარებდა წიგნის ჩაბარებას და ეს საქმე მოუთავებელი მიმრჩა. სამი წლის შემდეგ მოსკოვის სასტუმროში შემთხვევით სატელევიზიო გადაცემას ვისმენდი, ტელევიზორის დიქტორი მოსკოველ მაყურებლებს ერთი ოჯახის ისტორიას აცნობდა. აი, თქვენ თვალწინ არის ერთი რუსი ოჯახი, რომლის დედა ანა 50 წლისაა, ხოლო მის გარშემო თავმოყრილი შვილები და შვილიშვილები ძველი ოჯახის ნაწილია. ომის უბედურ დღეებში ეს ოჯახი დაიფანტა. 2 ვაჟიშვილი და ანას ქმარი ფრონტზე გაიწვიეს. თვითონ თავისი პატარა შვილით სოფლად დარჩა. ეს სოფელი გერმანელებმა აიღეს, თავისი შვილით ტყვედ წაიყვანეს და ოსვენციმში მოათავსეს. აქ დედა და შვილი დიდხანს არ ამყოფეს ერთად. ქალს, რომელსაც მუშაობა შეეძლო, პატარა შვილს მოგლიჯეს და სადღაც შორს გადაკარგეს. შვილი კი, რომელსაც 7500 ნომერი ჰქონდა ხელზე გაკეთებული, პატარა ბავშვებში არიეს. ომი დამთავრდა. ანა სოფელში დაბრუნდა. შემდეგ ერთი შვილიცა და ქმარიც ჩამოვიდა ფრონტიდან. უფროსი შვილი საბოლოოდ დაიკარგა, ომში დაიღუპა. ხოლო პატარა შვილის კვალს ვერსად ვერ მიაგნო. მარტო ნომერი იცოდა მხოლოდ შვილისა, და აი, ომის შემდეგ 20 წელი გავიდა, შემთხვევით თურმე პოლონეთიდან აცნობეს მას, რომ ბავშვი 7500 ნომრით გაზარდა პოლონელმა, იგი გათხოვილია, ქმართან და აღმზრდელებთან ცხოვრობს ამა და ამ სოფელში. კვირას ისინი მოსკოვში ჩამოვლენ და ანას თავისი დაკარგული შვილი პირველ შეხვედრებში დაეხვედრის შესახებ კვირის უკანასკნელ ობებში მოგითხრობთო, — გვამცნობდა დიქტორი.

მართლაც, კვირას, საღამოს უკანასკნელ ცნობათა გადმოცემაში ტელევიზიით გვაჩვენეს, თუ როგორ ჩამოვიდა ეს დაკარ-

გული შვილი, როგორ შეხვდა მას დედა და მთელი ოჯახი. ენით აღუწერელი შეხვედრა იყო; ზღვა ხალხი, ბაქანზე გავლა არ შეიძლებოდა. შვილს ხვდებოდა არა მარტო დედა ანა, არამედ ნაცნობები, მეგობრები, ცნობისმოყვარენი... ძნელია კაცმა ეს სცენა მოიგონოს დიდი მღელვარების გარეშე: შვილს რუსული დავიწყებული ჰქონდა და დედას პოლონურად ელაპარაკებოდა. ისინი ერთმანეთს კოცნიდნენ, ეხვეოდნენ, ენა ერთმანეთისა აღარ ესმოდათ, მაგრამ გული, გული კი, დედაშვილური, ღელავდა, ცრემლად იღვრებოდა... და ყველას, ყველას მოაგონებდა ომის საშინელებას, ომისაგან მიყენებულ ჭრილობას, ომის უბედურებას, რომლის ყველაზე ტრაგიკული ფურცელი უთუოდ ოსვენციშია. დიქტორი მღელვარებით ამბობდა, პოლონელი და რუსი, ყველა პატიოსანი ადამიანი არ შეიძლებაო არ ააღელვოს ამ ოჯახის ტრაგიკულმა ისტორიამ. გამახსენდა ის ფაშისტური ჯოჯოხეთური მუზეუმი — ოსვენციში... და ჩემთვის ერთხელ კიდევ ნათელი გახდა, თუ რა დიდი უბედურება მოუტანა ჰიტლერმა, ომმა ყველა ხალხს, მაგრამ განსაკუთრებით საბჭოთა ხალხსა და კერძოდ პოლონეთს. ამას დადადებნ და დოკუმენტური სიზუსტით მოგვითხრობს პოლონეთის ყოველი ქალაქი, ყოველი სოფელი, დანგრეული შენობა, ყოველი მტკაველი მიწა... და ვცადე ეს ტრაგიკული ფურცლები თვალით ნახული და გულით განცდილი, გადმომეცა ამ მოგონებაში.



## კარლოვი ვარი

ეს იყო ივლისის 12. მოსკოვში საშინლად ცხელოდა. მზისგან გახურებული ასფალტიდან სიცხის ოხშივარი ადიოდა. როცა სასტუმრო „მოსკოვიდან“ გავედი, დილის 8 საათი იყო და მაინც სუნთქვა ჭირდა. აეროდრომი „შერემეტიევი“ — საიდანაც ჩვენ უნდა გავფრენილიყავით პრალაში, ქალაქიდან 40 კილომეტრითაა დაშორებული. ლენინგრადის შოსეზე გავედით, გზის გასწვრივ ტყის ძლიერი მასივი დაიწყო, ჰაერიც ერთბაშად შეიცვალა. ჩვენც თავისუფლად ამოვისუნთქეთ. აეროდრომში საბუთების წინასწარი შემოწმებისა და ბილეთების ჩაბარების შემდეგ ჩვენ მოსკოვიდან პრალისაკენ მიმავალ კომფორტულ თვითმფრინავში ავედით. თვითმფრინავი საესე იყო მგზავრებით. აქ ყველა ჯურისა და მრავალ ენაზე მოლაპარაკე ხალხს შეხვდებოდით. მათ შორის მხოლოდ ორი ქართველი ვიყავით, დავით ჩხიკვიშვილი და მე. ტუ 104 ჰაერში შურდულივით აიჭრა და კურსი პრალისაკენ აიღო. დავითი, მფრინავი-შტურმანი, დიდი სამამულო ომის ეპიზოდებს ჰყვებოდა, როცა ჩვენთან რი ულამაზესი ჩეხის გოგონა მოვიდა და შეგვეკითხა, ჩეხურ ბლზენის ლუდს მივირთმევდით თუ ქართულ კონიაკს. სტუმართმოყვარე გოგონებს ჩეხურ ლუდზე დავთანხმდით. და ასე საუბრებსა და საუბარში ორი საათი უცბად გავიდა. თვითმფრინავი პრალის აეროდრომზე დაეშვა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მიწაზე პირველად დავდგით ფეხი. ერთბაშად სხვა გარემოცვაში, უცხო ადამიანების წრეში აღმოვჩნდით და ჩვენც ყოველ მათგანს, ყოველ დეტალს ყოველ საგანს ვაკვირდებოდით, ყველგან გაისმის: ჩესტ პრაე! — პრაე ჩესტ!..

ყოველი მოგზაური, სადაც არ უნდა იყოს იგი, სხვა ქვეყანას თავისი ქვეყნის თვალთ უმზერს, ზომავს და აფასებს. მსგავსებასა და განსხვავებას შთაბეჭდილებათა წიგნაკში ჩაინიშნავს. ასე ყალიბდება ყველა მოგზაურის ჩანაწერები, რაც ასე გავრცელდა ამ ბოლო დროს. და როგორც არ უნდა იყოს ამ ჩანაწერების სრულყოფილება, ერთი მაინც ცხადია, იგი

ყოველთვის უცნობ სამყაროს, ჩვენთვის შორეულ ადამიანებს გვაცნობს და ინტერესიც აქედან წარმოდგება, ეს ერთგვარი დოკუმენტური მასალაა თუ ნარკვევი, რომელსაც მკითხველები ინტერესით ეტანებიან. და ჩვენც ამ რწმენით ვიწერდით მოგზაურის წიგნაკში შთაბეჭდილებებს.

პრადის აეროდრომი ორ დიდ მოზრდილ კორპუსს აერთიანებს: ახალი კორპუსი მოდერნის წესზეა აგებული, მეტად საინტერესო, მსუბუქი, ჰაეროვანი და მარტივი, ხოლო მასზე მიშენებული მეორე კორპუსი ძველებურია. უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები, ამ ახალ კორპუსში იყრიან თავს და აქედან მეორე კორპუსში გადაყავთ, საიდანაც ქვეყნის სხვა ქალაქებში უნდა გაემგზავრონ.

პრადიდან კარლოვი ვარამდე 140 კილომეტრია. თვითმფრინავმა ეს გზა 20 წუთში დაფარა. აეროდრომიდან სანატორიუმს მივაშურეთ. ერთი საათის შესვენების შემდეგ ქალაქის დასათვალისწინებლად ჩავედით. „ჩავედით“, ვამბობ იმიტომ, რომ ჩვენი სანატორიუმი — „იმპერიალი“ ყველაზე ამაღლებულ ადგილასაა. თვით კარლოვი ვარი კი წარმოადგენს გარშემო მთებით შემოზღუდულ დიდ ქვაბს. მთების ფერდობები ტყითაა შემოსილი — წიწვიანი და ფოთლოვანი ხეებით; ფიჭვების, ნაძვების, მუხისა და ცაცხვის მდიდარი ტყის მასივით ფარავს ამ მთებს და შუაში გაუპია პატარა მდინარეს პებლას. ეს ვიწრო ხევი, მისი მარჯვენა და მარცხენა მხარე, ქალაქის ამფითეატრს წარმოადგენს საუცხოო შენობებით — ხუთ და ექვსსართულიანი სახლებით. აქ ყოველ სახლს თავისი ბიოგრაფია და სახელწოდება აქვს. სახლები ისეა მთებთან შეზრდილი, თითქოს მთებს საგანგებოდ გულზე მიუხუტებიათ, უფრო ლამაზი და მიმზიდველი რომ გამხდარიყვნენ ეს საუცხოო ნაგებობანი. მიწა, სადაც სახლების გაშენება შეიძლებოდა, მცირეა და ძვირად ფასობდა. ამიტომ, მხოლოდ პატარა ნაჭერს ყიდულობდნენ, სახლებს კი მრავალსართულიანს აგებდნენ.

ამ პატარა მდინარის გარშემო დაკლავილი, ვაზივით დაგრეხილი საავტომობილო და საცალფეხო გზებია. კურორტის ცენტრალური ადგილი კარლოვი ვარის წყაროებია, რომელთა რიცხვი თორმეტია. ეს წყაროები ერთიმეორის თანმიყოლებითაა; პირველი ნომერი ყველაზე მაღალი ტემპერატურისაა, ხოლო ყველაზე ბოლო წყარო — №12 — ყველაზე დაბალი.

პირველსა და მეორემეტე წყაროს შუა მოზრდილი კოლონა-  
დაა. კოლონადას სიღრმეში ყოველდღე დილითა და საღამო-  
თი, სიმფონიური ორკესტრი უკრავს, მის წინ კი აურაცხელი  
ხალხი ფუსფუსებს, სეირნობს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე,  
სხვადასხვა ერის წარმომადგენელი. ეს ალაგი ადამიანების  
მსოფლიო გამოფენას ჰგავს, ჩვენი კარლოვ ვარში ყოფნის  
ხანს კინოფესტივალის დღეები დაემთხვა. დროშების ტევრი  
ამშვენებდა ქალაქის ქუჩებს.

სანატორიუმი „იმპერიალი“ ქალაქს უერთდება გვირაბით.  
გვირაბი, რომელსაც ფუნუკულიორს უწოდებენ, ჩვენებური,  
თბილისური ფუნუკულიორის შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. იგი  
ჩვენი ფუნუკულიორის ნახევარი სიგრძისაა დახურული გვირა-  
ბით, რომელზედაც შენობებია აღმართული. ამ მოწინავე ქვე-  
ყანაში, ჩეხოსლოვაკიაში, გიკვირთ კიდევ, როგორც შემორჩა  
ეს ძველებური, ჩვენს ფუნუკულიორზე უფრო ადრე გაყვანა-  
ლი, კონკას მსგავსი, ტრამვაის ორი ვაგონი. მაგრამ იგი ფრიად  
საჭიროა და პრაქტიკული, ამ ციცაბო აღმართზე ერთ წუთის  
მანძილზე აყავს და ჩამოყავს ამ დიდ სანატორიუმში სამასამდე  
დამსვენებელი.

ექვსას წელზე მეტია, რაც მთელ მსოფლიოსთვის ცნობილი  
გახდა კარლოვი ვარის სამკურნალო წყლები. აქ სხვადასხვა  
დროს ყოფილან და უმკურნალიათ მსოფლიოს გამოჩენილ ადა-  
მიანებს: გოეთეს, პეტრე პირველს, ბეთჰოვენს, შოპენს, მიცკე-  
ვიჩს, გოგოლს, პაგანინს, შილერს, ტურგენევს, პავლოვს,  
ალექსეი ტოლსტოის, მიხეილ შოლოხოვს... აქ ყოფილა ჩვენი  
დიდი მამულიშვილი ილია. ამ ტერიტორიაზე ცხელი წყლები  
უძველეს დროიდან ყოფილა ცნობილი და მისი სამკურნალო  
მნიშვნელობაც ცოდნით აქ მოსახლე ძველ ტომებს. მეხუთე  
საუკუნეში აქ დასახლებულა სლავური ტომის ხალხი. ამის შემ-  
დეგ არა ერთხელ აუოხრებიათ ეს ადგილი გარეშე მტრებს,  
არა ერთხელ გაუჩანაგებიათ, გადაუბუგავთ და მიუტაცებიათ  
ეს წყაროც და ეს ქალაქიც. პირველი ცნობები ამ კურორტის  
შესახებ გვხვდება მე-16 საუკუნეში. ერთ-ერთ ამ ცნობაში წე-  
რია, იმპერატორმა კარლ მეოთხემ გაიგო, რომ მთებში არის  
ცხელი წყაროები და მისცა მას სახელად „გეიზეი“, მის გარშე-  
მო დაარსა ქალაქი და მას სახელად ვარი უწოდაო. კარლ მეო-  
თხე ჩეხეთის მეფე იყო, კარლოვი ვარის პირველი დამაარსე-

ბელი და პირველი პაციენტიც, და თუ ანალოგიის გზას გაყვე-  
ბით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ კარლოვი ვარის წარმოშობის  
ისტორია ჰგავს თბილისის წარმოშობის შესახებ არსებულ ლე-  
გენდას.

აი რას მოგვითხრობს ლეგენდა: კარლ მეოთხე თავის  
მხლებლებით კარლოვო ვარის გაუვალ მთებში ნადირობდა.  
უცბად მათ შენიშნეს ირემი, სალ კლდეზე იდგა ყელმოღე-  
რებული, ზურგს ოქროს ფერი გადაკრავდა. დაინახა თუ არა  
ეს აღუწერელი სილამაზე მეფემ, ერთბაშად გაოგნდა, შესცქე-  
როდა ბუნების ფუნჯით ნახატ სილამაზეს და ტკბებოდა მისი  
ცქერით. ამ დროს მონადირე ძაღლებმა შენიშნეს ირემი და  
დაიყეფა. ამას ისრის შხულილი მოჰყვა და დაჭრილი ირემი მე-  
ორე კლდეზე შეხტა, მერე გაუჩინარდნენ ირემიცა და ძაღ-  
ლებიც. წამიც და მეფემ ძაღლების საცოდავი წკმუტუნნი გაი-  
გონა და მათკენ გაეშურა. ირემიცა და ძაღლებიც ცხელ წყალ-  
ში ჩაცვენილიყვნენ. და ბრძანა მეფემ — „აქ უნდა აშენდეს  
ქალაქი!“

კარლ მეოთხემ დიდი ყურადღება დაუთმო ქალაქს. ყველა  
ისინი, ვინც აქ დასახლდებოდნენ, ბატონყმობისაგან გაათავი-  
სუფლა და პრივილეგიები მიაკუთვნა. ამ მინერალურმა წყლებ-  
მა საერთაშორისო აღიარება მე-16 საუკუნეში მოიპოვეს. აქ  
სამკურნალოდ ჩამოდის პოეტი, ასტრონომი, მეცნიერი და მო-  
გზაური ბოგუსლავ გასიშტეინსკი. მან ლათინურ ენაზე დაწერა  
პირველი ოდა კარლოვი ვარის შესახებ. მე-17 საუკუნიდან  
ძლიერდება გერმანიზაცია ქალაქისა, ხდება შევიწროება ად-  
გილობრივი ჩეხებისა. იწყება ჩეხეთის ეროვნული, პოლიტი-  
კური, სოციალური ჩაგვრა და დამონება. ხან გერმანელები,  
ხან შეედები, ხან უნგრელები, ხან პოლონელები აწიოკებენ  
ჩეხ მოსახლეობას.

მე-18 საუკუნიდან ფართო ხასიათი მიიღო ქალაქის მშენებ-  
ლობამ. შენდება სასტუმროები, სადაც უცხოელი დამსვენებ-  
ლები დიდძალ ფულს იხდიან. პირველად ამ ოტელებს ერქვა  
„საქსონსკის ზალი“, მერე „ჩეშსკი ზალ“, ხოლო მე-18 საუკუ-  
ნის ბოლოს გრანდ ოტელ პუპპ. 1708 წელს აშენდა აქ პირვე-  
ლი სამკურნალო — ეხლანდელ მელნიჩის წყაროსთან. ამ სამ-  
კურნალო წყლების პოპულარობა რუსეთამდე აღწევს. 1711  
წელს, 13 სექტემბერს, რუსეთის მეფე პეტრე პირველი დი-

ლიენით ჩადის კარლოვი ვარში, რუსეთის სახელგანთქმულ მეფეს განსაკუთრებულ მიღებას უწყობს ქალაქის მოსახლეობა. იგი ვიღაც აფთიაქარ, ბეხელის სახლში გაჩერებულა, ხოლო დღემდის ლეგენდის სახითაა შემონახული მისი ვაჟკაცობის ამბავი, ახლაც აჩვენებენ და მემორიალური დაფით არის შემკული ის სახლი, რომლის საძირკვლის პირველი დიდი ქვა მან ჩადო, ხოლო სადაც იგი ხელოსნებს ხვდებოდა, პეტრე პირველის ძეგლია აღმართული. პეტრე პირველი თურმე წყალს დიდი თუნგივით სვამდაო დღეში რამდენჯერმე.

1716 წელს მთელ ჩეხეთში გავრცელებულა ქოლერა, მაგრამ კარლოვი ვარის ცამდე აზიდული მთების მეოხებით, აქ ვერ შეუღწევიან ამ სენს. ქალაქის მოსახლეობამ ამ „სასწაულის“ აღსანიშნავად ააგო წმინდა სამება, რომელიც ეხლაც დგას ქალაქის ცენტრში.

1787 წელს კარლოვი ვარში ჩამოსულა დიდი გოეთე. იგი უმთავრესად მარიის წყლებში ისვენებდა (მარიანსკიე ლაზი), ასევე ესტუმრა ის კარლოვი ვარს 1725, 1823 წელს.

ძველად კარლოვი ვარი მდიდრების დასავენებელი აგარაკი იყო. აქ შეხვდებოდით პრინცებს, გრაფებს, თავადებს, კნიაზებს, ფეოდალიზმისა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებს. მსოფლიოს ყოველ მხრიდან მოდიოდნენ ეს მდიდრები, ნებივრობდნენ და დროს ატარებდნენ.

1871 წელს პრადასა და კარლოვი ვარს შორის გაყვანილ იქნა რკინიგზა. ამავე წელს აშენდა ფაიფურის ქარხანა, გაჩნდა მუშათა კლასი. 1871 წელს ჩამოდის კ. მარქსი დასასვენებლად კარლოვი ვარში. 1893 წელს სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტია არსდება და იგი სათავეში უდგება მუშათა რევოლუციურ მოძრაობას. ამ მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო 1905 წლის რუსეთის რევოლუციის გავლენით. 1918 წელს დამოუკიდებელი ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკური რესპუბლიკა შეიქმნა. 1921 წელს დასავლეთ ჩეხეთის კომუნისტური პარტია დაარსდა. მაგრამ შემდეგმა მსვლელობამ არსებითად შეცვალა ამ რევოლუციური მოძრაობის თანმიმდევრული გზა. 1938 წელს ჰიტლერულმა გერმანიამ მიიტაცა კარლოვი ვარის ოლქი და შეუერთა იგი გერმანულ სუდეტის ოლქს. დიდხანს პარპაშობდნენ აქ ჰიტლერელი ჭალათები.

ახლა კარლოვი ვარის ბატონ-პატრონი ჩეხოსლოვაკიაა და

მის სანატორიუმებსა და სასტუმროების დამსვენებლები ჩეხები და მისი მეგობარი ხალხის შეილებია. კარლოვი ვარის 88 სასტუმრო, სამკურნალო დაწესებულებაში ერთდროულად 5600 ავადმყოფი ისვენებს. წლის განმავლობაში კი ორმოც ათასამდე დამსვენებელს ღებულობს ეს სამკურნალო დაწესებულებები.

კარლოვი ვარის წყაროებს სპეციალური ჭურჭლით სვამენ. ეს ფაიფურის დიდი ჭიქაა, საგანგებოდ ფაიფურისა იმიტომ, რომ წყალი ერთბაშად არ გაცივდეს. დავით ჩხიკვიშვილმა და მე გადავწყვიტეთ თან წამოღებული, ჩვენებური, თბილისური ხელადით, ქართული ვაზშემოვლებული „ხელიანი ქვევრებით“ გვესვა კარლოვი ვარის წყლები. თბილისურმა კერამიკულმა ხელადამ დამსვენებლების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. გვეკითხებოდნენ სადაურიაო... ჰო, თბილისი გაგვიგონია, გვინახავს, ვყოფილვართ... კარლოვი ვარის მინერალური წყლების წერტს ვუსახსოვრეთ „თბილისური ქვევრები“ იმ პირობით, რომ ამ სტანდარტის ფაიფური შეექმნათ მასზე თბილისის აღნიშვნით.

კარლოვი ვარი არა მარტო თავისი სამკურნალო მინერალური წყლებით არის საინტერესო, არამედ თავისი „სამკურნალო ბილიკებითაც“, ეს ბილიკები ტყეში მთებისაკენ რომ მიიმართება, დამსვენებელთა სამკურნალოდ არის განკუთვნილი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო კარგად მოვლილმა ტყემ, აქ ყოველ ხეს ადამიანის ხელი ეტყობა და მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშაა. ტყეში იმდენივე ბილიკია, რამდენი კოშკიცაა და მგზავრებს გზა რომ არ აერიოთ, ხეზე უბრალო საღებავებით გაკეთებული ნიშნები გვანიშნებდნენ კოშკებისკენ მიმავალ გზას.

კარლოვი ვარის დამსვენებლებისათვის თითქმის ყოველდღე ეწყობა ექსკურსია. პირველად ჩვენ მარიანსკის წყლებს — მარიანსკიე ლაზნის ვესტუმრეთ. იგი 50 კილომეტრამდეა დაშორებული კარლოვი ვარს და მდებარეობს მის სამხრეთ-დასავლეთით. ეს ერთი ულამაზესი აგარაკთაგანია. მისი ქუჩები უფრო განიერი და უფრო ლამაზად არის გაშენებული, ახალი გეგმით, ვიდრე კარლოვი ვარი, ამ მხრივ მას მდებარეობაც უწყობს ხელს, ვაკე, გაშლილ ველზეა აშენებული ეს ქალაქი.

ამ შესანიშნავი აგარაკის ხშირი სტუმარი, როგორც ვიცით, გოეთე იყო. უკანასკნელად ყოფნისას — 1823 წელს აქ მან,

21 წლის ქალიშვილი შეიყვარა, ქალიშვილი თანახმა იყო მას წაყოლოდა, მაგრამ მშობლებმა აუკრძალეს. ამ უთანასწორო სიყვარულმა ღრმა კვალი დასტოვა პოეტის სულში. ჩვენ აქ გვაჩვენებს ის სახლი, სადაც პოეტი ცხოვრობდა, გვაჩვენებს ის პარკი, სადაც სეირნობა უყვარდა, ის წყაროც, სადაც იგი ამ ლამაზ ქალიშვილს ხვდებოდა და წყაროს სვამდნენ. ამ წყაროს „სიყვარულის წყაროს“ ეძახიან...

მარიანსკიე ლაზნის წყაროები განსხვავებით კარლოვი ვარის წყლებისაგან ცივია, ნარზანის ტიპისა და უფრო სასიამოვნოა დასალევად. ქალაქი ყურადღებას იპყრობს მრავალრიცხოვანი ძეგლებით, არქიტექტურულ ნაგებობებით, კათოლიკური ეკლესიებით, ერთი მათგანი — რუსული ეკლესიაა—1902 წელსაა აშენებული. ამ აგარაკზე მკურნალობდა და ისვენებდა მაქსიმ გორკი. პირველად იგი 1923 წელს ჩამოვიდა და ხანგრძლივად დარჩა, მეორედ 1924 წელს—ამჟამად სულ მცირე ხანს დაჰყო. სწორედ გორკის ჩამოსვლიდან 10 დღის შემდეგ გარდაიცვალა ლენინი და იგი მაშინათვე გამოეშურა მოსკოვს.

მარიანსკიე ლაზნიდან ჩვენ წავედით ციხე ქალაქ კურორტ კინევარტში. ეს საბავშვო კურორტი დაარსებულია მე-13 საუკუნეში. ხოლო კარლ მეოთხის დროს ციხე-ქალაქად გადაუქცევიათ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაჯვარედინზე აშენებულ ამ ციხე სიმაგრეს ჩეხოსლოვაკიის დასაცავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქალაქის გარეუბნის დიდი პარკის ცენტრში დგას მეტერლინხის სასახლე, რომელიც 1833—39 წლებში აუგიათ. ამ სასახლის შესასვლელში დგას ეტლი, რომელიც თითქოს გამზადებულია იმისთვის, რომ ცხენები შეაბან ავსტრიის კანცლერის საგარეო მინისტრის მეტერლინხის გასასეირნებლად. მეტერლინხი — ავსტრიული და გერმანული რეაქციული ძალების, ფეოდალური მონარქიის მეთაური და სულისჩამდგმელი იყო. აქ ცხოვრობდა, და აქედან აწყობდა ის ინტრიგებს რევოლუციისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ.

მეორე საღამოს კარლოვი ვარის მთებში გავწიეთ. ახლა ხუთნი ვიყავით. კონსტანტინე სიმონოვი, თავისი ცოლით, თურქმენი პოეტი ანო, დავით ჩხიკვიშვილი და მე. ღრმად ტყეში ტყის მცველის, ლამაზი, უკრაინული ხატის მაგვარი კონტა ერთსართულიანი კოტეჯის წინ შევისვენეთ, მეტყვევებ შინ მო-

გვიწვია, მაგრამ სიმონოვი უარზე დადგა, ცოტა მოითმინეთ და აქვეაო პატარა ღუქანი, სადაც გუშინ სიმონოვი თავის ცოლით ყოფილა. კონსტანტინე სიმონოვი გვიმტკიცებდა, ეს ღუქანი თბილისის გარეუბნის თეთრ ღუქანს მაგონებსო. საკმაოდ დაქანცულებმა გვიან ღამით მივალწიეთ ამ ღუქანამდის. ჩეხი დიასახლისი თავის მოსამსახურეებით შემოგვეგება, დიდი პატივით მიგვიღეს, ცალკე ოთახი დაგვითმეს. ღამის ორ საათამდის ვისხედით ამ ტყის გასაოცარ სიჩუმეში, რომლის მყუდროებას ჩვენი ხმამაღალი სადღეგრძელოები და ემოციური ლაპარაკი არღვევდა მხოლოდ. ვბაასობდით, ვკამათობდით მწერლობაზე; ხელოვნებაზე ვიგონებდით ჩვენს მეგობრებს, მოსკოვსა თუ თბილისში... სამი საათი იყო, სანატორიუმ „იმპერიალში“ რომ დავბრუნდით...

აღბათ გახსოვთ კარლოვი ვარში სამკურნალოდ ყოფილა ილია ჭავჭავაძე. ვაკვირდებოდით ყოველ ბილიკს, სადაც კი კაცს გაეველება, ასე გვგონია აქ ილიას გაუვლია, თითქოს მის ნაკვალევს მივყვებით, მის თვალთ დანახულს, შესანიშნავ ბუნებას, ცასა და მიწას ვუმზერთ. კარლოვი ვარის ცენტრალურ ქუჩაზეა მოთავსებული არქივი, სადაც ინახება აქ ჩამოსული დამსვენებლების ქრონიკები და ხელმოწერები. აქ ჩამოსულ ყოველ კაცს დაუტოვებია თავისი სახელი და გვარი, და ამავე დროს მადლიერების სიტყვები ამ წყაროს შესახებ. ჩვენ განვიზრახეთ შეგვემოწმებია და მოგვენახა სადმე ილიას კვალი ამ დოკუმენტებში. ერთ მშვენიერ დღეს ვესტუმრეთ ამ არქივს. მთელი ორი დღე ვფურცლავდით ამ ჩანაწერებს და ვერ მივაგენით ვერსად ილიას კვალს.

ჩვენი გამოცილება მეტად პოეტური იყო. დილის 11 საათზე სანატორიუმ „იმპერიალის“ ვესტიბულში შეიკრიბა ყველა ქართველი, მათი რიცხვი ოცამდე იყო. აქვე იყო ჩვენი მეგობარი კონსტანტინე სიმონოვი და სომეხი მწერალი გარეგინ სავუნცი.

ქართული ღვინით გზა დაგვილოცეს.

ოთხი საათის შემდეგ მოსკოვში ვიყავით. მოსკოვი, რომელმაც 26 დღის წინათ სიცხის აღმურში გაგვისტუმრა, ახლა წვიმით შემოგვეგება. გრილოდა. ღამის თორმეტ საათზე ჩვენ დავბინავდით სასტუმრო „მოსკოვში“ და თავი უკვე შინ გვეგონა...



## თამარის ჯვარი

1945 წლის აპრილი.

საქართველოს დაუბრუნდა 1921 წელს პარიზში გაზიდული ისტორიული განძი.

განძეულის მცველი და გადაპრჩენელი, დიდი ეროვნული ზოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი აბარებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს თბილისის აეროპორტიდან შემოზიდული ყუთების მიხედვით აღწერილ განძს.

განძეული მიიღო საქართველოს მთავრობის კომისიამ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მეთაურობით.

ბედმა მარგუნა ვყოფილიყავ ამ კომისიის წევრი, იმ მღელვარე დღეების მოწმე და მონაწილე. მთელი კვირა გრძელდებოდა ეს ისტორიული აქტი. მიღება-ჩაბარებისას მოხდა უცნაური რამ: ყველა ყუთში აღწერილობის მიხედვით აღმოჩნდა ყველა დასახელება განძეულისა. და სწორედ იმ ერთ ყუთში, სადაც თამარის ყელის ჯვარი უნდა ყოფილიყო, გახსნისას არ აღმოჩნდა თამარის ჯვარი. მტანჯავი დუმილი ჩამოვარდა. ანერვიულდა ბატონი ექვთიმე, ბატონი სიმონი მისთვის ჩვეული სიღინჯით ამშვიდებდა განძის მცველს.

მაინც ყველას გადმოედო ნერვიულობა.

სწორედ ამ დროს იროდი სონლულაშვილმა სხვა ყუთის გახსნის დროს ნახა თამარის ჯვარი და სასოებით გადასცა ბატონ ექვთიმეს. „თამარის ცრემლით დასველებული ჯვარი დიდებული...“ იმის თვალეშიც ცრემლები შევნიშნეთ. სიხარულით მოცულმა ბრძანა:

— მე ეს ჯვარი პირველად ხელში ავიღე ხობის მონასტერში და აღწერე კიდეც 1914 წელს გამოცემულ ჩემს წიგნში — „არქეოლოგიური მოგზაურობანი სამეგრელოში“.

შეჩერდა და ჯვარი ბატონ სიმონს გადასცა, დასძინა:

— კარგად მოგეხსენებათ, ამ ნივთებთან ჩემმა ბედმა და-

მაკავშირა, ჩემმა პროფესიამ, ყველა მათგანი დიდი რუღუნებით აღეწერე ჩემს წიგნებში. მერე რაღაც სასწაულით გადავარჩინეთ საქართველოს თავზე დაშტყდარ ქართვეხილებში სულიერი განძეული ჩვენი ეროსა. მათთან ერთად გამოვიარე ჩემი ცხოვრების ტანჯვითა და ხიფათებით სავსე გზა: ბათუმიდან პარიზამდე და უკან პარიზიდან თბილისამდე. ყოველ ამ ნივთში ჩემი სულის ნაწილია ჩადებული ..

გაოგნებული ვისმენდი ამ ქრისტესავით ჯვარცმული ერისკაცის მიერ აღსარებასავით წარმოთქმულ სიტყვებს და მოცებდა ის სიმხნევე, რომელიც ასე შემოენახა სამშობლოსთვის თავდადებულ კაცს... ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას ნამოწაფარი თითქოს პირველად ვესწრებოდი საქართველოს ისტორიის გაკვეთილს და დავცქეროდი ზღაპრულ განძეულობას მხოლოდ და მხოლოდ ბატონ ექვთიმეს ღმერთკაცობით გადარჩენილს... დაბრუნებულ განძეულობაში ოქროთი და თვალმარგალიტებით შემკობილი ხატების და ჯვრების რიცხვი ბევრი იყო, მაგრამ თამარის ყელის ჯვარს მაინც სხვა ჯადო ჰქონდა. მე, ჩემი თაობის კაცთაგან პირველად ავიღე ხელთ და საგულდაგულოდ თვალი შევავლე ამ საოცრებას. შინ მობრუნებულმა სულმოუთქმელად გადავშალე ბატონ ექვთიმეს მიერ 1914 წელს გამოცემული წიგნი და ეს ადგილი გადავიკითხე: „დასაკეცი ხატი მაცხოვრისა ოქროსი, რომელშიაც ინახება ქართველთათვის სათაყვანებელი განძი, ყელის ჯვარი თამარ მეფისა, 15,3×10,8 სანტ. ზედა პირზე წარმოდგენილია მაცხოვარი ყოველთა მპყრობელი მაკურთხეველის მარჯვენით. მარცხენა ხელში სახარება აქვს. ოქრო, რომლითაც მოჭედილია, ეს ხატი, სევადიანია, ლამაზად მოჩუქურთმებული და შემკობილი ოცდაერთი ძვირფასი ქვით, სარდიონებით, ამეთვისტოებით, ფირუზებით, საფირიონებით და იავუნდებით... შიგა ნაწილში ამ დასაკეცი ხატისა თამარის ჯვარია ჩასვენებული. თვით ჯვარი თამარისა 7×4 სანტ. შესდგება ძვირფასი ქვებისაგან: ოთხი მოგრძო ზურმუხტისაგან, რომელნიც შეადგენენ ჯვრის სახეს, ხუთი სარდიონისაგან, ამათში ერთი შუაშია და ოთხი ფრთებზე. ექვსი დიდრონი მსხლის მსგავსი მარგალიტისაგან, რომელთა შორის ოთხი ჯვრის კუთხეებშია, ორი ზემოთ, ესენი შარნირით უერთდებიან საბმულის ლამაზ მძივს. შიგ ჯვარში, როგორც ჩანს, ჩატანებული უნდა იყოს ნაწილი

ძელი ჰემშარიტისა. მეორე გვერდზე ჯვარისა სევადით ასომთავრული წარწერაა: „ძელო ჰემშარიტო, ძალო ჯვარისაო, შენითა წინმძღომითა ყოველადვე შემწე და ფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“. მაცხოვრის ხატს, რომელშიაც ჯვარია ჩასვენებული, გვერდით აწერია. „ქ. ჰი ხატო არსებობისაო, უცვალებელო, მეოხ და მფარველ მექმენით აქა და საუკუნესა ერისთავ ერისთავი დადიან შერგილ და მეუღლე დედოფალ-დედოფალ ნათელით და ძითურთ ჩემით ცოტნეთურთ“.

თაობიდან თაობაში გადადიოდა საქართველოს ერთიანობის სული, დავითისა და თამარის საქართველოს უცვალებელი სული. ასე მოხვდნენ ამ დადიანისეულ მაცხოვრის ხატში ორი ეროვნული გმირი — დიდი თამარი და ცოტნე დადიანი.

„ზემო აღნიშნული მაცხოვრის ხატი, რომელშიაც ინახება თამარის ჯვარი, — წერს ექვთიმე თაყაიშვილი, — უნდა იყოს გაკეთებული შერგილ დადიანის თაოსნობით, ამ წარჩინებულს XIII საუკუნის მოღვაწეს კარგად ჰქონია გათვალისწინებული, თუ რა ძვირფას განძს წარმოადგენს ქართველთათვის თამარ მეფის ჯვარი, ძველ ჰემშარიტ ნაწილიანს, აუარებელი მავედრებელი და მლოცველი ეყოლებოდა, ამიტომ ხატი ხშირად უნდა გაეხსნათ მნახველთა და მლოცველთათვის. ამის გამო თვით ხატი დაზიანებულად არის მოღწეული ჩვენამდის. სამაგიეროდ საუცხოოდ არის დაცული თვით ჯვარი და ამის მადლობელი უნდა ვიყვეთ შერგილ დადიანისა, რომელიც როგორც მოვიხსენიეთ, დახატულია ხობის ეკლესიის კედელზე და რომელსაც ეკუთვნის მარტვილის ეკლესიაში მარმარილოს ნიში — ჩარდახი“.

ასე განადიდებდნენ და უფროთხილდებოდნენ ჩვენი წინაპრები დავითსა და თამარის სახელს. აქ ისიც სათქმელია, რომ „განძეულობანი“, ერთიანი საქართველოს სულის მონაწერი, თაყაიშვილის მეოხებით გადანახული და საქართველოში დაბრუნებული მეტწილად მარტვილის, გელათის, ხობის, ზუგდიდის კუთვნილება იყო. არავის იმდენი არ გაუკეთებია საქართველოს ერთიანობისათვის და ძლიერებისთვის, რამდენიც დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს. ოღონდ აქ არც სხვათა, საქართველოს ეროვნული ერთიანობისათვის მებრძოლთა სახელები უნდა დავივიწყოთ. ისინი არა მარტო ფიზიკურად წინ

მიგვიძღოდნენ, საკუთარი სიცოცხლის გაწირვით მაგალითს გვაძლევდნენ სამშობლოსათვის ბრძოლაში, არამედ სიკვდილის შემდეგაც მოგვცახიან მათი აჩრდილები — მათი საძვლებიდან — ბელიიდან (ბაგრატ III); მარტვილიდან (ბაგრატ IV); გელათიდან (დიდი დავითი და თამარი); სვეტიცხოვლიდან (გორგასალი და ერეკლე II)... მკერდით შევკრათო და დავიცვათო მამული ჩვენი. მუდამ გვახსოვდეს მათი დანაბარები: არ მოშალოთ ერთიანობა ქართველთა...

„დიდი ჟამიანობის ჟამსაც“ არასოდეს ჩამქრალა ჩვენი წინაპრების ანთებული ერთიანი საქართველოს ეროვნული სანთლები და მაინც, ერთიან საქართველოს ბევრი მტერი და დუშმანი ჰყავდა და ჰყავს. დიდგორის, შამქორის და ბასიანის ომებში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის წინამძღოლობით გამოვლინებულმა საქართველოს ეროვნულმა ენერჯიამ იმ დროინდელ მსოფლიოში უძლიერესი და უძლეველი სახელმწიფოს სახელი მოუპოვა საქართველოს და ამიერიდან დავითისა და თამარის დროშის ემბლემად იქცა რუსთაველის სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“. და ეს სახელოვანი დროშა სისხლის წვიმებში დავიცავით და ასე მოვიტანეთ ჩვენს დრომდე. ამ სასტიკ ომებში დავითის დროშას, თამარის დროშას წინ მოუძღოდა ჯვარი ქრისტესი. ამ მხრივ თამარის ჯვარი არა მარტო სიმბოლური ისტორიულ-რომანტიკული ნივთია, არამედ საქართველოს ისტორიის რეალობაა.

თუ არა ექვთიმე თაყაიშვილი, იქნებ თამარის ჯვარსაც არ დაედო მუდმივი ბინა საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში, საქართველოს ერთიანობის მოძულეთ ბევრჯერ შეუყუფიათ მისთვის, მაგრამ ამაოდ: ძალდი ყეფს, ქარავანი მიდის... და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია წარგვეტაცოს საქართველოს ერთიანობის დულაბი — დავითის ენა, თამარის ენა, ცოტნეს ენა, ენა რუსთაველის — ჩვენი საერთო სალოცავი ენა ქართული.

## სარჩევი

„მოგონებების გამა“	3
გაბაასება ლანდებთან	205
მთაწმინდა	226
მადათოვი	231
სინანული	253
ბერტა	295
სამშობლოს დედის ძუძუი	306
„საქართველოდან“ დ.ნ. ხულო ზღვა და სმელეოი	311
რამდენამე დღე პოლონეთში	353
კარლოე ვარი	371
თამარის ჭვარი	379

**ЧИЛАЯ СЕРГЕЙ ЕВСТАФЬЕВИЧ**

**«Воспоминания» и**

**другие произведения**

**(На грузинском языке)**

**Издательство «Сабчота Сакартвелო»**

**Тбилиси, Марджანიшвили 5**

**1989**

**ს. ბ. № 6506**

**რედაქტორი ზ. კილაძე**

**მხატვარი ჯ. ყავლაშვილი**

**მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი**

**ტექნიკური რედაქტორი ზ. ქავთარაძე**

**კორექტორი ლ. არჩუაძე**

**გამომშვები მ. წივწივაძე**

გადაეცა წარმოებას 9.12.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.05.89, უე 01885. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>. გარნიტური ვენა ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20,16. პირ. საღ.-გატ. 20,16. სააღრ.-საგამომც. თაბახი 18.54. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 2464. ფასი 2 მან.

**გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“**

**თბილისი, მარჯანიშვილის 5.**

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით გაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

**Тбилисская Книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.**